JOKAI MÓR

FEKETE GYÉMÁNTOK

FORDITOTTA

MÁISZURÁDZE-MORGOSIÁ LILI,

REGÉNY

TBILISZI "MERÁNYI" 1988

მორ ი ოვანი

ფავი ალმასიანი

თბილისი, „მერანი“, 1988

84.4 — 44
ი 707

„ეოკაი დიდი შენაძენია მსოფლიო ლიტერატურისათვის," — წერდა უნგრელი რეალისტი კალმან მიქსათი.

რომანში აღწერილია XIX საუკუნის დასაწყისის უნგრეთის არისტოკრატიის, კაპიტალისტებისა და მუშათა ცხოვრება. მაღაროს პატრონის, თავისი დროის თვალსაჩინო მეცნიერის, ივან ბერენდისა და გლეხის ობოლი გოგონას, ეველინას სიყვარულის ამბავი.

რომანი მკითხველს მიიზიდავს და დაინტერესებს სოციალურ პრობლემებზე, საუკუნის ყველაზე მტკივნეულ საკითხებზე, პასუხის მცდელობის განსაცვიფრებელი უნარით, შრომისა და ზნეობრივი იდეალების დამკვიდრების ჰუმანური პათოსით.

უნგრულიდან თარგმნა

ლილი მაისურაძე-მორგოშია

4703000000 — 45
ი ——————— 115—89
8 604(08) — 88

© გამომცემლობა „მერანი"

ნაწილი პირველი

სანამ დედამიწაზე ადამიანი გაჩნდებოდა

მოსე წინასწარმეტყველის ხუთ წიგნში სრული სიმართლე წერია. სამყარო ჭეშმარიტად ექვს დღეშია შექმნილი.

ოღონდ ეს დღეები იზომებოდა ღმერთის ქვიშის საათით, რომელშიც ქვიშის თითოეული მარცვალი ერთი წელი იყო, ხოლო ერთი დღე—ასი ათასი წელიწადი.

დასაწყისიც უსასრულოა, ისევე შეუძლებელია მისი გამო-

თვლა, როგორც თვით მარადისობისა. და შეკითხვა „როდის?“ ამ შემთხვევაში ჩვენი სიამაყის დამამცირებელი გამოცანაა, რომელზეც მეცნიერი იძულებულია უპასუხოს: „არაფერი არ ვიცი!..“

ჩვენს არსებობას რომ წინ უძღოდა „გუშინ“, რომლისგანაც ასი ათასი წელი გვაშორებს, უკვე ცნობილია, ესაა გუშინ! მაგრამ როგორი იყო კვირის პირველი დღე? გუშინდელი დღის შესაცნობად ერთი დიდებული წიგნი დაგვეხმარა: დედამიწის წიაღი. მისი ფენები წიგნის ფურცლებივით მიჰყვება ერთმანეთს. თითოეული ათიათას, ასიათას (ან კი, ვინ იცის, რამდენ) ათას წელს ითვლის; ადამიანს შეუპოვარმა მისწრაფებამ და ცოდნის წყურვილმა გადააშლევინა ეს ფურცლები ბარით, ჩაქუჩით, ძალაყინით და ბურღით. თითოეულ ფურცელზე ათასწლეულთა მიერ ამოკვეთილი ასოებია. ერთი შეხედვით თითქოს უტყვი, მაგრამ მრავლისმეტყველი. ადამიანის გონებამ შეძლო მათი ამოკითხვა. გამოთვალა დედამიწის შრეები, მოისმინა საიდუმლოებით მოცული ასოების ნაამბობი, შეიცნო მთების წარმომქმნელ კლდეთა და ლავათა საიდუმლო, მიკროსკოპით გასინჯა მიწის წიაღში შემონახული ცხოველთა ნეშტები, ტელესკოპით შეაღწია ცის კამარის უსასრულობაში და დარწმუნდა, რომ როგორც ზევით, ისევე ქვევით, — „უსასრულობაა“.

ამ წიგნში ადამიანის მიერ გადაშლილი პირველი ფურცელი გრანიტისა და ძოწის ფენაა. მის ქვემოთ შეუძლებელი იყო ჩასვლა. იმის შესახებ, თუ რა არის ქვემოთ, მოგვითხრობენ მხოლოდ ვულკანები, ცეცხლი... მაგრამ როგორი ცეცხლი! ვულკანის მიერ შექმნილი ფენა წიგნის მეორე გვერდია. ვულკანური ცეცხლი წარმოშობს მხოლოდ ბაზალტს. გრანიტის ფენის ფუძეს „პლუტონის ქანს“ ეძახიან. პლუტონი ხომ მითის მიხედვით ქვესკნელის ღმერთია.

ერთი ფურცელი ცეცხლს წარმოუქმნია, მეორე ზღვას, მესამე ქიმიურ გარდაქმნებს, მაგრამ ძალა, რომელიც გამოსწურავს გრანიტს, მთრთოლვარე ლაბასავით დედამიწის წიაღის ნაპრალიდან ამოიძახებს: „სახელი არ მკითხო! ღმერთი ვარ!“

გრანიტი არაფრისმთქმელი სუფთა ფურცელია, „უსასრულობა!“ ამ ფურცლით იხურება წიგნი.

ვულკანის წარმოქმნა იმაზე მეტყველებს, რომ დედამიწა არსებობდა მანამდე, ვიდრე მასზე სიცოცხლე გაჩნდებოდა. ის არსებობდა თავისთვის, ბობოქარი, მარადმღელვარე სიცოცხლით, შეუპოვრად ერკინებოდა ცეცხლსა და ჰაერს საკუთარი ბრუნვისა და მთვარის მიზიდულობის ძალით.

შემდეგ მიწის ნაწდობთა ცალკეული შრეები იწყებენ ბუნდოვანი ლეგენდების თხრობას გარდასულ ათასწლეულებზე.

ამ შრეებში წარსულის მარადიულ ფურცლებად შემორჩენილი ცხოველთა და მცენარეული სამყაროს გაქვავებული ნეშტები, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით ცოცხლდებიან მკვლევარის თვალწინ.

პირველ შრეში არც ერთი მცენარე არ გვხვდება გვიმრის, შვიტისა და ღვიის ხავსის გარდა, რომლებსაც არც ერთი ცხოველი არ ჭამს, და ცხოველთა სამყაროს დაბალ საფეხურზე მდგომი ლოკოკინებისა და სიპინების მრავალსახეობის მეტი. მათი იყო მაშინდელი სამყარო.

უფრო მაღლა, სილურიულ ფენაში უკვე ვხვდებით საოცარი ფორმის წყლის ბინადართ, თევზებს, რომელთა ათას ხუთასამდე სახეობიდან დღეს არც ზღვებში და არც მდინარეებში არც ერთი აღარ შემორჩენილა.

მის ზემოთ, დევონის ფენაში წარმოდგენილია დინოზავრების ეპოქა. ეს უზარმაზარი შვიდსაჟენიანი საშინელი ურჩხულები ოდესღაც მეფობდნენ დედამიწაზე. მათთან ერთად არც ერთი მცენარის კვალი არ შეინიშნება, გარდა გვიმრისა და ლიკოპოდიუმისა. ეს ურჩხულები მხოლოდ ერთმანეთის ხორცით იკვებებოდნენ.

პირველ ბალახისმჭამელ ცხოველს, უზარმაზარ იგუანოდონს, ვხვდებით მხოლოდ იურიული პერიოდის ცარცის ფენაში. ცარცის ფენა კი უამრავი პაწაწინა ნიჟარისაგან შედგება.

დედამიწის ზედაპირთან ყველაზე ახლომდებარე ფენები სავსეა უზარმაზარ ძუძუმწოვართა ნეშტებით და გარდასულ საუკუნეთა მცენარეულობით, სახეობათა მიხედვით რომ აღ-

ბეჭდილან ბუნების უზარმაზარი წიგნის ფურცლებზე. ამის ზემოთ ვცხოვრობთ ჩვენ: „დღევანდელი დღის“ მბრძანებლები. რაზედაც ჩვენ დავაბიჯებთ, ეს არის „გუშინ“.

როგორი იყო გუშინდელი სამყარო?

ატმოსფეროს სიმაღლე მაშინ ორჯერ მეტი იყო, ვიდრე დღეს, ამიტომ ცა ლაჟვარდისფერის ნაცვლად მეწამული იყო, დილა-საღამოს კი ისე ლივლივებდა წითელ-ყვითლად, ფაიფურისა გეგონებოდათ. მზე და მთვარე ამოსვლისას და ჩასვლისას დღევანდელთან შედარებით ორჯერ უფრო დიდი ჩანდა.

დედამიწის ფენები ჯერ კიდევ ცხელი იყო, ზღვა ხმელეთზე ათჯერ მეტი. ორ პოლუსს შორის მუდამ ზაფხული იყო წყლის სითბოსა და ატმოსფეროს სიმაღლის ზეგავლენით. მხოლოდ პოლუსები იყო დაფარული თოვლითა და ყინულით, აქ მზის ირიბი სხივები ვეღარ აღწევდა. პოლუსებზედაც მოჩანს ისეთივე თეთრი ლაქები, პერიგეაში რომ მცირდება, აპოგეაში იზრდება და წითლად ანათებს მარსის ვარსკვლავს.

ხმელეთი აქა-იქ მიმოფანტული კუნძულებისაგან შედგებოდა, უმეტესად მოქმედი ვულკანებით. ირგვლივ ამოფრქვეული ლავა მუდმივი თოგლით იყო დაფარული, ყინულიანი მწვერვალებიდან ამოსული ცეცხლის ალი კი გვირგვინებივით კიაფობდა აქა-იქ. მთების ძირას გადაშლილიყო ადუღებული ზღვის მიერ ახლად წარმოქმნილი ჯერ ისევ თბილი და ტენიანი დედამიწა.

ვინ იცის ეს მერამდენე გარდაქმნა იყო მიწისა? მაგრამ ერთი კი ცხადია, ეს არ იყო უკანასკნელი.

ჩვენთვის ახლა ჩია მცენარეებად ცნობილი გვიმრები და შვიტები მაშინ მაღალეროიანი ხეები იყო, ახლანდელი ფიჭვისოდენა; ფიჭვები კი სამრეკლოს სიმაღლისა იყო, რომელთა შორისაც მთელი თავისი მშვენიერებით გამოირჩეოდა პალმები. მცენარეული სამყარო ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, იზრდებოდა პალმისმსგავსი ლერწმები და მეტად უცნაური მცენარეები, რომლებსაც რაღაც საერთო ჰქონდათ პალმებთან, ფიჭვებთან და შვიტებთან. ამ გიგანტთა შორის ჯერ კიდევ არ იყო ყვავილები, ველ-მინდორთა

ფერადი სამკაული; სურნელოვანი ჭრელაჭრელა ყვავილები დედამიწას ჯერ სიზმარშიც არ ენახა.

და რაკი ირ იყო ყვავილები, რაღა თქმა უნდა, არც ფუტკრები, პეპლები და ათასობით მოზუზუნე ბუზანკალი და მწერი იქნებოდა, ახლა თავზე რომ დაჰფარფატებენ ათასფერად გადაშლილ ყვავილებს.

მაშინ არც ჩიტები იყვნენ, ჰაერში სიცარიელეს დაესადგურებინა. მგალობელი ფრინველები ხომ მწერებით იკვებებიან. მწერები რომ ჩიტებზე ადრე გაჩენილიყვნენ, მთელ ტყეებს გააჩანაგებდნენ, ჩიტები რომ მათზე ადრე მოვლენოდნენ სამყაროს, შიმშილით დაიხოცებოდნენ.

ვერსად გაიგონებდით სიმღერას, სტვენა-გალობას, უზარმაზარი ურჩხულები დააბიჯებდნენ მხოლოდ, რომელთა ლაშინელი ღრიალი გრგვინვასა და ჭექა-ქუხილივით გაისმოდა უკაცრიელ დედამიწაზე.

ჩვენს „გუშინდელ დღეში“ უკვე ბევრი რამ შეიცვალა. თანდათან გაჩნდა ყვავილები ამწვანებულ ველ-მინდვრებზე, ტყეებში, და მათი დამათრობელი სურნელით შეზავებულ ჰაერში ჩიტების ჭიკჭიკი და გალობა გაისმა.

ჩვენი ეპოქის გარიჟრაჟს, რომლითაც იწყება ახალი ერა — „პლიოცენს“ უწოდებენ.

ეს იყო შემოქმედის ლამაზი სიზმარი!

მთელი ხმელეთი მარადმწვანე, მწიფე ნაყოფით დახუნძლული მცენარეებით იყო დაფარული.

ბალახი სიმინდის სიმაღლისა იზრდებოდა და არასოდეს ხმებოდა. ტბებისა და ჭაობების ზედაპირზე, თითქოს საგანგებოდ ამოქარგული ყვავილების ხალიჩა გადაეფარებინათ. წყლის ზედაპირს მწვანე წყალმცენარეები გადაჰკვროდა, აქა-იქ წყლის შროშანითა და სამყურათი დამშვენებული. მოგვიანებით ტბის ნაპირები დუმფარათი და ლოტოსით დაიბურა, მოწითალო პერგამენტის ფურცლებისაგან დაწნულ ხალიჩაზე ქუდისოდენა ვარდისფერი, თეთრი და ყვითელი ტიტები ირწეოდნენ, ტბის შუაგული კი წითელ-ყვითელი ყვავილებით მოფენილ ალისფერ მოზაიკასავით მოჩანდა. რაც დრო გადიოდა, მცენარეული საფარი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა წყლის ზედაპირზე. წარმოიქმნა ჭაობის კი-

პარისის ხვიარა ლიანებით გადახლართული გაუვალი შამბნარი და ბოლოს წყალშიც შეაღწია მცენარეული სამყაროს არქიტექტურამ. პანდანისა და მაიმუნის ლეღვის თითოეულ ტოტს გამოჰქონდა ფესვები წყალში და უდიდესი სისწრაფით მრავლდებოდა, ვიდრე წყლის სამეფოში ერთმანეთში გადაზრდილი ტოტებით არ წარმოქმნა უმშვენიერესი მწვანე ხიდები, რომლებიც თანდათან იპყრობდნენ სულ უფრო მეტ ფართობს ხმელეთის სამეფოს გასაფართოებლად.

ზემოთ ამოწეული წყლის ფსკერი მარადმწვანე მცენარეებით დაიფარა. მცენარეთა სამეფოში ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო ბაბილონის დღეები.

დედამიწა ზონებად ჯერ არ იყო დაყოფილი, პალმა, მუხა და ფიჭვი ერთად ხარობდა ციმბირიდან ატლასის მთებამდე. ფიქალის ქანების გვერდით დარჩენილია ამბრის, ტირიფისა და ქაფურის ხის თესლების ანაბეჭდები, რომელთაგან პირველი გვიანი შემოდგომის ნაყოფია, მეორე — ადრეული გაზაფხულისა და უკანასკნელი — შუა ზაფხულისა. მაშინ ხეები მარადმწვანე იყო, სულ მუდამ ჰყვაოდნენ და ნაყოფს ისხამდნენ. ნაწილს ყვავილი სცვიოდა, ნაწილს მწიფე ნაყოფი, ფოთლები კი მუდამ მწვანე იყო; ეს პროცესი დაუსრულებლად მიმდინარეობდა, ნაყოფი ძლივს ასწრებდა დამწიფებას, რომ უკვე იწყებოდა ყვავილობა.

და ეს მცენარეები მეტად საოცარი, უჩვეულო ფორმისა იყო!

უზარმაზარი სწორღეროიანი გვიმრები ქერცლოვანი პალმის მსგავსი ბოლქვებით და გვირგვინებით. უფოთლო მაღალღეროიანი კოლომიტები, კენწეროებზე დასხმული მტევნებით, სპენოფილები, უამრავი რგოლითა და ფოთლის გვირგვინებით. ლეპიდოდენდრონის საოცარი ბუჩქი, ადამიანისოდენა კატის კუდისაგან გაკეთებულს რომ წააგავს. ხის სიმაღლის ლობიოს მთელი ტყეები. ფიჭვის მსგავსი შვიტა, კენწეროზე ჩიტის ბუდის მსგავსად ერთმანეთში გადაწნული ნაყოფით. ბანკერიას გრძელი ყვავილოვანი ტოტები, რომლებშიც მრავლად იყო ვაშლისოდენა კენკრას მწიფე ნაყოფი, მარწყვის ბუჩქებს რომ წააგავდა. და ყოველივე ამათ შორის თანამედროვე სამხრეთის საოცრებანი: პურისა და

დარიჩინის ხეები, ბანანის პალმა, ამბრა, რომელთაგან ზოგი ჰყვაოდა და დამათრობელ სურნელს აფრქვევდა, ზოგი თაფლად იღვრებოდა და ზოგიც მწიფე ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს ძლივს იმაგრებდა. ქარვა წვეთ-წვეთად მოჟონავდა ქარვის ხეებიდან, რომლებიც ლერწმის შამბნარივით გადაეხლართა ერთმანეთში აყვავებულ ხვართქლას. ზემოთ პირველყოფილი ფითრი ბრწყინავდა ნაირფერებში, მის ქვემოთ ფერიების თმებივით მიმოფანტულიყო ხავსი, რომლის ქვეშაც, სადაც დღის სინათლე უკვე ვეღარ აღწევდა, მიმალულიყო დაწინწკლული კოკომეავა. დედამიწაზე ერთ მტკაველ მიწასაც ვერ ნახავდით, ბუნებას უხვად რომ არ დაემშვენებინა სილამაზით, რომლის აღწერაც ყოვლად შეუძლებელია!

თვით პოეტური ფანტაზიაც კი უძლურია ყოველივე ამის გამოსახატავად, საჭიროა ციფრები მოვიშველიოთ. მეცნიერებისათვის ეს დღესავით ნათელია. გავამრავლოთ დღევანდელი ტყეების რაოდენობა ოთხასოცდათორმეტზე და მივიღებთ გუშინდელ ტყეებს.

მაშინდელ პირობებში დედამიწისათვის მართლაც აუცილებელი იყო გიგანტი ბინადარნი. მამონტის გარდა, ვერც ერთი სულდგმული ვერ გაივლიდა გოლიათი ხეებითა და გაუვალი შამბნარით დაბურულ ტყეებში, სადაც თაგვი თუ გაძვრებოდა ან მაიმუნი გადახტებოდა ხის კენწეროებზე.

გუშინდელი სამყაროს ბინადართ ნატურალისტები სქელკანიანებს უწოდებენ. მაშინდელ გიგანტთა ზოგიერთი მომცრო სახეობა ჩვენს ეპოქასაც შემორჩა: სპილოების, მარტორქების, ბეჰემოტების, კამეჩების სახით. სქელკანიანი გიგანტები შავი ფერისა იყვნენ, განსაცვიფრებელი ჯაგარი და მეტისმეტად მაგარი კანი ჯავშანივით იცავდათ. ისინი ახლა მიწის წიაღში, თიხის ფენაში განისვენებენ. ორსაჟენიანრქიანი სივატერები, რომელთაც ორი რქა წინ ჰქონდათ გაშვერილი, ორი უკან, მეგატერები, თავზე უფრო მძიმე ტერფებით, სპილოსტანიანი დინოტერები, მასტოდონები, ოთხხორთუმიანი სპილოები, რომელთაგან ზედა ორი ერთსაჟენიანი რქა უფრო იყო.

მაგრამ ამ გიგანტურ მხეცთა მეფედ მაინც მამონტი იყო აღიარებული!

თავისი უზარმაზარი ოთხასცენტნერიანი სხეულით იგი ლეწავდა, ამტვრევდა ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობებოდა და თავისუფლად იკვლევდა გზას უღრანი ტყეების გაუვალ ტევრში ციმბირის უდაბური სივრცეებიდან, სადაც მარილის ასალოკად მიდიოდა იბერიის ანკარა წყაროებამდე. მამონტები იყვნენ გუშინდელი სამყაროს პირველი მოგზაურები.

მათ თავიანთი სახელმწიფოები ჰქონდათ განსაზღვრული ტერიტორიით და მუდმივმოქმედი არმიებით. ოცი, ოცდაათი, ორმოცი მამონტისაგან შემდგარ ოჯახს ჰყავდა თავისი ბელადი. თავიანთ სამფლობელოში ისინი გარკვეულ წესრიგს იცავდნენ. ბელადის დაძახილზე მაშინვე ერთად იკრიბებოდნენ და განსაცდელის ჟამს ერთმანეთს იცავდნენ, სამოგზაუროდაც მთელი ჯოგი ერთად დადიოდა; ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, წინასწარი გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ მტრის წინააღმდეგ და მუდამ ფხიზლობდნენ. მათ წესად არ ჰქონდათ დაწოლა.

ჯერ კიდევ იმ დროს ცხოველთა სამყაროში უკვე იყვნენ ეგრეთ წოდებული წესრიგის დამრღვევნი და სისხლისმსმელი თავდამსხმელები. გამოქვაბულის აფთარი, ძაღლი — გიგანტი, ყველაზე მსუნაგი და გაუმაძღარი გამოქვაბულის დათვი და ყველა მტაცებელზე უფრო საშიში მახაეროდუსი, რომელიც ბენგალიურ ვეფხვზე ორჯერ დიდი იყო. ამათგან უხდებოდათ მამონტებს თავიანთი უმწეო ქვეშევრდომების დაცვა: საცოდავი, ორსაჟენიანი, რკინისბრჭყალება ჰილობატისა, ხვნეშის მეტი რომ არაფერი შეეძლო და ტლანქი მილოდონტისა, რომლის მემკვიდრენი შემდგომ ეპოქებში კეთილშობილ ჰიპოტერიებად, დღევანდელი ცხენის წინაპრებად გადაიქცნენ.

ამას გარდა, მამონტებს თავიანთი შფოთისთავებიც ჰყავდათ. გასული საუკუნეებიდან შემორჩენილი ურჩხულები. ესენი იყვნენ უკვე გადაგვარებულ ცხოველთა უკანასკნელი ნაშიერნი, რომელნიც იმედს არ კარგავდნენ, რომ დედამიწაზე ახალი გადატრიალება მოხდებოდა და მათ ძველ ძალაუფლებას დაუბრუნებდა: მრავალგვარი ურჩხული, რომელთაც კბილები კი კარგი ჰქონდათ, მაგრამ თავიანთი სქელკანიანი მტრების კბენა მაინც არ შეეძლოთ და მუდამ წყალ-

ში იმალებოდნენ; პტეროდაქტილები გველეშაპის კისრით, წიანგის თავით, ღამურას ფრთებით და ოთხი თათით, რომლის ბრჭყალებშუა საცურაო აპკები ჰქონდათ. ოდესღაც ისინი იყვნენ წყლის, ცისა და მიწის მბრძანებლები, მაგრამ ახლა მათზე უფრო ძლიერებს დაეჯაბნათ, მხოლოდ ღამით თუ გაიფრენდნენ ჰაერში.

დაბოლოს გუშინდელი სამყაროს კიდევ ერთი ტლანქი, პალეოტერის მსგავსი მეტად მოუხეშავი ქმნილება, ცხვირზე ორი უშველებელი რქით, რითაც პალმებს ძირს უთხრიდა, ვინაიდან სხვა საშუალება არ გააჩნდა მისი ნაყოფის ხელში ჩასაგდებად.

და ყველა ამათ შორის მხოლოდ მამონტების ოჯახი იყო მოწოდებული წესრიგის დასაცავად.

სად იყო ეს დიდებული პეიზაჟი? აქ, ჩვენს ქვემოთ. იქნებ მდინარე ჟილისპირა ველებზე? ან იქნებ პეჩის მთებში? იქნებ ნოგრადის მაღალმთიან რაიონში? ის ახლა ამწვანებული კორდის ქვეშაა ,ასორმოცდაათი ფუტის სიღრმეზე!

უღრან ტყეში ზანტი ჰილობატის შემზარავი ღრიალი გაისმა.

ისე როგორც ახლა, ეს უქნარა ცხოველი მაგარი ბრჭყალებითა და სუსტი კბილებით გამოირჩეოდა და დღევანდელისაგან მხოლოდ სიდიდით განსხვავდებოდა, ორი საჟენი სიგრძე მაინც ექნებოდა. ეს უვნებელი არსება მხოლოდ ხის ფოთლებით იკვებებოდა. დილიდან საღამომდე რის ვაი-ვაგლახით აფორთხდებოდა ხოლმე ხეზე, მაგრამ ჩამოსვლას ვეღარ ახერხებდა. ჯერ მშიერს უჭირდა ასვლა და კარგად რომ გაძღებოდა, ჩამოსვლა უკვე აღარ შეეძლო. იმდენ ხანს იჯდა ხეზე, სანამ შიმშილით ისევ არ გაძვალტყავდებოდა, მერე წინა თათების ბრჭყალებს მაგრად ჩაასობდა ფოთლებშემოჭმული ხის ტოტს და იწყებდა ქანაობას და ყვირილს, თითქოს სთხოვდა ვინმე კეთილ არსებას, მოდი, მიშველე რამე, აქედან ჩამომიყვანეო.

თუმცა იმდენად ზარმაცი იყო, რომ ყვირილიც კი ეზარებოდა და ოხრავდა მხოლოდ გამთენიისას და მზის ჩასვლისას. დღეს მას ინდიელები ტყის საათს ეძახიან, რადგანაც თავისი კვნესითა და ოხვრით მზის ამოსვლასა და ჩასვლას აუწყებთ.

მზე ფიქალის შიშველ კლდეებს მიეფარა და ალისფრად

შეღება ცის კიდური აღმოსავლეთამდე, საიდანაც ნელ-ნელა გამოჩნდა უზარმაზარი მეწამული მთვარე და მოწითალო-სპილენძისფერი სხივები მოჰფინა გარემოს. ვინ იცის, მაშინ იქნებ ჯერ კიდევ ბობოქრობდნენ მისი ვულკანები, „პტოლომეუსი“, „ჰიპპარხი“ ან „პლატო“, რომლებიც ასტრონომების აზრით ცეცხლს აფრქვევდნენ ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ.

ჰილობატის ყვირილზე მართლაც გამოჩნდა კეთილი არსება, რომელიც მზად იყო ეშველა მისთვის.

წყლის კიპარისების შამბნარიდან ტოტების ლაწა-ლუწით გამოვარდა მარტორქა. მისი სქელი გახეშეშებული ტყავი, რომელზეც ჭაობის ლოკოკინები მიჰკვროდნენ, სამსაჟენიან უშნოდ მოყვანილ ტანზე ისე ლაყუნობდა, როგორც ჯავშანი. ცხვირზე ორი-სამი ფუტი სიგრძის რქა ჰქონდა, ეს იყო მისი იარაღი, ბარი და თოხი. მარტორქა ბალახითა და მცენარეთა ფესვებით იკვებებოდა. არც წყლის თხილზე ამბობდა უარს, თუმცა განსაკუთრებით ქოქოსის პალმის ნაყოფით უყვარდა პირის ჩატკბარუნება, რომლის მოკრეფაც არც ისე იოლი იყო მისთვის. არც კაუჭი ჰქონდა დინოტერიევით, რომ თავისკენ მოეზიდა პალმის კენწერო, თუმცა საამისო ძალა გააჩნდა, და არც ხელები, რომ ხუთი საჟენი სიმაღლის პალმის ნაყოფი მოეკრიფა. მაგრამ მთელი უბედურება მაინც ის იყო, რომ ახლომხედველი იყო; მისი სუსტი თვალები დღის სინათლეს ვერ უძლებდა, ღამე კი ქოქოსის პალმებს ვეღარ არჩევდა.

სამაგიეროდ ძალზე საზრიანი იყო. იცოდა, რომ უქნარა ჰილობატი მარტო პალმის ფოთლებს სჭამდა. საიდან იცოდა? ეს საიდუმლოა.

მთავარი ის იყო, რომ ჰილობატის სიზარმაცის ამბავი კარგად იცოდა მარტორქამ, ისიც, რომ ის პალმის ნაყოფს არ ჭამდა. და როგორც კი მისი ყვირილი გაიგონა, მაშინვე მისკენ გამოეშურა.

ჰილობატი თავისი მაგარი ბრჭყალებით ჩასჭიდებოდა მშვენიერი პალმის ღეროს და ჰაერში ქანაობდა. მარტორქამ პალმას ჯერ გვერდი გაუხახუნა, მას დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა შლამში წოლისას მიწებებული ლოკოკინების მოშორება.

უქნარა ჰილობატმა ჰაერში ქანაობა დაიწყო. თავის მხრივ მასაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ის, რომ ამისათვის თავის შეწუხება არ სჭირდებოდა.

ბოლოს მარტორქამ პალმის ფესვების ამოთხრა დაიწყო, რომ ეს უზარმაზარი ხე წაექცია და მისი გემრიელი ნაყოფი ეჭამა.

ეს უღირსი საქციელი დიდ დროს მოითხოვდა. ამასობაში დაღამდა და მთვარის შუქზე ღამის ბინადარნი გამოჩნდნენ.

ფუღურუროდან გამოძვრა რამპორჰინხუსი, ქვეწარმავალი, რომელსაც დიდი ხანი თავი ჩიტი ეგონა, აქაოდა ფრთები და ნისკარტი მაქვსო, მაგრამ ნიანგის კუდი და ცხენის თავ-პირიც ჰქონდა. საბოლოოდ მაინც ვერ გარკვეულიყო, ფრინველი იყო თუ ცხოველი. გამოდიოდა ხოლმე და სველ თიხაზე თავის ნაკვალევს მიაჩერდებოდა.

ჭაობიდან წყლის ჩქაფუნი მოისმა, პტეროდაქტილის ნაგვიანევმა ნაშიერმა გამოცურა ნაპირზე. გედის კისერზე მიბმულ ნიანგის თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, პირი დაეღო და ჰაერში თავის ტლანქ ტყავის ფრთებს ტყლაშუნით შლიდა, იქნებ როგორმე ავფრინდეო.

ნაპირზე ამოცოცდა პირველყოფილი კუ, უზარმაზარი ტრიონიქსი. თუმცა ეს ჯავშნოსანი ხვლიკი უფრო იყო. გრძელი, წინ გამოწეული კისრით და ბასრი ქერცლიანი კუდით. თავისი ადამიანისთავისოდენა კვერცხები სილაში ჩამალა, რომ მზეს გაეთბო და ხვლიკები გამოეჩეკა.

ეს ცხოველები პლიოცენის ეპოქაში უკვე აღარ არსებობდნენ, გადაშენდნენ.

შამბნარიდან მუცლით გამოცოცდა ღამის ბინადართა რისხვად მოვლენილი კატა-გიგანტი, მახაეროდუსი, რომელიც სპილოსაც კი კლავდა პირისპირ შებმისას, თავის ბუნაგში მიათრევდა ზუბრს და ცეცხლისმფრქვეველი თვალებით უთვალთვალებდა ღამის წყვდიადში თავის ნადავლს.

თევზით გასუქებული პტეროდაქტილის რბილი ხორცით უყვარდა განსაკუთრებით პირის ჩატკბარუნება, მაგრამ მისი დაჭერა არც ისე იოლი იყო. მეტად მახვილი სმენა ჰქონდა, და როგორც კი ვეფხვის მოახლოებას იგრძნობდა, უკანვე გადახტებოდა ჭაობში. იქ უკვე სამშვიდობოს იყო და თავისი

უზარმაზარი ფრთებით ისეთი სისწრაფით შეეძლო გაეცურა, რომ ვერავინ დაეწეოდა.

ტრიონიქსს კი ყურთ აკლდა, მასხე თავდასხმა უფრო იოლი იყო. ვეფხვმა ერთხანს უთვალთვალა და როცა მან უკანა თათებით კვერცხის ჩასაფლობად სილის ამოთხრა დაიწყო, მარჯვედ დაახტა ზურგზე.

პირველყოფილმა კატამ კარგად იცოდა მისი გემრიელი ხორცის გემო. ეს მართლაც მეფეთა საკადრისი კერძი იყო.

ოღონდ მთელი უბედურება ის იყო, რომ ტრიონქსი სხვა ჯავშნოსნებივით იოლად არ ნებდებოდა. მას თავდაცვის საუკეთესო საშუალება გააჩნდა. თვალის დახამხამებაში შემალა განიერ ჯავშანში თავი, ოთხივე თათი და ქერცლიანი, რკინის მათრახივით მაგარი კუდით დაუწყო ცემა თავდამსხმელს. მახაეროდუსი არ მოელოდა ამას. კუს სულ ადვილად გადააბრუნებდა ხოლმე ზურგზე და შემდეგ, როგორც თეფშიდან, მიირთმევდა მის გემრიელ ხორცს; ამან კი ცემაც გაუბედა. თანაც თვითონ ვერაფერს დააკლებდა სამწუხაროდ, მის ჯავშანს ვერა და ვერ ჩასო ბრჭყალები.

ამასობაში მარტორქამ წააქცია პალმა. ჰილობატი მიწაზე დაენარცხა, წამოდგომაზე არც უფიქრია, გადაწყვიტა გათენებამდე ასე წოლილიყო.

მარტორქა პალმის გემრიელ ნაყოფს მივარდა და ისე ხარბად დაუწყო კნატუნი, რომ საშინლად განრისხებული მტაცებლის ყურადღება მიიპყრო. ვეფხვმა მაშინვე თავი ანება ტრიონიქსს, დარწმუნდა, რომ მას ვერაფერს დააკლებდა და უფრო იოლად ხელშიჩასაგდები მსხვერპლი ამოიღო მიზანში. ეს იყო მარტორქა და ჰილობატი. ჰილობატის დაჭერა ძნელი არ იყო, მაგრამ ისე იყო გაძვალტყავებული და ისეთი უგემური ხორცი ჰქონდა, რომ მაინცდამაინც დიდად არ აინტერესებდა. მარტორქას კი ძროხასავით გემრიელი ხორცი და ნუგბარი ფეხები ჰქონდა.

მარტორქამ იგრძნო მტრის მოახლოება, მას ღორივით ჩვევა ჰქონდა, პირველს შეეტია თავდამსხმელისთვის, განსაკუთრებით ვერ იტანდა ჭამის დროს თუ ვინმე ხელს შეუშლიდა და სანამ არ გააძევებდა, ვერ მოისვენებდა.

არც დაინტერესებულა, რომელი მხეცი უახლოვდებოდა

ცეცხლისმფრქვეველი თვალებით, სულ ერთი იყო, მაინც ვერ გაარჩევდა. მისთვის ერთი რამ იყო მთავარი, პირისპირ მოსული მტერი ვერ მოერეოდა. ამიტომ გადაწყვიტა პირველი დასხმოდა თავს.

ვეფხვმა უმალვე უკან ისკუპა და გზიდან ჩამოეცალა, რომ ამ დამთხვეულს ფეხებქვეშ არ გაეთელა, ტყავის ანაფორაში გახვეული ურჩხული კი თავმომწონე ხრუტუნით დაუბრუნდა თავის გემრიელ ვახშამს.

ვეფხვი არ გაქცეულა, ლელიანში ჩაუსაფრდა მარტორქას ზურგს უკან და როცა იგი უდიდესი კმაყოფილებით ახრამუნებდა გემრიელ ნაყოფს, მარჯვე ნახტომით ზურგზე მოექცა.

მარტორქას ტყავი მეტად სქელი და უხეში ჰქონდა, მაგრამ მახაეროდუსმა ბასრი ბრჭყალები მაინც ჩაასო და კბილებითაც ჩააფრინდა, თუმცა ჯერჯერობით ეს მაინცდამაინც საშიში არ იყო.

სქელკანიანი ურჩხული ზურგზე კბილებით ჩაფრენილი მეორე ურჩხულიანად ჭაობში გადაეშვა და ფსკერზე ჩაიძირა. მარტორქას თავისუფლად შეეძლო წყალში დიდხანს გაჩერება, ვეფხვი კი, რომ არ დამხრჩვალიყო, ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ბრძოლის ველი მიეტოვებინა და შიმშილისაგან კიდევ უფრო გაავებულს ნაპირზე გამოეცურა.

ამ მარცხით გაცოფებული ბრდღვინავდა და თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ჰყრიდა. ამასობაში ტრიონიქსიც მიმალულიყო და მცონარა ჰილობატის მეტი აღარც ერთი სულდგმული არ იყო ახლომახლო, რომ რასხვად დაცემოდა ხელმოცარული მტაცებელი.

სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ისევ ჰილობატს ეცა, რომელიც პალმიდან ჩამოვარდნილი ეგდო ზურგზე და ადგილიდან არ იძვროდა.

მაგრამ როგორც კი ვეფხვი კბილებით ჩააფრინდა გულმკერდში, მაშინვე ფოლადის მარწუხებივით მოუჭირა თათები და ისეთი ძალით მიიზიდა თავისკენ, რომ გამძვინვარებული მტაცებელი ტკივილისაგან იკლაკნებოდა. რაც უფრო მეტად ასობდა კბილებს ვეფხვი, მით უფრო მეტად უჭერდა ჰილობატი ბასრ ბრჭყალებს კისერზე და ნიკაპზე ეს თით-

ქოს უღონო არსებაც კი ისეთი თავგამოდებით იბრძოდა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, რომ ძნელი სათქმელი იყო, რომელი დაჯაბნიდა.

ამ დროს ისეთი ყურთასმენისწამღები ღრიალი გაისმა, თითქოს გიგანტურ მილში გრიგალმა ჩაბერაო.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მაშინვე შეწყდა. ვეფხვმა შამბნარში ისკუპა, ჰილობატიც კი წამოდგა და შეშინებული ხეს მიეყუდა.

უღრან ტყეში პალმებს შორის გაკვალულ ბილიკზე გამოჩნდა პლიოცენის ეპოქის მეფე, უზარმაზარი მამონტი...

ეს მართლაც ნამდვილი მეფე იყო!

გიგანტური ოთხი საქენი სიმაღლის სხეული, მძლავრი თავი, ფართო, გამობერილი შუბლი, ორი ზემოთ აშვერილი რქებივით მოღუნული ეშვი, სპილოსმაგვარი ხორთუმი, ოღონდ ორჯერ უფრო დიდი და ხშირი მატყლით დაფარული. შუბლსა და ზურგს უფარავდა სქელი ხვეული ფაფარი, რომელიც მთელ მის ახოვან აღნაგობას საზარელ, მაგრამ დიდებულ შესახედაობას აძლევდა. შავ ფაფარზე განუშორებლად ესხდნენ ვერცხლისფერფრთიანი ყანჩები, რომლებიც მის უდიდებულესობამდე არ უშვებდნენ ათასგვარ აბეზარ მწერს.

ეს იყო ანკარა ნაკადულისკენ მიმავალი მამონტის ბილიკი, ტყიდან რომ მორაკრაკებდა და ტბას ერთვოდა. აქ უყვარდათ მოსვლა ღამ-ღამობით პირველყოფილი სამყაროს ბუმბერაზებს. წინ ბელადი მოდიოდა, მას ოცდაოთხი ასეთივე გოლიათი მოჰყვებოდა.

როგორც კი ჯიუტი მოწინააღმდეგის ბრჭყალებს თავი დააღწია, გამძვინვარებულმა ვეფხვმა თვალი მოჰკრა უღრანი ტყეების მბრძანებელს, მარტო მისი ხმის გაგონებაც კი შიშის ზარს რომ სცემდა ყველა სულდგმულს. შიმშილისა და მარცხისაგან ბრდღვინავდა და სულ ცოფებს ყრიდა, სისხლი სწყურიოდა!

მასზე უფრო პატარა და უღონო მხეცებთან ორთაბრძოლაში ხელმოცარულმა გადაწყვიტა მთელი თავისი ბოღმა ყველაზე ბუმბერაზ, უძლიერეს და საძულველ არსებაზე გადმოენთხია. ძალ-ღონე მოიკრიბა, კუნთები ზამბარასავით დაძაბა და ისეთი ძალით ისკუპა, რომ მამონტს თავზე დაახტა.

საზარელ გოლიათს წარბიც არ შეუხრია, მეფური მედიდურობით მშვიდად ასწია ხორთუმი, განსაცვიფრებელი სისწრაფით მოიქნია, მისკენ გამოქანებულ გაშმაგებულ მტაცებელს ქაჯანდივით გამოსდო, ერთი შეიქნია ჰაერში და მთელი ძალით მიწაზე დაანარცხა. სანამ დარეტიანებული ნადირი გონს მოვიდოდა, თავისი მძლავრი ფეხი დააბიჯა თავზე, ერთს წუთს იდგა გაუნძრევლად, შემდეგ თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, ამაყად განაგრძო გზა. — „იყო და აღარ არის!“ — სისხლისმსმელი მტაცებლისგან მიწაზე დარჩა მხოლოდ დამსხვრეული თავის ქალა მამონტის ფეხის ანაბეჭდით.

პალმების ჭალაში მთვარის შუქით განათებულ ბილიკზე ტყის ბუმბერაზმა მბრძანებლებმა მშვიდად განაგრძეს გზა ანკარა ნაკადულისკენ.

გათელილ მინდორს რომ მიუახლოვდნენ, სადაც მარტორქამ პალმა ამოთხარა მიწრდან, ვეფხვი შეერკინა მარტორქას და ბოლოს ჰილობატი ებრძოდა გამძვინვარებულ ვეფხვს, მამონტთა ბელადმა ფეხი წამოჰკრა წაქცეულ ხეს და შედგა.

თავისი უზარმაზარი ხორთუმით მსუბუქი ღერაკივით ასწია პალმა და განრისხებულმა დაიღრიალა.

პასუხად მთელი ოჯახის კიდევ უფრო მრისხანე ღრიალი გრგვინვასავით გაისმა და იქაურობა შეძრა.

დანაშაული სულ ახალი ჩადენილია!

აქვე ახლოსაა სადმე პალმებისა და ხეხილის გამანადგურებელი, რესპუბლიკის უბოროტესი მტერი!

„უნდა დაისაჯოს!“ — გაისმა ოცდაოთხი აღშფოთებული მამონტის შემაძრწუნებელი ღრიალი.

საზარელი ბუმბერაზები ერთად შეჯგუფდნენ გათელილ მინდორზე და ერთხანს რაღაცას თათბირობდნენ. მათ საბრძოლო გეგმა შეადგინეს.

შემდეგ ერთი ჯგუფი მარჯვნივ გაემართა, მეორე მარცხნივ. რამდენიმე კი ბელადთან ერთად იქვე დარჩა.

სულ მალე წასულებმა ნიშანი მისცეს, მამონტები ჭაობისკენ გაემართნენ და კისრამდე შეტოპეს წყალში.

საზოგადოებისაგან დევნილ დამნაშავეს, რომლის დასჯაც მკაცრად იყო გადაწყვეტილი, ჭაობის ერთ პატარა კუნძულ-

ზე ეძინა ბამბუკების შამბნარში, სადაც თბილი წყლით გაეგბანა ვეფხვის ბრჭყალებით დასერილი ნაჭრილობევი.

მალე მამონტების საბრძოლო ყიჟინა მოესმა, რომლებიც თანდათან ალყას არტყამდნენ მტერს.

მარტორქა არ შეშინდა.

მართალია, მინი ოჯახი მეფური დიდებით არ იყო მოსილი, არც მამონტებივით იყო მომრავლებული, არც მათსავით ერთსულოვნებით გამოირჩეოდა და ყოველთვის მარტოდმარტო დადიოდა... თავისი ცხოვრების თანამგზავრთან ერთადაც კი არასოდეს უნახავთ, მაგრამ მაინც არავისი ეშინოდა.

კარგად იცოდა, რომ მამონტი მასზე ოთხჯერ უფრო დიდი იყო, თუმცა ამას აინუნშიც არ აგდებდა. იცოდა, რომ მამონტები ყოველთვის ჯოგად დადიოდნენ და არც ამას უშინდებოდა, ორმოცნიც რომ ყოფილიყვნენ, დარწმუნებული იყო, მაინც დაუსხლტებოდა ხელიდან, მათზე სამჯერ უფრო სწრაფი სირბილი შეეძლო. მერე რა, რომ მეფე იყო, სადაც არ უნდა შებმოდნენ ერთმანეთს, ყოველთვის მამონტი იღუპებოდა. შეუძვრებოდა მუცელქვეშ, გამოუფატრავდა რქით, წააქცევდა და ფეხებით შესდგებოდა. მამონტი მას ვერც ხორთუმით და ვერც ეშვებით ვერ ჰკლავდა.

მაგრამ რა იცოდა უშიშარმა ურჩხულმა, რომ მოწინააღმდეგე მოულოდნელ ვერაგულ დარტყმას უმზადებდა. — მამონტებმა მას ხმელეთზე გასვლის საშუალება არ მისცეს, სადაც გაქცევით შეეძლო ეშველა თავისთვის და პირდაპირ ჭაობშივე მიიტანეს იერიში. წყალში ისინი თანაბარძალოვანნი იყვნენ, ცურვა ერთნაირი იცოდნენ. თუ ხმელეთზე მას შეეძლო მუცელქვეშ შეძვრომოდა, წყალში ისინი მხოლოდ პირისპირ თუ შეებმებოდნენ ერთმანეთს. თანაც წყალი მას ძალას უნახევრებდა და დარტყმაც მაშინ შეეძლო ღონივრად, როცა მყარად იდგა მიწაზე ფეხებით.

ესეც არ იყოს, ახლა ოცდახუთს უნდა გამკლავებოდა.

მარტორქამ იგრძნო, რომ უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმა მოუწევდა. მტრები მაღლა აწეული ხორთუმებით ცურვით უახლოვდებოდნენ ყოველი მხრიდან. მარტორქა აქეთ-იქით

აწყდებოდა, დროდადრო ამოჰყოფდა ხოლმე ჭაობიდან ცხვირს ორი უზარმაზარი რქით და ნესტოებიდან შადრევნებივით უშვებდა წყალს. ბოლოს სცადა ალყა გაერღვია და ერთ-ერთი ყველაზე ახლო მოსული მამონტისაკენ გაექანა. მას წარბიც არ შეუხრია და როგორც კი მარტორქა მიუახლოვდა, ხორთუმის მძლავრი დარტყმით წყალში ჩააყურყუმელავა.

მარტორქამ იგრძნო, რომ წყალს ზემოთ მისი კუნთები მთელი ძალით მოქმედებდა, წყალში კი ძალაც ეკარგებოდა და წონაც. ამოჰყო თუ არა თავი წყლიდან, ახლა მეორე მამონტმა დაჰკრა ხორთუმი და აიძულა ისევ წყალში ჩამალულიყო. მარტორქას შეეძლო რამდენიმე წუთით ჩაეყვინთა, მაგრამ ხანგრძლივად წყალში ყოფნას მისი ორგანიზმი არ იყო მიჩვეული, მისი ფილტვებისთვის ჰაერი აუცილებელი იყო, მტრები კი ერთი წუთითაც არ აძლევდნენ წყლიდან თავის ამოყოფის საშუალებას, თანდათან სულ უფრო ავიწროებდნენ წრეს მის ირგვლივ. მარტორქა მთელი ღამე უმწეოდ ეხეთქებოდა აქეთ-იქით, მაგრამ როგორც კი ოდნავ ამოჰყოფდა თავს, ულმობელი თავდამსხმელები ხორთუმების მძლავრი დარტყმით რიგ-რიგობით ისევ წყალქვეშ აგდებდნენ. ასე გაგრძელდა განთიადამდე, ვიდრე ბოლოს მარტორქის გვამი არ ამოტივტივდა წყლის ზედაპირზე.

გამარჯვებულმა მამონტებმა მხიარული ყიჟინით ამაყად გამოსცურეს ნაპირზე. ამ დროს ტყიდან ჰილობატის კვნესა მოისმა, რომელიც ტყის ბინადართ გათენებას აუწყებდა. იგი ისევ ისე იდგა, წინა ფეხებით ხეს მიყრდნობილი და ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოეხერხებინა.

მათმა უდიდებულესობებმა საზოგადოების შინაურ და გარეშე მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მძლავრად დასჭექეს საზეიმო საგალობელი „დიდება შენდა, უფალო“—ამომავალი მზის სადიდებლად და ანკარა ნაკადულისაკენ გაემართნენ წყლის დასალევად.

შემდეგ შუადღემდე სამოქალაქო საქმეების მოგვარებას შეუდგნენ. მათ გადასახადების ამკრეფნი არ ჰყავდათ, ამიტომ თვითონ მუშაობდნენ, წიწვიან და ფოთლოვან ხეებს თვითონ აცლიდნენ ზედმეტ ფოთლებს.

შუადღისას, როცა მცხუნვარე მზის სხივებით შეწუხებულ ერთგულ პირისფარეშებს, ვერცხლისფერფრთიან ყანჩებს, უკვე აღარ შეეძლოთ თავიანთი მბრძანებლების დაცვა ათასგვარი აბეზარი მწერისაგან, მათი უდიდებულესობანი თავიანთ გრილ სასახლეში ბრუნდებოდნენ.

სასახლე წარმოადგენდა პალმების ტევრში მამონტების მიერ დატკეპნილ დიდ მოედანს. მის ირგვლივ ცადაზიდული უზარმაზარი ხეების ერთმანეთში გადახლართული ტოტები ტაძრის მწვანე გუმბათს ჰქმნიდა, რომელსაც ირგვლივ კორინთული სვეტებივით ამოსდგომოდნენ პალმები და შვიტები.

ეს იყო მეფის სასახლე.

მათი უდიდებულესობანი გრძელი ხორთუმებით დიდი სიამოვნებით ისუნთქავდნენ ტყის სუფთა, ყვავილთა სურნელით შეზავებულ ჰაერს და ალბათ ეს იყო საფუძველი ინდოეთის სულთანების იდეისა ყალიონზე.

დროს უდიდეს მხიარულებაში ატარებდნენ.

მათ წინაშე თავიანთ ხელოვნებას აჩვენებდნენ მაშინდელი სამყაროს მასხარები — მაიმუნები; ისინი სასაცილო ნახტომებითა და გასაოცარი პანტომიმით ართობდნენ მათ. იყვნენ საუკეთესო აკრობატები, ჯამბაზები, თოკზე მოცეკვავენი, შესანიშნავი ჟონგლიორები, რომლებიც აისროდნენ მაღლა კაკლებს და ჰაერშივე იჭერდნენ. თავიანთი ექიმიც ჰყავდათ, რომელმაც საუცხოოდ იცოდა ხის ფოთლებით ნაკბენისა და ჭრილობის მკურნალობა.

მსახიობებისათვის ექიმი აუცილებელი იყო.

შემდეგ მომღერლები გამოდიოდნენ. სამოთხის ჩიტებზე უფრო ლამაზი, უმშვენიერესი ბუმბულით შემოსილი პირველყოფილი ბულბულებისა და ფარშევანგისბოლოიანი შაშვების საამური სტვენა-გალობა ტკბილ ძილს ჰგვრიდა განცხრომაში მყოფ „მათ ბრწყინვალებებს“, ხის ტოტებზე მოქანავე ბუმბულის ბუდეში ორი ოქროსფერქოჩრიანი ცისფერი მტრედი ერთმანეთს შესტრფოდა, ათასფერად ფრთამოხატული პეპლების ჯარი კი ზღაპრული ფერიებივით დაფარფატებდა ირგვლივ. ფოთლებს შორის შემოჭრილ მზის ოქროსფერ სხივებში გაცისკროვნებული ბუნების ეს დიდებული სანახაობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

შემდეგ ხის ტოტებზე შემომსხდარი თუთიყუშების გაუთავებელი გადაძახილი აყრუებდა იქაურობას. ეს დაუღალავი ოპერატორები ნამდვილ პარლამენტის სხდომებს მართავდნენ. მათი უდიდებულესობანი ლაპარაკის ნებას რთავდნენ თუთიყუშებს, ფეხზე მდგომნი ხანდახან ჩასთვლემდნენ მხოლოდ, თავი კი ისე ეჭირათ, თითქოს მთელი სერიოზულობით უსმენდნენ.

მომჩივნებიც მოდიოდნენ, იმათთვისაც უნდა მოესმინათ. ხის ტოტებში გამოძვრა უზარმაზარი კენგურუ და წუწუნს მოჰყვა, რა უბედურებაა, ყოველდღე სამუშაოზეც უნდა ვიარო და შვილებიც ჩანთით თან უნდა ვატარო, სანამ არ დაიზრდებიანო. მათმა უდიდებულესობებმა მოწყალე თვალით გადახედეს, თითქოს ანუგეშეს, მომავალ წელს რაიმეს მოვიფიქრებთ და პირობებს გაგიუმჯობესებთო.

საიდანღაც შემოცოცდა ჭიანჭველაჭამია, მათ უდიდებულესობებს ხელები და ფეხები დაუკოცნა, რომ ნება დაერთოთ ფეხქვეშ გაგებოდათ მორჩილებისა და თაყვანისცემის წიშნად და თან მათ ფეხისგულებზე მიკრული ჭიანჭველები მოეცილებინა. მათი უდიდებულესობანი ნებას რთავდნენ.

შემდეგ მამონტები ათვალიერებდნენ სამოქალაქო მრეწველობის მიღწევებს, პრასიკუროების მიერ თიხითა და კირით აშენებული საოცარი ციხე-კოშკების ასობით სართულს, ათასობით დერეფანს და მილიონობით ოთახს, რომლებიც განცვიფრებაში მოიყვანდა მათ შთამომავლობას. კრაზანადურეალიც უამრავ სახურავს აწებებდა თავის დიდებულ პავილიონებს. ეს ხომ ნამდვილი სასწაული იყო! სანაქებო ხელოსანს არც ხელები ჰქონდა და არც ხელსაწყო-იარაღები, მაგრამ მისი ნახელავი ნამდვილად იმსახურებდა უმაღლეს ჯილდოს!

ჯვარი და ჯილდო კიდევ ერთ ხელოსანს ეკუთვნოდა. ეს იყო ობობა-ფეიქარი, განსაცვიფრებელი მატერიების მქსოველი, რომლებითაც დამშვენებული იყო მეფის სასახლე. მასში ებმებოდნენ აბეზარი ბუზები. ობობა ნამდვილად იყო ჯილდოს ღირსი.

გველები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ. ისინი ჩვენს ეპოქაში გაჩნდნენ. ეშმაკიც ჩვენი გამოგონილია.

მამონტებისთვის მათ უსიამოვნება არ მიუყენებიათ.

დღის ბოლოს, შრომისა და გართობის შემდეგ, მათი უდიდებულესობანი სასახლის კარისკაცებთან ერთად მიემართებოდნენ მლაშე წყლებისკენ, რომლის დალევაც აუცილებელი იყო საჭმლის მონელებისთვის.

მარილი მაშინ მეფეთა საკუთრებას წარმოადგენდა; მათ მლაშე წყაროსთან თავიანთი მცველები ჰყავდათ დაყენებული, ტყის დანარჩენი ბინადარნი კი, უბრალო მოკვდავნი, ტბის მლაშე წყლით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

მამონტებს ისე უყვარდათ მლაშე წყალი, რომ საღამომდე ვერ ელეოდნენ, შებინდებისას კი ღამის სიბნელეში, აქა-იქ აკიაფებული ციცინათელების შუქზე მომღერლებს და ცნობილ ორატორ-თუთიყუშებს უსმენდნენ.

ღამის სიბნელეში ჩაფლული ტყე პაწაწინა მფრინავი ვარსკვლავებით აივსო, მამონტთა თვალებში კი მარტორქაზე ბრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის სხივის ათინათი ბრწყინავდა.

მაგრამ მაინც რატომ უნდა მოსპობილიყო ეს მშვენიერი სამყარო?

იმიტომ, რომ მას რაღაც აკლდა.

ბუნებას თავისი მუდმივი კანონები აქვს, რომელთა შეცვლა თვით უზენაეს ძალასაც არ ძალუძს.

უზენაესმა ძალამ შექმნა დედამიწის უმდიდრესი, ულამაზესი, უმშვენიერესი ზედაპირი, არაჩვეულებრივი ცხოველებითა და ათასფრად ყვავებული მცენარეული საფარით. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა წესრიგი.

და მიუხედავად ამისა, ყოველივე უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა, რადგანაც შემოქმედს დაავიწყდა ერთი არსების შექმნა.

ეს იყო არსება, რომელიც — ანადგურებს ხეებს.

მისი სახელია ადამიანი.

და ალბათ მის პატივმოყვარეობას ფრთები მოეკვეცებოდა, როცა დარწმუნდებოდა, რომ თავდაპირველად მისი არსებობა ამქვეყნად მხოლოდ ხეების გასანადგურებლად იყო საჭირო.

მისი პირველი საქმიანობა მხოლოდ ეს იყო.

როგორც კი პირველყოფილმა ადამიანმა ქვისგან იარაღი გააკეთა, თუმცა ჯერ ისევ შიშველ-ტიტველი იყო, უკვე ხისგან სახლის აშენება დაიწყო.

პლიოცენის ეპოქაში არც ერთი ცხოველი არ ანადგურებდა ხეებს. მიწისქვეშა 600 ფუტი სისქის ტყეთა შრეები მეტყველებენ იმაზე, რომ საუკუნეთა განმავლობაში ერთი ტყე მეორის ნაშთებზე იზრდებოდა და ისევ და ისევ ერთმანეთს მარხავდა.

ტყეთა სიუხვეს ბევრი სხვა სიკეთეც გააჩნდა.

ყოველი ადამიანისთვის ცნობილია, რომ ხის ფოთლები გამოყოფენ ჟანგბადს, ურომლისოდაც ცხოველები ვერ იარსებებდნენ. ცხოველები ჩაისუნთქავენ ჟანგბადს და ამოისუნთქავენ ნახშირორჟანგს, რომელსაც შეიწოვენ მწვანე ფოთლები.

პირველყოფილ სამყაროში ათასჯერ მეტი ჟანგბადი იყო, ვიდრე დღეს, ატმოსფერო თითქმის მთლიანად ჟანგბადისაგან შედგებოდა. გიგანტი ხეები ბევრად უფრო მეტ ჟანგბადს გამოყოფდნენ, ვიდრე ეს საჭირო იყო მაშინდელი ცხოველთა სამყაროსათვის.

ცოცხალი არსებისათვის ჟანგბადის ჩასუნთქვა უდიდესი სიამოვნებაა. ამავე დროს იგი აჩქარებს სისხლის მიმოქცევას, აცხოველებს ემოციებს; ადამიანი მხოლოდ ჟანგბადს რომ ჩაისუნთქავდეს, სასიამოვნო შეგრძნება აღაგზნებდა მის ყველა ნერვს და უდიდეს ნეტარებას განიცდიდა მისი სული და სხეული.

ვის არ უნახავს, როგორ იწვის ჟანგბადში მინის ხუფის ქვეშ აბედი, როგორ ფეთქდება ჟანგბადში დამწვარი ფოსფორი, მეტეორის მსგავსად რომ ჰყრის მზის სხივებივით თვალისმომჭრელ ნაპერწკლებს და როგორ იფრქვევა ალმასის მოკიაფე სხივებივით გოგირდის მოცისფერო ფერმკრთალი ალი.

ახლა წარმოვიდგინოთ მთელი ატმოსფერო შორეულ ღრუბლებამდე ჟანგბადით სავსე.

საკმარისია ამ დროს თუნდაც ერთ ხეს წაეკიდოს ცეცხლი, რომ თვალისდახამხამებაში მთელ ტყეს მოედოს ხანძარი, რომლის ჩაქრობა ყოვლად შეუძლებელი იქნება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველები ცეცხლს აღ ჩენენ, მათ შორის არ არსებობს პრომეთე; ხეები კი თავისით ვერ აინთებიან.

მართალია, მაშინაც იყო შემთხვევა, რომ ელვა სწვავდა ხეებს, მაგრამ წვიმებიც სხვაგვარი იცოდა; ისე წვიმდა, იფიქრებდით, ზღვა ჩამოიქცა ზეციდანო და იმავე წამში აქრობდა ელვით გაჩენილ ცეცხლს.

ვულკანებიდან ამოხეთქილი გავარვარებული ლავა ხანძარს ვერ გააჩენდა, მის ირგვლივ უნაყოფო მოტიტვლებული უდაბნო იყო მხოლოდ.

მაგრამ დედამიწაზე ცეცხლი კარგ ამინდშიც შეეძლო გაეჩინა ეგრეთ წოდებულ „ცეცხლოვან ბურთს“.

ასეთია, მაგალითად, ცეცხლოვანკუდიანი მეტეორები, რომლებიც გაიელვებენ ცაზე წმინდა ლავრენტის ღამეს, 13 ნოემბერს კი ისევ გამოჩნდებიან ცის კაბადონზე, გადაკვეთენ დედამიწის ორბიტას და ისევ და ისევ ხვდებიან მას.

მართალია, ათი ათასი ასეთი მეტეორიდან მხოლოდ ერთი ეცემა დედამიწაზე და ასეთ დროსაც ათი ათას შემთხვევაში მხოლოდ ერთი თუ დაეცემა შემთხვევით ისეთ საგანს, რომელსაც შეიძლება ცეცხლი გაუჩნდეს, მაგრამ ას მილიონში ერთი შემთხვევა მაინც გვხვდება. 34 წლის წინათ სწორედ ასეთმა ცეცხლოვანმა ბურთმა გადასწვა ბელმონტის სახლთა სახურავები, ხოლო ოცდასამი წლის წინ სენტპალფალვი ერთიანად გადაბუგა.

და ერთხელ, პლიოცენის ეპოქაში სწორედ ასეთმა ციურმა ცეცხლმა გადასწვა ტყე და მთელი დედამიწა ცეცხლის ალში გაახვია.

ღამის წყვდიადი დღესავით განათდა! ჟანგბადში აალებული ხის ნაპერწკლები ვარსკვლავებივით ბრწყინავდა სიბნელში, სურნელოვან და წიწვოვან ხეებს ელვის სისწრაფით ედებოდა ალი და სულ მალე იქაურობა ცეცხლის უზარმაზარ ზღვას დაემსგავსა. ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა, მალე მეზობელ კონტინენტებსაც გადაუარა გრიგალივით.

შიშისაგან დაფეთებული მხეცები ჭაობებს, მდინარეებსა და ზღვებს აფარებდნენ თავს, ციმბირის თოვლით დაფარული ველებისკენ, აზიისა და აფრიკის უდაბნოებისკენ გარბოდნენ.

მსოფლიო ხანძარმა პოლუსებამდე მიაღწია, ქარებს, მუსონებსა და პასატებს ცეცხლოვანი ღრუბლები იქამდე მიჰქონდათ. ცეცხლის გრიგალმა გადაუარა საუკუნოვან აისბერგებს, გაადნო და ეს უზარმაზარი წყლის ნაკადი გაშმაგებული ნიაღვარივით მოასკდა დედამიწას. გამძვინვარებული, ცოფმორეული ზღვის ბობოქარი ტალღებივით წალეკა და გაანადგურა ყოველივე, ძირიანად გლეჯდა უზარმაზარ მთებს, აღგავა ქვეყნები პირისაგან მიწისა, რაც კი წინ აღუდგა. წყლით დაფარა ველ-მინდვრები, ზღვის ნიჟარებით ამოავსო ხეობები, შლამით დაფარა მთაგრეხილები, კლდის ნამსხვრევებში ჩაწნეხა ჯერ ისევ ალმოდებული ტყეები.

ამ დროს იუპიტერიდან, რომლის მცხოვრებთაც ბევრად გაგვისწრეს ჩვენ კულტურულ განვითარებაში, ვინმე ტიხო დე ბრაჰეს შემთხვევით რომ შეენიშნა ცაზე მეორე სიდიდის ვარსკვლავი, შემდეგ პირველი სიდიდის ვარსკვლავად რომ იქცა, სირიუსზე მეტად რომ ბრწყინავდა, ხოლო შემდეგ თანდათან მოაკლდა ელვარება და ღამის სიბნელეში თითქმის გაუჩინარებული მესამე სიდიდის ვარსკვლავად იქცა, ეს იყო სწორედ ჩვენი დედამიწა.

გამდნარმა ყინულოვანმა პოლუსებმა წალეკა ალმოდებული სამყარო და ერთიანად გადაასწორა, თითქოს ახალი საფარი გადააკრა დედამიწის ზედაპირს.

იუპიტერის ასტრონომები ალბათ განცვიფრებულები ადევნებდნენ თვალს თავიანთი დიდი ტელესკოპებით (მათ, ეჭვსგარეშეა ამ მიმართებითაც ბევრად გაგვისწრეს ჩვენ), როგორ იცვლებოდა სულ ახლახანს მწვანე ლაქებით დაფარული მათთან ახლოს მდებარე პლანეტა, რომელიც მცირე ხნით მზესავით აელვარდა, შემდეგ ისევ ფოლადისფერ ბურთად იქცა, რომლის პოლუსებზე ძალზე იშვიათად თუ გაიელვებს ჩრდილოეთის ციალი.

ეს არის ახალი ფურცელი: დედამიწის უკანასკნელი გარდაქმნა.

მის ზედაპირზე უკვე გამოსახულია ჩვენი სამყარო.

რამდენი წელი იყო საჭირო, რომ ამ შლამით დაფარულ მიწაზე პირველი ბალახი ამწვანებულიყო? და რამდენი წელი გავიდა პირველი ბალახის ამოსვლიდან პირველი ადამიანის

გაჩენამდე, რომელმაც არც არაფრის კეთება იცოდა და არც არაფერი გააჩნდა, რომელიც სრულიად შიშველი და უმწეო დაიბადა?

თიხის შრის ქვეშ მთელ დედამიწაზე ჩამარხულია მამონტები, დინოტერები, მასტოდონები, მახაეროდუსები. არ არსებობს ქვეყანა, რომლის მიწის ქვეშ ისინი არ განისვენებდნენ.

უზარმაზარი გამოქვაბულები სავსეა მათი ძვლებით, რომლებიც შლამს შეუზიდავს იქ, მტაცებელ ცხოველთა ჩონჩხების გვერდით ბალახისმჭამელთა ჩონჩხებიც გვხვდება. ეჭვი არ არის, ისინი აქ მხოლოდ ცეცხლოვან ქარიშხალს შეეძლო შემოეყვანა; წარღვნას გამოქვაბულში არ დაემალებოდნენ.

მიწის სიღრმეში გადაშლილია უზარმაზარი წიგნი, პირველყოფილი სამყაროს ბოტანიკა. ზოგან დედამიწის ფენის სისქე ორმოცდაათ ფუტს აღწევს; ეს უძველესი დროის უდიდესი ტყეებია, რომლებშიც ოთხასამდე სხვადასხვა ჯიშის ხეა აღმოჩენილი: პალმები, გვიმრები, მუხები და ისეთებიც კი, რომელთა სახელები არ ვიცით. ყოველივე ამას ერთი სახელი გააჩნია ახლა: „ქვანახშირი“.

ქვანახშირი გუშინდელი სამყაროს გაქვავებული ფლორაა...

ნაწილი მეორე

როცა ადამიანები უკვე ვეღარ ეტეოდნენ დედამიწაზე

რამდენი ათასწლეული იყო საჭირო, ვიდრე შექმნის მეექვსე დღეს, თბილ შლამში, ვარსკვლავთა შთაგონებით, ან იქნებ დედამიწასთან ციური ამბორის ჟამს, როცა მას კომეტა შეეჯახა, გაჩნდა პირველი ადამიანი? ისევე როგორც ღამით ზაფხულის თბილი წვიმა აჩენს სოკოებს, ნამი — მატლებს, და ხის წებო — ვიბრიონს, რომელიც უკვე ჩვენი ნათესავია.

არა! ნუ შეგეშინდებათ! ჩვენი წინაპარი მაიმუნი არ ყო-

ფილა, ჩვენ გორილასაკენ არ წარმოვშობილვართ. ჩვენს წინაპარს ოთხი ხელი არ ჰქონია.

მაგრამ რა საოდავი და უმეცარი იყო, პირველად რომ შეათვალიერა შიშველ-ტიტველმა თავისი თავი შამბნარში, რომელსაც ტრადიციულად სამოთხის ბაღი უნდა ვუწოდოთ. მის სუსტ კბილებს ღრღნა არ შეეძლო, ფრჩხილები საბრძოლველად არ გამოადგებოდა, კანს ამინდის ჭირვეულობისაგან ვერაფრით დაიფარავდა, მასზე ძლიერ მხეცს შეეძლო ნაფლეთებად ექცია, შედარებით უფრო სუსტი კი გაურბოდა, პირუტყვის ყნოსვა არ გააჩნდა, რომ საკვებად ვარგისი მცენარეები ეცნო, ზარმაცი ჰილობატისაგან სწავლობდა რკოს ჭამას, ბუს წაბაძვით დარწმუნდა, რომ კალიაც ურიგო საჭმელი არ იყო.

რაღა თქმა უნდა, დიდი სიმამაცე და ვაჟკაცობა იყო საჭირო, რომ ასეთ პირობებში ცოლის შერთვა გადაგეწყვიტა.

ჩვენი პირველყოფილი ბებია არ იყო ისეთი კალმით ნახატი მზეთუნახავი, როგორსაც მხატვრები წარმოგვიდგენენ. მას თითქმის ჩაჭყლეტილი, ბრტყელი შუბლი, მკვეთრად წამოწეული ნიკაპი, უზარმაზარი ღოჯები, აპრეხილი ცხვირი, განიერი ყვრიმალის ძვლები, დაბრეცილი, ბრტყელტერფიანი ფეხები და კოპებიანი მუხლისთავები ჰქონდა, არქეოლოგიის, გეოლოგიის და პალეონტოლოგიის საკმაოდ მრავლად არსებული მასალის მიხედვით.

პირველყოფილი ადამიანების ცხოვრებაში ნამდვილად არაფერი იყო შესაშური! დღისით, მე მგონია, გარეთ გამოხედვას ვერცკი ბედავდნენ და მხოლოდ ღამით თუ გამოვიდოდნენ საშოვარზე. მცენარეთა ფესვები, ბოლქვები, სოკოები, ველური პანტა, რკო და თხილი, მჟაუნა, ისპანახი, ბუდიდან მოპარული კვერცხები და ლოკოკინები შეადგენდა მთელ მათ მეურნეობას, რითაც დღესაც იკვებება მრავალი მილიონი მათი შთამომავალი. ცუდ ამინდში, როცა გარეთ გამოსვლა შეუძლებელი იყო, იძულებული იყვნენ მიწით დაკმაყოფილებულიყვნენ და მჭადქვა ეჭამათ, რომელზედაც ახლაც არცთუ ისე იშვიათად ამბობენ უარს ჩვენი თანამოძმენი ნიგერიის ნაპირებზე. როცა ჩვენი წინაპარი საშოვარზე მიდიოდა, ცოლსა და შვილებს ბუჩქნარში მალავდა და შემდეგ მხოლოდ ყვირილის ხმაზე თუ მიაგნებდა ხოლმე. მათი მეტყ-

ველება სულ რამდენიმე ბგერისაგან შედგებოდა, ძაღლისაზე ორჯერ უფრო მეტი იყო და იმის ნახევარი, რის პატრონიც მამალია. აბა დაუგდეთ ყური, რამდენნაირად იცვლის მამალი ხმას ქათმებთან საუბრისას! ხოლო თუ ღამით უღრან ტყეში ხეტიალისას ჩვენი წინაპარი შეეჩეხებოდა თავისსავე მსგავსს არსებას, ორივენი საშინელი ხმით დაიღრიალებდნენ და მაშინვე თავ-თავიანთ ბუჩქებში შეიმალებოდნენ. მათ უკვე იცოდნენ, რომ გამძვინვარებულ დათვსა და მგელზე უფრო საშიში და ულმობელი მათივე თანამოძმე, ადამიანი იყო.

გავიდა ხანი და ერთ-ერთ ჩვენს წინაპარს აზრად მოუვიდა ერთი ქვა მეორით წაემახვილებინა, შემდეგ მესამე წვეტიანი ქვით გაეხვრიტა, გაეყარა შიგ გრძელი ჯოხი და ასე შეიარაღებული დასხმოდა თავს ზუბრს, დათვსა და ლომს. და როგორც კი იგრძნო, რომ იარაღი საკმაოდ მნიშვნელოვანი დანამატია ადამიანისთვის, იგი მაშინვე გახდა მბრძანებელი! მეფე!

ახლა უკვე იგი შიშველი აღარ დადიოდა, იშოვა თავისთვისაც და ცოლისთვისაც ტყავები, აღარც თავის ავლა-დიდებას მალავდა ბუჩქებში, ქვის ცულით ჩეხავდა ხეებს, ქვის ურითი ასობდა ხიმინჯებს ტბის ფსკერზე, მორებითა და კუნძებით აშენებდა ციხე-სიმაგრეებს და თავის ოჯახთან ერთად იქ ცხოვრობდა.

ქვის ცულმა იგი მთელი ქვეყნის მბრძანებლად აქცია.

კარგად დააკვირდით მუზეუმებში ქვის ცულებს, თითქმის ჩვენი დროის თავად-აზნაურობის სიგელებს უტოლდება.

ქვისცულიანი ბატონი ერთგვარად მეფე ხდებოდა. ვისაც მოერეოდა, მონად იხდიდა, აჰკიდებდა ზურგზე ნანადირევს, დაჩეხილ ხეებს და წააღებინებდა შინ. ლაპარაკი მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, მაგრამ ადრინდელ ბგერებს თანდათან ახლებიც ემატებოდა. სიყვარული სიტყვებს მაინცდამაინც არ საჭიროებდა, საკმარისი იყო ერთმანეთთან დაუკავშირებელი ლუღლუღი, ხითხითი და ურთიერთ მოხმობის ნიშანი, მაგრამ მბრძანებლისთვის მეტყველება უკვე აუცილებელი გახდა. იგი თანდათან სულ უფრო მეტ ბგერებს გამოსცემდა.

და თუ ვინმე არ დაემორჩილებოდა? მაშინ ჩვენი წინაპა-

რი მას კლავდა ქვის ცულით. მაგრამ რატომ ჰკლავდა იგი თავის უმწეო შიშველ თანამოძმეს?

ჩვენდა სასირცხვილოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი წინაპარი ხოცავდა და ჭამდა თანამოძმეებს. მკვლევართა მიერ დამტკიცებულია, რომ ჩვენი წინაპრები კაციჭამიები იყვნენ. მათ დიდხანს სჯეროდათ, რომ ვინც მოკლული მტრის გულს შეჭამდა, ღონე და სიმამაცე გაუორკეცდებოდა, მისი ძალაც მიემატებოდა.

ასე, რომ, დიდად პატივცემულო, ბრწყინვალე ბატონებო და ქალბატონებო, აი, ასეთი იყო ჩვენი წინაპარი!

მაგრამ ჩვენ მაინც მოწიწებითა და პატივით უნდა მოვიხსენიოთ მისი სახელი, ჩვენ ხომ მისგან მივიღეთ მემკვიდრეობად ეს დიდებული, მშვენიერი სამყარო, დედამიწა, რომელზედაც ჩვენ უკვე ვეღარ ვეტევით; მილიონობით ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს ზღვებზე, მილიონობით — მიწის წიაღში და ასე შოულობს საარსებო წყაროს.

ვინ იცის, რამდენი ათასწლეული იყო საჭირო, რომ დათვის ტყავში გახვეულ პირველი ქვის ცულის მფლობელის შთამომავლობას აბრეშუმის სამოსით ევლო?

შთამომავლობას, რომელიც ორთქლისძრავიანი მანქანებით მოგზაურობს, მზის სხივების დახმარებით ხატავს, ელვის დახმარებით გადასცემს ამბავს ერთი ქვეყნიდან მეორეში, რომელმაც შეაღწია მიწის წიაღში, რომელიც ტელესკოპის საშუალებით ცდილობს აღმოაჩინოს სამყაროს ცენტრი, განათების საშუალებით სძლევს ღამის სიბნელეს, გათბობით — ზამთრის სიცივეს, იმორჩილებს უკიდეგანო ზღვებს და ერთმანეთთან აკავშირებს კონტინენტებს; რომელსაც მოჰყავს პური, მანქანებით სცვლის მილიარდობით ადამიანის შრომას, რომელიც ცდილობს ამოიცნოს ბალახთა საიდუმლო სიკვდილის დასამარცხებლად, რომელმაც შექმნა თავისივე სახედ ღმერთი და მიითვისა მისი ყველა უფლება: სიყვარულის, შემოქმედების, დაჯილდოების, დასჯის, განდიდების, შეთხზვის, ისწრაფის დიდებისაკენ, თავისუფლებისაკენ, მარადიული სიცოცხლისაკენ, სიკვდილის შემდეგ ახალ ცხოვრებას მოითხოვს; მისი ძალაა რწმენა, რომლითაც დატყვევებული ჰყავს თვით ღმერთი!..

რამდენი ათასწლეული იყო საჭირო ამისთვის!

ჩვენს წინაა უზარმაზარი მიწისქვეშა გამოქვაბულის შავად დაღებული ხახა.

შავია მისი კედლები და თაღები, ისინი ხომ ქვანახშირისაა, შავად ელავს გამოქვაბულის ფსკერიც, უზარმაზარი ტბა სარკესავით მოკრიალებული ზედაპირით, რომელზედაც აქაიქ ირეკლება მავთულის ბადით დაფარული ნათურის მკრთალი შუქი. ტბაში პატარა ვიწრო ნავით ადამიანი მიცურავს.

მენავე გასაოცარი სიმარჯვით მიიკვლევს გზას ოდნავ განათებულ პირქუშ მღვიმეში, სადაც ძლივს მოჩანს წყალს ზემოთ ჭერამდე აზიდული მაღალი სვეტები, რომლებიც მავრიტანული სასახლის კუთხეებს წააგავს. ამ სვეტების ქვედა ნახევარი შავია, ზედა ნახევარი — თეთრი.

ეს იყო გაქვავებული პალმები, რომლებზედაც ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ქერცლები და ყოველწლიური რგოლები.

საიდან გაჩნდნენ ისინი აქ? ქვანახშირის მაღაროს ზემოთ მოთავსებულ ფენაში საერთოდ გვხვდება ასეთ გაქვავებულ გიგანტ მცენარეთა ღეროები, მაგრამ საიდან გაჩნდნენ ისინი აქ? მათ ხომ მთელი ეპოქა აშორებთ ქვანახშირისაგან! როგორ მოხდა, რომ ამ ქვანახშირის გამოქვაბულში წარმოიქმნა უამრავი სვეტი?

შესაძლოა, ოდესღაც აქ ქვანახშირი აალდა და მანამდე იწვოდა, სანამ გაქვავებული ბუმბერაზები გამოქვაბულისზედა ფენიდან ძირს არ ჩამოწვნენ. ცეცხლმა მათ ვერაფერი დააკლო და ასე დარჩნენ გაქვავებულ კლდეებად.

ქვანახშირის მაღაროში ხშირად ჩნდება ხანძარი. ეს თითოეულმა ახალბედამაც კი იცის, მაგრამ როგორ ქრება შემდეგ, ამაზე ვერავინ ვერ გაგცემთ პასუხს.

მენავე მარჯვედ უსვამდა ნიჩბებს და სულ წინ მიიწევდა.

ეს გახლდათ ასე ოცდაათი წლის შავთმიანი ფერმკრთალი მამაკაცი. თხელი ტუჩები და ოდნავ შესამჩნევი წვერი მის სახეს მკაცრ, სერიოზულ შესახედაობას აძლევდა. ხშირი წარბები და მაღალი, დანაოჭებული შუბლი კი იმაზე მეტყველებდა, რომ დიდი მოაზროვნე უნდა ყოფილიყო. თავზე არაფერი არ

ეხურა, გამოქვაბულში ისე ცხელოდა, ქუდით ვერც გაძლებდა.

რას ეძებდა აქ?

იგი მშვიდად მიაპობდა შავი ტბის სარკესავით მოკრიალებულ ზედაპირს, ალაგ-ალაგ ნათურას მაღლა სწევდა და დაკვირვებით ათვალიერებდა გამოქვაბულის პირქუშ კედლებს, თითქოს რაღაც საიდუმლოებით მოცულ წარწერებს დაეძებდა, რომლებიც უძველეს ათასწლეულებს დაეტოვებინათ მომავლისათვის.

და იგი პოულობდა მათ.

შავ კედლებზე დაკვირვებულ თვალს შეეძლო გაერჩია პირველყოფილ მცენარეთა ფოთლების ანაბეჭდები, რაც მისთვის ფასდაუდებელი განძი იყო. ზოგან ჯერ კიდევ უცნობ კრისტალებს პოულობდა, რომელთა სახელები მეცნიერებისთვის ცნობილი არ იყო. ხვდებოდა ასევე უცნობ, განსხვავებული მადნების, ქვებისა და ლითონებისაგან შემდგარ კონგლომერატებს ან სრულიად ახალ, ცეცხლით შექმნილ შენადნობებს. და ეს ყოველივე მას რაღაც ახალს აცნობდა.

გამოქვაბულის სვეტებს ტბის წყალი დროდადრო წვრილი კრისტალების ფენით ფარავდა. ესეც რაღაცას მიანიშნებდა.

დაბოლოს თვითონ ტბაც საოცარი ფენომენი იყო. მას წყალი ხან ემატებოდა, ხან აკლდებოდა. დღე-ღამეში ორჯერ ტბის მთელი წყალი სადღაც ქრებოდა და შემდეგ ისევ ავსებდა თავის კალაპოტს. ზუსტად განსაზღვრულ დროს წყალი ხმაურითა და შხუილით ამოსჩქეფდა ღრმა მიწისქვეშა ნაპრალებიდან და თანდათან ავსებდა ფსკერს, ვიდრე გოლიათი სვეტების თეთრ ზედა ნახევრამდე არ მიაღწევდა; ორი საათის განმავლობაში ყველაფერი უცვლელად რჩებოდა, შემდეგ წყალი ისევ იკლებდა ნელ-ნელა და ბოლოს სულ გაუჩინარდებოდა საიდუმლოებით მოცულ ნაპრალებში. ტბის ფსკერზე დარჩენილ შლამში ხშირად შეხვდებოდით ქარვის ნატეხს და ზვიგენის კბილებს, რაც ზღვებისა და გაუვალი ტყეების არსებობას მოწმობს.

მენავე დაელოდა, სანამ მთელი წყალი თვალს არ მიეფარა ქვანახშირის კლდეებს მიღმა და ტბის ფსკერზე ორ აღ-

მოჩნდა. შემდეგ პიჯაკი და ჩექმები გაიხადა, ქამარზე ტყავის ჩანთა მიიმაგრა, ჩააწყო შიგ ჩაქუჩი და საჭრეთელი, ზედ ფანარი ჩამოიკიდა და მეტად ვიწრო და დაბალ ნაპრალში შეძვრა.

იგი გაუჩინარებული ტბის წყლის კვალს მიჰყვა. უშიშრად მოიარა ამ სიკვდილის სასახლის დერეფნები.

ფოლადის გული და ქვის შუბლი უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ მარტოდმარტოს აქ ჩასვლა გაებედა და შეეღწია მრავალი საუკუნის წინათ მიძინებული მარადცოცხალი ბუნების საიდუმლოებათა სამყაროში.

და ამ ადამიანს ეყო გამბედაობა ამისთვის.

ის პირველად არ იყო მიწისქვეშეთში სხვა დროსაც ბევრჯერ საათობით უვლია აქ მარტოს.

მიწის ზემოთ რომ ვინმე ახლობელი ჰყოლოდა, ცოლი, შვილი, მსახური ან თუნდაც ერთგული ძაღლი, ალბათ შიშით გულები გაუსკდებოდათ მის მოლოდინში.

მაგრამ არავინ ელოდა, უკუნეთი ღამის მეტი.

გაუჩინარებული ტბა კი მეტად ჭირვეული იყო! არ გააჩნდა ზუსტად განსაზღვრული დასვენების დრო. პაუზა ზოგჯერ ორი საათი გრძელდებოდა, ზოგჯერ სამი, მაგრამ იყო შემთხვევაც, რომ წყალი ერთ საათში დაბრუნებულა ადგილზე. და ვაი მას, ვისაც წყალი საიდუმლოებითმოცული ლაბირინთის ვიწრო ხვრელებში მოუსწრებდა!

მაგრამ იგი კარგად იცნობდა ტბის ყოველგვარ ჭირვეულობას, ისინი უკვე დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. ამ ადამიანისთვის კარგად იყო ცნობილი ის ნიშნები, რომლებიც პაუზის დასასრულს მოასწავებდა, იგი გრძნობდა მიწისქვეშა ჰაერის თითქმის შეუმჩნეველ მოძრაობას, რომელიც წყლის მოახლოებას უძღოდა წინ. იმდენხანს რომ შეყოვნებულიყო, რომ მოახლოებული წყლის ხმა გაეგონა, უკვე დაღუპულად შეეძლო ჩაეთვალა თავი. წყლის ჩქაფუნის გაგონებიდან, რომელიც ნაპრალიდან მოისმოდა, წყლის მოქცევამდე სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა.

სიბნელეში რაღაც მოჩვენებითმა, ხანგრძლივი ამოოხვრისმსგავსმა ფაჩუნმა მოაღწია მის სმენამდე შორით მობერილი ქარის ქროლასავით, რომელიც განთიადისას მემნონის ქანდაკების ჟღერასავით გაისმა.

სულ მალე კლდის ნაპრალებიდან მკრთალმა სინათლემ ამოაშუქა და საიდუმლოებითმოცული მიწისქვეშა მკვლევარიც გამოჩნდა.

სახე მთლად გაფითრებოდა, შუბლზე ოფლს დაესხა. იქ ქვემოთ ჰაერი უფრო დახშული იყო, მაგრამ შეიძლება ეს შიშითაც იყო გამოწვეული.

მან სავსე ჩანთა ნავში ისროლა და თვითონაც შიგ ჩაჯდა.

არ გასულა რამდენიმე წამი, რაც იგი ხვრელიდან ამოძვრა კლდეზე, რომ წყლის ბუყბუყიც მოისმა და პირველმა შავმა ტალღამ ამოხეთქა ნაპრალიდან. ამას ერთწუთიანი პაუზა მოჰყვა, ხოლო შემდეგ წყალი მთელი ძალით მოასკდა აუზს. ტბის სარკისებური ზედაპირი თანდათან მაღლა იწევდა. მცირე ხანს მასზე შეინიშნებოდა წყლის მოქცევის კვალი, მაგრამ ბოლოს წყალი ისევ დამშვიდდა და შეუმჩნევლად მიიწევდა ზევით იმ ადგილამდე, რომლის ზევითაც სვეტები თეთრი იყო.

ნავი და მენავე მიწისქვეშა ზღაპრულ მოჩვენებასავით ირწეოდნენ წყალში, რომელიც მადანივით იყო დამძიმებული ლითონის ჟანგისაგან.

მაგრამ ნავში მჯდომს ახლა აღარც წყლის ზერაპირი აინტერესებდა და აღარც გამოქვაბულის კედლებზე გამოსახული საიდუმლოებითმოცული ნიშნები, იგი შეშფოთებული აკვირდებოდა ჰაერს და რამდენჯერმე შეამოწმა ფარანზე გადაკრული მავთულის ბადე, ხომ არ გაიხსნაო.

ნათურა შეორთქლილი იყო.

მიწისქვეშეთში ღამის სიბნელეს მოლურჯო ფერმა გადაჰკრა.

მენავემ კარგად იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა!

ნათურა შიგნით ნაპერწკლებს ჰყრიდა, ზოგჯერ საკმაოდ ძლიერადაც და როცა მავთული გავარვარდებოდა, წითელ შუქს გამოსცემდა.

მიწის ქვეშ სიკვდილის ანგელოსები დააბიჯებდნენ!

ორი მოჩვენება, ორი აჩრდილი ბინადრობს ქვანახშირის მაღაროს გამოქვაბულებში, ორი მძვინვარე მოჩვენება.

ერთია „მგრგვინავი გაზი“, მეორე — „გრეთანი“.

საერთოდ ახალი სიტყვები უკიდურეს შემთხვევებში შე-

მომაქვს და ახლაც იძულებული ვარ ასე მოვიქცე, ვინაიდან თავიანთი სახელები უნდა ვუწოდოთ მაღაროთა წოლხვრელების ორ ისეთ მოჩვენებას, რომლებიც თვით პარიზ პაპაისა[1] და მარტონისთვისაც[2] არ იყო ცნობილი.

„მგრგვინავი გაზი“ და „ავი აირი“. მიწის ზევით ამ სიტყვებს თითქმის არავინ ხმარობს, მიწისქვეშ კი ყველასათვის ცნობილია.

გრეთანი მოულოდნელად წამოგეპარება და სულს გიხუთავს მძიმე ორთქლით. ის მაღაროს მუშების დაუძინებელი მტერია, აჩრდილივით სულ უკან დაჰყვება, შიშის ზარს სცემს მათ, რაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს; დრო და დრო ისევ დამშვიდდება და სადღაც გაჰქრება, რომ ხელმეორედ დაატყდეთ რისხვად, რომ მის წინაშე მუდამ ძრწოდნენ და ამოსუნთქვასაც ვერ ბედავდნენ. მგრგვინავი გაზი ბევრად უფრო ულმობელი და ვერაგია! შემოგრიალდება წოლხვრელში მოულოდნელად, ელვის სისწრაფით აალდება, იფეთქებს რისხვით, გადასწვავს წოლხვრელებს, ბჯენებს, ამოავსებს ხვრელებს, ჩამოაქცევს ირგვლივ ყველაფერს და იქ მომუშავე ადამიანებს თვალის დახამხამებაში ფერფლად აქცევს.

ვინც მიწის ქვეშ მუშაობით შოულობს ლუკმა-პურს, არ იცის, სად და როდის მოუწევს ან ერთ და ან მეორე მოჩვენებასთან შეხვედრა. მგრგვინავი გაზის საიდუმლო ჯერ ამოუცნობელია. ფიქრობენ, რომ ის წყალბადსა და ჰაერთან ერთად მოხვედრილი ჟანგბადის შეერთებით წარმოიქმნება.

გრეთანის მგრგვინავ გაზად გადასაქცევად კი საჭიროა მხოლოდ ერთი ნაპერწკალი, საკმარისია ვინმე უგუნურმა თავისდაუნებურად ოდნავ გადახსნას ფარანი, რომ თვალისდახამხამებაში ვულკანიდან ამოხეთქილ ლავასავით წალეკოს ირგვლივ ყველაფერი.

---

[1]. პარიზ პაპაი — 18-ე საუკუნის ცნობილი ექიმი, მთარგმნელი და ლინგვისტი.

[2]. მარტონი — ვენის უნივერსიტეტის უნგრული ენისა და ლიტერატურის პროფესორი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რომლის ლექსიკონები და ენათმეცნიერული ხასიათის შრომები კარგად იყო ცნობილი იმ დროისათვის.

მენავე დაძაბული აკვირდებოდა, როგორ მატულობდა მრუმე ჰაერი მის ირგვლივ ნისლივით, რომელიც თანდათან აფალის ფერს იღებდა.

აღარ დაელოდა, როდის აიწევდა წყალი თავის უკანასკნელ წერტილამდე.

გამოქვაბულის გასწვრივ კედელზე ვიწრო შვერილი იყო. მიაცურა მასთან ნავი, გადმოხტა, ნავიც ჯაჭვით აათრია, რკინის კაუჭს გამოაბა და სირბილით განაგრძო გზა. მალე მის წინ მძიმე რკინის კარით ჩაკეტილი დაბალი გასასვლელი გამოჩნდა. კარი გააღო, გავიდა და ფრთხილად მოხურა.

მიწისქვეშა გასასვლელი წოლხვრელებში შედიოდა. ქვანახშირს ფენებში ვიწრო გასასვლელები იყო გამოჭრილი, რომლებიდანაც გვერდით გვირაბებში შეიძლებოდა გასვლა, სადაც ნახევრადშიშველი ადამიანები მახვილპირიანი სატეხებით ამტვრევდნენ შავ ფენებს.

აქ სატეხების დარტყმის მეტი არაფერი ისმოდა, არც მემაღაროეთა ჩვეულებრივი მისალმება: „ბედნიერად ასულიყავით!“ ან კი რომელ ბედნიერებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, ეს ბედუკუღმართობა უფრო იყო.

პირი ყველას ცხვირსახოცით ჰქონდა აკრული.

ზოგიერთ შტრეკებში ფიქალის ორი ფენით შევიწროებული ქვანახშირის ფენა ისეთი თხელი იყო, რომ მუშები გულაღმა დაწოლილნი ამტვრევდნენ. ცოცვით მიიწევდნენ წინ და ქვანახშირით დატვირთულ ურიკებსაც წინ მიათრევდნენ.

გამოქვაბულიდან ჟამოსული კაცი არაფრით განსხვავდებოდა მუშებისაგან, ტანსაცმელი იმასაც ქვანახშირისაგან ჰქონდა გაშავებული, მუშაობისაგან გაუხეშებულ ხელებში მათსავით მუდამ ჩაქუჩი და ძალაყინი ეჭირა, მაგრამ მას ყველა სცნობდა. დერეფანში ყოველი მუშა, რომელსაც გვერდით ჩაუვლიდა, ერთი წუთით თავს ანებებდა სამუშაოს და ჩურჩულით ეუბნებოდა: „გრეთანია მაღაროში“.

„ღმერთი მოწყალეა!“ — პასუხობდათ იგი.

ყველას ეს შემაძრწუნებელი სიტყვები ეკერა პირზე.

მხუთავი აირი თანდათან ავსებდა მაღაროს. და ეს ადამიანები, რომლებიც ახლა მშვიდად მიმოდიოდნენ წოლხვრე-

ლებში, ძალაყინს ურტყამდნენ ქვანახშირის შრეებს და მიათრევდნენ ურიკებს, უცილობელი სიკვდილის ტყვეობაში იყვნენ, სიკვდილმისჯილებივით. აირი, რომელიც მათ სულს უხუთავდა, რომლის სუნსაც თითოეული მათგანი კარგად გრძნობდა, რომელიც მათ ნათურებს არაჩვეულებრივი ალით აიძულებდა წვას, სიკვდილის სუნთქვა იყო, ახლა საკმარისი იყო ერთი პატარა ნაპერწკალი, და ვერცერთი მათგანი მზის სინათლეს ვეღარ იხილავდა; აქ, მიწისქვეშ დაიმარხებოდნენ სამუდამოდ, ხოლო ზემოთ მათი ქვრივებისა და ობლების გლოვის ზარი შესძრავდა იქაურობას.

ნათურაში ალი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და მალე პატრუქი გავარვარებულ ნახშირს დაემსგავსა. ამგვარი ალი უკვე სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა იქ მყოფთ; მას მავთულის ნაკვერცხლისფრად გავარვარებული ბადეღა აკავებდა და ისე ჰყავდა დატყვევებული ცეცხლის ალი, როგორც მეფე სოლომონის ბეჭედს — დემონი.

მემაღაროები კი ისევ ისე მშვიდად განაგრძობდნენ მუშაობას, თითქოს ცხრათვალა მზის ქვეშ სურნელოვან ბალახს თიბავდნენ ამწვანებულ მდელოზე.

მათ შორის მოსიარულე კაცი ამ მაღაროს მფლობელი გახლდათ.

მისი სახელი იყო ივან ბერენდი.

ის იყო მეთვალყურეც, დირექტორიც, სამთო ინჟინერიც და ხაზინადარიც.

საქმეც ბევრი ჰქონდა.

მართლაც შესანიშნავად არის ნათქვამი: „თუ საჭირო, თვითონ გააკეთე; თუ არ არის საჭირო, სხვას მიანდე!“

როცა მუშები ხედავენ, რომ მაღაროს მეპატრონეც მათთან ერთად იწურავს ოფლს, ძალა და სულის სიმტკიცე ემატებათ.

როცა შტრეკები საშიში აირით ივსებოდა, მისგანაც იგივე შემაძრწუნებელი სიტყვები ესმოდათ: „მაღაროში გრეთანია!“ ისინი ხედავდნენ, რომ საკუთარ სიცოცხლეს და მათ სიცოცხლეს მაღაროს მფლობელი ერთნაირად აფასებდა.

ის არ გაქცეულა საფრთხის მოახლოებისას, აუღელვებლად იძლეოდა განკარგულებებს საჰაერო ტუმბოს ჩართვისა

და წოლხვრელებში ტემპერატურის შეცვლისათვის; მუშებს უბრძანა ნაცვლად ექვსისა, ყოველ სამ საათში შეეცვალათ ერთმანეთი. კამეჩის ტყავის ტომარაში ჩაჯდა და მაღაროს ჭაში ჩაეშვა ახლად დამუშავებული მადნის შესამოწმებლად, რომ მის უსაფრთხოებაში თვითონ დარწმუნებულიყო. რკინის ფინით ქექავდა ქვანახშირის ნირჩენებს, ხომ არ დალპა ან გოგირდის მჟავამ ხომ არ ააფეთქოო, რის შემდეგაც შეიძლება აალებულიყო. როცა მაღაროში ვენტილატორი ამუშავდა, მიწის ზემოთ კი საჰაერო ტუმბო, იგი თვითონ მივიდა ანემომეტრთან შესამოწმებლად, რომელიც საბავშვო ბზრიალას წააგავდა; ფრთები თითბრის ვარაყის თხელი ფურცლებისა ჰქონდა, ღერძი ლალებზე ტრიალებდა, დისკოს მოძრაობაში მოჰყავდა ასკბილა ბორბალი. ბორბლის ტრიალი განსაზღვრავს წოლხვრელში ჰაერის წევის ძალას. ის არც მეტი უნდა იყოს და არც ნაკლები გრეთანის მოძრაობაზე. შემდეგ მითითება მისცა მუშებს, დაელოდა, სანამ სამუშაოს არ დაამთავრებდნენ და ყველაზე ბოლოს ავიდა ზევით, მზის სინათლეზე.

მაგრამ სად იყო მზის სინათლე?

ბონდას ველზე მზის სინათლე საერთოდ ვერ აღწევდა, მუდამ კვამლის ღრუბლებით იყო დაფარული. ეს იყო ჭვარტლით დახატული პეიზაჟი. ველისკენ მიმავალი გზები, სახლები, ტყეები და მინდვრები სულ შავი იყო ქვანახშირის მტვრისა და მურისაგან, რომელიც ქარს აქეთ-იქით გაჰქონდა ურიკებიდან გადმოტვირთვისას, როცა უზარმაზარ კონუსებად აგროვებდნენ და შემდეგ ფორნებზე ტვირთავდნენ. ქალი და კაცი, ვინც კი აქ მუშაობდა, ყველა გაშავებული იყო და აქ ახლო-მახლო ტყეებში ჩიტები რომ ყოფილიყვნენ, ალბათ ისინიც გაშავდებოდნენ.

ქვანახშირის გოროხებით გარშემორტყმული მაღარო, რომელიც ლითონისგან გაკეთებულივით ბრწყინავდა, ბორცვის დაქანებულ ფერდობზე მდებარეობდა, საიდანაც თავადის დროჟამისაგან გაშავებული ციხე-კოშკი მოჩანდა.

ფერდობის იქით ველი იწყებოდა, რომელზედაც კოქსის დანადგარები დაემონტაჟებინათ. ეს იყო უზარმაზარ ნაგებობათა კომპლექსი, ოთხი დიდი საკვამურით, რომლებიდანაც დღე და ღამე ამოდიოდა ხან თეთრი, ხან შავი კვამლი.

იქ ქვანახშირისაგან გამოჰყოფდნენ გოგირდს; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მისი გამოყენება მადნის გამოსადნობად.

ქვანახშირის მაღაროს ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი მეტალურგიული ქარხანა იყო, იქვე ახლოს მდებარე მთის ფერდობზე, მას ხუთი საკვამური ჰქონდა. როცა იქიდან თეთრი კვამლი ამოდიოდა, კოქსის დანადგარები შავ კვამლს უშვებდნენ და პირიქით. მათგან ბონდას ველი მუდამ შავ ღრუბლებში იყო გახვეული და თუ მზის სხივი შეაღწევდა, ისიც შავ-წითლად ბრწყინავდა. ქარხნის ეზოდან ჟანგისფერი ნაკადული გამოდიოდა, ქვანახშირის მაღაროდან — შავი, ველზე ისინი ერთდებოდნენ და ერთად მიედინებოდნენ ქვემოთ. მოწითალო-ჟანგისფერი ერთხანს ცდილობდა დაეჯაბნა შავი, მაგრამ ამაოდ, ბოლოს მაინც გაშავებულ ტყეებსა და მინდვრებს შორის შავი ნაკადული მიაკრაკებდა.

მეტად უღიმღამოდ გამოიყურებოდა ქვანახშირის მაღაროს შემოგარენი. და განსაკუთრებით დაგიმძიმებდათ გულს, თუ იმ თვალით შეხედავდით, რომ აქ მოგიწევდათ საუკეთესო წლების ფატარება მარტოდმარტოს, ასე უსიხარულოდ.

როცა ივან ბერენდი მაღაროდან ამოვიდა, დიდი არაფერი სხვაობა უგრძვნია მის გულს, ანდა განა სულ ერთი არ იყო, იქ იქნებოდა თუ ზემოთ? იქ, ქვემოთ, მაღაროს აირს სუნთქავდა, აქ კი გოგირდოვან ბოლს. ქვემოთ ქვანახშირის მადნის შავ თაღებს უყურებდა, აქ, ზემოთ, შავ ღრუბლებს დაეფარათ ზეცა. აქაც და იქაც ერთი და იგივე ადამიანებს ხედავდა.

შემოდგომის მიწურული იყო. საღამოს, შორეული ციხეკოშკის იქით ღრუბლები თითქოს ოდნავ გაიფანტა და ჩამავალი მზის მეწამული სხივებით ოქროსფრად შეღებილი ციხეკიდური გამოჩნდა. უძველესი კოშკის შავი გუმბათები უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა, კოქსის დანადგარის ღუმელზე, ტყიან მთა-გორებზე და ქვანახშირის დაზვინულ გოროხებზე თითქოს ოქროს მინანქარი ფადაუკრავთო. იფიქრებდით, ციურმა ფერიამ შავ პეიზაჟზე ოქროს არშია შემოქარგაო.

დღის ცვლის მუშებმა სამუშაო დაამთავრეს და ჯგუფ-

ჯგუფად მიიჩქაროდნენ შინისაკენ. უცებ ვიღაცამ სლოვაკური ხალხური სიმღერა წამოიწყო:

თმებს გივარცხნიდი დიდი-სიფრთხილით,
ტკივილი რომ არ გეგრძნო მცირედიც,
გეფერებოდი, ჩემო პატარა,
და არასოდეს არ გატირებდი.

როგორც ყველა სლოვაკური სიმღერა, ესეც მეტად ნაღვლიანი, სევდიანი იყო, მომღერალს კი საოცრად ლამაზი, წკრიალა ხმა ჰქონდა და მთელი გრძნობით მღეროდა.

მისი მოსმენა ნამდვილად ღირდა და ვიდრე მომღერალი სახლებს არ მიეფარა, ივანი სმენად იყო გადაქცეული.

ამ წუთს მან პირველად იგრძნო, რომ მიწისზედა და მიწისქვეშეთის ცხოვრებას შორის იყო განსხვავება. სიმღერის ხმა მიწყდა, ღრუბელი გადაეფარა უკანასკნელი ჩამავალი მზის სხივებით წითლად შეღებილი ცის დასალიერის ვიწრო ზოლს და ისევ ნაცნობი შავი პეიზაჟი გადაიშალა მის წინ. მალე სულ ჩამობნელდა. არც ვარსკვლავები ჩანდა, არც თეთრი სახლები. მხოლოდ ქარხნის ფანჯრებიდან გამოდიოდა სინათლე და ღამის ცეცხლოვანი თვალებივით მოჩანდა; მის შუქზე გავარვარებული ღუმელებიდან ამოსული ბოლი უკვე მოყვითალო ფერის ბოლქვებად მიიწევდა ცისკენ.

შავი ალმასების მონა

ვფიქრობთ, ახალი არაფერი იქნება იმაში, თუ აღვნიშნავთ, რომ „შავ ალმასებს“ ქვანახშირს ვუწოდებთ.

ალმასი ხომ სხვა არაფერია, თუ არა კრისტალური ფორმის ნახშირბადი, ქვანახშირიც ხომ ნახშირბადია, ოღონდ შავი, ალმასი კი გამჭვირვალეა.

და მაინც გამჭვირვალე დემონია, შავი კი — ანგელოსი.

უფრო მეტი, ვიდრე ანგელოსი — დემიურგია! შუამავალი სულია, რომელსაც მბრძანებელმა დაავალა ხორცი შეასხას მის უდიდეს შემოქმედებით განზრახვას.

ქვანახშირი მსოფლიოს მამოძრავებელი ძალაა, პროგრე-

სის დაჩქარების სული და გული. მისგან იღებს გასაოცარ ძალას ორთქლმავალი და გემი; ყოველი მანქანა მხოლოდ მისი შემწეობით მოძრაობს; ის აძლევს სინათლეს ღამით დიდ ქალაქებს, ის არის სახელმწიფოთა საუნჯე, დედამიწის უკანასკნელი საბოძვარი მფლანგველი კაცობრიობისადმი.

ამიტომ ვუწოდებთ მას „შავ ალმასს“..

ივან ბერენდმა მამისგან მემკვიდრეობად მიიღო ბონდას ველის ქვანახშირის მაღარო, რომელიც ყოველგვარი კომპანიონისა და დამხმარის გარეშე თვითონ მოაწყო და აამუშავა.

საწარმო მეტად მცირე იყო. ახლომახლო ქარხნები და ერთი-ორი პროვინციული ქალაქის მოსახლეობა ყიდულობდა მის მთელი წლის პროდუქციას საკმაოდ იაფად. წარმოების გადიდებას კი აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან მაღარო ძალზე შორს იყო დედაქალაქისაგანაც და სარკინიგზო-სამდინარო ტრანსპორტისგანაც. ქვანახშირზე მოთხოვნის გადიდების იმედი ნაკლებად შეიძლებოდა ჰქონოდათ.

მიუხედავად ამისა, მაინც 10 ათას ფორინტ შემოსავალს იძლეოდა წელიწადში. ეს სრულიად საკმარისი იყო იმ ადამიანისათვის, რომელიც თვითონ მართავდა თავის საწარმოს. ყველასათვის ცნობილია, ეს საქმე რომ სხვისთვის მიენდო, ჯერ ერთი, ათი ათასი ფორინტის გადახდა მოუწევდა გასამრჯელოდ და მეორეც, კიდევ ათი ათასი ფორინტის დამატება დასჭირდებოდა „ზარალის“ დასაფარავად. ეს კარგად იცის ყველამ, ვისაც საქმე ჰქონია წარმოებასთან.

მაგრამ მეპატრონე თვითონ მართავდა საწარმოს, ამის სურვილიც ჰქონდა და საქმეც ესმოდა. როცა ადამიანს ეს სამი თვისება გააჩნია, იტყვიან ხოლმე „ბედი სწყალობსო“, თუმცა ეს „ბედი“ კი არა „საკუთარი ძალაა“.

ივან ბერენდი ყველაფერს თვითონ აკეთებდა.

თავისი პატარა, შებოლილი ოთახის კარს რომ გამოიხურავდა, მას იქ აღარავინ ელოდა, არც ცოლი, არც შვილი, არც მსახური და არც ძაღლი. მარტოდმარტო ცხოვრობდა.

თავის თავს თვითონ ემსახურებოდა. ბატონი იყო ესეც! მსახურის აყვანას საჭიროდ არ თვლიდა, მუშებთან ერთად სადილობდა და იმასვე ჭამდა, რასაც ისინი. ჭამას საერთოდ დროის დაკარგვად თვლიდა, მაგრამ მაინც ბევრს ჭამდა, მთე-

ლი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ ენერგიის აღსადგენად. უპრეტენზიოდ ჭამდა, რასაც კი სამიკიტნოში მიუტანდნენ. მისთვის სულ ერთი იყო, ოღონდ ძალა აღედგინა, რომ მანქანასავით ემუშავა. მუშებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ალკოჰოლს არ ეკარებოდა. მუშები მხოლოდ ფიზიკურად მუშაობდნენ, მას კი გონებრივადაც უნდა ემუშავა, რისთვისაც მაგარი ნერვები იყო საჭირო.

არც ლოგინის გაშლა სჭირდებოდა, უხეში გადასაფარებლით დაფარულ ცაცხვის ხის საწოლზე ეძინა და საბნად ცხვრის ტყაპუჭი ეხურა. ტანსაცმელს არ სწმენდდა, სულ ერთია, მაინც გააშავებდა ქვანახშირის მტვერი, თეთრეულს კი ლურჯი ფერისას სმარობდა, რომ გარეცხვა არ დასჭირებოდა.

თუ ვინმე პატივისცემის ნიშნად ბინას დაულაგებდა, ამით მიუტეევებელ დანაშაულს ჩაიდენდა. მის ოთახში აქა-იქ, თითქმის ერთმანეთში არეულ-დარეული ეწყო უამრავი გადაშლილი წიგნი, სხვადასხვა მინერალების ნატეხები, ათასგვარი ხელსაწყო და დანადგარი, ნახაზები, ჩანახატები, ამბუხები. ამ ნივთების ხელის ხლება, მათთვის ადგილის შეცვლა, ყოვლად დაუშვებელი იყო. მან ზედმიწევნით იცოდა, სად რა ჰქონდა, და ერთი შეხედვით თითქოსდა უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ნივთებს შორის თვალდახუჭულს შეეძლო ეპოვნა თუნდაც პატარა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდა ჩანიშნული.

აქ არაფრის გადაადგილება არ შეიძლებოდა, მის გვერდით პატარა ოთახში კი რომელიც ქიმიურ ლაბორატორიას წარმოადგენდა, შესედვის უფლებაც არავის ჰქონდა.

ან კი ვის ესმოდა მის ირგვლივ მყოფთაგან ამ საიდუმლოებით მოცული ხელსაწყოების მნიშვნელობა? რას ანათებს ლოკატელის ლამპა? რას გვასწავლის საოცრებებით აღსავსე მსის სპექტრი? როგორ მუშაობს ბუნზენის ელექტრული მანქანა? რა შეუძლია უოლსტონის ელექტრულ ბატარეას? რა ეფექტს იძლევა თერმოელექტრული სვეტი? ანდა ეს უამრავი კოლბი, კუბი და მილაკი, რომელთა დანიშნულება გასაგები იყო მხოლოდ მისთვის, სადისტილაციო აპარატი გამჭვირვალე შუშის თოფუზებით თიხის რგოლებზე, ბერზელიუსის ქიმიური სასწორი, ვოლფის ქილა, ჟანგბადის გამოსაქრევი

ეთერის ლამპა, ფოსფორის კონდენსატორი, კალიუმის შემთბობი, სხვადასხვაგვარი ხელსაწყოები და ჭურჭლები ქიმიური ელემენტების მოწათავსებლად. და ყოველივე ამათ შორის ყველაზე საიდუმლოებით მოცული არსება, რომელიც აქ ღამეებს თეთრად ათენებდა, თვითონ ივან ბერენდი იყო. რაში სჭირდებოდა ეს ყოველივე?

სხვა ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, როცა მძიმე სამუშაოს შემდეგ დაღლილი ბრუნდება შინ, ბევრად უფრო სასიამოვნოა ივახშმოს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად, ან რამდენიმე წუთით სახლის წინ ჩამოჯდეს სუფთა ჰაერზე. ის კი ამოვიდოდა თუ არა მაღაროდან, ჩაიკეტებოდა თავის ჯადოსნურ ბუნაგში, გააჩაღებდა ცეცხლს, გავარვარებამდე ახურებდა გაზის ღუმელებს, მიკროსკოპით უკვირდებოდა თვალისმომჭრელ სინათლეს, ამსხვრევდა ქვებს, ადუღებდა სითხეებს, გამოყოფდა შენაერთებიდან მოძაკვდინებელ გაზებს, რომელთა ერთი ჩასუნთქვა საკმარისი იყო იმქვეყნად გასამგზავრებლად.

რა აიძულებს მას ეს აკეთოს?

იქნებ ცდილობს ოქროს მიღების საიდუმლოს ჩასწვდეს? იქნებ ფილოსოფიური ქვის აჩრდილი არ აძლევს მოსვენებას? ან იქნებ იმაზე ოცნებობს, რომ ნახშირბადიდან ალმასები მიიღოს? შეუცნობი მომწამლავი გაზების მოქმედების ჯოჯოხეთურ ეფექტზე ატარებს ცდებს? თავს იმტვრევს ჰაერნაოსნობის საიდუმლოების შესაცნობად? ან იქნებ ცოდნის, შემეცნების დემონმა გაიტაცა და ეს ჩვევად ექცა. ეძებს რაღაცას, იკვლევს, ატარებს ცდებს, სანამ ამ უნაყოფო ძებნისაგან ჭკუიდან არ შეიშლება და ცხოვრება, სიხარულით აღსავსე დღეებით, გვერდით არ ჩაუვლის.

მაგრამ ეს არ იყო მისი მიზანი.

ის არც ოქროს ადნობდა, არც საწამლავებს ხარშავდა და არც უნაყოფო ძიების მონა იყო.

ამ ადამიანს სურდა მთელი კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი, უდიდესი საიდუმლოს ამოცნობა: როგორ შეიძლებოდა ქვანახშირის მაღაროს მრისხანე აჩრდილების დაძლევა და რით ჩაექრო მათი ჯოჯოხეთური ცეცხლის ალში გახვეული წოლხვრელები.

ამ საიდუმლოს ძიებაში ათენებდა ღამეებს, მას სწირავდა ახალგაზრდობის საუკეთესო წლებს, შეიძლებოდა კისერიც მოეტეხა, მომკვდარიყო, მაგრამ მისი ძიების მიზანი, ის რითაც ის იყო დაკავებული, ღირდა იმად, რომ გაგიჟებულიყო და თავიც გაეწირა. იგი ემსახურებოდა კაცობრიობის უდიდეს კეთილისმყოფელს, ქვანახშირს.

მეცნიერების მონასაც გააჩნია თავისი სიხარულის წუთები. მართალია, ეს უდიდესი წვალების ფასად მიიღწევა და ნერვებსაც ანადგურებს, მაგრამ არამიწიერ ნეტარებას განაცდევინებს. მხოლოდ ეს ნეტარებაა, რომ გასაგებს ხდის იმ შეუპოვრობას, რომლითაც ცოდნას ეუფლებიან. როგორ შეიძლება ადამიანი შეძვრეს ქვანახშირის მადნის სულისშემხუთველი გაზებით სავსე ბუნაგში და ახალგაზრდა ქალიშვილებისა და მხიარული ნაცნობ-მეგობრების საზოგადოებაში ყოფნას ამჯობინოს ურთიერთობა ისეთ საგნებთან, რომელთაგანაც მილიონობით წლები და მილიონობით მილი აშორებს. როგორ შეიძლება ეძებო სითბო არა ვინმეს გულში, არამედ მიწის წიაღში.

და ეს არ იყო ჯადოქრობა, ეს იყო მეცნიერება.

იმ საღამოს ივან ბერენდი ცდის გამეორებამ ახალ აღმოჩენამდე მიიყვანა, რომლის საშუალებითაც მზის სისტემის აგებულების ახსნა შეეძლო.

ღრმა და ფართო მინის ჭურჭელში მან მოათავსა ბზრიალა, რომლის ღერძი მოყვითალო ფერის ბურთში გაუყარა. ბურთი დამზადებული იყო საპნის, ზეთისა და სპირტის ნარევისაგან. ზეთი და სპირტი წყალზე მსუბუქია, საპონი მძიმეა. ეს სამი ნივთიერება ადვილად ერევა ერთმანეთს. თუ მათ შეეურევთ სწორი პროპორციით, მივიღებთ რბილ მასას, რომელსაც წყლის წონა ექნება და შეეძლება გაჩერდეს წყლის ზედაპირზე იმ ადგილას, სადაც მოვათავსებთ. ის შეინარჩუნებს სირბილეს, მაგრამ წყალში არ გაიხსნება.

ივანმა ბზრიალას საშუალებით დაიწყო ბურთის ტრიალი წყალში, ბურთი ღერძის ორივე ბოლოებიან ნელ-ნელა ჩაიჭყლიტა, გვერდები გამოებერა, პოლუსებისა და ეკვატორის მსგავსად.

რაც უფრო ძლიერად ატრიალებდა ივანი ბურთს, ეკვატორი უფრო მეტად იბერებოდა. მასზე ზღვარი გაკეთდა ლინზა-

სავით. შემდეგ ეს ზღვარი მოსწყდა ბურთს და მის ირგვლივ დაიწყო ტრიალი. მალე ბურთმა ისევ ფორთოხლის ფორმა მიიღო, ბზრიალა ისევ ტრიალებდა, ასეთივე სისწრაფით ტრიალებდა ბურთისაგან მოწყვეტილი რგოლი მის ირგვლივ.

უცებ რგოლი გაწყდა და ნაწილები სიდიდის მიხედვით მეტ-ნაკლები მანძილით დაშორდნენ მას, მაშინვე მიიღეს ბურთულების ფორმა და ერთდროულად დაიწყეს ტრიალი, როგორც საკუთარი ღერძის, ისე დიდი ბურთის ირგვლივ.

აი მზე და მისი ცთომილები!

ივანმა გვერდით გადადგა ავზი და უბის წიგნაკი ამოიღო.

გადახედა უკანასკნელ გვერდს და რაღაცა შეასწორა. ზოგჯერ ყველაზე ბრძენი ბუნებისმეტყველიც კი დღეს სისულელედ თვლიდა იმას, რაც გუშინ უდიდეს აღმოჩენად ეჩვენებოდა და დღევანდელი ჰიპოთეზები შეიძლება ხვალ მიღებულმა ცოდნამ სრულიად უსარგებლოდ აქციოს და გადაშალოს. მთელი ჩვენი მეცნიერება ასეთი წაშლილი ჰიპოთეზებისაგან შედგება. სულ ერთია, ის ბრუნავს!

ივანის ჩანაწერებში ბევრი უცნაური, ძალზე გაბედული აზრი იყო, მაგრამ მთელი მისი სიკეთე თანამიმდევრობა იყო.

აი, რას წერდა ივი:

„მთელი სამყაროს საფუძველი ცეცხლია. თვით მზე და ყველა უმოძრაო ვარსკვლავი სხვა არაფერია, თუ არა ცეცხლი, სავსებით გამდნარი მატერია.

ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ იმ ცთომილებზე, რომლებიც არ ანათებენ, ან ჩაბნელებულ მზეებზე წარმოქმნილ უხილავ ცენტრებზე, რომელთა ირგვლივაც ორმაგი ვარსკვლავები მოძრაობენ. ცნობილი ასტრონომების აზრით არსებობენ მზეები, რომლებიც ჩამქრალი ვარსკვლავების ირგვლივ ბრუნავენ. თვით სირიუსი თვალით უხილავი დიდი ციური სხეულის ირგვლივ ბრუნავს, რომელიც ანათებს და რომლის არსებობა დამტკიცებულია მხოლოდ მექანიკის კანონებით.

მზეს არ შეიძლება ჰქონდეს დედამიწასავით დასახლებული ზედაპირი. თუნდაც იმიტომ, რომ მიზიდულების ძალის მოქმედებით, რომელიც მზის უზარმაზარ მოცულობას გააჩნია, მასზე ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ იმოძრავებდა.

ჩვენისთანა ადამიანის წონა მზეზე ოთხი ათასი ცენტნერი იქ-ნებოდა. და მისი თუნდაც ერთი ფეხის ასაწევად საჭირო იქ-ნებოდა ორასი ცხენის ძალიანი ორთქლის მანქანა. უფრო მე-ტიც, ეს არსება საერთოდ ვერ შესძლებდა ადგომას, და იქ ის შეიძლებოდა წარმოგვედგინა მხოლოდ ბარელიეფის მდგომა-რეობაში. ბუზს თავისი ფრთებით ნახევარი ცენტნერის სიმ-ძიმის ზიდვა მოუწევდა. ხოლო თუ მზეზე ხეები გაიხარებდა, თუჯის ტოტებიც რომ ჰქონოდა, მაშინაც კი საკმარისი იქნებო-და წონით ორმოცი ცენტნერი ერთადერთი ვაშლი, რომ ძირ-ფესვიანად ამოეთხარა ხე ნიადაგიდან.

ლაქების არსებობა მზეზე სრულიადაც ვერ ამტკიცებს მასზე მუქი ქერქის არსებობას. მადნის გამოდნობისასაც შეიმ-ჩნევა ღუმელში მუქი და ღია ფერის ლაქები, ისეთივე, რო-გორც მზეზე.

დედამიწა იმავე შემადგენლობისაა, როგორისაც მზე. ეს დადგენილია ქიმიური ცდებითა და მზის სპექტრის უშუალო, ოპტიკური ანალიზით.

დედამიწა ისევე მოსწყდა მზეს, როგორც სხვა ცთომილე-ბი, ისინი ისე დაშორდნენ მზეს, როგორც სატურნს — რგო-ლები.

თითოეული მათგანი ისეთივე გავარვარებულ ცეცხლოვან მასას წარმოადგენდა და ისევე ანათებდა, როგორც მზე.

მაშ რამ ჩააქრო მათი ცეცხლი? რა შემოევლო სქელ გარ-სად, რომელიც ფარავს მათ შინაგან სიცხოველეს?

ეს რომ უბრალოდ კოსმიური სიცივით იყოს გამოწვეული, მაშინ თვით მზეც დიდი ხანია მუქ გარსში გაეხვეოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ცეცხლს მიწაზეც და პლანეტებზეც რომელი-ღაც ძლიერი მტერი ჰყავს.

ყველა კომეტა ოდესღაც ცთომილი იყო და ისევე ბრუნავ-და მზისა და საკუთარი ღერძის გარშემო, როგორც დედამიწა. ქერქის პირველი წარმოქმნის დროს შესაძლებელი იყო კა-ტასტროფა. როცა პლუტონურმა ნივთიერებებმა გაარღვიეს ბაზალტის ფენა, ზედაპირისკენ გამოდევნეს გრანიტი. ასობით პლანეტისათვის სამყაროს შექმნის ეს პირველი უდიდესი ცდა წარმატებით დამთავრდა, მათ შორის იყო ჩვენი დედამიწა და ექვსი ცნობილი პლანეტა. ასი ათასობით ცთომილისთვის კი

იმით დამთავრდა, რომ ქალა რომელმაც უბიძგა გრანიტის მთაგრეხილს ბაზალტისა და მეწამული ქვის გავლით, უფრო ძლიერი აღმოჩნდა გარსზე, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა და შეკუმშული გაზი, რომელმაც გამოხეთქა წარმოქმნილი ხვრელებიდან, ჩამოიშორა გარსი, ხოლო მისგან წარმოქმნილი მეტეორები მიმოაბნია მზის სისტემაში. შეიძლება ის ჯგუფი ასტეროიდებისა, რომელთაც 13 აგვისტოს ხვდება ჩვენი დედამიწა, იმ დამსხვრეული პლანეტების ნარჩენებია და ასე აქეთ-იქით მიმოფანტულნიც განაგრძობენ მექანიკის მუდმივი კანონებით დაწესებულ გზას მზის გარშემო იმ დროს, როცა მათი განმათავისუფლებელი სული, ცეცხლოვანი კომეტის სახით, მზის სისტემის გარეთ დაეხეტება.

კომეტის ორბიტა სრულყოფილი ელიფსი კი არ არის, არამედ სპირალია, რაც გამოწვეულია სამყაროს ეთერის წინააღმდეგობით. ოდესმე თითოეულ კომეტას მოუწევს თავისი სპირალური გზით დაუბრუნდეს მზეს, დაეცეს მას და დაუბრუნოს მისგანვე მიღებული მატერია.

1860 წელს უზარმაზარი კომეტა მიუახლოვდა მზეს. დედამიწის მცხოვრებნი მოწმენი იქნებიან ახალი მიახლოვებისას როგორ გადნება იგი მზეზე. ეს მოხდება 8 ათასი წლის შემდეგ.

კომეტა რომ რომელიმე გაზისაგან შედგებოდეს, მასში გამავალი სხივების გარდატეხას ექნებოდა ადგილი, მაგრამ არაავითარი სხივთტეხა არ ხდება. საფიქრებელია, რომ კომეტის სხეული მარადიული ცეცხლის ალისგან შედგება. ის რომ გაზისგან შედგებოდეს, მაშინ კომეტა რვა ათასი წლის განმავლობაში სამყაროს სივრცეში მოძრაობისას ისეთი მანძილით დაშორდებოდა მზეს, რომ ეს ორმოცდაოთხჯერ მეტი იქნებოდა მანძილზე ურანამდე. ჩვიდმეტი ათასი მილიონი მილი სიგრძის ორბიტაზე წუთში ათი ფუტით შემცირებული სიჩქარით იმოძრავებდა კოსმოსში, რომელიც არაფრით არ თბება, გარდა ვარსკვლავებისა, რომელთა შორის თვით მზეც კი მეორე სიდიდის ვარსკვლავად მოჩანს: იქ ყველა გაზი თხევად მდგომარეობაში გადადის, ყველა სითხე კრისტალდება.

მართალია, პოლაროსკოპის სინათლის ფორმულების მიხედვით კომეტას ანარეკლი სინათლე აქვს, მაგრამ ალსაც ხომ

აქვს ანარეკლი შუქი. როგორც ვენერას აქვს მზისგან ანარეკლი სინათლის გარდა საკუთარი გამოსხივება, ასევე დედამიწის ჩრდილოეთის ციალი აღწევს მეზობელ ვარსკვლავებამდე ნასესხები სინათლით.

1842 წელს დედამიწა ორი დღე იმყოფებოდა კომეტის ცეცხლოვან ფაფარში, მაგრამ ჩვენ ეს არც გვიგრძვნია.

დედამიწას რომ კომეტის შუაგულში გაევლო, კომეტა უკვალოდ გაჰქრებოდა ან უკიდურეს შემთხვევაში, გაადიდებდა დედამიწის ატმოსფეროს, რაც გამოიწვევდა ტემპერატურის აწევას თბილ სარტყელში იმ დონეზე, როგორზეც ციმბირში ოდესღაც პალმები ხარობდნენ, ხოლო პოლუსებზე დამდნარი ყინული ისევ შეუქმნიდა ხმელეთს ახალი წარღვნის საფრთხეს.

მაგრამ ეს შეუძლებელია. კომეტა, რომელიც არ ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო, უახლოვდება დედამიწას და არა — დედამიწა კომეტას. დედამიწას თავისი ღერძი აქვს. თუ ბზრიალას დავატრიალებთ და ვესვრით კენჭს, ის უკან გადმოაგდებს, თვითონ კი განაგრძობს ტრიალს. ეს თავისუფალი ღერძია. თუ ტრიალისას ორი ბზრიალა შეეჯახება ერთმანეთს, დარტყმა ორმხრივი იქნება და ისინი თავიანთი ორბიტებიდან ამოვარდებიან. კომეტა რომ თავისი ღერძის გარშემო ბრუნავდეს, მაშინ შეიძლებოდა შეჯახებოდა დედამიწას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა კომეტა დედამიწის ატმოსფეროს მიაღწევს, რომლის ფენები ბევრად უფრო მკვრივია მასზე, ჰაერის გარსი, რომელიც დედამიწასთან ერთად ბრუნავს წამში ოთხი მილი სიჩქარით, უკუაგდებს მას.

მაგრამ ასტრონომთა გამოანგარიშებით შეიძლება ორი კომეტა, რომლებიც ვარსკვლავთა ორბიტების გასწვრივ მოძრაობენ, ერთხელაც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ მოკვდავნი დაინახავენ მათ ციურ ბრძოლას. საინტერესოა რომელი აჯობებს? შესაძლოა ისინი შეერთდნენ და ორი მანათობელი კუდი დარჩეს მხოლოდ. ვინ იცის, იქნებ ორი ცეცხლოვანბოლოიანი კომეტა სწორედ ასეა შეერთებული. 1846 წელს ასტრონომები მოწმენი გახდნენ მეტად საინტერესო მოვლენისა, მარსმა ორად გახლიჩა კომეტა ბიელა.

შესაძლოა ისიც მოხდეს, რომ კომეტა ჩვენს მთვარეს დაე-

ჯახოს. მთვარეს ატმოსფერული გარსი არა აქვს, რომელიც მას შეაკავებდა და თან ძალზე ნელა ბრუნავს. ამდენად, საკვარაუდოა, ჩვენ დავინახოთ ცაზე მთვარის და კომეტის შეჯახება. შედეგი ასეთი იქნებოდა: კომეტა ან დაგვაშორებდა მთვარეს რამდენიმე ათასი მილით, ან ძალიან მოგვიახლოვებდა, ხოლო მთვარე კომეტას ირგვლივ შემოავლებდა ახალ ატმოსფეროს. მაშინ მთვარეზე იქნებოდა სიცოცხლე, მასზე გაჩნდებოდა მდინარეები, ზღვა, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო, ჩვენ დავინახავდით ლურჯად მოლივლივე ზღვებს, ამწვანებულ მინდვრებს, შესაძლოა ამის შემდეგ მთვარე უფრო სწრაფად იბრუნებდა და დედამიწას დაანახებდა თავის მეორე ნახევარს, რომელიც აქამდე არ დაგვინახავს და მასზე კვლავ აგიზგიზდებოდა ჩამქრალი ცეცხლი.

მაგრამ რამ ჩააქრო ეს ცეცხლი?

არსებობს ზოგიერთი გაზები, რომელთა შეერთება იწვევს აალებას, მაგრამ ზოგიერთები, პირიქით აქრობს ცეცხლს.

ესაა შექმნისა და განახლების საიდუმლო.

ამ საიდუმლოს ამოსაცნობად ღირს სამყაროს სივრცეების გავლა კომეტების გზით თვით მზის ლაქებამდე, შემდეგ მიწის წიაღში ნიკარებიანი კირქვის, კვარცის, თიხის შრეებში, იურიულ ფენაში, ლუდლოვის კლდეებში, ლანდეილის ფიქალის, აიმესტრის ქარსის შრეებში თვით ქვანახშირის ფენებამდე, სადაც უკვე ავბედითი ქარიშხალივით და ღრუბლებივით დათარეშობენ ცეცხლის წარმომშობი და ჩამქრობი ავი სულები.

მათი დამარცხებისთვის ღირს სიცოცხლის გაწირვა!

სხვა შავი ალმასები

ივანმა იმ ღამეს ვერ შეძლო ცდების ჩატარება, თითქოს ბედი არ სწყალობდა. გამოთვლებშიც შეცდა და მხოლოდ ნახევარსაათიანი შემოწმების შემდეგ მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. და ამ ერთადერთმა შეცდომამ ყველაფერი აურ-დაურია, ციფრთა მთელი ჯაჭვი დაურღვია. ქიმიური ცდები ვერ ჩაატარა, ხელიდან არაფერი გამოუდიოდა. ხელისგულიც დაიწ-

ვა გავარვარებულ მომჭერზე. თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის გონებაში.

ყურში ისევ ის ნაღვლიანი სიმღერა ჩაესმოდა, საღამოს რომ მოისმინა. უნდოდა როგორმე დაევიწყებინა და სხვა რამეზე ეფიქრა, მაგრამ ვერ შეძლო.

ასეთი რამ ზოგჯერ ყველაზე პედანტ სწავლულებსაც ემართებათ. გაიგონებენ სიმღერას და მისი მელოდია აეკვიატებათ მთელი დღე, მისგან თავს ვეღარ დაიხსნიან, ჩაესმით ყურში სამეცნიერო კვლევა-ძიების დროს, ძილშიც კი, გაიღვიძებენ და ისევ ის სიმღერა ესმით, უფრო მეტიც, გრძნობენ, რომ ამ მოტივზე აყალიბებენ დასკვნებს, უნდათ როგორმე ჩამოიცილონ, მაგრამ ვერ ახერხებენ. თითქოს საათის ქანქარაც ამ მელოდიას გამოსცემდა მოძრაობისას, იგივე ხმებს იმეორებდა სპირტქურა და ამასვე სტვენდა ორთქლის მანქანის სარქველი. ეს სიმღერა მოესმოდა ყოველი წაკითხული სტრიქონიდან:

თმებს გივარცხნიდი დიდი სიფრთხილით,
ტკივილი რომ არ გეგრძნო მცირედიც,
გეფერებოდი ჩემო პატარა,
და არასოდეს არ გატირებდი.

თვით სიმღერა უბრალო იყო, არაფრით გამოირჩეოდა, ალბათ ხმა იყო უჩვეულო, განსაკუთრებული. იმდენი სევდა და სითბო იგრძნობოდა მასში, რომ ეჭვი არ იყო, გლეხი გოგონა მღეროდა. ყველაზე მეტად კი გული იმაზე მოსდიოდა, რომ ამ სიმღერამ სულ ააფორიაქა და მოსვენება დაუკარგა.

გადაწყვიტა, ხვალვე გავიგებ ვინ მღეროდა და მაშინვე საკოქსავ დანადგარზე გადავიყვანო. იქიდან უკვე ვეღარ გაიგონებდა სიმღერას. რა თქმა უნდა, თუ ხვალამდე არ დაავიწყდებოდა ეს ამბავი.

მაგრამ არ დაავიწყდა.

როგორც კი გათენდა, ივანი მაღაროსკენ გაემართა. საჰაერო მილი კარგად მუშაობდა, წოლხვრელის ჰაერში ნახშირჟანგა აირის მეათედიღა იყო დარჩენილი, საკვალთი ნახევრად შეიძლებოდა დაეკეტათ. ივანს შეეძლო სრულიად დამშვიდებული ყოფილიყო და წოლხვრელიდან ამოსულიყო.

როცა შუადღისას სასადილო შესვენების ზარი დაირეკა,

ისევ გაისმა ის ჯადოსნური სიმღერა. სასადილოდ მიმავალი ერთ-ერთი მუშა-ქალი მღეროდა.

შაშვივით სუფთა და წკრიალა ხმა ჰქონდა და მხოლოდ იმას მღეროდა, რასაც გული უკარნახებდა.

ივანმა მაშინვე იცნო წინა რიგებში მიმავალი მომღერალი. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა. ლურჯი ჟილეტი შემოტმასნოდა მის ახალგაზრდულ, კორსეტით ჯერ კიდევ შეუვიწროებელ უმშვენიერეს ნაკვთებს, ქვედა ტანის წითელი ბოლო მაღლა აეწია და ქამარზე დაემაგრებინა, მოკლე პერანგი კი მშვენიერ მუხლისთავებს ძლივს უფარავდა. ფეხები მართლაც საოცრად ლამაზი ჰქონდა, უკეთესი თვით ჰებესაც არ ექნებოდა. თავზე წაკრული ჭრელი თავსაბურავიდან საუცხოო შავი თმა მოუჩანდა. სახე სხვებივით ქვანახშირის მტვრით ჰქონდა გამურული. მაგრამ მახვილ თვალს მისი სწორუპოვარი სილამაზე შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, ისევე როგორც ოსტატის თვალს მრავალ დანაშრევს ქვეშაც არ გამორჩებოდა ანტიკური ხელოვნების ნიმუში.

მის განუმეორებელ მშვენებას კი მაინც მომხიბლავი გამოხედვა წარმოადგენდა, რომელშიც ერთმანეთს ეხამებოდა თავდაჭერილობა და ბავშვური სიცელქე. საოცრად შვენოდა სქელი, შავი წარბები და მომღიმარი წითელი ტუჩები, მიწიერი მტვერი კი ჩრდილს ვერ აყენებდა მის არამიწიერ ბრწყინვალებას.

ან კი რას დააკლებდა ქვანახშირის მტვერი შავი ალმასებივით მოელვარე თვალებს!

როგორც კი თვალები ივანს მიანათა, იმავე წამს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ალმასებმა გასჭრეს მკერდში მოთავსებული მინის საფარი, რომელიც საიმედოდ იცავდა მის გულს ამგვარ თვალთა ისრებისაგან. შავმა ალმასებმა შეაღწიეს გულამდე და რაღაც უხილავი ძალით შეატოკეს.

გლეხის გოგო მიესალმა, გაუღიმა და ოდნავ გახსნილი ბაგეებიდან ულამაზესი, მარგალიტის მძივებივით მიჯრილი კბილები გამოუჩნდა.

ივანი მოჯადოებული შეჰყურებდა, სულ გადაავიწყდა რისთვის იყო მოსული, რა უნდა ეთქვა. იდგა და თვალს არ აცი-

ლებდა მიმავალ ქალიშვილს, იქნებ ერთხელ მაინც მოიხედოსო. ეს ჯადოს ახსნიდა. ქალიშვილებს უნდა ახსოვდეთ, რომ პირველი შეხედვით მამაკაცის გულში მოხვედრილ ისარს უკან მოხედვით თვითონვე ამოაძრობენ. მამაკაცს სულ გაუქრება პირველი შთაბეჭდილება და იტყვის: „ჩვეულებრივი ქალი ყოფილაო!“

მაგრამ ქალიშვილმა არ მოიხედა, თუმცა მის უკან მიმავალმა ერთმა გოგონამაც დაუძახა: „ევილა!“ შემდეგ ეტყობოდა ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა უტიფრად, მაგრამ ქალიშვილმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ამხანაგებთან ერთად ფარდულში შევიდა, მიწაზე დაჯდა, ჩანთიდან შავი პურის ნაჭერი და პატარა ვაშლი ამოიღო და ჭამა დაიწყო. თავბრუდახვეული ივანი სახლში დაბრუნდა. ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ მის ბინაში სიცარიელეს დაესადგურებინა. ახლა მზის სისტემაც აღარ ახსოვდა, თავს ორბიტასაცდენილ ცთომილად გრძნობდა.

ივანს ერთი წიგნაკი ჰქონდა და ჩვეულებრივ იქ ინიშნავდა ცნობებს ყველა მუშის შესახებ. ამას პრაქტიკული ინტერესები კარნახობდა. კარგად იცოდა, რომ პატიოსანი, კეთილსინდისიერი მუშისთვის უკეთესი იყო ხელფასი მოემატებინა, რადგანაც ის უფრო მეტ სარგებლობას მისცემდა, ვიდრე იაფადდაქირავებული ლოთი.

ამ გოგონას სახელის „ევილას“ შემდეგ ეწერა: „ახალგაზრდა ობოლი გოგონა; თავისი ხელფასით ინახავს უმცროს ხეიბარ ძმას, რომელიც დიდი გაჭირვებით დადის ყავარჯნებით და ლაპარაკის დროს სული ეხუთება“.

გოგონა უეჭველად ადრეც ჰყავდა ნანახი, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. ყოველ შაბათს იგი ხომ თვითონ ურიგებდა ხელფასს მუშებს. ალბათ ციფრების ყურებაში გამორჩა მისი სახე.

ან ახლა როგორ დაინახა მისი თვალები?

იმ დღეს თავის წიგნაკში ივანს არაფერი ჩაუწერია, არ ჩაუნიშნავს არაფერი არც ქიმიაში, არც ასტრონომიაში. მაგრამ მეცნიერებას ხომ მრავალი დარგი გააჩნია, თუნდაც არქეოლოგიური მისტიციზმი.

გეოლოგისა და ანთროპოლოგისთვის საინტერესოა ისიც,

თუ როგორ აღწერენ სამყაროს შექმნას ძველი სწავლულნი. როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი წარღვნისწინა პერიოდი?

მამონტებზე და ურჩხულებზე მათ არაფერი იციან, მაგრამ ბევრი რამ სმენიათ ანგელოსებზე და ეშმაკებზე, ბუმბერაზებზე და ღმერთის ძეებზე. მისტიციზმი „დაცემულ ანგელოზებს“ უწოდებს „ღმერთის ვაჟიშვილებს“. ერთ უძველეს ხელნაწერში. ანგელოსები, რომლებმაც დატოვეს ზეცა და მიწაზე დაეშვნენ, რომ ამქვეყნიური ცოდვის სიტკბოებას მისცემოდნენ, ეგრეგორებად არიან მოხსენიებულნი. თუ ანგელოსი კაცი იყო, მის ცოუნებას ვერც ერთი ქალი ვერ გაუძლებდა, ხოლო თუ ქალი იყო, ყველა კაცი თაყვანს სცემდა, მზად იყო მასთან ცოდვის ჩასადენად და ამისათვის არც ჯოჯოხეთში მოხვედრაზე ამბობდა უარს, სადაც მუდმივი წამება ელოდა. ეს ამბავი წარღვნის წინ მოხდა, ჰერმონის მთიდან მიწაზე დაეშვა ორასი ანგელოსი. ჩვეულებრივ მოკვდავთა და დაცემულ ანგელოსთაგან წარმოიშვნენ ელიუდები, ნეფიტიმები და ტიტანები. ტიტანები კაციჭამიები იყვნენ. ყველაზე ცოდვილი განდგომილ ანგელოსთა შორის იყო აზაელი, ყველაზე მაცთური სემიაზაზი. ორივე შეჯაჭვული წვანან დუდაილის უდაბნოს შუაგულში მძიმე ფილებქვეშ, სადაც ისინი ანგელოსებმა რაფაელმა და მიქაელმა ჩამარხეს. და აქ იქნებიან ჩამწყვდეულნი, ვიდრე არ შეიცვლება ადამიანთა ექვსასათი თაობა და ვიდრე უფალი არ მიიხმობთ თავის სამსჯავროზე. კაენის ძეებმა პირველებმა შესცოდეს ცეცხლოვან ტანსაცმელში გამოწყობილ ანგელოს ქალებთან და ამის შემდეგ მათ ფეხქვეშ მიწა იწვის.

აი ასეთ გულუბრყვილო ზღაპრებს გადმოსცემდნენ უძველესი სწავლულები მთელი სერიოზულობით.

წარღვნამდე ხომ დედამიწაზე ჯერ არ არსებობდა ადამიანი. ელიუდებისა და ნეფიტიმების ძვლები კი სხვა არაფერია, თუ არა მარტორქების ჩონჩხის ნაშთები, ხოლო თუ ეგრეგორების თავიანთ ბელად სემიაზაზთან ერთად მისჯილი ჰქონდათ ჩამარხული ყოფილიყვნენ მანამდე, სანამ ადამიანთა ექვსასათი თაობა არ შეიცვლება, ეს დრო უკვე დიდი ხანია გავიდა და ჩვენ უნდა გვეხილა ისინი.

მაგრამ განა ვერ ვხედავთ მათ? განა ისინი ჩვენს შორის

არ დადიან? ვინ იცის? ან ამ გოგონას სახე? ასეთი ხომ მხოლოდ იმათ შეიძლება ჰქონდეთ?

ჩვენ ხომ სწორედ ასეთი წარმოგვიდგენია ანგელოსის სახე, რომელიც ჯერ ეშმაკად არ ქცეულა!

ციური შუქი და ჯოჯოხეთის უკუნეთი, რომლებიც მიწიერი ცხოვრებისკენ ისწრაფვიან.

რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ნეფეტიმებისა და ელიუდების შესახებ ზღაპარია, აბსურდია, ქიმერაა! მაგრამ ამ ერთადერთ სახეს ვერავითარი გეოლოგია და არქეოლოგია ვერ შეედავება! იგი ნეფიტიმის ასულია!

მაგრამ როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მოსვლოდა თავში განათლებულ კაცს, მეცნიერს? ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც არც ერთ სისტემას არ ეთანხმება. რა ჰქვია იმ ახალ ქიმიურ შენაერთს, რომელიც ყოველგვარი გამოთვლების საწინააღმდეგოდ წარმოიქმნა?

სიყვარული? შეუძლებელია. ძველ ფილოსოფოსთა განმარტებით სიყვარული ორი ურთიერთსაპირისპირო არსების ერთიმეორისაკენ სწრაფვაა, მიკროკოსმოსის მთავარი მზეა, რომელიც ათბობს სიცოცხლეს. სიმართლე რომ ითქვას, იმათ თვითონაც არ იცოდნენ, რა იყო ეს. მაგრამ ერთი კი ცხადია, სიყვარულისთვის აუცილებელია ორი სულის შეერთება.

იქნებ ცხოველური ინსტინქტია? მაგრამ მაშინ ვინ მიანიჭებს ამას მნიშვნელობას? გონიერი კაცი კი არ ემორჩილება თავის ინსტინქტებს, არამედ თავის ნებასურვილს უმორჩილებს მათ.

ბოლოს როგორც იქნა გაერკვა. ეს იყო სავსებით ნორმალური და ნეიტრალური გრძნობა ყოველგვარი თავბრუდამხვევი სუბლიმატების და კოროზიული პრეციპიტატების გარეშე. უბრალო სიბრალულის გრძნობა, სიბრალულისა უდედმამოდ დარჩენილი სრულიად ახალგაზრდა გოგონასი, რომელიც იძულებული იყო ღვთის ანაბრად დატოვებული ხეიბარი ძმისათვისაც ეპატრონა, მას მოწყალების სათხოვნელად არ უშვებდა, თავის უკანასკნელ ლუკმას უყოფდა, ყიდულობდა მისთვის ძვირადღირებულ წამლებს, თვითონ ხმელა პურს და ვაშლს სჯერდებოდა და მაინც ემღერებოდა. თანაც ეტყობოდა, რომ პატიოსანი და კარგად აღზრდილი იყო, მასაც კი არ მოხედა.

ივანი საბოლოოდ დამშვიდდა, ქვანახშირის მტვრით დაფარული მშვენიერი სახის დანახვაზე მისდამი სიბრალულმა შემიტოკაო გული, ხოლო ამ ნამდვილი ნიმფას შეუდარებელ შიშველ ფეხებს და მუხლისთავებს რომ მოჰკრა თვალი, დაეწანა მხოლოდ, რომ მათ ქვანახშირის ნამტვრევებზე უხდებოდათ სიარული.

მისი აზრით ეს იყო მხოლოდ კაცთმოყვარეობის გრძნობა და გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაეღრმავებინა თავის გულში.

მეტაფიზიკა ამტკიცებს, რომ ქველმოქმედება, სიბრალული და მადლიერება სიყვარულსა და ნეტარებას ენათესავება, მაგრამ სწორედ ამიტომ მათი გაიგივება არ შეიძლება, ისევე როგორც დაძმური სიყვარულისა ცოლქმრულ სიყვარულთან.

რაღა თქმა უნდა, სულ სხვადასხვაა ღარიბი, ობოლი გლეხის გოგონასადმი სიკეთის გაწევა და მისი სიყვარული.

შემდეგ შაბათს, საღამოს მუშები ჩვეულებრივად მოვიდნენ ივანთან კვირის გასამრჯელოს მისაღებად. იგი თვითონვე ასრულებდა მოლარის მოვალეობასაც. ევილამ ყველაზე ბოლოს მიიღო ხელფასი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ის ხომ ყველაზე უმცროსი იყო.

პატარა სახლს ღია დერეფანი ებმოდა, სადაც საღებავგადაცლილ მაგიდას უჯდა ივანი და იმის მიხედვით უხდიდა ხელფასს, ვის რამდენი ჰქონდა ნამუშევარი.

ევილაც მივიდა მაგიდასთან, გარეთ ამხანაგები ელოდნენ.

გოგონა ისევე იყო ჩაცმული, ოღონდ წითელი ქვედა ტანის ბოლო ჩამოწეული ჰქონდა სამუშაოს დამთავრების შემდეგ. სახეზე ისევ ქვანახშირის მტვერი შეფრქვეოდა.

როცა მაგიდას მიუახლოვდა, ივანმა ფილოსოფიური სიმშვიდითა და ქველმოქმედის დიდსულოვნებით მიმართა:

— გადავწყვიტე დღეიდან ხელფასი ორმაგად გაგიდიდო.

— რატომ? — ჰკითხა ქალიშვილმა გაოცებით და თავისი დიდი, მოელვარე თვალებით შეხედა.

— შევიტყვე, რომ ავადმყოფი ძმა გყოლია, რომლის შენახვაზეც ნახევარი ხელფასი გეხარჯება და შენთვის კაბის ყიდვასაც ვეღარ ახერხებ. ვიცი, რომ პატიოსანი და წესიერი ხარ. მე ხშირად ვაჯილდოვებ ასე ჯარგი ყოფაქცევის ადამიანებს. დღეიდან ორმაგ ხელფასს მიიღებ.

— არა, არ მინდა. — უპასუხა ქალიშვილმა.

ახლა კი ივანმა ვეღარ დაფარა განცვიფრება.

— რატომ?

— სხვებზე მეტი რომ გადამიხადოთ, ყველა იფიქრებს, რომ მე თქვენი საყვარელი ვარ და მაშინ აქ, ამ სოფელში ვეღარ ვიმუშავებ, ამხანაგები წამომაძახებენ.

მისმა გულმართალმა, უბრალო და გაბედულმა პასუხმა ივანი განაცვიფრა და გაანაწყენა კიდეც, მაგრამ სიტყვები ვერ მოძებნა, რომ შეპასუხებოდა. იძულებული იყო, ისევ ძველებურად გადაეხადა მისთვის. ევილამ გულგრილად დაკეცა ბანკნოტები, მის თვალწინ ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე უბეში შეინახა, დაემშვიდობა, თავი დაუკრა და წავიდა.

ივანი გაოგნებული დაბრუნდა თავის ოთახში.

ასეთი რამ არასოდეს განუცდია. რამდენი წიგნი წაუკითხავს, სად არ უმოგზაურია, რამდენი ქალი არ უნახავს, მაგრამ იმის ახსნა, რასაც ახლა განიცდიდა, მას არ ძალუძდა.

არ უნდა ჩემ საყვარლად ჩასთვალონ! ეშინია რომ ვეღარ იცხოვრებს ამ სოფელში. ესე იგი იმდენიც კი არ იცის, რომ „ბატონის“ საყვარელს აღარ დასჭირდება ურიკით ქვანახშირის ზიდვა. არ იცის, რას ნიშნავს საყვარლობა, მაგრამ ის კი იცის, რომ უნდა მოერიდოს ამას. რა სერიოზულად ლაპარაკობს და რა ღიმილი აქვს! და ყოველივე ამას ანგარიშმიუცემლად აკეთებს, ნამდვილი ველურია ანგელოსის სახით.

უკვე იცის, რომ ლამაზია, მაგრამ ამ სილამაზის ფასი არ იცის. ისეთ საკითხებზე ლაპარაკობს, რისი მიხვედრაც სათნოებაა, ცოდნა კი უკვე ცოდვაა, დანაშაულია.

როგორ განსხვავდება ყველა ქალისაგან! იმათგანაც, ვინც ფეხშიშველა დადის და იმათგანაც ვინც ფარჩა-აბრეშუმით იწონებს თავს.

და ის ბოლოს მაინც ბიბლიური ევაა. ოღონდ არა ის, ვის შესახებაც წერენ არქეოლოგები, არამედ ის, ვინც პოეტთა შორის ყველაზე ღირსეულის—მოსეს წარმოდგენითაა შექმნილი. ევა, რომელმაც ჯერ არ იცის, რომ სიშიშვლე სირცხვილია, რომელიც თმებში ბაფთასაც კი არ იწნავს და ყელს ნიჟარების მძივით არ იმშვენებს, უდარდელად ეთამაშება გველს სამოთხის ბაღში. მამაკაცის თვალში უკვე ქალია, ხოლო თავის

თავს ჯერ ისევ ბავშვად თვლის, დედობრივ სიყვარულს გრძნობს ხეიბარი ძმისადმი. მისი სხეული პლასტიკური ხელოვნების ნიმუშია, სახეზე სიწმინდის ნათელი ადგას, თვალები ჯადოსნური აქვს, ხმა მგრძნობიარე, ხელით მიათრევს ურიკას, ყოველდღიურ ლუკმაზე ფიქრობს, სახე შავი მტვრითა აქვს მოსვრილი, და ათასგვარ სისულელეზე მღერის.

როგორ მეცოდები!

ცოტა ხნის შემდეგ კი გაიფიქრა:

რა სამწუხაროა, რომ იგი სხვას დარჩება!

ივანმა სულ დაკარგა ჩვეული სულიერი წონასწორობა.

ამაღლებულმა, არამიწიერმა სულებმა, რომლებთან ერთადაც აქამდე ცხოვრობდა, მიატოვეს იგი, მათი ადგილები ისეთებმა დაიკავეს, რომლებსაც სულ არ იცნობდა. დემონებმა, წმინდა ანტონი რომ აცთუნეს უდაბნოში, ღამის კოშმარებმა და ათასგვარმა მოჩვენებებმა.

რისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, არაფერი გამოსდიოდა, ქალიშვილის მაცდური სახე იდგა მასა და მეცნიერებას შორის. როგორც კი ქიმიურ ცდებს დაიწყებდა, გავარვარებული ქვანახშირი მის შავ თვალებს აგონებდა, მათი ელვარებაც სწვავდა. თუ რეაქციის დროს აირი მეტი რაოდენობით გამოიყოფოდა, მის თუხთუხშიც იმისი ხმა ჩაესმოდა. კალამს ბიღებდა რომელიმე ფორმულის ჩასაწერად, თავისდაუნებურად მისი სახის ხატვას იწყებდა. ფიქრით, გულით და გონებით მხოლოდ მას დასტრიალებდა.

ბოლოს დაობებულფურცლებიანი ძველი წიგნი აიღო, რომ ცოტა გული გადაეყოლებინა. მასში იმ დიდებულ მამაკაცთა ამბავი იყო მოთხრობილი, რომლებიც დაბალი წარმოშობის ქალებს აღმერთებდნენ. ლორდ დუგლასს მწყემსი ქალი შეუყვარდა, რაკი მან ჰერცოგინიობა არ მოისურვა, მილორდი თვითონ წავიდა მწყემსად და ერთად უვლიდნენ ცხვრის ფარას. გრაფმა პელეტიემ ცოლად მოიყვანა ბოშა ქალიშვილი და მოხეტიალე მუსიკოსი გახდა. შვედთა მეფე ბერნადტმა ხელი სთხოვა მებატე ქალიშვილს და იგი მხოლოდ იმიტომ არ გახდა მისი ცოლი, რომ თვითონ არ მოისურვა. ჰაბსბურგ-ლოტარინგიის ჰერცოგმა იანოშმა ცოლად ითხოვა სოფლის ფოსტმეისტერის ქალიშვილი, ავსტრიის მეორე

ჰერცოგმა კი პროვინციელი მსახიობი ქალი. პეტრე დიდის მეუღლე სოფლის მღვდლის ქალიშვილი იყო. ნაპოლეონის წინაპარმა ცოლად მოიყვანა მრეცხავი ქალი, რომელიც ადრე მისი საყვარელი იყო.

ან კი რატომაც არა? განა უხეში ტილოს სამოსელის ქვეშ არ შეიძლება იფარებოდეს მშვენიერი სხეულის სილამაზე და ერთგული გული?

პირიქით! განა იქ, ბრწყინვალე საზოგადოებაში დიდებული ქალები ნაკლებ სცოდავენ?

ზორაია ალბოჰა

თავის თავს ხედავს ისეთს, როგორიც იქნებოდა იგი, თავისი თავი თვითონ რომ შეექმნა. მელოტებს სიზმარში თავი ხუჭუჭთმიანებად ეჩვენებათ.

არსება, რომელსაც ღმერთებთ და მიუწვდომელია თქვენთვის, სიზმარში თავის ფეხით მოვა, როცა კი ინატრებთ.

სიზმარი მეტად ვერაგი მაჭანკალია.

შემდეგი კვირის ბოლოს ივანმა იგრძნო, რომ დაკარგა გონივრული მსჯელობის უნარი.

და რაც უფრო ცდილობდა დაბრუნებოდა აბსტრაქტულ თეორიებს, მით უფრო მეტ ძალას აცლიდნენ დემონები.

ერთ საღამოს ქლორიანი აირით ცდას რომ ატარებდა, ძალიან გააცეცხლა ამბუხი და გაუსკდა. ქვანახშირი და შუშის ნამსხვრევები სახეში შეეყარა. იძულებული გახდა ჭრილობებზე და ყანაკაწრებზე ინგლისური პლასტირი დაეკრა. და რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა სანახავი იყო ასეთი ცხვირ-პირით.

ამ შემთხვევამ მხოლოდ გააგულისა საკუთარ თავზე.

ეს ნამდვილი უაზრობა იყო და აუცილებლად როგორმე წერტილი უნდა დაესვა მისთვის. ან ისე, ან ასე.

„კარგი, აბა გაგიჟდი ბარემ! თუ გიყვარს, ამას ადვილად ეშველება, ადექი და ცოლად შეირთე! შენ თვითონა ხარ შენი თავის ბატონ-პატრონი! ვერავინ დაგიშლის! შეირთე ცოლად და საქმეს მიხედე. ასე ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება.

მესალიანსე!?

ალბათ მთელს ოლქში ექვსი მილის მანძილზე არ მოიძებნება კაცი, რომელსაც ეცოდინება ამ სიტყვის მნიშვნელობა.

და თუნდაც მოიძებნოს ასეთი?

ჩამომყვეს მიწის ქვეშ, ნახოს როგორ დავდივარ იქ ქვანახშირის მტვრითა და ჭვარტლით გამურული და მნახოს თუ გავწითლდები ამ მეზალიანსის გულისთვის“.

მთელი კვირა, შაბათამდე, ქალიშვილი ვერსად ნახა.

შაბათს კი, როგორც ყოველთვის, გამოჩნდა დერეფანში ხელფასის მისაღებად.

ამჯერად ივანმა ფული გადაუთვალა და მის ასაღებად გამოწვდილი ხელი დაუჭირა. ქალიშვილმა გაუღიმა. შესაძლოა მის

სახეზე აქა-იქ ირიბულად დაწებებულმა შავმა პლასტირმაც გააცინა.

— ყური მიგდე, ევილა, რაღაც მინდა გითხრა.

ქალიშვილმა უხმოდ შეხედა.

— მინდა ცოლად შეგირთო.

ქალიშვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რაო, არ გინდა? — ჰკითხა გაოცებულმა ივანმა.

— არ შეიძლება!

— არ შეიძლება? რატომ?

— იმიტომ, რომ მე საქმრო მყავს, დანიშნული ვარ.

ივანმა ხელი უშვა.

— ვინ არის?

— არ გეტყვით! რომ გაიგოთ, გააგდებთ აქედან, ან აღარ დააწინაურებთ და ის კი, ვიდრე მემალაროე არ გახდება, ვერ შემირთავს.

— ესე იგი შავი მუშაა?

— დიახ.

— და ის გირჩევნია ჩემს თავს?

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა, თავი დახარა და ივანს ალმაცერად ყურება დაუწყო, რომელიც მისმა შემოხედვამ სულ დააბნია. ბოლოს თავი ასწია და გაბედულად უპასუხა:

— მშობლების სურვილი იყო მას ბივთხოვებოდი და ბავშვობიდანვე დამნიშნეს მასზე.

— ეშმაკსაც წაუღია შენი მშობლები! —თავისდაუნებურად აღმოხდა ივანს. — მე სულ არ მეკითხება რას შეჰპირდნენ ისინი რომელიღაც პირუტყვს! მე გირჩევნივარ, თუ ის?

ევილამ ისევ გაიქნია თავი უარის ნიშნად.

— შეუძლებელია! თქვენ მას არ იცნობთ, არც ჩემი მოკვლა გაუჭირდება და არც თქვენი მაღაროს აფეთქება! ღამე მშვიდობისა!

მან სირბილით გაიარა დერეფანი და კართან მდგარ ამხანაგების ჯგუფს შეერია.

ივანმა ისეთი ძალით დაახეთქა თავისი საბუღალტრო წიგნი მაგიდაზე, რომ ფურცლები აქეთ-იქით გადაცვივდა!

— გლეხუჭა, პირუტყვი! უარჰყო ჩემი სიყვარული! და მერე ვისი გულისთვის!

ისეთივე ჭუჭყიანი და ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი საცოდავი მიწის მუშისთვის, როგორიც თვითონ არის! მიწის ქვეშ რომ ატარებს მთელ თავის სიცოცხლეს! თხუნელასათვის!

ღამე, მარტო რომ დარჩა, ივანი გააფთრებულ ბრძოლაში ჩაება.

მას ასმოდეი და ლევიატანი ელოდნენ.

ერთი იმათი მაცთუნებელი ეშმაკია, ვინც სიყვარულისაგან გიჟდებიან, მეორე მათი, ვინც გონების დაბნელების ჟამს მკვლელი ხდება.

მასში ასკეტის მიძინებულმა ვნებამ იფეთქა ანაზდად.

ო, ძრწოდეთ გულცივი წმინდანების მარმარილოსებრი სახის წინაშე, გეშინოდეთ მშვიდი, უწყინარი, წესიერი ადამიანებისა, ულამაზესი ქალის დანახვაზე პირს რომ იბრუნებენ ხოლმე, რადგანაც თუ ერთხელ იფეთქა მათში ჩამქრალმა ალმა, მას ვეღარაფერი დაუდგება წინ, მოითხოვს ტყვეობაში გატარებული წლების ანაზღაურებას. თავქარიანი კაცის სიყვარული ფინია ძაღლივითაა, განდეგილისა კი ლომს უტოლდება!

ივანმა იგრძნო, რომ ამ ლომმა გაიღვიძა მის გულში, მთელი ღამე ბორგავდა და ადგილს ვეღარ პოულობდა, ხან წინ და უკან დადიოდა, ხან ისევ საწოლზე დაემხობოდა, მაგრამ მის თეალებს ძილი არ ეკარებოდა. სატანადქცეული დემონები გონებას ურევდნენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ.

მის თავში ირეოდა იშვიათ ინკუნაბულებში ამოკითხული ამაზრზენი ამბები იმ ადამიანებზე, რომლებიც თითქმის წმინდანებად ითვლებოდნენ მთელ იმ მხარეში და საყოველთაო ბატივისცემით იყვნენ მოსილნი, მაგრამ უეცრად ვიღაცის შავმა თვალებმა აურიათ გონება და მკვლელებად აქცია. მას თვალწინ წამოუდგა ჩენჩი, რომელსაც დაწყევლილი ადამიანის სისხლით მოუხდა დაწყევლილი კოცნის ჩამორეცხვა. ნინონის ვაჟიშვილი, რომელმაც თავი მოიკლა იმიტომ, რომ თავისი ულამაზესი დედა შეუყვარდა, ოიდიპოსი და მირრა, სალომე, რომელმაც წმინდა იანოშის თავი მიიღო ჯილდოდ ერთი ცეკვისთვის, თამარი, აბესალომის მიერ დაფლეთილი კაბით. დინა განადგურებულ ქალაქთან დახოცილი კაცების გვამთა

გორაზე, სულთანის მეუღლის ირენის მომღიმარი თავი, მოკვეთილი მოყვარული ქმრის მიერ... მაგრამ რა საჭიროა ეს წმინდა ზღაპრები? ხომ არსებობს პიტავალიც![1] საშინელი ფსიქოლოგიური გამოცანა, როდესაც წმინდანობიდან სატანად გადაქცევა ელვის სისწრაფით ხდება.

ივანს ახლა კარგად ესმოდა იმ მღვდლისა, რომელსაც ისე ძლიერ შეუყვარდა ერთი ლამაზი გლეხის ქალი, რომ ვითომდა აღსარების სათქმელად შეიტყუა თავის ოთახში და მოკლა მხოლოდ ერთი კოცნის გულისთვის. შემდეგ, რომ აღარ იცოდა რა ექნა გვამისთვის, ნაწილებად დასჭრა, ერთი მდინარეში ჩააგდო, მეორე მიწაში დამარხა და მესამე დაწვა.

ოჰ, ახლა ივანსაც შეეძლო მსგავსი რამ ჩაედინა და იმ მღვდელზე უარესიც.

მისთვის კარგად იყო ცნობილი სასწაულმოქმედი ტკბილი საწამლავები, სისხლს რომ უდუღებს ადამიანს და სირცხვილის გრძნობას უკარგავს. მარტო ბანკ-ბანის მეუღლე ხომ არ შეუცდენიათ ამ საწამლავით. ოღონდ, ვინც ამას მიიღებს, შემდეგ გიჟდება, ჩამოხმება და საბოლოოდ კვდება.

მერე რა, თუ ის დაიღუპება, თუ მოკვდება? გადაიქცევა გვამად, რომელსაც ვეღარაფერს სთხოვ! მაშინ მოუძებნის მყუდრო სამუდამო თავშესაფარს.

როცა ტბის წყალი ქვანახშირის გამოქვაბულს დატოვებს, მის საიდუმლოებითმოცულ ლაბირინთებში ასეთი ადგილის პოვნა ძნელი არ იქნება, აი იქ დავმალავ მოკლული ქალიშვილის გვამს. აზრადაც არავის მოუვა იქ მისი მოძებნა. ეს ყველაზე საიმედო ადგილია, ტბის წყალი არ გასცემს ამ საიდუმლოს. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, როცა ამ კლდესაც გადათხრიან, ადამიანები წააწყდებიან თითქმის გაქვავებულ, კრისტალებით დაფარულ გვამს და მაშინდელი მეცნიერები მთელ ტომებს შექმნიან იმაზე თუ როგორ, საიდან აღმოჩნდა ეოცენის ეპოქაში ადამიანის ნეშტი ქვანახშირისა და ძოწის ფენებს შორის.

ჰაჰაჰა!

---

[1] ფრანსუა გაიო პიტავალი (1673—1743) — ფრანგი ეწვალებინიერისტი. მის ცნობილ წიგნში „პიტავალი" აღწერილია სხვადასხვა დანაშაულებანი.

სიცილი დაიწყო. აი სადამდე მივიდა.

ანდა სხვაგვარადაც შეიძლება, ქიმიური დაშლის გზით, გამოვყოთ მისი სხეულიდან მეტალი, სადნობ ღუმელში გამოვაცალოთ მას წიდა და გამოვადნოთ მისგან სამაჯური, რომელსაც მუდამ ვატარებთ ხელზე.

ეს იქნებოდა დანიშვნა, ქორწინება!

რატომაც არა! თუკი ათასობით ვარსკვლავს შეუძლია წინაღუდგეს ღმერთს, მზეს, ამოვარდეს ორბიტიდან და იხეტიალოს ნებისმიერ პარაბოლებზე უძრავ ცთომილებს შორის, რატომ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ამდენი თავისუფლება?

ივანი თავს კომეტად გრძნობდა, რომელსაც საკუთარი შინაგანი ცეცხლი უსასრულობისკენ მიაქანებდა. გული ისე უცემდა, თითქოს განთავისუფლებული მონა ყოფილიყოს, რომელიც ახლა თვითონ მბრძანებლობდა.

ვაი იმას, ვინც ახლა წინ აღუდგებოდა!

ამ უჩვეულო გულისცემამ ივანი საწოლიდან წამოახტუნა.

როგორ, „ვინ“ არის ეს? ჩემი გული?

ვინ არის ჩვენს შორის მბრძანებელი?

ივანი წელში გასწორდა და თავისი მაგრად მოკუმული მუშტი ისეთი ძალით დაირტყა მკერდში, თითქოს მოსისხლე მტრის წაქცევას აპირებდა. ძალა კი მართლაც გასაოცარი ჰქონდა.

ხომ გესმის?

ვინ არის მბრძანებელი? შენ თუ მე?

შენს საქმეს მიხედე, მონავ! მე ვარ შენი ბატონი და ხელმწიფე! შენი საქმეა ვენებიდან მიიღო ნახშირჟანგიანი სისხლი, გადაამუშაო და გაუშვა ფილტვებში, თვალყური ადევნო წნევის მდგომარეობას არტერიებში! შენი დაავადებებია ატროფია და გიპერტროფია, მაგრამ ბრძანების უფლება არა გაქვს! ბრძანებებს აქ მე ვიძლევი!

და როცა ივანმა უმოწყალოდ ჩაიკრა მუშტი მკერდში, თითქოს ჯადოსნურ სარკეში დაინახა საკუთარი ორეული და მასთან დაიწყო ბრძოლა. მის წინ თითქოს იდგა ადამიანი, რომლის თვალები მეტყველებდნენ იმაზე, რომ ცოდვის ჩადენა სწყუროდა, სახის ნაკვთები კი საოცრად ჰგავდა მისას.

ივანი გამეტებით ურტყამდა მუშტებს თითქოსდა მის წინ

მდგარ აჩრდილს და თავისთვის იმეორებდა: „იცოდე ასეთი აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა!“

და თითქოს მართლაც მაგიური ძალით, რომელსაც დემონის დაპყრობაც შეეძლო, დაამარცხა და აიძულა თავისი გული დამშვიდებულიყო, დამჯდარიყო მასთან ერთად საწერ მაგიდასთან, გულგრილად თვალყური ედევნებინა გამოსაანგარიშებელი ფორმულებისათვის და მარადიული მათემატიკური ცნებებისათვის, ვიდრე მის ირგვლივ სისხლისფრად ჩამუქებული ატმოსფერო თანდათან ვარდისფერ ნისლში არ დაიბურა და ბოლოს სულ გამქვირვალე არ გახდა, როგორც ეთერი, რომელშიც მოძრავი პლანეტები ისმენენ სფეროთა მუსიკის ჰანგებს, ადამიანთა სმენისთვის მიუწვდომელს.

კაციჭამია

ივანს საწერ მაგიდასთან დაათენდა.

როცა ირიჟრაჟა და განთიადის შუქის ანარეკლი ღამის ნათურის შუქს შეუერთდა, თანდათან გონს მოვიდა.

მან შეიმუშავა გეგმა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეესრულებინა.

ეს გეგმა ისეთი კეთილშობილური იყო, რომ ანგელოსების ნაკარნახევი გეგონებოდათ.

კვირა დილა გათენდა.

საკოქსავი დანადგარი ამ დღეს ჩვეულებრივ ისვენებდა. წყლის დიდი აუზი, რომელიც ორთქლის ტუმბოებისათვის იყო განკუთვნილი, ამ დღეს მუშებს ეთმობოდათ დასაბანად.

დილის 6 საათიდან 7 საათამდე ქალები ბანაობდნენ, რვის ნახევრიდან 9 საათამდე კაცები.

შაბათ საღამოს ივანი ტუმბოს დანადგარის ოთახის გასაღებს ყოველთვის მექანიკოსს უტოვებდა, რომ იქ თავხედი, უტიფარი ცნობისმოყვარენი არ მოხვედრილიყვნენ. მას არასოდეს მოსვლია აზრად, რომ შეიძლებოდა ეს გასაღები ოდესმე დასჭირებოდა.

ოთახში, სადაც ტუმბო იყო მოთავსებული, აუზის მხარეს

პატარა სარკმელი გადიოდა, საიდანაც თვალყურს ადევნებდნენ წყლის დონის ცვალებადობას.

კვირაობით ექვსიდან შვიდ საათამდე აქედან თვით ოლიმპოს ღმერთების საკადრისი სანახაობა იშლებოდა!

ევილაც აქ ბანაობდა!

ივანმა გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

მაგრამ ამ ოთახში მხოლოდ რვა საათის შემდეგ შემოვიდა.

მას კაცებისათვის უნდოდა შეეევლო თვალი.

რატომ?

მან კარგად იცოდა მაღაროელთა ჩვეულება, ვისაც შეყვარებული ან საცოლე ჰყავდა, აუცილებლად ამოსვირინგებული უნდა ჰქონოდა სხეულზე მისი სახელი. და მას სწორედ იმ მამაკაცის დანახვა აინტერესებდა, ვისაც ევილას სახელი ექნებოდა ამოსვირინგებული.

როგორ მიაღწია მაღაროელებამდე ველური ინდიელების ჩვეულებამ? ეს უკვე დიდი ხნის ამბავი იყო. ახლა კი ევროპაშიც შეხვდებოდით ამას.

შეყვარებული ქალის სახელს იწერენ მხარზე და ხელზე და შემდეგ ქინძისთავით ჩაიზელენ მასში ბერლინის ლაჟვარდს ან სინგურს. წარწერა სამუდამოდ რჩება. უმეტეს შემთხვევაში სახელს ზემოთ ამოსვირინგებული აქვთ ორი გული ისრით, ან ორი მტრედი, ან მაღაროელთა ნიშანი: ჩაქუჩი და წერაქვი.

ამ მოდას ზოგჯერ ქალებიც მისდევენ, ოღონდ გაუთხოვრები.

ზოგჯერ, თუ ღარ სურთ ამოსვირინგებული სახელის ტარება და უნდათ ამოშალონ თავიანთი ცოცხალი ალბომიდან, ესეც არ არის ძნელი. დაიკრავენ ამომწოვ სალბუნს და კანთან ერთად მოაცილებს წარწერას. ჭრილობა ადვილად განიკურნება. ახალმოსულ კანზე თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ ახალი სახელი ამოისვირინგონ. ნამდვილი პალიმფსესტია. ზოგიერთი ერთი სახელის გვერდით მეორეს ამოისვირინგებს, შემდეგ მესამეს და ა. შ. სანამ თავისუფალი ადგილი ექნება.

ივანმა სულ ადვილად აღმოაჩინა ვისაც ეძებდა. როგორც კი ქვანახშირის მტვერი და ჭუჭყი ჩამოირეცხეს ერთ-ერთის

მხარზე მან დაინახა ევილას სახელი. ასოები ლურჯი იყო, მის ზემოთ ორი გული კი — წითელი.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საზრიანი და მუყაითი მუშა, პეტი საფრანი, რომელსაც ამხანაგები მეტსახელად „კაციჭამიას“ ეძახდნენ.

ივანს დიდი ხანია შენიშნული ჰყავდა იგი, მეტად თავისებური ახალგაზრდა იყო.

ლაპარაკი არ უყვარდა, არასდროს არავის წაჩხუბებია და მაშინაც კი, როცა ვინმე დასცინოდა და აბრაზებდა, თითქოს არ ესმოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა, თავის საქმეს აკეთებდა. ჩივილი და წუწუნი არ უყვარდა, არც ეკლესიაში დადიოდა, არც სამიკიტნოში.

განსაკუთრებით ბავშვებს ემტერებოდა, თუ სადმე თვალს მოჰკრავდა, ესროდათ რაც ხელში მოხვდებოდა. ყველას ეშინოდა, მის დანახვაზე ქალები ბავშვებს მალავდნენ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ძნელი არ იყო მისი გულის მოგებაც.

როგორც კი შეიტყო, რაც აინტერესებდა, ივანი შინისკენ გაემართა, მაგრამ კარებში შედგა და შეიცადა, სანამ მუშებმა მახლობელი სოფლის ეკლესიისკენ არ გასწიეს წირვაზე დასასწრებად. მათთან იყო ევილაც.

ახლა მას უკვე გულგრილად, წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით აკვირდებოდა. და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი სახის განსაკუთრებული თავისებურება, რაც მას ესოდენ მომხიბლაობას ანიჭებდა, იმაში მდგომარეობდა, რომ მასში შეერთებული იყო რამდენიმე რასის ნიშანი. კიუვე ანსხვავებს ადამიანთა 3 განსაკუთრებულ რასას, ბლუმენბახი ხუთს, პრიჩარდი შვიდს, დემულენი თექვსმეტს.

ამ ქალიშვილში ურალურ-ალტაურ ნიშნებთან ერთად შერწყმული იყო არამეული და ნაწილობრივ ავსტრო-კავკასიური. პატარა ხელები და ფეხები, აშოლტილი ტანი, სწორი, ვიწრო შუბლი, თხელი ცხვირი, მშვენიერი შავი თმა ინდური ჰქონდა, ზემოთაწეული ზედა ტუჩი და მოშვილდული წარბები სლავიანურ-სკვითურ წარმოშობაზე მეტყველებდნენ, დიდი მოელვარე თვალები არამეული რასისთვისაა დამახასიათებელი, ნიკაპი და სახის ფერი მალაიური ჰქონდა, გაწითლების

უნარი კი კავკასიური რასის დამახასიათებელია მხოლოდ და ქსოვილის უჯრედთა განსაკუთრებული აგებულებით აიხსნება.

ყოველივე ამან გაუელვა თავში ივანს, როცა ევილამ სულ ახლოს ჩაუარა.

გაუკვირდა, რომ საქმრო გვერდით არ მიჰყვებოდა ეკლესიაში. ის კი მაღაროს ჰაერის გამწმენდი ღუმელის წინ ჩამომჯდარიყო, ნიკაპით ხელებს დაყრდნობოდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა.

ივანი მიაუხლოვდა.

— დილა მშვიდობისა, პეტი!

— დილა მშვიდობისა.

— აქ რას აკეთებ?

— მიწის წიაღიდან ამობერილ ნიავს ვუგდებ ყურს.

— ეკლესიაში რატომ არ წახვედი?

მუშამ ახედა ბატონს და კითხვითვე უპასუხა:

— თქვენ თვითონ რატომ არ წახვედით?

— მე კალვინისტი ვარ და აქ ასეთი ეკლესია არ არის.

— ესე იგი თქვენ იმქვეყნად ჯოჯოხეთში მოხვდებით.

— მე ვლოცულობ, როცა მარტო ვარ.

— მე კი არასოდეს ვლოცულობ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დანაშაულს არაფერს ჩავდივარ, არ ვქურდობ და თუ ღმერთი არსებობს, ყოველივეს უნდა ხედავდეს

— მართალი არა ხარ, პეტერ! ამ მხრივ განსხვავებაა განათლებულ ადამიანსა და გაუნათლებელს შორის. მე ყოველგვარი განსაცდელის ჟამს ცოდნა და ფილოსოფია მანუგეშებს, ისინი განმიფანტავენ ყოველგვარ ეჭვებს, გონება და მოქმედების შედეგის წინასწარჭვრეტა მიფარავს ცთუნებისაგან. მაგრამ შენისთანა ადამიანებისთვის, ვინც მხოლოდ ფიზიკურად შრომობს და ცოდნა არ გააჩნია, აუცილებელია რწმენა ნუგეში და ცოდვებისაგან განწმენდა.

— მღვდელი ამას ვერ შესძლებს, — პირქუში გამომეტყველებით წარმოსთქვა მუშამ და მოღუშული სახით ახედა ივანს

— შენ რაღაც დიდი დარდი გაქვს მგონი, პეტერ.

— მართალი ხართ.

— რაღაც კაეშანი გაწევს გულზე და სულს გიხუთავს.
— სულსაც და მთელ სხეულსაც!
— სიიდუმლოა?
— არა, თუ გაინტერესებთ, გიამბობთ.
— ხომ არ მოგიკლავს ვინმე?
— ეს მკვლელობაზე უარესია!
— და არ გეშინია ამის გამხელისა?
— თუნდაც ბაზრის მოედანზე ვიყვირებ ხმამაღლა. ხალხისა არ მეშინია. ბევრმა იცის კიდევაც ამის შესახებ! თუკი არ შეგეზიზღებათ, მომისმინეთ.
— დაიწყე.
— ოცი წლისა რომ გავხდი, ბედის საძებნელად გავწიე. ტრიესტის გემზე ცეცხლფარეშად მოვეწყე. გემს ფქვილი მიჰქონდა ბრაზილიაში. იქ მშვიდობიანად ჩავედით, აქეთ წამოსელისას დავტვირთეთ გემი ყავით და ბამბით და გამოვემგზავრეთ. როგორც კი ეკვადორი გადავლახეთ, ქარიშხალი ამოვარდა, ტორნადო!.. გემს ანძები სულ შემოახია, რიფს მიაჯახა და ჩაძირა. მგზავრების ნაწილი კანჯოში გადასხდა, მაგრამ ცოტა გაცურეს თუ არა, გადაუბრუნდათ და ყველანი დაიხრჩვნენ. დანარჩენებმა გემის ნატეხებისაგან ტივი შევკარით, დავსხედით ზედ და მივენდეთ ზღვას. სულ ოცდაცხრამეტნი ვიყავით გემის კაპიტანსა და შტურმანთან ერთად. ჩვენთან ერთად იყო ერთი რიოდეჟანეიროელი ვაჭარი ცოლით და სამი წლის ვაჟიშვილით. სხვა ყველა დაიღუპა, მაგრამ შეიძლება ისინი უფრო ბედნიერნი იყვნენ! ისინი სულ არ გაწვალებულან, თვალისდახამხამებაში დაიხრჩვნენ. იმ ოცდაცხრამეტი კაციდან ტივზე ჩემიანად ბოლოს ცხრანი დავრჩით. ნეტავი მეც მათთან ერთად დავღუპულიყავ! 8 დღე იქეთ-აქეთ გვახეთქა ტალღებმა. ჰორიზონტზე მიმოდიოდნენ გემები, მაგრამ ვერავინ შეგვნიშნა. ბოლოს თითქოს განგებ დაწყნარდა აბობოქრებული სტიქია და შუა ზღვაში ერთ ადგილს მიგვაჯიჯქვა. არც საჭმელი გაგვაჩნია და არც წყალი. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში 10 კაცი მოკვდა შიმშილით და ავადმყოფობით. მზე ისე საშინლად აცხუნებდა, გვეგონა, ქვემოდანაც ცეცხლი გვქონდა შემონთებული. გაგიჟებას აღარაფერი გვაკლდა.

საღამოს გადავწყვიტეთ ერთ-ერთი ჩვენთაგანი შეგვეჭამა,

ჩავყარეთ ქუდში ქაღალდის ნაგლეჯები ჩვენი სახელებით და ეამოღება მივანდეთ ბავშვს.

. მან თავისი სახელი ამოიღო.

ნება მომეცით, ბატონო, აღარ მოგიყვეთ, რა იყო შემდეგ.

ხშირად როცა მე ეს ამბავი მესიზმრება, როგორც კი გავიგონებ მისი უბედური დედის წყევლას, რომ აღარასოდეს გვეგრძნო მოსვენება ამ საშინელი ღრეობის შემდეგ, წამოვვარდები ხოლმე ლოგინიდან გაშმაგებული, მივრბივარ ტყეში და ველოდები, როდის გადავიქცევი მგლად. ვინ იცის იქნებ ასე აჯობებდა კიდევაც ჩემთვის!

ცხრავე, ვინც კი მისი ხორცი შევჭამეთ, ცოცხლები გადავრჩით. აი, რა მაწვალებს დღეცა და ღამეც, აი, რამ დამიკარგა მოსვენება!

სხვისი სისხლი სჩქეფს ჩემს ძარღვებში და გონებას მირევს. თავში ათასგვარი კოშმარული აზრი მიტრიალებს, მეჩვენება, რომ დადგება მკაცრი განკითხვის ჟამი, ჩვენს მიერ შეჭმული ბავშვის ჩონჩხი ჩამოივლის თითოეულ ჩვენგანთან და მოგვთხოვს დაუბრუნოთ მისი სისხლი და ხორცი.

ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ ადამიანის ხორცის ჭამას უკვალოდ არ ჩაუვლია, კაციჭამიად მაქცია. ახლა კარგად მესმის კაციჭამიებისა! როგორც კი ლოყებღაჟღაჟა ჩასუქებულ ბავშვს დავინახავ, სულ ნერწყვი მომდის, ერთი სული მაქვს ვუკბინო. სუსტი ბავშვების დანახვაზეც მხეცი იღვიძებს ჩემში, ეს რაღა სასიცოცხლოა-მეთქი ვფიქრობ, იქნებ სჯობდეს, დავავლო ხელი და...

ერთხანს შეჩერდა, ენა აღარ ემორჩილებოდა, კანკალი აუვარდა და რაღაც არაადამიანური ხმით დაიღმუვლა. მერე მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო:

— ახლა მითხარით, ბატონო, რომელ ეკლესიას ძალუძს მიხსნას ამგვარი ტანჯვისაგან, ანდა არსებობს ამქვეყნად ეამის წამალი? რომელი მღვდელი განმწმენდს ამგვარი ცოდვისგან, ანდა რომელ ექიმს შეუძლია ჩემი განკურნება? მოვუყევი ეს ამბავი მღვდელსაც და მიბრძანა, მარხვა შეინახე და მოინანიეო. ექიმს რომ მივმართე, არაყი აღარ დალიოო. ესეც ვცადე, მაგრამ არაფერმა მიშველა, პირიქით.

— გირჩევ ცოლი ითხოვო! — უთხრა ივანმა.

გაოცებულმა საფრანმა შეხედა ბატონს და სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაუარა.

— მაგაზეც ვიფიქრე, ვინ იცის, საკუთარი შვილები რომ მყავდეს, სხვების სიძულვილი გამიქრეს.

— მერედა, რატომ არ ირთავ ცოლს?

— ეჰ! „ღარიბი კაცის ბედნიერებაზე ღმერთს ალბათ არ უფიქრია!“ ჯერ იმაზე უნდა ვიზრუნო, რითი შევინახო ოჯახი?

— ამაზე ზრუნვა არ დაგჭირდება. შენი მუშაობით კმაყოფილი ვარ. უკვე დიდი ხანია ვფიქრობ შენს გადაყვანას წოლხვრელში, მაგრამ ველოდი, როდის შეირთავდი ცოლს. მე ასეთი წესი მაქვს, მეტხელფასიან სამუშაოზე მხოლოდ ოჯახის პატრონები გადამყავს. გამოცდილებით ვიცი, რომ მარტოხელა კაცი მომატებულ ხელფასს მხოლოდ სმას მოახმარს და გალოთდება, ცოლიან კაცს კი მეტად ვენდობი, ვიცი, რომ ადგილს გაუფრთხილდება. აბა შენ იცი, იფიქრე ამაზე! როგორც კი მეტყვი რომელიმე კვირადღეს, რომ ცოლს ირთავ, ორშაბათს უკვე წოლხვრელში დაიწყებ მუშაობას და ბინასაც მიიღებ.

პეტერს ცრემლი მოადგა თვალზე. მუხლებზე დაეცა ივანის წინ, ფეხებზე მოეხვია და რაღაცა ჩაილუღლუღა.

— აბა? რა გადაწყვიტე? — ჰკითხა ივანმა გულუხვი კეთილისმყოფელის ტონით. — ხომ იცი, დღეს კვირაა!

მუშა ფეხზე წამოდგა, თვალები ამოიწმინდა, მაგრამ თავგზა ჰქონდა ამ მოულოდნელობისაგან აბნეული და აღარ იცოდა, რა ექნა.

ისევ ივანი მიეხმარა.

— წირვა ჯერ არ უნდა იყოს დაწყებული, ხალხი მისულიც არ იქნება ეკლესიაში, თუ იჩქარებ, დაეწევი, საცოლესაც მოელაპარაკები და მღვდელსაც.

მუშამ არაფერი უპასუხა, ერთხანს იდგა ასე გაქვავებულივით. მერე უცებ მოწყდა ადგილს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა მოკლე გზით. ქუდიც კი იქ დარჩა, ივანმა წამოიღო, რომ არ დაკარგულიყო. ის გაჰყურებდა გაქცეულ პეტერს, სანამ თვალს არ მიეფარა.

„რა სულელია!“

შინდაბრუნებულმა ივანმა ჩაიწერა თავის წიგნაკში, რომ შავი მუშა პეტერ საფრანი მომავალი კვირიდან გადაჰყავდა სამუშაოდ წოლხვრელში და უმატებდა ხელფასს. მის მაგივრად კი საჭირო იყო სხვა დაექირავებინათ.

— „აბა, კმაყოფილი ხარ ჩემით? — ჰკითხა გულმა, — გულქვა მბრძანებელო, დიდო ბატონო?“

მაგრამ ივანმა ცივად უპასუხა.

— მე არა მჯერა შენი, ვეღარ გენდობი, ერთხელ უკვე მიღალატე, ახლა მუდამ ფხიზლად ვიქნები. იქნებ შენ ფიქრობ, რომ ქალიშვილი გათხოვების შემდეგაც ასეთივე ლამაზი იქნება და უფრო ადვილად დასაყოლიებელი? არა, ამის იმედი ნუ გექნება, ყველა გზას მოგიჭრი! ვეღარ მომატყუებ! აბა დამაცადე!

ივანმა ისევ თავისი წიგნაკი გადაშალა, გადახედა ჩანაწერებს და დარწმუნდა, რომ უკვე შეეძლო მმართველი აეყვანა წელიწადში ათასხუთასი ფორინტი ხელფასით.

მაშინვე დაწერა განცხადება და გაგზავნა გერმანულ და ფრანგულ გაზეთებში, რომლებიც საზღვარგარეთ გამოდიოდა.

ამის შემდეგ აუცილებელი აღარ იქნებოდა ყოველდღე შეხვედროდა თავის მუშებს.

ფულის მკეთებელი

საზღვარგარეთის გაზეთებში განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ, ერთ შაბათ დილას პეტერი ივანთან მივიდა და მოახსენა ორი ბატონი ჩამოსულა და მაღაროს დათვალიერება უნდათო. მისი აზრით უცხოელები უნდა ყოფილიყვნენ, ერთმანეთს ფრანგულად ელაპარაკებოდნენ. პეტერმა ცოტაოდენი ფრანგული იცოდა, მეზღვაურად მუშაობისას ჰქონდა ნასწავლი.

— ახლავე დავამთავრებ, — უპასუხა ივანმა და თან ფრთხილად ჩაწურა ქეჩის ძაბრში რაღაც მომწვანო სითხე. — მანამდე კი იმათთვის სპეც-ტანსაცმელი მოამზადე, წოლ-

ხვრელში თავიანთი უკანასკნელ მოდაზე შეკერილი ტანსაცმელით ხომ ვერ ჩამოვლენ!

— ყველაფერი მზად გახლავთ, მხოლოდ თქვენ გელოდებიან.

— მოვდივარ. შენი საქმეები როგორ არის?

— ქორწინების? ყველაფერი რიგზეა. ხვალ მესამედ გაიოაცხადებს მღვდელი ჩვენს შესახებ ეკლესიაში.

— როდის იწერთ ჯვარს?

— ახლა საშობაო მარხვაა და ქორწილის გადახდა არ შეიძლება. როგორც კი მარხვა ჩაივლის, წყალკურთხევის შემდეგ პირველსავე კვირას ჯვარს დავიწერთ. მანამდე კი ცოტა ფულს დავაგროვებ, ცოლის შერთვას რომ დააპირებს კაცი, ოჯახისთვის ხისა და თიხის ჭურჭელი მაინც უნდა შეიძინოს და ცოტა ცხიმიც მოიმარაგოს ზამთრისთვის.

— შენ აქამდე სულ არაფერი დაგიზოგია?

— როგორ არა, ბატონო! ასორმოცდაათი ფორინტი მქონდა, კაპიკს კაპიკზე ვადებდი, სიგარეტსაც არ ვეწეოდი, მაგრამ ამას წინათ სამხედრო კომისია ჩამოვიდა და იძულებული გავხდი მთელი ჩემი დანაზოგი ფერშლისთვის მიმეცა, რომ სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ჩავეთვალე. მომცა ცნობა, რომ ელამი ვარ, მე მართლაც შემიძლია რამდენიმე წუთით თვალები დავიელმო, და ასე გადავრჩი გაწვევას. ასე გაჰქრა ჩემი ასორმოცდაათი ფორინტი. ჯვრისწერის დროსაც ეს ეშმაკობა უნდა გამოვიყენო, მღვდელიც ხომ მხოლოდ იმათ სწერს ჯვარს, ვინც სამხედრო სამსახურისთვის არ გამოდგება.

— კარგი, პეტერ, მეც დაგეხმარები, ცოტა ფულს მოგცემ.

— გმადლობთ! ოღონდ წინასწარ ნუ მომცემთ, თორემ ისე გამოვა, შუადღეზე რომ შევჭამო ვახშმისთვის განსაზღვრული საჭმელი.

ამასობაში იმ ორ მამაკაცსაც მიუახლოვდნენ.

— ო, ეს შენა ხარ, ფელიქს! — წამოიძახა ივანმა და მეგობრულად ჩამოართვა ხელი ერთ-ერთ მათგანს, რომელიც მისი დიდი ხნის ნაცნობი აღმოჩნდა. იგი ივანის ხნისა იქნებოდა და თუმცა ელეგანტურ კოსტიუმზე მაღაროელის სპეცტანსაც-

მელი გადაეცვა, დახვეწილი სახე, ფრანგულად გაპარსული წვერი და მუქი ლურჯი თვალები საცნაურს ხდიდა მის მაღალ წარმოშობას. თავიც ისე ეჭირა, როგორც „ბატონს"! ქალივით ნაზი ხელი ჰქონდა, ვატიკანის მგალობელთა მსგავსი.

ფელიქსი მაშინვე შეეცადა ძველი მეგობარი მდგომარეობიდან გამოეყვანა:

— მაპატიე, პირდაპირ სახლში რომ არ გეწვიე. შენ მშრომელი კაცი ხარ, მე კი საქმოსანი. არც შენ ცხოვრობ ბატონკაცურად და არც მე ვმოგზაურობ გასართობად. ესეც არ იყოს, შენს სოფელში კარგი სასტუმროა. ჩემი თანამგზავრი სამთო ინჟინერი, ბატონი გუსტავ რენე გახლავს.

ივანმა უხერხულობა იგრძნო ფელიქსის წინაშე, მისი სტუმართმოყვარეობით რომ არ ისარგებლა. მის სახლში, რა თქმა უნდა, მოიძებნებოდა წინაპართაგან დანატოვარი უამრავი თეთრეული, რომელიც ახლა წლების მანძილზე ხელუხლებლად ეწყო. ღუმელიც შეიძლებოდა აენთოთ რომელიმე ოთახში, სადაც შესვლითაც კი არავინ შედიოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თუ თავის სახლში მიიღებდა სტუმრებს, დაირღვეოდა მისი ჩვეულებრივი დღის რეჟიმი და ჯეს ამის წარმოდგენაც არ შეეძლო.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი სახლი სტუმრების მისაღებად ნამდვილად არ გამოდგება, — აღიარა ივანმა, — მაგრამ სასტუმროც მე მეკუთვნის და მოხარული ვიქნები თუკი, იქ ინებებთ ღამის გათევას.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა ფელიქსმა, — მით უფრო რომ ჩვენ შენივე მოწვევით ჩამოვედით. ამ დღეებში გაზეთში წავიკითხეთ შენი განცხადება, რომ ეძებ მაღაროს მმართველს.

— დიახ! — თქვა ივანმა და მოსულები აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— მე ნამდვილად ვერ გამოგადგები, ამ საქმისა არაფერი გამეგება, — სიცილით თქვა ფელიქსმა, — მაგრამ ჩემს თანამგზავრს, ბატონ რენეს სურს მოგელაპარაკოს. იგი ჩემი ძველი მეგობარია, საქმეც ესმის, კრეზოს მაღაროში გაიზარდა. რენე ისედაც სიტყვაძვირი კაცი იყო, ახლა, მით უფრო, მიზეზიც ჰქონდა, პირველად ისმენდა უნგრულ ენაზე საუ-

ბარს. ბატონი რენე ასე საშუალო სიმაღლის კაცი იყო, ოდნავ გამხდარი, მიწისფერი სახით და თხაკიკინა წვერით.

— მე დიდი მადლობელი ვარ შენი, — უთხრა ივანმა ფელიქსს, შემდეგ კი ბატონ რენეს სუფთა ფრანგულით მიმართა, მაღარო დავათვალიეროთო.

შუადღემდე არ ამოსულან მაღაროდან. ივანმა და რენემ გამოცდა მოუწყეს ერთმანეთს. მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე აღმოაჩნდათ სხვადასხვა აზრი და დიდხანსაც დაობდნენ, ადარებდნენ ძველსა და ახალ მეთოდებს. საბოლოოდ კი ორივე დარწმუნდა, რომ ახალს ვერაფერს ეტყოდნენ ერთმანეთს.

ბატონ რენეს ცოდნასა და გამოცდილებაში ყველაზე უკეთ მაშინ დარწმუნდნენ, როცა მან მაღაროს ჭრილის რუკის გაცნობამდე განსაზღვრა მისი მოცულობა და ქვანახშირის ბუდობის ადგილმდებარეობა. სულ უმნიშვნელო წვრილმანის გარდა მის მიერ განსაზღვრული ცნობები ზუსტად დაემთხვა სინამდვილეში არსებულს.

ქვანახშირის ხარისხი კი ბატონმა ინჟინერმა საუკეთესოდ ჩათვალა.

შუადღისას დაიბანეს, ტანსაცმელი გამოიცვალეს და სასტუმროში წავიდნენ სასადილოდ. საკოქსავი დანადგარების დათვალიერება ნასადილევისთვის გადასდეს, მეტალურგიული ქარხნისა — საღამოსთვის.

ქარხნიდან რომ ბრუნდებოდნენ, ეტლი ბერენდის სახლთან გაჩერდა, ფელიქსმა ივანთან შეიარა, ბატონი რენე სასტუმროში დაბრუნდა.

ივანმა თავის საოცრად მოუწესრიგებელ კაბინეტში შეიყვანა ბავშვობის მეგობარი, ერთ-ერთი სკამიდან წიგნების გროვა აიღო, შესთავაზა, დამჯდარიყო და ქიმიური სანთურიდან სიგარეტს მოუკიდა.

— ივან, სკოლაში შენ პირველი მოსწავლე იყავი, დიდი გამომგონებელი, მე კი დილეტანტი. გულახდილად მითხარი, რამდენს გაძლევს შემოსავალს შენი მაღარო, რომელსაც ამდენ ცოდნას და ფიზიკურ შრომას ახმარ?

— წელიწადში ათი ათას ფორინტს.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქმის არაფერს. შენ ხომ დირექტორიც ხარ და მმართველიც, მოლარეც და სამთო

ინჟინერიც, მდივანიც და ექსპედიტორიც. ძალიან ცოტას იღებ, ზუსტად იმდენს, რამდენსაც გადაუხდიდი შენს მუშებს, ყველა ამ მოვალეობას რომ არ ასრულებდე. შენი მაღარო იმდენ შემოსავალს გაძლევს შენი ნიჭის, ცოდნისა და გულმოდგინე მუშაობისთვის, რამდენსაც გადაგიხდიდა ყველაზე ხელმოჭერილი მფლობელი. ამ მაღაროთი ასიათასების გაკეთება შეიძლება, შენ კი გროშებით კმაყოფილდები.

— ამაში არც მაღაროა დამნაშავე, არც მე. როცა გასაღება შეზღუდულია, ქვანახშირის ამოღება დიდი რაოდენობით არაგონივრულია.

— ახლავე დაგარწმუნებ შენს შეცდომაში. დღეს მსოფლიოში ყველაფერი კონგლომერაციისაკენ მიდის. პატარა ქვეყნებს უკვე აღარ შეუძლიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება და იძულებული არიან დიდ სახელმწიფოებს შეუერთდნენ, ვინაიდან პატარა სახელმწიფოს ეკონომიკის რეგულირება ძნელია. სწორედ ასევე, წვრილ საწარმოებსაც აღარ შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა, იმიტომ რომ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მათი ხარჯებიც ისეთივეა, როგორც მსხვილი საწარმოებისა. 100 ცხენის ძალის მქონე ორთქლის მანქანას ისეთივე პატრონობა უნდა, როგორიც ოთხი ცხენის ძალის მქონეს, წვრილ საწარმოს იმდენივე საბუღალტრო წიგნი სჭირდება, რამდენიც მსხვილს. ყველაზე მოხერხებულ წვრილ მეწარმესაც კი „საქმისათვის საჭირო კაპიტალის“ უქონლობის გამო შთანთქავს მსხვილი საწარმო.

— არა მგონია, წვრილ საწარმოებს ასეთი საშიშროება ელოდეთ.

— როგორ თუ არა! საკმარისია ერთ მშვენიერ დღეს ვენაში ვაჭრობის მინისტრმა ხელი მოაწეროს შეთანხმებას ინგლისის რომელიმე მწარმოებელთან თუჯის მოწოდებაზე, რომ მეორე დღესვე მეზობელი ჭარხანა ჩააქრობს თავის ღუმელს და შენ ქვანახშირის მიყიდვა კალათებით მოგიწევს ბოშა მჭედლებისათვის.

— ერთხელ უკვე გავიარე ეს გამოცდა. ჩვენი თუჯი საზღვარგარეთისაზე უკეთესი აღმოჩნდა. არც ღუმელები ჩაგვიქრია და არც მაღარო მიგვიტოვებია. საკმაოდ მყარი პოზიცია გვიკავია და ჩვენი გამოძევება არც ისე იოლია.

— შენ არ იფიქრო, აქ ბონდას ველზე მხოლოდ იმიტომ ჩამოვყევი ბატონ რენეს, რომ გზაში არ მოეწყინა. უჩემოდაც მშვენივრად ჩამოვიდოდა. მინდა შენც გაგამდიდრო და რა თქმა უნდა, ჩემთვისაც მოგება დამრჩეს.

— როგორ?

— ანეკდოტების ერთ წიგნში წავიკითხე, რას ამბობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ფულის შოვნაზე. უნგრელი ფულს „ეძებს“, გერმანელი „იმსახურებს“, ფრანგი „იგებს“, ამერიკელი „აკეთებს“. საოცრად დამახასიათებელი დეტალია. როგორც ხედავ, საწყალი უნგრელი ეძებს ფულს, გერმანელი ოფლისმღვრელი შრომით იმსახურებს თავის მონეტებს, ქარაფშუტა ფრანგი რისკს ეწევა და იგებს, თუკი შეხვდება ისეთი, ვინც წააგებს; საქმოსანი იან იანკი კი ამ დროს ზის თავის სავარძელში, ფრჩხილებს იქლიბავს და ფულს აკეთებს. მილიონები კი აწყვია და საქმოსანს ელოდება. სად აწყვია? პერსპექტიულ საწარმოებში, სადღაც მიწის ქვეშ გადამალულ ეანძეულში, რომლის გადასამუშავებლად არ არის საბრუნავი კაპიტალი, სადაც დაგროვებულ კაპიტალში, რომლის გამოსაყენებლად არ არის სოლიდური საწარმო; ახალ გამოგონებებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ აუთვისებია ინდუსტრიას, ამოიტანო მიწის ზევით მთელი ეს გადამალული განძეული, გაუხსნა გზა ჩარჩენილ კაპიტალს სწრაფი ბრუნვისაკენ, გააერთიანო უამრავი წვრილი კაპიტალი, მოიპოვო ინდუტრიისათვის მყარი ბაზარი, კრედიტორების დახმარებით აიძულო თითოეული ფორინტი ორ-სამ ადგილას მოგაგებინოს ფული, აი, ამას ვეძახით დღეს ფულის კეთებას. მშვენიერი მეცნიერებაა! ფრიად პატიოსანი! და თავისუფლად შეუძლია ადამიანს პური აჭამოს.

ფელიქსმა ამ ტირადის შემდეგ კმაყოფილმა ჩაიწყო ხელები ჟილეტის ჯიბეებში, რაც ნიშნავდა, რომ დარწმუნებული იყო, მისი მეგობარი ივანი კარგად იცნობდა ჩანკირ ფელიქს კაულმანის ფირმას როგორც ვენაში, ისე პარიზში. მისი გვარი შესანიშნავად ჟღერდა ფრანგულადაც და გერმანულადაც.

ივანმა ეს იცოდა. ფელიქსი მისი სკოლის ამხანაკი იყო. ფირმა მაჩამისმა დაუტოვა მემკვიდრეობით.

— კი, მაგრამ როგორ გინდა ფული გააკეთო ჩემი მაღაროთი?

— შესანიშნავი გეგმა მაქვს.

— შესაძლოა, მაგრამ ჩემი მაღარო არცთუ ისე დიდებულია.

— ეს იმიტომ, რომ შენ იმ სიმაღლიდან არ უყურებ, რომლიდანაც მე, შენ ფეხით თელავ ალმასებს და თუმცა შეგიძლია ოქრო მიიღო მიწის წიაღიდან, იმაზედაც მადლობას ამბობ, რკინას რომ გაძლევს. მაღარო, როგორც სთქვი, წელიწადში 10 ათას ფორინტ შემოსავალს გაძლევს. ეს ორასი ათასი ფორინტი კაპიტალის პროცენტია. მე ისეთი კონსორციუმის დაარსება მინდა, რომელიც შენს საწარმოს იყიდის მთლიანად ორასი ათას ფორინტად.

— მაგრამ მე ვერ დავთმობ მაღაროს ვერავითარი ფულის გულისთვის. ეს ჩემი სტიქიაა.

— შენ სულაც არ მოგიწევს მისი დათმობა, მაღაროში დარჩები თუკი ასე გინდა. კიდევაც რომ გაიქცე, მაინც არ გაგიშვებ. კონსორციუმი პირველად შეიქმნება 4 მილიონი კაპიტალით, ჩვენ შეექმნით დიდებულ საწარმოს, რომელიც ერთი მხრივ მოსპობს პრუსიის ქვანახშირის კონკურენციას, მეორე მხრივ კი განდევნის ავსტრიის ბაზრიდან ინგლისური რკინიგზის ლიანდაგებს. შენ იქნები საწარმოს გენერალური დირექტორი ათი ათასი ფორინტი ხელფასით, სუფთა მოგებიდან მიიღებ ორ პროცენტს, იმ თანხიდან კი, რომელსაც მაღაროს გაყიდვით მივიღებთ, შეგეძლება ფულის ნაწილი მინიმალური ღირებულების აქციებში დააბანდო. რადგანაც ეს ჩვენი საქმე 20% მოგებას მოგვცემს, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ შენი შემოსავალი დღევანდელი ათი ათასიდან ოცდაათი ათასამდე გაიზრდება, კაპიტალი კი, ორმოცდაათი პროცენტით. საზრუნავიც ექვსჯერ უფრო ნაკლები გექნება, ვიდრე დღეს.

ივანი მშვიდად უსმენდა, არ შეუწყვეტინებია, ბოლოს კი გულგრილად უპასუხა:

— ძვირფასო ფელიქს, ისეთ კონსორციუმს, რომელსაც 4 მილიონი კაპიტალი გააჩნია, თუ მე ვეტყოდი: მომეცით და მომავალში იმ საწარმოდან, რომელიც წელიწადში მაძლევს მხოლოდ ათი ათას ფორინტ მოგებას, მე გამოვძალავ რვაასი

ათასს, სულ ცოტა თაღლითი მაინც ვიქნებოდი. ხოლო თუ მე ამ კომპანიის აქციებში საკუთარ ფულს დავაბანდებდი, ამის შემდეგ ჩემთვის რომ გიჟი გეწოდებინა, ეს მხოლოდ პირფერობა იქნებოდა ჩემს მიმართ.

ამის გამგონე ფელიქსს სიცილი აუტყდა. ეს მართლაც ძალზე სასაცილო იყო. შემდეგ კისერზე შემოიდო თავისი მოქნილი ჯოხი, ბოლოებში ხელები ჩაავლო და თავის უპირატესობაში დარწმუნებულმა განაგრძო:

— შენ ბოლომდე არ მომისმინე, რისი თქმა მინდა. საქმე ეხება არა მარტო შენს სამფლობელოს, შენ კარგად იცი, რომ შენი მაღარო მხოლოდ პატარა ნაწილია ბონდას ველის იმ უზარმაზარი საბადოსი, რომელიც ფართო ფენებად გადაჭიმულია ბონდავარს იქით. მე მინდა ვიყიდო ქვანახშირის მთელი ეს აუზი, რომლის ფასიც ახლა უმნიშვნელოა და რომლის პატიოსანი, გონივრული, რაციონალური გამოყენებით, ვინმეს მოტყუების და გაქურდვის გარეშე შეიძლება იშოვნო მილიონები. მე მინდა, მიწის წიაღიდან ამოვიღო განძეული, რომელიც ხელებში მივარდება. ოღონდ მისი წონა მოითხოვს შესაბამის ძალას.

— ეს სხვა საქმეა. ახლა მე მესმის, რა გეგმაც გაქვს. ის რომ მართლაც გრანდიოზულია, ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ სწორედ ამიტომ ნაკლიც გრანდიოზული აქვს. ბონდას ველის განძეული მართლაც კოლოსალურია, მისი ფასი სულ მცირე ასი მილიონი მაინც არის, ზუსტად გამოთვლა შეუძლებელიც კია. მაგრამ მაინც მიუწვდომელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბონდავარის მამული მთლიანად არ იყიდება.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ ეს მამული ეკუთვნის თავად ბონდავარის, რომელიც ახლა ჩვენი ქვეყნის ყველაზე მდიდარი ბატონია.

— ვინ არის ყველაზე მდიდარი, ეს ჩვენ უკეთ ვიცით.

— მაგრამ ის რომ ყველაზე ამაყი დიდებულია, ეს ნამდვილად ვიცი და ვერავინ გაუბედავს იმის თქმას, რომ გაყიდოს ქვანახშირის საბადოს გულისთვის უძველესი საგვარეულო მამული, რომლის სახელწოდებაც მის სათავადაზნაურო ტიტულში იხსენიება.

— რას გეტყვი, იცი, ჩემო კარგო, ყოფილა შემთხვევები, რომ მასზე უფრო ამაყი პატრონებიც დათანხმებულან ამაზე. იტალიის მეფე გვირგვინოსანი დიდებულია, მაგრამ მანაც კი გაყიდა სავოია, თუმცა ისიც იხსენიებოდა მის საგვარეულო სახელში, მათ ეს სახელწოდება ღერბზეც კი ჰქონდათ.

— მე კი ვიცი ერთი უნგრული ოჯახი, რომელსაც იმხელა მამული ჰქონდა, რომ დუნაიდან ტისამდე საკუთარ სამფლობელოში უხდებოდათ გავლა. შემდეგში მათ იგი სულ გაანიავეს, მაგრამ ერთადერთი ადგილი, ვერხვის პატარა ჭალა ბანკჰაზეში არაფრის გულისთვის არ დათმეს, იმიტომ, რომ ამ ჭალის სახელწოდება მათ გვარში შედის.

— ოო, მე ამას მაინც მოვახერხებდი.

— მომისმინე, დავუშვათ მოხუცი თავადი დაითანხმე, მას მაინც არ ძალუძს ამ ადგილის გაყიდვა, ვიდრე ცოცხალია მისი გაუთხოვარი და, გრაფინია ტეუდელინდა ბონდავარი. ციხე-დარბაზიც და მამულიც მამამ მას დაუტოვა მემკვიდრეობად ვიდრე ცოცხალია, იგი ახლა 58 წლისაა და ფიქრობს კიდევ ოცდაათ წელს იცოცხლოს. შეიძლება ითქვას, გრაფინია შეეზარდა ამ სასახლეს. რამდენადაც ვიცი, მას ერთი დღითაც კი არ გაუდგამს ფეხი იქიდან. მან მთელი ქვეყანა შეიძულა და არა მგონია, ვინმემ შეძლოს დაითანხმოს იგი, მიჰყიდოს თავისი ბონდავარი რომელიღაც კონსორციუმს, რომელსაც ქვეყნის გაბედნიერება სურს, მაშინაც კი ამის მეტი ქვანახშირი რომ აღარ იყოს ამქვეყნად და იცოდეს, რომ მსოფლიო გაიყინება.

ფელიქსმა გაიცინა.

— მე უფრო შეუვალი ციხე-სიმაგრეც ამიღია. ქალის გულის გასაღების მოძებნა კი არც ისე ძნელია.

— კარგი, — უთხრა ივანმა, — დავუშვათ დაითანხმე თავადი და გრაფინია მამულის გაყიდვაზე, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შენი მშვენიერი საწარმო მზად არის. დაიწყება ტექნიკური სიძნელეები. რა არის უპირველესად ყოვლისა საჭირო ასეთი საქმისთვის?

— ნაღდი ფული.

— არა, ადამიანები.

— სადაც ფულია, ადამიანებიც იქ არიან.

— ადამიანები სხვადასხვანაირნი არიან. ეს ისეთი საქონელია, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია იმედის გაცრუება. რაც მთავარია, მუშახელი არ გვეყოფა...

— ჩამოვიყვანთ ბელგიიდან, საფრანგეთიდან.

— მართალია, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ საფრანგეთიდან და ბელგიიდან მუშა მხოლოდ იმიტომ ჩამოვა, რომ იმაზე მეტი მიიღოს, რასაც იქ უხდიან. ესე იგი მუშის შრომა იმაზე ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე ახლა. და ეს შენი საწარმოს პირველი დიდი ნაკლი იქნება. ვფიქრობ, თითოეული სამრეწველო საწარმო თავისით უნდა განვითარდეს, ბუნებრივად. უნდა დავიწყოთ შესაბამისი ძალებით და ბაზრით, შევარჩიოთ მუშები, აღვზარდოთ, ვასწავლოთ, ცდებიც ჩავატაროთ, სახსრებიც გავითვალისწინოთ. უმჯობესია მყარი იყოს მიღწეული, ვიდრე მოუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგათ. ესაა ჩემი წესი.

— გასული საუკუნის შეხედულებებია. ასეთი პრინციპებით ამერიკა ვერასოდეს გაუსწორდება ევროპას.

— მეორე ნაკლი ისაა, რომ უცხოელი მუშების უმრავლესობა, ბუნებრივია, მიჯაჭვული არ იქნება ჩვენთან, შეიძლება საიდუმლო საზოგადოებებიც დაინტერესდენ მათი საქმიანობით და თავისი მიზნებისთვის გამოიყენონ. თანაც, მათ შეიძლება ჩვენი მუშებიც გადაიბირონ და შემოიტანონ ჩვენთან აჯანყება.

— განა თქვენთან არასოდეს ყოფილა აჯანყება?

— არასოდეს.

— როგორ ახერხებ ამას?

— ეს საიდუმლოა. ერთი-ორი სიტყვით ამის თქმა შეუძლებელია, ჩემი აზრით, ძალდატანებით შექმნილი საწარმო პირველ რიგში შეეჯახება მუშა ხელის გაძვირებას. მეორე დაბრკოლება იქნება მცოდნე ტექნიკური ხელმძღვანელობის ნაკლებობა.

— მათ ხომ საზღვარგარეთიდან ჩამოვიყვანთ.

— შესაძლოა. მარტო რომ ვიყო და ფული მქონდეს, რა თქმა უნდა შევძლებდი სურვილის შესრულებას, თვითონ ვიზრუნებდი ამისთვის, მოვძებნიდი საუკეთესო სპეციალისტებს და გადავუხდიდი იმდენს, რამდენსაც ჩემი აზრით დაიმსახუ-

რებდნენ. კონსორციუმში კი რომელიც იქმნება მხოლოდ მოგების მისაღებად, საქმე სულ სხვაგვარადაა. იქ მთავარ როლს თამაშობს პროტექცია. დირექტორთა საბჭოში შედიან მისი დამაარსებლები, რომელთაც ყველაზე მეტი აქციები აქვთ. ისინი ჩვეულებრივ ნაკლებად ერკვევიან წარმოებაში, მათთვის მთავარია მხოლოდ სოლიდური გარეგნობა. თითოეულ მათგანს ჰყავს პროტეჟე. ვინც მაგალითად მეთუნუქე იყო, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანას უნდა უხელმძღვანელოს. უკეთეს შემთხვევაში, ისინი ხელმძღვანელობენ ეკონომიური მოსაზრებით და ათი კაციდან, ირჩევენ იმას, ვინც ყველაზე ნაკლებ გასამრჯელოს ითხოვს. პირველი წელი ყოველთვის ექსპერიმენტული ხასიათისაა. გადამუშავებული ნედლეულის ნახევარი ტყუილუბრალოდ იკარგება. ბოლოს ირკვევა, რომ არ ესმით საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდეს. იურისკონსულტთან თავს იყრის უამრავი სარჩივარი ზარალის ანაზღაურებაზე. წლის ბოლოს კონსორციუმის საბჭო შენიშნავს, რომ დღესასწაულის დღეებში ზარალი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სამუშაო დღეებში. ბოლოს დიდი დაგვიანებით ირკვევა, რომ საწარმო ძალზე დიდია და ამიტომ უჭირთ მართვა. აქვთ უამრავი შენობები, მანქანები, მასალა, რეზერვები, მაგრამ არ გააჩნიათ საბრუნავი კაპიტალი. გაიყიდება ათასობით აქცია. ეს გარკვეული დროით შეაჩერებს კრახს. გამოჩნდებიან მევახშეები, რომლებიც 100 ფორინტად ღირებულ აქციებში შემოგვაძლევენ 60 ფორინტს. მაშინ დირექტორთა საბჭო შეეცდება საკუთარი ტყავის გადარჩენას. თუ შესძლებს, სამსახურიდან გადადგება, ბედის ანაბრად მიატოვებს მმართველს, ისიც თავის მხრივ ნახევარ ფასად გაყიდის, რისი გაყიდვაც შეიძლება, რომ გადაუხადოს მუშებს და თავისთვისაც დარჩეს ცოტა რამ. ბოლოს კი გაიქცევა და ამ მშვენიერ საწარმოს ცარიელი შენობის წინ აუქციონერი გამოაცხადებს: „ვინ იყიდის აგურს?“ ასეთია, ჩემის აზრით, ყოველი ძალდატანებით შექმნილი საწარმოს ბედი.

ფელიქსი უსმენდა ივანს და დროდადრო ეცინებოდა.

— მართალი ხარ! სწორედ ასეა! მაგრამ ეს რომ არ მოხდეს, მინდა საწარმოს დირექტორად ისეთი კაცი მოვიწვიო, რომელიც ზედმიწევნით ერკვევა საქმის ყოველ წვრილმანში, ასეთი კი შენა ხარ!

— ცდები, ფელიქს, მე კარგად ვერკვევი ჩემი პატარა საწარმოს საქმეებში, მაგრამ არავითარი გამოცდილება არა მაქვს ისეთ მსხვილ კონსორციუმში სამუშაოდ, რომლის დაარსებასაც შენ აპირებ, არ ვიცნობ მსოფლიო ბაზარს, მის მოთხოვნებს. ბევრი წვრილი ვაჭარი წამოეგო ამ ცთუნების ანკესზე, ეგონათ, დიდ საქმესაც ისევე წარმატებით გაუძღვებოდნენ. ამას კი სხვა ცოდნა და უნარი სჭირდება. თუ ერთ შემთხვევაში მცირეოდენი მოგებაც არ უნდა გაუშვა ხელიდან, მეორე შემთხვევაში ასეთი რამ უმნიშვნელო წვრილმანია, თუ პირველმა მხოლოდ ნაღდ საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი, მეორე — რისკზე უნდა წავიდეს. თუ პირველი უნდა შეეგუოს ადგილობრივ პირობებს, მეორემ მსოფლიო მასშტაბის ოპერაციები უნდა აწარმოოს. ამისათვის მე არც ცოდნა მეყოფა, არც ნიჭი და არც გამოცდილება.

— ეს თავმდაბლობაა მხოლოდ.

— კარგი, ერთი წუთით დავუშვათ, რომ შენი ჩანაფიქრი გამართლდა; ეს დიდებული საწარმოც ჩამოყალიბდა და უშვებს საუკეთესო პროდუქციას, როგორ ფიქრობ მის გატანას? ბონდას ველის ქვანახშირის საბადო ოცი მილით არის დაშორებული უახლოესი რკინიგზის სადგურიდან და ოცდახუთი მილით სანაოსნო მდინარიდან. გზაც არ ვარგა, ზოგჯერ, წელიწადში ოთხი თვის განმავლობაში მოძრაობა შეჩერებულია და ვერავითარ ტვირთს ვერ გადაიტან აქედან. სხვა დროსაც გადატანა ძალზე ძვირი ჯდება.

— ეს ყველაფერი ვიცი, — უპასუხა ფელიქსმა და თან მარჯნით მოჩუქურთმებული ჯოხის ბუნიკით აპრეხილი ულვაშები გაისწორა. — აქ დაგვეხმარება რკინიგზის შტო, რომელიც ბონდას ველს სავაჭრო ცენტრთან შეაერთებს.

— რკინიგზა ბონდას ველზე? — განცვიფრდა ივანი, — ნუთუ შენ გგონია, რომ 4 მილიონით ოცი მილი სიგრძის რკინიგზის ხაზის გაყვანასაც შესძლებ?

— ოო, არა! ამას სხვა საწარმო გააკეთებს.

— და შენ გჯერა, რომ მოიძებნება კაპიტალისტი, რომელიც მხოლოდ ჩვენი ინტერესებისათვის გაიყვანს რკინიგზას ბონდას ველზე, თუკი მისგან დიდ მოგებას არ მოელის?

— რატომაც არა! — წარმოთქვა ფელიქსმა და თან პირ-

თან ისე მიიტანა მარჯნით მოჩუქურთმებული ბუნიკი, თითქოს ამით წინადადების ორად გაყოფა უნდაო, — თუ სახელმწიფო კანონით გათვალისწინებულ პროცენტებს აღუთქვამს.

(იმ დროს კანონებს ადგენდა რაიხსრატი.)

ივანს უფრო გაუფართოვდა თვალები განცვიფრებისგან და განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა თითოეული სიტყვა:

— სახელმწიფო — აღუთქვამს — ამ — რკინიგზის — ხაზს — პროცენტებს! — მაგრამ ეს ხომ სახელმწიფო ინტერესების შებღალვაა, მე ეს ვერ წარმომიდგენია!

— არსებობს გასაღებები, მაღალი თანამდებობის პირთა კაბინეტებში შესასვლელად.

მეტი მას აღარაფერი უთქვამს და მარჯნის ბუნიკი ტუჩებზე მიიდო იმის ნიშნად, რომ ამაზე აღარ ვილაპარაკოთო. ივანმა მაგიდის უჯრიდან შვი პურის ნაჭერი ამოიღო.

— ხედავ ამას? ისინი ვინც შავ პურს ჭამენ, ვერ შეაწუხებენ მაღალი თანამდებობის პირებს.

ფელიქსმა ნერვიული სიცილით თავი უკან გადასწია და ისე დაუწყო თითებს შუამოქცეულ ჯოხს ტრიალი, ქარის წისქვილის ფრთები გეგონებოდათ. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ! შენ შეგიძლია მოგვიანებით შემოგვიერთდე. ისე კი, იცოდე, თუ რამე ჩავიფიქრე, შევისრულებ კიდეც. სანაძლეოს ვდებ, რომ ხელიდან გამოვაცლი თავადს და ღვთისმოსავ გრაფინიას ბონდას ველს, აქ შევქმნი მთელს იმპერიაში საუკეთესო კონსორციუმს, რომელსაც მსოფლიო ბაზრის ყურადღების ცენტრში მოვაქცევ. დიახ, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ჩემი სახელი ფელიქს კაულმანია.

— წარმატებას გისურვებ, ოღონდ ამ საქმეში მე მონაწილეობას ვერ მივიღებ.

ბატონი რენეს შემოსვლამ შეაწყვეტინათ საუბარი.

ფრანგმა ივანს მოახსენა, რომ გაეცნო მაღაროს, თანახმაა მის პირობებზე და მზად არის თავისი მოვალეობის შესასრულებლად.

ივანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, გადასცა სალარო, მუშების სია და სთხოვა, რომ საღამოს დაერიგებინა მათთვის

ხელფასი სასტუმროს დერეფანში, სადაც მას ოთახს გამოუყოფდნენ.

სასტუმრო ივანის სახლის პირდაპირ იყო. შაბათობით, დღის ბოლოს მუშები შეგროვდებოდნენ ხოლმე ამ ორ შენობას შორის. ივანი ფანჯარასთან მივიდა, რომ დაენახა, როგორ აძლევდათ ხელფასს ახალი მმართველი. ფელიქსი მის გვერდით იდგა. საათის ძეწკვზე მიმაგრებული პატარა მინიატურული ლორნეტით მუშებს თვალიერება დაუწყო.

— აბა, შეხედე! — წამოიძახა მან უცებ ენის წკლაპუნით, — ამ პატარა წითელიუბკიანი არსებისაგან შესანიშნავი ბრონზის ქანდაკება გამოვიდოდა! ოღონდ! მისგან უნდა ისწავლო, როგორ არის სლოვაკურად „გიყვარვარ?“

— მაგასთან იცოდე, ფრთხილად იყავი, — სიცილით შენიშნა ივანმა, — მის საქმროს მეტსახელად „კაციჭამიას“ ეძახიან.

ფულის გაცემა ჩვეულებრივი წესით მიდიოდა. პეტერ საფრანმა სასტუმროში ევილას გასამრჯელოც აიღო და უნდოდა მისთვის ჩაებარებინა, მაგრამ მან უკან დაუბრუნა. შემდეგ მხიარულებმა შინისკენ გასწიეს. ევილამ სიმღერა წამოიწყო, პეტერმა მხარზე მოხვია ხელი.

— ეშმაკმა დალახვროს! რა ხმაა! — წამოიძახა ბანკირმა.

— ეს რომ პარიზში ცხოვრობდეს, ტერეზასაც კი დაჩრდილავდა.

ბატონო ეჟიმო!

მეორე დღეს კვირა იყო. ივანმა დილაადრიან წაიყვანა ფელიქსი და ბატონი რენე მუშათა ბინების დასათვალიერებლად. ეს პატარა სოფელი ივანის მამის დაარსებული იყო. ადრე აქ კარტოფილის მეტი არაფერი მოდიოდა, მას შემდეგ კი, რაც ქვანახშირი გამეფდა, სოფლის მცხოვრებთა პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ყოველი მუშის ოჯახს ჰქონდა საკუთარი სახლი, პატარა ხილის ბაღით.

ევილას სახლს რომ მიუახლოვდნენ, სამივემ ეზოში გადაიხედეს უნებურად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჭიშკარი ღია იყო,

ეორეც, ეზოში ისეთი რამ დაინახეს, რაც ყველა გამვლელს შეაჩერებდა.

პეტერ საფრანი სცემდა ევილას.

საქმროს მარცხენა ხელზე საცოლის სქელი შავი თმა დაეხვია, მარჯვენით ორად მოკეცილი ქამარი ეჭირა და მხრებზე და ბეჭებზე ურტყამდა.

ერთი შეხედვისთანავე დარწმუნდებოდით, რომ „კაციჭამია“ სრულიად სამართლიანად დაერქმიათ მისთვის; მოღუშულ სახეზე წამწამებს ქვემოდან თვალები ავისმომასწავებლად უელავდა, ცხვირის ძვლის დასაწყისთან ღრმა ნაოჭი ეტყობოდა, გამძვინვარებული სულ ცოფებს ყრიდა.

ქამრის ყოველი დარტყმისას რაღაცას ბურტყუნებდა, რაღაც ამის მსგავსს: „კიდევ გამიბედავ წინააღმდეგობას?“ „კიდევ გაბედავ ჯიუტობას?“

ქალიშვილი არ ტიროდა, არც სთხოვდა, თავი დაენებებინა, ორივე ხელით ტუჩებზე აეფარებინა წინსაფარი და როცა ეს გულქვა არსება გამეტებით ეჭიდებოდა თმაზე, მშვიდად ახედავდა ხოლმე თავისი მშვენიერი მეტყველი თვალებით.

— ეი, შეხედეთ! — დაიძახა ფელიქსმა, — იმ ლამაზი გოგონას სიყვარულის პაექანი საქმროსთან.

— სწორედ, — უხალისოდ უპასუხა ივანმა.

— რატომ არ აუკრძალავ ამ არამზადას ასეთი მშვენიერი ბავშვის ცემას? ივანმა მხრები აიჩეჩა.

— აქვს ამის უფლება, მისი საცოლეა. მე რომ ჩავერიო, უფრო ძალიან სცემს. თანაც, ვხედავ, რომ მთვრალია, და ასეთ დროს მასთან ვერაფერს გააწყობ.

— მაგას მე მოუვლი, — დაიწყო ისევ ფელიქსმა, — არ შემიძლია ვუყურო, როგორ სცემენ ჩემს თვალწინ ამ მშვენიერ ბავშვს.

— ნუ ჩაერევი, — ურჩია ივანმა, — ვინც მიწის ქვეშ მუშაობს, იმას სულ არ ეპიტნავება ფარჩა-აბრეშუმში გამოწყობილი ადამიანები.

— აბა, ვნახოთ! ოღონდ როცა მე იმ ციკლოპს ხელს ჩავჭიდებ, შენ დამიძახე: „ბატონო ექიმო!“

ამ სიტყვებით ელეგანტურად გამოწყობილი ბატონი ეზოში შევიდა.

პეტი საფრანს მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, უფრო მაგრად მოქაჩა ევილას თმები.

— შენ, ეი, ჭაბუკო! — დაუყვირა ფელიქსმა, — რატომ სცემ ამ ქალიშვილს?

საფრანმა თავხედურად უპასუხა:

— ვისი რა საქმეა? ეს ჩემი საცოლეა!

ფელიქსს არყის სუნი ეცა.

— აა, შენ რა ცოლის მოყვანასაც აპირებ? — წამოიძახა ფელიქსმა და სულ ახლოს მივიდა ამ ჰერკულესთან, რომელსაც მხრებამდე ძლივს სწვდებოდა. — ვინ მოგცა შენ ცოლის მოყვანის უფლება? სამხედრო სამსახური არ გეხება?

პეტი საფრანმა მაშინვე გააგდო ხელიდან მოქნეული ქამარი.

— მე არ გამოვდგები სამხედრო სამსახურისთვის — გამოსცრა კბილებიდან, — მე მოწმობა მაქვს.

— აჰა, არ გამოდგები არა? ქამარს კარგად ატრიალებ? რომელმა ექიმმა მოგცა შენ ცნობა?

მოიცა ერთი!

და ფელიქსმა ხელი მოჰკიდა პეტერს.

— „ბატონო ექიმო!" — დაუძახა ამ დროს ივანმა, ამ სიტყვის გაგონებამ და ფალიქსის ხელის შეხებამ პეტერს ევილას თმები გააშვებინა ხელიდან.

— ხვალ დილით მოხვალ ჩემთან გასინჯვაზე, — უთხრა ფელიქსმა, — ვნახოთ ერთი, რა დაავადება გაქვს ისეთი, რომ სამხედრო სამსახურისთვის არ გამოდგები! მე აქ ამისთვის ვარ სწორედ ჩამოსული!

პეტერს თავში რაღაცამ გაუელვა ამ დროს და ცერად გადახედა.

ფელიქსმა გაიცინა.

— ასე ხომ მეც შემიძლია! — და თვითონაც ელამივით შეხედა.

— ხვალ მოხვალ გასინჯვაზე.

ამის გაგონებაზე პეტი საფრანი ადგილს მოწყდა, კისრისტეხვით გადაევლო ღობეს და თავქუდმოგლეჯილი ტყისკენ გაიქცა.

ივანი განაცვიფრა ფელიქსის ასეთმა გამარჯვებამ. თავისი

ფიზიკური ძალით და გამბედაობითაც კი იგი ამას ვერ მიაღწევდა. ამ უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილმა არისტოკრატმა კი თვალის დახამხამებაში აიძულა ღობეზე გადამხტარიყო და ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო.

ივანმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. მან შენიშნა, რომ ფელიქსი არ ჩქარობდა წამოსვლას, ევილასთან ლაპარაკი დაიწყო. ამის მოწმე რომ არ გამხდარიყო, რენეს მიუბრუნდა:

— წავიდეთ, ბატონი კაულმანი დაგვეწევა.

მათ გზა განაგრძეს, დაათვალიერეს ყველაფერი, მაგრამ ბატონ კაულმანს მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეხვდნენ უკან დაბრუნებისას. მან უთხრა, გეძებეთ და ვერ გიპოვეთო.

ეზოში მარტო რომ დარჩა ქალიშვილთან, ფელიქსი მიუახლოვდა თავადური მოწყალებით და თანაგრძნობით ჰკითხა:

— რა დაუშავე ამ კაცს, რატომ გცემდა?

ქალიშვილმა სწრაფად მოიწმინდა თვალები და გაღიმება სცადა, თუმცა ღიმილი ნაძალადევი გამოუვიდა.

— ოჰ, ბატონო, ეს ხომ ხუმრობა იყო, მეხუმრებოდა.

— კარგი ხუმრობაა! ნახე, როგორ დაგილურჯდა და გაგისივდა კისერი.

ფელიქსმა ქალიშვილს ჯიბის პატარა სარკე მისცა.

— ყველაფერს გიამბობთ, ბატონო, — დაიწყო მოღუშული სახით, — ხეიბარი ძმა მყავს, ერთი დედ-მამის შვილები ვართ. მამა რომ მოგვიკვდა, დედა სხვაზე გათხოვდა. მამინაცვალი ლოთი იყო. გვცემდა და გვლანძღავდა. ერთხელაც, მაშინ ჩემი ძმა სამი წლისა იქნებოდა, რაღაცაზე გულმოსულმა მაგიდიდან გადმოაგდო, იმ საცოდავს ხერხემალი გადაუტყდა და ხეიბრად დარჩა. მკერდი და ზურგი გაუმრუდდა, ლაპარაკის დროს სუნთქვა ეკვრის. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად დაუწყო წვალება და აბუჩად აგდება. ვიცავდი, როგორც შემეძლო, მაგრამ ამის გამო მეც ხშირად მომხვედრია მისგან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დედა გარდაიცვალა. კიდევ კარგი, რომ ერთ საღამოს მთვრალი მაღაროს ჭაში ჩავარდა და დაიღუპა. ამის შემდეგ სულ მარტონი დავრჩით, მე ვმუშაობ და ძმას ვინახავ. პეტერს უნდა დავქორწინდეთ, ოღონდ ჩემს უბედურ ძმას ვერ იტანს და სულ გაიძახის, იმათხოვროს, მაგისთანა ხეიბრისთვის ვინ არ გაიღებს მოწყალებას

ბაზრობაზე და ქუჩაში რომ დაჯდესო. ახლაც მისი გულის-თვის წავიჩხუბეთ. პეტერმა შემომიარა, ეკლესიაში უნდა წავ-სულიყავით, დღეს ჩვენს შესახებ მესამედ უნდა გამოაცხადოს მღვდელმა. ვთხოვე ცოტა მოეცადა, სანამ ძმას რძეში მოხარ-შულ გახეხილ კარტოფილს გავუთბობდი. ბავშვი ზღურბლ-თან იჯდა და მელოდებოდა. „როგორ? ამ გომბეშოს რძეში მო-ხარშულ კარტოფილს აჭმევ? — დაიღრიალა პეტერმა. — მო-ნარეცხი დაუსხი, მაგისთვის ესეც მეტია“. ამ სიტყვებით იგი მიუახლოვდა ბავშვს, ყურებში ჩაავლო ხელი და მაღლა ას-წია. ტირილი მაინც იცოდეს, ბატონო, ხმაც არ ამოუღია. ვინ-მე რომ აწყენინებს, თვალებს ახამხამებს მხოლოდ და პირს აღებს უხმოდ, თითქოს ჩუმად ლოცულობს, რომ შეიბრალონ. ვეღარ მოვითმინე და პეტერს ვუთხარი, თავი დაენებებინა ბავშვისთვის. „მაშ რატომ არ ნებავს ამ გომბეშოს მოწყალე-ბის სათხოვნელად წასვლა? რატომ არ უნდა იაროს სოფელ-სოფელ, კარდაკარ? ვინ არ გაიმეტებს მისთვის ფულს? ასეთი სიმახინჯე ხომ ჯერ არავის უნახავს, ეს კი გდია აქ უსაქმურად! კოშმარული მოჩვენება!“ ამის თქმაზე ქალიშვილს ცრემლით აევსო თვალები.

— განა დამნაშავეა ეს საცოდავი, რომ მახინჯია? ღმერთს ხომ არ შეუქმნია ასეთი. მამინაცვალმა გააუბედურა ასე. შე-ვეხვეწე პეტერს თავი დაენებებინა ბიჭისთვის, ეს ხომ ჩემი ღვიძლი ძმაა, ერთი დედ-მამის შვილები ვართ, მას რომ ვინმე აწყენინებს, ეს ჩემი წყენაა, მირჩევნია მე დამარტყა-მეთქი... „შენც მოგხვდება, თუ არ გაჩერდები!“ — ო, თან ჩაავლო ისევ ყურებში ხელი და ეზოდან გაათრია: „წადი შე მაჯლაჯუნავ, მოწყალების სათხოვნელად, თორემ შეგჭამო“! — და ისეთი გამომეტყველებით მიაჩერდა, რომ საცოდავმა დაიყვირა შიში-საგან. ვეღარ მოვითმინე, მივვარდი, ძლივს გამოვგლიჯე ხე-ლიდან და ვუთხარი: თავი დაანებე ამ ბავშვის წვალებას, თო-რემ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდება!“

ბავშვი ღუმელში დაიმალა; პეტერი განრისხდა, რომ ბავშ-ვის წვალების ნება არ მივეცი, ჩამავლო თმებში ხელი და ცე-მა დამიწყო. ამის შემდეგ ყოველდღე ასე იქნება.

— არა, ჩემო გოგონი, ეს აღარ მოხდება, შენს საქმროს ჯერ სამხედრო სამსახური მოუწევს, სად გაგონილა, ასეთი

ჯაბღონით სავსე ახალგაზრდა თავს ირიდებდეს ჯარისკაცობას. ყველა რომ ასე მოიქცეს, ვინღა დაიცავს ქვეყანას და იმპერატორს? ეს როგორ შეიძლება!

— თქვენ მართლა ექიმი ხართ? — გაუბედავად ჰკითხა ქალიშვილმა.

— რა თქმა უნდა!

იმედის ნაპერწკალმა თვალები გაუბრწყინა ქალიშვილს.

— მაშინ იქნებ გაგესინჯათ ჩემი ძმა, იქნებ შეიძლება მისი განკურნება?

— რატომაც არა, მოიყვანე!

ევილა სამზარეულოში შევიდა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ძლივს გამოიყვანა ძმა ღუმელიდან, სადაც პეტერის რისხვას დამალვოდა.

ეს მართლაც საოცარი ნიმუში იყო სამუდამოდ დაღუპული, დამახინჯებული ადამიანისა.

ფეხები და ხელები თავისით, უწესრიგოდ მოძრაობდნენ მისი სურვილის გარეშე.

ევილამ ხელში აიყვანა პატარა, მოეფერა და უთხრა, რომ ამ ბატონისა არ შეშინებოდა.

ფელიქსმა მთელი სერიოზულობით, ნამდვილი ექიმივით გასინჯა ხეიბარი და თაღლითური დამაჯერებლობით განაცხადა:

„ოო, ამ ავადმყოფობის განკურნა შეიძლება. საჭიროა მხოლოდ დრო და კარგი მოვლა. ვენაში არის ორთოპედიული კლინიკა, სადაც შეუძლიათ ამისთანა ხეიბრები საღ-სალამათ ყმაწვილებად აქციონ.

— მართლა? — გაოცდა ქალიშვილი, — და იქ მიიღებენ იანოშს? მაგრამ ამისთვის ალბათ ბევრი ფულია საჭირო? თუ შეიძლება, იქ ვიმუშაო და ჩემი ხელფასი გადავიხადო იანოშის მკურნალობისთვის?

— რატომაც არა! — სერიოზული გამომეტყველებით უპასუხა ფელიქსმა, — მე გაგიწევ რეკომენდაციას, იქ ბევრი ნაცნობი მყავს. საჭიროა მხოლოდ ჩემი ერთი სიტყვა.

— ო, თუ ასეა, დამეხმარეთ, ღვთის გულისათვის! — ევილა მუხლებზე დაეცა ფელიქსის წინ და ცრემლების ფრქვევით ხელები დაუკოცნა. — დღე და ღამე ვიმუშავებ, ძაღლიც

აღარ დასჭირდებათ, ღამითაც ვუყარაულებ, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ იანოში მორჩებოდეს და მოწყალების სათხოვნელად არ მოუწიოს სიარული. შორს ირის ვენა?

ფელიქსმა გაიცინა.

— შენ რა, ხომ არ ფიქრობ ხელში აყვანილი წაიყვანო ძმა ვენაში? თუმცა, ამაზე ნუ იდარდებ! მე თუ ვინმეს შევპირდები რამეს, შევასრულებ კიდეც, ჩემი ეტლით წაგიყვან.

— მეეტლის გვერდით დავჯდები, ბატონო, და იანოშს კალთაში ჩავისვამ.

— კარგი, კარგი, ჩემო გოგონი, — მიმართა ფელიქსმა კეთილისმყოფელი მფარველის ტონით, — მე მიყვარს კეთილი საქმეების კეთება. თუკი ნამდვილად გინდა ძმის გულისთვის ვენაში ჩასვლა, ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვი. გამთენიისას გამოგივლი. იმ გაუთლელ ხეპრეზე კი ნუღარ იფიქრებ, მომავალ კვირაში სამხედრო სამსახურში გაიწვევენ და ოთხ წელიწადზე ადრე იქიდან თავს ვერ დააღწევს. აიღე ეს ფული და თბილი საბანი უყიდე ძმას სამგზავროდ, ღამე ცივა, მე არ მიყვარს გზაში-ღამის გასათევად გაჩერება.

ქალიშვილი ისე განაცვიფრა ამდენმა ფულმა, რომ მადლობის გადახდაც ვეღარ მოახერხა. ორი ათფორინტიანი ბანკნოტი მართლაც რომ დიდი ფული იყო მისთვის. ეს ბატონი არ უნდა ხუმრობდეს! ეტყობა დიდი კაცია! თანაც რა გულკეთილი!

ევილას ბავშვივით უხაროდა, იცინოდა, დახტოდა ძმის ირგვლივ, მერე სკამზე დასვა, მუხლებზე დაიჩოქა და მოეხვია.

— მივდივართ იანოშკა, ჩემო ძვირფასო! ეტლით მივდივართ ვენაში! აჩუ, აჩუ ცხენო! საუკეთესო ოთხცხენიანი ეტლით მივდივართ! მიგვაქროლებენ ცხენები! იქ იანოშკას მისცემენ ტკბილ წამალს, ხელებში და ფეხებში ძალა მოემატება, მკერდი და ზურგი გაუსწორდება, სხვებივით გაივლის ფეხზე, სახლში ფეხით წამოვა! უყავარჯნოდ!

ბოლოს, იმდენს ეცადა, რომ პატარა ხეიბარიც გააცინა.

მერე მაღაზიაში გაიქცა, იყიდა თბილი ქურთუკი, ქუდი, ბავშვისთვის თბილი საბანი, მაგრამ ნახევარიც კი ვერ დახარ-

ჯა და გადაწყვიტა დარჩენილი ფული უკან დაებრუნებინა კეთილი ბატონისათვის.

ამას რომ მორჩა, ეკლესიაში წავიდა. ნაცნობები განცვიფრებულები ეკითხებოდნენ, მარტო რადა ხარო. ევილამ უპასუხათ, დღეს არ მინახავსო. მართალია, ტყუილის თქმა წირვის წინ ამ საზეიმო დღეს ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ ზოგჯერ ტყუილის თქმას გაიძულებს მოვალეობა. მოვალეობა ქალისა, ქალიშვილისა, რომელსაც სცემა ქმარმა ან საქმრომ.

ღმერთი შეგვინდობს ასეთ შეცოდებას.

იმ დღეს პეტერ საფრანი ეკლესიაში არ მისულა.

ევილამ მისდა სამარცხვინოდ, მარტომ მოისმინა როგორ ეამოაცხადეს მესამედ მათი ჯვრისწერის შესახებ ამბიონიდან. სულ ერთია ამ საქმიდან აღარაფერი გამოვიდოდა.

ნაშუადღევს ევილას მაინც სევდა მოაწვა გულზე, იგი ხომ სამუდამოდ სტოვებდა მშობლიურ ადგილებს? სტოვებდა საქმროს, მეგობრებს, ყველაფერს, რაც ასე ახლობელი და ძვირფასი იყო მისთვის და მიდიოდა შორს, შორს, სადაც ფრინველიც ძლივს მიფრინდებოდა.

სწორედ ამ სევდიანმა ფიქრებმა წაიყვანა საღამოს ტყეში პეტერ საფრანის საძებნელად. იცოდა სადაც უნდა ყოფილიყო.

შუაგულ ტყეში ერთ გამოქვაბულში საიდუმლო სამიკიტნო იყო, სადაც სამხედრო გაწვევის წინ იკრიბებოდნენ ბიჭები და რამდენიმე კვირას იმალებოდნენ, ვიდრე კომისია არ წავიდოდა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი ვინმეს გაეცა.

ევილა ალალბედზე ძლივს მიიკვლევდა გზას შამბნარში, ბნელი ღამე იყო, შორიდან მგლების ყმუილი ისმოდა. შიშისაგან სულ კანკალებდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეძებნა საქმრო, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იგი ისევ სცემდა. გზაში ერთი კომბალი იპოვა, იქნევდა აქეთ-იქით და თან გაიძახოდა, „დაიკარგე აქედან, მგელო!“ შიშით კინაღამ გული გაუსკდა, მისგანვე შეშინებული რომელიღაც პატარა ნადირი ბუჩქიდან რომ გადმოხტა. რაც უფრო ღრმად შედიოდა ტყეში, მით უფრო ბნელი ეჩვენებოდა ღამე, მაგრამ უკან დაბრუნებაზე არც უფიქ-

რეა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ერთადერთი განათებული ფანჯარა. ეს იყო სამიკიტნო. ევილამ ნაბიჯს აუჩქარა. როგორც კი მიაუხლოვდა, გუდა-სტვირისა და სიციელ-ხარხარის ხმა შემოესმა, ეტყობოდა, თავაშვებულ მხიარულებას ბოლო არ უჩანდა. ჩუმად მიიპარა განათებულ ფანჯარასთან და თითის წვერებზე აიწია. რამდენიმე ახალგაზრდა მისთვის კარგად ნაცნობ ავყია ქალებთან ცეკვავდა, რომლებსაც ევილა ყოველთვის თავს არიდებდა. მესტვირე დაწნულ სკამზე იჯდა და თავდაუზოგავად უკრავდა. მოცეკვავეებში მალე იცნო პეტერ საფრანი. იგი სხვებზე მეტად მხიარულობდა, მასთან მოცეკვავე ქალიშვილს ვენიდან ჩამოტანილი ფერუმარილით ჰქონდა შეღებილი ლოყები.

პეტერმა თავისი მძლავრი ხელებით ჰაერში შეისროლა ქალიშვილი, მარჯვედ დაიჭირა და ორივე ლოყა დაუკოცნა.

ნუთუ შეუძლია ამ ვარდისფრად დათხიპნილი ლოყების კოცნა?

მოტრიალდა და უკან წამოვიდა, მოდიოდა ტყე-ტყე, ჯოხიც კი აღარ ეჭირა და ძლივს მიიკვლევდა გზას ბუჩქნარში. შორიდან ისევ ისე ისმოდა მგლების ყმუილი, მაგრამ ყოველივე ამას არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა.

საღამოხანს ფელიქს კაულმანმა კიდევ ერთხელ მოინახულა ივანი.

— მე შენ მეგობრად გთვლი და კიდევ ერთხელ მინდა გკითხო, ხომ არ მიიღებდი ჩემს წინადადებას?

— მეც კიდევ ერთხელ გიმეორებ, რომ არ მინდა.

— ესე იგი კატეგორიულ უარს მეუბნები?

— ასე იოლად არ ვიცვლი შეხედულებებს.

— კარგი, კარგი. კეთილსინდისიერად შემოგთავაზე კავშირი და ასევე რაინდულად გიმეორებ, რახან არ გინდა, ჩემთან ერთად იმოქმედო, უშენოდ დავიწყებ ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას და შეგიძლია შემოგვიერთდე როცა მოისურვებ, თუნდაც მაშინ, როცა წარმატება უკვე გარანტირებული იქნება. ვიყოთ ისევ მეგობრები ძველებურად! ოღონდ მაპატიე, რომ შენგან მიმაქვს ალმასები, რომლებზედაც შენ დააბიჯებ, მინდა ჩავწვდე მის მომაჯადოებელ საიდუმლოს!

— გაძლევ სრულ თავისუფლებას.

— ვისარგებლებ შენი ნებართვით და თავის დროზე გაგახსენებ ამას.

ივანმა შუბლი შეიჭმუხნა და თავისთვის გაიფიქრა: „ნეტავ რა მიაქვს ჩემგან? მაღაროს ვერ წაიღებს, კანონით მე ვარ მისი მფლობელი. თუ ჩემს მეზობლად დაიწყებს მიწის გათხრას, იყოს ნება მისი, მე ჩემიც მყოფნის“.

— წარმატებას გისურვებ ყველა შენს წამოწყებაში! მადლობელი ვარ მმართველისათვის.

ამით ისინი გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

მეორე დღეს, ადრიან დილით ივანი გამოაღვიძა საფოსტო ეტლის საყვირის ხმამ, მიხვდა, რომ ფელიქსი მიემგზავრებოდა.

კეთილი მგზავრობა უსურვა და ისევ დაიძინა.

დილით, როცა ივანმა ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა, ჭიშკართან პეტერ საფრანს მოჰკრა თვალი.

საშინელი შესახედავი ეჩვენა, სახეზე უძილობის კვალი ემჩნეოდა, თვალები დასწითლებოდა, თმები აბურძგნული ჰქონდა.

— რა იყო, რა მოგივიდა? — ჰკითხა ივანმა და უკმაყოფილოდ შეათვალიერა.

— ბატონო! — ჩახლეჩილი ხმით დაიწყო პეტერმა, — რა ჰქვია იმ ექიმს, გუშინ თქვენთან რომ ჩამოვიდა?

— რაში გაინტერესებს?

— მან წაიყვანა ევილა! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა, მოიძრო ქუდი თავიდან, თმებში იტაცა ხელი, მთელი ბღუჯა ამოიგლიჯა და მუშტმოღერებულმა ცას შეხედა.

ივანს სიხარულის გრძნობამ გაუელვა გულში ანაზდად.

— ესეც შენ! ასე მოგიხდება შე პირუტყვო! კმაყოფილი ხარ ახლა? სად გაგონილა საცოლეს სცემოს კაცმა მესამედ ეკლესიაში გამოცხადების დღეს?!

— ოო, ბატონო! — კბილების ღრჭიალით დაიწყო პეტერმა და მუშტებით შუბლი მოიწმინდა — მე ხომ მთვრალი ვიყავი. განა მესმოდა, რას ვაკეთებდი? ან განა ეს ცემაა? დაგლეჯილი ქამრით? თანაც ეს ჩვენთვის, გლეხებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ქალი არ დაგიჯერებს, რომ გიყვარს, თუ

ıარ სცემე. განა შეიძლებოდა, ამისათვის მივეტოვებინე და ბა-ტონთან ერთად წასულიყო!

ივანმა მხრები აიჩეჩა და წასვლა დააპირა, მაგრამ მუშამ ხელი მოჰკიდა პალტოზე და შეაჩერა.

— რაღა ვქნა ახლა? რა მეშველება?

ივანმა ზიზღით ხელი ჰკრა და გულმოსულმა მიმართა:

— ეშმაკსაც წაუღიხარ! წადი ისევ სამიკიტნოში! დალიე არაყი და ამოირჩიე ახალი საცოლე იმ ქუჩის ქალებიდან, რომლებთანაც დროს ატარებ ხოლმე, იმას გაახარებ კიდეც ალბათ, თუ ყოველდღე მიბეგვავ!

პეტერმა აიღო მიწიდან ქუდი და უკვე მშვიდად უპასუხა:

— არა ბატონო! მე ამის შემდეგ ნასვამს ვეღარავინ მნა-ხავს! დავლევ მხოლოდ ერთხელ, ერთადერთხელ ჩემს სიცო-ცხლეში. კარგად დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები. და როცა მთვრალს შემხვდებით, ან სამიკიტნოდან გამოსულს დამინა-ხავთ, ან გაიგებთ რომ იქ ვიყავი, სახლიდან ნუ ეამოხვალთ, იმიტომ რომ იმ დღეს არავის ეცოდინება, ვინ რითი მოკვდება!

ივანმა ქუჩაში მიატოვა იგი, შინ შებრუნდა და კარი ჩაკე-ტა. მხოლოდ ახლაღა იგრძნო, როგორ ააფორიაქა ამ ამბავმა. პირველად თითქოს გაუხარდა კიდეც, რომ ეს განძი ბოლოს და ბოლოს ამ გლეხუჭას არ დარჩებოდა, რომელიც ქალიშ-ვილმა მას ამჯობინა. ამ ბრიყვმა ხელიდან გაუშვა ფასდაუდე-ბელი განძი, ხელიდან ხელში საგოგმანებელი მარგალიტი. მაგრამ როცა ისიც წარმოიდგინა, რომ მარგალიტმა ფასი და-კარგა, მის გონებას ბინდი გადაეფარა. ქალიშვილი, რომელსაც იგი სათნოების განსახიერებად თვლიდა, რომლის ერთგულე-ბას განცვიფრებაში მოჰყავდა, რომლის გულუბრყვილობაც ასე ატყვევებდა, ასე დაეცა პირველივე ფარისევლური სიტყ-ვის გაგონებისას! მან ხელი ჰკრა კეთილშობილ ადამიანს, რო-მელმაც სულით და გულით შესთავაზა მისი მეუღლე გამხდა-რიყო, რომელსაც სურდა გაეყო მისთვის მთელი თავისი ავლა-დიდება, იმიტომ რომ იცის, შრომის ფასი და უბრალო ხის სახ-ლი აქვს და გაიქცა გამოწკეპილ ბატონთან ერთად, რომელმაც უსვინდისოდ მოატყუა, ცოლად თხოვისა და პატიოსანი სახე-ლის წაცვლად შეჰპირდა მხოლოდ მდიდრულ სასახლეს და ბრწყინვალე ჩაცმა-დახურვას!

ქალი მართლაც მტაცებელი ფრინველივითაა! მართალნი არიან მაჰმადიანები უარს რომ ეუბნებიან მათ ახალ ცხოვრებაზე იმქვეყნად.

გრაფინია ტეუდელინდა

ბონდავარის მფლობელი, ივანის თქმით, მაშინ ნამდვილად 58 წლისა იყო. ჩვენ რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ვაწყენინოთ მას მოსახლეობის აღმწერთა უტაქტობით წამოროშილი საიდუმლოს განმეორებით.

გრაფინია ტეუდელინდამ დიდი ხანია ზურგი შეაქცია მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე ცხოვრებას. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ არც არასოდეს უცხოვრია მათთან.

თოთხმეტ წლამდე დედის სიკვდილის შემდეგ მამის სახლში იზრდებოდა. გუვერნანტი ქალი ლამაზი იყო, ჰერცოგი — მოხუცი, გრაფის ასულს (მხოლოდ პირველი შვილი ატარებდა ჰერცოგის ტიტულს, ოჯახის დანარჩენი წევრები გრაფებად იწოდებოდნენ) აღარ შეეძლო მამამისის სახლში დარჩენა და მონასტერში გაგზავნეს.

მაგრამ გამგზავრებამდე იგი დანიშნეს მარკიზ დე კალომირანოს ერთადერთ ვაჟიშვილზე დონ ანტონიო დი პადუაზე, რომელიც მაშინ 18 წლისა იყო.

მამებმა მოილაპარაკეს, როცა დონ ანტონიოს ოცდაოთხი წელი შეუსრულდებოდა და გრაფის ასულ ტეუდელინდას ოცი, წამოიყვანდნენ მონასტრიდან და ახალგაზრდები წმინდა ქორწინებით შეუერთდებოდნენ ერთმანეთს.

გრაფინია ტეუდელინდა ექვსი წლის შემდეგ წამოიყვანეს მონასტრიდან, რომ გაეთხოვებინათ, მაგრამ ყველას გასაოცრად, საქმრო რომ დაინახა, იკივლა და გაიქცა ოთახიდან. ეს ის არ იყო, ვისზედაც იგი დანიშნეს! ამას ულვაშები ჰქონდა! (რა თქმა უნდა, ექნებოდა ულვაშები ჰუსართა ოფიცერს).

ტეუდელინდას აქამდე არასოდეს ენახა ულვაშებიანი მამაკაცი. დიდებულები, უცხოელი ელჩები, მაღალი წრის საზოგადოების სტუმრები, ლაქიები და მეეტლეც კი — მათ სა-

სახლეში ყველა გაპარსული დადიოდა. მონასტერშიც მხოლოდ გაპარსულ მოძღვარს ხედავდა. ახლა კი მის წინ დგას ულვაშებიანი მამაკაცი, რომელიც იმასაც კი ბედავს, რომ ცოლად შერთვას უპირებს.

ფიქრიც შეუძლებელია ამაზე!

წვერსა და ულვაშებს მხოლოდ წმინდანები და წინასწარმეტყველები ატარებდნენ, როგორც ეს სურათებზეა დახატული. აქაც კი, ულვაშიანს ვერც ერთ წმინდანს ვერ ნახავთ, გარდა ჯალათ პონტიუს პილატურის დამხმარისა.

წმინდანთა გამოსახულებებს, ულვაშებიანს და წვერებიანს, კიდევ შეიძლება მოწიწებით თაყვანი სცე, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ რომელიღაც მხატვარს მოსვლოდა ბილწი აზრი და ჩვენი მფარველი იესო ქრისტე დაეხატა ულვაშებით. მისი გამოსახულების დანახვისთანავე ლოცვა ბაგეებზე შეგვეყინებოდა. გრაფინია ტეუდელინდას ქორწინების ხსენებაც კი არ სურდა. იგი ვერ გახდებოდა ჯალათ პონტიუს პილატუსის დამხმარის ცოლი. ახალგაზრდებმა ერთმანეთს დაუბრუნეს ნიშნობის ბეჭდები. ქორწინება არ შედგა.

ბუნებრივია, გრაფინია გაურბოდა მაღალი წრის საზოგადოების გასართობებს, ვერავითარი ძალა ვერ დაითანხმებდა ბალზე ან თეატრში წასულიყო. ამას იგი ცოდვილთა არენას და თავაშვებულთა გასართობს უწოდებდა.

მიუხედავად ამისა, მონაზვნად მაინც ვერ აღიკვეცა მონასტერში; პირიქით უდიდესი მოთხოვნები წაუყენა სამყაროს. მოინდომა, რომ ყოველივე მისი სურვილის მიხედვით გარდაქმნილიყო. უნდა მოენახათ მისთვის ისეთი მამაკაცი, როგორიც მას ოცნებით წარმოედგინა, რომელსაც ექნებოდა სუფთად გაპარსული სახე, ფაქიზი სული, სასიამოვნო ხმა, იქნებოდა დამყოლი, ერთგული, მკრძნობიარე, გონებამახვილი, თავაზიანი, მეოცნებე, დამთმობი, ღვთისმოშიში, შინჯდომია, მორწმუნე, არ დალევდა, არ მოსწევდა, არ ითამაშებდა ბანქოს, არაფერზე შეედავებოდა. გარდა ამისა, უნდა ყოფილიყო ჭკვიანი, ნაკითხი, ყველაფრისმცოდნე, ყველასგან პატივცემული, მაღალი თანამდებობის პირი, გულადი, მდიდარი. უნდა ჰქონოდა ტიტულები და ორდენები. ვინ იცის, იქნებ იყო კი-

დევაც ვინმე ამ თვისებებით შემკული, მაგრამ მისი მოძებნა არც ისე იოლი იყო.

გრაფინია ტეუდელინდამ მის ძებნას შეალია თავისი საუკეთესო წლები. რაც დრო გადიოდა, უფრო მომთხოვნი ხდებოდა და რაც უფრო მეტად იზრდებოდა მისი მომთხოვნელობა, სულ უფრო ნაკლებად ხვდებოდა პორტრეტებს, რომლებიც მათთვის გამზადებულ ჩარჩოს მოერგებოდა.

გრაფინიას უფროსი ძმის ჰერცოგ გუსტავის ნათქვამი ყველაზე უკეთესად ახასიათებს გრაფინიას სულიერ განწყობილებას.

„ჩვენ ალბათ მანამდე ვერ მოვძებნით საქმროს ჩემი დისთვის, ვიდრე მსოფლიო კრება არ გააუქმებს ცელიბატს“.

აკი ვერც იპოვეს.

გრაფინიამ ოცდაათს გადააბიჯა და მაინც ვერ იპოვა თავისი იდეალი. იგი ისევ ისეთ პრეტენზიებს უყენებდა ქვეყანას, სამყარო, როგორიც იყო, ისეთი არ მოსწონდა და არც მონასტერში წასვლა უნდოდა.

მოხუცი ჰერცოგი გარდაიცვალა და გრაფინია ტეუდელინდას დაუტოვა ბონდავარის მამული ძველისძველი სასახლე სიკვდილამდე მფლობელობის უფლებით. დიდი ხანია ამ სასახლეში ცხოვრობს გრაფინია თავისი დამსხვრეული ილუზიებით, გარე სამყაროს მოწყვეტილი. ძმას მხოლოდ იურიდიული უფლება ჰქონდა ბონდავარის მამულზე და სანამ გრაფინია ცოცხალი იყო, მის საქმეებში ვერავინ ჩაერეოდა.

ბონდავარის სასახლეში მარტოობაში მყოფს კიდევ უფრო გაუძლიერდა სიძულვილი ულვაშისა და წვერისადმი, და ვინც ამას ვერ შეელეოდა, სასტიკად აკრძალული ჰქონდათ სასახლეში გამოჩენა.

რაც დრო გადიოდა, ულვაშებთან ერთად თანდათან მთლიანად შეიძულა მამაკაცები და სასახლეში შინამოსამსახურეებადაც კი არ გაიჩერა. მას მხოლოდ ქალები ემსახურებოდნენ: მზარეული, მებაღე, ჭურჭლის მრეცხავი, ცეცხლფარეში — ქალები იყვნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მოახლესა და მკერავზე. ესენი ყველანი გასათხოვრები იყვნენ. ვინც კი მას ემსახურებოდა, გათხოვებაზე ფიქრის უფლებაც არ ჰქონდა, და თუ რომელიმე ამას გაბედავდა, მაშინვე გააძევებდა თავი-

სი მამულიდან. გრაფინიას მეეტლეც კი ქალი ჰყავდა, ის მარ-
თალია ქვრივი იყო, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო. მხოლოდ მას,
როგორც გამონაკლისს, ვინაიდან კოფოზე ქალის ტანსაცმ-
ლით ჯდომა უხერხული იყო, ნება დართო მეეტლის გრძელ
ქურქთან ერთად მამაკაცის ქუდი ეტარებინა. მას შეეძლო
სიგარეტი მოეწია და ღვინოც დაელია.

ამათ გარდა გრაფინიას ემსახურებოდა კიდევ ერთი
კომპანიონი, მადმუაზელ ემერენცია, რომელიც მის იდეალურ
დანამატს წარმოადგენდა, გრაფინია იყო მაღალი, გამხდარი,
ჰქონდა თეთრი, დახვეწილი სახის ნაკვთები, თითქმის გამ-
ჭვირვალე ცხვირი. მისი საუცხოოდ გამოთლილი მშვილდის
მსგავსი არაჩვეულებრივი წითელი ფერის ტუჩები, თავის
დროზე მშვენიერიც იქნებოდა. წელში ოდნავ მოხრილი იყო,
მოკუზული, წამწამებსაც ფერი წასვლოდა. მრავალი წლის
მანჭვა-გრეხვას მისი სახე თითქოს ორად გაეყო და თითოეულ
ნახევარს თავისი გამომეტყველება მიეღო, და ასე გასინჯეთ,
ნაოჭებითაც კი განსხვავდებოდნენ. ვარცხნილობას ისეთსა-
ვეს ატარებდა, როგორიც კაროლინა პიას დროს იყო მოდა-
ში. კიდევ რამდენიმე წელიც რომ ეტარებინა, ალბათ ისევ
შემოვიდოდა მოდაში. კაბებიც იმდროინდელი ეცვა. არ მოს-
წონდა კრინოლინი, გახამებული ქვედა კაბები და საერთოდ
ისეთი ტანსაცმელი, თვალში რომ ეცემოდა მნახველს. ნაზი
ხელები ჰქონდა, თითქმის ყოველთვის უკანკალებდა და დანით
წიგნის ფურცლის გაჭრაც კი არ შეეძლო. მეტად მგძნობიარე
და ნერვიული არსება იყო, მცირეოდენი ხმაური აკრთობდა,
აკანკალებდა და კრუნჩხვები ემართებოდა. ვერ იტანდა ზო-
გიერთ საგანს, ცხოველს, მოძრაობას, სუნს, საჭმელს, კატის
დანაზვაზე გული მისდიოდა, კანისფერი ყვავილის დანახვაზე
სისხლი უდუღდა; სუფთა ვერცხლის გემოს გრძნობდა, ამი-
ტომ მხოლოდ მოოქროვილი კოვზით შეეძლო ჭამა; თუ ვინმე
გაბედავდა ფეხის ფეხზე შემოდებას, მაშინვე განდევნიდა სა-
სახლიდან; მაგიდასთან არ დაჯდებოდა, თუკი შენიშნავდა,
რომ დანა-ჩანგალი და კოვზი ჯვარედინად ეწყო. იმის წარმო-
დგენაც კი ნერვებს უშლიდა, რომელიმე მსახურთაგანს ხა-
ვერდის ტანსაცმელი რომ ჩაეცვა. ხომ შეიძლება შემთხვე-
ვით ხელი შევახო ამ საშინლად რბილ, დაელექტროებულ, სა-
ზიზღარ, ეშმაკისეულ ქსოვილსო!

ერთადერთი ბედნიერება ის იყო, რომ ღამით მაინც არ აწუხებდა თავის მსახურებს უცნაური ნერვიულობით, როგორც კი ჩაკეტავდა თავისი საძინებელი ოთახის კარს, დილამდე არ გააღებდა, ხანძარიც რომ გაჩენილიყო.

მადმუაზელ ემერენცია, რომელიც როგორც უკვე ვთქვით, გრაფინიას იდეალურ დანამატს წარმოადგენდა, მისგან სრულიად განსხვავებული იყო. დაბალი, ჩასუქებული, სქელლოყება, მაგრამ შეთეთრებული სახით, რომ გრაფინიას დამსგავსებოდა. აპრეხილი ცხვირი ჰქონდა და ფარულად ბურნუთიც ძალიან უყვარდა. ემერენცია ისევე იცვამდა და ისეთ ვარცხნილობას ატარებდა, როგორსაც გრაფინია, მაგრამ მის ჩამრგვალებულ ტანზე შემოტმასნულ კაბებს რომ შეხედავდით, ღიმილს ვერ შეიკავებდით. და ყოველივე ამის დამაგვირგვინებელი იყო გრაფინიას მსგავსი ნერვიულობა. ხელები ისეთივე ნაზი ჰქონდა, და არც იმას შეეძლო წიგნის ფურცლის გაჭრა, დღის სინათლე მასაც თვალს სჭრიდა, მასაც ისეთივე მიდრეკილება ჰქონდა გულის წასვლისა და კრუნჩხვებისადმი, როგორც გრაფინიას. ასე გასინჯეთ, ამაში კიდეც აჭარბებდა. როგორც კი შეამჩნევდა, ისეთი ამბის მოახლოვებას, რაც შეაკრთობდა და შეაშინებდა ქალბატონს, ემერენცია დაასწრებდა ხოლმე მას და ერთი წუთით ადრე იწყებდა კანკალს, მერე ნერვიულად მიაშტერდებოდა რამეს; მას შეეძლო გრაფინიაზე დიდხანს სლოკინი და თუ ერთ ტახტზე მას გული წაუვიდოდა, ემერენცია მეორე ტახტზე დაეცემოდა, ასე იწვნენ ორივენი ერთმანეთის პირდაპირ, სანამ ბოლოს და ბოლოს გრაფინია გონს არ მოვიდოდა.

მადმუაზელ ემერენციას მუდამ ღრმა ძილით ეძინა. მისი საძინებელი ოთახი გრაფინიას ოთახიდან მესამე იყო, მაგრამ ისე ეძინა, ტეუდელინდას ზარის ზონარი სულ რომ ჩამოეგლიჯა, ვერაფრით გააღვიძებდა. ამას თვითონ ემერენცია ნერვიული ავადმყოფობით ხსნიდა.

ბონდავარის სასახლეში ერთადერთ მამაკაცს შეეძლო მხოლოდ შესვლა. ეს იყო მოძღვარი, სულიერი მამა, ბატონი მაჰოკი, მეტად ღირსეული და პატიოსანი კაცი. თავის მოვალეობასაც კეთილსინდისიერად ასრულებდა, იქნებოდა ეს წირვა, ნათლობა, ჯვრისწერა თუ პარაკლისის გადახდა; ღამითაც ხში-

რად წასულა მომაკვდავთან, არც დიაკვანს წაჩხუბებია, როცა საწოლიდან წამოაყენებდა ხოლმე შუაღამისას. მონაზონი, რომელიც მის მეუურნეობას განაგებდა, ათი წლით უფროსი იყო და სანიმუშო რეპუტაცია ჰქონდა. ბატონი მაჰოკი პოლემიკურ სტატიებს არ აქვეყნებდა ერთმანეთის მოქიშპე გაზეთებში, არც მაინცდამაინც კითხვით იწუხებდა თავს, ზოგჯერ ბონდავარის მმართველს გამოართმევდა ხოლმე გადასათვალიერებლად „პეშტის დღიურს“, ხოლო როცა შემოწირულებას აგროვებდნენ, მოძღვარი ფილერებს ფორინტს დაუმატებდა თავის მხრიდან და უგზავნიდა, საღამოობით კი ბანქოს ეთამაშებოდა ლუთერან მღვდელს და მმართველს. ბატონი მაჰოკის მარანი საქვეყნოდ იყო განთქმული, შინაური ფრინველების საუცხოო ფერმა ჰქონდა, როგორც მეფუტკრესა და მებაღეს ხომ ბადალი არ ჰყავდა. პოლიტიკაში მაინც და მაინც არ ერეოდა, მთავარი პარტიის მომხრე იყო. სოფელში ეს თამბაქოს მონოპოლიისთვის ხმის მიცემას ნიშნავდა, ესე იგი, როცა თვითონ საკუთარ თუთუნს ეწევი, რადგანაც იგი საუცხოოა და ყოველთვის ხელი მიგიწვდება.

ადვილი მისახვედრია, რომ მისი უწმინდესობა მთელი ამ ამბის მანძილზე ჭიანჭველასაც არ დააბიჯებს ფეხს. მას რა თქმა უნდა, საერთოდ არც შევეხებოდით, უბრალო შემთხვევა რომ არა. ბატონ მაჰოკს ყოველდღე 11 საათისთვის იწვევდნენ ბონდავარის სასახლეში გრაფინიას აღსარების მოსასმენად, რის შემდეგაც გრაფინია სადილად სტოვებდა თავისთან. უნდა ითქვას, რომ ორივე საქმეს წარმატებით ართმევდა თავს, ეს ღვთის წყალობა კარგად ემჩნეოდა მის მოზრდილ მუცელს, ორმაგ ნიკაპს და ღაჟღაჟა ლოყებს.

გრაფინიასგან განსხვავებით ბატონ მოძღვარს სიზუსტე უყვარდა. როგორც კი თერთმეტმა დარეკა, სულიერმა მამამ დააკაკუნა მისაღები ოთახის კარზე, მაგრამ „შემობრძანდით“ წარმოსთქვა მადმუაზელ ემერენციამ და მისალმებისას გაუღიმა. ორივენი სავსე მთვარესავით მრგვალები იყვნენ.

— გრაფინია ჯერ არ გამობრძანებულა საძინებელი ოთახიდან — ჩურჩულით უთხრა ემერენციამ, იმის შიშით, რომ მისი ხმა სამი ოთახის იქით არ გაეგონათ.

ბატონმა მოძღვარმა ტკბილად გაიღიმა, წარბები ასწია და ხელითაც ანიშნა, ხელს ნუ შევუშლით, ეძინოსო.

მაგრამ გრაფინიას უკვე ეღვიძა და დილის ტუალეტით იყო გართული. იგი თვითონ იცვამდა, არავის აძლევდა ნებას მიხმარებოდა, ამიტომ მის ტანსაცმელს საკინძე და შესაკრავი მხოლოდ წინა მხრიდან ჰქონდა.

ბატონმა მოძღვარმა ისარგებლა შემთხვევით რომ მარტონი იყვნენ, ფრთხილად ამოიღო უკანა ჯიბიდან რაღაც შეკვრა, კიდევ ერთხელ მიმოიხედა ირგვლივ, რომ დარწმუნებულიყო კარი ხომ არ გაიღო და ჩაუდო ხელში ემერენციას. მანაც მარჯვედ ჩაიდო კაბის ჯიბეში და სახეგაბრწყინებულმა რევერანსით გამოხატა თავისი მადლობა. მისმა უწმინდესობამ ხელის მსუბუქი მოძრაობით უპასუხა, მადლობად არ ღირსო. შემდეგ ემერენციამ კედლისაკენ შებრუნდა, ფრთხილად ამოიღო ჯიბიდან შეკვრა, გახსნა, ცხვირთან მიიტანა და ხარბად შეისუნთქა. შემდეგ მოძღვარს შეხედა, მანაც თითებით ანიშნა, მართლაც დიდებულიაო! ემერენციამ მარჯვენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითით ამოიღო ეს საიდუმლოდ მოტანილი საჩუქარი, ჯერ ერთ ნესტოსთან მიიტანა, მერე მეორესთან და რამდენიმეჯერ შეისუნთქა ესპანური ბურნუთის ღვთაებრივი სურნელი.

მოძღვარი ყოველთვის ავსებდა ხოლმე მის სათუთუნეს ნამდვილი, ყვითელი ესპანური ბურნუთით. ამ ორი ადამიანის სულს ბევრი საერთო ჰქონდა, ერთი იყო მათი ლტოლვაც ესპანური ბურნუთის არომატისადმი.

თუმცა ყვითელი ბურნუთი ძნელი საშოვნელი არ იყო. თავისუფლად იყიდებოდა მაღაზიებში ოთხფუნტიან ყვითელ კოლოფებში ერთ ფორინტად და 80 კროიცარად. მაგრამ განა ნაყიდი ბურნუთი შეედრებოდა მოძღვრის მოტანილს? ამის გაგება მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც მისი ფასი იცოდა.

სად შოულობენ მღვდლები ასეთ სურნელოვან ბურნუთს, როგორ ამზადებენ? სად ამზადებენ? ასეთი შეკითხვების მიცემა უხერხულიც კია, მათ თუნდაც იცოდნენ, არ იტყვიან. ერთი კი ეჭვსგარეშეა, ეკლესიის მსახურნი ამ საქმეში დიდად არიან გაწაფულნი. ერთ ეპისკოპოსს სიკვდილის შემდეგ დარჩა ასორმოცდაათი კილოგრამი ღვთაებრივი ფხვნილი და

ვინც კი შესძლო ხელში ჩაეგდო თუნდაც ოთხი ლოტი ერთ ოქროდ, თავს ბედნიერად თვლიდა.

ამიტომ პარადოქსად არავის მოეჩვენება მღვდელი მაჰოკის ნათქვამი კაპელის ერთი მგალობლისადმი, რომელსაც მისი ბედნიერი ცხოვრება შეშურდა, რომ კარგს ჭამდა, კარგს სვამდა, საუკეთესო თუთუნს ეწეოდა და ასე განსაჯეთ, საუკეთესო ბურნუთს ყნოსავდა. „ჰო, შვილო ჩემო, მართლაც აღარ ვიცი ყურებში რაღა ჩავიდოო!“

მათი ინტიმური საუბარი დაარღვია ზარის ხმამ, გრაფინიას საძინებელი ოთახის კარზე გაიღო სპილენძის ფარი და შემობრუნდა ცარიელი ფინჯანით, რაც იმას ნიშნავდა, რომ გრაფინიამ ისაუზმა.

სასახლეში თითქმის ყველა კარს ჰქონდა დიდი და პატარა სპილენძის ფარი. კარებები მუხისა იყო, კუთხეებში რკინით შემოქედილი. გრაფინიას საწოლი ოთახის კარი კი მთლიანად რკინისა იყო, შიგნიდან ხალიჩააკრული. ვინაიდან სასახლეში არც ერთი მამაკაცი არ იყო, თავდაცვის მთელი სისტემა ჰქონდათ შემუშავებული და ყოველდღიურად რაღაცით ანახლებდნენ, რომ მზად ყოფილიყვნენ მოულოდნელი თავდასხმისათვის. ამ სისტემის დამატება იყო გრაფინიას საწოლ ოთახში მოწყობილი მექანიზმი, რომელზე ფეხის დაჭერით ერთ წუთში ზღურბლთან იატაკი ვენეციური ამოოხვრის ხიდად იქცეოდა და გაბედულ მომხვდურს მიწისქვეშა ორმოში ჩაგდებდა, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი იყო. სახანძრო კოშკზე გაყვანილი იყო ელექტროტელეგრაფი, ღილაკზე თითის ოდნავი დაჭერა საკმარისი იყო, რომ ზარის რეკვა ატეხილიყო. მის ხმაზე სოფლიდან მოეშველებოდნენ საჭიროების შემთხვევაში.

ემერენციას ოთახშიც იყო ელექტროზარი და ფარი კარზე. თუ ფარზე ფინჯანი გამოჩნდებოდა, მოახლე უნდა შესულიყო, წიგნი კი თვით ემერენციას უხმობდა. ემერენციამ ჯერ მოახლე შეაგზავნა, ცოტა ხნის შემდეგ კი როცა მეორედ გაისმა ზარის ხმა და წიგნი გამოჩნდა, თვითონ შევიდა. მალე უკანვე დაბრუნდა და მოძღვარს ჩასჩურჩულა:

„წუხელ ღამით მოჩვენებები ჰქონდა. ბევრი აქვს მოსაყოლი“.

შევიხედოთ მის უწმინდესობასთან ერთად გრაფინიას მოსასვენებელ ოთახში. ნუ შეგაკრთობთ ეს აზრი! მას, ვინც არ შეუშინდა ჩემთან ერთად შემოევლო მამონტების ეპოქის სამყარო, იმისი გამბედაობაც ეყოფა, აქ შემომყვეს, თანაც გარწმუნებთ, რომ ხანდახან მოჩვენებებსაც შეგახვედრებთ, ეს გაწვრთნილი მოჩვენებები იქნებიან. თუმცა ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შევიტყოთ ყველაფერი!

მოძღვარმა კარი მიხურა, მიუახლოვდა გრაფინიას და ხელი გაუწოდა. გრაფინია ღრმა სავარძელში იჯდა, დაღლილი სახე ჰქონდა. ხელით ანიშნა მოძღვარს მის პირდაპირ დამჯდარიყო.

— ისევ ნახეთ ისინი?

— ისევ, — ჩურჩულით უპასუხა გრაფინიამ. — ახლაც ასე დაიწყო როგორც ამას წინათ. როგორც კი სასახლის კოშკზე საათმა შუაღამისას თორმეტჯერ დარეკა, ქვემოდან, თითქოს პირდაპირ აკლდამიდან, შემომესმა შემზარავი, კოშმარული საგალობელი „უფსკრულიდან“ შემომესმა მღვდლის ხმა, წირვა-ლოცვა, გუნდის გალობა. მალე ეს ხმა დაფარა სიცილ-ხარხარმა, ღრიანცელმა, ბაკლების ჭახუნმა და რაღაც გაურკვეველმა ხალხურმა სიმღერამ. შემდეგ ისევ მოისმა საგალობელი დაბალი ხმით და ასე ერთმანეთის მონაცვლეობით. ხელზე ვიჩქმიტე, რომ დავრწმუნებულიყავი, სიზმარი იყო თუ ცხადი. აი, შეხედეთ, ისევ მეტყობა, დავრწმუნდი, რომ არ მეძინა. მაშინვე წამოვდექი საწოლიდან, ავიღე ფანქარი და სანოტო ქაღალდი და ჩავიწერე, აი, ინებეთ, თქვენ ხომ შეგიძლიათ ნოტების ამოკითხვა. მღვდელმა თვალი გადაავლო და მაშინვე იცნო „ველური უგრეხელი“ და „შავთვალება პატარძალი!“

რაღა თქმა უნდა, შუაღამისას აკლდამიდან ამოსული ასეთი სიმღერა შემზარავია.

— ადრე თუ მოგისმენიათ, როგორ მღერიან ამ სიმღერას გლეხები მინდორში?

— როგორ! რა მინდოდა გლეხებთან? — თავმომწონედ უპასუხა თითქოსდა ამით შეურაცხყოფილმა გრაფინიამ.

შემდეგ ისევ განაგრძო:

— აი, კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ ეს სიზმარი არ იყო. რაღა დამაძინებდა, რაღაც უხილავი

ძალა მეწეოდა იქითკენ, საიდანაც სიმღერა მოდიოდა. კარგად მახსოვს, მოლისფერი, პალმებით ამოქარგული კაბა ჩავიცვი ქიშმირის არშიებით; არავინ გამიღვიძებია, გამბედაობა მოვიკრიბე და მარტო ჩავედი საგვარეულო აკლდამაში. როგორც კი კარს მივუახლოვდი, ორივე დარაბა გაიღო, შიშით კინაღამ ბუული გამისკდა, ყველა საფლავის ქვა დაძრული იყო თავისი ადგილიდან, ყველა ნიშა ცარიელი, განსვენებულები აკლდამის შუაგულში გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ. ყველა იმავე ტანსაცმელში, რაშიც გამოსახულები არიან ოქროსჩარჩოიან პორტრეტებში. თითოეული მათგანი თავის მიწიერ ცხოვრებას აგრძელებდა. ბიძაჩემი, არქიეპისკოპოსი აკლდამის საკურთხეველთან იდგა და წირვა-ლოცვას ასრულებდა. პაპისპაპა, რომელიც სიცოცხლეში კანცლერი იყო, სუფრის თავში იჯდა და სახელმწიფო ბეჭედს ასვამდა პერგამენტზე შედგენილ დოკუმენტებზე. მეორე ბიძა, მარშალი, აბჯარასხმული ბრძანებას იძლეოდა, ბებიაჩემის დედა, სეფექალი კატარინა, რომელიც თავის დროზე ულამაზესი ქალი იყო და ყველას გულს ერთი შეხედვით იპყრობდა, ახლაც თვალთა ისრებს სტყორცნიდა ირგვლივ — მის სრულიად უმოძრაო სახეზე მხოლოდ ცეცხლისმფრქვეველი, მომხიბლავი თვალები ბრწყინავდა. დეიდა კლემენტინა, მონასტრის წინამძღვარი, გამოართმევდა ხოლმე ბიძას ფსალმუნს და შიგა და შიგ ხმას აყოლებდა გუნდს.

— ის სიცილ-ხარხარი, ღრიანცელი და უწმაწური სიმღერები? — ჰკითხა მოძღვარმა.

— ამასაც გეტყვით. სუფრის ბოლოში სხვა გარდაცვლილი ნათესავებიც ისხდნენ. ძმისწული კლარისა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, ცეკვისას გარდაიცვალა, თავის დროზე ცნობილი ფლეიტისტი, ბიძია ოტო, მისი გატაცება აზარტული თამაშები გახლდათ, ახლაც კამათელს აგორებდა და თან ხმამაღლა იგინებოდა. მის გვერდით ბებიაჩემის ძმისწული იჯდა, რომელიც ქორწინების დღეს გარდაიცვალა. მას ახლაც ფატა ეხურა თავზე. და ბოლოს მაგიდის მეორე მხარეს იჯდა კიდევ ერთი ბიძა, ლასლო, რომლის პორტრეტიც არ იყო ჩვენს საგვარეულო დარბაზში, იგი განდევნილი იყო ჩვენი ოჯახიდან ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში.

— ის როგორღა იცანით, გრაფინია? — შეეცადა ამ შეკითხვით მაინც შეეჩერებინა მოჩვენებათა ჩამოთვლა.

— ახლავე გიამბობთ, — უპასუხა ტეუდელინდამ მშვიდად.

— ჩემი წინაპარი, ლასლო ჩამოშორდა ოჯახს, როგორც მეამბოხე და ერეტიკოსი, ეკლესიამაც განდევნა, მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. იგი ბოლოს დააკავეს და სიკვდილით დასაჯეს, თავი მოჰკვეთეს. ამიტომ თავის ნაცვლად, მხრებზე თავის ქალა ედგა. მან პირველმა გაბედა ჩიბუხის გაბოლება მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფის მიერ იყო აკრძალული. სწორედ ამისათვის, ვიდრე სიკვდილით დასჯიდნენ, ცხვირში ჩიბუხის ტარი ჩასჩარეს, როგორც დაწესებული იყო. ახლაც სუფრაზე ისევ თავისი ავბედითი ჩიბუხი ეჩარა პირში და ისე შეუჩერებლივ ეწეოდა, რომ მთელი ოკლდამა ბოლით იყო სავსე.

მღვდელი დარწმუნებული იყო, რომ გრაფინიამ ეს ყველაფერი სიზმარში ნახა.

— ჩემს ორ დისწულს, წინამძღვარსა და პატარძალს შორის თავისუფალი სკამი იდგა, მეც იმაზე ჩამოვჯექი. პატარძალს მოდებზე მოუნდა ლაპარაკი ჩემთან, მოეწონა ჩემი ტუალეტი, ხელით მოსინჯა ჩემი მწვანე კაბა, მატერიამ აღტაცებაში მოიყვანა. შეხებისას მისი ხელი ყინულივით ცივი მეჩვენა. მაგიდაზე მწვანე მაუდი გადაეფარებინათ, მის ერთ ბოლოში ქეიფობდნენ და დროს ატარებდნენ, იცინოდნენ, მხიარულობდნენ, მხიარულ სიმღერებს მღეროდნენ, მეორე ბოლოში ფსალმუნს გალობდნენ. ეს ყოველივე ერთად შემაძრწუნებელი იყო. ლანგრებზე ეწყო ხოხბები, ტყის ქათმები. სასმისები ძოწისფერი ღვინით იყო სავსე. მეც მიმიპატიჟეს, მაგრამ არც საჭმელს და არც სასმელს არაფრის გემო არ ჰქონდა. უცებ ჩემმა ძმისწულმა, პატარძალმა გამომიწოდა ხოხბის ავქაში და იხუმრა: „გადავტეხოთ ძვირფასო, და გავიგებთ ჩვენში რომელი მალე გათხოვდება!“ მე გადავტეხე და ჩემკენ გრძელი დარჩა. პატარძალმა გაიცინა და თქვა: „ტეუდელინდა უფრო ადრე გათხოვდება!“ მე გავწითლდი, წინაპართა სულების ასეთ ქარაფშუტულ ხუმრობაზე.

მისმა უწმინდესობამ შენიშნა, რომ მიცვალებულებს რა

თქმა უნდა, შეეძლოთ, იმ ქვეყნად სხვა გასართობით შეექციათ თავი, იმის მაგივრად, რომ ცოცხალი გაუთხოვარი ნათესავებისთვის არ გადაეტეხათ ხოხბის ავქაში.

— განსაკუთრებით აღმაშფოთა ბიძაჩემის საქციელმა. იგი განუწყვეტლივ ყვიროდა, ხარხარებდა, უწმაწურ სიმღერებს მღეროდა, ილანძღებოდა, აბუჩად იგდებდა წმინდანებს, მღვდლებს, ოხუნჯობდა, მისი უწმაწური ანეკდოტების მოყოლისას ქალებმა აღარ იცოდნენ სად წასულიყვნენ, მე პირდაპირ სახეში მაბოლებდა. ჩემი მწვანე ჟაკეტის კალთები სულ ბოლით იყო გაჟღენთილი. ბიძია ლასლომ ისიც კი დამწამა, მწვანე კაბის ჯიბეში ქორწინების მომასწავებელი ხოხბის ავქაშის ნატეხი შეინახაო. მე, რა თქმა უნდა, დავიწყე მართალი არ არის-მეთქი, მაგრამ იმან დაიფიცა ისეთი ხმით, რომ თაღიც კი შეაზანზარა, თან, მაგიდაზე მუშტების ცემა დაიწყო. ნათესავები აჩუმებდნენ, მაგრამ ვერაფრით გააჩერეს. აგინებდა წმინდანებსაც და იმპერატორებსაც! მაშინ ბიძაჩემმა, არქიეპისკოპოსმა შეაჩვენა, პაპაჩემმა კანცლერმა ბეჭედი დაუსვა განაჩენს, ერთ-ერთმა წინაპარმა, მარშალმა მახვილი იშიშვლა და თავი მოჰკვეთა ლასლოს. მოკვეთილი თავი ჩემს ფეხებთან დაგორდა. პირში ისევ ჩიბუხი ეჩარა და შეუჩერებლივ მაბოლებდა. მე ავდექი და გამოვიქეცი.

მოძღვარი მიხვდა, ისტერიულ მოვლენასთან ჰქონდა საქმე, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ გრაფინიამ ასეთი სიზმარი უკვე რამდენჯერმე ნახა.

— კაბის გახდის შემდეგაც კი ვგრძნობდი ბოლის სუნს.

— სად არის ახლა ის მწვანე კაბა. თუ ამით დაინტერესების ნებას მომცემთ?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, ჩემს გარდერობს მადმუაზელ ემერენცია განაგებს.

— ნება მიბოძეთ გრაფინია, კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ, სად გაიხადეთ კაბა?

— ეს უკვე არ მახსოვს, ბოლოს ემერენციაც შემოვიდა, იქნებ იმან იცოდეს.

— შეიძლება, დავუძახოთ ემერენციას?

— ახლავე, — გრაფინიამ ორჯერ დააჭირა თითი ღილაკს. ოთახში ემერენცია შემოვიდა.

— მადმუაზელ, — მიმართა გრაფინიამ, — თქვენ გახსოვთ ჩემი მოლისფერი კაბა, პალმებით ამოქარგული?

— დიახ, განიერი იაპონური სახელოებით, აბრეშუმის ყაითნით რომ იკრავთ ხოლმე წელზე.

— სწორედ ის, სად არის ახლა?

— გარდერობში, მე თვითონ ჩამოვკიდე.

— როდის იყო ეს?

— შარშან ზაფხულში.

— მოძღვარს გაეღიმა. — ახლა ხომ დარწმუნდით, გრაფინია, რომ ეს ყოველივე სიზმარი იყო.

— ესე იგი შარშანდელი ზაფხულის შემდეგ მე ის კაბა არ ჩამიცვამს?

— არც ერთხელ, თქვენ მას მხოლოდ ზაფხულობით იცვამთ, როცა ცხელა, როგორ შეიძლება ახლა ჩაგეცვათ კაბა განიერი იაპონური სახელოებით, ამ სიცივეში!

— შეუძლებელია!

— რომ დარწმუნდეთ, თქვენ თვითონ შეიხედეთ გარდერობში, ამაზე ადვილი რა არის? — მიმართა მოძღვარმა, — ვისა აქვს გასაღები?

— მადმუაზელ ემერენციას.

— ნებას მომცემთ გავაღო, გრაფინია?

— დიახ, მინდა ვნახო, — თქვა გრაფინიამ და წამოდგა, მოძღვარსაც ხელით ანიშნა, უკან გაჰყოლოდა.

ოდნავ ამრეზილი ემერენციას გასაღებების ჩხარუნით გავიდა მეორე ოთახში და გააღო უძველესი, მოჩუქურთმებული კარადა. მასში სულ ცოტა ორმოცდაათი აბრეშუმის კაბა მაინც ეკიდა. გრაფინია არავის აძლევდა მათთვის ხელის დაკარების ნებას, რომ არ წაებილწათ.

ემერენციას კარგად იცნობდა ტანსაცმლის ამ მუზეუმს, სადღაც სიღრმიდან მაშინვე გამოსწია მოლისფერი კაბის კალთა, რომლის ნახვაც უნდოდა გრაფინიას.

— აი, ეს არის!

მოძღვარმა გამარჯვებულის იერით გაიღიმა, მაგრამ გრაფინია, რომელსაც ძალზე მგრძნობიარე ნერვები ჰქონდა, უცებ გაფითრდა და კანკალი დაუვარდა.

— ჩამოიღეთ კაბა!

ემერენციამ უკმაყოფილო სახით ჩამოხსნა კაბა საკიდიდან, ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რაში აინტერესებდა მოძღვარს ეს კაბა.

გრაფინიამ ხელიდან გამოგლიჯა კაბა, თავი გვერდზე გადასწია და მოძღვარს გაუწოდა.

— დაყნოსეთ!

მოძღვარი განცვიფრდა, აბრეშუმის კაბას მართლაც თამბაქოს სუნი ასდიოდა, იფიქრებდით, მის პატრონს მთელი ღამე ბანქოს სათამაშო კლუბში გაუტარებიაო. გრაფინიამ შორიდანვე იგრძნო სუნი.

— განა თამბაქოს სუნი არ ასდის?

— რა თქმა უნდა.

ახლა გრაფინიას კიდევ რაღაც გაახსენდა, ჩაყო ხელი კაბის ჯიბეში და ხოხბის ავქაშის ნახევარი ამოიღო.

— ამაზე რაღას იტყვით?

ამ სიტყვებთან ერთად გრაფინიამ გონება დაკარგა და სავარძელში ჩაიკეცა. მადმუაზელ ემერენციამ ხმამაღლა შეკივლა და გულწასული მეორე სავარძელში ჩაეშვა. მისი უწმინდესობა ისე დაიბნა, კარის ნაცვლად გარდერობი გამოაღო; აქეთ-იქით დარბოდა, ვიდრე ხალიჩაჩამოფარებულ კარს იპოვიდა, რომ საშველად მსახურები ეხმო. თავისთვის კი გაიფიქრა: აქ ნამდვილად ეშმაკის ხელი ურევიაო.

ალგომი და მისი ბინადარნი

მისი უწმინდესობა ბატონი მაჰოკი არ თვლიდა, რომ თამბაქოს ბოლით გაჟღენთილი კაბის სათიდუმლოს რაიმე საერთო ჰქონდა ბუნების კანონებთან. უფრო მეტიც, თანამდებობაც ხელს უწყობდა, ეშმაკის მანქანა სერიოზული განსჯის საგნად ჩაეთვალა.

სადილობისას ხმა არ გაუცია მადმუაზელ ემერენციასთვის. გრაფინია თავისი ოთახიდან არ გამოსულა, ბულიონი მოითხოვა მხოლოდ, გულის წასვლის შემდეგ საერთოდ მეტს არაფერს მიირთმევდა. ნასადილევს ისევ იხმო მოძღვარი. ძალზე განაწამები სახე ჰქონდა.

— ახლა ხომ დარწმუნდით, წმინდაო მამაო, რომ ჩემი ნაამბობი სიზმარი არ არის?

— დიახ, ეს მართლაც არაჩვეულებრივი შემთხვევაა.

— ავი სულების ნახელავია თუ კეთილის? — ჰკითხა გრაფინიამ.

— ამას მხოლოდ მაშინ მოგახსენებთ, როცა საკუთარი თვალით ვნახავ ყოველივეს.

— რას გულისხმობთ, თქვენო უწმინდესობავ?

— განწმენდას. თუ კეთილი სულები არიან, მაშინ მათ მოკრძალებული ლოცვა დააბრუნებს საფლავებში, სადაც წესით უნდა განისვენებდნენ.

— და თუ ლოცვა არ დააბრუნებთ? — იკითხა შეშფოთებულმა გრაფინიამ.

— მაშინ არ ყოფილან კეთილი სულები.

— ამას როგორ შევიტყობთ?

— ერთ ღამეს თქვენს სასახლეში დავრჩები, გრაფინია.

— და თუ ქვევიდან გალობას გაიგონებთ?

— მაშინვე ჩავალ აკლდამაში ნაკურთხი წყლით და გავდევნი აჩრდილებს.

გრაფინიას ლოყები წამოენთო.

— მეც ჩამოგყვებით.

— არა, გრაფინია, ჩემთან წამოვა დიაკვანი.

— როგორ! მამაკაცი? — იყვირა გრაფინიამ, — ჩემს სასახლეში მამაკაცი შემოვა?

— მაპატიეთ, მაგრამ მეც ხომ მამაკაცი ვარ! — შეეპასუხა მოძღვარი, — დიაკვანიც ისეთივე სასულიერო პირია, როგორც მე. იგი ყოველთვის თან მახლავს წმინდა რიტუალების შესრულების დროს. გზას მინათებს ფანრით, მოაქვს ჭურჭელი ნაკურთხი წყლით, საცეცხლური, ჯვარი. მისი აქ ყოფნა აუცილებელია.

დიდი ახსნა-განმარტების შემდეგ გრაფინიამ ნება დართო დიაკვანს, როგორც გამონაკლისი შემოსულიყო საღამოს სასახლეში, ოღონდ მხოლოდ ქვემოთ, პირველ სართულზე. მოძღვარმაც აღუთქვა, რომ ორანჟერეაში დარჩებოდა, ვინაიდან ღამით კიბის კარს კეტავდნენ.

როგორც მოილაპარაკეს, საღამოს მოძღვარი მაჰოკი მოვი-

და სასახლეში დიაკვანთან, ასე, ორმოცი წლის ულვაშებგაპარსულ, მწითურ მამაკაცთან ერთად.

მოძღვარმა ივახშმა, გრაფინიაც გამობრძანდა, მაგრამ ხელი არაფრისთვის დაუკარებია. სტუმარიც უმადობას უჩიოდა ემერენციასავით.

ვახშმის შემდეგ გრაფინია საძინებელ ოთახში გავიდა, მოძღვარი კი ორანჟერეაში ჩავიდა, სადაც დიაკვანი ღვინოს და შემწვარს შეექცეოდა, თან ღუმელში შეშას უმატებდა.

სასახლეში არავინ არაფერი იცოდა, გრაფინიამ სთხოვა მოძღვარს არ შეეშფოთებინა მისი უდანაშაულო მსახურების გულები, ქალიშვილებმა არაფერი იცოდნენ მიწისქვეშა ღრეობაზე.

მათ ღამე არაფერი სმენიათ და გრაფინიაც მათი თანდასწრებით ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა.

მისი უწმინდესობა დიაკვანთან ერთად იჯდა და ძველისძველ წიგნს კითხულობდა, მაგრამ ძილის დრო რომ მოახლოვდა, შეატყო, უკვე თვალები ეხუჭებოდა. ეშინოდა, არ დასძინებოდა და სიზმარში არ ენახა ის, რაზეც გრაფინია უყვებოდა; ამ ამბისა სჯეროდა კიდეც და არც სჯეროდა. ამიტომ ამჯობინა წიგნი გვერდზე გადაედო და დიაკვანთან საუბრით შეექცია თავი.

აბა რაზე უნდა ელაპარაკათ ეხლა, თუ არა მოჩვენებებზე, უთაო ბერზე, საშობაო მოჩვენებებზე წმინდა ლიუციას სკამიდან[1], მგელკაცაზე, ჯადოქარ ზარე მარცეზე, ავი სულის, „მოცეკვავე მჭედლის“ მიერ მოტანილ უამრავ ფულზე და ბევრ სხვა ამგვარ ამბავზე.

„სისულელეა, სიცრუეა!“ — ამბობდა მოძღვარი, — ჩიბუხის გაბოლება მაინც შეიძლებოდეს! სასახლეში ეს სასტიკად აკრძალულია, დიასახლისი კედლებს იქითაც გრძნობს თამბაქოს სუნს, როგორც ურჩხული ადამიანისას.

დიაკვანმა რომ ნახა, მის ნაამბობს „სიცრუე“ უწოდეს, გა-

---

[1]. ცრუმორწმუნეთა გადმოცემით ვინც წმინდა ლუციას დღეს, 13 დეკემბერს დაიწყებდა „ლიუციას სკამის“ კვეთებას და შობის ღამეს ზედ შედგებოდა ეკლესიის კარებში, დაინახავდა იმ მხარეში ბინადარ ყველა ჯადოქარს და ავ სულს.

დაწყვიტა, ხმა აღარ ამოეღო. როგორც კი გაჩუმდა, მაშინვე ჩაეძინა, თავი სკამის ზურგს მიაყრდნო და პირი დააღო. ისე ტკბილად ეძინა, მოძღვარს შეშურდა კიდეც. მალე ხვრინვაც ამოუშვა, ხან უსტვენდა, ხან კი ისე წრიალებდა, მღვდელი მთელი ძალით ანჯღრევრა.

სასახლის გუმბათზე საათმა თორმეტჯერ დარეკა.

— გაიღვიძეთ, აქ იმიტომ არ მომიყვანიხართ, რომ იძინოთ.

დიაკვანმა ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა, მღვდელმა სათუთუნე ამოიღო, რომ დაეყნოსა და გამოფხიზლებულიყო, მაგრამ სულ მალე ძილი ორივეს უამისოდაც დაუფრთხა. საათმა შუაღამისას დარეკა თუ არა, მაშინვე მოისმა მიწისქვეშეთიდან წირვის ხმები.

ღამის მყუდროებაში გარკვევით ისმოდა, როგორ კითხულობდა მღვდელი მონოტონური ხმით ლოცვას ლათინურად, ამას გუნდის გალობა მოჰყვა, შიგადაშიგ მუსიკის ხმაც ერთოდა, საორღანო მუსიკისას ჰგავდა, ოღონდ უფრო მკვეთრი, თითქოს ვიღაც ბაძავდა ორღანის ხმას.

ამ მაცდური ხმების გაგონებაზე მის უწმინდესობას შეაჟრჟოლა.

— გაიგონეთ? — მიმართა მან დიაკვანს.

— როგორ არა! სადღაც წირვა-ლოცვაა.

— აქ არის, ჩვენს ქვემოთ, აკლდამაში.

— რა უნდა იყოს?

— ეშმაკის წირვაა. ადიდონ უფალი კეთილმა სულებმა, — ჩაილაპარაკა მისმა უწმინდესობამ და სამჯერ გადაიწერა პირჯვარი.

— როგორც ჩანს, ავი სულებიც ადიდებენ. მაგრამ ეს სიტყვები არცკი დაემთავრებინა დიაკვანს, რომ აკლდამიდან ქაჯური ღრიანცელის მსგავსი სიმღერა მოისმა:

„ჩემო ვარდო, მოდი ჩემთან, რა იქნება ვიყოთ ერთად, ბოშა უკრავს ვიოლინოს, ჩემზე უკეთ ვინ იცეკვოს!“ სიმღერის დასასრულს ერთმანეთში აირია საკრავების ჟღარუნი, წივილ-კივილი, ყურთასმენის წამღები ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი.

მის უწმინდესობას ლოცვისა და გალობის მოსმენისას კან-

კალი აუვარდა, ახლა კი კინაღამ გონება დაკარგა, ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— აქ ნამდვილად ეშმაკის ხელი ურევია!

ამასვე არ ეუბნებოდა გრაფინიაც?

— მიხაი! თქვენ გესმით, მიხაი?

— როგორ არ მესმის, ყრუ ხომ არა ვარ? იქ ქვემოთ, ნამდვილად ღრეობა გაუმართავთ ავ სულებს.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა, ხმაური შეწყდა და გააგრძელეს გალობა.

— რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ბატონმა მა-ჰოკმა.

— ჩავიდეთ აკლდამაში და გავდევნოთ ავი სულები.

— მარტო ჩვენ ჩავიდეთ?

— რატომ მარტო ჩვენ, — შეესიტყვა მიხაი, — ჩავიდეთ, ღმერთის სახელით. თანაც ორნი ვართ, აი, მე რომ ვიყო მღვდელი, მარტოც ჩავიდოდი, ნაკურთხ წყალს ჩავიტანდი და ვიყვირებდი: განვედ, სატანავ! და ვაიძულებდი ისევ ჯოჯოხეთში დაბრუნებულიყვნენ.

მის უწმინდესობას შერცხვა, რომ დიაკვანს მეტი გამბედაობა და რწმენა აღმოაჩნდა უწმინდურ ძალასთან საბრძოლველად და უპასუხა:

— მეც სიამოვნებით ჩამოვიდოდი, მაგრამ მუხლს ვეღარ ვშლი, ხომ იცი, რომ მტკივა!

— სადღა გამოვყოთ თავი სირცხვილით, ავი სულების განდევნასაც თუ ვეღარ შევძლებთ.

— თუკი მუხლები არ მემორჩილება?

— ზურგზე შეგისვამთ მამაო, დაიჭირეთ ნაკურთხი წყალი, ჯვარი და საცეცხლური, ფარანს მე წამოვიღებ.

ამაზე უარის თქმა უკვე აღარ შეიძლებოდა.

მღვდელმა სული უფალს შეავედრა, გული გაიმაგრა და გადაწყვიტა თავისი რწმენის წმინდა იარაღით შებმოდა ავ სულებს.

— იქნებ ვინმე გაგვეღვიძებინა და ერთად წავსულიყავით?

— სასახლეში ქალების მეტი არავინაა, იმათ რომ გაიგონ, მოჩვენებები დადიანო, საბნიდან ცხვირს ვერ გამოაყოფინებ, კაცებს კი აქ შემოსვლა აკრძალული აქვთ.

სხვა გზა არ იყო, ბატონი მაჰოკი თავის ერთადერთ დამხმარესთან ერთად უნდა ჩასულიყო აკლდამაში.

— კარგი, წავიდეთ!

მიხაი ჩაცუცქდა, ზურგზე შეისვა მღვდელი და აკლდამისკენ გაემართა.

— ფრთხილად, არ ჩამომაგდო! — ყოველ შემთხვევისათვის უთხრა სულიერმა მამამ.

— ფიქრი ნუ გაქვთ.

დერეფანში უფრო ციოდა, ფანრის მკრთალი შუქი ეფინებოდა ერთი მეორის მიყოლებით კედლებზე დიდ, ჩაშავებულ ჩარჩოებში მოთავსებულ რაინდთა ძველისძველ პორტრეტებს. ესენი იყვნენ ბონდავარის გმირი დამცველები, ისინი მიუძღოდნენ ჯარებს თურქების, ვენეციელების და კურუცების წინააღმდეგ. ისინი ახლა თითქოს ამხნევებდნენ სულებთან შესაბრძოლებლად მიმავალთ, ჩვენ ყველანი ქვემოთ, აკლდამაში დაგხვდებითო.

შუა დერეფნიდან კიბე ჩადიოდა სასახლის აკლდამაში. რკინის კარი დაკეტილი იყო, მის უწმინდესობას ახლოლა გაახსენდა, რომ გასაღები ორანჟერეაში დარჩა. დიაკვანი უკან დაბრუნდა. როგორც კი ორანჟერეას მიუახლოვდნენ, მღვდელს უთხრა, გვერდში რაღაც მაგარი საგანი მხვდება, ეს ხომ არ არის გასაღებიო? ბატონმა მაჰოკმა ხელი ჩაიყო ანაფორის ჯიბეში და გასაღები ამოიღო. ასე რომ დიაკვანს მესამედ მოუხდა მისი ზურგით მიყვანა კიბემდე.

რკინის კარი ხმაურით გაიღო. შესვლისთანავე შმორის სუნი ეცათ, როგორც ეს დიდი ხნის გაუნიავებელ მიწისქვეშა დარბაზებში იცის ხოლმე.

— კარი ღია დავტოვოთ, — თქვა მოძღვარმა და თავისთვის გაიფიქრა, „ვინ იცის, იქნებ გამოქცევა დაგვჭირდესო“.

ორივენი კიბეს ჩაუყვნენ.

მისმა უწმინდესობამ შენიშნა, რომ დიაკვანი კანკალებდა, რაც კი შეეძლო მარცხენა ხელით საყელოში ჩააფრინდა და ფეხები კისერზე შემოაჭდო.

— მამაო, კისერზე ნუ მიჭერთ, თორემ დავიხრჩობი!

ამ დროს თავზე რაღაცამ გადაუფრინათ.

— რა იყო ეს?

— ღამურა! მოჩვენებების მაუწყებელი!

— სულ მალე იქ ვიქნებით! — გაამხნევა მიხაილ მხედარი. სარდაფის დერეფანს რომ მიაღწიეს, ისევ შემოესმათ ღრიანცელი და ჯოჯოხეთური ხმები.

კიბის პირდაპირ კიდევ ერთი დერეფანი იყო ეზოში გასასვლელი, რკინის ცხაურიანი კარით დაკეტილი. აქედან შედიოდა ჰაერიც.

— ვერ უყურებ ამას! კინაღამ ფანარი ჩაგვიქრო, — დაიძახა მისმა უწმინდესობამ.

— ორპირი ქარია!

კარგი იქნებოდა, ამის მეტი არაფერი ყოფილიყო, მაგრამ როგორც კი აკლდამისკენ სამი ნაბიჯი გადადგა, დაინახეს, დერეფნის ბოლოში ცისფერი ალი კიაფობდა, სწორედ ისეთი, წმინდა გიორგის ღამეს რომ ამოენთება ხოლმე „ფულის განსაწმენდად“ იმ ადგილებიდან, სადაც განძეულია ჩაფლული.

ცისფერი ალის ირგვლივ ვიღაცის თეთრი, სამი ფუტის სიმაღლის ფიგურა დაფუსფუსებდა, ხან დაჯდებოდა, ხან ადგებოდა, ხან ჩაცუცქდებოდა. თავი უსაშველოდ დიდი ჰქონდა.

როგორც კი მიუახლოვდნენ, ცისფერი ალი მაღლა ავარდა და მისმა მკრთალმა შუქმა მთელი დერეფანი გაანათა. ის ამაზრზენი არსებაც თანდათან ამაღლდა, ჯერ ექვსი, შემდეგ რვა ფუტი სიმაღლისა გახდა და ბოლოს ორი საჟენი. მისი ჩრდილი უფრო მაღალი იყო, საშინლად დაგრძელდა და გაიჭიმა. ცისფერ ალს ნიავი აქეთ-იქით აქანებდა, ჩრდილი კი შავი გველეშაპივით იკლაკნებოდა მარმარილოს იატაკზე. ბოლოს მოჩვენებამ ხარივით დაიღრიალა, სარდაფის თაღების ქვეშ კი საზარელი ხმით გაისმა ექო.

მიხაის მეტიც არ უნდოდა, შემობრუნდა თავისი ტვირთიანად და კისრისტეხით უკან გაიქცა.

შუა დერეფანში ერთი ავბედითი საფეხური იყო, დიაკვანმა ვერ შენიშნა, ფეხი წამოჰკრა და მის უწმინდესობასთან ერთად იატაკზე გაიშხლართა. ფარანი გაუტყდათ, სინათლე ჩაქრა და უკუნეთ სიბნელეში დარჩენილი ორი ღვთისმსახური ხელის ფათურით და ერთმანეთზე ხელისკვრით მირბოდა, რაც ძალა და ღონე ეაჩნდათ. კიბისკენ გზა ვერ გაიგნეს და რკინისცხაურიან კარს მიადგნენ, საიდანაც მთვარის შუქი შემო-

დიოდა. თვითონაც არ იცოდა, როგორ გააღო მიხაილ კარი და გარეთ გაცვივდნენ.

სარდაფის კარი ბაღში გადიოდა. ეშმაკის მაძიებლები თავ-ქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, მოძღვარს მუხლების ტკივილი დავიწყებოდა და დიაკვანს გაუსწრო კიდევაც, სამი წამით ადრე ჩაწვა ლოგინში მიხაილზე, რომელსაც ცოლმა სამი დღის განმავლობაში სიტყვა ვერ ათქმევინა შიშისგან.

მეორე დღეს ბატონი მაჰოკი აკანკალებული მივიდა გრაფის სასახლეში.

იგი პატიოსანი, უბრალო ადამიანი იყო, ეშმაკებისა და მოჩვენებების არსებობას უფრო დაუშვებდა, ვიდრე ცუდი ადამიანებისას და რაც საკუთარი თვალით ნახა, ამაში აღარც ეჭვი ეპარებოდა და არც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის აკრძალულ საიდუმლოებათა ამოცნობას ცდილობდა. მას ახლა ღრმად სწამდა, რომ სასახლეში სამუდამო წამებისთვის განწირულ ადამიანთა სულები მოდიოდნენ ღამით საქეიფოდ და ხოხბის ავქაშებს უტეხდნენ ერთმანეთს იმის ამოსაცნობად, ვინ უფრო მალე გათხოვდებოდა.

გრაფინია კარგ ხასიათზე დაუხვდა მოძღვარს, თითქმის აღფრთოვანებული და მეტისმეტად თავაზიანადაც მიიღო. მას ეს არ გაჰკვირვებია, გრაფინიას ხასიათის ცვალებადობას შეჩვეული იყო, დღეს რომ მოღუშული იყო, ხვალ მხიარული ხვდებოდა ხოლმე.

— მთელი ღამე სასახლეში გავატარე, — უთხრა მოძღვარმა.

— ოო, დიდი მადლობელი ვარ, წმინდაო მამაო, თქვენი აქ ყოფნა საკმარისი აღმოჩნდა მოჩვენებების განსადევნად. წუხელის აკლდამიდან ჩამიჩუმიც კი არ გამიგონია.

— როგორ? თქვენ ღამით არაფერი გაგიგონიათ, გრაფინია? — ჰკითხა განცვიფრებულმა მოძღვარმა.

— მთელ სასახლეში ბიბლიური მყუდროება სუფევდა.

— მე კი არ მიძინია და არც სიზმარია, რასაც ახლა მოგახსენებთ, შემიძლია დავიმოწმო ჩემი დალურჯებული იდაყვები და დიაკვანი, რომელიც ახლაც გონს ვერ მოსულა და საწოლიდან ვერ დგება. არც ერთს არ გვსმენია ისეთი ჯოჯოხეთური, შემზარავი ხმები, იმ ღამეს რომ გავიგონეთ აკლდ-

მიდან. მე იქ გახლდით და ვნახე ყველაზე ავი და ბოროტი სული. მასთან შებრძოლებაში ხელი შემიშალა დიაკვანმა. დღეს იმიტომ გეახელით, გრაფინია, რომ მოგახსენოთ, სასახლე დაწყევლილია. რაც შეიძლება მალე გასცილდით აქაურობას, გადადით საცხოვრებლად ქალაქში, იქაც ხომ არ გამოგედევნებიან მოჩვენებები.

გრაფინიამ მარცხენა ხელის შუათითი გულზე დაიდო, მედიდურად შეხედა და წარმოსთქვა:

— როგორ? დავტოვო სასახლე მხოლოდ იმიტომ, რომ ღამით იქ ჩემი წინაპრების სულები მოდიან? თქვენ მე კარგად არ გცნობივართ! პირიქით, უფრო მეტი საბაბი მაქვს აქ, ამ სასახლეში დარჩენისა, სადაც შემიძლია შევხვდე ჩემს წინაპრებს, რომლებიც მესაუბრებიან, მიწვევენ თავიანთ საზოგადოებაში. განა არ ღირს, ამისთვის ბონდავარის სასახლეში ვიცხოვრო? პირიქით, ეს სასახლე ახლა ასჯერ უფრო ძვირფასია ჩემთვის!

ბატონ მაჰოკს ენის წვერზე ჰქონდა მომდგარი სიტყვები: „რაკი ასეა გრაფინია, რაკი თქვენ აქ დარჩენა გსურთ, მოძებნეთ სხვა მოძღვარი!“ მაგრამ ამ დროს ახალი აზრი მოუვიდა: აღსარება!

— მითხარით, გრაფინია, თუ თქვენ ასე ხართ დაახლოებული მოჩვენებებს, როგორ მოხდა, რომ წუხელის არ გაგიგონიათ ის ქაჯური ღრიანცელი?

გრაფინიას ფერმკრთალი ლოყები შეუფაკლდა და თვალები ძირს დახარა, დაიჩოქა მის წინ და ჩურჩულით წარმოსთქვა:

— მე ერთი ცოდვა მაქვს ჩადენილი, მამაო, და თქვენთან არასოდეს მომინანიებია. რომ იცოდეთ, როგორ მტანჯავს.

— რა ცოდვაა ასეთი?

— ო, როგორ მიმძიმს!

— არაფერია, შვილო ჩემო, ღმერთი შეგინდობს.

— ვიცი, მაგრამ მეშინია, რომ თქვენ დამცინებთ.

ამ უცნაური განცხადებით განცვიფრებული მოძღვარი საკარძლის ზურგს მიაწვა.

გრაფინია წამოდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა, გააღო საიდუმლო უჯრა და ძვირფასი, სპილოსძვლისყდიანი ალბომი

ამოიღო, რომელიც მომინანქრებულ ჩარჩოში იყო ჩასმული და ოქროს სკეტი ჰქონდა.

— დაათვალიერეთ ეს ალბომი!

მოძღვარმა ალბომი გადაშალა. ეს იყო პორტრეტების ჩვეულებრივი კოლექცია, რომლებიც არაერთხელ უნახავს მანდილოსანთა ბუდუარებში.

მოძღვარი ვერ მიმხვდარიყო, რისი თქმა უნდოდა ამით გრაფინიას. ეს იყო გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მუსიკოსების, პოეტების, მსახიობების, რომლებთან ნაცნობობაზეც არავინ იტყოდა უარს. არ იყო არც ერთი ფოტოსურათი, რომლის დანახვაზე რაიმე უხერხულობა ეგრძნო, თუმცა თავისთვის გაიფიქრა, რომ სახე ყოველ მათგანს გაპარსული ჰქონდა. ზოგიერთი პორტრეტი ნაცნობი იყო მისთვის, ფერენც ლისტის, ლენდვაის, რემენის, კაროი ვადნაის, სერდაჰეის და ბევრი სხვა საზღვარგარეთელი ცნობილი პიროვნების, რომლებსაც არ ჰქონდათ არც წვერი, არც ულვაში.

ისიც შეამჩნია, რომ ზოგიერთ ფურცლებზე ცარიელი ადგილებიც იყო შავი პირსაბურის ნაჭრით დაფარული. ამან ცოტა არ იყოს დააფიქრა.

— მართლაც საინტერესო კოლექცია გაქვთ, — თქვა მოძღვარმა, როცა მთელი ალბომი დაათვალიერა, — მაგრამ გთხოვთ ამიხსნათ, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— აღსარება უნდა გითხრათ, — ჩურჩულით უთხრა გრაფინიამ, —ამ ალბომში ჩემი ცოდვებია.

ვენაში ერთ ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეს დავავალე გამოეგზავნა ჩემთვის ყველა მამაკაცის ფოტოსურათი, რომლებიც ეპარსული წვერით იყო გადაღებული. წლების მანძილზე ვეძებდი ჩემს იდეალს. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ვიპოვე და ვფიქრობდი, მისი გავხდებოდი, რომ ის ჩემი საქმროა. ხშირად საათობით დავყურებ პორტრეტს და ვოცნებობ მასზე. თითქოს ვსაუბრობთ კიდევაც, ერთმანეთს ვუყვებით საინტერესო ამბებს, მივმართავთ საალერსო სიტყვებით და ეს ჩემივე ფანტაზიით წარმოსახული სანეტარო წუთები იპყრობს მთელს ჩემ არსებას. ეს რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ თითქოს ვიღაცის ხმა ჩამძახის, რომ ცოდვას ჩავდივარ.

ვერ გადამეწყვიტა, გამენდო ეს ამბავი თქვენთვის თუ დამემალა, როგორც უგუნური საქციელი. თქვენ როგორ ფიქრობთ, მამაო?

ბატონ მაჰოკს გაუჭირდა პასუხის გაცემა. „თვალებით ჩადენილ ცოდვაზე“ ბიბლიის ათ მცნებაში ცოტა რამ წერია, ფოტოსურათებზე კი სიტყვაც არ არის ნახსენები.

— განაგრძე შვილო ჩემო!

— და როცა მე საათობით დავყურებ ჩემს მიერ ამორჩეულ პორტრეტს და მასთან ვარ ოცნებით, იმ ღამეს მესიზმრება, რომ იგი მოდის ჩემთან, როგორც ციური ზმანება, და ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი დავდივართ იმქვეყნიური შუქით გაცისკროვნებულ მდელოებზე და ნაირფერად აყვავებულ მინდვრებზე, სადაც ყველა ახალგაზრდა და ბედნიერია. ეს ცოდვაა? — ჰკითხა გრაფინიამ ტირილით.

ბატონმა მაჰოკმა შვებით ამოისუნთქა. როგორც იქნა მოიაზრა, რა უნდა ეთქვა.

— რა თქმა უნდა, ეს ჯადოქრობაა, მაგრამ რა მოუხერხოთ?

— მეც ასე ვფიქრობ, — შეაწყვეტინა გრაფინიამ, — ჩემი ცოდვები რომ გამოვისყიდო, ბუხარში ვწვავ იმ ადამიანის პორტრეტს, ვინც ღამე გამომეცხადება და ალბომში ცარიელ ადგილს პირსაბურის ნაჭრით ვფარავ.

— აი თურმე რატომ არის ცარიელი ადგილები ალბომში. ცოდვების მონანიების საუკეთესო ფორმაა.

ტეუდელინდამ განაგრძო:

— ასეთი ზმანების დროს ღრმა ძილით მძინავს. ჩემი სული სტოვებს დედამიწას და ზეცისკენ მიილტვის, არავითარი მიწიერი შეგრძნება არ გამაჩნია, ამიტომ, როგორი ხმაურიც არ უნდა ყოფილიყო ქვევით, აკლდამაში, ვერ გავიგონებდი.

— ესე იგი წუხელის არ გაგიგონიათ მოჩვენებათა ღრიანცელი, იმიტომ რომ სიზმარში იმქვეყნიურ განცხრომაში იყავით?

— ვაღიარებ, — ჩურჩულით უპასუხა გრაფინიამ.

— აი, სასახლეც ასეთი უნდა! — გაიფიქრა თავისთვის ბატონმა მაჰოკმა — წინაპართა სულები მოდიან აქ იმ ქვეყნიდან და წირვა-ლოცვას მართავენ, მათი ცოცხალი შთამომავალი კი სამოთხეში დასეირნობს. თუმცა, რა არის აქ საკვირველი, მათ

შეუძლიათ აკეთონ ის, რაც მოესურვებათ, იმიტომაც არიან გრაფები. ღარიბ კაცს ასეთი რამ ხომ აზრადაც არ მოუვა. მაგრამ რა ქნას ღვთისმოშიშმა სოფლის მღვდელმა ასეთ შემთხვევაში? რა თქმა უნდა, ჯობდა ასეთ რთულ საქმეში ფასზე მაღალი წოდების ღვთისმსახური ჩარეულიყო, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უნდა ექნა გრაფინიას მოჩვენებებისათვის. უკეთესი იქნებოდა, უკან დაეხია.

— შვილო ჩემო, მონანიების სწორი გზა აგირჩევია. ხომ დასწვი იმ ადამიანის ფოტოსურათიც, რომელიც წუხელის გამოგეცხადა?

— არა. — უპასუხა გრაფინიამ.

— რატომ? — მკაცრად ჰკითხა მღვდელმა.

— იმ პორტრეტის დაწვა არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება?

პასუხად გრაფინიამ გახსნა ალბომის საიდუმლო საკეტი და აჩვენა, რაც იქ ჰქონდა დამალული.

— აჰ! — შეჰყვირა მღვდელმა პორტრეტის დანახვაზე, რომელიც მაშინვე იცნო.

ეს იყო უსახელო, უფრო სწორად მრავალი სახელის მქონე მონაზონთა ორდენის წინამძღოლის აბატ შამუელის ფოტოსურათი.

— როდესაც მე დავავალე, გამოეგზავნათ ჩემთვის ყველა გაპარსული ლამაზი მამაკაცის ფოტოსურათი, მათ შორის მივიღე სასულიერო პირის პორტრეტიც. ჩემზეა ეს ცოდვაც!

— მასთან ერთადაც ხომ არ დადიოდი სამოთხის ბაღში?

— დავდიოდი.

მღვდელს ახალმა აზრმა გაუელვა.

— თვით ზეცამ შთაგაგონა, რომ არ დაგეწვა ეს ფოტოსურათი, როგორც ყველა სხვა. ამით ჰპოვე სწორედ შენი სულიერი ტკივილის წამალი. ეს პორტრეტი, რომ უნებლიეთ მოხვდა შენთან, ესეც ღვთის განგებაა, ამით ამაო ამქვეყნიური ძიების შემდეგ ჰპოვე ჭეშმარიტი იდეალი და მისი ხელმძღვანელობით ამქვეყნადვე შეგიძლია დაიმკვიდრო ნეტარება. მისი წმინდა, ამაღლებული ხასიათი და ღირსება განდევნის შენი გულიდან ყველა უწმინდურ ამქვეყნიურ აზრს, მოგანიჭებს ბედნიერებას და ნეტარებას ცხადში და არა სიზმრად. მას შესწევს ძალა, განდევნოს სასახლიდან ყველა მოჩვენება.

სატანის მძლეველი

ბატონმა მაჰოკმა იმდენი მოახერხა, რომ დაითანხმა გრაფინია, ნება დაერთო, ემოქმედნა ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა. სულიერმა მამამ იმავე დღეს გაუგზავნა წერილი აბატ შამუელს პეშტში და სთხოვა, ჩამოსულიყო.

აბატი თავისუფლად მოაზროვნე ღვთისმსახურთა შორის საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. მეგობრობდა გამოჩენილ ლიბერალ მოღვაწეებთან და ყველამ იცოდა, რომ ოპოზიციური სტატიები, რომლებიც ხელმოწერილი იყო ასო შ-თი, მის კალამს ეკუთვნოდა. საზოგადოებაში მეტად თავაზიანი იყო. და მახვილგონიერებით გამოირჩეოდა, მხიარულებას არასოდეს შეუშლიდა ხელს. მას ყველა იცნობდა სამეცნიერო წრეებშიც, ელიტა უსმენდა მის ლექციებს, რომლებიც თუმცა სიღრმით ვერა, მაგრამ მახვილგონიერებით იპყრობდა მსმენელს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მას განუწყვეტლივ ლანძღავდნენ რეაქციული გაზეთები, რომლებმაც რომის პაპის დახმარებით მიიღეს ყველა კათოლიკური სახელმწიფოს რელიგიურ და საერო საქმეებში ჩარევის უფლება. ერთხელ პოლიციამ მისი ბინაც კი გაჩხრიკა, თუმცა საამისო საბაბი არ ჰქონდა. ყოველივე ამან კიდევ უფრო განამტკიცა ბატონი აბატის რეპუტაცია. საზოგადოების თვალში მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა, როცა მისი პორტრეტი ილუსტრირებულმა გაზეთმა დაბეჭდა. სურათი ხაზს უსვამდა მის წარმოსადეგ გარეგნობას, მაღალ, ნათელ შუბლს, ვაქკაცურ, შთამბეჭდავ სახეს, ხშირ წარბებსა და მეტყველ თვალებს. მხოლოდ ერთი ნაკვთი მიგანიშნებდათ მის პროფესიას, ეს იყო ყველა ღვთისმსახურისათვის დამახასიათებელი თავისებურად მოპრუწული ტუჩის ბოლოები, მაგრამ სახის ნაკვთების ჩვეულებრივი დაჭიმულობა და სათნო ტუჩები მას მოარშიყე კაცის შესახედაობას აძლევდა. სხვაფრივ არაფერი მღვდლისა არ ჰქონდა, პირიქით, მისი წარმოსადეგი აღნაგობა და კუნთმაგარი სხეული გლადიატორსაც კი შეშურდებოდა.

აბატი შამუელი მთელ ქვეყანაში იყო ცნობილი იმითაც, რომ ხელისუფალთაც პირში ეუბნებოდა სიმართლეს.

ამიტომ ბატონი მაჰოკი ყოველთვის მოწიწებით იხსენიებ-

და მის სახელს. მას, სოფლის სხვა მღვდლებივით, ბევრი არაფრის გაკეთება შეეძლო სამშობლოსათვის, თუმცა ერთხელ ამის საშუალება მიეცა. ჰონვედების ბატალიონთან ერთად ოც ბრძოლაში მოუხდა მონაწილეობის მიღება, მებრძოლებს სამშობლოს სიყვარულს უქადაგებდა, რისთვისაც სიკვდილი მიუსაჯეს. შემდეგ კი შეიწყალეს და ათი წლის პატიმრობით შეუცვალეს. ხუთი წელი იჯდა ციხეში მძიმე ბორკილებით. ფეხებზე ახლაც არ ჰქონდა იარები მორჩენილი.

მაინც ვერ ბედავდა ამით თავის მოწონებას, იმდენად უმნიშვნელო იყო ეს ყოველივე აბატი შამუელის დამსახურებასთან, რომელმაც ლიბერალური სტატიები გამოაქვეყნა გაზეთებში და თავისი სახელის პირველი ასო მოაწერა. ისიც ახლა, როცა ეშაფოტზე ასვლაც კი წვრილმანი იყო ამასთან შედარებით. ახლა პოლიციის წინააღმდეგ გამოსვლა ნამდვილი გმირობა იყო.

ასე, რომ ბატონი მაჰოკი უმაღლეს შეფასებას აძლევდა აბატის ნიჭს, რომელთანაც თავისი ადრინდელი გაბედულებაც არად მიაჩნდა. თხუთმეტი წელი ცოტა როდი იყო და მით უფრო, თუ აქედან ხუთი ისე იყო განვლილი, როცა დროს ორმაგად გითვლიან.

რამდენიმე დღის შემდეგ მოწვეული სტუმარი ბატონ მაჰოკს ეწვია. მოძღვარმა დაწვრილებით უამბო რაშიც იყო საქმე, რისი თქმაც შეიძლებოდა, ისე რომ გრაფინიას აღსარების საიდუმლო არ გაეცა. მოჩვენებებზეც მოუყვა, თუმცა აქ საკუთარი შთაბეჭდილებებიც გაურია.

ბატონი შამუელი უსმენდა და მოწყალედ იღიმებოდა.

— ჩემზე იცინეთ თქვენო უწმინდესობავ, რამდენიც გენებოთ, ოღონდ გრაფინიას ნუ დასცინებთ, მისთვის ისე ძვირფასია ეს მოჩვენებები, — შეეეედრა მოძღვარი.

ბატონმა აბატმა საჭიროდ ჩათვალა სცოდნოდა სასახლის ადგილმდებარეობა, ოთახების განლაგება, რამდენი კიბე იყო და განსაკუთრებით დაწვრილებით მოაყოლინა, როგორ გარბოდა იმ ღამეს დიაკვანთან ერთად თავქუდმოგლეჯილი მიწისქვეშა ხის გისოსებიანი კარიდან.

დათქმულ დროს გრაფინიას ეტლი გამოცხადდა მათთან და სასახლეში წაიყვანა.

გრაფინიამ როგორც კი აბატი დაინახა, ტირილი აუვარდა და ვიდრე შუბლზე ხელი არ დაადო, ვერ დამშვიდდა. როგორც წესი, ემერენციასაც კრუნჩხვები დაემართა, მაგრამ მისთვის ბატონ მაჰოკს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამჯერად.

გონს რომ მოვიდა, გრაფინიამ განაცხადა, ბატონი აბატი თვით ზეცამ მომივლინაო.

სადილობისას, რომელიც ლუკულუსის ნადიმს მოგაგონებდათ, ბატონი აბატი დაინტერესდა რამდენი მოსამსახურე იყო სასახლეში, რა ხნისანი იყვნენ, ვინ განაგებდა სარდაფებს, როდის კრეფდნენ ყურძენს, და ყველას გასაოცრად უფრო ემერენციას ეკითხებოდა და არა გრაფინიას. ემერენციას ღვინო შესთავაზა. როცა ქალიშვილმა უარის ნიშნად ბაკალს ხელისგული დაუფარა და განაცხადა, საერთოდ არ ვსვამო, ძალზე განცვიფრდა. შემდეგ მზერა მის ბეჭედზე გადაიტანა და ჰკითხა, ქორწინებისა ხომ არ არისო? ემერენცია ოდნავ გაწითლდა და მოახსენა, გათხოვება აზრადაც არასოდეს მომსვლიაო.

ნასადილევს ბატონი მაჰოკი სასადილო ოთახში დარჩა ემერენციას გასართობად, რაც იმაში გამოიხატა, რომ ჩაჯდა სავარძელში ბუხრის წინ, ხელები კარგად წამოზრდილ მუცელზე დაიწყო, ვითომ სალოცავად, დახუჭა თვალები და ტკბილად ჩაეძინა. მას შეეძლო ისეთი გამომეტყველება მიეღო ძილში, ვითომ ემერენციას მთელი ყურადღებით უსმენდა.

ბატონმა აბატმა კი გრაფინიასთან ერთად საძინებელი და მოსასვენებელი ოთახები დაათვალიერა.

გრაფინია მოუთმენლად ელოდა მაღალი სამღვდელო პირის განაჩენს მოჩვენებების მიმართ.

— ჩემმა მოძღვარმა ალბათ გაგანდოთ ამ სასახლის საშინელი საიდუმლო?

— მან მხოლოდ ის მაუწყა, რაც თვითონ იცის.

— რა აზრისა ბრძანდებით ამის შესახებ?

— ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი, ადამიანთა ოინებია.

— როგორ? ადამიანთა ოინებია? — განცვიფრდა გრაფინია, — მე ხომ ჩემი თვალით ვნახე?

— ის რაც თქვენ ნახეთ გრაფინია, ფსიქოლოგიურად და-

კავშირებულია ამ ოინებთან. ზოგი რამ სიზმარში ნახეთ, ზოგი გაიგონეთ, ჰალუცინაციებიც გაგიჩნდათ. სულების დანახვა შეუძლებელია, სულს ხორცი, სხეული არ გააჩნია. მიცვალებულებს არც მოძრაობა შეუძლიათ, სიკვდილის შემდეგ ხომ მათი ორგანიზმი იშლება.

გრაფინიას უკმაყოფილება აღებეჭდა სახეზე, განა ასეთ პასუხს ელოდა, ამ მაღალი საეკლესიო პიროვნებისგან? ეს რომ სცოდნოდა, ხომ არც მოიწვევდა. აბატს ეს არ გამოჰპარვია:

— გრაფინია, კარგად მესმის თქვენი, ღრმად გწამთ იმისა, რაც როგორც გგონიათ, ნახეთ და გაიგონეთ. თქვენ გგონიათ, რომ აკლდამაში თქვენი წინაპრები იკრიბებიან?

— გუშინღამაც ძალიან ხმაურობდნენ, აღმითქვეს, კიდევ მოვალთო და მეც მიმიწვიეს.

— და თქვენც აღუთქვით, რომ კიდევ ჩახვალთ მათთან?

— დღისით ეს ამბავი რომ მახსენდება, მაკანკალებს შიშით, მაგრამ ღამით ყველაფერი მავიწყდება და რაღაც უხილავი ძალა მეწევა იმათკენ.

— კარგით, დღეს მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

ამის გაგონებაზე გრაფინიას ლოყები აუვარდისფრდა.

ცოცხალი პორტრეტი მასთან ერთად ჩავიდოდა აკლდამაში? ვინ იცის, იქნებ თვით ჯოჯოხეთშიც? რამდენიმე წუთში გრაფინია გონს მოვიდა და ჰკითხა:

— როგორ? მთელ სასახლეს გავაგებინო ეს საიდუმლო?

ბატონი აბატი ელოდა ამ კითხვას.

— არ არის აუცილებელი. პირიქით, სწორედ იმათ არაფერი არ უნდა უთხრათ. მე და თქვენს მეტმა ამის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს.

გრაფინია განცვიფრებული შეჰყურებდა. მაშინ ხომ ბატონ აბატს მოუწევდა მთელი ღამე მის საძინებელ ოთახში გაეტარებინა მასთან ერთად.

აბატმა ესეც ამოიკითხა მის სახეზე.

— ფიქრი ნუ გაქვთ, გრაფინია, მე ახლა მოძღვართან ერთად წავალ და დავბრუნდები ზუსტად დათქმულ დროს. შუაღამისას თქვენი საძინებელი ოთახის კართან ვიქნები.

— თქვენ ამას ვერ შეძლებთ, ზამთარში, საღამოს შვიდ საათზე სასახლეში შემოსასვლელი ყველა კარი იკეტება, ჩემს

საძინებელ ოთახში რომ შემოხვიდეთ, სულ ცოტა შვიდი დაკეტილი კარის გაღება მაინც მოგიწევთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ალაყაფის კარზე, რომელსაც მოხუცი მეკარე ქალის გარდა ორი უზარმაზარი ნაგაზი იცავს, მგელსაც ნაფლეთებად რომ აქცევენ თვალისდახამხამებაში. ღამ-ღამობით ისინი ფხიზლობენ და გრძელი ჯაჭვებით მიმოდიან კარის წინ. ამის შემდეგ დერეფანში შემოსასვლელი კარი ორი საკეტით არის დაკეტილი, ერთი მოსამსახურეს აქვს, მეორე მებაღეს, ამ კარს ვერ გააღებთ, ორივე ქალი თუ არ გააღვიძეთ, მესამე კიბის კარია, მისი გასაღები მზარეულსა აქვს, იმან ისეთი ძილი იცის, მთელი სახლი თავდაყირა რომ დააყენოთ, მაინც ვერ გააღვიძებთ. მეოთხე პატარა დერეფნის კარის გასაღები მოახლესა აქვს, ის ისეთი მშიშარაა, ღამე მეორე ოთახშიც ვერ გადის. მეხუთე კარი ჩემი მეორე მოახლის ოთახში გადის და მამაკაცის ხმა რომ გაიგონოს, არავითარ შემთხვევაში არ გააღებს. მეექვსე კარი ემერენციას ოთახისაა, მას კრუნჩხვები დაემართება და გული წაუვა, მისი კარის სახელურს ვინმემ ხელიც რომ შეახოს. მეშვიდე კარი ჩემი გარდერობის ოთახისაა, ის იღება სპეციალური მექანიზმით, რომელიც პირადად მე მომყავს მოძრაობაში. მითხარით ერთი, თქვენო უწმინდესობავ, როგორ შემოხვალთ აქ ღამით შეუმჩნევლად?

— ნება მიბოძეთ, გრაფინია, ერთი შეკითხვა მოგცეთ. თქვენ ხომ არაერთხელ ჩასულხართ ღამით აკლდამაში თქვენი საწოლი ოთახიდან, როგორ ახერხებდით ყველა ამ ჩაკეტილი კარის გაღებას?

გრაფინიას სახე გაუბრწყინდა და გამარჯვებულის იერით ამაყად გადახედა:

— ოო, მე იქ სულ სხვა გზით ჩავდივარ. ჩემი საძინებელი ოთახიდან ჩადის საიდუმლო კიბე ჯერ ბიბლიოთეკაში, შემდეგ აკლდამის სამლოცველოში.

მოსალოდნელი იყო ბატონ აბატს შეეთავაზებინა ბიბლიოთეკაში დამალულიყო თუკი გრაფინია ნებას დართავდა და საიდუმლო კიბის გასაღებს ანდობდა; მაგრამ სხვათაშორისაც რომ წამოსცდენოდა ამის შესახებ ისეთი ხასიათის ადამიანთან, როგორიც გრაფინია იყო, იმდენად შეურაცხყოფდა ეს მის მოჩვენებით მორცხვობას, რომ შეიძლებოდა აღარც კი

მოესურვებინა საუბრის გაგრძელება. მისთვის მიუღებელი იყო ჩვეულებრივი ადამიანური მოსაზრებები.

ბატონმა აბატმა ეს შესანიშნავად იცოდა.

— გრაფინია, ისევ გიმეორებთ, რომ ამაღამ, ზუსტად 12 საათზე კარზე დაგიკაკუნებთ.

გრაფინიამ მხრები აიჩეჩა.

— შესაძლოა თქვენ არ გჯერათ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ძალა შესწევთ დაარღვიონ ბუნების კანონები, შეუძლიათ შევიდნენ დაკეტილ კარში? ზოგისთვის ისინი უხილავნი არიან, ზოგიც ხედავს მათ. რატომ არ შეიძლება ასეთი ზებუნებრივი ძალა მეც გამაჩნდეს? და თუ არ გჯერათ, რომ მე ჩვეულებრივ ადამიანს შემიძლია ისეთი რამ ჩავიდინო, რის საშუალებასაც არ გვაძლევს ბუნების კანონები, მაშინ თვითონვე მიიღებთ სწორ პასუხს ყველაფერ შეუძლებელზე. ფოკუსნიკობა ჩვენ დროში უკვე აღარ ითვლება ჯადოქრობად. ბოსკოს და გალუშეს ახლა ალბათ აღარ დასწვავდნენ კოცონზე. მაშ ასე, გრაფინია, ჩამთვალეთ გნებავთ ბოსკოდ, გნებავთ პარაცელსად, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, როგორც კი სასახლის მოჩვენებები დაიწყებენ ღრეობას, დაგიკაკუნებთ კარზე სიტყვებით: „უფლის სახელითა და ნებით გაიღოს მორწმუნეთა კარი!“ ოღონდ ჩვენ ორს გარდა ამის შესახებ არავინ არ უნდა იცოდეს! ახლა კი ღმერთი იყოს თქვენი შემწე, გრაფინია.

ტეუდელინდა განცვიფრებული და მოჯადოებული იყო ამ არაჩვეულებრივი ადამიანის გამბედაობით. იმდენი დამაჯერებლობა და სიმტკიცე იგრძნობოდა მის ხმაში, რომ სიტყვებში ოდნავ დაეჭვებაც კი შეუძლებელი იყო. და მაინც დაუჯერებელს ჰგავდა ეს ყოველივე. როგორ შეიძლება ეს მოხდეს? იქნებ მართლაც ეაჩნია ზებუნებრივი ძალა?

გრაფინიამ თავისი თვალით დაინახა, როგორ ჩაჯდა ეკლესიის ორივე მსახური ეტლში, რომელიც მაშინვე დაიძრა ადგილიდან. აბატმა შენიშნა ფანჯარასთან მდგომი გრაფინია და ხელი დაუქნია. იგი ფანჯარას არ მოსცილებია, სანამ ცარიელი ეტლი უკან არ დაბრუნდა.

მეეტლე ქალმა ჯიბიდან ამოიღო ბატონი აბატის მიერ ნაზოძები ახალთახალი ვერცხლის ფორინტიანი და ყველას აჩვე-

ნა. მონეტა განცვიფრებულ მსახურთა ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს მართლაც ნამდვილი სასწაული იყო! 15-მილიონიანი უნგრეთის მოსახლეობიდან 14 მილიონზე მეტს არასოდეს ენახა ვერცხლის მონეტა.

აი მღვდელიც ამას ჰქვია! არა ჰგავს ჩვენს მოძღვარს, ქაღალდში გახვეულ ოთხ-ოთხ კროიცარს რომ დაგვირიგებს ხოლმე კვირაობით.

ის დღე ისე გაგრძელდა, გრაფინიას წუთები საათებად ეჩვენებოდა. ადგილს ვეღარ პოულობდა, თითქმის ყველა ოთახი შემოიარა. საიდან, რომელი ხვრელით შეიძლება აქ შემოსვლა, თუ ხორციელი ადამიანი ხარ და არა სული? ბოლოს, როცა საათმა 7-ჯერ დარეკა, თვითონ შეამოწმა რომ ყველა კარი კარგად იყო დაკეტილი და საძინებელ ოთახში შევიდა.

გადმოიღო ფლორენციელი არქიტექტორის მიერ შედგენილი სასახლის გეგმა, რომელიც არაერთხელ ენახა. მას შემდეგ, რაც მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ეს სასახლე, გრაფინია დიდხანს სწავლობდა მის გეგმას. შენობა ძალზე დიდი იყო და სამჯერ აღემატებოდა მის მოთხოვნებს. ამიტომ ამოირჩია საცხოვრებლად მისი ერთ-ერთი ფლოგელი. შენობის ცენტრალურ ნაწილში უზარმაზარი დარბაზები იყო. აქ იმართებოდა შეკრებები და ნადიმები, აქვე იყო არსენალი, სიძველეთა და სურათების კოლექციები. ეს ნაწილი საცხოვრებლად შეუფერებელი იყო.

აქედან მიწისქვეშა დერეფანში ეშვებოდა საიდუმლო ხვეული კიბე. ვინ იცის, იქნებ ეს გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისათვის, თუ თურქები დაესხმოდნენ თავს. ეს კიბე, როგორც სავსებით უსარგებლო, გააუქმა ჯერ კიდევ პაპამისმა, აქედან შემოსვლა არავის შეეძლო. სასახლის მარცხენა ფრთა უყვარდათ განსაკუთრებით მის დროსტარებისა და გართობის მოყვარულ წინაპრებს, აქ იყო საიდუმლო სამალავები, ნიშები, შესასვლელები სქელი კედლების სიცარიელეში, ოთახიდან ოთახში, სართულიდან სართულში, რომელთა არსებობაც მათ მეტმა არავინ იცოდა. ასევე, სათვალთვალო ხვრელები, სურათებით დაფარული კარებები, რომელთა საშუალებით სხვათა საუბრის ჩუმად მოსმენა შეიძლებოდა. ეს ყოველივე დაწვრილებით იყო აღნიშნული არქიტექტორის მიერ შედგენილ

გეგმაზე. ტეუდელინდამ სასახლის ეს ნაწილი მისი გემოვნებისა და აზროვნების შეუფერებლად ჩათვალა და საცხოვრებლად სასახლის მარჯვენა ფრთა აირჩია. მისი არქიტექტურა შედარებით მარტივი იყო. ზემოთ ჩვეულებრივი ოთახები, პირველ სართულზე ბიბლიოთეკა, მის ქვემოთ კი საგვარეულო აკლდამა. ამ ნაწილში გეგმის მიხედვით არავითარი საიდუმლო სამალავები და შემოსასვლელები არ იყო, გარდა უკვე აღნიშნული კიბისა, რომელიც მხოლოდ ბიბლიოთეკაში და საგვარეულო აკლდამის სამლოცველოში ჩადიოდა.

სასახლის შენებისას გათვალისწინებული იყო მის მფლობელთა ასაკობრივი მეტამორფოზები. ახალგაზრდობაში ისინი დარდიმანდი მოქეიფეები იყვნენ, შუახანს მიღწეულნი სახელმწიფო მოღვაწეები, ხანდაზმულნი კი წმინდანობას ჩემულობდნენ.

ტეუდელინდამ ამოაშენებინა სასახლის ამ ნაწილში გამავალი ყველა კარი და ამდენად აქედან შემოსვლაც შეუძლებელი იყო. გასასვლელი მარტო ეზოში იყო. ფანჯრებიც და საკვამლე მილებიც რკინის გისოსებით იყო დაფარული. არავითარი ჩვეულებრივი ადამიანური ძალით მასთან შეღწევა არ შეიძლებოდა.

რჩებოდა ერთადერთი შესაძლებლობა: ხომ არ შეეძლო ბატონ აბატს შეთქმულიყო მის მოსამსახურეებთან? მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა მის კეთილშობილებას, ან კი როდის უნდა მოესწრო მათი მოსყიდვა? ამისთვის ძალზე ცოტა დრო ჰქონდა. ან კი როგორ შესძლებდა ამას ბატონი მაჰოკის თანადასწრებით? იმასთანაც ხომ არ იყო შეთქმული?

არა, ეს მართლაც შეუძლებელი იყო.

და ბოლოს, რაში სჭირდებოდა ბატონ აბატს ასეთი თვალთმაქცობა?

ტეუდელინდამ ადრე დაითხოვა მოსამსახურეები დასაძინებლად. ემერენციასთან დაიჩივლა, თავის მარცხენა მხარე მტკივაო, იმას მაშინვე მარჯვენა მხარე ასტკივდა. და როცა გრაფინია დასაძინებლად წავიდა, ემერენციამ ყვავილებით ამოქარგული ბალიშები შემოიწყო თავზე გასათბობად და თან ისე კვნესოდა, თითქოს მომაკვდავი ყოფილიყო.

გრაფინია საწოლ ოთახში ჩაიკეტა აბატის მოლოდინში,

პასიანსიც გაშალა, რომ ცოტა გულს გადაეყოლებინა, მაგრამ ეტყობოდა ყურადღება გაფანტული ჰქონდა და არ გამოუვიდა. მერე ბიბლია აიღო დორეს დიდებული ილუსტრაციებით დამშვენებული და გრავიურების დათვალიერება დაიწყო. დათვალა კიდეც რამდენი ქალი და რამდენი კაცი იყო გამოსახული ორასოცდაათამდე სურათზე. მერე დათვალა, რამდენი ცხენი და აქლემი იყო, რამდენი მკვლელობა. ბოლოს კითხვა დაიწყო. იმის გამოთვლას შეუდგა, რომელი ხმოვნები უფრო ხშირად ხვდებოდა ტექსტში. ყველაზე მეტი გამოვიდა „ა“, შემ„ე“, „ო“, „უ“. უფრო ნაკლებად ხვდებოდა „ი“. ტექსტი ფრანგული იყო. შემდეგ შეადარა უნგრულს და აღმოაჩინა, რომ უნგრულში უფრო მეტი იყო „ე“, შემდეგ იყო „ა“, „ო“, „ი“ და ბოლოს „უ“.

ამ საქმიანობამ ძალზე დაღალა. როიალს მიუჯდა და შეეცადა დამშვიდებულიყო, დაიწყო ერთი და იგივე რომანსების დაკვრა, მაგრამ არც ეს გამოუვიდა; ხელები უკანკალებდა, ნაძალადევად დაცურავდნენ კლავიშებზე. როცა მოახლოვდა მოჩვენებების საათი, იმათ მეტზე ალარაფერზე ფიქრობდა. უკვე მათი მონა ხდებოდა და თითოეული წუთი საათად ეჩვენებოდა, ვიდრე მათი ღრიანცელის ხმა არ გაიგონა.

ყოველთვის, როცა კი ამ ხმას გაიგონებდა, კანკალი აუვარდებოდა ხოლმე, სასწრაფოდ იხდიდა ტანსაცმელს, ლოგინში ჩაიმალებოდა და ყურებს დაიცობდა, სანამ არ ჩაეძინებოდა. დილით, როცა გაიღვიძებდა, დარწმუნებული იყო, რომ აკლდამაში ჩავიდა, რომელიც დაესიზმრებოდა ხოლმე.

ამ საღამოს მან ამოიღო თილისმა, რომელიც ძალას მატებდა, ბატონი აბატის პორტრეტი, წინ დაიდგა და ყურება დაუწყო. ნუთუ მართლა არამიწიერი არსებაა და მის სიტყვას შეუძლია გააქროს მოჩვენებები? ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

რაც უფრო მეტს ელოდა, მით უფრო მოუსვენრობა ემატებოდა. გულიც სულ უფრო მეტად უცემდა, ოღონდ ამის მიზეზი ახლა ღამისა კი არა, ახალი მოჩვენება იყო.

და მაინც რომ დაეკაკუნებინა შუაღამისას მისი საწოლი ოთახის კარზე? მაშინ ვინ იქნებოდა იგი? წმინდანი თუ მეფოკუსე?

საათის ისარი, როგორც იქნა, მიუახლოვდა შუაღამის 12-ს და გუმბათის საათმაც დარეკა.

ჩვეულებისამებრ აკლდამიდან სწორედ ამ დროს მოისმა მოჩვენებათა გალობა.

მაგრამ გრაფინია ახლა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. გულისყური გვერდით ოთახებისკენ ჰქონდა, ხომ არ ატრიალებდა ვინმე გასაღებს საკეტში, ან კარის სახელურს.

არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თხუთმეტი წუთი გავიდა კიდევ. ამასობაში საეკლესიო საგალობლების ხმა ისეთმა უწმაწურმა ღრიანცელმა და სიცილ-ხარხარმა შეცვალა, თითქოს ჯოჯოხეთის ყველა ბინადარი ერთმანეთს შეჯიბრებოდა.

— ის არ მოვა, — თავისთავს ელაპარაკებოდა გრაფინია, და თან ჟრუანტელი უვლიდა მთელ სხეულში. უაზრობაა ადამიანისგან მოელოდე იმას, რაც მის ძალას აღემატება. და ის იყო საწოლს მიუახლოვდა, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და ნაცნობმა ხმამ დათქმული პაროლი გაიმეორა: „უფლის სახელითა და ნებით გაიღოს მორწმუნეთა კარი!“

გრაფინიამ განცვიფრებისაგან შეჰკივლა და თავს ძალა დაატანა, რომ გონება არ დაეკარგა.

ეს სიზმარი არ არის! არც ჰალუცინაცია! ის აქ არის!

გრაფინიამ კარებთან მიირბინა და გააღო. ამ დაძაბულ მომენტში თითქოს სულიერი ძალა ათმაგად მოემატა. ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვინც მის საძინებელ ოთახში შემოაღწია, მძარცველი, ჯადოქარი, თუ წმინდანი, ახლა მაინც უკვე მის ხელთ იყო! საკმარისი იყო საიდუმლო ღილაკისთვის ფეხი დაეჭირა და იატაკის ის ნაწილი, რომელზედაც იგი ახლა იდგა, თვალისდახამხამებაში მიწისქვეშა ჯურღმულში აღმოჩნდებოდა. გრაფინიამ ფეხი შეახო ღილაკს და კარი გააღო.

მის წინ ბატონი აბატი იდგა. გრძელი შავი პალტო ეცვა, მარჯვენა ხელში მარტორქის ტყავისაგან დაწნული მათრახი ეჭირა, მარცხენაში ფანარი.

— ადგილიდან არ დაიძრათ, სანამ არ მეტყვით როგორ, რა ძალით შემოაღწიეთ აქ, ღმერთის, ადამიანების, თუ სატანის დახმარებით?

— გრაფინია! — მიმართა აბატმა, — შეგიძლიათ შეამოწმოთ თქვენი ოთახები, ყველა კარი ღიაა, ეზოში როგორ შემოვედი, ამას შემდეგ გიამბობთ.

— ჩემი მსახურები? — განცვიფრდა გრაფინია, — იმათ ხომ ოთახებში სძინავთ?

— ფარდები ყველა საწოლზე ჩამოშვებულია, შიგ არ შემიხედავს, თუ სძინავთ, ეტყობა ღრმა ძილით სძინავთ.

— წარმოუდგენელია!

გრაფინიამ იგრძნო, რომ ძალა ელეოდა.

— გთხოვთ, შემობრძანდით! — და რომ არ წაქცეულიყო, სავარძელში ჩაეშვა.

აკლდამიდან სულ უფრო მკაფიოდ მოისმოდა ღრიანცელი.

— თქვენ გესმით?

— მესმის და იმასაც ვხვდები, რაშია საქმე! აქაც იმისთვის მოვედი, რომ ბოლო მოვუღო ყოველივე ამას.

— სარწმუნოებამ შეგაიარაღათ ამისთვის?

— მხოლოდ მათრახი მაქვს. — უპასუხა აბატმა.

— ნუთუ ვერ არჩევთ ამ ღრიანცელში ჩემი წინაპრის ლასლოს ხმას? — შეეკითხა გრაფინია. და ორივე ხელი ჩაავლო ბატონ აბატს იდაყვში, — ნუთუ არ გესმით ჩემი დეიდების სიცილი?

— ვისი ხმებია, ამას ახლავე ვნახავთ, — მშვიდად უპასუხა აბატმა.

— როგორ? რა გადაწყვიტეთ?

— იმათთან ჩასვლა.

— იმათთან? რა საჭიროა? რისთვის?

— იმისთვის, რომ განაჩენი სისრულეში მოვიყვანოთ. თქვენ ხომ აღმითქვით, რომ წამოხვიდოდით ჩემთან ერთად.

— მე აღგითქვით? — წარმოსთქვა შეშინებულმა გრაფინიამ.

— დიახ, ეს თქვენი სურვილი იყო.

— მართალია, გამახსენდა, მაგრამ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, გონება მერევა. ჯერ თქვენი აქ ყოფნა! მერე კიდევ ის საშინელი ხმები ქვევიდან! მეშინია!

— როგორ? რამდენჯერ ჩასულხართ მარტო მოჩვენებებთან და ახლა ჩემთან ერთად ჩასვლის გეშინიათ? მომეცით თქვენი ხელი!

აკანკალებულმა გრაფინიამ თავისი დამჭკნარი ხელი გაუ-

წოდა და როგორც კი მისი ხელი შეეხო, იგრძნო, როგორ დაუარა რაღაც უჩვეულო სითბომ მთელ სხეულში, ძალა შემატა, შიშის გრძნობაც თითქოს გაუქრა და სრულიად დამშვიდდა.

— წავიდეთ, — მიმართა აბატმა, მათრახი იღლიაში ამოიდო და თითქმის ძალით წაიყვანა გრაფინია.

— სად არის კიბისა და იმ დარბაზების გასაღებები, რომელთა გავლაც ჩვენ მოგვიხდება?

გრაფინიამ იგრძნო, რომ არ შეეძლო ხელი უკან გამოერთმია, ძალა არ ეყოფოდა ამისთვის და გადაწყვიტა მინდობოდა. ახლა უკვე ჯოჯოხეთშიც რომ წაეყვანა აბატს, თანახმა იყო. მან უხმოდ ანიშნა, სადაც იდო გასაღებების რამდენიმე შეკვრა.

მოძღვარმა მაშინვე ამოარჩია, რომელიც მათ დასჭირდებოდათ. აქ გასაოცარი არაფერი იყო, გასაღების ენაზე ჯვარი იყო გამოსახული. ეს სამლოცველოს გასაღები უნდა ყოფილიყო. ხალიჩაჩამოფარებული კარი გაიღო და მოძღვარი დარწმუნდა იმაში, რაც მანამდეც კარგად იცოდა, ამ კიბეზე არასოდეს არავინ ჩასულა.

გრაფინია ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს. ხომ არსებობენ ნერვიული ადამიანები, რომლებიც ისე თვალნათლივ წარმოიდგენენ მათთვის სრულიად უნახავ ადგილებს, რომ როცა მართლა ნახავენ, ჰგონიათ, რომ იქ უკვე არიან ნამყოფი.

კიბეზე ჩასვლისას გრაფინიამ ჩასჩურჩულა:

— იქ ზემოთ ერთი ფანჯარა გატეხილია და იქიდან ქარი უბერავს.

მართლაც ხვეული კიბიდან ნიშაში პატარა გატეხილი ფანჯარა დაინახეს, საიდანაც დღისით სინათლე შემოდიოდა.

გრაფინიას ეს არასოდეს ენახა. ისინი ბიბლიოთეკის კარს მიუახლოვდნენ.

— ყველაზე მეტად ბიბლიოთეკაზე გავლისა მეშინია, — თქვა გრაფინიამ. მინის სახურავიდან მთვარის შუქი მარმარილოს იატაკზე თეთრ ფიგურებად ეფინება და საიდუმლო დამწერლობას მაგონებს. ნიშის კუთხეში, კარადებს შორის ადამიანის ჩონჩხი დგას. მარცხნივ უძველეს სერვანტში წმინდა იგნატ ლოიოლას სიკვდილის შემდგომ გაკეთებული სანთლის ნიღაბი დევს.

ეს ყოველივე გრაფინიას ალბათ ძიძისგან გაეგონა ბავშვობაში. ყველაფერი ისე იყო, როგორც მან თქვა. მთვარე ანათებდა მინის სახურავიდან, ნიშაში ჩონჩხი იდგა და მინით დახურულ სერვანტში სანთლის ნიღბები ეწყო.

აქ გრაფინიას ფეხი არასოდეს დაუდგამს. იატაკი მტვრითაა დაფარული. იატაკზე და ავეჯზე ათეული წლების მანძილზე მტვერი არავის გადაუწმენდია. არც ადამიანის ნაფეხური ეტყობა სადმე.

როგორც კი გრაფინია და აბატი ბიბლიოთეკაში შეეიდნენ, მის გვერდით, სამლოცველოში, ხმაური მიწყდა. მოჩვენებები დადუმდნენ, მხოლოდ საორღანო მუსიკის ხმა მოისმოდა, როგორც პრელუდია წირვის წინ. მაგრამ ესეც პაროდიასავით იყო, ისეთ ხმებს გამოსცემდა, თითქოს ორღანში ავი სული ჩამძვრალიყო.

შიშისაგან გრაფინიას სუნთქვა შეეკრა, აკანკალებულმა ხელი ჩასჭიდა აბატს და კარის გაღების საშუალებას არ აძლევდა.

რა საშინელი ხმებია?

ამ დროს სამლოცველოში „მწუხრის ლოცვა“ წამოიწყეს.

ერთმა ხმამ დაიწყო: „ბახუსო, მოემზადე ამოსახაპად!“

მეორემ იმავე ტონში უპასუხა: „და დაეწაფე!“

შემდეგ თითქოს წმინდა წიგნს კითხულობსო, ვიღაცამ დაუმატა: „დიდება ბახუსს და მის ქალიშვილებს ლუდსა და ღვინის სპირტს, როგორც ბახუსის შთამომავლებს, ყოველთვის აევსოთ თასი აწ და მარადის! გადაჰკარი!

გრაფინია გრძნობდა, როგორ ეყინებოდა სისხლი ძარღვებში, იგი შეძრწუნებული იყო.

შემდეგ მოესმათ:

ძმამ უთხრა ძმას,
შეგიძლია შესვა ორი სასმისი?
რამდენიც გინდა, ორი, სამი, თუნდაც ხუთი.
ვერც დამიოკებდა წყურვილს.
ნეტარიმც ყოფილიყოს ბახუსი და ცერერა,
ვერას დაგვაკლებს ულმობელი წყურვილი.
დაცლევ, განთიადიდან საღამომდე,
სულ არ ვიფიქრებ ფულზე,

ის, ვინც იმდენს არ დალევს, რომ ორჯერ-სამჯერ მაინც წაიქცეს, ვერ უწოდებს თავის თავს ჩვენს სულიერ ძმას.

გრაფინია იმ ტანჯვას განიცდიდა, რასაც ცოდვილნი განიცდიან, პირველად რომ გაიგონებენ ეშმაკეულთა ნათქვამს.

ადრიან დილით ჩვენ უკვე
სასმისებით ვსვამთ.
შუადღეს კეთილ საქმეებს ვწირავთ,
რომ გამოვადგეთ ბახუსს,
ჩვენ ძმები ვართ თანამესუფრე
და შეგვიძლია დღე და ღამ ვსვათ.
და თუ ვინმეს უნდა, შემოგვიერთდეს,
ჩვენსავით ხელგაშლით უნდა დაისხას,
დიდება ბახუსს".

შემდეგ

„ძმებო, შეამოწმეთ თქვენი სასმისები შინ წასვლამდე და რაც შიგ იქნება, დალიეთ, რომ ღვინო ტყუილუბრალოდ არ დაიღვაროს, აწ და მარადის. შესვით! ბახუსის სადიდებლად!"

და იმავე წუთს ჯოჯოხეთური ღრიანცელი გაისმა:

ეს იყო წრეგადასული თავხედური ჰიმნი:

ბახუსი ცერერას მამაა,
ღვინის სმის ღმერთი,
ნუ მოგვაკლებ მოწყალებას
ყოველთვის მოგვეცი ღვინო,
ჩვენც ხალისით დავლევთ
და ყველგან ვიტყვით
შენს სადიდებელს.
და როცა დავლევთ,
შენ გადიდებთ მუდამ, ბახუსო!"

მოისმა ზარის ხმა.

ამას მოჰყვა მღვდლის მიერ წარმოთქმული

„ბახუსი თქვენთანაა!"

დაიგუგუნა გუნდმა:

„და შენს სასმისთან!"

გრძელდებოდა ღრიანცელი.

გრაფინიას ძალა აღარ ეყო და ჩაიკეცა. ბატონმა აბატმა სამლოცველოს კარს გასაღები მოარგო.

— „ნუ გააღებთ! ნუ გააღებთ! იქ ნამდვილი ჯოჯოხეთია!“ — ჩურჩულით მიმართა შეძრწუნებულმა გრაფინიამ.

— სულ ერთია, მაინც გავაღებ, — უპასუხა ბატონმა აბატმა, გადაატრიალა გასაღები და მძიმე რკინის კარი გააღო.

განათებულ მიწისქვეშეთში განსაცვიფრებელი სანახაობა გადაიშალა მათ თვალწინ.

საკურთხეველზე ყველა სანთელი აენთოთ და მათი შუქი მშვენივრად ანათებდა მართლაცდა განსაცვიფრებელ სცენას აკლდამაში.

გრძელ მაგიდას სასახლიდან განდევნილ მამაკაცებთან ერთად შემოსხდომოდნენ გრაფინიას შინამოსამსახურენი და არა მისი წინაპრები.

აბატმა კარი რომ გააღო, საგალობელი დამთავრებული იყო და ყველა თავშესაქცევ სიმღერას მღეროდა.

ახლა გრაფინია კარგად ხედავდა, რა მოჩვენებებიც შემოსჩვეოდნენ მის სასახლეს.

მის ყველა მოსამსახურეს ჰყავდა თაყვანისმცემელი: მეზობელი სოფლების მწერლები, მოურავები, ტყისმცველები. მისი მშიშარა მოახლე, ღამით დერეფანში გამოსვლისაც რომ ეშინოდა, ღვინოს უსხამდა სასმისში მეზობელი სოფლის მწერალს. პირისფარეში, ყველა სათნოების განსახიერებად რომ სთვლიდა, მოურავის მხლებელს ეხვეოდა, მოხუცი მეკარე მატრონა, სასმელს ახლოს რომ არ ეკარებოდა, მაგიდაზე ცეკვავდა, ორივე ხელით ღვინით სავსე ხელადა ეჭირა და თან მღეროდა. ერთმანეთში არეულიყო ყურთასმენის წამღები ღრიანცელი, სიცილ-ხარხარი, სტვენა, ზოგი მაგიდაზე მუშტებს ურტყამდა. მწყემსი გრაფინიას პაპის მამის საფლავზე დამჯდარიყო და სალამურს უკრავდა. არქიეპისკოპოსის საფლავზე გახსნილი ღვინის კასრი იდგა.

ქალები გრაფინიას მდიდრულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები მეეტლის გარდა, რომელსაც მამაკაცის ტანსაცმელი ეცვა, სამაგიეროდ, თავისი საყვარელი, მეზობელი სოფლის მეეტლე, ქალის ტანსაცმლით მოერთო. მის თავზე გრაფინიამ მაშინვე იცნო თავისი ღამის თავსაბურავი, მხრებზე მისივე მაქმანებიანი წამოსასხამი მოესხა, რომელსაც თმის დავარცხნისას წამოისხამდა ხოლმე.

და რაც ყველაზე სამწუხარო იყო, მაგიდის თავში იჯდა ემერენცია ახალგაზრდა სტუდენტის გვერდით, რომელთანაც, როგორც ეტყობოდა, ახლო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო. ემერენციას გრაფინიას ალისფერი აბრეშუმის კაბა ტანზე ასკდებოდა. ღვინის სმისაგან ლოყები შეწითლებოდა და მოურიდებლად აბოლებდა ჩიბუხს. და ეს ემერენცია იყო!

ერთმანეთში არეულიყო გალეშილი მამაკაცებისა და ქალების ღრიანცელი, სიცილ-ხარხარი, ზოგი მაგიდას ურტყამდა თავგამეტებით, საკურთხეველთან თვითმარქვია-მღვდელი ღვთის საგმობელ ლოცვას გაჰყვიროდა: „ბახუსი თქვენთანაა!“ მნათე მთელი ძალით რეკავდა ზარებს.

ვინ იყვნენ ესენი?

თვითმარქვია მღვდელი საპარადო სამოსელში გადაცმული დიაკვანი იყო. დიაკვნის ტანსაცმელი მნათეს ჩაეცვა.

გრაფინიას ამის დანახვაზე თავზარი დაეცა. იგი სამმაგად იყო შეურაცხყოფილი, გული შეუკუმშა მსახურთა უმადურობამ, ამ ქალებს ხომ თავის ბავშვებად თვლიდა, უცოდველ ანგელოზებად. კვირაობით სასახლის ეკლესიაში მათთვის აკვრევინებდა ორღანს, მათთან ერთად მღეროდა საგალობლებს, მათთან ერთად ჭამდა, არასოდეს საყვედურიც კი არ უთქვამს. და ყოველივე ამის სამაგიეროდ მათ წაბილწეს მისი წინაპრების საფლავები, ყოველღამე აშინებდნენ, ვითომდა მოჩვენებათა ხმაურით, კინაღამ ნახევრადშეშლილ მთვარეულად აქციეს და რაც ყველაზე საშინელი იყო, ამ ორგიების დროს, თავიანთი ქალბატონის ტანსაცმლით ირთვებოდნენ და შემდეგ მას უხდებოდა მთვრალი მამაკაცების ხელით წაბილწული, ღვინოგადასხმული, თამბაქოს ბოლით გაჟღენთილი კაბების ჩაცმა.

თუმცა დანაშაული უფრო დიდი იყო.

როგორ მოუვიდათ აზრად ღვთისსადიდებელი რელიგიური ცერემონიალის ურწმუნოთა ვაკხანალიად გადაქცევა. წაებილწათ სამღვდელო ტანსაცმელი, საკურთხეველი, წმინდა საგნები და სამიკიტნოების უწმაწური სიმღერები ლოცვებივით და ფსალმუნივით ეგალობათ! დასწყევლოს ღმერთმა, შეაჩვენოს ეს ღვთისმგმობნი! ამგვარად მიყენებული ტკივილი როგორც ეს საღმრთო წერილშიც წერია, ძნელად იკურნება, საამისო მალამო არ არსებობს.

დაბოლოს შიში.

გალეშილი მამაკაცებისა და ქალების მთელი ხროვა, რომელთაც დანაშაულზე წაასწრეს. მათ რომ შეენიშნათ, როგორ უთვალთვალებდნენ, შესაძლოა ნაფლეთებად ექციათ მოთვალთვალენი. რას გახდებოდა ერთი მამაკაცი და ერთი ქალი ოცი გონებაარეული ცოდვილის წინაშე.

გრაფინიამ შენიშნა, როგორ გაიელვა აბატის თვალებმა აპოსტოლური რისხვით და შიშმა მოიცვა. ორივე ხელი ჩასჭიდა მას სახელოში და შეეცადა შეეჩერებინა. მაგრამ აბატმა ხელი გაითავისუფლა, მარჯვედ გადაახტა ოთხ საფეხურს, თვითმარქვია-მღვდელს მივარდა და ორჯერ გადაჰკრა ზურგზე მარტორქის ტყავისგან დაწნული მათრახი. შემდეგ მნათეს ისეთი პანღური ამოჰკრა, რომ პირდაპირ მაგიდის ქვეშ შეაგორა. რაც ამის შემდეგ მოხდა, ის ნამდვილად სიზმრად ნახულს უფრო ჰგავდა.

ერთადერთი მამაკაცი დაერია ამ ჯოჯოხეთურ საკრებულოს, ხელის ერთი დარტყმით გადააბრუნა მაგიდა და თავისი მათრახით სულ თავგზა აუბნია მონადიმეებს. ეს ყოველივე მკაცრი განკითხვის დღეს ჰგავდა, და ისე მოულოდნელი იყო მათთვის, რომ გონს ვეღარ მოსულიყვნენ, წივილ-კივილითა და კისრისტეხით მიაწყდნენ აკლდამის კარს. მამაცი რაინდი კი ისეთი გაშმაგებით ურტყამდათ, ურჩხულთან შებრძოლებული წმინდა. გიორგი გეგონებოდათ. მისი მათრახი შხუილით ეადადიოდა ზურგიდან ზურგზე და კვნესა და ღრიალიც სულ უფრო მატულობდა. გონდაკარგული, ტკივილებისაგან გამხეცებული ბრბო დერეფნისაკენ მიიწევდა. აბატი არავის ინდობდა, ყველამ იგემა მისი მათრახის გემო და ალბათ არც არასოდეს დაავიწყდებოდათ. შიშისაგან გულგახეთქილებს თავდაცვაზე არც უფიქრიათ. თავდასხმა მოულოდნელი იყო და აბატის მუშტები — უძლიერესი. მხოლოდ ერთად-ერთს, ტყისმცველს მოუვიდა აზრად მათრახის წასართმევად წატანებოდა, მაგრამ აბატმა ისეთი სილა გააწნა მარცხენა ხელით, თავი ძლივსღა შეიმაგრა, რომ იატაკზე არ დანარცხებულიყო და იმანაც ისევ გაქცევა ამჯობინა.

„მაგრად დასცხეთ, მაგრად!“ — ჩურჩულით ეუბნებოდა გრაფინია და განცვიფრებული მისჩერებოდა გასასვლელში

შეჯგუფებულ, თითქმის ერთმანეთზე შემსხდარ შინა მოსამსახურეებს, რომლებიც ცდილობდნენ, როგორმე ერთმანეთისათვის გაესწროთ და სამშვიდობოს გასულიყვნენ. ემერენციას თავი ჩაემალა, რომ მათრახი სახეზე არ მოხვედროდა. ყველაზე უკან დიაკვანი დარჩენილიყო, გრძელი ანაფორა ფეხებში ედებოდა და სხვებივით მარჯვედ ვეღარ გარბოდა. აბატმაც იმდენი ურტყა, სანამ ზედ არ შემოახია ტანსაცმელი.

როგორც კი ყველა გარეთ გაყარა, აბატმა დაკეტა კარი და გრაფინიასთან დაბრუნდა სახეგაცისკროვნებული. მისი სახე მამაკაცური ძლიერების კმაყოფილებით ბრწყინავდა.

გრაფინია მის წინ მუხლებზე დაეცა და ფეხები დაუკოცნა. იგი სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა. აბატმა ააყენა და მიმართა: — გამაგრდით, გრაფინია, სძლიეთ სისუსტეს. თქვენი ახლანდელი მდგომარეობა მთელი ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვას მოითხოვს. ახლა ხომ მთელს სასახლეში ჩვენ ორს მეტი არავინაა. მე ხომ დავკეტე ეზოში გასასვლელი კარებები. გონივრულად განსაჯეთ, ბოლო მოეღო ყოველგვარ სისულელეს. თქვენ ხომ საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ განვდევნეთ ავი სულები.

— რა უნდა გავაკეთო? — ჰკითხა გრაფინიამ.

— აიღეთ ჩემი ფანარი, მე წავალ და გისოსებიან კარს ჩავკეტავ, რომ არც ერთი შემოსასვლელი არ დარჩეს ღია, თქვენ კი დაბრუნდით საძინებელ ოთახში იმავე გზით, რომლითაც აქ ჩამოვედით და ჩაი აადუღეთ, მთლად გაყინული ხართ.

— მარტო დავბრუნდე?

— გულში გაიმეორეთ: „როცა ღმერთი ჩემთან არის, ვინ იქნება წინააღმდეგ?“ და თქვენ მარტო აღარ იქნებით. მოჩვენებები დიდი ავადმყოფობაა. წამალიც ძლიერმომქმედი იყო. მინდა გავიგო, გიშველათ თუ არა.

გრაფინიას გააკანკალა.

— რისი გეშინიათ? ჩონჩხის? მივიდეთ იქ.

მან ხელი მოჰკიდა ტეუდელინდას, აიღო ფანარი, მიიყვანა ნიშასთან და გააღო მინის კარი, სადაც ჩონჩხი იდგა.

— აი, შეხედეთ, თუ კარგად დააკვირდებით, აქ საშიში არაფერია. პირიქით, ეს უზენაესის სიბრძნეზე მიგვანიშნებს.

თითოეული ეს ძვალი იმ საიდუმლოს გვამცნობს, თუ როგორ აქცია უფალმა მოკვდავი ადამიანი დედამიწის მბრძანებლად. შეხედეთ თავის ქალას, მის ამობურცულ შუბლზე წერია ადამიანთა მოდგმის უფლება მთელ სამყაროზე. სწორკუთხა პროფილი მიგვანიშნებს თეთრი რასის უპირატეს მდგომარეობაზე სხვებთან შედარებით. ეს თავის ქალა გვასწავლის, თუ რამდენად ვართ დავალებული უზენაესისაგან, რომ შეგვქმნა ისეთნი, როგორიც ვართ, რომ აგვამაღლა ყველა სხვა არსებაზე და ადამიანთა რასაზე. თავის ქალის შეხედვამ შიში კი არა, შთაგონება უნდა აღგვიძრას გულში, ვინაიდან ის არის უზენაესის უდიდესი სიყვარულის ნიშანი თავისი რჩეული შვილების მიმართ.

აბატმა გრაფინიას ხელი თავის ქალას დაადო. გრაფინია უკვე აღარ კანკალებდა, მას ეჩვენებოდა, რომ ამ ადამიანის სიტყვებმა თითქოს ახალი სისხლი ვადაუსხა ძარღვებში.

— ახლა დაბრუნდით თქვენს ოთახში, მეც მალე მოვალ. მხოლოდ სანთლებს ჩავაქრობ საკურთხეველზე, რომ ხანძარი არ გაჩნდეს.

— კარგით. მარტო წავალ, აღარ მეშინია, — თქვა გრაფინიამ.

— ოღონდ თქვენზე კი ვშიშობ, ახლა თქვენ ბნელი დერეფნის გავლა მოგიწევთ, ხომ შეიძლება ის ბოროტმოქმედნი ჩასაფრებულები დაგხვდნენ. ვინ იცის, გონს რომ მოვიდნენ, თქვენზე თავდასხმა გადაწყვიტეს.

— მე ამაზეც ვიფიქრე, გრაფინია, — უპასუხა ბატონმა აბატმა და ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო. მე მკვლელებთან შესახვედრადაც კი მზად ვიყავი. ასე, რომ ფიქრი ნურაფრის გექნებათ!

ტეუდელინდამ ფანარი აიღო და ბიბლიოთეკაში შევიდა. მოძღვარი ერთხანს შედგა, უყურა, სანამ კარი არ მიიხურა და სწრაფი ნაბიჯით გასწია აკლდამისაკენ, საიდანაც კიბით დერეფანში ავიდა. იქ მოკალულ ლანგარზე ჯერ ისევ ენთო მოჩვენებითი ალი.

„სპირტისა და ამიაკის ნარევი“, — თავისთვის ჩაიჩურჩულა აბატმა. „ამან შეაშინა ბატონი მაჰოკი“. იქვე ეგდო გრძელი ზეწარი და მოჩვენების უჯარმაზარი თავი. მან კუთხეში მიათ-

რია ლანგარი. იცოდა, რომ სიბნელეში შეხვედრისას, ვინც განათებულია, უპირატესობას კარგავს, და ფრთხილად გაუყვა დერეფანს. მას არავინ შეხვედრია. ან კი ვინ უნდა შეხვედროდა, ყველანი თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ და ვინ იცის, ახლაც მირბიან! გისოსებიანი კარი ღია იყო, დაკეტა და გასაღები გამოაძრო. შემდეგ დაბრუნდა აკლდამაში, მისი კარიც შიგნიდან ჩაკეტა, ჩააქრო სანთლები საკურთხეველზე, ერთი დაიტოვა ხელში მხოლოდ, რომ გზა გაენათებინა.

გრაფინია თავის ოთახში დაუხვდა, მაგიდაზე ჩაიდნიდან ორთქლი ამოდიოდა.

როგორც კი აბატი შამუელი შემოვიდა. გრაფინიამ ხელები ზევით აღაპყრო და წარმოსთქვა:

— ჩემო წმინდანო! ჩემო მოციქულო!

— ჩემთვის ეს მეტისმეტია, გრაფინია! — უპასუხა აბატმა, — იმითაც კმაყოფილი ვიქნები, „ადამიანის“ სახელი თუ დავიმსახურე! თქვენ ხომ თვითონ ნახეთ, არავითარი სასწაული არ მომიხდენია, ჩვეულებრივ მოკვდავებთან მქონდა საქმე, ეს რომ ასე იქნებოდა, შანამდეც ვიცოდი, და რომ საბოლოოდ დავუსვა წერტილი ყოველგვარ საიდუმლოებას, მოგიყვებით, როგორ შემოვედი თქვენს საწოლ ოთახში დაკეტილი კარებებიდან. ოღონდ მანამდე გთხოვთ, ჩაი დაისხათ თქვენთვის და მეც დამისხათ. თუკი ნებას მომცემთ, ვისარგებლო თქვენი სტუმართმოყვარეობით, ცოტა მეც ავღელდი. შემდეგ კი ვისაუბროთ, როგორც ეს ზამთრის მოსაწყენ საღამოებში იციან ხოლმე.

გრაფინიამ დაისხა ჩაი, სტუმარსაც დაუსხა, შემდეგ სავარძელში მოიკალათა და აბრეშუმის მოსასხამში გაეხვია, რომ გამთბარიყო.

— როგორც მოგახსენეთ, თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმე მქონდა ჩვეულებრივ ადამიანურ ოინთან, — დაიწყო აბატმა, — ამაში დავრწმუნდი, ჩემი მოკრძალებული მეგობრის, მღვდლის მონაყოლის შემდეგ. სულები, რომელთა ყაყანი და ყრიამულიც ქვევიდან მოისმოდა, შინამოსამსახურენი იყვნენ. რისთვის სჭირდებოდათ მათ ეს ხმაური, ამაზე პასუხი გამცა იმ მდგომარეობამ და პირობებმა, რომლებიც გამეფებულია თქვენს სასახლეში, გრაფინია. თქვენ მხოლოდ

ქალები გემსახურებიან, რომელთაც აკრძალული აქვთ ყოველ-
გვარი ურთიერთობა მამაკაცებთან. ვინაიდან თქვენ მათ ამის
უფლება მოუსპეთ, გადაწყვიტეს მათთან შესახვედრად სხვა,
თუნდაც დანაშაულებრივი გზა აერჩიათ. და რომ თქვენ ამაზე
არასოდეს ეჭვი არ აგეღოთ, თავიანთ თავყრილობას შესაფე-
რი ნიღაბიც მოუძებნეს. მათ რომ ეს შეხვედრები ჩუმად
მოეწყოთ, უხმაუროდ, თქვენ უკვე დიდი ხანია გეცოდინე-
ბოდათ ამის შესახებ. როცა მოძღვარმა მაჰოკმა მიამბო, რო-
გორ გარბოდა დიაკვანთან ერთად გისოსებიანი კარიდან,
მივხვდი, რომ სწორედ აქედან შემოდიოდნენ მამაკაცები სა-
სახლეში, თან იმაშიც დავრწმუნდი, რომ დიაკვანიც შეთქმუ-
ლი იყო. შემდეგ, ქალები რომ მოხვედრილიყვნენ აკლდამაში,
აუცილებლად უნდა გაევლოთ სარდაფის დერეფანი. თავიანთი
ოთახებიდან გამოსვლისას ყველა კარი ღია უნდა დაეტოვები-
ნათ, რომ უკან დაბრუნებისას თქვენი ყურადღება არ მიექციათ
ხმაურით. თქვენს კომპანიონ ემერენციას თვალებზე და სა-
ხის ფერზე შევატყე, რომ ჭამა-სმის დიდი მოყვარული იყო,
სადილობისას კი დავრწმუნდი, რომ ფარისეველიც იყო. როცა
ღვინოზე უარი თქვა, ყველაფერი ნათელი გახდა. ეჭვიც არ
მეპარებოდა, რომ ყველა კარი ღია დამხვდებოდა. ხმაური
რომ არ ამეტეხა, ფეხით მოვედი ბაღის კართან. ახლად მოსულ
თოვლზე მამაკაცების ნაფეხურები დამხვდა, ესე იგი ყველა
ადგილზე იყო. ბაღის ჭიშკარიც ღია დაეტოვებინათ, ნაფეხუ-
რებმა პირდაპირ გისოსებიან კართან მიმიყვანა. კარი მხოლოდ
მიხურული იყო. დერეფნის მარჯვენა ფრთა აკლდამისკენ მი-
დიოდა, მარცხენა — სარდაფისკენ. მე კიბეზე ამოვედი, ეს
კარიც ღია იყო, რაღა თქმა უნდა, სხვა კარებებიც ღია დამხვ-
დებოდა. ერთი რამ ვერ გამეგო მხოლოდ, ვის უნდა გაეღო
თქვენი გარდერობი, რომელიც გასაღებით კი არ იკეტებოდა,
არამედ ურდულით, რომელიც იღება მხოლოდ თქვენი ოთახი-
დან და მას ყოველთვის თვითონ კეტავთ. არადა ეს კარიც
ღია უნდა ყოფილიყო. აქაში დამარწმუნა თქვენმა თამბაქოს
ბოლით გაჟღენთილმა კაბამ. თავიანთი ორგიებისთვის ეს ბრბო
იპარავდა თქვენს აბრეშუმის კაბებს. გარყვნილებას ხომ სიმ-
დიდრე უყვარს. მაგრამ როგორღა აღებდნენ ამ კარს? ამასაც
მოეძებნა პასუხი. როგორც კი თქვენ საძინებელ ოთახში შეხ-

ვიდოდით, ისინი მაშინვე სდებდნენ დანას ურდულის ჩასაყრელში, თქვენ რომ დააჭერდით ღილაკს კარის დასაკეტად, ურდულის ენა ეცემოდა დანას და მაშინვე უკან ვარდებოდა, კარი კი ღია რჩებოდა. დანა ახლაც ურდულშია. ასე რომ ყოველ ღამეს კარებღია სასახლეში გეძინათ. თქვენი საძინებელი ოთახის გარდა, ყველა კარი ღია იყო. სულ ადვილად შეიძლებოდა თქვენი გაძარცვაც. თქვენზე არავინ ფიქრობდა, პირიქით, გაშინებდნენ მოჩვენებათა ხმაურით, რომ თქვენი ოთახიდან გამოსვლაზეც კი არ გეფიქრათ და მოსამსახურეენიც არ გეხმოთ. აი რა მკაცრად დაისაჯეთ, გრაფინია.

— დავისაჯე? — ძლივს ამოილუღლუღა გრაფინიამ.

— დიახ, ეს სასჯელია და ეს თქვენ სავსებით დაიმსახურეთ.

ტეუდელინდა შეშინებული შეჰყურებდა აბატს.

— გრაფინია! — მკაცრად მიმართა აბატმა — თვითონ ხართ დამნაშავე იმაში, რომ თქვენმა მსახურებმა დანაშაული ჩაიდინეს. თქვენ მიიყვანეთ აქამდე. თქვენმა ჟინიანობამ და ახირებამ, აიძულა ქალები ამ გზას დასდგომოდნენ. ბუნება სჯის იმას, ვინც წინ აღუდგება მის კანონებს. თქვენ წინ აღუდექით ბუნებას, უკვე მრავალი წელია, განერიდეთ ქვეყანას და გგონიათ, რომ სხვების გაყოლიებაც შესძელით. ეს იყო თქვენი დიდი შეცდომა და ამისთვის დაისაჯეთ კიდევაც. ახლა ორი მოსამართლის წინაშე დგახართ: ერთია ღმერთი, მეორე — საზოგადოება. ღმერთი შეგრისხავთ, საზოგადოება საცინლად აგიგდებთ. ღმერთის რისხვაც და საზოგადოების დაცინვაც ერთნაირად მძიმე ასატანია, ორივე დიდ ტკივილს მოგაყენებთ. როგორ გინდათ დაიცვათ თავი?

გრაფინია უძრავად იჯდა საკარძელში, გადატანილი შიშის, აღშფოთებისა და ზიზღის გამო ახლა სინდისის ქენჯნასაც გრძნობდა, რომელიც აბატის სიტყვებმა გამოიწვია მასში და ეს სიმძიმით აღემატებოდა აქამდე განცდილს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

და ამ სიჩუმეში გრაფინიას ზარის რეკვასავით ჩაესმოდა დროდადრო: „როგორ გინდა დაიცვა თავი ღმერთის რისხვისა და საზოგადოების დაცინვისაგან?“

ბოლოს მოეჩვენა, რომ იპოვა გამოსავალი, ამ აზრმა თითქოს ძალაც შემატა, ზეწამოჭრა და წარმოსთქვა:

— მონასტერში წავალ, იქ ვერ მომწვდება საზოგადოების დაცინვა. ცივ ქვაფენილზე დაჩოქილი დღე და ღამე ვილოცებ, რომ უზენაესმა რისხვა მოწყალებით შემიცვალოს. თქვენ კი, თქვენო უწმინდესობავ, ალბათ არ გამწირავთ და ერთი-ორ სიტყვას არ დამამადლით მონასტრის წინამძღვართან. იქ მე, როგორც იტყვიან, ცოცხლად დავიმარხები და მალე აღარავის ემახსოვრება ჩემი სახელი. მთელ ჩემს ქონებას, რომელიც წლების მანძილზე მომჭირნეობითა და დაზოგვით დამიგროვებია, მამულის მთელ შემოსავალს, რომელსაც ვფლობ ჩემს სიცოცხლეში, გადავცემ მონაზონთა ორდენს, რომლის წინამძღოლიც თქვენ ბრძანდებით. ერთს გთხოვთ მხოლოდ, ჩემი წინაპართა წაბილწული აკლდამის სამლოცველოში ყოველღამე, სანამ სასახლე ორდენის მფლობელობაში იქნება, მწუხრის ლოცვა შეასრულოთ.

გრაფინიამ დაასრულა სათქმელი ცხოვრებისაგან განდგომაზე, ზოგჯერ ხმაც უკანკალებდა, თუმცა ცდილობდა, ეს არ შეემჩნია და რაც შეეძლო მეტი დამაჯერებლობა მიეცა.

ბატონი აბატი წამოდგა, როცა გრაფინიამ ხელი გაუწოდა, ჩამოართვა, ამაყად ასწია თავი და მიმართა:

— დაბრძანდით, გრაფინია და ახლა მე მომისმინეთ. ჯერის გავარკვიოთ, რაც ბოლოს ბრძანეთ: არც მე და არც ჩემს ორდენს არ გვჭირდება არც თქვენი სასახლე, არც მამული და არც ფული. ჩვენ არ გვჩვევია ფარისევლურად გამოვცინცლოთ ამქვეყნიური სიკეთე სუსტ ადამიანებს მათი სულიერი დაბნეულობის ჟამს. ვერ შევაძულებთ ადამიანებს საკუთარ თავს მათი მემკვიდრეობის ხელში ჩასაგდებად. და არც ყოველ ღამე თქვენს საგვარეულო აკლდამაში ფეხშიშველა დგომა და მწუხრის ლოცვის შესრულება მოგვანიჭებს დიდ სიამოვნებას, თუნდაც მთელი დღეები თქვენი ქონება ლხინსა და დროსტარებაში გავფლანგოთ. ასე რომ, ეს აზრი უნდა ამოვშალოთ თქვენი გონებიდან სამუდამოდ.

გრაფინია განაცვიფრა მისმა სიტყვებმა. ის ისედაც მთელი არსებით მიილტვოდა ამ ადამიანისკენ, და ახლა როცა ასე უანგაროდ დაეხმარა და უარი თქვა მის ქონებაზე, რაც არაერთ ამქვეყნიურ სიამოვნებას მიანიჭებდა, კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი.

— ახლა კი, გრაფინია, უკუაგდეთ აზრი მონასტერში წასვლაზე, იქ თქვენ ვერ ჰპოვებთ შვებას, რომელსაც ასე ეძებთ, აბა დაფიქრდით, თქვენი ფანტაზიის პატრონს შეგიძლიათ შეეგუოთ მონასტერში განდეგილის ხვედრს? და განა ლოცვის დროს არ გაგახსენდებათ აქ თქვენს სამგვარეულო აკლდამაში გაგონილი ღვთისსაგმობი სიტყვები, რომლებიც მოსვენებას დაგიკარგავთ? ვინ იცის, რამდენჯერ ჩაგესმებათ ყურში აქ მოსმენილი ღრიანცელი და რამდენჯერაც საკურთხეველთან მუხლმოყრილ მონაზონს დაინახავთ, ყოველთვის გაიხსენებთ, რომ თქვენი საყვარელი მსახურებიც სათნოების ნიღაბს ამოფარებულნი ლოცულობდნენ სატანაზე და არა ღმერთზე! არა, გრაფინია, მონასტრის საკურთხეველთან თქვენი ადგილი არ არის. სხვისთვის ეს შეიძლება თავშესაფარი ყოფილიყო, მაგრამ თქვენთვის — არა.

ამ წინასწარმეტყველების მოსმენისას გრაფინიას თვალებში რაღაც აქამდე უჩვეულო ცეცხლი ანთებულიყო.

— მართალია, მართალი! — ჩურჩულებდა იგი და თითქოს თვალნათლივ ხედავდა ყოველივე იმას, რასაც აბატი ამბობდა.

— ამ საშინელი ამბის გახსენება გამოგდევნით ეკლესიიდან და არც ლოცვის საშუალებას მოგცემთ! — შეუბრალებლად განაგრძობდა ღვთისმსახური.

— მართალია, მართალი! მე აღარ შემიძლია შევიდე ტაძარში, აღარ შემიძლია ვილოცო. — იგი სასოწარკვეთილი ჩაუჯარდა ფეხებში აბატს, ხელში ხელი ჩასჭიდა და არაადამიანური ხმით დაიყვირა: — აბა სადღა წავიდე? რით ვუშველო თავს? სად წავიდე, თუ არა მონასტერში? რით დავიცვა თავი?

აბატმა გულის სიღრმეში ჩამწვდომი ხმით უპასუხა:

— თუ გიშველით, თქვენივე გული, გრაფინია, ის არის თქვენი ერთადერთი თავშესაფარი. თავი დაიცავით კეთილი საქმეებით. ეს იქნება თქვენი ლოცვა.

ტეუდელინდამ დაიდო თავის გავარვარებულ შუბლზე აბატის ხელი, წამოდგა, ხელები გაშალა და მონანიებით წარმოსთქვა:

— მიბრძანეთ, როგორ მოვიქცე?

— დაუბრუნდით საზოგადოებას და დაიბრუნეთ თქვენი მდგომარეობა.

შეძრწუნებულმა გრაფინიამ უკან დაიხია და ანგარიშმიუცემლად შეაწყვეტინა:

— როგორ! დავუბრუნდე ამქვეყნიურ ამაოებას, რომელიც ოცდახუთი წლის წინ მივატოვე? დავუბრუნდე საზოგადოებას, რომლით დატკბობაზეც უარი განვაცხადე და ახლა მისი დასაცინი გავხდე?

— გრაფინია, თქვენ უქმად გაატარეთ ის წლები, რომლებსაც შეუძლია სიხარული მოუტანოს ადამიანს. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. ახლა დაგრჩათ ცხოვრების მეორე ნახევარი, და იგი ისე უნდა განვლოთ, რომ საზოგადოების პატივისცემა დაიმსახუროთ. ამისთვის თქვენ საკმაო დრო გაქვთ.

— თქვენ გინდათ დამაბრუნოთ იმ წრეში, სადაც დაცინვის მეტს არაფერს უნდა მოველოდე? ახალგაზრდობა არ მიცნობს, ნათესავებსაც მაინცდამაინც თვალში არ ვუზივარ.

— მაგრამ არის ერთი სასწაულებრივი წრე, სადაც ყველას პატივისცემით იღებენ. გნებავთ, იქ მოხვიდეთ?

— დამეხმარეთ! როგორია ეს სასწაულებრივი წრე?

— ყველაფერს მოგიყვებით, გრაფინია. თქვენი ერის ცხოვრებაში ახლა ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი დადგა. ეს სულიერი ბრძოლაა. ახლა ყველას — მეცნიერების, პოეტების, პოლიტიკოსების, ეკონომისტების, მრეწველების, მასწავლებლების, ქალის თუ კაცის, ახალგაზრდისა და მოხუცის, დიდებულისა და უბრალო ადამიანის მისწრაფება მიმართულია ერთი მიზნისკენ, დაეწიოს წინწასულ დიდ ერებს. მათ რომ იცოდნენ, ერთი მიზანი აქვთ, ალბათ სასწაულებს მოახდენდნენ, მაგრამ ერთმანეთთან დაახლოების საშუალება არა აქვთ, მარტო მყოფი ადამიანი მალე იღლება და წარმატებასაც ვერ აღწევს.

გრაფინია მთელი გულისყურით მისჩერებოდა აბატს, მაგრამ ჯერ ვერ გაიგო, რას გულისხმობდა იგი.

— რა აკლია ამ კეთილშობილურ მისწრაფებას? ცენტრი. მთელს ქვეყანაში არ არის ცენტრი. დებრეცენში უნგრელები ცხოვრობენ, მაგრამ მხოლოდ ერთი სარწმუნოების აღიარება

გზას უღობავს ფართო ასპარეზისკენ. სეგედს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვს, მაგრამ მეტისმეტად პრიმიტიული და დემოკრატიულია. კოლოჟვარი თუმცა ისევ უნგრული ქალაქია და არისტოკრატიული ელემენტებიც შესანიშნავად ერწყმის სამამულო კულტურას, მაგრამ ის უკვე აღარ შედის ხელმწიფის გამგებლობაში. ბეტლენების და ბოჩკაის გვარის დიდებაც წარსულს ჩაბარდა. ერთადერთ ცენტრად შეიძლება გახდეს პეშტი. ეს მეტად თავისებური ქალაქია. დედამიწის თითქმის ხუთივე კონტინენტი შემოვლილი მაქვს, მაგრამ მისი მსგავსი არსად მინახავს. ამ ქალაქში ყველაფერი ისე მიმდინარეობს, თითქოს ერთმანეთისა არავის არაფერი აინტერესებდეს, აქ თითქოს ყველას ჰგონია, რომ მასთან ერთად არსებობას შესწყვეტს მთელი სამყარო. დუნაის, მის უმშვენიერეს სანაპიროს აღტაცებაში მოჰყავს ყველა მნახველი. ახლა მოედნებთან შვიდსართულიანი სახლების აშენება დაიწყეს, რაც დიდ შემოსავალს იძლევა. რამდენი სახლიც არის, იმდენი სტილია, რომაული, მავრიტანულ-ესპანური. რენესანსის სტილის სასახლეების გვერდით ახლა ნახევრად ჰოლანდიური, ნახევრად გოთური სტილის შენობებიც აგებენ. მონუმენტური ჯაჭვის ხიდის პირდაპირ ოთხგუმბათიანი ქვის ყუთის მსგავსი შენობა დგას, რომელსაც „ბაზილიკას“ ეძახიან. ცენტრში დიდი ფაბრიკების მილებია ყოველ ნაბიჯზე, რომლებიც ბოლში ხვევს ქალაქს. ერთმანეთზე მიწყობილი საწყობები, აკადემიის სასახლე, ბანქოს სათამაშო კლუბები, ორთქლის წისქვილები, სასახლეები მეჯლისებისთვის. აკადემიის სასახლის გამოწეული კუთხე მოძრაობას აფერხებს სანაპიროზე, სანაპიროდან შემოსული გამაყრუებელი ხმაური ხელს უშლის მეცნიერთა სხდომებს, ორთქლის წისქვილების ბოლი კი სუნთქვის საშუალებას არავის აძლევს. მუსულმანურად მინარეთით. აშენებული რატუშა თითქოს ეპატიჟება უცხოელებს: შემოდით ‘შიგნით, აქ კონსტანტინოპოლია.

გრაფინიას გაეცინა.

— ეს ნამდვილად ასეა. ქალაქის ცენტრი ნამდვილი ლაბირინთია, ჯერ კიდევ მაშინ ფაყვანილი ვიწრო ქუჩებით, როცა რატუშის წინა მოედანზე გუბეები იდგა და მასში სერბიელი ვაჭრების ღორები გორაობდნენ. თუმცა, ვიტრინებს უკვე ევ-

როპული ელფერი დაჰკრავს და სიმდიდრისა და ფუფუნების კვალიც ემჩნევა. ქარი ატრიალებს ნაგავს ქუჩებში და სახეში აყრის გამვლელებს, რომლებიც პარიზელებსაც კი ეაუწევენ მეტოქეობას თავიანთი ჩაცმულობით. ვერსად ნახავთ ამდენ ლამაზ ქალს და ამდენ ჩამოფლეთილ მათხოვარს, რამდენსაც აქ. ქალაქის გარეუბანი ზღაპრული სისწრაფით იზრდება. პატარა სახლები, დიდი შენობები მფლობელის გემოვნებით შენდება. ამ გაუთავებელი მშენებლობისგან სულ მტვერი დგას, საკმარისია ნიავმა ოდნავ დაუბეროს, რომ კორიანტელი ავარდება. აქა-იქ თუ შეხვდები მწეანე ოაზისივით. პატარა ბაღებს თავადის მამულში. ასეთია ქალაქის გარეგნული სახე. ჯერ არავინ იცის, ინდუსტრიული ცენტრი გახდება თუ სავაჭრო? თუ მეცნიერებისა და კულტურის კერად იქცევა. გახდება თუ არა ქვეყნის ცენტრი? ან ამერიკული დასახლების მსგავსი ხომ არ იქნება, სადაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოდიან ადამიანები, რომ ფული იშოვონ, და როცა გამდიდრდებიან, ან სოფელში გარბიან, ან საზღვარგარეთ.

აპატის ნაამბობმა გრაფინია დააინტერესა.

— საზოგადოებრივი ურთიერთობანი იქ ისეთივეა, როგორც ქალაქის გარეგნული სახე. თითოეული კლასი ჩინური კედლით არის გარშემორტყმული. ვაჭრობასა და ბირჟაზე მაქინაციებს ეწევიან ებრაელები და გერმანელები. ეს კიდევ არაფერი, მთელი უბედურება მერყეობაშია. დამოკიდებულება ვენის ფინანსური ბაზრის ყოველ კაპრიზზე, და წარუმატებლობა. ქალაქში უნგრელს სასამართლოს მსაჯულად თუ შეხვდები ან ხელოსნად. ჩრდილოეთ უნგრეთიდან ჩამოსული ოციათასი სლოვაკი შავ მუშად მუშაობს. ეროვნული ხელოვნებაც არსებობს, მაგრამ მისი მხარდაჭერა მოდაში არ არის. არის მეცნიერებაც, მაგრამ მისით დროს დაკარგვა კარგ ტონად არ ითვლება. არის ლიტერატურაც, მაგრამ იშვიათად თუ ვინმემ იცის მისი არებობის შესახებ. არის მაღალი წრის არისტოკრატიაც, მაგრამ მათი სახლის კარი დაკეტილია ყველა იმათთვის, ვინც მათ წრეს არ ეკუთვნის და იქ არ მიუწვევიათ. ერთმანეთს მოწყვეტილი ადამიანები თავ-თავიანთთვის წვალობენ. იღვწიან, ყველა თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ საუკეთესო იდეები იკარგება, ვინაიდან ერთმანეთისა არ ესმით, არსად არ

შეუძლიათ თავშეყრა. საზოგადოებრივი ცხოვრება პარალიზებულია, განსაკუთრებული კანონები კრძალავენ ყოველგვარ შეკრებებს ქვეყანაში. კომიტასის სამმართველოს შენობა, პარლამენტი დაკეტილია. ერთადერთი ადგილი, სადაც კეთილშობილური მისწრაფებების მქონე ადამიანებს შეეძლოთ შეხვედროდნენ, კერძო სახლებია. მაგრამ ვინ გახსნის სახლის კარს ამისთვის? არისტოკრატები გულგრილად უყურებენ ყოველივე ამას ან სხვა არავითარი მიზანი არ ამოძრავებთ გარდა დროსტარებისა. ბევრსაც ძალიან კარგად ესმის, რა უნდა აკეთოს, სიხარულითაც მოჰკიდებდა ხელს ამას, მაგრამ ბოლო წლების არეულობამ ისეთი ზარალი მიაყენა მათ ქონებას, რომ ძალა არ შესწევთ იმდენის დახარჯვისა, რაც ამისათვის საჭირო იქნება. და ამდენად შესახვედრი ადგილი არა აქვთ სხვადასხვა კლასის პატიოსან ჭკვიანსა და კეთილ ადამიანებს!

— ექნებათ! — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა გრაფინიამ და სავარძლიდან წამოდგა. მთელი მისი არსება მოიცვა ახალმა იდეამ, რომელიც ასე ლამაზად მიაწოდა აბატმა.

— თქვენ მე გამიგეთ! ეს თავშესაფარი ერთსადაიმავე დროს თქვენი მხსნელიც იქნება. თუ პეშტში თქვენი წოდებისა და შემოსავლის შესაფერ სახლში დასახლდებით და კარს გაუღებთ ერის „ნაღებს“, რომელშიც შედიან არამარტო მაღალი წრის წარმომადგენლები, არამედ როგორც ამას სთვლიან განვითარებულ საზოგადოებაში, მეცნიერების, ხელოვნების, პოლიტიკის, საეკლესიო მოღვაწენი, თუკი იქნება ადგილი, სადაც მეცნიერს შეეძლება წარუდგეს როგორც თანასწორი უმაღლესი წოდების სასულიერო პირს, პოეტი დიდებულს, თუკი არისტოკრატთა მიზნები შეუერთდება უმშვენიერეს სულიერ მისწრაფებებს, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს საერთო საქმე, თუ იქნება სალონი, რომელიც გახდება ცენტრი საყოველთაო განათლებისა და დახმარებას გაუწევს მათ მატერიალურად, განა პატივისცემითა და ლოცვა-კურთხევით არ მოიხსენიებენ ამ სალონის დიასახლისს, რომელიც პატრიოტული დიდების შარავანდედით იქნება მოსილი?

გრაფინიამ ხელზე დაუწყო კოცნა ბატონ აბატს და თან ცრემლების ფრქვევით იმეორებდა: „გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ!“

— ახლა ხომ გკერათ, გრაფინია, რომ გარდა მონასტრისა არსებობს სამოთხისაკენ მიმავალი სხვა გზაც?

— თქვენ წინასწარმეტყველი ხართ.

— ნება მიბოძეთ, გრაფინია, ერთი პროზაული შეკითხვით მოგმართოთ. საქმე, რომლისკენაც თქვენ ასეთი აღფრთოვანებით მიისწრაფით, განსაზღვრულ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს. ამისთვის დიდი შემოსავალია საჭირო. ნებას დამრთავთ, ამის შესახებაც გკითხოთ?

— მე მდიდარი ვარ, — მიუგო გრაფინიამ, — საუკეთესო სახლი მაქვს პეშტში, ახლა გაქირავებულია, კაპიტალიც დიდ საქმეებში მაქვს დაბანდებული.

— სახლი უნდა გადააკეთოთ, კაპიტალს კი ახლა ჯობია ხელს ნუ ახლებთ. — როგორია თქვენი ბონდავარის მამულის შემოსავალი?

— ასე ოცი ათასი ფორინტი.

— როგორია ფართობი?

— ცხრა-ათი ათასი ჰოლდი.

— არც თუ ისე დიდი შემოსავალია. სჩანს, მეურნეობას კარგად ვერ უძღვებით. ასეთმა მამულმა მეტი შემოსავალი უნდა მოგცეთ და იმ სახლისთვის, რომლის გახსნასაც აპირებთ, ეს არ გეყოფათ. ოცი ათასი ფორინტით პეშტში სალონს ვერ გახსნი.

— მე კი მეგონა, ეს დიდი ფული იყო.

— აქ სოფელში, რა თქმა უნდა დიდი ფულია, მაგრამ პეშტში ისევე ძვირია ცხოვრება, როგორც პარიზში. თქვენ სულ ცოტა ორმოცი ათასი ფორინტი შემოსავალი დაგჭირდებათ წელიწადში, თუკი გსურთ პეშტში გქონდეთ სალონი, სადაც გეწვევიან მაღალი წოდების წარმომადგენელნი.

— რა უნდა ვქნა?

— ეს ძნელი არ არის. მეურნეობის სისტემა უნდა გარდაქმნათ: თქვენ კი არ უნდა უძღვებოდეთ მას, იჯარით უნდა გასცეთ. ფინანსურ ოპერაციებში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ ბევრი ნაცნობი მყავს ამ საქმის ნამდვილი მცოდნე, რომლებსაც შეგიძლიათ მოეთათბიროთ, როცა პეშტში ჩავალთ. ისე კი შემიძლია წინასწარ მოგახსენოთ, რომ მეურნეობის სისტემის გარდაქმნა წელიწადში ორმოცი ათას ფორინტს ნამდ-

ვილად მოგცემთ, ეროვნული ეკონომიკისა ცოტა რამ გამეგება.

გრაფინია მოაჯადოვა მისმა სიტყვებმა. მოძღვარი სულ უფრო და უფრო მაღლდებოდა მის თვალში და უფრო მეტად იმსახურებდა სიყვარულს. შემოსავლის გაორმაგებაც კი აღუთქვა. მართლაც რა საყვარელი ადამიანია!

— შეგიძლიათ განაგოთ ჩემი საქმეები, როგორც საჭიროდ ჩასთვლით!

— თუ თქვენ დამავალებთ, გრაფინია, მე წარმოგიდგენთ ხელშეკრულებას, რომლითაც გარანტირებული იქნება თქვენი შემოსავლის ორმაგად გაზრდა. მაკლერისთვის ფულის გადახდაც აღარ მოგიწევთ.

ტეუდელინდა ბავშვივით იყო გახარებული. ისე შეჰყურებდა აბატს, როგორც ნამდვილ მამას, როგორც კეთილშობილების განსახიერებას, როგორც ერთადერთ არსებას, რომლის შეყვარებაც არა თუ შეიძლებოდა, აუცილებელიც იყო.

რა თქმა უნდა, მოძღვარი სავსებით იმსახურებდა ყოველივე ამას...

და ის, რომ ბონდავარის მამული მისი წყალობით ხელიდან გამოეცალა მის ერთ-ერთ მფლობელს, — ეს უკვე ცხადი იყო!..

აუტანელი კაცი

სიხარულმა ისე აუბნია თავ-გზა გრაფინიას, რომ თვითონაც არ იცოდა რას აკეთებდა, ზარს მივარდა და ზონარი ჩამოსწია.

— რას აკეთებთ? — ჰკითხა განცვიფრებულმა აბატმა.

— ახლავე ვუბრძანებ უხმონ ჩემს მმართველს.

— კი მაგრამ ვის უბრძანებთ?

გრაფინიას ახლაღა გაახსენდა, რომ სასახლეში არავინ იყო და სახე მოეღუშა.

— თქვენი სასახლიდან გასვლა მართლაც უდიდესი პრობლემაა, — უთხრა აბატმა.

— რატომ?

გრაფინია ჯერ კიდევ სავსებით ვერ გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში.

— საქმე ისაა, რომ სასახლეში ჩვენს მეტი არავინ არის. მე რომ წავიდე ისეთი ადამიანის მოსაძებნად, ვინც სამგზავროდ აუცილებელი ნივთების ჩალაგებაში, ეტლში ცხენების შებმაში მოგეხმარებათ და მიტოვებული სასახლის მეთვალყურეობასაც მიანდობთ, ჩემს დაბრუნებამდე აქ სრულიად მარტოს მოგიწევთ დარჩენა.

— ო, არაფრის გულისთვის მარტო არ დავრჩები!

— მაშინ ჩემთან ერთად ფეხით უნდა წამოხვიდეთ უახლოეს სოფლამდე.

ფანჯრის მინებს შხაპუნით ასკდებოდა თოვლნარევი წვიმის წვეთები.

— რატომ უნდა წავიდეთ ფეხით, მე ხომ მყავს ცხენები?

— მართალია, მაგრამ მე არც მათი ეტლში შებმა შემიძლია, არც წაყვანა.

— ო, ამას არც გკადრებთ!

გრაფინია საგონებელში ჩავარდა, ვერ გადაეწყვიტა მარტო დარჩენილიყო აბატის დაბრუნებამდე, თუ მასთან ერთად ფეხით გასდგომოდა გზას ამ ავდარში.

— მგონი, კარზე ვიღაც აკაკუნებს, — შენიშნა აბატმა.

— ჩემი მმართველი იქნება, ალბათ შეიტყო სასახლეში მომხდარი ამბავი და ჩემს საშველად გამოეშურა, — წამოიძახა გახარებულმა გრაფინიამ.

— ვინ გაუღებს ჭიშკარს? მეკარეც ხომ მათთან ერთად გაიქცა.

— ჰო, ის კუდიანი ბებერი, მაგიდაზე რომ ცეკვავდა.

— გრაფინია, მეორე გასაღები ხომ არ გაქვთ?

— როგორ არა, აი ის დიდი გასაღები, იქ ჰკიდია, მაგრამ რად გინდათ?

— ჩავალ და გავუღებ.

— ძაღლები თქვენ არ გცნობენ და დაგგლეჯენ, უზარმაზარი ქოფაკებია, მათთან ვერ ჩაგიშვებთ.

— სახელებს დაუძახებ, რას ეძახით?

— აბა რა ვიცი.

მართლაც რაში ეკითხებოდა გრაფინიას ასეთი მდაბიური

წვრილმანებით შეეწუხებინა თავი, ძაღლების სახელების ცოდნა მისი მსახურების საქმე რომ იყო.

— სხვა გზა არა მაქვს, დავხოცავ.

— ოღონდ ძალიან არა, — მიმართა გრაფინიამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხმამაღლა არ გაესროლა.

ბატონმა აბატმა რევოლვერი მოიმარჯვა და ეზოში ჩავიდა. ფარანი საჭირო აღარც იყო, უკვე ინათა.

სცილასა და ხარიბდას ჯიხურები ჯიშკართან ისეთი მანძილით იყო დაშორებული, რომ ღამით ეზოში გამოსვლისას ერთმანეთისთვის არ ეკბინათ, მაგრამ თუ ვინმე გაბედავდა ეზოში ფეხის შემოდგმას, ვერსად წაუვიდოდათ.

აბატს სხვა გზა არ ჰქონდა, ერთი ძაღლი რომ არ მოეკლა, ისე ჭიშკართან ვერ მივიდოდა და ესროლა. ამის შემხედვარე მეორე ქოფაკმა ვეღარ გაბედა ჯიხურიდან გამოსვლა და აბატი ჭიშკართან მიუშვა.

აბატმა შამუელმა კარი გააღო. მის წინ უცნობი იდგა რევოლვერით ხელში.

— ვინა ხართ? — ჰკითხა აბატმა.

— თვითონ ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ — კითხვითვე უპასუხა უცნობმა.

— აბატი შამუელი — გრაფინიას მოძღვარი.

— ივან ბერენდი გახლავართ, გრაფინიას მეზობელი.

ბატონმა აბატმა რევოლვერი ძირს დაუშვა და მშვიდად მიმართა:

— ვიზიტისთვის არცთუ ისე შესაფერი დრო შეგირჩევიათ!

— სცხვენოდეს იმას, ვინც ამას ცუდად გამიგებს — უპასუხა ივანმა და რევოლვერი შეინახა. — ჩემი აქ მოსვლის მიზეზი წუხელ ღამით მიღებული წერილი გახლავთ, რომლითაც სასახლეში მომხდარი ამბავი მაცნობეს. ჩემს მოვალეობად მივიჩნიე მაშინვე წამოვსულიყავი გრაფინიას დასახმარებლად.

— საქმე იმაშია, რომ...

— მე ყველაფერი ვიცი, მოვედი, რომ გრაფინიას ჩემი სამსახური შევთავაზო, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცებს არ ღებულობს სასახლეში.

— თქვენ აუცილებლად მიგიღებთ. ნება მომეცით ჭიშკა-

რი დავკეტო, მეკარე შინ არ არის. ფრთხილად, მარჯვნივ ია-
რეთ, მარცხენა ჯიხურში ძაღლია, შეიძლება გამოხტეს და გე-
ცეთ.

— მეორე მოჰკალით?

— დიახ. თქვენ ალბათ სროლის ხმა გაიგონეთ და იმიტომ
მოიმარჯვეთ რევოლვერი.

— რა თქმა უნდა. მე ხომ არ ვიცოდი, ვინ ისროლა სასახ-
ლის ეზოში.

მაშაკაცები გრაფინიას საძინებელ ოთახში ავიდნენ. ჯერ
აბატი შამუელი შევიდა.

— თქვენი მეზობელი ივან ბერენდი მოვიდა ჩვენს დასახ-
მარებლად.

— აჰ! — უკმაყოფილოდ აბზიკა ტუჩები გრაფინიამ, — ვერ
ვიტან ამ კაცს! ათეისტია.

— ვინც არ უნდა იყოს, ჩვენთვის ახლა ძალზე საჭირო კა-
ცია. ვიღაცას წერილით უცნობებია თქვენი მდგომარეობა და
მოვიდა, მოგელაპარაკოთ.

— არ მსურს მასთან საუბარი, გთხოვთ, ჩემს მაგივრად
ელაპარაკოთ.

— გრაფინია, ხომ შეიძლება ეს კაცი ერეტიკოსი იყოს და
მიპასუხოს, რომ მე თქვენი მოძღვარი ვარ და არა მისი.

— კარგით, რა გაეწყობა; გამოვალ დარბაზში ოღონდ
გთხოვთ, თქვენც დაესწროთ ჩვენს საუბარს.

— თუკი საჭიროდ თვლით!

გრაფინიამ შალი მოისხა და მისაღებ დარბაზში გამოვიდა,
რომელიც უკვე მზის სხივებით იყო განათებული. აბატმა შა-
მუელმა მაინც საჭიროდ ჩათვალა სასანთლეც გამოეტანა. გრა-
ფინიამ ცივად შესთავაზა ივანს დამჯდარიყო, თვითონ კი რაც
შეიძლებოდა შორს დაჯდა მისგან.

— გისმენთ, ბატონო!

— გრაფინია, წუხელის, ჯერ ისევ მეღვიძა და ვმუშაობდი,
კაკუნი რომ შემომესმა. ფანჯარა გავაღე, ვიღაცამ თქვენი
მმართველის წერილი გადმომცა.

— ჩემი მმართველის? — განცვიფრდა გრაფინია.

— იმ წერილის თქვენთან წაკითხვა უხერხულად მიმაჩნია,
ხოლო რაც შეეხება შინაარსს, თქვენთვის საინტერესოა მხო-

ლოდ ის, რომ ყველა თქვენი მსახური, ქალებიც და კაცებიც გაიქცნენ და მათთან ერთად ისიც.

— როგორ? მმართველიც? კი მაგრამ რისთვის? რატომ?

— წერილში ის მიზეზსაც მაცნობებს, მაგრამ ვფიქრობ ეს მხოლოდ მონაგონია ნამდვილი ცოდვების დასაფარად. ისე კი, ვფიქრობ, თქვენ მათ გაგძარცვეს, გრაფინია.

— გამძარცვეს?

— ნუ შეგეშინდებათ, თქვენ გაგძარცვეს ისე, როგორც ამას უბედავენ გულუბრყვილო მემამულეს გაიძვერა მოურავები. ახლა იმ არამზადებმა განიზრახეს, გაქცევას მხიარული ცოდვილის სახე მისცენ, რომ ქვეყანა აცინონ თავიანთ ოინებზე და თქვენს გულუბრყვილობაზე. ვფიქრობ, ამის მეტი აქ არაფერია.

გრაფინია იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მისი მეზობელი გონიერიც იყო და თავაზიანიც.

— მმართველი წერილში მატყობინებს, რომ ყოველივე ამის შემდეგ ვერ გაბედავს თქვენთან გამოჩენას, რადგანაც არაფრის გულისთვის არ დაუჯერებთ, რომ ეს საგანგაშო ამბები მისი თანხმობის გარეშე მოხდა. ვფიქრობ, ეს მხოლოდ მიზეზია. სინამდვილეში ალბათ შეამჩნიეთ, რომ მსახურები ბოროტად იყენებდნენ თქვენს კეთილ დამოკიდებულებას და დაითხოვეთ ისინი. ამიტომ წერილის მიღებისთანავე საჭიროდ ჩავთვალე კაცი გამეგზავნა უახლოეს საფოსტო სადგურში პეშტში თქვენი ბანკირისათვის დეპეშის მისაცემად, რომელიც იცნობს თქვენს მმართველს, როგორც ნდობით აღჭურვილ პირს, რომელიც უფლებამოსილია თქვენი სახელით აწარმოოს გარიგება ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. მე გავაფრთხილე თქვენი ბანკირი, რომ მმართველს ფული არ მისცეს.

— თქვენ ფრიად სასარგებლო წინდახედულება გამოგიჩენიათ, — გრაფინიას ნაცვლად უპასუხა ბატონმა აბატმა — გრაფინია დიდი მადლობელია თქვენი.

ტეუდელინდამ მოწყალედ დაუკრა თავი.

— ჩემი აქ მოსვლის ერთ-ერთი მიზეზია, ვიცოდე რამდენად მისაღებია თქვენთვის ჩემი მოქმედება. ახლა არც ერთი მსახური არა გყავთ, გრაფინია, და ალბათ არც ინებებთ აქ დარჩენას, მინდა დაგეხმაროთ გამგზავრებაში და ვიდრე სხვა

განკარგულებებს გასცემთ, დავავალო ჩემს ხალხს უყარაულონ სასახლეს.

— თქვენი ყურადღება და თავაზიანობა უმაღლეს ქებას იმსახურებს, — ისევ ჩაერია მოძღვარი,—გრაფინია დიდად დავალებულია თქვენგან ასეთი მზრუნველობისათვის.

— ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, — უპასუხა ივანმა, — დარწმუნებული ვარ აქ ცხოვრებას აღარ ინებებთ, გრაფინია, ვიცი, რომ საკმაოდ მდიდარიც ხართ, მაგრამ მსახურებისა და მმართველის მოულოდნელი გაქცევის გამო თქვენი სალარო ახლა ცარიელია. ვფიქრობ, არ გამიწყრებით, თუ ჩემსას შემოგთავაზებთ მცირე ხნით, ვიდრე ფინანსურ საქმეებს მოაწესრიგებთ, გასესხებთ ათი ათას ფორინტს.

აბატი შამუელი მივიდა გრაფინიასთან და ჩასჩურჩულა არაფრის გულისთვის პროცენტი არ შეეთავაზებინა.

თანხმობის ნიშნად ტეუდელინდამ ხელი გაუწოდა ივანს, რომელმაც საფულე გახსნა და ათი ათასი ბანკნოტი ჩაუთვალა.

გრაფინიას ხელწერილის მიცემა უნდოდა, მაგრამ ივანმა საჭიროდ არ ჩათვალა, რადგანაც მცირე ხნით აძლევდა ფულს.

გრაფინიამ ფული აბატს გადასცა და სთხოვა, გამოეყენებინა საჭიროების მიხედვით.

— ახლა კი, ნება მიბოძეთ ეკითხოთ, როდის აპირებთ გამგზავრებას?

— ახლავე, დაუყოვნებლივ! — უპასუხა ტეუდელინდამ.

— თავს ნებას მივცემ შემოგთავაზოთ დახმარება იმ აუცილებელი ნივთების ჩალაგებაში, რომელთა წაღებასაც ფიქრობთ, შემდეგ შევაბამ ეტლში ცხენებს, დავკეტავთ სასახლეს და კარს დავლუქავთ. ვიდრე ვინმეს გამოაგზავნიდეთ, ჩემი ორი სანდო კაცი უყარაულებს ჭიშკარს. გზად თქვენი მმართველის სახლთან გავივლით, იქნება იქაც რაიმე საგულისხმო შევიტყოთ.

— არავითარ შემთხვევაში! მე არ მსურს მასთან ლაპარაკი! — განაცხადა გრაფინიამ.

— მაშინ პირდაპირ სასტუმროში წავალთ.

— იქ რა გვინდა?

— საფოსტო ცხენები.

— განა ჩემი ცხენებით ვერ წავალთ?

— ვერ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენი ცხენებით მეზობელ სადგურამდეც ვერ მიაღწევთ.

— რატომ გგონიათ?

— მოუვლელი ცხენები გყავთ, ვერ შეძლებენ.

— რა აუტანელი კაცია! — გაიფიქრა გრაფინიამ, — ნამდვილი გლეხუჭაა.

— მე არ წავალ სასტუმროში, — განაცხადა ჯიუტად — რა მინდა იმ სახლში, სადაც ღვინოს ყიდიან. თუ შეიძლება თქვენთან გავჩერდები, ვიდრე ცხენებს შეაბამენ.

— ეს დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ ჩემი სახლი თქვენს საკადრისად არ არის მოწყობილი, მე ხომ უცოლო ვარ და მარტო ვცხოვრობ.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს!

— როგორც ინებებთ, ახლა კი მითხარით რომელი კაბების წაღება გნებავთ და მე ჩავალაგებ.

— რომელი კაბები? — რაღაც უჩვეულო გამომეტყველებით იკითხა გრაფინიამ — ახლავე გეტყვით! ოღონდ პატივი დამდეთ და ბუხარში ცეცხლი დაანთეთ, სანამ კაბებს მოვიტანა, აქ ძალიან ცივა.

მწვანე მარმარილოს დიდ ბუხარში ძლივსღა ბჟუტავდა წინა საღამოს დარჩენილი ნახშირი. ივანმა შეშა მიუმატა და ცეცხლი ისევ აგიზგიზდა.

გრაფინია მალევე დაბრუნდა უამრავი კაბით ხელში.

— ეს ყველა კაბა გინდათ წაიღოთ?

— ყველა, ყველა! და დანარჩენებიც.

— რაში ჩავალაგოთ?

— რაში? აი აქ! — უპასუხა გრაფინიამ და ბუხარში შეყარა კაბები: ცეცხლის ალში გაეხვია აბრეშუმი, მარმაში, კრეპი, მაქმანები.

კაცები განცვიფრებულები შეჰყურებდნენ გრაფინიას, მაგრამ არც ერთს ხმა არ გაუცია.

იგი დაბრუნდა გარდერობში და დანარჩენი კაბებიც გამოიტანა. ერთიმეორის მიყოლებით ისროდა მათ ბუხარში. კაბები

იწვოდა და ისეთ ხმას გამოსცემდა, გეგონებოდათ ვიღაც ხარ-ხარებსო. თითქოს ყოველი კაბიდან ბოლში გარუჯული ქაჯი გამოფრინდაო. ტეუდელინდამ ათჯერ გამოიტანა გარდერობიდან თავისი კაბები, მოჰქონდა რამდენის წამოღებაც შეეძლო და ისე დაიღალა, ძლივსღა სუნთქავდა. ცეცხლს მისცა მთელი თავისი გარდერობი. კაბებს დაუნანებლად მიაყოლა თეთრეულიც: ამოქარგული უძვირფასესი პერანგები, პენუარები, ყველაფერი უკლებლივ ცეცხლს მისცა.

„საკმაოდ მარტივი მეთოდია ჩალაგებისა და ინვენტარიზაციისა!“ — გაიფიქრა თავისთვის ივანმა.

აბატს ხელები ზურგზე დაეწყო და მშვიდად შეჰყურებდა გამძინვარებულ გრაფინიას.

ბოლოს, როცა ყველაფერი დამთავრდა, სიჩუმე ისევ ივანმა დაარღვია.

— სამგზავროდ რას ჩაიცვამთ გრაფინია?

— წამოვალ იმ კაბით, რომელიც მაცვია და სამგზავრო ქურქით.

— თქვენი ნებაა. წავალ, ცხენებს შევაბამ.

ივანი გავიდა. ტეუდელინდამ აბატის დახმარებით ჩაიცვა თბილი ქურქი. სასახლიდან არაფრის წაღება არ ისურვა, ყველა ნივთი, იქამდე თავისად რომ მიაჩნდა, ახლა წაბილწული ეჩვენებოდა.

ივანი შემოვიდა და მოახსენა, ეტლი მზად არისო. ყველა ოთახი დაკეტეს და დალუქეს. ეზოში რომ გავიდნენ გრაფინიამ თვალი მოჰკრა მოკლულ ძაღლს და გაახსენდა, რომ მეორე ცოცხალი იყო. — იმას რაღა ეშველება? ისიც მოვკლათ, თორემ შიმშილით სული ამოხდება.

— მოსაკლავად ვერ გავიმეტებ, — თქვა ივანმა, — შევხსნი ჯაჭვს და გამოგვყვება, ჩემთან დავიტოვებ.

გრაფინიას ეგონა, ძაღლი ეცემა და ივანს და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა, მაგრამ მისდა გასაოცრად ძაღლმა არც კი გაიწია საკბენად. ივანი მოეფერა გონიერ პირუტყვს და ჯაჭვი შეხსნა. ძაღლმა მადლობის ნიშნად ხელები გაულოკა.

ივანმა ჭიშკრის გასაღები ბატონ აბატს მისცა, რომელიც ეტლში გრაფინიას გვერდით დაჯდა, თვითონ კოფოზე ავიდა

და ეტლი გზას გაუდგა. ორი ბეხრეკი ფეხებდასიებული ცხენი რის ვაი-ვაგლახით მიიწევდა წინ. ეს გახლდათ გრაფინიას ეკიპაჟი, რომლის ყიდვისას, ვინ იცის რამდენი ათასი დასცინცლა მმართველმა.

საქარხნო დასახლებისკენ რომ გადაუხვიეს, კვამლი შენიშნეს, მალე მუშებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ივანის მაღაროდან ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს მოარბენინებდნენ. ივანმა ჰკითხა, რა მოხდა, საით გარბიხართო. გრაფინიას ბეღელი იწვის, მაგრამ არაფერია, მალე ჩავაქრობთო, უპასუხეს.

— ასეც ვფიქრობდი, — თქვა ივანმა, — გაიძვერა მმართველი, რა თქმა უნდა დასწვავდა ბეღელს, რომ არავის ენახა, რამდენი გაყიდა და რაღა იყო შიგ დარჩენილი.

გრაფინია აღშფოთებული იყო, ადამიანი ასე როგორ უნდა დაეცესო, ივანმა კი ცივად შენიშნა, სოფლის მეურნეობის გაძღოლა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, ვინც თვითონ ადევნებს თვალყურს ყველა სამუშაოს და არა იმას, ვინც სასახლეში ჩაიკეტება და იქიდან იძლევა ბრძანებებსო.

„რა აუტანელი კაცია!“ — კვლავ გაიფიქრა გრაფინიამ თავისთვის. უკვე თითქოს შუადღემაც მოაწია თოვლნარევ ტალახში გაჭირვებით მიმავალი ეტლი ივანის მუშათა დაბაში რომ შევიდა. მეეტლის დიდი გულმოდგინება რომ ყოფილა, ეს ორი ბეხრეკი ამას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

ივანმა ეტლი თავის ეზოში შეიყვანა, მათ შესაგებებლად გამოსულ ფოსტმაისტერს უბრძანა გრაფინიას დავარდნილი ცხენებისათვის მიეხედა და სხვა ცხენები მოემზადებინა სამგზავროდ, თვითონ კი სტუმრები თავის სამუშაო კაბინეტში შეიპატიჟა. სხვა ოთახებს არ ათბობდნენ და ასეთი საპატიო სტუმრების მიღება მხოლოდ აქ თუ შეიძლებოდა.

ივანს აზრით აქ უწესრიგობა არ იყო, მაგრამ სკამების გასათავისუფლებლად მაინც აქეთ-იქით სირბილი დასჭირდა.

გრაფინია მორიდებით ათვალიერებდა მაგიდებზე, სკამებზე, თაროებსა და იატაკზე დაწყობილ მისთვის უცნობ საგნებს და შეწყვეტილ ქიმიურ ცდას.

„ეშმაკის მანქანა!“ — შიშნარევი ზიზღით გაიფიქრა და აბატს წასჩურჩულა — აქ, ამ სახელოსნოში იქმნება ბოროტების სა-

შუალებები, რომელთა საიდუმლოებას ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ ჩასწვდება!

მაგრამ იმის მწარე შეგნება, რომ იგი ამ ჯოჯოხეთური ბუნაგის მფლობელის სტუმარი და ამავე დროს მისი მოვალეა, რომ იგი მდიდარი, მაღალი ტიტულის მქონე პიროვნება, ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევარი დღეს მის დახმარებას საჭიროებდა, ძალზე აღიზიანებდა. დიდი სიამოვნებით გადაუხდიდა პროცენტებს, დააჯილდოვებდა კიდეც სამაგალითო სამსახურისთვის, მაგრამ „მადლობას“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ეტყოდა. ეს მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. სიხარულით გადმოუგდებდა კარეტიდან უძვირფასეს მარგალიტს, ოღონდ მისი ეზოდან გასვლისას სათქმელი არ ჰქონოდა: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“ ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეთქვა ეს სიტყვები ათეისტისთვის. ნეტავ შესძლებოდა სხვაგვარად მოქცევა.

ივანი გავიდა და რამდენიმე წუთში მსახურთან ერთად შემოვიდა, რომელმაც მაგიდას თეთრი სუფრა გადააფარა, და ცხელი საუზმე შემოიტანა გრაფინიასა და ბატონი აბატისათვის.

სანამ გრაფინია ფიქრობდა, რა მიზეზით ეთქვა უარი საუზმეზე, ბატონი აბატი უკვე მაგიდას მიუჯდა და მასაც შესთავაზა:

— გზაში საღამომდე არ შეგვხვდება სასტუმრო, სადაც შეგვეძლება ვისადილოთ, გთხოვთ, მაგიდასთან მობრძანდეთ.

გრაფინიამ რაკი ნახა, რომ ამ ჯადოქრის ყავამ აბატს არაფერი ავნო, უხალისოდ მიუჯდა მაგიდას და ნაძალადევი თავაზიანობით მოსვა რამდენიმე ყლუპი. რძის დალევა შესძლო, მაგრამ ყავა ნამდვილად ძალზე უგემური ეჩვენა.

ივანმა ამინდზე ჩამოაგდო სიტყვა. საერთოდ ხომ ამინდით იწყებენ საუბარს, მაგრამ ახლა განსხვავება ის იყო, რომ ამინდზე ლაპარაკობდა არა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კავალერი, არამედ მეტეოროლოგი. იგი არწმუნებდა გრაფინიას, რომ ყველა ბარომეტრი, ინგლისურიც კი, კარგ ამინდს წინასწარმეტყველებდა. მზე ისე აცხუნებს, როგორც მაისში, მგზავრობისთვის სწორედ რომ საუცხოო ამინდიაო.

როგორც კი მან სარკმელზე მწვანე ფარდა გადასწია, იქაურობა მზის სხივებმა გაანათა.

გრაფინიამ უნებლიეთ უკან დაიწია და მოულოდნელად შემოჭრილ მზის შუქზე დაინახა ის, რასაც აქამდე ნახევრადჩაბნელებულ ოთახში ვერ ამჩნევდა. ეს იყო მისი სახე უზარმაზარ სარკეში, პირდაპირ რომ ეკიდა.

საერთოდ ხომ ყველას უყვარს სარკეში ყურება. ყველაზე სერიოზული ორატორიც კი, სარკე რომ დაუდგათ წინ, როგორი გატაცებითაც არ უნდა საუბრობდეს, ერთი წუთის შემდეგ საკუთარი გამოსახულების მეტს ვეღარაფერს შეამჩნევს და მხოლოდ მას დაუწყებს ლაპარაკს, თანაც ათასგვარი მიმიკით. მაგრამ არცთუ ისე სასიამოვნოა საკუთარი სახის დანახვა გამადიდებელ სარკეში. მასში ხომ ყველა საფრთხობელას ემსგავსება.

— რისთვის გინდათ ოთახში გამადიდებელი სარკე? — ჰკითხა გრაფინიამ და სარკეს ზურგი შეაქცია.

— რა თქმა უნდა მორთულობის მოსაწესრიგებლად არა, ეს ეგრეთწოდებული ცეცხლის ასანთები სარკეა, ქიმიურ ცდებში ვიყენებ.

ბატონმა აბატმა მოისურვა თავისი ცოდნა გამოემჟღავნებინა და შეაწყვეტინა:

— მაგალითად, ალმასის დასაწვავად!

— დიახ, — დაუმოწმა ივანმა. — ალმასის დასაწვავადაც ასეთი სარკით სარგებლობენ.

გრაფინია დიდი მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა აბატის მიმართ, რომელმაც უნებურად კარგი აზრი მიაწოდა. ეს ადამიანი მის აზრებსაც კი კითხულობდა.

— როგორ თქვით? — მოჩვენებითი ცნობისმოყვარეობით მიმართა მან ივანს. — ალმასის დაწვა შეიძლება, არა?

— დიახ, გრაფინია, ალმასი ხომ იგივე ქვანახშირია კრისტალის ფორმით. კეთილშობილი ალმასი, რომლის ერთი კარატი 90 ფორინტი ღირს, ძლიერ ცეცხლში ისევე იწვის, როგორც უბრალო ნახშირი. ეს სულ იოლად შეიძლება, თუ სარკის ფოკუსს მივმართავთ მასზე.

— ამას ვერ დავიჯერებ! — ქედმაღლურად უპასუხა გრაფინიამ და სავარძლის ზურგს მიეყრდნო.

— ვწუხვარ, რომ ახლა ამას ვერ გიჩვენებთ. ალმასებს რა თქმა უნდა საწვავად არ ვიყენებთ, ცდებისთვის ვიღებთ ამ ქვების იაფფასიან წვრილ ნამსხვრევებს, მაგრამ ახლა ისიც არა მაქვს.

— მე კი აუცილებლად მინდა ვნახო, — თქვა გრაფინიამ, მოიხსნა გულსაბნევი, რომელშიც ორკარატიანი ბრილიანტი იყო ჩასმული და ივანს გაუწოდა — აი, ამით ჩავატაროთ ცდა.

გრაფინია დარწმუნებული იყო, რომ ივანი ეტყოდა: „ო, რას ბრძანებთ ასეთი შესანიშნავი, ძვირფასი ქვა!“ და პასუხიც მზად ჰქონდა: „მაშ გქონდეთ ჩემგან სახსოვრად!“ ამით ამ აუტანელ ადამიანს დაასაჩუქრებდა და შემდეგ კი დაივიწყებდა, როგორც ყველა სხვა უბრალო მოკვდავს.

მაგრამ გრაფინიას გასაოცრად ასეთი არაფერი მომხდარა. ივანმა სწავლულის გულგრილობით და ჯენტლმენის თავაზიანობით გამოართვა გულსაბნევი. — ბუდის გადნობა რა საჭიროა, ქვას ამოვიღებ და თუ არ დაიწვება, ისევ თავის ადგილას ჩავსვამ.

ივანმა ბრილიანტი არანაკლებ ძვირფასი ბუდიდან ამოიღო, სქელ თიხის ჯამში ჩადო, შუა ოთახში მოათავსა, შემდეგ ფანჯარა გაიღო და სარკით ხელში გარეთ გავიდა, რომ მზის სხივებისთვის ხელი არაფერს შეეშალა სარკის ზედაპირზე მოხვედრაში.

გრაფინია იმედს არ კარგავდა, მაინც არაფერი გამოვაო, ფიქრობდა და უხაროდა, რომ საშუალება ექნებოდა ეთქვა: დაიტოვეთ ქვა და ზაფხულში ჩაატარეთ თქვენი ცდა, როცა მზის სხივებს მეტი მცხუნვარება ექნება!“

ამასობაში ივანმა იპოვა ყველაზე ხელსაყრელი წერტილი და ფანჯრიდან მიანათა ბრილიანტს სარკის ზედაპირზე არეკლილი სხივები. მზით განათებულ ჯამში უცებ ათასამდე ნაპერწკალი ისე აელვარდა, იფიქრებდით, მას კი ვერ გაანადგურებენ, პირიქით ის დაშლისო მისკენ ისრებივით მიმართულ სხივებს ცისარტყელას ყველა ფერებად. თუმცა ივანი თავს უყრიდა სხივებს, მათი რკალი სულ უფრო ვიწროვდებოდა და უცებ ეს პატარა ოთახი ისეთმა თვალისმომჭრელმა სინათლემ გაანათა, რომ ყველა ნივთი ვერცხლისფრად აელვარდა. ჯამი-

დან ამოვარდა ცეცხლოვანი ბურთი, მიმოიფანტა ირგვლივ უწვრილეს მოელვარე ნამცეცებად და ერთ წუთში ჩაქრა.

— ნახეთ ახლა გრაფინია, რა დარჩა ჯამში? — შემოსძახა ივანმა ფანჯრიდან.

— არაფერი.

იგი მშვიდად შემოვიდა ოთახში, სარკე თავის ადგილას ჩამოკიდა და გრაფინიას გულსაბნევის ცარიელი ბუდე დაუბრუნა.

— დიახ! ასეთი დიდებული სანახაობით დატკბობის უფლება თავს შეიძლება მხოლოდ მეფეებმა მისცენ! — აღტაცება ვერ დამალა ბატონმა აბატმა.

ამ დროს საფოსტო საყვირის ხმაც მოისმა. გრაფინიას ქურქის ჩაცმაში მიეხმარნენ და როცა იგი ეტლში ჩაჯდა, მაინც იძულებული გახდა, გაეწოდებინა ივანისთვის ხელი და ეთქვა ის ორი სიტყვა, რომელსაც ასე არიდებდა თავს: „მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“

ეტლი რომ დაიძრა, გრაფინიამ ჰკითხა აბატს:

— ეს კაცი მეფოკუსეა?

— არა, უფრო უარესი, იგი სწავლულია!

— მაინც ძალზე აუტანელი კაცია!

უმაღლესი მათემატიკა

კაულმანის სავაჭრო ფირმა იმავე ადგილას იყო, როგორც ორმოცდაათი წლის წინათ. კარი და ფანჯრებიც კი იგივე ჰქონდა, საიდანაც ისე როგორც ობსერვატორიიდან, 1811 წელს ბანკირის სახლის პირველმა დამაარსებელმა აქ გამვლელი მაღალი წრის წარმომადგენელთა სახის გამომეტყველებაზე დაკვირვებით დადგინა, რომ ისინი უარს არ იტყოდნენ საბირჟო თამაშზე. მან კარგად იცოდა, რა საუკეთესო ბარომეტრი იყო ამისთვის ქუჩა და რამდენი რამის წინასწარმეტყველება შეიძლებოდა გამვლელთა წათქვამით, რომ ჭეშმარიტების დადგენა მხოლოდ უეცრად თავზე წადგომითა და შემთხვევით წამოცდენილი სიტყვით შეიძლებოდა.

მისმა მემკვიდრეებმა უცვლელად დატოვეს ძველი აბრაც,

რომელზედაც ძლივსღა მოჩანდა ფერგადასული წარწერა. აქ ნახევარსაუკუნოვანი ფირმით, თავადაზნაურული წარმოშობით იწონებდნენ თავს ბანკირები. ეს გაცრეცილი პატარა დაფა ბევრი სხვა ახალთახალი მდიდრული მაღაზიის აბრებზე, უძვირფასეს ვიტრინებზე, უზარმაზარ თვალშისაცემ რეკლამებზე, მოოქროვილ მორთულობაზე და დიდებულ შესასვლელ კარებებზე მეტად ბრწყინავდა. ასეთი იყო ბანკირის სახლი, რომლისთვისაც ჟამთა სვლას თავისი კვალი დაემჩნია.

ზარაფხანაში ისევ ის ძველი ტყავგადაკრული სავარძლები იდგა. ისევ ის ძველი შავი მაგიდები, ისევ ის წელში მოხრილი, მწვანე თავსაფრით შუბლწაკრული ჭაღარა მოლარე. თაროებზე უხეშ ყდებში ჩასმული წიგნები ეწყო. კაულმანის ფირმას ისევ ჰქონდა ლომბარდი, რომელიც საკმაოდ ცნობილი იყო და კარგი რეპუტაციაც ჰქონდა, შესაძლოა სრულიად დამსახურებულად, შესაძლოა—პირიქით.

ფირმის ახლანდელი ახალგაზრდა მფლობელი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა თამასუქებსა და ლომბარდის საქმეს, მისი გეგმები უფრო ფართო იყო.

ბინა ამავე სახლის მეორე სართულზე ჰქონდა. აქ მაშინვე თვალში გეცემოდათ მაღალი წრის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფუფუნება და კომფორტი.

მისი სამუშაო კაბინეტი მუზეუმს უფრო ჰგავდა, საწერი მაგიდა კი ათასი წვრილმანის გამოფენას. აქ იყო მინანქრიანი ქაშანურის, ბრინჯაოს ანტიკური ფიგურების ნიმუშები: სამელნე, ბენვენუტოს ეპოქის შედევრი, ოქროს კალამი ალმასის ბოლოთი, მელნის გასაშრობი ოქროს ფხვნილი, რომელსაც ძვირფასი ქვისგან გამოთლილი სპეციალური კოვზით აყრიდნენ, მარჯნის კალმის ჩასადები, ნამდვილი მთის ბროლის სასანთლე, პორტფელზე ჩინური ნიჟარების აბრა, წიგნის ფურცლების გასაჭრელად თურქული ხანჯალი, მალაქიტის ბეჭედი, ტარსიკონის საქაღალდეში ფერადი სურნელოვანი ფურცლები, თუმცა აქ, ამ მაგიდაზე არავინ არაფერს არ წერდა. საქმე, რომლითაც დაკავებული გახლდათ ბატონი ფელიქსი, წერას არ საჭიროებდა, ეს გონებრივი სამუშაო იყო. იგი მუშაობდა დღე და ღამე, ვინ იცის ძილშიც კი, ოღონდ ამ მუშაობის კვალი არასოდეს დარჩენილა ქაღალდზე.

როცა ეგონათ, რომ ის ერთობოდა, ცეკვავდა, ცხენით დასეირნობდა, ქეიფობდა, მოგზაურობდა, ქალს ეარშიყებოდა, მაშინაც კი მუშაობდა, მის მოქმედებას ყოველთვის ჰქონდა რაიმე მიზანი. ამ მიზნისთვის ერთობოდა, ქეიფობდა, დასეირნობდა, მოგზაურობდა და ეს ყველაზე მთავარი ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა.

კალმით კი არ აკეთებდა საქმეს, არამედ ადამიანების საშუალებით.

რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ბონდავარის სასახლე დატოვა მისმა მფლობელმა, ბატონი ფელიქსი და აბატი შამუელი ისხდნენ ფელიქსის კაბინეტში ტახტზე და საუბრობდნენ. უძვირფასესი ფაიფურის ფინჯნებში ორთქლი ასდიოდა ყავამოკოს, მისი სურნელება საუკეთესო სიგარეტის სუნს შეზავებოდა.

— მართალია, გრაფინიამ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ოცდათორმეტი წლის ვადით, მაგრამ მე მაინც ვერ გამიგია, რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის და შენი კონსორციუმისთვის. მარტო გრაფინიას ხელის მოწერა საკმარისი არ არის, თუკი ხელს არ მოაწერს ჰერცოგიც. ბონდავარის მამულზე გრაფინიას უფლებებს მხოლოდ მის სიცოცხლეში აქვს ძალა. მისი სიკვდილის შემდეგ მამულის მფლობელი იქნება ჰერცოგი ან მისი შვილიშვილი და შენი ხელშეკრულებაც ძალას დაკარგავს.

— ვიცი, — უპასუხა ფელიქსმა და სიგარეტიდან ფერფლი დაბერტყა, მაგრამ ჩვენ ვიზრუნებთ იმისთვის, რომ გრაფინიამ დიდხანს იცოცხლოს, რომ მას ჰქონდეს ამის სურვილი. დამიჯერე, თუკი შინაბერას სურვილი ექნება დიდხანს იცოცხლოს და, რა თქმა უნდა, სიმდიდრეც ხელს შეუწყობს, ის შეძლებს ამას. მაგრამ მე უფრო წინდახედული ვარ, ვიდრე შენ გგონია. ჩემთვის ცნობილია განსვენებული ჰერცოგის ანდერძის ერთი პირობაც, რომლის თანახმად გრაფინიას ძმამ ან მისმა მემკვიდრეებმა მისი სიკვდილის შემდეგ უნდა გადაუხადონ ბონდავარის მამულში ამა თუ იმ მშენებლობის მთელი ღირებულება მოიჯარადრეებს და კრედიტორებს. მოხუცი ჰერცოგი ვარაუდობდა, რომ შესაძლო იყო მის ასულს თავის მამულში აეშენებინა ეკლესია ან მონასტერი, მის მემკვიდრეებს კი უნდა

გამოესყიდათ, რომ არავის ვალი არ დარჩენოდა. მაგრამ ჰერ-ცოგს ხომ აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ბონდავარის მამულ-ში ოდესმე მაღარო, ფაბრიკა ან შაქრის ქარხანა აშენდებო-და. და თუ მე ჩემს ორ მილიონს ბონდავარის მამულში დავა-ბანდებ, მისი მემკვიდრეები ვეღარასოდეს დაიბრუნებენ მას.

— თუკი მათ არ დაეხმარება სხვა კონსორციუმი.

— ეს ადვილი ნუ გგონია. ამას მხოლოდ ის კონსორციუ-მი შესძლებს, რომელიც თანახმა იქნება მოაგვაროს ბონდა-ვარის ოჯახის ფინანსური საქმეები, ამას კი ბევრი რამ სჭირ-დება: საკმაო ჭკუა-გონება, დიდი სიმდიდრე და გამბედაობა, რომ შეძლოს რისკის გაწევა ერთისთვისაც და მეორისთვისაც. ასე, რომ საკმაოდ შორს ვიყურები და ჩემს ფულს მარტო ერთ „დამაში" არ ჩამოვდივარ.

— მართალი ხარ, ვერავინ შეგედავება! ახლა კი, ერთი ეს მითხარი, სადა გყავს ის პატარა ტყის ფისუნია, ბონდავარის მაღაროდან რომ მოიტაცე?

— ჯერ-ჯერობით აღსაზრდელად მადამ რისანის ინსტი-ტუტში მივაბარე, ისწავლოს, ნიჭიერია, მაგრამ სავსებით გაუ-ნათლებელი. მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ სიმღერა არ იცის, არც უცხო ენები იცის.

— შენ გინდა ის მსახიობი გახდეს?

— დიახ, ჯერ ეს მინდა.

— შემდეგ?

— შემდეგ ცოლად შევირთავ.

მოძღვარს ხმამაღლა გაეცინა.

— რა გაცინებს, მე სერიოზულად გელაპარაკები.

— კარგი, კარგი, სერიოზულად ვილაპარაკოთ! მაგრამ მაინც ვერ გამიგია, ცოლის შერთვა რამ გაფიქრებინა? და თუნდაც გამაგებინო, იმას მაინც ვერ ჩავწვდები, რაღად მიაბარე რისა-ნის ინსტიტუტში. იქ შეუძლიათ აღზარდონ საუკეთესო მსა-ხიობები პროვინციული თეატრისთვის, მაგრამ არა სათნო დიასახლისი შენისთანა ეჭვიანი ქმრისთვის.

— ეს უკვე ჩემი საქმეა! — ამაყად წარმოსთქვა ფელიქს-მა. — ამას ვერ გაიგებ! მე მინდა, ჩემმა მეუღლემ სწორედ მა-დამ რისანის სასწავლებელი დაამთავროს. შენ კი რჩევა მინ-და გკითხო, როგორც მოძღვარს ეს უკეთ გეცოდინება. რო-

გორც გითხარი, მინდა ის ქალი ჩემი კანონიერი ცოლი გახდეს, ოღონდ ისე, რომ როცა ამის სურვილი აღარ მექნება, ისევ თავისუფალი ვიყო მისგან. როგორ ფიქრობ, შევძლებ შემდეგ თავის დაძვრენას? რაიმე ისეთი ხერხი მასწავლე, რომლითაც შეიძლება რამდენიმე წლის ცოლქმრული კავშირი დაირღვეს, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მაქვს განქორწინება, რომელსაც ათასი ხარჯი და ნერვიულობა ახლავს თან, და ბოლოს შეიძლება არც მოხერხდეს, თუ ერთ-ერთი მხარე უარზე იქნება. უფრო სხვა გზა მინდა, შედარებით სწრაფიც და საიმედოც.

— ო, რა თქმა უნდა, არის ასეთი საშუალება და თანაც ერთად-ერთი, — უპასუხა შამუელმა, — შეგიძლია ჯვარი დაიწერო აქ, ვენაში. როცა მასთან დაცილებას მოისურვებ, დატოვებ აქაურობას და გადახვალ საცხოვრებლად პარიზში, იქაც ხომ გაქვს ასეთივე ფირმა, მამაშენი საფრანგეთში ცხოვრობდა და შენც საფრანგეთის ქვეშევრდომად ითვლები. იქ შეგიძლია სულ უბრალოდ აუხსნა მეუღლეს, რომ საფრანგეთის კანონების თანახმად თქვენი ქორწინება არაკანონიერია. სწორედ ამ დღეებში დასრულდა საფრანგეთში ერთი გრაფის ოჯახის წევრების პროცესი, გრაფის ვაჟიშვილებმა დაკარგეს მემკვიდრეობა. მათ მამას, რომელსაც ჯვარი ჰქონდა დაწერილი ესპანეთში, თავის დროზე აღარ უფიქრია, რომ საფრანგეთში საჭირო იყო სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციაც. ასე რომ, როგორც კი საფრანგეთში გადახვალ საცხოვრებლად, შენცა და შენი მეუღლეც ისევე თავისუფლები იქნებით, როგორც დღეს ხართ.

გახარებული ფელიქსი წამოხტა და შუბლზე აკოცა ბატონ აბატს.

— მადლობელი ვარ!

— ოო, ასეთი კეთილი რჩევისათვის მართლა მეკუთვნის კოცნა!

— მე ისედაც დიდად დავალებული ვარ შენგან.

— განა მამაშენს და თქვენს ოჯახს ნაკლები სიკეთე გაუწევია ჩემთვის? მე ხომ ღარიბი სლოვაკი სტუდენტი ვიყავი! როგორ დამავიწყდება, მამაშენმა შენს რეპეტიტორად რომ ამიყვანა და იმდენს მიხდიდა გასამრჯელოს, სწავლის გაგრძე-

ლება შევძელი. ასე რომ, წარსულის ვალებზე ლაპარაკი საჭირო არ არის.

— რა თქმა უნდა, ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით. ახლა კი, როგორც გრაფინიას ნდობით აღჭურვილ პირს, გთხოვ ჩაიბარო საბუთები: ხელშეკრულება, გარანტიის ფურცელი, ნახევარი წლის საიჯარო საფასურის პირველი ჩეკი და კიდევ ერთი ორმოციათასფორინტიანი ჩეკი.

— ეს ვიღასთვის?

ფელიქსმა თვალი ჩაუკრა, ღიმილით ჩაუდო ხელში და ჩურჩულით უთხრა:

— ეს როგორც იღბლიან შუამავალს.

მოძღვარმა მხრები აიჩეჩა.

— შენ რა, ჩემი დასაჩუქრება მოინდომე?

— ძალიან გთხოვ, ასე ნუ გამიგებ, ფული ჩემი არ არის, ეს გათვალისწინებულია კონსორციუმის წესდებით, „დამფუძნებელ ხარჯებს" ვეძახით. — უპასუხა ფელიქსმა, ეშმაკური ღიმილით გადახედა მეგობარს და სიგარეტი გააბოლა.

ბატმა ღიმილითვე გადახია ოთხად ორმოციათას ფორინტიანი ჩეკი და მხარზე ხელი მოხვია ბანკირს.

— ჩემო კარგო, ჩემს ხელთ იყო ბონდავარის მთელი მამული და რომ მომენდომებინა, ახლა მისი მფლობელი ვიქნებოდი, მაგრამ იმაზეც ისევე ვთქვი უარი, როგორც ახლა შენს ორმოციათასიან ჩეკზე. გაიგე ბოლოს და ბოლოს, რომ მე უფრო შორს ვიხედები და უფრო მაღალი მიზანი მაქვს, რა დროს ასეთი წვრილმანებია, როცა მთელი იმპერიის მბრძანებლობაზე ვოცნებობ.

ამის გაგონებაზე მთლად დაბნეულმა ბანკირმა ვეღარც კი იგრძნო, როგორ გაუვარდა პირიდან სიგარეტი და ერთხანს პირდაღებული მისჩერებოდა.

— შენ აღარ ხუმრობ!

— დაჯექი და კარგად დამიგდე ყური, — უთხრა მოძღვარმა, ხელები ზურგზე დაიწყო და ბოლთის ცემას მოჰყვა, ხანდახან გადახედავდა ხოლმე ფელიქსს, რომელიც თვალს ვერ აშორებდა.

— ახლა მთელი მსოფლიო თაგვების ხელშია, ლომებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ ასპარეზზე გამოსვლა. ყველგან ქაოსია:

ფინანსებშიც, დიპლომატიაშიც და საეკლესიო საქმეებშიც და თანაც ისეთი, რომ თავსა და ბოლოს ვერავინ გაუგებს. ვინც ხედავს ყოველივე ამას და აზროვნებაც შეუძლია, ასეთ არეულობაში სულ იოლად მიაღწევს მბრძანებელ სიმაღლეს. ახლა ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი კლოუნები მართავენ სამყაროს. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ქვეყანა, განა მისმა მმართველებმა იციან როგორ მოიქცნენ? საითაც მათ სურთ, არ მიჰყვებათ, აიძულებენ, მაგრამ ვერ ბედავენ, ავიწროებენ და თან ეშინიათ, არ იციან რა იქნება ხვალ, დამორჩილდება თუ წინააღმდეგობას გაუწევს, რომელი მოწინააღმდეგის მოკავშირე გახდება და რომელს ჩათვლის მტრად, გაუძლებს თუ დანებდება? მთელს ქვეყანაში მათ შორის დგას მხოლოდ სამღვდელოება, რომელიც დიდი სიმდიდრის პატრონია.

ფელიქსი მთელი გულისყურით უსმენდა, მაგრამ ჯერ ვერ მიმხვდარიყო, რისი თქმა უნდოდა აბატს.

— როგორ ფიქრობ, რას შეუძლია მიაღწიოს კაცმა, რომელიც სახელმწიფოს სახელით ჯერ დაიმორჩილებს ცალკეულ რაიონებს, შემდეგ კი ამ ქვეყნის კლასებსაც? განა შენი ბონდავარის რკინიგზის ხაზის მშენებლობას დააჩქარებს რამე უფრო მეტად, ვიდრე გლეხობისა და სამღვდელოების დელეგაცია, რომელიც მინისტრს თავის ერთგულებას დაუმტკიცებს? ხომ გაგიგონია, ხელი ხელს ბანს. სახელმწიფო იდეების დამცველნი კი უნდა წაახალისო. ახლა ხვდები, რა სარგებლობას მოგიტანს შენ ეს?

— დაახლოებით.

— როგორ ფიქრობ, რა თანამდებობას მიიღებს ის, ვინც გლეხობას ქვეყნის საკანონმდებლო კრების შემადგენლობაში შეიყვანს, სასულიერო პირებს კი ვენის უმაღლეს პალატაში?

პასუხად აღფრთოვანებულმა ფელიქსმა ტაში შემოჰკრა.

პრიმასი უკვე ხანდაზმულია...

ფელიქსი დივანზე გადაწვა და თვალები ზევით აღაპყრო.

— პაპი მასზე უფროსია, — განაგრძო აბატმა.

ბანკირის სახეზე სულ უფრო და უფრო მეტი განცვიფრება იხატებოდა. სტუმარმა კი უცებ ანგარიშმიუცემლად განაგრძო:

— ხომალდების საჭეებთან ქონდრისკაცები დგანან, შვი-

ლო ჩემო! და მათ ჰგონიათ, რომ გაუძლებენ დიდ ქარიშხალს. ტყუილად ფიქრობენ დამპალი ბრჯენებით მის გამაგრებას! მაგრამ რა უსუსურები არიან! ეკლესია დაღუპვის პირზეა, ამაოა მათი მეცადინეობა, ყველაფერი განწირულია დასაღუპად! ისინი ბნედიანებივით წყეული-კრულვით ფიქრობენ კედლები იხსნან ჩამონგრევისაგან. ყური მიგდე! იტალიის სამღვდელოება გაღარიბებულია, ფილერებით უნდათ დაიცვან წმინდა პეტრეს ტახტი, თუმცა მილიარდებიც ჰქონდათ ხელში, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს. მამულები უნგრეთის სამღვდელოებას აქვს მხოლოდ. ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ მინისტრს საწერი მაგიდის უჯრაში უდევს საეკლესიო მამულების სეკულარიზაციის კანონპროექტი სახელმწიფოს სასარგებლოდ. ვენაში სულ უმნიშვნელო მიზეზია საჭირო უნგრეთის სასულიერო პირებთან უთანხმოების ჩამოსაგდებად. თუ ისინი ლიბერალებზე დაყრდნობით დაიწყებენ ბრძოლას, მთელი რისხვა მათ მოწინააღმდეგეს დაატყდება თავს. ამისთვის ბევრი არ არის საჭირო. სახელმწიფო ხაზინა ცარიელია, სესხსაც აღარავინ მოგცემს. „როცა ეშმაკი დაიმშევა, ბუზებსაც გადაყლაპავს". მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ დაასწროთ? წმინდა პეტრეს ტახტი განსაცდელშია. უნგრეთის მსხვილ საეკლესიო მამულებსაც საფრთხე ემუქრება. რა იქნება, ახლა ასეთი იდეა რომ წამოვაყენოთ: აღვსდგეთ ყველა გამოსვლების წინააღმდეგ! ვიყოთ უფრო პატრიოტულნი, ვიდრე სასამართლოს მსაჯულები, უფრო ლოიალურნი, ვიდრე მინისტრები, რევოლუციონერებზე ლიბერალურნი, უფრო მართლმორწმუნენი, ვიდრე უმაღლესი სასულიერო პირნი, დავიცვათ უნგრეთის საეკლესიო მამულები მთავრობისაგან, და ამით ვიხსნათ ეკლესია რევოლუციისაგან! გავიტანოთ მსოფლიო ბაზარზე უზარმაზარი ასმილიონიანი სესხი უნგრეთის ეკლესიის მამულების სახელით წმინდა პეტრეს ტახტის გადასარჩენად! როგორ გგონია, რას შეიძლება მიაღწიოს კაცმა, რომელიც შესძლებს ყოველივე ამის განხორციელებას?

— ყველაფერს! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ფელიქსმა და მეგობარს ხელზე აკოცა.

— ამ დიდი საქმის დასაგვირგვინებლად მე შენ ამოგირჩიე, — წარმოსთქვა აბატმა და არ დაუშლია ფელიქსისთვის

კიდევ ერთხელ ეკოცნა ხელზე მისთვის. ბონდავარის საწარმო საჭიროა იმისთვის, რომ მისი წარმატებით სახელი მოიხვეჭო მთელს მსოფლიოში, რომ შენს სახელს წარმოსთქვამდნენ შტროსბერგის, პერეირას და როცა იქნება, როტშილდის სახელების გვერდით. აი რატომ გეხმარები, ხოლო როცა წელში გაიმართები, მოვალ შენთან და გეტყვი: „ახლა კი შენს მხრებზე შევდგები და შენი დახმარებით ავაბიჯებ უფრო ზევით!“

ფელიქსის მთელი არსება რაღაც განუსაზღვრელმა სიხარულმა მოიცვა. მას უკვე თვალს სჭრიდა იმ უზარმაზარი სესხით მიღწეული წარმატების ათინათი და მის ციალში სულ უფრო თვალნათლივ იკვეთებოდა ძვირფასი მეგობრის შარავანდედით მოსილი დიდებული სახე.

საკრებულო საღამოები

ზამთრის ერთ მშვენიერ საღამოს ივან ბერენდმა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წერილი მიიღო, რომელიც ატყობინებდა, რომ უკანასკნელ სხდომაზე საბუნებისმეტყველო და მათემატიკის განყოფილებების წინადადებით იგი არჩეული იყო წევრ-კორესპონდენტად. მეორე წერილში აკადემიის მდივანი ოფიციალურად სთავაზობდა სამეცნიერო საზოგადოებაში მის არჩევაზე თანხმობის ნიშნად გამოსულიყო ზოხსენებით, როგორც ამას წესდების ერთ-ერთი პარაგრაფი ითვალისწინებდა.

ივანი განცვიფრებული იყო ამ სიურპრიზით.

„ნეტავ რით დავიმსახურე ასეთი დაფასება? ჩემს სიცოცხლეში ერთი სტრიქონიც არ დამიბეჭდია არა თუ სამეცნიერო, ჩვეულებრივ ჟურნალშიც კი, აკადემიის არც ერთი წევრი ჩემი ნათესავი და ახლობელი არ არის, მაგნატი არა ვარ, არც პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა მიცდია. საიდან ეს რეპუტაცია, რომლის წყალობითაც სამეცნიერო საზოგადოების წევრად ამირჩიეს? იქნებ ჩემი ქიმიური ლაბორატორიის ამბავი გახმაურდა? მაგრამ მაშინ ხომ მაღაროს თითოეული მმართველი უნდა აერჩიათ აკადემიაში, მანქანათსაშენებელი ქარხნის თითოეული ინჟინერი! განა იმათ ჩემზე ნაკლები ცოდნა აქვთ ფიზიკასა და მექანიკაში?“

თუმცა, ასეთ პატივსა და დაფასებაზე უარის თქმა არ შეიძლება. ვინ იცის, იქნებ ქვეყნის სახელისა და ღირსებისათვის აუცილებელი გახდა ყველა იმათი შეკრება, ვინც სხვაზე მეტი ისწავლა? ივანმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს ასეთი დაფასებისთვის და მისწერა ბატონ მდივანს, რომ წესდებით დადგენილი ერთი წლის განმავლობაში პეშტში გამოვიდოდა მოხსენებით.

მისი არჩევანი შეჩერდა უძველესი მიკროსკოპიული ნაწილაკების აღწერაზე, რომლებსაც არტეზიული ჭის ბურღვისას აკვირდებოდა. სისტემაში მოიყვანა ათი წლის დაუღალავი მუშაობის შედეგები, შემოდგომაზე უკვე ცალკეული ჩანაწერები ერთმანეთს დაუკავშირა და ერთ მთლიან მოხსენებად ჩამოაყალიბა.

ივანს თავისი ნაშრომით თავისუფლად შეეძლო სენსაცია მოეხდინა დედამიწის ყოველ კუთხეში, სადაც ამგვარ საკითხებზე მუშაობდნენ, უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ ამ მოხსენების ტექსტში, რომელიც აკადემიის მოამბეში დაიბეჭდა, ივანს ოცი ავსტრიული ფორინტი გადაუხადეს.

თუმცა, ეს რომანს არ ეხება.

მოხსენების შემდეგ პირველმა აბატმა შამუელმა მიულოცა.

ისიც ხომ სწავლული იყო!

ახლაღა მიხვდა ივანი, თუ ვისი დახმარებით გახდა აკადემიის წევრი. აი თურმე ვინ იყო ის ფარული მფარველი, ვინც მეცნიერებას აღმოუჩინა იგი.

ივანი რამდენიმე დღეს დარჩა პეშტში, უამრავი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. იმ დღეებში როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთებშიც დაიბეჭდა მისი მოხსენების შესახებ. წერდნენ, რომ მან გააკეთა მოხსენება სტალაქტიტების ვულკანურ წარმოშობაზე.

ივანი თავს იმით ინუგეშებდა, რომ უნგრეთში თითქმის არავინ კითხულობდა ასეთ ინფორმაციებს, საზღვარგარეთ კი თუნდაც წაეკითხათ, მაინც ვერ გაიგებდნენ.

მაგრამ აქაც წაიკითხეს და იქაც.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა უკვე შინ დასაბრუნებლად ემზადებოდა, გრაფინია ტეუდელინდა ბონდავარისაგან მიიღო

მოსაწვევი ბარათი საღამოზე, რომელიც სამი დღის შემდეგ უნდა გამართულიყო.

— აი, ვალის კიდევ ერთი გადამხდელი, — გაიფიქრა ივანმა, — კარგია, რომ უფრო ადრე არ მივიღე.

მაშინვე საწერ მაგიდასთან დაჯდა და პასუხის წერას შეუდგა. მეტად თავაზიანად გადაუხადა მადლობა ესოდენი პატივისათვის და აუხსნა, რომ ვერ დაესწრებოდა საღამოს, ვინაიდან გადაუდებელი საქმეები ელოდა შინ.

კონვერტის დაბეჭდვა ვერც კი მოასწრო, რომ აბატი შამუელი ეწვია.

ივანი ძალზე გაეხარა ამ ფრიად ღირსეული ადამიანის მოულოდნელმა სტუმრობამ. ორივე ისე გრძნობდა თავს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ.

— არ შემეძლო ხელიდან გამეშვა შემთხვევა და სანამ პეშტში იყავით, არ გწვეოდით. ნუ იფიქრებთ, ამას ბონდავარში თქვენი გულითადი ვიზიტისა და დახმარების გამო ვლაპარაკობდე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, გითხრათ შესანიშნავ ახალგაზრდა მეცნიერს, რომ მოხარული ვარ თქვენი ნაცნობობისა.

ივანს უნდოდა შეპასუხებოდა, ეთქვა, რომ არც შესანიშნავი იყო, არც ახალგაზრდა და არც მეცნიერი, მაგრამ თავი შეიკავა.

— იმედი მაქვს დიდხანს დაგვატკბობთ თქვენი აქ ყოფნით, — განაგრძო აბატმა და ივანის გვერდით ტახტზე ჩამოჯდა.

— ხვალ მივემგზავრები, — ცივად უპასუხა ივანმა.

— არც იფიქროთ, ასე იოლად არ გაგიშვებთ. მე ვიცი, რომ მიწვეული ხართ გრაფინია ტეუდელინდას სალონში.

— სამწუხაროდ იძულებული ვარ ამ სიამოვნებაზე უარი ვთქვა, შინ გადაუდებელი საქმეები მაქვს.

— უმჯობესია გულახდილობა! ნუ უწოდებთ ამას სიამოვნებას, მითხარით პირდაპირ, რომ თავს არიდებთ იქ მოსვლას და მოსაბეზრებლად გეჩვენებათ.

— რაზან გნებავთ სიმართლე მოგახსენოთ, ვაღიარებ, რომ სწორედ ასეა.

— მაგრამ გაიგეთ ბოლოს და ბოლოს, რომ ეს ჩვეულებ-

რივი საკრებულო არ გახლავთ, სადაც ვინც მაღალ საზოგადოებას, მის წრეს არ ეკუთვნის, თავს უხერხულად გრძნობს.

გრაფინია ტეუდელინდამ გახსნა სრულიად განსხვავებული სალონი, აქ მასთან მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები ხვდებიან პოლიტიკურ მოღვაწეებს, ხელოვნების, მეცნიერებისა და პოეზიის წარმომადგენლებს.

— რას აკეთებენ ეს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანები?

— სანამ ერთმანეთს გაიცნობენ, ცოტა შეზღუდულნი არიან, ყველას უჭირს საუბრის დაწყება, თითქოს სრულიად სხვადასხვა პლანეტიდან იყვნენ. მაგრამ საბედნიეროდ, კარგი შუამავალი ჰყავთ, რომელსაც ძალუძს მათი შეკავშირება, — ესაა გონება. იქ, სადაც სულით მდიდარი ადამიანები იკრიბებიან, შეუძლებელია საზოგადოება ერთმანეთს არ დაუახლოვდეს. მთავარია დასაწყისი. თავდაპირველად ხელოვნებით დავიწყეთ. მოწვეული მსახიობები და მაღალი წრის დილეტანტები კონცერტებს მართავდნენ, პატარა სპექტაკლებს დგამდნენ, ერთი ვიოლინოს უკრავდა, მეორე როიალს, მესამე მღეროდა. მშვენიერი გრაფინიები კითხულობდნენ პატრიოტულ ლექსებს, ცნობილი პოეტები გვართობდნენ საინტერესო საუბრებით, დგამდნენ ცოცხალ სურათებს და ასე თანდათანობით სრულიად განსხვავებულ ადამიანთა შეხვედრები ძალზე მიმზიდველი და საინტერესო გახდა.

— მე რომ არც ვიოლინოზე დაკვრა შემიძლია, და არც ლექსების კითხვა...

— პირიქით! — შეაწყვეტინა აბატმა, თქვენ შესანიშნავად კითხულობთ, მე აღფრთოვანებული ვისმენდი თქვენს მოხსენებას.

— როგორ? ფიქრობთ, რომ მე გრაფინიას სალონში მოხსენების კითხვას დავიწყებ?

— ო, რა თქმა უნდა, არა! ეს კარგი იყო აკადემიაში, აქ კი ბევრი ჩვენგანი მას ვერაფერს გაუგებს. ვინც გაიგო, ფრიად მაღალი შეფასებაც მისცა, მაგრამ ეს მანდილოსნებისთვის არ გამოდგება. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ სულ სხვა რამ, მოგვიყვეთ ისეთი ამბავი, რომელიც ერთსა და იმავე

დროს სამეცნიეროც იქნება და პოეტურიც, დააინტერესეთ მსმენელები, განაცვიფრეთ სიახლით, ისეთით, რომელსაც ღრმა მეცნიერული საფუძველიც ექნება და ამავე დროს ყოველი ადამიანი გატაცებით მოისმენს, რომელიც მსმენელის ფანტაზიასაც მისცემს საზრდოს და მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგიც იქნება! თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ!

ივანს გაეცინა.

— თქვენო უწმინდესობავ, ასეთ ჟანრზე არასოდეს მსმენია და მის მსგავსსაც არ შევხვედრივარ არც ხელნაწერის სახით, არც დაბეჭდილს.

ივანის სიცილი მოძღვარსაც გადაედო.

ამ დროს მსახურმა ივანს წერილი შემოუტანა, თანაც ძალიან სასწრაფო, ქვითარზე საჭირო იყო მიღების დროის ჩვენებაც კი.

ივანმა სთხოვა აბატს ნება დაერთო წერილის წაკითხვისა. კითხვისას რამდენჯერმე შეიცვალა სახის გამომეტყველება, ჯერ გაფითრდა, შემდეგ წარბები შეიჭმუხნა და სიწითლემ გადაჰკრა. რამდენიმე წამით ჩაფიქრებული ერთ წერტილს მიაჩერდა, წერილი უბის ჯიბეში ჩაიდო და სიცილით მიმართა აბატს.

— კარგით, დავრჩები და აუცილებლად ვეწვევი გრაფინია ტეუდელინდას. ისეთ მოხსენებას წავიკითხავ, როგორიც თვითონაც არ მსმენია, ისე ავურევ ერთმანეთში მეცნიერებასა და პოეზიას, ფანტაზიას და ზუსტ ცნობებს, რომ ვერც ერთი მეცნიერი ვეღარ გამოჰყოფს მათ ერთმანეთისაგან. ამ მოხსენებით ყველა გეოლოგს ჰერცოგად ვაქცევ და ყველა ჰერცოგინას გეოლოგად.

— დიდებულია! — აღტაცება ვერ დამალა აბატმა.

— რას იტყვით, მოხსენების დროს საილუსტრაციოდ ელექტრომაგნიტური განათება რომ გამოვიყენო?

— შესანიშნავი იქნება! ყველას დააინტერესებს!

— ცდას მრავალი ხელსაწყო დასჭირდება. დამეხმარებით, რომ გრაფინიამ ამის ნება დაგვრთოს?

— წინასწარ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ გრაფინია ღიფრთოვანებული დარჩება თქვენი წინადადებით, ყველა საჭირო ტექნიკური ხელსაწყოს მომზადება კი შეგიძლიათ მე

მომანდოთ. გრაფინია სიტყვებსაც ვერ მოსძებნის სიხარულისგან.

ასეთი წარმატებით ფრიად კმაყოფილი აბატი გამოემშვიდობა ივანს, რომელმაც ამოიღო ჯიბიდან წერილი, კიდევ ერთხელ გადაიკითხა და შემდეგ ისევ ჩაფიქრებული მიაჩერდა სივრცეს.

უნგრეთის ცხოვრებაში განსაკუთრებული მომენტი დადგა. ყველა უნგრელმა გადაწყვიტა, რომ ამიერიდან მხოლოდ უნგრელი ყოფილიყო.

მართლაც რომ საოცარია.

აბა სცადეთ და გადათარგმნეთ ეს რომელიმე ენაზე.

გაზეთები ხოტბას ასხამდნენ უნგრულ ეროვნულ ტანსაცმელს, რომელსაც ახლა ატარებდნენ ყველა ფენის წარმომადგენლები. „ამ ტანსაცმელში ყველა ქალი ასჯერ უფრო ლამაზი ჩანდა!“

ქუჩებში უზარმაზარი დეზების წკარუნი ისმოდა. საიუველირო მაღაზიების ვიტრინები სავსე იყო უძველესი ღილებითა და დუგმებით. ქუდებში ყველამ წეროებისა და არწივის ბუმბულები გაირჭო. და არ იყო შომოდში მოკლე ხიფთანი, სეკეიფოლდში ქურთუკი, დებრეცენში ნაბადი, კეჩკემეტში მაღალი თავსაბური, რომლებსაც ოქრომკერდით არ ქარგავდნენ და მაღალი წრის არისტოკრატია მეჯლისებზე და საღამოებზე არ იცვამდა.

მაღალი წრის სალონებში მხოლოდ ნაციონალური ტანსაცმლით შეიძლებოდა მისვლა. და თუ ვინმე გაბედავდა და მეჯლისებზე შავი ფრაკით მივიდოდა, სულ ადვილად შეიძლებოდა პირველივე შემხვედრს ეთქვა: „იოჰან, ძვირფასო, მომიტანეთ ჭიქა წყალი!“

ეროვნულმა ტანსაცმელმა თითქმის წაშალა ზღვარი კლასებს შორის. გრაფი ისევე იცვამდა, როგორც მისი მეეტლე. ბევრი გრძნობდა იმასაც, რომ ურიგო არ იქნებოდა ერთმანეთი გაეცნოთ. ასეთი კეთილშობილური მისწრაფებებისა და სურვილების ასრულება შეიძლებოდა სწორედ გრაფინია ტეუდელინდას სალონში. აქ მაღალი წრის მაგნატი ხვდებოდა პოეტს, მხატვარს, მუსიკოსს, მსახიობს, მოქანდაკეს, კრიტიკოსს, ექიმს, პუბლიცისტს, ჟურნალისტს, სპორტსმენს, პოლიტიკოსს.

აქ შეხვდებოდით სილამაზესა და მშვენიერებას, უძვირფასეს ტანსაცმელში გამოწყობილი ულამაზესი მანდილოსნები თითქოს სამეფო მეჯლისზე მოსულიყვნენ, თუმცა მათ სიმდიდრეზე მეტად აქ მათი ახალგაზრდობა, სინარნარე და განათლება ბრწყინავდა. აქ იყვნენ ისტორიული პიროვნებები, რომელთა სახელებიც უმაღლეს სათავადაზნაურო ოქროს წიგნში იყო ჩაწერილი და სულიერი სამყაროს წარმომადგენლებიც, რომელთა სახელები ხალხის მეხსიერებამ შემოინახა. ერთმანეთთან დაახლოება მაინც მეტად უძნელდებოდათ. თუმცა, ღმერთია მოწმე, თითოეული მათგანი აქ კეთილი განზრახვით მოდიოდა.

კეთილი მოხუცი, გრაფი ემანუელი, ცნობილი ჟურნალისტი რომ გაიცნო, ისეთი მონდომებით ამტვრევდა უნგრულ ენას, რომლის სწავლაც ახლა დაეწყო, რომ არ შეიძლებოდა თანაგრძნობა არ გაგეწიათ მისთვის. მის ამ მტკიცე გადაწყვეტილებას, ამიერიდან მხოლოდ უნგრულად ელაპარაკა, მეტოქეობას უწევდა მეორე აღთქმა, რომ მხოლოდ უნგრული ჩექმები ეტარებინა, რომელთა გახდა-ჩაცმას სულ ცოტა ერთი საათი მაინც სჭირდებოდა.

ახალგაზრდა პუბლიცისტი კი ოფლს იწურავდა, რომ როგორმე ეპასუხა ფრანგულად უნგრეთით აღფრთოვანებული უცხოელი გრაფინიას შეკითხვებზე, თუმცა არ ესმოდა შეკითხვების არსი. მან იცოდა ფრანგული, როცა ნაბეჭდი ფურცელი ედო წინ. თუმცა, ენობრივი სიძნელეები დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. მთავარი იყო თემა!

სხვადასხვა წრის ადამიანები, პირველად რომ ეცნობოდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ ეპოვათ საშუალება, რომელიც სხვის სამყაროში შეაღწევინებდათ.

გრაფი ლეო აქებდა დრამატურგ ნანდორის პიესას, რომელიც ათი წლის წინ ენახა, მთლად რომ გააცამტვერა კრიტიკამ. ეს დრამატურგის პირველი ნაწარმოები იყო, შემდეგ უკეთესები ჰქონდა დაწერილი და ახლა ეგონა, გრაფს ან არ ენახა მისი სხვა დრამები, ან დასცინოდა.

მეცნიერი კინიჟი, რომელსაც სურდა ეჩვენებინა ბარონ ოსკარისთვის, რომ მისთვის ცნობილი იყო ბარონის დამსახურება სპორტში, ესაუბრებოდა მას მომავალ დოღზე, ირგვლივ

მყოფთ კი ზურგი შეაქციეს, ყველამ იცოდა, რომ ოსკარმა თავისი ცხენები გაყიდა შარშანდელი წაგების გამო და ახლა მაყურებელი იყო მხოლოდ.

ახალგაზრდა რეპორტიორი კაკორი კი სავსებით თავისუფლად გრძნობდა თავს ამ უცხო საზოგადოებაში, უცერემონიოდ ლაყბობდა ყველასთან, ვისთანაც მოხვდებოდა. სალაპარაკო თემაც არ ელეოდა, იცოდა ახალი ჭორები. ლამაზ არწივისებურცხვირიან ბატონს, რომლის სახის ნაკვთებიც მის მაღალ წარმოშობაზე მეტყველებდა, უამბო, რომ ახლა ბუდის ციხე-დარბაზში მოაწყობდნენ საღამოებს, სადაც უნგრეთის რჩეულ საზოგადოებას მიიწვევდნენ.

„ნუთუ იქ წავა ვინმე?“ — ჰკითხა დიდებულმა. — „ალბათ მარტო გრაფი გვიდო!“

— „მაშინ მე არ წავალ!“ — ახლაღა მიხვდა რეპორტიორი, რომ სისულელე წამოროშა. და ვინ იცის, კიდევ რამდენს ელაპარაკა ასე წინდაუხედავად.

გრაფი იშტვანი, გრაფინია ტეუდელინდას ბიძაშვილი, მეტად ნაკითხი და განსწავლული კაცი იყო, მთელ მსოფლიოს პოეტთა ნაწარმოებებს იცნობდა. ამიტომ ფიქრობდა, რომ შეეძლო კარგად გაერთო დამწყები პოეტი, რომელმაც უცებ მოიპოვა პოპულარობა პატრიოტული ლექსებით, თუკი წაიყვანდა მას კუთხეში და გაუბამდა საუბარს მსოფლიო ლიტერატურაზე. მან წაუკითხა ბერნსისა და შელის ლექსები. დაინტერესდა, იცოდა თუ არა სპენსერის „ფერიების დედოფალი“? სთვლიდა თუ არა მილტონის „დაკარგულ სამოთხეს“ სრულყოფილ ნაწარმოებად? ვინ უფრო იტაცებდა, ვორდსვორთი თუ ბაირონი? როგორი აზრის იყო „საუკუნეთა ლეგენდაზე“? ნუთუ ამ ნაწარმოებისთვის ვიქტორ ჰიუგოს დანტეზე მაღლა დააყენებენ? იტალიელთაგან ვის მისცემდა უპირატესობას, ტასოს თუ არიოსტოს? იცნობდა თუ არა არაბული პოემის, ჰარირის „ანტარის სიცოცხლის“ ფრანგულ თარგმანს?

საწყალი პოეტი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ ეკლებზე იჯდა, და არ იცოდა, რა ეპასუხა, მას ხომ თავისი ლექსების მეტი ეარაფერი ჰქონდა წაკითხული. როგორც კი თავი დააღწია ამ საშიშ შეხვედრას, გადაწყვიტა, შემდეგში ისე

მორიდებოდა გრაფს, როგორც ჩხრიალა გველს და ახლოს აღარ გაჰკარებოდა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაზე ნაკლებად გაუღიმა ბედმა იმათ, ვისაც ხვდა პატივი წარედგინათ გრაფინია ანგელა ბონდავარისთვის.

გრაფინია ანგელა სრულქმნილი სილამაზის განსახიერება იყო. მისი პაპის, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის სახელი შარავანდედით იყო მოსილი. ეს კარგიც იყო და ცუდიც.

სწორედ ამის გამო, ყველა უბრალო მოკვდავს ვინც კი ლათინური იცოდა და მზეთუნახავ გრაფინიასთან წარადგენდნენ, აუცილებლად მიაჩნდა მის პაპაზე, გრაფ ტიბალდ ბონდავარზე ჩამოეგდო სიტყვა, დაინტერესებულიყო მისი ჯანმრთელობით. მაგრამ როგორც კი პაპის სახელს გაიგონებდა, გრაფინიას სახე მოეღუშებოდა, ცივად უსმენდა მოსაუბრეს, და სიტყვასაც აღარ აღირსებდა. ვერ გაეგო, ერთი წუთის წინ თავაზიანი ღიმილით გაცისკროვნებული სახე რატომ იცვლებოდა ასე საოცრად და ყინულივით ცივი შუქიღა გამოკრთოდა.

დიახ, გრაფინია ანგელა სილამაზის ეტალონი იყო, ეს უკვე აღვნიშნეთ, თუმცა არასოდეს მოგვწყინდება ამის გამეორება.

უმშვენიერესი, ანტიკური სახის ნაკვთები, ულამაზესი ცხვირი, თხელი ტუჩები, მოშვილდული წარბები, გრძელი შავი წამწამების ჩრდილი, ქალღმერთის თვალებს რომ ეფინებოდა, მართლაც შეუდარებელი იყო. როცა ეს თვალები ბრწყინავდნენ ან წამწამების ჩრდილში მიიმალებოდნენ, თითქოს შავი გეჩვენებოდათ, ხოლო როცა გაიღიმებდა, შენიშნავდით, რომ ლურჯი იყო. ხშირი წაბლისფერი თმა, რომელშიც თითქოს მზის ოქროსფერი სხივები ჩაღვრილიყო, საოცრად შვენოდა მის სახეს. მთელი არსებით გრძნობდა საკუთარ მომხიბლაობას, გრძნობდა რომ საერთო ყურადღების ცენტრში იყო და ეს უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა. ისიც კარგად იცოდა, რომ თავისი სწორუპოვარი სილამაზით ყველასა და ყველაფრის დაპყრობა შეეძლო.

მაგრამ რატომ იღუშებოდა ეს უმშვენიერესი თვალები, ეს ულამაზესი სახე გრაფი ტიბალდის სახელის ხსენებაზე, რატომ სტყორცნიდა მოსაუბრეს ყინულივით ცივ მზერას, ვერ მიმხვდარიყვნენ.

რა თქმა უნდა, მის წრეში იცოდნენ ამის მიზეზი, მაგრამ

უბრალო მოკვდავთათვის ეს ცნობილი არ იყო. გრაფ ტიბალდს სურდა თავისი ერთადერთი შვილიშვილი ანგელა გერმანელ ჰერცოგ ზონდერსჰაინზე გაეთხოვებინა. ეს არ მოეწონა გრაფინია ანგელას და პაპას წაეჩხუბა, თან ფიცი დასდო, რომ მას აღარასოდეს დალაპარაკებოდა თავის სიცოცხლეში. სწორედ ამ დროს გრაფინია ტეუდელინდამ სალონი გახსნა პეშტში, გრაფინია ანგელა ჩამოვიდა პაპიდასთან და პაპის მიერ მოწერილი წერილები არც კი გაუხსნია.

ეს საიდუმლო იყო, თუმცა მაღალი წრის საზოგადოებამ იცოდა, მაგრამ სხვებისთვის დაფარული უნდა ყოფილიყო.

ბატონ აბატს აზრად მოუვიდა ისეთი გასართობი მოეგონებინა, რომ ყველა ერთნაირად დაეინტერესებინა. ჩვეულებრივ ასეთ საღამოებზე ერთ დარბაზში იკრიბებოდნენ მამაკაცები, მეორეში ახალგაზრდა ქალიშვილები, მესამეში ხანდაზმული მანდილოსნები. როგორც კი კონცერტების გამართვა, ლექსებისა და მოხსენებების კითხვა დაიწყეს, საზოგადოება თითქოს ერთ მთელად იქცა, უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. რეპეტიციებზეც ხვდებოდნენ და რაკი მდიდრული სამეჯლისო ტანსაცმელი არ ეცვათ, ხელსაც ართმევდნენ ერთმანეთს და ქუჩაშიც სცნობდნენ. თანაც ეს შეხვედრები ძალზე ახარებდათ. ბოლოს სასაუბრო თემებიც გაუჩნდათ ყველასათვის ერთნაირად საინტერესო.

შუაღამისას კონცერტიც, მოყვარულთა სპექტაკლიც, მოხსენებებიც მთავრდებოდა. მეცნიერები, მხატვრები, პოეტები ემშვიდობებოდნენ დიასახლისს, მაღალი წრის საზოგადოება კი რჩებოდა. ახლა იწყებოდა ნამდვილი მხიარულება. ახალგაზრდები ცეკვავდნენ, ხანდაზმულები ბანქოს თამაშობდნენ დილამდე.

მეცნიერები, მსახიობები და პოეტები რომ არ წასულიყვნენ, მათაც შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ამგვარ გართობაში. რატომ მიდიოდნენ? მათთვის ასე სჯობდა.

აბატი შამუელი რეკლამის ნამდვილი ოსტატი იყო. როცა გრაფინია ტეუდელინდას სალონში რაიმე მნიშვნელოვანი მოხსენება უნდა წაეკითხათ, ყველამ ადრევე იცოდა ამის შესახებ. იგი უამბობდა მათ მსახიობების, მწერლის, მეცნიერის, მევიოლინის ცხოვრებაზე, აცნობდა საღამოს გმირს.

საღამომდე დარჩენილი სამი დღე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უკვე ყველას სცოდნოდა ივან ბერენდის ცხოვრების სულ უმნიშვნელო წვრილმანებიც კი და საშუალება ჰქონდათ მოხსენების დაწყებამდე მასზე წაჭორავებისა.

„მთელ წელიწადს მართლა ქვანახშირის მაღაროში ატარებს?

„და მხოლოდ ახალ მთვარეზე ბანაობს?"

„ეშმაკმა დალახვროს! ახლა სწორედ მთვარის ბოლო მეოთხედია!"

„თავის სიცოცხლეში ქალს არ დალაპარაკებია".

„მხოლოდ მამონტის კბილებს ესაუბრება".

„მის მოხსენებაში ოთხასორმოცდაათი ბერძნული, ლათინური, არაბული და ებრაული სიტყვაა".

„ნეტავ მართლა დაწვა გრაფინია ტეუდელინდას სამკარატიანი ბრილიანტი ცდის ჩასატარებლად, რომელიც რვაასი ფორინტი ღირს?"

„ბრილიანტი ოთხკარატიანი იყო და ათას ხუთასი ფორინტი ღირდა".

„ეს არ გაუძნელდებოდა, იგი ხომ თვითონაც აკეთებს ალმასებს".

„ნუთუ მართლა?"

„და ნივრის მეტს არასოდეს არაფერს ჭამს".

„დღეს მაინც თუ შეიკავა თავი?"

„ეს ელექტრომანქანა რაღად უნდა?"

„ხომ არ დაუკრავს მასზე?"

„არა, ეს ჩვენს დასაელექტროებლად დასჭირდება".

„ეს მართლაც საჭიროა!"

„ურიგო არ იქნება, თუ გადაყრუებულ ბარონ შტეფის იზოლატორთან მოათავსებს და თმებს ყალყზე დაუყენებს, ბარონი ხომ პარიკს ატარებს".

„სად არის ეს ეშმაკის მანქანა?"

„აი, იქ წიგნების თაროს უკან, ოღონდ ხელის ხლება არ შეიძლება, შეეხები თუ არა ნიკაპს მოგიღრეცავს და მთელი სიცოცხლე ასე დარჩები".

„გეყოფათ, სისულელეა! ეს ელექტროგამნათებელი მანქანაა, მე ვიცი, პარიზში ვნახე სწორედ ასეთი. ძალზე თავისე-

ბურია, თუ კი ვინმეს სახე შეღებილი აქვს, გაშავდება“.

„ეშმაკის მახე! ეს უნდა გამოეცხადებინათ შემოსვლისას“.

„გრაფინია ტეუდელინდამ თუ იცის ამის შესახებ?“

„დღეს განსაკუთრებით გათეთრებული აქვს სახე“.

„ამ თეთრი სახითა და თავზე უზარმაზარი ალმასის დიადემით მარმარილოს საპატარძლოს მაგონებს „ზამპა“-დან.

„ჩემი დაიკო ანგელა კი დღეს განსაკუთრებით მომხიბლავია!“

„ასე გგონია?“

„მარგალიტის სამკაულები მის სახეს რაღაც თავისებურ სიმშვიდეს მატებს“.

„ჩვენი ველური რომ დაიბნეს ამდენი ლამაზი ქალის დანახვაზე და თავისი მაგნიტური ელექტროგანათება სულ გადაავიწყდეს?“

„არაფერია, თანდათან შეეჩვევა. თავაზიანად მივიღოთ, რომ თავისუფლად იგრძნოს თავი. აი, მოდის კიდევაც ჩვენი აბატის თანხლებით“.

უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა იმ კავალერმა, ანგელას დაიკო რომ უწოდა. ეს ოცი წლის წარმოსადეგი ახალგაზრდა გაეშურა ივანის შესახვედრად და გაეცნო როგორც გრაფი ედენი, დიასახლისის უფროსი ძმისშვილი, შემდეგ კი მას გააცნო გრაფინიას ბიძაშვილი, დიდად ნაკითხი გრაფი იშტვანი. მათ ერთმანეთისთვის მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა მოასწრეს, მაგრამ ივანი დარწმუნდა, რომ აქ ხელოვნების მოყვარულნი და კარგი მცოდნენიც იყვნენ. შემდეგ ედენმა კიდევ რამდენიმე თავისი მეგობარი გააცნო, რომლებიც მეტად თავაზიანად შეხვდნენ. მიღებამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ბოლოს ბატონმა აბატმა ივანი მეორე დარბაზში შეიყვანა მაღალი წრის მანდილოსნებთან და დიასახლისს მიუახლოვდა. გრაფინიამ ხელი გაუწოდა და თავაზიანად გაუღიმა. გრაფმა ედენმა ისევ ხელკავი გაუკეთა ივანს და გვერდით დარბაზში შეიყვანა გრაფინია ანგელასთან წარსადგენად.

ივანი წინდაწინვე არ იყო კარგად განწყობილი გრაფინიას მიმართ, მაგრამ გარეგნულად ეს არავის შეუნიშნავს.

— რამდენადაც ვიცი, იშვიათად ჩამოდიხართ პეშტში! — უთხრა ანგელამ გაცნობისთანავე.

— მართალი ბრძანდებით, დიდი ხანია არ ვყოფილვარ, მაგრამ მგონი თქვენც პირველადა ხართ აქ.

ახლა ესეც გრაფ ტიბალდზე ჩამომიგდებს სიტყვასო, გაიფიქრა ანგელამ და ამის მოლოდინში ცივად უპასუხა:

— დიახ. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— მხოლოდ ის, რომ ადამიანი უბრალო შემთხვევას მიჰყავს იქ, სადაც არასოდეს ყოფილა, მაგრამ როცა იქ სხვებიც აღმოჩნდებიან პირველად, მაშინ ეს არის ერთგვარი ბედისწერა და რადგან აქ ამდენ ბრწყინვალე არსებას შევხვდი, ვფიქრობ, ეს განგებაა, რომ წინასწარ არ ყოფილა გათვალისწინებული.

ანგელას სახე გაუბრწყინდა.

— თქვენ მართლა გწამთ ბედისწერის?

— დიახ.

— მაშ მე თქვენ მომწონხართ.

ამ სიტყვებით სახე იქით მიაბრუნა და ივანი მიხვდა, რომ შეეძლო გასცლოდა.

თხუთმეტი წუთის ურთიერთგაცნობის შემდეგ ედენმა უთხრა ივანს, რომ დარბაზში უკვე ყველაფერი მზად იყო და საზოგადოება ელოდა. ივანი დარბაზის ბოლოში, ამაღლებულ ადგილას ავიდა, პორთფელიდან ქაღალდები ამოიღო და წინ დაიწყო.

მისმა მშვიდმა-უპრეტენზიო ხმამ, დამაჯერებელმა ტონმა, საინტერესო თხრობამ და გადმოცემის საუკეთესო უნარმა თავიდანვე ყველა დააინტერესა და მთელი დარბაზი სმენად გადაიქცა.

ივანის მოხსენება

„სამყაროს მეექვსე ნაწილი"

სამყაროს ხუთი ნაწილი ყველასათვის ცნობილია, მეექვსის შესახებ კი მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი „არსებობს".

სად არის იგი?

ჩრდილოეთ პოლუსზე.

სამყაროს მთელი ნაწილი ჩვენთვის უცნობი მცენარეებითა და ცხოველებით.... და ალბათ ადამიანებითაც!

ცნობილი მეცნიერები ამტკიცებენ მის არსებობას, მამაცი მეზღვაურები კი უკვე საუკუნეზე მეტია, მიისწრაფიან ყინულოვანი ოკეანის მოცურავე ყინულის გორების დასაპყრობად, ოცნებობენ ფეხი შედგან სამყაროს მეექვსე ნაწილზე.

შესაძლოა მეშვიდე ნაწილიც არსებობს დედამიწის სამხრეთ პოლუსზე. კაპიტანი მოური სთავაზობდა ინგლისის მთავრობას მოეწყოთ ექსპედიცია და წარუდგინა მეცნიერული დასკვნები, რომელთა მიხედვით ბარომეტრი სამხრეთ პოლუსზე ხანგრძლივი წვიმების დროს არ იცვლება, ჰაერი განმუხტულია და ატმოსფეროს ზედა, უფრო მკვრივი ფენის ზემოქმედება ქვედა ფენაზე იწვევს მაღალ ტემპერატურას, რის გამოც ასეთ პირობებში ყინულის მთებს იქით უნდა იყოს სიცოცხლე.

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ჩრდილოეთ პოლუსის სამყაროზე კი უფრო ზუსტი ცნობები გვაქვს. მის ძიებაში დაიღუპნენ ფრანკლინი და მისი მამაცი ამხანაგები. მათ კვალს მიჰყვნენ უდრეკი ნებისყოფის ადამიანები, მიაღწიეს უკიდეგანო ყინულის საფარს, მოძებნეს დაღუპულთა გვამები და მათი ფასდაუდებელი ჩანაწერები, მიაღწიეს მუდმივი ზამთრის ქვეყანას, ესკიმოს მონადირეებს რომ უნახავთ მხოლოდ.

ორი ირლანდიელი მეზღვაური შეხვდა ერთმანეთს ველინგტონის სრუტეში, თავისუფლად რომ მიედინებოდა ყინულის მთებს შორის და ყველაზე ბოლო კუნძულს ამ სრუტეში „ირლანდიის თვალი“ უწოდეს. რუსები ამ სრუტეს წყლის ქუჩას ეძახიან. სრუტე მდებარეობს ჩრდილოეთ განედის 77° 49' და დასავლეთ გრძედის 115° 35'.

მოგზაურთა უმრავლესობა, რომელთა გემებიც შეეყინა ყინულოვანი ოკეანის მუდმივი ყინულის მთებს, ჩანაწერების გარდა ყველაფერს სტოვებდნენ და მარხილებით ბრუნდებოდნენ უკან, რომ ცოცხლები გადარჩენილიყვნენ.

1852 წელს კაპიტანი ბელჩერი იძულებული გახდა მიეტოვებინა ბეროვის სრუტეში ოთხი გემი, რომლებიც უზარმაზარ ყინულის მთებს შორის გაიჭედა. ერთ-ერთი გემი გაზაფხულზე გამოეყო დანარჩენებს და ბედის ანაბარად დაიწყო ცურვა, თექვსმეტი თვე მიჰყვებოდა ზღვის დინებას უიალქნოდ, უმეზღვაურებოდ, უკაპიტნოდ, ვიდრე ბოლოს ათას ორასი

საზღვაო მილის გავლის შემდეგ ჰოგარტ სუნდში, თითქმის დედამიწის მეორე ბოლოში არ შეაჩერა ამერიკელმა კაპიტანმა ბუდინგტონმა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გზააბნეულმა გემმა თვითონ გაიკვლია გზა ღია ზღვაში და გზის უდიდესი ნაწილი უდაოდ „თბილ ზღვაში“ გაიარა.

რომ შესძლებოდა ამ გემს ლაპარაკი!

თუმცა ზოგი რამ მართლაც გვიამბო.

მისი მარცხენა გვერდი მთლიანად ლოკოკინებით იყო დაფარული. ეტყობოდა რამდენიმე ხანს მეჩეჩზე იყო გარიყული, ვიდრე ზღვის მოქცევამ კვლავ არ გაიყოლა თან, მეჩეჩზე ყოფნისას კი ლოკოკინები მიეწებნენ. ეს ლოკოკინები ზღვის წყალმცენარეებით იკვებებიან. ესე იგი, იქ სადაც გემმა გაიარა, მცენარეებიც არის და ლოკოკინებიც. არც ზღვა იყინება.

გემს კიდევ ერთი მოწმე მოჰყვა თან — ჩიტის ბუდე. ბუდეში იჯდა ყარყატი ორი ბარტყით. ჩვენებური ყარყატისაგან განსხვავებით ცისფერბუმბულიანი და ქოჩრიანი. არც ერთ ფრინველს არ ჰგავდა.

დედა ყარყატმა ადამიანები რომ დაინახა გემბანზე, ჩაავლო ნისკარტი ერთ ბარტყს და გაფრინდა. კაპიტანმა სროლის ნება არავის მისცა. ჩიტი ჩვეულებრივ ყარყატზე ბევრად უფრო სწრაფად მიფრინავდა, წუთში 30 საჟენის სისწრაფით, რაც საათში 27 მილს უდრის.

ბუდეში დატოვებულ მეორე ბარტყს მეზღვაურები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ვერაფერი შეაჭამეს. ყარყატი 30 საათის შემდეგ დაბრუნდა. ამასობაში გემი ბუქსირით განაგრძობდა გზას სამხრეთისაკენ. ყარყატს უახლოესი ხმელეთიდან უნდა გამოეფრინა შვიდასი მილი მაინც. და ხმელეთიდან რომ დაბრუნდა, ამას მოწმობდა ბაყაყი, რომელიც ბარტყს მოუტანა. ასეთი ბაყაყი ჯერ არავის ენახა. ზურგი ნიჟარისებური ქერცლით ჰქონდა დაფარული.

ბარტყმა მაშინვე გადაყლაპა ბაყაყი.

ორმოცი საათის შემდეგ ყარყატი ისევ დაბრუნდა, ბარტყს კიდევ მოუტანა ასეთივე ბაყაყი, მაგრამ ცოცხალი აღარ დაუხვდა. მეზღვაურებმა მისგან ფიტული გააკეთეს, ბაყაყი სპირტში ჩააგდეს და ორივე ნიუიორკის მუზეუმს გადასცეს

საჩუქრად. ბუნების მკვლევართა აზრით ეს სრულიად უცნობი სახეობა იყო და ისეთივე ეგზოტიკური, როგორც ავსტრალიის ფაუნა ევროპელთათვის.

მატერიკი, სადაც ისინი ცხოვრობენ, ყარყატის ფრენის მიხედვით ჩრდილოეთის განედის 85 გრადუსზე იწყება, თბილი ზღვა კი, რომელსაც მასთან მივყავართ, რამდენიმე გრადუსით ახლოსაა და ამიტომ აქ ჰავაც თბილია.

მაგრამ საიდან არის აქ სითბო? როცა 72 გრადუსზე იყინება ვერცხლისწყალიც კი და მისი გამოქედვა ისევე შეიძლება, როგორც ლითონისა.

აქ უფრო მეტი ფათერაკი სდევს თან მკვლევარებს, სიძნელეებიც მატულობს, რაც უფრო უახლოვდებიან ჩრდილოეთ პოლუსს.

ყველაზე მამაცმა და იღბლიანმა პოლარულმა მკვლევარმა კაპიტანმა კეინმა, უფრო მეტ განსაცდელს გაუძლო. ის, რაც მან ჩრდილოეთ განედის 80-ე გრადუსზე ნახა, აბსურდული ფანტაზიაა, მიძინებული ბუნების მშვენიერი ოცნებაა. იქ მუდმივი ზამთრის სამფლობელოა, ოღონდ აქაურ ზამთარს თავისი პერიოდები აქვს. აქ ზაფხულიც იგივე ზამთარია, მაგრამ ნაკლებად მკაცრი. შემოდგომის ერთ საღამოს მზე უკანასკნელად ჩაეშვება ჰორიზონტს იქით და ექვსი თვე იღარ ამოდის. დგება ღამე, რომელიც ნახევარ წელიწადს გრძელდება. მხოლოდ ქათქათა თოვლის უკიდეგანო მინდორი და მთვარის მკრთალი შუქი ანათებს გარემოს, ხანდახან გამოკრთება იდუმალი ჩრდილოეთის ციალი.

თერმომეტრი ნულს ქვემოთ ორმოც გრადუსს აჩვენებს.

არც ერთ ცხოველს და მცენარეს აქ არსებობა არ შეუძლია.

ადამიანი რჩება სრულიად მარტო და ისეთი საშინელია ეს მარტოობა, რომ ერთხელ, როცა კეინს კისერზე თმის ღერმა შეუღიტინა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რწყილი ეგონა. ამ უკაცრიელ გარემოში, გაუხარდა, რომ მის გარდა კიდევ აღმოჩნდა სულიერი არსება. მაგრამ ამაო იყო ეს სიხარული! რწყილიც კი ვერ ძლებს აქ. არავინ და არაფერი არ არსებობს ადამიანის გარდა.

და რა საოცრად იცვლის ფორმას ყოველივე, რაც ამ მა-ზაც ადამიანებს მოაქვთ აქ.

რას ემსგავსება აქ პროდუქტები?

ვაშლის ჩირი კალცედონის ნამსხვრევებს ემსგავსება, მათ-ცაწ შეიძლება ლამაზი ბეჭდების გაკეთება. მჟავე კომბოსტო ლითონის ახალ ფორმაში გვევლინება, რომელიც შეიძლება დააპო, როგორც ქარსი. შაქარი, რომელიც ჩვენთვის ცნობი-ლია კრისტალური ფორმით, აქ გაშეშებულ კაუჩუკში შერეუ-ლი ნახერხივითაა. მას ვერც დაჭრი, ვერც დაამტვრევ, შეიძ-ლება მხოლოდ დახერხო. კარაქიდან შეიძლება ისეთივე საუც-ხოო ფიგურების გამოთლა, როგორც სპილოს ძვლისაგან, ხორ-ცი უმშვენიერესი მარმარილოს მოზაიკას მოგაგონებთ, რომე-ლიც მეტოქეობას გაუწევს ფლორენციულსაც კი. კარგად ნა-ლესი ცულიც სხლტება მასზე და რკინის ძალაყინით თუ დაამს-ხვრევ. და ყოველივე ეს ხდება გემის კაიუტაში, რომელსაც დღე და ღამე ათბობენ და ამიტომ ტემპერატურა ნულს ქვე-ვით ოცდათოთხმეტ გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოდის.

კაიუტებში ადამიანები სუნთქვის გამო ისეთ ნისლში არიან გახვეული, რომ ექვსი ნაბიჯის იქით ვერაფერს ხედავენ. ერთი წუთითაც რომ მოიხადოთ ქუდი, ისეთი ორთქლი აუვა, რო-გორც მოხარშულ კარტოფილს, ხმამაღლა რომ დაიყვიროთ, პირიდან ამოსული ორთქლი ზარბაზნის ბოლი გეგონებათ. და-ნა და ჩანგალი იქ ისეა გაყინული, ჭამის დროს დიდი სიფრთხი-ლით თუ არ იხმართ, შეიძლება ენაზე და ტუჩებზე მიგეწებოთ და ვეღარც აიგლეჯთ, კანიც თუ არ ააყოლეთ თან. თუ ძილის წინ თვალებზე ქუდის ჩამოწევა დაგავიწყდათ, შეიძლება წამ-წამები ერთმანეთს მიეყინოს და როცა გაიღვიძებთ, თვალებს ვეღარ გაახელთ.

გარეთ კიდევ უფრო მეტი სიცივეა. ყინვა იქ ორმოც გრა-დუსს აღწევს ნულს ქვემოთ.

მაგრამ ფოლადის გულიანი ადამიანები მაინც წავიდნენ ამ საშინელ მხარეში, რომ რაც შეიძლება ახლოს მისულიყვ-ნენ ჩრდილოეთ პოლუსთან.

მათი გემები ყინულს მიეყინა, მაგრამ მარხილებიც ჰქონ-დათ წაღებული. მარხილებზე დააწყეს რკინისა და კაუჩუკისა-გან დამზადებული ექვსადგილიანი კანჯოები. ახლა უკვე შეეძ-

ლოთ ჟაეგრძელებინათ გზა, ჯერ მარხილებით ეევლოთ, შემდეგ კი როცა ზღვას მიადგებოდნენ, კანჯოთი გაეცურათ და როგორმე მიეღწიათ ჩრდილოეთ პოლუსამდე. თან წამოყვანილი ჰყავდათ სამოცი ციმბირის ძაღლი მარხილში შესაბმელად, მაგრამ როგორც კი 79 გრადუსს მიაღწიეს, ძაღლებს ყბები მოეღრიცათ და დაიხოცნენ. სხვა გზა არ იყო, მარხილი თვითონ უნდა ეთრიათ, მაინც შეუპოვრად მიიწევდნენ წინ 15 დღე-ღამის განმავლობაში ორმოცგრადუსიან ყინვაში და რის ვაივაგლახით მიაუხლოვდნენ ჩრდილოეთ პოლუსს კიდევ ორი გრადუსით.

როცა მეთექვსმეტე დღეს 82 გრადუსს მიაღწიეს, თერმომეტრში ვერცხლისწყალმა ათი გრადუსით აიწია. სიხარულმა ძალა შემატათ, ცოტა შეისვენეს და ისევ განაგრძეს გზა. მეორე დღეს ტემპერატურამ კიდევ უფრო აიწია და ბოლოს ნულზე დავიდა.

ეს უკვე სითბო იყო.

ისინი იდგნენ ყინულის კლდეზე, ხოლო წინ ღია ზღვა გადაშლილიყო. უცებ, თითქოს მაშაც მკვლევარებს ესალმებაო, ცაზე რაღაცამ იელვა, ეს იყო ჩრდილოეთის ციალი. უზარმაზარ მუქ კონუსს ელვა გვირგვინად შემოვლებოდა თავზე და ირგვლივ ყვითელ და ვარდისფერ სხივთა კონებს აფრქვევდა. თითქოს შავი მზე ოქროსფერ ისრებად სტყორცნიდა სხივებს ცის ჟაბადონს და ფერთა ეს უჩვეულო გამა მომაჯადოებელ სანახაობად იშლებოდა მოგზაურთა თვალწინ, რომლებიც ასე შეუპოვრად მიილტვოდნენ მისკენ, წარმოდგენით კი, ამას ვერასოდეს წარმოიდგენდნენ.

ცის დასალიერამდე სამი ათასი კვადრატული მილის ფართობზე ჟადაშლილიყო ღია ზღვა. ზღვის შუაგულში მუქი კონუსის ანარეკლი ლაჟვარდისფრად ბრწყინავდა, მის ირგვლივ კი წყალი ვარდისფრად ლივლივებდა. ყინულოვანი ნაპირი, რომელზეც კეინი და მისი თანამგზავრები იდგნენ, ირგვლივ შემოვლებოდა ზღვას. ნაპირებზე ალაგ-ალაგ ორმოცდათი-სამოცი საჟენის სიმაღლეზე აღმართული ყინულის გორები ოქროსფრად მოევარაყებინა ჩრდილოეთის განუმეორებელ განთიადს.

ორმოცდათექვსმეტი საათი დაჰყვეს მოგზაურებმა ყინულის

ნაპირზე. ჩრდილოეთ პოლუსიდან „თბილი“ ქარი ქროდა და თანდათან უკან სწევდა ყინულის გორებს, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი ყინულის მთაც არ მოჰყოლია იქიდან. იქ იყო სითბო და სიცოცხლე!

მაგრამ რატომ არ ჩასხდნენ კანჯოებში და არ გაცურეს იქით? რატომ არ განაგრძეს გზა სამყაროს იმ ნაწილისაკენ, რომელიც მათი ვარაუდით იქ უნდა ყოფილიყო?

ეს უკვე გადაწყვიტა თვითონ ზღვამ.

ეს ზღვა არ იყო ისეთი, როგორიც სხვები; აქ არ იყო ჩვეულებრივი თორმეტსაათიანი მოქცევა და უკუქცევა. ზღვის მოქცევა აქ მთვარის მიზიდულობის ძალით კი არ ხდებოდა, არამედ სულ სხვა, უფრო ძლიერი ძალა წარმართავდა მას. ყოველ საათში ერთხელ ეს ძალა ისეთ სიმაღლეზე სტყორცნიდა ტალღას და ისე ძლიერად, რომ ვერც ერთი ნავი ვერ შეძლებდა ტალღებზე წონასწორობის დაცვას. მოქცევისას თექვსმეტი ფუტის სიმაღლეზე ატყორცნილი წყლის ნაკადი ისეთი ძალით ასკდებოდა უკიდეგანო ყინულის ნაპირს, რომ მისი გრგვინვა ჭექა-ქუხილზე ძლიერ ხმებს გამოსცემდა. იქაურობას სულ ზანზარი გაჰქონდა.

მხოლოდ ბელჩერის გემმა შეძლო გადმოეცა ჩვენთვის, თუ როგორ გაიარა ეს დაუდგრომელი ოკეანე, სად იპოვა დინება, რომელმაც სრუტის მეორე შესასვლელში მიიყვანა და ამგვარად გადარჩა ყინულოვან ნაპირზე დამსხვრევას.

კეინს წილად ხვდა ბედნიერება, დამტკბარიყო იმ კუთხის სანახაობით, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაედგა, ენახა ზღვის ტალღებით ნაპირზე გამორიყული ლოკოკინის ნიჟარები და უცნობი მცენარეები, როგორც ბილეთები ჯერარნახული, ჯერ ისევ უსახელო სამყაროს კარიბჭისა. ზღვაზე მათთვის სრულიად უცნობი ფრინველები დაფრინავდნენ ჯგუფ-ჯგუფად.

სწავლულებმა და გეოგრაფებმა ამ ადგილს პიბოდის უურე უწოდეს, ყინულთა შორის აქ შემოსასვლელ სრუტეს კი— კენედის სრუტე. კეინისა და მისი თანამგზავრების მიერ აღმოჩენილი ადგილი მდებარეობს ჩრდილოეთ განედის 82 გრადუსსა და 2 მინუტზე და ჩრდილოეთ პოლუსიდან რვა გრადუსითაც არაა დაშორებული. და რამდენადაც პოლუსებთან დედა-

მიწა ჩაზნექილია, გრადუსის სიგრძე იქ შედარებით ნაკლებია. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლუსი იმ ადგილიდან მდებარეობს დაახლოებით ათი დღის სავალზე!

წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი იმ ადამიანების მდგომარეობაში, აღფრთოვანებულნი რომ შეჰყურებდნენ ამ სანახაობას, სადაც ადამიანი ვერ მიაღწევს ვერც ფეხით, და ვერც ვერავითარი გემით.

მაინც როგორია ჩრდილოეთი პოლუსი?

დედამიწა ორივე პოლუსზე ჩაზნექილია. მათემატიკური სიზუსტით ამას ამტკიცებს საათის ქანქარას უფრო სწრაფი მოძრაობა. დედამიწა ღერძის ახლოს ოდნავ შეზნექილია, როგორც ფორთოხალი. სხვა პლანეტებიც ასეთივე ფორმისაა. ამიტომ პოლუსზე თუ დავდგებით, ექვსჯერ უფრო მეტ ტერიტორიას დავინახავთ, ვიდრე დედამიწის რომელიმე წერტილიდან. წარმოვიდგინოთ, რომ აქედან, პეშტიდან დასავლეთით ჩვენ ვხედავთ ვენის წმინდა იშტვანის სამრეკლოს, აღმოსავლეთით დებრეცენს, ჩრდილოეთით კაშშას, სამხრეთით ბელგრადს და ყველაფერს, რაც მათ შორისაა! ზემოთ კი, მუქლურჯ ცაზე — გავარვარებულ გუმბათს. ესაა მზე! მთელი დღე ელვარებს იგი ჰორიზონტზე, არ ჩადის მის მიღმა, გარს უვლის მას. და რადგანაც აქ ხილვადი არე ოცჯერ უფრო დიდია, ვიდრე ჩვენთან, მზის მოძრაობას შეიძლება დავაკვირდეთ შეუიარაღებელი თვალით. გზადაგზა გორაკებს ეფარება, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდება.

ზაფხულობით, შუადღისას, მზე ორი გრადუსით მაღლა იწევს ჰორიზონტს ზევით და მხოლოდ ერთი საათით ჩადის შუაღამისას. არასოდეს არ იწევს ატმოსფეროს ზევით, არა აქვს სხივები და არც ათბობს. მაგრამ ეს ხომ მზე არ არის, მისი ანარეკლია, გადიდებული ატმოსფეროში სხივების გადატეხით. ჩრდილოეთ პოლუსის უზარმაზარი წრეში მოძრავი საათის მექანიზმი, რომლის ისარია თვით მზის დისკო.

მზე აქ მხოლოდ ცეცხლოვანი ციური სასწაულია, მთვარის მსგავსი, და არა სამყაროს, დედამიწის სულისჩამდგმელი, ცხოველმყოფელი ძალა. აქ დედამიწაა მბრძანებელი!

მაინც რა უღმერთობაა და საშინელი წარმოსადგენი, რომ მთელ სამყაროს, ჩვენს მშვენიერ სამყაროს მათემატიკური

სიზუსტით გამოთვლილი, ულმობელი, გარდაუვალი დაღუპ-
ვა ელის! და ეს გარდაუვალია: დედამიწა ხომ არაფრით არ
თბება, გარდა საკუთარი, უკვე ჩამქრალი, შინაგანი ცეცხ-
ლისა და მზის სხივებისა, რომლებიც აღარ ათბობენ იქ, სა-
დაც ეს შინაგანი სითბო უკვე გამოილია, და ასეთი აღსას-
რულის დღე დადგება. დაე ამას მილიონი წლები დას-
ჭირდეს! გამოთვლილია, რომ ქვანახშირის წარმოქმნის პე-
რიოდში დედამიწაზე სითბო საშუალოდ უნდა აწეულიყო ოც
გრადუსამდე, დღევანდელი საშუალო ტემპერატურა კი სულ
რვა გრადუსს აღწევს. გამდნარი ფიქალის გაციებით გამოთვ-
ლილია, რამდენი საუკუნე დასჭირდება ტემპერატურის კი-
დევ თოთხმეტი გრადუსით დაწევას.

და მაშინ უკვე დადგება აღსასრული?

დედამიწა პასუხობს: „არა! მე ვიცოცხლებ მარად, საუკუ-
ნოდ!“

დედამიწას გააჩნია საკუთარი ძალა, რომელსაც არავის ესესხ-
ება, არც მზეს და არც სხვა რომელიმე პლანეტას. ესაა მაგ-
ნიტიზმი და ელექტრობა. ეს ძალა მისია, თუმცა სხვა ციურ
სხეულებსაც გააჩნიათ მაგნიტური თვითგამოსხივების უნარი:
იუპიტერს, ვენერას.

და რაც უფრო მეტად ცივდება დედამიწა, მით უფრო
ძლიერდება მისი მაგნიტური ძალა. ფავარვარებულ რკინას
მაგნიტიზმი არა აქვს, როცა გაცივდება კი მაგნიტურია. მაგ-
ნიტიზმს მზეზე უფრო ძლიერი ცეცხლი გააჩნია. მზის კონ-
ცენტრირებული სხივები სწვავს ალმასს, მაგნიტური ცეცხლი
კი წარმოშობს ალმასებს. ეს ცნობილია ყველგან, სადაც იყე-
ნებენ მაგნიტურ ელექტროგანათებას.

ჩრდილოეთ პოლუსს დედამიწის მაგნიტიზმი ანიჭებს სით-
ბოსაც და სიცოცხლის უნარსაც.

იქ, ჰორიზონტზე, თითქმის არ მოჩანს მაღალი მწვერვა-
ლები, არც მთაგრეხილებია. ირგვლივ, სადამდისაც კი თვალი
მისწვდება, ტალღისებური უკიდეგანო სივრცეა გადაშლილი.
მის შუაგულში უზარმაზარი მთის მასივია, ჩამქრალი ვულკა-
ნების მსგავსი. მთების ციცაბო და გლუვი კონუსები მოელვა-
რე ფერდობებით შავად, ყავისფრად და ღია წითლადაა მომი-
ნანქრებული, მწვერვალები კი ცისფრად და მუქლურჯად
ბრწყინავს.

მთაგრეხილთა დიადემის ირგვლივ გადაჭიმულია გლუვზედაპირიანი, ერთი შეხედვით მეტეორული რკინის მსგავსი უზარმაზარი სივრცე. იქით ტბაა, რომელშიც დაბლობზე მომდინარე ნაკადულები და მდინარეები ჩადის, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ეს ადგილი ყველაზე უფრო დახრილია. სწორედ ეს არის ჩრდილოეთი პოლუსი.

ტბის დამრეცი ნაპირები წარმოადგენენ მდინარეთა დატოტვილ დელტებს.

მთაგრეხილის გვირგვინის მაღლა, ცაა და დედამიწას შუა მუდმივი განთიადი ბრწყინავს ათასობით სხივთა კონის დარად და თითოეული სხივი ცისარტყელასავით ხან თვალის მომჭრელად ელავს, ხან მიმქრალი შუქივით გამოკრთის.

ეს არის დედამიწის მაგნიტური გამოსხივება. ელვარე, ცხოველმყოფელი, შუქმფენი. წრიული ფართობის შუაგული შავია. იქ მუდამ ღამეა. შუაში პოლარული ვარსკვლავი მოჩანს, რომლის ირგვლივ მოძრაობს დიდი დათვის მოციმციმე თანავარსკვლავედი. მის ირგვლივ ცა ათასფრად ბრწყინავს; ცისფერი, ყვითელი, მწვანე, ვარდისფერი ზოლები სერავენ მას და ირეკლებიან დედამიწაზე მოციმციმე ვარსკვლავებად.

თვალსაწიერამდე ეს ყოველივე სხივთა ნაკადში ლივლივებს. მაგრამ ეს არის არა მცხუნვარე მზის სხივები, არამედ ჯადოსნური სამყაროს ცის კაბადონის ცვალებადი ციალი. ამაღლებულ კუნძულებზე პოლუსის ირგვლივ აყვავებული ტყეებია. ხეთა ფოთლები აქ უფრო ხასხასა მწვანეა, ვიდრე უძველესი დროის ტყეებში. აყვავებულ და ხილით დახუნძლულ ხეების ჭალებს ენაცვლება მეწამული, ლურჯი ტყეები, რომლებშიც ხის კენწეროების ნაწილს ლურჯი ღვია შემოხვევია და ნაწილი კი წითელ კენკრას დაუფარავს. ზოგიერთ კუნძულზე მოყვითალო-ოქროსფერი ბუჩქნარია, ალაგ-ალაგ უზარმაზარი, თეთრი ხეები ხარობს. ეს ყოველივე ყვავილთა ხღვაშია ჩაფლული შორეულ დაბლობამდე და გორაკებამდე, ერთმანეთს რომ ენაცვლებიან თეთრი ყვავილებით მოქარგული ამწვანებული მინდვრებით და სპილენძისფერ-მოყავისფრო ხოდაბუნებით. მათ შორის მიიკლაკნება ანკარა ნაკადულები და პატარ-პატარა მდინარეები, რომელთა ნაპირებს ვერცხლისფერ-მომწვანო არშიებად ჩასდევს ბუჩქები.

აქ არც ზამთარია ცივი და არც ზაფხული ცხელი, გაზაფხული და შემოდგომა თითქმის ერთმანეთს ერწყმის.

ველ-მინდვრებზე ცხოველები ბინადრობენ, ხის ტოტებზე ფრინველთა სტვენა-გალობა ისმის, წყალში ათასგვარი თევზი დაცურავს. ყველგან სჩქეფს სიცოცხლე.

ძუძუმწოვართა შორის აქ არ ბატონობს ერთიდაიგივე მოწითალო ჟღალი ფერი, არც ფრთოსნები გამოირჩევიან ფერთა სიმრავლით, როგორც უძველეს დროში. ცხოველები ჭრელნი არიან, ფრინველთა შორის კი ჭარბობს თეთრი, რუხი და ლურჯი ტონები. ერთიც და მეორეც შენაძენია.

ხოლო ადამიანი?

ნუთუ ამ სიცოცხლით სავსე მხარეში ადამიანს ფეხი არ დაუდგამს?

რა თქმა უნდა, აქ. ადამიანიც არის და ჩვენზე ბევრად უფრო სრულქმნილიც.

როგორ მოხვდა ის აქ?

თუ კი ეს კითხვა ვინმეს დაებადება, მაშინ ჯერ მე ამიხსნას, თუ როგორ მოხვდნენ ამერიკაში ყვითელკანიანი აცტეკები, პოლინეზიაში ჰოტენტოტები, კარიბის კუნძულებზე ინდიელები, ვინ მიიყვანა ისინი „იქ“, და მაშინ მე ავუხსნი როგორ მოხვდნენ პოლუსის კუნძულებზე იქ მცხოვრები ადამიანები. ჩვენ პლანეტაზე ხმელეთის ყოველი ნაწილი ხომ კუნძულია და დედამიწის ზედაპირი კი — წყალი!

პირველი მიზეზი იმისა, რომ იქაური ადამიანი ჩვენზე სრულყოფილია ის არის, რომ იგი ჩვენზე უძველესია.

პლიოცენის უდიდესი დამფუძნებელი განადგურების შემდეგ პირველი დასახლებული მიწა უნდა ყოფილიყო პოლუსზე. აქ გაცივდა იგი ყველაზე ადრე. მაშინ ევროპის ადგილას ჯერ ისევ ვულკანები ებრძოდნენ ზღვას, შვეიცარია კუნძული იყო, რუსეთის მთელი დაბლობი — ზღვის ფსკერი, იტალია-აფრიკის ნაწილი, ზომიერი სარტყელი მაშინ პოლუსთან მდებარეობდა.

და როცა მყრალი ჭაობები ახლანდელი საბერძნეთისა და ასირიის ადგილას ჯერ ისევ შრებოდა მზის სხივებით, რომელიც ახლა სამხრეთ ამერიკაში საცხოვრებლად უვარგის სავანეებს წარმოქმნის, ჩრდილოეთ პოლუსის ქვეყნების მეცნიე-

რებმა შეძლეს გამოეცნოთ, რა მოუვიდოდა მათ სამყაროს ათასწლეულების შემდეგ, როცა დედამიწა გაცივდებოდა, რომ ზამთარი გრძელი იქნებოდა, ზაფხული მოკლე, ხეები და სხვა სათბობი გამოილეოდა. და მათ ეს გამოთვალეს ათი ათასი წლის შემდეგი პერიოდისთვის.

მაშინ ჩრდილოეთ პოლუსზე ჯერ კიდევ იყო ზამთარი და ზაფხული, მაგრამ როგორც კი დედამიწა პოლუსებთან გაცივდა, იქ გაჩნდა მაგნიტიზმი და ჩრდილოეთის ციალის სითბო შეცვალა მზის ცივმა, მკაცრმა სხივებმა. ამას ამტკიცებს მაგნიტური ისრის გადახრა ჩრდილოეთისკენ. ადამიანები ჩრდილოეთ პოლუსზე გაჩნდნენ ათი ათასი წლის წინათ ჩვენამდე, ისევე როგორც ჩვენ — ათი ათასი წლით ადრე — კუნძულელებზე. და როგორც ჩვენ ვდგავართ მათზე მაღლა, ისე პოლუსელები დგანან ჩვენზე მაღლა.

ეს არის მათი პირველი უპირატესობა.

მეორე პრივილეგიაა მაგნიტიზმი.

მაგნიტიზმის ძალა ყველასა და ყველაფერზე ვრცელდება, ბალახზე, ცხოველზე, ჰაერზე. ის აძლევს სასწაულებრივ ძალას რკინას და მასთან შეჭიდებულ ადამიანის გულს. ამ ზემოქმედებას შემდეგ გავაანალიზებთ, ახლა კი ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორია პოლუსელი ადამიანი.

ის უფერულია.

მცხუნვარე მზე არასოდეს შეხებია მის სახეს, ალებასტრივით თეთრია, სახის ნაკვთები დახვეწილი აქვს, მუქი პიგმენტების სიმრავლის გამო ფოლადისფერ-მოშავო თმებს სილურჯე დაჰკრავს, ასეთივე ფერისაა თვალები და წარბები. საშუალო სიმაღლის, მოხდენილი, ძლიერი აგებულების. იკვებება მცენარეულით და რძით. მაგნიტიზმის გავლენით ჩორცეულს ვერ იტანს. ამიტომ მისი კუნთები უფრო მოქნილია, სული უფრო სუფთა და არც ავადმყოფობს.

მათი მეტყველება უფრო დახვეწილია. შეუძლებელია ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე არ განვითარებულიყო უამრავი კილოები, მაგრამ ყოველი მათგანი ისეთი მელოდიური იყო, რომ მუსიკას მოგაგონებდათ, რომლის საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უგებდნენ, როგორც მგალობელი ფრინველები.

მათი სამოსიც ჩვენსაზე მსუბუქი იყო, არც ტყავი სჭირ-

დებოდათ, არც მაუდი, წელიწადის ყველა დრო თითქმის ერთნაირი იყო. მათ არც მოდები გააჩნდათ, თუ რატომ, ამ კითხვას ქვემოთ დავუბრუნდები.

უმთავრესი პლანეტა მათთვის დედამიწა იყო, ნამდვილი მბრძანებელი ვარსკვლავი. კეთილი, უსაზღვრო დედობრივი სიყვარულით აღსავსე დედამიწა — გაცისკროვნებული, შუქმფენი გვირგვინი, მათ ცას რომ ანათებდა, ჰაერს რომ ათბობდა, ნიადაგს რომ ანაყოფიერებდა.

მათ გაგვისწრეს მეცნიერებაში, საგრძნობლად გაგვისწრეს. მათთვის ცნობილია, რომ დედამიწის მაგნიტიზმი ეს არის ძალა, რომელიც შეიძლება მიიღო ციდან, დედამიწიდან და მისი დახმარებით შეუძლიათ შექმნან ყველაფერი, რასაც მოისურვებენ.

ჩვენც კი ვიცით, რომ თუ ჰაერში ქაღალდის ფრანს ავუშვებთ მავთულის ზონარით, ზონარი ელექტრულ ნაპერწკლებს ისვრის. ეს ჯერ კიდევ ფრანკლინმა იცოდა. მაგრამ მათ უკვე ისწავლეს მაგნიტიზმის კონცენტრირება ცეცხლის მისაღებად, რომელსაც შეუძლია ქვის ლოდიდან გამოადნოს მინა, მოძრაობაში მოიყვანოს მანქანები, ორთქლისა და ცეცხლის გარეშე და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს იარაღად, რომელიც ბევრად უკეთესი იქნება ამსტრონგის ზარბაზანზე და კონგრევის რაკეტებზე.

მეცნიერებამ ააცილა ისინი დედამიწას. მათ ამოიცნეს ფრენის საიდუმლოება. ეს საიდუმლო საჰაერო ბუშტებში კი არა, მოძრაობაშია. მერცხალს ხომ არა აქვს საჰაერო ბუშტი ზურგზე. მათ აქვთ მანქანები, რომელიც მოძრაობს ელექტრობით, და ამ მოძრაობით ადის ჰაერში. მათ შეუძლიათ შუშა გამოიყენონ როგორც მეტალი და როგორც კალამი. ჩვენც ხომ ვიცით, რომ მყიფე შუშისგან თუ თხელ ძაფებს მივიღებთ, შეიძლება დავწნათ, მოვქსოვოთ, და დავგრიხოთ თოკები.

სამოგზაუროდ და ტვირთის გადასატანად ისინი იყენებენ ცას, არ სჭირდებათ ჩვენსავით ქვითდაფარული გზების გაყვანა ამ დალოცვილ მიწაზე და მისი ყოველი გოჯი ამწვანებულია, ან პურის ყანებითაა დაფარული.

ფრენის გამოგონებამ შეუძლებელი გახადა ომები. მათ

შეუძლიათ ჰაერიდან გაანადგურონ ზარბაზნებით შეიარაღებული უდიდესი არმიაც კი, ისე, რომ ამისთვის ერთი ჯარისკაციც არ გამოიყენონ. იქ მათთვის არ არსებობს ჯარისკაცური დიდება, ბრძოლის ველზე სიკვდილი, ომის ინვალიდები, ჯარისკაცის ქვრივები და ობლები.

რაღა თქმა უნდა, მათთან არ არსებობენ დამპყრობლები. ვის შეუძლია დაიმონოს ხალხი, რომელსაც ფრენა ძალუძს.

მონობა მათთან არ არის, მუშა-საქონელიც კი არა ჰყავთ. ელექტრომაგნიტიზმს დაჰყავს გუთნები, გზების გარეშე ადგილზე მიაქვს ძნა, გამოყენებულია ყოველგვარ მამოძრავებელ ძალად.

მავნე ცხოველებისა და მტაცებლების წინააღმდეგ იქ იარაღს არ ხმარობენ. რაც იყო ასეთი, უკვე განადგურებულია, გარედან კი მათთან ვერავინ შეაღწევს. ქვეყანას მტკიცე კედელი აქვს შემოვლებული.

არც ქურდებისა და ბოროტი ადამიანების დევნა უხდებათ. იქ არავინ იპარავს. დედამიწა თითოეულს იმდენს აძლევს, რამდენიც სჭირდება, ყველა საკუთარი შრომით ცხოვრობს. მოსავლიან და მოუსავლიან წელიწადს შორის განსხვავება არ არის.

მათ არ გამოაქვთ ჯვრები და ბაირაღები, არ ლოცულობენ მზეზე და წვიმაზე. ისინი შრომით აღწევენ ყოველივეს.

როცა წვიმაა საჭირო, მეცნიერები მიმართავენ დედამიწის მაგნიტიზმს ზღვებისა და ტბებისკენ, წარმოქმნიან ღრუბლებს და მოიყვანენ წვიმას იქ, სადაც საჭიროა. როცა სითბოა საჭირო, ისინი ელექტრომაგნიტიზმის ცენტრში კონცენტრირებით აღწევენ ინტენსიურ გამოსხივებას და შორეული ჩრდილოეთის მცხოვრებთა თვალწინ ცაზე გაიელვებს საოცრება, ჩრდილოეთის ციალი. მაშინ ისინი ერთმანეთს ეკითხებიან „რა არის ეს?“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ პოლუსის ქვეყანაში ემზადებიან მოსავლის ასაღებად.

მათ შეუძლიათ დააღამონ კიდევაც, როცა მცენარეთათვის მოსვენებაა საჭირო. ტბებიდან ამოაქვთ ნისლი, დაფარავენ ზეცას და იძინებს სამყარო. და რადგანაც ყოველივე ერთდროულად კეთდება, ერთი სურვილით, მათ შორის სრული თანხმობა სუფევს. იქ არ არის უთანხმოება ეროვნებებს შორის,

სასაზღვრო ინციდენტები, არ არის ბრძოლა მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის, არის მხოლოდ სამშობლოს სიყვარული.

მათთან არ არსებობს უპირატესობანი წარმოშობასა და ტიტულებთან დაკავშირებით. თითოეული მათგანი ცხოვრობს თავისი შრომითა და გონებით. გონება მიწათმოქმედებისთვისაც საჭიროა, ეს ხომ ისეთივე მეცნიერებაა, როგორც ასტრონომია.

მთავრობა თუა? რა თქმა უნდა, და თანაც სავსებით ამართლებს თავის მოწოდებას, ზრუნავს ხალხზე. თავის ქვეშევრდომებს ჯარისკაცებად არ ამზადებს და გადასახადებს არ კრეფს, არც მათ სამზარეულოს ამოწმებს, რომ იცოდეს თუ რა იხარშება იქ, არც უამრავ პარაგრაფსა და კანონს უშვებს, არც ციხეებში ამყოფებს არც სკოლებში ატარებს რეგულარულად, არც ეკლესიებში სიმღერას აიძულებს, არც ქალაქებს ავსებს ოფიციალური უსაქმურებით, რომლებიც იჭერენ აურზაურის, ჩხუბის ამტეხებს და რაც უფრო მეტს დაიჭერენ, მეტ დამსახურებად ეთვლებათ. არც ბრძანებებს იძლევიან: როდის იმუშაოს ხალხმა, როდის დაისვენოს, როდის შეიძლება გართობა და როდის — არა, არც მათ ხორბალს, აბრეშუმსა და ლითონს ცვლის ქაღალდის ნაგლეჯზე. არა, აქ მთავრობა დაკავებულია სულ სხვა საქმით. მის ხელში თავმოყრილია მეტეოროლოგიური დაკვირვებანი სამყაროს ნაწილისა. იღებს ინფორმაციებს სხვადასხვა ატმოსფერულ და ელექტრულ მოვლენებზე, თვალყურს ადევნებს ქარების ამოვარდნას და ცნობას აწვდის ამის შესახებ მთელ ქვეყანას. ციხე-სიმაგრეები კი არაა მათთან, არამედ ობსერვატორიები, სახელმწიფოს რელიგია კი არა ყავს მეკავშირედ, არამედ მეცნიერება. მთავრობა ხელმძღვანელობს მეცნიერულ გამოკვლევებს, გამოგონებათა სრულყოფას, აღმოჩენა-სიახლეების სწრაფად გავრცელებას. ეს არის უმთავრესი ამოცანები, სხვას არც არაფერს ითხოვს ჩრდილოეთ პოლუსელი ხალხი თავისი მთავრობისაგან.

მაგრამ თუ მთავრობა ხალხს გადასახადებს არ ახდევინებს, რით ინახავს წარმოება-დაწესებულებებს, რით უხდის ფულს მეცნიერებს, რომლებსაც მიწის დამუშავება არ შეუძლიათ; უდიდეს აპარატს, მთელ მეტეოროლოგიურ სამსახურს, სკო-

ლებს, აკადემიას, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს? ეს ყოველივე ძალზე იოლად წყდება. სახელმწიფო შემოსავალს ილებს ვაჭრობით. მას ეკუთვნის ტრანსპორტი, რომლის დახმარებითაც ქვეყნის ერთი ნაწილი პროდუქტებს უცვლის მეორეს. ვაჭრობა სახელმწიფოს ხელშია. იქაც, პოლარული წრის მხარეშიც, ცნობილია, ეს საქმიანობა და მთავრობა დიდ წარმატებებსაც აღწევს ამ საქმეში. (მაგალითად, თამბაქოს მონოპოლია). ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მთავრობა მაგნიტიზმის ქვეყანაში კი არ ყიდულობს მოსახლეობისაგან მის მიერ მოყვანილ თამბაქოს ათ ფორინტად და შემდეგ არ ყიდის მასზევე ორმოცდაათ ფორინტად. მთავრობას იგი მიაქვს იქ, სადაც ის არ მოჰყავთ და სამაგიეროდ მოაქვს სხვა რამ, რაც იქ ბევრია. ამით ახერხებს იმას, რომ დეფიციტი არ იყოს.

გარდა ამისა, სახელმწიფოს ეკუთვნის ყველა ქარხანა, მაღარო, სამრეწველო საწარმოები, რომლებიც დიდძალ სახსრებსა და ძალას მოითხოვს. ამ საწარმოთა შემოსავლით ირჩენს თავს, ესაა მისი ძლიერების წყარო.

იქ არ არის საბირჟო სპეკულაცია, გაბანკროტება, არ არიან მილიონერები და ღატაკები. მილიონერი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო, ღატაკი — მხოლოდ მინისტრი.

სახლები როგორი აქვთ? და საერთოდ თუ აშენებენ?

შენება თუ იციან, აბა მათ იციან! ჩვენი ძველი არქიტექტურაც კი სასაცილოდ არ ეყოფოდათ. ჩვენ ასობით სხვადასხვა საშენ მასალას ვიყენებთ, ვქირაობთ ათობით სხვადასხვა ხელოსანს, ვაერთებთ ხეს, ქვას, რკინას, მინას. ჩვენი ბინები ბნელია, შიგ ქარი შემოდის, სახლმა ასი წელი თუ გასძლო და არ დაიწვა, უკვე უძველესს ვეძახით. მაგნიტიზმის ქვეყანაში სულ სხვაგვარადაა. ისინი ქვაფენილს არ აგებენ, სოდა უამრავი აქვთ ზღვისა და ტბის ნაპირებზე. ისინი ფართოდ იყენებენ მინას. ძლიერ ელექტრომაგნიტურ ცეცხლზე ისინი ადნობენ მინას და სოდას და როცა მასა გათხელდება, ორ საათში აშენებენ სახლს. როგორ? ბავშვობაში ვის არ გაუბერია საპნის ბუშტები? ჩალის ღეროს ერთ ბოლოს ჩავყოფთ საპნიან წყალში და შემდეგ მეორე ბოლოს ჩავბერავთ. წყლიდან ამოდის ფერადი, ერთმანეთზე მიწებებული ბუშტები, ყველაზე დიდი შუაშია. ასე აშენებენ ისინი სახლებსაც. ჩაუშვებენ მი-

ნის გასაბერ მანქანას გამდნარ მინის მასაში და რამდენიმე წუთში მზად არის მომრგვალებული მინის კედლებიანი, მინის სახურავიანი სახლი. ირგვლივ პატარა ოთახებია, შუაში კი, დიდი გუმბათის ქვეშ — სასადილო. მშენებლებს კარებები აქვთ გასაკეთებელი მხოლოდ. ოთახები ნათელია, არ არის ნესტიანი, ქარი არ უბერავს, არც ორპირი ქარია, ცეცხლი არ ეკიდება, რემონტი არ სჭირდება და რჩება მუდმივად. ყველაზე მეტი უპირატესობა ამ ქვეყნის მცხოვრებთათვის კი ის არის, რომ მინა ამშვიდებს ნერვებს, რომლებსაც აღიზიანებს მაგნიტიზმი.

როგორ აშენებენ სოფლებში? სოფელზე ლაპარაკი არც ღირს, იქ ხომ არც გზებია, არც ქუჩები, თითოეული სახლი დგას ბაღში განცალკევებით, როგორც ჩვენთან, ვესპრემ-ზალის მხარეს, ბალატონზე.

დედაქალაქში კი გრანდიოზული მშენებლობაა. იქ უმთავრესი სამშენებლო მასალა მინაა, რადგანაც ფაბრიკებსა და ობსერვატორიებში ელექტრომანქანებს სჭირდებათ იზოლაცია გარეთა ელექტრობის გავლენისაგან თავდასაცავად, და უზარმაზარი შენობის კედლები მოპირკეთებულია ვულკანიზებული მინის მინანქრით.

დედაქალაქის ცენტრში გიგანტური მრგვალი ნაგებობაა ორასი გუმბათით. ეს არის ელექტროვაგზალი საჰაერო ხომალდებისთვის.

ჩრდილოეთ პოლუსის ქვეყანაში არც ქარები იცის. იქ არც მუსონები ქრის, არც პასატები, არც ტორნადო; პაპანაქება სიცხეს არ მოსდევს წვიმა და სეტყვა. ქარებს არეგულირებს ადამიანის გონება.

როგორ იცვამენ ჩრდილოეთ პოლუსის მკვიდრნი? იქ ყველა აბრეშუმშია გამოწყობილი. აბრეშუმი ამშვიდებს ელექტრომაგნიტიზმის გავლენით გაღიზიანებულ ადამიანებს. იქ ძალზე იოლია აბრეშუმის წარმოება; დიდ შრომას არ მოითხოვს, იმდენი აქვთ, რომ ყველაფრის მაგივრად აბრეშუმს იყენებენ; ტილოს, შალის, ბამბის და ქაღალდის მაგივრადაც კი.

იქ წერენ და ბეჭდავენ? რა თქმა უნდა. ოღონდ არა ისე, როგორც ჩვენთან, ერთი რომ წერს და ათი კაცი მაინც აწყობს სტამბაში. ისინი აწყობენ პირდაპირ ორიგინალს.

მათ ყავთ პოეტები, რომლებიც წერენ პიესებს და მსახიობებიც? რა თქმა უნდა, ოღონდ მსახიობები თვითონვე არიან პოეტები, ისინი მოძველებულად თვლიან წესს, როცა ერთი ადამიანი წერს პიესას, და ათი სწავლობს როლებს და მოკარნახის დახმარებით წარმოადგენენ. რეჟისორი მხოლოდ პიესის სიუჟეტს აცნობს მსახიობებს, ანაწილებს როლებს და პოემა თუ დრამა იბადება იქვე მაყურებლის თვალწინ, პოეტურ-ართისტული შთაგონებით, და არა მოკარნახის დახმარებით. წინასწარ დაზეპირებულ სიტყვებს ისინი არ წარმოთქვამენ პარლამენტის სხდომებზეც კი.

იქნებ ვოკალური ხელოვნებაც აქვთ? და მერე როგორი! მომღერლებს წკრიალა, სუფთა ხმები აქვთ, ორ-ნახევარი ოქტავის დიაპაზონით აბსოლუტური სმენის მქონე მომღერალი ერთსა და იმავე დროს კომპოზიტორიც არის. მისი სიმღერები სრულდება გრძნობის კარნახით და არა ნოტების მიხედვით. მინისგან გაკეთებული მუსიკალური ინსტრუმენტები ზეციურ ჰანგებს გამოსცემენ.

რამდენით გაგვისწრეს ჩვენ სამყაროს შეცნობაში! მაშინ, როცა ჩვენს უმწეო, ქვანახშირით მომუშავე მინის ქარხნებს ვერ შეუქმნიათ რეფრაქტორი, რომელიც 50 ათასი მილით დაშორებულ მთვარეს ისე მოგვიახლოვებდა, რომ მასზე ადამიანისოდენა საგნებს გავარჩევდით, ისინი ელექტრული ცეცხლის გამოყენებით, რომელიც უსასრულოდ ძლიერდება, ქმნიან გიგანტურ გამადიდებელ სარკეებს, რომლებშიც სირიუსი ამოდის როგორც შუადღის მზე; მეზობელი პლანეტების ზედაპირი ისე მოჩანს, თითქოს ცის ნაცვლად ზემოთ ამოიმართა ახალი დედამიწა.

და განა საჭიროა მღვდლები იმათთვის, ვინც ამ გიგანტურ გამადიდებელ სარკეებში მეზობელ პლანეტებს ხედავს, ისეთივე ადამიანებით დასახლებულს, როგორიც ჩვენა ვართ,—დაფარულს ისეთივე ჭალებით, როგორიც ჩვენია, ვინც ექვსი მილიონი მილით დაცილებულ და ტელესკოპებით მოახლოებულ პლანეტებზე ხედავს სიცოცხლეს, რომლის საწყისი აქ ჩვენთან არის და გრძელდება მეზობელ მნათობებზე რასაც უდიდესი შრომითა და თანდათანობითი სრულყოფით მიაღწიეს. სჭირდებათ, მათ ეკლესია? სჭირდებათ რწმენა?

მათ კი არა „სწამთ“ ღმერთის, სულის არსებობა ანდა საიქიო სამუდამო სასუფეველი, მათ უბრალოდ „იციან“, რომ ეს ასეა!

სჭირდებათ, მათ სიკეთის, შრომისმოყვარეობის, ერთგულების ქადაგება?

არა, რა თქმა უნდა, არა. იქ არაა ტაძრები და ეკლესიები. იქაურ მოსახლეობას ხომ თვითონ დედამიწა ეხმარება ზეციური სიმშვიდის, სასუფევლის მოპოვებაში. იქ, სადაც აღწევს მაგნიტიზმის გავლენა, აღავსებს საოცარი ძალით არა მარტო ცასა და დედამიწას, არამედ ყველა სულდგმულს. მას ემორჩილება ადამიანთა გულებიც.

ჩრდილოეთის ციალით გამთბარი ადამიანები სიტყვისა და საქმის ერთგულებით გამოირჩევიან, მათი ენებები წმინდა ალით იწვიან, ჭვარტლისა და ბოლის გარეშე. ისინი ამაყობენ თავიანთი შეუბღალავი პატიოსნებით, შრომა მათთვის სიამოვნებაა, ახარებთ მოყვასის კარგად ყოფნა, თანაუგრძნობენ გაჭირვებულს, აფასებენ საკუთარ ადამიანურ ღირსებას და თავყვანს სცემენ სულით მათზე ძლიერს. მათ უყვართ ხუმრობა, მხიარულება, სიტყვამოსწრებულნი არიან. ჩრდილოეთ პოლუსზე არ არის დუელები.

დაბოლოს, მათ იციან ნამდვილი სიყვარული. თუ ორი გული შეერთდება, აღარასოდეს დაცილდებიან და სიკვდილის მეტი ვერაფერი დააშორებთ. ამ შემთხვევაშიც, ვინც პირველი კვდება, არ გადასახლდება თავისი ცხოვრების თანამგზავრის გარეშე სხვა პლანეტაზე, რომ ისევ აღდგეს მკვდრეთით და რჩება საყვარელი ადამიანის ახლოს, აგრძელებს სიცოცხლეს მის გულში და დედამიწის მაგნიტურ გამოსხივებაში; უცდის, ვიდრე არ მოკვდება მისი მეორე ნახევარი და შემდეგ ისინი ერთად გაემგზავრებიან ახალ სამყოფელში. ასეთია პოლუსელთა სიყვარული.

იქ არ არის ღალატი და „მოდა“, თითოეული ცდილობს, თავი მოაწონოს მხოლოდ გულის სწორს და სხვას არავის.

პოლუსელები დიდხანს ცოცხლობენ, მათი ბედნიერება ხომ სამუდამოა. მათთან არც ეპიდემიები და დაავადებები; ჰაერში არ არის გადამდები ბაქტერიები, არ იციან, რა არის სურდო და გრიპი, არც ამინდმა იცის უეცარი ცვალებადობა.

ადამიანები კვდებიან მხოლოდ ღრმად მოხუცები, ასევე ცხოველები და ფრინველები.

იქ არც ექიმები ჰყავთ. არც მათი ხანდაზმულობა და სიბერე წააგავს ჩვენსას; სახეზე არ უჩნდებათ ნაოჭები, თმები არ უთეთრდებათ და კბილები არ სცვივათ. მათი სიცოცხლე ისე იფერფლება, როგორც ნათურა (სანთებელა), როცა შიგ ნავთი გამოილევა.

მაგრამ თუ პოლუსელები დიდხანს ცოცხლობენ, თუ მათ არც ეპიდემიები ანადგურებს და არც ომები, როგორღა ეტევიან ასე მცირე ტერიტორიაზე?

ჯერ ერთი, კეთილშობილი რასის ხალხი ნაკლებად მრავლდება, მეორეც, მათი ტერიტორია სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

დედამიწის ზედაპირის გაცივებასთან დაკავშირებით იზრდება მაგნიტური გამოსხივება: ეს კი თანდათან ადნობს პოლუსის ირგვლივ ყინულის საფარს.

არასრულყოფილი რასის წარმომადგენლები, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თბილი სამხრეთის სარტყელთან მომრავლდნენ და ყოველი გოჯი მიწის ნაკვეთისთვის ერთმანეთს ანადგურებენ.

როცა ფრანკლინი, კეინი, მაკლინტოკი, კენედი და სხვა მამაცი ზღვაოსნები გაემგზავრნენ ამ ახალ ქვეყანაში, რომლის არსებობა თეორიულად უკვე დამტკიცებული იყო, მათ იცოდნენ, რომ ეს ორმაგი ყინულის სარტყელი როცა იქნება მიწისაგან პირისა აღგვგვის ჩვენ, როგორც თავის დროზე სხვა კატასტროფამ ეაანადგურა მამონტები, მაგრამ იქამდე ჩვენ ვერ მივაღწევთ.

ჩვენს შესახებ თუ იციან რამე?

მე ვფიქრობ, იციან.

როგორ? ისინი ხომ არასოდეს ყოფილან ჩვენთან!

ისევ ელექტრომაგნიტიზმის დახმარებით. თუ 30 წლის წინათ ვინმე იტყოდა, რომ დადგება დრო, როცა ინგლისის დედოფლის მიერ შუადღისას ლონდონში წარმოთქმულ სიტყვას დღის ორ საათზე უკვე სიტყვა-სიტყვით წაიკითხავენ ბუდაპეშტში, სანკტ-პეტერბურგში, კონსტანტინოპოლში და იმავე დღეს ათასობით მილის დაშორებით, ოკეანის გადაღმა, ამე-

რიკაში, მას ნამდვილად ალმაცერად შეხედავდნენ და „პოეტი ხარო!“ — ეტყოდნენ.

თუ ვინმე ოცი წლის წინათ იტყოდა, რომ გამოიგონებდნენ ისეთ მანქანას, რომელშიც ჩადებენ ბენვენუტო ჩელლინის შედევრს, რომელზეც ნახევარი წელი მუშაობდა და ორი საათის შემდეგ მზად იქნება ასეთივე შედევრი, ორიგინალის მსგავსი, რომლებსაც ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევდითო, ეტყოდნენ „დილეტანტი ხარო!“

თუმცა ეს უკვე განხორციელდა. და ეს სასწაული ელექტრომაგნიტიზმმა მოახდინა.

მაგრამ თუ ჩვენს შესახებ იციან ჩვენმა მაღალგანვითარებულმა ნათესავებმა, რატომ არ მოდიან ჩვენთან? მათ ხომ ყინულის საფარი ვერ დააბრკოლებთ, მათ ხომ შეუძლიათ ყადმოფრინდნენ. რატომ არ უნდათ განგვაცვიფრონ?

იმიტომ, რომ მათ ჩვენ არ ვჭირდებით.

რად ვუნდივართ ჩვენი მოწამლული სისხლით, ათასგვარი სნეულებისმატარებელი ბაქტერიებით, ფულის შოვნის, სიხარბემდე მისული, დაუოკებელი სურვილით, ეგოისტური სიყვარულით, ბრმა სიამაყით, უაზრო მოდებით? მილიონობით დაქირავებული მკვლელით, ამაოებით და პატივმოყვარეობით, უსამართლო კანონებით, ანგარებიანი მოსამართლეებით, ჩვენი ციხეებით, სახრჩობელებით, ფულით ნაყიდი სიამოვნებით, მოდური პარიკებით დამშვენებული ლამაზმანებით, ჩვენი მღვდლებით და ექიმებით? ჟურნალისტებით და მინისტრებით, მეფეებით და მონებით. ჩვენ ხომ მხოლოდ აქ მივაღწიეთ სრულყოფას...

მართლაც და რაში ვჭირდებით მათ?..

თუ კი მათ ჩვენი ამბავი იციან, მხოლოდ ვეცოდებით. მათი სამყარო — მომავალია.

ჩრდილოეთ პოლუსის ქვეყანა თანდათან ფართოვდება. მისი შუქი ანათებს და ათბობს სულ უფრო მეტ ფართობს. დედამიწა ცივდება და ზაფხულის საშუალო ტემპერატურა უახლოვდება გაყინვის წერტილს.

როცა იქნება დედამიწა ამას მიაღწევს, გამოილევა ქვანახშირის მარაგი, განადგურდება ტყეები.

მაგრამ რამდენადაც დედამიწის შიგნითა ფენები გაიყინება, იმდენად გაძლიერდება ელექტრომაგნიტური ძალა და როცა მკაცრი მზე, რომელიც არც აქამდე ანებივრებდა მას, საკუთარ მისიასაც დედამიწას დააკისრებს, იგი აელვარდება თავისივე შუქით, ოქროსფრად მოავარაყებს ზეცას თავისი სხივებით და გაათბობს ატმოსფეროს დღემუდამ ბედნიერი ადამიანებისთვის. აი სწორედ მაშინ დავემსგავსებით „ფარას, რომელსაც მწყემსი არ დასჭირდება“.

მაგნიტური რაინდი

როცა მოხსენება დამთავრდა, დარბაზიდან ყველა ლამპა გაიტანეს, მხოლოდ მთავარი ჭაღის სანთლები დატოვეს. ივანს მათთვის ელექტრომაგნიტური განათება უნდა ეჩვენებინა.

მთელი საზოგადოება განცვიფრებული და აღფრთოვანებული შეხვდა მოულოდნელად აელვარებული ვარსკვლავების ციმციმს. იფიქრებდით, თვით ვენერა ჩამოვიდა ციდან და თავისი სხივების შუქი მოჰფინაო დარბაზების მთელ ანფილადს. ამ სხივთა ნაკადში ძლივსღა ციმციმებდნენ ჭაღის სანთლები. ყველა იქ მყოფმა დაკარგა ჩვეულებრივი სახის ფერი. აქეთ-იქიდან ისმოდა ჩურჩული: „შეხედეთ, ადამიანები მაგნიტიზმის ქვეყნიდან!“ თვით ივანი ამაღლებულ ადგილას იდგა ამ ზღაპრული შუქის შარავანდედით მოსილი. უძვირფასესი ეროვნული კოსტიუმები, უძველესი საგვარეულო ძვირფასეულობანი, იქ მყოფ ქალბატონებს რომ ამშვენებდა, თითქოს არაამქვეყნიური მინანქრით დაფარულიყო და კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალება შეეძინა.

მაგრამ ყველას მისდაუნებურად აღტაცების შეძახილი აღმოხდა, როცა მზესავით თვალისმომჭრელად აელვარებულ სხივთა ნაკადში ორი სასწაული წარმოუდგათ. ერთი იყო გრაფინია ანგელა. ახალმა შუქმა მის სახეს საკუთარ სილამაზეში დარწმუნებულის სიამაყის ბრწყინვალება ჩამოაცილა, რამდენიმე წამით დაკარგა მიწიერი მომხიბლაობა და ციურ ფერიად იქცა, ნეტარი იერით რომ ტოვებს დედამიწას და თავისი მფარველი ანგელოსის ფრთებით მიემართება ზეცისკენ,

ვარსკვლავებისკენ, რომელთა შუქი ანათებს მთელ მის სხეულს; სახე კრისტალს წააგავდა, რომელზეც ყოველგვარი მიწიერი ვნებების კვალი გამქრალიყო, ვერც სიხარულს ამოიკითხავდით, ვერც მწუხარებას, ვერც სიჯიუტეს, ვერც ირონიას! ეს სასწაული მაგნიტურმა შუქმა მოახდინა.

მეორე სასწაული იყო გრაფინია ტეუდელინდა. იგი მალალ კვარცხლბეკზე შედგმულ სავარძელში იჯდა სტუმრებისგან განცალკევებით. ამ ზღაპრულმა შუქმა მის სახეს ჯადოსნური ბრწყინვალება შეაფრქვია. მუდამ ფერმკრთალი და მიბნედილი ახლა რაღაც უხილავი ძალით ჰყვაოდა, კეთილშობილურ ნაკვთებს ახალგაზრდული იერი დაბრუნებოდა და იქ მყოფნი თვალს ვერ აცილებდნენ მის სწორუპოვარ სილამაზეს. ხოლო როცა შუქმა გრაფინიას თავზე უძვირფასესი ბრილიანტებით მოჭედილი დიადემა ააელვარა, იფიქრებდით, რამდენიმე ვარსკვლავის ბრწყინვალება ერთად გამოკრთაო. გრაფინია მართლაც დიდებული მეფური იერით შეჰყურებდა იქ მყოფთ. ხუთი წუთის განმავლობაში იგი ყველა მზეთუნახავზე ულამაზესი იყო, თუმცა დიდი ხანი იყო, რაც სარკეს აღარ ეთქვა მისთვის: „შენზე ლამაზი და მშვენიერი, ამ ქვეყანაზე არავინ არის!“ დარბაზის კედლის მთელ სიგრძეზე სარკეები იყო ჩასმული და სტუმრებს თავისუფლად შეეძლოთ საკუთარი სილამაზით დამტკბარიყვნენ. გრაფინია ტეუდელინდა ხუთი წუთის განმავლობაში შეჰხაროდა თავის სწორუპოვარ, მომხიბლავ ორეულს და ფიქრობდა „მე ლამაზი ვარ, როგორც დედოფალი მაბი“.

შემდეგ ჯადოსნური ვარსკვლავი თანდათან ჩაიფერფლა და ირგვლივ ჩამობნელდა — სანთლები ენთო მხოლოდ ჭაღზე. ყველას მისდაუნებურად აღმოხდა: „რა მალე გაჰქრა ეს ღვთაებრივი სასწაული!“ სტუმრები თვალებს იფშვნეტდნენ და აქეთ-იქით იხედებოდნენ, თავი სიზმარში ეგონათ. მაგრამ სულ მალე ყოველივე გაჰქრა და ერთმანეთის ნაცნობ სახეებს ხედავდნენ მხოლოდ; მათ შორის აღარ იყო არც არიელი, არც ფერია ილონა, არც ციური დედოფლები და არც ჰუნთა ზღაპრების გმირები. დარბაზში ისხდნენ წარჩინებული გრაფები, გრაფინიები, მეცნიერები. ანგელა ისევ ამაყი და მომაჯადოებელი იყო. ტეუდელინდა ისევ ცივი და მოტეხილი.

ყველა ივანისკენ მიიწევდა მისალოცად, ყველას უწდოდა თავისი აზრი გამოეთქვა.

პირველი მიიჭრა მასთან აღფრთოვანებული გრაფი გეზა, იფიცებოდა, აუცილებლად ვნახავ იმ ქვეყანას, რომლის შესახებაც გვიყვებოდიო. და ვიდრე ივანმა არ აუხსნა, სად შეიძლებოდა წაეკითხა ამის შესახებ დაწვრილებით, ხელი არ გაუშვა.

ბარონი ედუარდი სკეპტიკურად უყურებდა მოხსენებას და თავისი აზრი ასე გამოთქვა: „თქვენ ალბათ ცოტა გონებაშეზღუდულებად გვთვლით, არა?"

სულ სხვაგვარად გაიგო მოხსენების აზრი საკმაოდ განათლებულმა გრაფმა იშტვანმა.

— ეს ყოველივე ჩვენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობას ეხება; რომელიც მეცნიერებისა და პოეზიის საღებავებით არის მოხატული, რომლის არსის გაგება მხოლოდ ჭკვიან ხალხს შეუძლია. ასევეა დაწერილი უძველესი, მიკდოშ კლიმიუშის დროის ისტორია. ბავშვები მას კითხულობენ, როგორც სათავგადასავლო ზღაპარს, ფილოსოფოსთა გონება კი მასში მწარე სატირას სწვდება სასულიერო და საერო ხელისუფალთა შესახებ. ხომ გამოვიცანი თქვენი ნათქვამის არსი?

ივანმა ყველას მადლობა გადაუხადა შენიშვნებისთვის და სასახლის დიასახლისს მიუახლოვდა.

ტეუდელინდამ გაუღიმა. მისი სავარძლის უკან ანგელა იდგა. ახალგაზრდა გრაფინიამ მოირბინა მამიდასთან სიტყვებით:

— მამიდა, თქვენ ისეთი მშვენიერი იყავით, როგორც დედოფალი მაბი!

ტეუდელინდას გაეღიმა და შენიშნა, რომ მათ ივანი უახლოვდებოდათ. ო, ის ძვირფასი ხუთი წუთი! ის ხომ ულამაზესი იყო! და ამისათვის სამუდამოდ დავალებული იყო მისგან.

— მადლობას მოგახსენებთ ამ უდიდესი სიამოვნებისათვის! — ღიმილით მიმართა გრაფინიამ და ხელი გაუწოდა.

— მე ვალში ვარ თქვენთან, გრაფინია, — უპასუხა ივანმა, როდესაც პატივი დამდეთ და ჩემს ბინაში შემობრძანდით, ალმასი მომეცით დასაწვავად. ახლა მის სანაცვლოდ გიძღვნით ალმასს, რომელიც თქვენს თვალწინ დაიბადა. ივანმა მავთულიდან მოხსნილი ქვანახშირის ნატეხი გაუწოდა.

— როგორც მოხსენებაში აღვნიშნე, ქვანახშირი მაგნიტურ ცეცხლში ალმასივით მაგრდება და შეუძლია მინის გაჭრა — გაჩხაპნა.

— ამას ახლავე შევამოწმებთ, — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ანგელამ, — აი, სარკიანი კედელიც, წამობრძანდით!

გრაფინია ტეუდელინდა წამოდგა და სამივე სარკიან კედელს მიუახლოვდა.

— დაწერეთ რომელიმე ასო, — სთხოვა გრაფინია ანგელამ და ივანს შეხედა.

ნეტავ რას დაწერს? თუ პატივმოყვარეა, თავისი სახელის პირველ ასოს ი-ს; თუ პირფერია, სასახლის დიასახლისის სახელის ასოს — ტ-ს; ხოლო თუ ჩემი სილამაზით თავგზააბნეულია, ა-ს. სამივე შემთხვევაში ქალღმერთის სახეზე დამცინავი ღიმილი გაითამაშებს.

ივანმა აიღო ქვანახშირის ალმასადქცეული ნატეხი და სარკეზე დაწერა.

გრაფინიას ეანცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ასოზე არ იწყებოდა არც ერთი სახელი რომაულ-კათოლიკური ეკლესიის კალენდარში.

განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ ასოსაც და ალმასსაც, რომელიც გრაფინია ტეუდელინდამ აიღო და აღუთქვა ივანს, ჩემს ძვირფასეულობასთან ერთად შევინახავთო.

გრაფინია ანგელა ისე ახლოს იდგა ივანთან, რომ კაბის არშიებით ეხებოდა.

— იცით, მე მჯერა ყოველივე იმისა, რაც გვიამბეთ. ძალიან გთხოვთ, არ მითხრათ, რომ თქვენი მოხსენებით საზოგადოების დაინტერესება გინდათ უჩვეულო ფანტასტიკით, ან რომ თქვენი მიზანი იყო ბევრი უსაქმო ახალგაზრდის შეყვანა ბიბლიოთეკებში პროფესორებთან იმის დასადგენად, რა იყო თქვენს ნაამბობში მართალი და რა — გამოგონილი. მათ შეიძლება გამოკვლევების, ძიების სურვილიც გაუჩნდეთ. მე მჯერა, მაგრამ მინდა ვიცოდე უფრო მეტი იმ სამყაროზე არის იქ კიდევ? რას ხედავთ თქვენ იქ? ადამიანმა, რომელსაც გააჩნია წინასწარხედვის უნარი, ყველაფერი უნდა იცოდეს.

გრაფინია ანგელას თვალებს ისეთი მაგნიტური ძალა გააჩნდა, რომ მისი გავლენით მართლა შეიძლებოდა სასწაული დაე-

ნახა ადამიანს, ვისაც შეხედავდა. ამ სხივოსანმა თვალებმა უკვე ბევრი დაიმონა.

— თქვენ გვითხარით, — განაგრძო ანგელამ, — რომ ადამიანებს იქ შეუძლიათ სიყვარული მთელი გრძნობით, მთელი გატაცებით, მაგნიტიზმის გავლენით. მჯერა, მაგრამ მაგნიტიზმს ხომ ორი პოლუსი აქვს, ჩრდილოეთი და სამხრეთი. წაკითხული მაქვს, საპირისპირო პოლუსები ერთმანეთს იზიდავს, მსგავსი კი პირიქით, განიზიდავს. ესე იგი, თუ მაგნიტიზმის ქვეყანაში გულები ერთმანეთს იზიდავენ და ამას სიყვარულს ეძახიან, რომელიც სამუდამოა, ბუნებრივია, იქ აუცილებლად იქნება სიძულვილიც, რომელსაც ადამიანები გაურბიან. თუმცა ამაში ისინი დამნაშავენი არ არიან, და ამიტომ არც სიძულვილი უნდა ითვლებოდეს ცოდვად. ასე არ არის?

ივანი მიხვდა, რომ მარწუხებში მოექცა. მან კარგად იცოდა, რის შესახებაც ეკითხებოდა გრაფინია, ანგელამაც იგრძნო, რომ მას გაუგეს. ივანმა ისევ ფიზიკის დახმარებით იხსნა თავი.

— დიახ, გრაფინია, მთელ დედამიწაზე, სადაც კი სიცოცხლეა, თანაბრად არსებობს როგორც სიმპათია, ისე ანტიპათია. თქვენ შესწავლილი გაქვთ მაგნიტიზმი. პოლუსების შესახებაც წაგიკითხავთ, ალბათ ისიც გეცოდინებათ, რომ მაგნიტიზმს აქვს ეკვატორი, რომელიც არც ჩრდილოეთს ეკუთვნის და არც სამხრეთს. ეს არის მაგნიტური ეკვატორი. იქ არ არის არც მაგნიტური მიზიდულება, არც განზიდულობა. იქ სიმშვიდეა. ასეთი მაგნიტური ეკვატორი ყველა ადამიანის გულში გადის და როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ვნება და თავდავიწყება, ეს ხაზი ეკვატორისა უცვლელი რჩება. სწორედ ეს აძლევთ სიმშვიდეს იმათ, ვინც აქ ცხოვრობენ.

— ვინ ცხოვრობს მაგნიტურ ეკვატორზე? — ჰკითხა გრაფინია ანგელამ.

— მაგალითად, ბავშვები მშობლებით და მშობლები ბავშვებით.

გრაფინიას სახე წამოენთო, უმშვენიერესმა თვალებმა ნაპერწკლები სტყორცნეს ივანს, მაგრამ მის სახეს გარეგნული სიმშვიდე არ დაუკარგავს.

— ამის შესახებ ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, — წარმოთქვა

მან ამაყად და დარბაზში გაუჩინარდა. ივანმა თავი დაუკრა მზეთუნახავს და მამაკაცებისკენ გაემართა.

სტუმრები ბუფეტში გავიდნენ. ივანი შესანიშნავად გრძნობდა თავს მათ საზოგადოებაში. ხანდაზმულებმაც და ახალგაზრდებმაც იგი გულთბილად მიიღეს. ორმოც წლამდე ასაკის ახალგაზრდები კი უკვე შენობით მიმართავდნენ. მაღალი წრის არისტოკრატიამ იგი თავისი საზოგადოების წევრად ჩათვალა. ეს ხომ მათთვის ძნელი არ იყო. ხვალ ივანი ეკიპაჟზავრებოდა თავის მესოპოტამიაში და ყველას დაავიწყდებოდა.

მისი მოხსენების შესახებ აქა-იქ ხუმრობაც კი დაიწყეს. მაშინ მიხვდნენ, რომ ეს მეცნიერი ძალზე სასიამოვნო პიროვნება იყო. ხუმრობაც ესმოდა და სხვებზე გულიანადაც იცინოდა, როცა რაიმეს მოსწრებულად ეტყოდნენ, მაგრამ არავის ვალში არ რჩებოდა და სამაგიეროს უზღავდა ისეთი ღიმილით და ტაქტით, რომ არ წყენოდათ.

პირველი, ვინც მის წინაღმდეგ გამოვიდა, გახლდათ ჰუსარი, მარკგრაფი შალიშტა, რომელსაც თავადები კაპიტანს ეძახდნენ. ეს იყო მხარბეჭიანი, მოკრივის აღნაგობის კაცი, უკანგადავარცხნილი ხვეული თმით, მწითური, მოღიმარი სახით და შავი, გადაგრეხილი ულვაშებით. იგი კოჭლობით მიუახლოვდა ივანს, ხელი ჩამოართვა და გაეცინა:

— ჰუსართა კაპიტანი მარკგრაფი შალიშტა. არ იფიქროთ, იმიტომ ვკოჭლობდე, რომ ფეხში ვიყო დაჭრილი, ერთმა მორიდებულმა პოეტმა შემთხვევით დამაბიჯა დეზზე და ქუსლიანად ამაგლიჯა.

ივანმა გაიცინა.

— პოეტური თავისუფლება! — ჰეკზამეტრი იყავი და მან იამბად გაქცია.

— კარგი კალამბურია! — გაიცინა კაპიტანმა — მე ვიყავი ჰეკზამეტრი, და გავხდი იამბი. ახლა კი ნება მომეცი, მეც გეხუმრო. შენ გვითხარი, რომ მაგნიტიზმის ქვეყანაში ლურჯი თმები აქვთ, რაკი ასეა, წვერიც ლურჯი უნდა ქონდეთ. ესე იგი ტყუილია, რომ მათ თითო ცოლი ყავთ, ლურჯწვერას ხომ შვიდი ცოლი ეკუთვნის!

— თუ შვიდი კალათა![1] — უპასუხა ივანმა.

[1]. „კალათის მიღება“ უნგრეთში ნიშნავს უარის თქმას საცოლისაგან.

— ეჰ, ვიღაცამ გამყიდა, — ღიმილით წამოიძახა კაპიტანმა. ახალგაზრდები სიცილით დაიხოცნენ. ყველამ იცოდა, რომ შალიშტა სულ საცოლის ძებნაში იყო და საქმიანი მოლაპარაკება საბოლოოდ საქმის გადაწყვეტამდე ვერასოდეს ვერ მიყავდა.

საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ადამიანს, რომელსაც შეიძლება ეაექილიკოს და იცის, რომ პასუხსაც მიიღებს მისგან.

— ისე, ნამდვილად საინტერესო ქვეყანაა, — აღარ ეშვებოდა მარკგრაფი შალიშტა. — ყველა მისი მცხოვრები ლეიდენის ქილასავითაა, ნაპერწკლები სცვივა. დუელის დროს რევოლვერები არც არის საჭირო, საკმარისია მხოლოდ ხელი გაიშვირო მოწინააღმდეგისკენ.

— მაშინ ნახავ, რომ იგავი სინამდვილედ იქცევა და შენი ხელი განიმუხტება.

— იგავში, მართალია, ნახსენებია „ღორის ფეხი", — სიცილით უპასუხა კაპიტანმა, — ეაგრამ სხვა გზა არა მაქვს, ხუმრობაში უნდა ჩავატარო, ვინაიდან ჩემს მიერ დაგებულ მახეში გავები.

— თუ ქუჩაში სიგარის მოწევა მოგინდება, მიუახლოვდები მიმავალ ქალიშვილს და ეტყვი „თუ შეიძლება გაკოცებთ, სიეარას მინდა მოვუკიდო".

ახლა უკვე ივანს დასცინოდნენ. იგი არ გაბრაზებულა, თუმცა პოეტებსა და მეცნიერებს არ უყვართ, როცა მათზე იცინიან.

— ისინი სიგარებს არ ეწევიან! მათ იქ მოწყობილი აქვთ ჩვენი გაზის სინათლის მსგავსი რამ. სახელმწიფოს დღე და ღამე დიდი ქვაბით უდგას თუთუნი ცეცხლზე, კვამლი მილებით მიდის სახლებში, ყველა ოთახში არის ონკანი ქარვის მუნდშტუკით. ვისაც რამდენი უნდა, იმდენს ეწევა სახელმწიფო ყალიონიდან.

— დიდებულია! — აღტაცება ვერ დაფარა მარკგრაფმა შალიშტამ.

— მე მხოლოდ ის არ მომწონს იმ შენს სახელმწიფოში, რომ ცხენები არა ყავთ და დოღს არ აწყობენ, — ჩაერია საუბარში ბარონი ოსკარი.

— სამაგიეროდ ამას თავისი უპირატესობა აქვს, იქ არა აქვთ ტოტალიზატორი.

ამაზე უკვე ყველამ გაიცინა. ბარონ ოსკარს უამრავი ფული ჰქონდა წაგებული დოლზე.

— და მაინც ის შენი ქვეყანა არ მომწონს, — განაგრძო კაპიტანმა, — რა ვიქნებოდი მე იქ? მათ ხომ არმია არა ყავთ?

— არმია მის უწმინდესობა პაპსაც კი არა ყავს, — უპასუხა ივანმა.

ყველამ გაიცინა, კაპიტანს ჯერ სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, შემდეგ კი მანაც გაიცინა.

— მე ყველაზე მეტი პრეტენზიები მაქვს, — შემოუერთდათ აბატი შამუელი, — თქვენ განდევნეთ მაგნიტიზმის ქვეყნიდან მთელი საეკლესიო დასი.

— ამას ადვილად ეშველება, — მეგობრულად უთხრა ივანმა — საკმარისია მხოლოდ ჩვენი „მწუხრის ლოცვის“ სიტყვებს გაეცნონ.

ივანის ამ რეპლიკამ ყველა აღტაცებაში მოიყვანა, „მწუხრის ლოცვის“ ამბავი უკვე იცოდნენ, გრაფინია ტეუდელინდამ თვითონ უამბო ნაცნობებს. მისი აზრით უკეთესი იყო მისგან გაეგოთ. თუმცა აბატის თანდასწრებით ამაზე ხუმრობას ვერავინ ბედავდა, ეს ფრიად სერიოზულ საქმედ მიაჩნდათ. ახლა კი, როცა დაინახეს, როგორ იცინოდა თვითონ მოძღვარი ივანის ხუმრობაზე, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მასთან მხიარული დროსტარება შეიძლებოდა.

მან იცის ჩვენი ჟარგონი, იცის რაზე ვიცინით, იმას კი, ვინც ჩვენი წრის არ არის, ამისი არაფერი გაეგება.

მას შეიძლება უთხრა „ჩაო!“

ეს მეცნიერი კარგი ბიჭია. ავღნიშნოთ მისი გაცნობა!

— მართლა არა სვამ ღვინოს? — ჰკითხა ივანს კაპიტანმა.

— ასე, წელიწადში ერთხელ.

— წელს უკვე დალიე?

— არა.

— მაშ შეგვიძლია დღეს მთელი წლისა დავლიოთ. ვინ შემოგვიერთდება?

მამაკაცთა ნაწილი საცეკვაო დარბაზში გავიდა. ქალბატონები ჩაის შემდეგ ყოველთვის კადრილს ცეკვავდნენ როია-

ლის თანხლებით, ზოგჯერ კი ჩარდაშსაც. გრაფი იშტვანი ყოველთვის უკანასკნელი ტოვებდა დარბაზს, მხოლოდ მაშინ წავიდოდა სახლში, როცა დაინახავდა, რომ საზოგადოება უკვე დაშლას აპირებდა. მაგრამ ყველა მაინც არ მიდიოდა შინ. ზოგიერთები გრაფთან ერთად განცალკევდებოდნენ ხოლმე მის აპარტამენტებში, რომლებსაც გრაფინია ტეუდელინდას სასახლეში მთელი მესამე სართული ეჭირა და იქ იწყებოდა ნამდვილი დროსტარება.

გვერდითი ოთახებიდან, საიდანაც ქვემოთ ხმა არ ჩადიოდა, მხიარული სიმღერები და სადღეგრძელოები ისმოდა.

აქ ივანმა მათ დაუმტკიცა, რომ სმაც სხვაზე ნაკლებად არ შეეძლო. მისი სადღეგრძელოები იყო შინაარსიანი, ხუმრობა მახვილგონიერი, ანეგდოტები ახალ-ახალი და რაც მთავარია, რამდენიც არ უნდა დაელია, ხასიათი არ ეცვლებოდა, მშვიდი და მხიარული რჩებოდა.

— ძმაო! — ენის ბორძიკით მიუახლოვდა ღამის ორ საათზე გრაფი გეზა, — მე და კაპიტანმა მოვილაპარაკეთ, რომ სახლში წაგიყვანდით, თუკი დათვრებოდით, მაგრამ ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაგნიტურო რაინდო, ახლა მე თვითონ როგორ ჩავიდე კიბეზე, არ ვიცი. თქვენ გააგრძელეთ უჩემოდ, როგორც გინდათ.

გრაფი გეზა დაწვა ტახტზე და დაიძინა.

მისმა გულწრფელმა აღიარებამ ყველა გააცინა. იცინოდა ივანიც.

„მაგნიტური რაინდი“ მას სრულიად სამართლიანად შეარქვეს. — ადამიანის სახელი გამოხატავს მის ხასიათს — სთქვა ივანმა. — ჩემი სახელი „ივან“ ნიშნავს ნასვამს.

— ბანქოს თუ თამაშობ? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ასე, სამ წელიწადში ერთხელ.

— ეს არ არის საკმარისი.

ივანმა ვეღარ მოასწრო ეკითხა, რატომ არ არისო საკმარისი; გრაფი იშტვანი ამოვიდა ქვემოდან და განაცხადა, რომ უკვე ყველა წავიდა და გრაფინიაც მოსასვენებლად მიბრძანდებაო. ასე რომ, ხმაური და მხიარულება უნდა შეეწყვიტათ.

— შინ წასვლაზე ლაპარაკი არ დაიწყოთ ახლა, — თქვა გრაფმა შალიშტამ, — ბანქო ვითამაშოთ!

ვის გსურთ?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა ბატონ აბატს, ეს მისთვის მეცნიერული სამუშაოა; შემდეგ ბარონ ოსკარს, ეს მისთვის გატაცებაა; მესამეა კაპიტანი, ეს მისთვის ხელობა. მეოთხე? მეოთხე ვინ იქნება? — რას იტყოდით, ჩვენო მეცნიერო მეგობარო?

გრაფმა იშტვანმა საჭიროდ ჩათვალა გაეფრთხილებინა სტუმარი, რომ ისინი მხოლოდ დიდ თანხაზე თამაშობდნენ.

ივანს გაეღიმა.

— მე ყოველდღე ვიწვევ აზარტულ თამაშში მის უდიდებულესობა ბუნებას და სულ მცირედი მოგებისათვის სასწორზე ვდებ მთელ ჩემს ქონებას.

იგი ბანქოს მაგიდას მიუჯდა.

ეს თამაში ყველას უყვარს, უყვართ სოფელშიც, ოღონდ იქ ჯერ კიდევ არ იციან, როგორ გადააქციონ იგი აზარტულ თამაშად. ჩვეულებრივ, აზარტულ თამაშში მთავარია მხოლოდ გამძლეობა და ბედის წყალობა. მთვრალსაც კი შეუძლია მოიგოს. ტაროკში კი რომლის თამაშსაც ახლა აპირებდნენ, ბედსა და ბრმა შემთხვევითობასთან ერთად საჭიროა სიფრთხილე, ანგარიშიანობა, წინდახედულება და რისკი. თამაშის დროს მარტო ფსონის ქაღალდს კი არ უნდა უყურო, არამედ პარტნიორებს სახეზეც უნდა დააკვირდე. სხვის სახეზე მისი განწყობილების ამოკითხვა უნდა შეგეძლოს, შენი კი არ უნდა შეამჩნევინო, დიდი მსახიობივით უნდა მოიქცე, რომელსაც ძალუძს გაიცინოს მაშინ, როცა რაიმე აწუხებს, ადარდებს და დანაღვლიანდეს, როცა გახარებულია. კარგი მხედართმთავარივით უნდა შეგეძლოს ყოველ მომენტში ახალი საბრძოლო გეგმის შედგენა. სულგრძელი პარტნიორი უნდა იყო, რომ შეგეძლოს, საჭიროების შემთხვევაში, შეწირო კიდევაც საბოლოო გამარჯვებისათვის, საერთო საქმისთვის.

ამიტომ ივანი შეეცოდათ კიდევაც სათამაშო მაგიდას რომ მიუჯდა ასეთ აღიარებულ თავგამოდებულ მოთამაშეებთან ერთად. ეს იმათი საქმე არ იყო, ვინც სამ წელიწადში ერთხელ აიღებს ხელში ფსონის ქაღალდს და წელიწადში ერთხელ დალევს ღვინოს. მით უფრო მაშინ, თუ დალევას და თამაშსაც ერთ დღეს მოინდომებს.

დილის შვიდ საათზე კი, როცა მოთამაშეები მაგიდიდან წამოდგნენ, მარკგრაფმა შალიშტამ უთხრა ივანს:

— ეს მართლაც დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის, რომ წელიწადში ერთხელ სვამ და სამწელიწადში ერთხელ თამაშობ, თორემ ყოველდღე რომ გიხდებოდეს, ალბათ აღარც ღვინო იქნებოდა იალიჩის მარანში და არც ფული — როტშილდის სალაროში.

ივანმა უკანასკნელი გროშებიც კი არ შეარჩინათ.

— მართლაც ყველაფერი შესძლებია! — ამოიოხრა ბატონმა აბატმა.

— ახლა კი ერთიც დავლიოთ, გამოსამშვიდობებელი! — თქვა კაპიტანმა, — რად არის აბსენტი?

მან შამპანურის ორი ბაკალი აავსო ამ ბანგით, უმაგრესი სასმელით, რომელსაც ჭკუაზე მყოფი რამდენიმე წვეთს თუ დალევდა.

გრაფმა იშტვანმა უარი განაცხადა ამ „საწამლავის“ მიღებაზე, ივანმა კი ბაკალი მიუჯახუნა კაპიტანს და სულმოუთქმელად დაცალა.

ამის შემდეგ, რაკი დარწმუნდა, რომ ყველაფერი გააკეთა, რასაც მისგან მოითხოვდნენ, თავაზიანად გამოეთხოვა გრაფ იშტვანს, რომელმაც მოწიწებით სთხოვა, ხშირად ყოფილიყო მისი ყველაზე ძვირფასი სტუმარი. ივანი და ბატონი აბატი ერთად წავიდნენ.

მარკგრაფმა შალიშტამ ძლივს მიაღწია კარებამდე. აბსენტი მართლაც უზომოდ დიდი დოზით მიიღეს. გასასვლელში მან კიდევ ერთხელ გააოცა სტუმრები, ხელი დასტაცა ივანის კრაველის ქუდს და გაიძახოდა ჩემია. ივანი იძულებული გახდა მისი ოქროსფილებიანი სამხედრო ქუდით დაბრუნებულიყო სახლში.

როცა კიბეზე გამოვიდნენ, მარკგრაფმა აიჩემა მაგნიტიზმის ქვეყნიდან ვარ და ფრენა შემიძლიაო. ივანმა და აბატმა ძლივს ჩამოიყვანეს მეორე სართულზე, გადმოფრენას აპირებდა. ახლა გრაფინიასთან გამომშვიდობება მოითხოვა, მადლობა უნდა გადავუხადო ჩემი მოხსენების ბოლომდე მოსმენისთვისო, წარმოიდგინა, რომ თვითონ იყო ის მეცნიერი, რომელმაც დღეს მოხსენება წაიკითხა და თავის გატეხვით დაემუქრა ყველას,

ვინც ამაში ეჭვს შეიტანდა. ნაბიჯი ვერ გადაადგმევინეს, სანამ რომელიღაც მოახლემ არ გამოუწოდა ხელი ღია კარიდან და გამოსამშვიდობებლად არ აკოცა. ამის შემდეგ დიდი გაჭირვებით ჩასვეს კარეტაში და ივანმა თავის სასტუმროში წაიყვანა, ვინაიდან ამ დროს მას უკვე აღარაფერი გაეგებოდა.

შუადღისას აბატმა მოახსენა გრაფ იშტვანს გუშინდელ გართობაზე, მარკგრაფი შალიშტა უგონოდ მთვრალი წევს საწოლში და ივანი წერილების წერით არის გართულიო.

— უძლიერესი მამაკაცია ნამდვილად! — თქვა გრაფმა იშტვანმა.

— დაუხარჯავი ენერგიით... — შენიშნა აბატმა.

საზოგადოებაში ივანს „მაგნიტური რაინდის“ სახელი შერჩა.

ამის შემდეგ მაგნიტურ რაინდს იწვევდნენ ყველგან, აირჩიეს კლუბის მუდმივ წევრად, რომელშიც სამ კლასად იყვნენ დაყოფილი და პეპლებად იწოდებოდნენ. დღის, საღამოს და ღამის პეპლებად. დღისით აქ მეცნიერები ათვალიერებდნენ და კითხულობდნენ აქაური უმდიდრესი ბიბლიოთეკის საინტერესო, იშვიათ გამოცემებს; საღამოს, ექვსიდან რვა საათამდე, თამაშობდნენ და პოლიტიკაზე საუბრობდნენ სასამართლოს მსაჯულები და ვექილები; რვიდან შუაღამემდე კი თავს იყრიდა მაღალი წრის საზოგადოება. ამიტომ ისინიც კი, ვინც მოდიოდა კლუბში, ერთმანეთს ვერ ხვდებოდნენ.

ივანი დღისით ბიბლიოთეკაში იჯდა, საღამოს კი ღამის პეპლების საზოგადოებაში ატარებდა.

სახლში დაბრუნებაზე ჯერ არ ფიქრობდა. არ იკლებდა ყოველთვის გართობას და უფრო მეტიც, იმათ რიცხვში იყო, ვისაც თეატრში გრაფინია ბონდავარის ლოჟაში შესვლის უფლება ჰქონდა.

შემდეგ კვირაში გრაფინია ტეუდელინდამ საცეკვაო საღამო მოაწყო. მოსაწვევი ივანმაც მიიღო.

— ცეკვა თუ იცი? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ვცეკვავდი ოდესღაც, ასე თხუთმეტი წლის წინათ.

— ესე იგი, ახლა უმჯობესია სხვებს უყურო, ოცდათხუთმეტს გადაცილებული ჭკვიანი კაცი აღარ იცეკვებს.

სანახავი კი მართლაც იყო ამ დარბაზში. განუმეორებელი

სილამაზე და სინატიფე, მოხდენილობა უმშვენიერესი, ჰაეროვანი, მაღალი წრის ქალბატონებისა, მართლაც ღმერთების შესაფერი სანახაობა იყო.

იმ საღამოს გრაფინია ანგელა განსაკუთრებული სილამაზით. ბრწყინავდა. ვარდისფერი მარგალიტებით ამოქარგული კაბა ეცვა ბაფთებითა და მაქმანებით დამშვენებული, რომელიც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მისი მხრების განუმეორებელ სილამაზეს. გლეხის გოგოსავით ბაფთებით ჩაწნული ორი მსხვილი ნაწნავი მის მეფურ სახეს კიდევ უფრო მომხიბლავს ხდიდა.

ვახშმის შემდეგ ბანქოს თამაში დაიწყეს.

ივანი ყოველდღე თამაშობდა და მეტისმეტად თავაზიანად, არავის ეჩხუბებოდა, არც წაგებას გამოყავდა წონასწორობიდან და მოგებასაც გულგრილად ხვდებოდა. არ იცოდა თამაშის მიტოვება, როცა ბედი არ სწყალობდა და არც შეცდომებს უშვებდა. საუკეთესო პარტნიორის რეპუტაციით სარგებლობდა. „თუმცა მეცნიერია, სასიამოვნოა მასთან ურთიერთობაო“, აღიარებდა ყველა ერთხმად.

ვახშმის შემდეგ გვერდით ოთახში ბანქოს სათამაშო მაგიდას ხანდაზმულები და ოცდაათს გადაცილებული მამაკაცები უსხდნენ, ახალგაზრდები კი დარბაზში ცეკვავდნენ.

ამ დღეს ივანს კვლავ გაუღიმა ბედმა.

ოთახში თითქმის სირბილით შემოვიდა გრაფი ედენი და ივანს მიმართა:

— მიატოვე თამაში, ჩემს დას ანგელას შენთან უნგრული კოტილიონის ცეკვა სურს.

— ითამაშე, გეთაყვა, ჩემს მაგივრად, — უთხრა ივანმა ედენს, კარტი გაუწოდა და თვითონ გრაფინია ანგელასთან გაეშურა.

უნგრული კოტილიონი!

ის, რომ ჩვენ გვაქვს მეფის სასახლე, სამინისტროები, უნგრული ოქროს და ვერცხლის ფული, საოცარი არ არის, ეს ჩვენ ბედმა გვარგუნა. მაგრამ უნგრული კოტილიონი ჩვენი შენაძენია. მას ჩარდაშის მოტივზე ვცეკვავთ.

ივანი მიუახლოვდა გრაფინია ანგელას და თავი დაუკრა.

— მე რომ არ გამომეგზავნა ედენი თქვენთან, ალბათ არც აპირებდით მოსვლას, — ღიმილით უსაყვედურა ანგელამ.

— დედოფალს შეიძლება ეახლო მხოლოდ მიწვევის შემდეგ.

— ნუ პირფერობთ, თუ შეიძლება, ეს სხვებსაც შეუძლიათ. ჩვენი გაცნობისას პირფერობა რომ დაგეწყოთ, ალბათ არასოდეს დაგელაპარაკებოდით, მაგრამ თქვენ ჩემი წყენა ამჯობინეთ; და მე ეს მომეწონა.

— ეს არ მახსოვს.

— იმიტომ, რომ ახლაც განაგრძობთ ჩემს განაწყენებას და ამას ძალიან კარგად გრძნობთ.

მათი ცეკვის ჯერიც დადგა. ივანს ისე საუცხოოდ ეჭირა თავი, რომ ვერავინ იფიქრებდა, თხუთმეტი წელი არ უცეკვიაო.

ბანქოს სათამაშო ოთახში კი ედენმა განაცხადა:

— იცით ახალი ამბავი? ჩემს დას ანგელას მაგნიტური რაინდი შეუყვარდა.

— რას ამბობ? მართლა? — გაოცდა კაპიტანი.

— არ დაიჯეროთ, — ჩაერია გრაფი იშტვანი. — კარგად ვიცნობ ჩვენს მზეთუნახავ დას. მას მხოლოდ დაცინვა შეუძლია და არა — სიყვარული. მისთვის არ არსებობს გამონაკლისი. ამოირჩევს თუ არა მსხვერპლს, ისე მოაჩვენებს თავს, ვითომ მოსწონს, ბოლოს კი, როცა იმ საცოდავს ნამდვილად შეუყვარდება, სასაცილოდ იგდებს. ასე არ მოექცა ზონდერსჰაინსაც, მას ხრმ მართლაც არაფერი ჰქონდა დასაწუნი, მისი ნაკლი მხოლოდ ის იყო, რომ მეტისმეტად იხრიდა ქედს ანგელას წინაშე და ამით შეაძულა თავი. ასეთი იქნება ყველას ბედი, ვინც მასთან დაახლოებას შეეცდება.

— მართალია, მაგრამ ივანი მგონია ნამდვილად მოსწონს, ჩემთანაც აქებდა, აღფრთოვანებულია არა მისი აკადემიკოსობით და გეოლოგობით, მოსწონს როგორც მამაკაცი.

— სწორედ ამით უგებს მახეს! ამ თავნება მზეთუნახავმა შესანიშნავად იცის, რომ ზურგსუკან შექებით უფრო მეტად დააინტერესებს.

— მე არ ვაპირებ ივანს ეს ვუთხრა.

დიდ სამსახურსაც გაუწევ, — სიცილით დაასკვნა ვარკგრაფმა შალიშტამ.

მოცეკვავე წყვილი ამ დროს თავის ადგილზე დაბრუნდა.

— უკვე მიემგზავრებით პეშტიდან? — ჰკითხა ანგელამ.

— ჯერ არა. ისეთი საქმე გამომიჩნდა, რომ დადხანს დარჩენა მომიწევს.

— ოჯახი გაქვთ?

— არავინ გაჩენილა ამქვეყნად.

— რატომ?

— ამაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. თქვენ ალბათ გაგონილი გექნებოდათ, გრაფინია, ჩემი საქმიანობის შესახებ? მთელ დღეს დილიდან საღამომდე მიწის ქვეშა ვარ, ქვანახშირის მაღაროში.

— მაშინ ეს ადვილი წარმოსადგენია. რომელი ქალი აიტანს, მისი ქმარი ქვანახშირის მაღაროში მუშაობდეს! საშინელებაა იცოდე, რომ ის ყოველდღე მიწის ქვეშაა, საიდანაც ხმასაც კი ვერ გაიგონებ, რომ ის დადის მომაკვდინებელი გაზით სავსე მიწისქვეშა კატაკომბებში, სადაც საკმარისია ერთი-პატარა ნაპერწკალი, რომ ყველაფერი ჯოჯოხეთად აქციოს და იმ ადამიანის გული, რომელიც გიყვარს და რომელიც შენი გულისთვის ცოცხლობს მხოლოდ, სამუდამოდ იქ დაიმარხოს. ალბათ ვერცერთი ქალი ვერ აიტანს ასეთ მღელვარებას. რა დაგრჩენიათ ამ მაღაროში?

(ბოლო სიტყვები დიდი სინანულით წარმოსთქვა).

— ის, რომ მიყვარს ჩემი საქმე, ეს ჩემთვის იგივეა, რაც ჯარისკაცისთვის ბრძოლის ველი, მეზღვაურისთვის ზღვა, მოგზაურისთვის უღაბნო. ეს არის ჩემი გატაცება!

ივანის აღფრთოვანება უნებლიეთ გრაფინიასაც გადაედო.

— ყოველგვარი გატაცება თავისთავად ამაღლებულია, მე კარგად მესმის იმ ქალის, რომელიც ქმარს მიჰყვება ბრძოლის ველზე, თუმცა ახლა ბრძოლა საკმაოდ პროზაულია და მოკლებულია ყოველგვარ რომანტიულობას. მაგრამ არაფერი მესმის იმ ადამიანისა, რომელსაც დედამიწის ფენების გამოკვლევა დაუსახავს მიზნად. უტყვ ქვებთან მოლაპარაკე ადამიანი ნახევრადგაქვავებულ ჰერცოგ ბუდურ ბადრულს მაგონებს, რომლის ცოლმაც მის თვალწინ მონა გააბედნიერა. მე შემიძლია გავუგო სერ ბეიკერის მეუღლესაც, რომელიც ქმართან ერთად გაემგზავრა სამხრეთ აფრიკის უდაბნოში. ისინი ერთად იტანდნენ პაპანაქება სიცხეს, იარაღით ხელში ერთად ნადი-

რობდნენ მხეცებზე, ერთად იდგნენ ზანგ ყაჩაღთა მეფის წინაშე და სადაც უძლური იყო ქმრის მარჯვენა, ცოლის თვალები იმარჯვებდნენ. შემიძლია ჩემი თავი წარმოვიდგინო იმ ქალის ადგილას, რომელსაც ტროპიკულ ჯუნგლებში მუხლებზე უწევს, დაჭრილი მოგზაური, ჩახმახშემართული თოფით ხელში მთელი ღამეები ყარაულობს, იმ ადგილებში, სადაც ევროპელებს ფეხი არ დაუდგამთ, ეძებს ბალზამს მისი ჭრილობისთვის. ერთადერთ მამაკაცთან ერთად, რომლისთვისაც იგი ერთადერთი ქალია, ამაყად დააბიჯებს ათი ათას ქალს შორის, ღრმად დარწმუნებული, რომ ყველაზე ლამაზია და მთელს ქვეყანაზე მხოლოდ მას შეიძლება უწოდო ქალი!

კვლავ მათი ცეკვის ჯერი დადგა და საუბარი შეწყვიტეს.

როცა ცეკვა დამთავრდა, ანგელამ განაგრძო:

— ყველაფერი, რაც მე გითხარით, ლაჩრული ამპარტავნობის აგზნება იყო მხოლოდ. უსუსური წარმოსახვა! არ ვისურვებდი მოგზაურობას იმ ქვეყანაში, სადაც ქალი მხოლოდ იმით განსხვავდება პირუტყვისაგან, რომ ორ ფეხზე დადის, სადაც სილამაზის ეტალონად ითვლება ის, ვისაც გახვრეტილი აქვს ზედა ტუჩი. სასაცილოა, ამაყობდე იმით, რომ ყველაზე ლამაზი ხარ! ან თავს იწონებდე გულისსწორის ერთგულებით! და მერე ვის წინაშე? საშინელებათა ქვეყნის ურჩხულების წინაშე. არა! არა! მე უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. თუკი ქალმა, რომლის სახელი იყო კრისტიანი, მარტოდმარტომ ოზიური რუსეთის ტრამალები გაიარა, რატომ არ შეიძლება მამაკაცმა და ქალმა გადაცურონ სრუტე და მიაღწიონ თბილ ზღვას, რომელიც კეინმა აღმოაჩინა, მიაღწიონ ჩრდილოეთ პოლუსს და უთხრან მაგნიტიზმის ქვეყნის ადამიანებს: „მოდით შევეჯიბროთ! ჩვენ თქვენზე უფრო ლამაზები ვართ, თქვენზე ძლიერები, ერთგულები და ბედნიერები!“

ამ სიტყვების წარმოთქმისას ანგელას თვალებში ჩრდილოეთის ციალმა გაიელვა.

ივანმა გაბედა ეთქვა:

— გრაფინია! თუკი სურვილი გაქვთ აღმოაჩინოთ უცნობი ქვეყნები, მათ მცხოვრებთ შეეჯიბროთ სიყვარულში და ერთგულებაში, მე შემოგთავაზებთ ქვეყანას უფრო ახლოს.

— რომელია ასეთი?

— უნგრეთი.

— განა ჩვენ აქ არ ვიმყოფებით?

— თქვენ არა, გრაფინია. თქვენ მხოლოდ სტუმარი ხართ და არაფერი იცით ჩვენს შესახებ. რა გინდათ აბისინიაში და პოლუსებზე, როცა ასე ახლოს თქვენს წინაშეა ახალი სამყარო, რომელიც თქვენს გატაცებას გამოადგება საასპარეზოდ.

ანგელამ გულგრილად გაშალა მარაო.

— მე რა შემიძლია? მე ხომ დამოუკიდებელი არა ვარ.

— მართალია, მაგრამ თქვენ მბრძანებელი ხართ.

— ვის ვუბრძანო?

— გრაფინია, საკმარისია თქვენი ერთი სიტყვა და ვენის მწვანე სასახლე მთლიანად პეშტში გადმოვა. ჩვენს საზოგადოებას სჭირდება მეთაური, რომელიც ახლა არავითარ მონაწილეობას არ იღებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს გახლავთ თქვენი პაპა, რომელიც გაღმერთებთ. თქვენს ერთ სიტყვას შეუძლია სულ სხვა მიმართულება მისცეს ჩვენს ცხოვრებას. თქვენი ერთი სიტყვა და გრაფი ტიბალდი პეშტში დაბრუნდება.

გრაფინია ანგელამ მკაცრად დაკეცა მარაო და რისხვით აღსავსე თვალები შეანათა ივანს.

— იცით თუ არა თქვენ, რომ ის, რაც ახლა ახსენეთ, ჩემში ხიზღის მეტს არაფერს იწვევს და ვინც ამაზე ლაპარაკს გაბედავს, შევიძულებ?

— ვიცი, გრაფინია.

— თუკი იცით, მაშ როგორღა გაბედეთ ამის შესახებ საუბარი?

— მოგახსენებთ, გრაფინია. ჩემსა და თქვენს ოჯახებს შორის უძველესი კავშირია.

— ოო, ამის შესახებ არაფერი მსმენია.

— მჯერა. მაშინ, როცა თქვენი ერთ-ერთი წინაპარი კარდინალი იყო, ჩემი წინაპარი მოძღვარი ყოფილა. ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის ახსნა, რა განსხვავება იყო მათ შორის. ბოლოს და ბოლოს სწორედ ეს განსხვავება გახდა იმის მიზეზი, რომ კარდინალმა საზღვაო კატორღაში გაგზავნა მოძღვარი. საჭირო იყო მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელსაც მოითხოვდა მისგან კარდინალი და მოძღვარი თავისუფალი იქნებო-

და. ეს სიტყვაა „უარვყოფ“. მან არ წარმოსთქვა ეს სიტყვა და როცა ბორკილები დაადეს და გალერის გემბანზე რკინის ჯაჭვით მიაბეს, თქვენი წინაპარი კარდინალი ჯერ თვალებიდან რისხვას აფრქვევდა, შემდეგ ცრემლმორეული ევედრებოდა მოძღვარს ეთქვა „უარვყოფ“. ჩემმა წინაპარმა უარი უთხრა: „არ უარვყოფ“. ახლა მეც სწორედ იგივე სიტყვები მინდა გაგიმეოროთ: „არ უარვყოფ“. აი, როგორი კავშირია ჩვენს ოჯახებს შორის. თქვენც ისევე ხომ არ მომექცევით, როგორც კარდინალი ჩემს წინაპარს?

გრაფინია ანგელამ სიბრაზისაგან კინაღამ დაამტვრია მარაო, გამძვინვარებულმა მთელი ძალით დააჭირა ერთმანეთს თავისი მარგალიტის კბილები და ცივად გამოსცრა:

— ვწუხვარ, რომ ახლა სხვა დროა! ჩემი წინაპრის ადგილზე რომ ვიყო, ვუბრძანებდი ფეხის გულებში გავარვარებული ლურსმნები ჩაერჭოთ თქვენთვის!

ივანმა ხმამაღლა გაიცინა. ერთი წუთის შემდეგ გრაფინიამაც გაიცინა.

მართლაც დიდი გამბედაობა იყო საჭირო იმისათვის, რომ გრაფინია ანგელას ასეთი მრისხანების პასუხად გაგეცინა, თუმცა ეს საუკეთესო პასუხი იყო.

ანგელამ ჯიუტად შეაქცია ზურგი და დაჯდა.

ივანი მის გვერდით გაჩერდა.

კოტილიონის მთელი სიკეთე იმაშიც არის, რომ ძალიანაც რომ მოინდომო, პარტნიორს ვერ მიატოვებ.

ამ დროს ივანს მიაუახლოვდა ახალგაზრდა ჯენტლმენი, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ბანქოს სათამაშო მაგიდასთან დგანან ხოლმე და ჩასჩურჩულა:

— ედენი გთხოვთ დაბრუნდეთ, შემოგითვალათ, რომ მთელი ფული წააგო, რაც დაუტოვეთ.

— კარგადაც მოქცეულა, — უპასუხა ივანმა, ჯიბიდან საფულე ამოიღო და ახალგაზრდას გაუწოდა, — გადაეცი, გეთაყვა, ესეც წააგოს.

ანგელას არც მოუხედია ივანისკენ.

კოტილიონი გრძელდებოდა. ცეკვის ხელმძღვანელს, გრაფ გეზას სურდა დაემტკიცებინა, რომ უნგრულ კოტილიონში

შეიძლებოდა ვალსის ყველა ფიგურის შეტანა, რის დემონსტრირებასაც თითქმის ორი საათი დასჭირდა.

ანგელას სიტყვა აღარ დასცდენია. როცა მათი ცეკვის ჯერი დადგებოდა, თავს დაადებდა მხარზე ისე, რომ ივანი მის სუნთქვას გრძნობდა. როცა თავის ადგილზე ბრუნდებოდნენ, მისგან ზურგშექცევით ჯდებოდა. ივანმა ბოლომდე გაუძლო.

როცა კოტილიონი დამთავრდა, გრაფი ედენი მიუახლოვდა და განუცხადა, რომ ასეთი ხანგრძლივი ცეკვა მას ათასი ფორინტი დაუჯდა. ივანმა გაიღიმა. ედენი თავის მომხიბლავ დას მიუბრუნდა:

— როგორც ვხედავთ, შენ სავსებით მიითვისე მაგნიტური რაინდი!

განაწყენებულმა ანგელამ ლამაზი მხრები აიჩეჩა:

— ამ კაცს მე ვერ ვიტან!

ამ სიტყვებმა სავსებით შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ივანისადმი.

მაგნიტური რაინდი მათ თვალში უკვე აბეზარ მეტიჩარად იქცა.

ანგელას მეტი აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ეს სავსებით საკმარისი იყო ყველ ასთვის.

ზოგიერთ მდაბიოს ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ ამაო თვითდაჯერებით არასწორად ესმის, მაღალი წრის ტიტულიანი პიროვნება მოწყალე თვალით რომ შეხედავს და თავს გაუკრავს. ასეთ ბრიყვს ჭკუა უნდა ასწავლო.

ივანი სწორედ ასეთთა რიცხვში ჩარიცხეს. ჩათვალეს სასაცილო კაცად, რომელიც ვერ მიხვდა, რომ მას, შინგამომცხვარ მეცნიერს მხოლოდ და მხოლოდ თავი გაუტოლა მაღალი წრის მანდილოსანმა, მან კი თავი უკვე მის ღირსად წარმოიდგინა.

აქ მისთვის ადგილი აღარ იყო.

მისი თავიდან მოშორება სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენებითაც შეიძლებოდა. მოსვენება არ უნდა მიეცათ, ყურადღება გაემახვილებინათ მის სუსტ მხარეებზე და შეცდომებზე, კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ. პირში არ დასცინებდნენ, პირიქით შეაქებდნენ, ოღონდ ისე, რომ იგრძნობდა, როგორ იგდებდნენ მასხრად. დარწმუნდებოდა, რომ აქ არც

ერთი არ იყო მისი მეგობარი. არავინ აწყენინებდა, შეურაცხყოფას არ მიაყენებდა, მაგრამ თუ მთლად სულელი არ იყო, მიხვდებოდა, რომ აქ მას აღარ დაედგომებოდა და აქაურობას უნდა გაცლოდა.

ივანს შესთავაზეს მონაწილეობა მიეღო მოყვარულთა სპექტაკლში, რომელსაც მაღალი წრის არისტოკრატია მომზადების გარეშე წარმოადგენდა. ივანს მეფის პარტია უნდა ემღერა ოპერა „ერნანი"-დან. იგი დათანხმდა. მას შესანიშნავი ბასი აღმოაჩნდა. მისმა ხმამ მოხიბლა ყველა მსმენელი. ელვირას პარტია ანგელამ შეასრულა, ერნანისა-მარკგრაფმა შალიშტამ. გამარჯვება ივანს დარჩა. „ეშმაკსაც წაუღივარ თუ ეს კაცი ოდესღაც კომედიანტი არ ყოფილიყოსო!" — აღფრთოვანება ვერ დამალა მარკგრაფმა.

შემდეგ მელიაზე სანადიროდ მიიწვიეს. გრაფი იშტვანის მამული ბრწყინვალე სანადირო ციხე-დარბაზით პეშტიდან ორი საათის სავალზე იყო. გაზაფხულობით აქ იკრიბებოდა მთელი ქვეყნის ელიტა. ივანისთვის გრაფი იშტვანის საჯინიბოდან საგანგებოდ შეარჩიეს ყველაზე ფიცხი არაბული ულაყი.

ახლა კი ვაჩვენებთ სეირს ამ წიგნის ჭიასო, ფიქრობდნენ გახარებულები. ეს თავნება ცხენი, მხედარი თუ არ მოეწონებოდა, იცოდნენ, რომ მიწაზე დაანარცხებდა, მაგრამ ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ივანი ყველაზე მოხდენილად და თავისუფლად იჯდა.

მარკგრაფმა შალიშტამ ეს რომ დაინახა, განაცხადა აუცილებლად ჰუსართა პოლკში უმსახურიაო.

მელიაზე პირველ ნადირობაში გრაფინია ანგელაც მონაწილეობდა. იგი ისე იჯდა უნაგირზე, თითქოს სავარძელში ყოფილიყოს.

მეძებრებმა შამბნარიდან მელა გამოიტყუეს, რომელსაც ათი მონადირე დაედევნა. მელა მთის ფერდობს ეცა, ინსტინქტით მიხვდა, რომ აქ ხევი უნდა ყოფილიყო, რომელშიც მთის მდინარე მოედინებოდა. აქ შეიძლებოდა როგორმე თავი გადაერჩინა, რომელიმე მიტოვებულ სოროში შემძვრალიყო. ბოლოს და ბოლოს მონადირეებს ჩამოიცილებდა, ან ზემოთ დასწრებდა, ან სხვაგვარად დააღწევდა თავს. თუ მეძებრები ხევიდან ამოაგდებდნენ, მარჯვენა ნაპირზე ავიდოდა, მონადირეები კი მარცხნივ დარჩებოდნენ.

გრაფინია ანგელამ მათრახი გადაჰკრა თავის ბედაურს და ხევს გადაახტა.

სარისკო ხუმრობაა! საინტერესოა, ვინ მიჰყვება?

ხევის მეორე ნაპირიდან გრაფინიამ დაინახა, რომ მხოლოდ ივანმა გადაახტუნა ცხენი.

მეძებრები მდინარის ნაპირზე მიჰქროდნენ, მონადირეები მარცხენა მხარეს.

ანგელას ნაკლებად ადარდებდა თანამგზავრები, როგორც ყველასთვის, მისთვის ახლა მთავარი მელა იყო.

გრაფინია ნიავივით მიჰქროდა ხრამის პირას, რამდენჯერმე შესძლო კიდევაც ხევში უკან ჩაეგდო მელა, რომელიც ალყიდან თავის დაღწევას ცდილობდა. მაგრამ უცებ მაინც შეძლო მარცხენა ნაპირზე გამძვრალიყო და შამბნარში დამალულიყო, საიდანაც გამოაგდეს.

— არ გაუშვათ! — მოისმა მონადირეთა ხმები, რომლებიც ბუჩქებში გაუჩინარდნენ.

გრაფინიამ შემოაბრუნა ცხენი, პირდაპირ ახლადგაკაფულ სანაპიროზე რომ გაევლო და მალე შეერთებოდა საზოგადოებას. მისთვის ახლა სულ ერთი იყო, მიჰყვებოდა თუ არა ვინმე.

როგორც კი გაკაფულს მიაღწია, კურდღელი გამოუხტა წინ, ცხენს შეეშინდა, გვერდზე გადაიწია და გრაფინია უნაგირიდან გადმოაგდო. ანგელას თმები გაეშალა, შლეიფის ბოლო უზანგის საწვივეს გამოედო და შეშინებული ცხენი პირდაპირ გაკაფულისკენ მიათრევდა. ცხენს იქ რომ შეესწრო ანგელას თავი გაუტყდებოდა ხის ძირკვებზე.

ივანი იმავე წამს მის გვერდით გაჩნდა და ცხენი დაიოკა. გრაფინია გულწასული იყო. ივანმა ფრთხილად დააწვინა ბალახზე. გადმოვარდნისას კორსაჟზე მალაქიტის სამი ღილი აწყვეტოდა და გულისპირი შეხსნოდა. ივანმა ჰალსტუხიდან ქინძისთავი მოიხსნა და კორსაჟი შეუბნია.

ანგელა გონს რომ მოვიდა, მარტო იყო, ორი ცხენი იქვე ხეზე იყო მიბმული. ხევიდან ივანს წყალი ამოჰქონდა მისთვის.

ანგელა წამოდგა, მის მოსვლას არ დაელოდა.

ივანმა წყალი შესთავაზა.

— გმადლობთ. არ მინდა, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

ივანმა წყალი გადაღვარა.

— ხომ არ ინებებდით ციხე-დარბაზში დაბრუნებას?

— ასეც ვფიქრობდი.

— მოკლე გზა ვიცი ტყეზე გავლით, ცხენებს მე წამოვიყვან.

— კარგი იქნება.

ბილიკს გაუყვნენ. გრაფინიამ უცებ კორსაჟზე დაიხედა და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, ივანის ქინძისთავი იცნო, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

ტყეში რომ შევიდნენ, ანგელა წამით შეჩერდა და ივანს მიმართა:

— იცით იულია გონზაგას ისტორია?

— არა, გრაფინია.

— იგი ფონდის მბრძანებელი იყო. ბარბეროსი ღამით თავს დაესხა, რომ მოეტაცა იულია. ერთმა რაინდმა იხსნა ყაჩაღისაგან მარკგრაფინია. იულია საწოლიდან წამოხტა და ფეხშიშველი გაიქცა. და იცით როგორ გადაუხადა სამაგიერო მხსნელს?

— როგორ?

— გული გაუპო ხანჯლით, რომელიც ხელში მოხვდა.

— გრაფინია მართალი იყო, — უპასუხა ივანმა, — რაინდს არ უნდა დაენახა მისი შიშველი ფეხები.

— რაინდი?

— მისი მთელი უბედურება ის იყო, რომ მეტისმეტად გაუღიმა ბედმა.

უმნიშვნელო წვრილმანი

მელა მაინც მოკლეს. ტყიდან გამარჯვებულთა ყიჟინა მოისმა, მალე მას საყვირის ხმაც მოჰყვა, რომელიც მონადირეებს იხმობდა. ამასობაში გრაფინია ანგელა და ივანი ტყიდან გამოვიდნენ. ივანმაც ნიშანი მისცათ, რომ სამშვიდობოს იყვნენ და გრაფინია აღარ ეძებნათ.

ისინი თხუთმეტი წუთით ადრე დაბრუნდნენ ციხე-დარბაზში. ანგელა დაემშვიდობა და ვახშმობამდე აღარ შეხვედ-

რიან ერთმანეთს. მამაკაცები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, ქალები ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგნენ.

გრაფინია ანგელამ უამბო მამიდას, რაც შეემთხვა. ტყუილი არასოდეს უთქვამს, თუ რაიმეს გამხელა არ სურდა, დუმილს არჩევდა, თქმით კი მხოლოდ სიმართლე შეეძლო ეთქვა.

ნეტავ თუ მოუყვება ივანი მამაკაცებს? მათ ხომ ძალიან უყვართ ცართობა ამგვარი თავგადასავლებით. ვინ არ გამოიყენებს ასეთ შემთხვევას? გადარჩენილი მბრძანებელი!

ვახშამზე ყველამ შენიშნა, რომ გრაფინია ანგელა მეტისმეტად დაძაბული იყო და ივანსაც თვალს არიდებდა. შავი კაბა კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მის გაფითრებულ სახეს.

მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ნუთუ ამათ იციან ის, რაც ივანმა იცის?“

ყველა მხოლოდ იმის ცდაში იყო, როგორმე გაერთოთ. უამბობდნენ, როგორ მისდევდნენ მელას, რომელიც კინაღამ ხელიდან გაუსხლტათ და ბოლოს მაინც მოკლეს. სწუხდნენ, რომ გრაფინიამ ვერ უყურა ამ სანახაობას.

სიტყვა არავის დასცდენია იმის შესახებ, რაც იქ მოხდა. თუმცა შეეძლოთ თავი ისე დაეჭირათ, ვითომ არაფერი იცოდნენ.

გრაფინია მხოლოდ მისმა ბიძაშვილმა ედენმა დაარწმუნა, რომ ივანს არავისთვის უთქვამს მომხდარ ამბავზე.

— ბერენდმა მოგაცილა ციხე-დარბაზში? (ისინი უკვე მაგნიტურ რაინდს აღარ უწოდებდნენ მას, აღარც ეხუმრებოდნენ).

— დიახ.

— შენთვის ეს არცთუ ისე სასიამოვნო იქნებოდა!

— რატომ გგონია? — ჰკითხა ანგელამ.

— იმიტომ, რომ რაც ივანი დაბრუნდა, სიტყვა არავისთან დაუძრავს, ახლა კი ცდილობს თვალი აგარიდოს. ალბათ შინ წასვლაც გადაწყვიტა. ასე არ არის?

— მეც ასე ვფიქრობ.

— ხომ არ დავეხმაროთ?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ყოველგვარი უხეშობის გარეშე.

— შესანიშნავი გეგმა მაქვს.

— მსურს ვიცოდე, რა მოიფიქრეთ. სიძულვილით იგი არ მძულს, თვალებში მეჩხირება მხოლოდ. მიუხედავად ამისა, არავის მივცემ უფლებას თითი დააკაროს. ისე კი, მინდა, რომ აქედან წავიდეს.

— აი ჩემი გეგმა: ბერენდი მეცნიერია, ფილოსოფოსი, მისი შეხედულებები ჩვენი წრის ადამიანის შეხედულებებისაგან განსხვავდება, განსაკუთრებით დუელს ვერ იტანს. ოღონდ ნუ შეიჭმუხნი წარბებს! მას არავინ გამოიწვევს. დღეს საღამოს ვახშმის შემდეგ მე წავეჩხუბები შალიშტას სრულიად უმიზეზოდ და დუელში გამოვიწვევ. ჩემს სეკუნდანტებად ავირჩევ ბერენდს და გეზას. თუ იგი უარს იტყვის, იძულებული იქნება ქუდი ადიხუროს და სამუდამოდ გამოგვეთხოვოს. თუ დათანხმდება, დუელის პირობებზე შეთანხმებისას სეკუნდანტები ერთმანეთს შეედავებიან უმნიშვნელო წვრილმანზე, რაც იმით დამთავრდება, რომ ერთმანეთს გამოიწვევენ დუელში. მაშინ კი ჩვენი მეცნიერი გაქცევით თუ უშველის თავს. ჩემი აზრით, თუ შეურაცხყოფას მიაყენებენ, შეურაცხმყოფელი ფილოსოფოსმაც კი დუელში უნდა გამოიწვიოს! მაგრამ გამოწვევაზე დათანხმება მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვას ჩვენს საზოგადოებაში მიღებული ეტიკეტი, მხოლოდ ნამდვილ ჯენტლმენს შეუძლია.

— და თუ მაინც დათანხმდება?

— მაშინ ჩემი გეგმა ჩაიშლება. გამოვარკვევთ, რომ არავითარი საფუძველი არ იყო შეურაცხყოფისა და დუელისთვის და ყველაფერი ამით დამთავრდება.

ანგელამ მხრები აიჩეჩა.

საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რაც გინდათ ის გააკეთეთ, ოღონდ ფრთხილად იყავით! იცოდეთ, მაგარი კბილები აქვს. „იკბინება!“

— დარდი ნუ გაქვს!

ვახშამზე ბატონებმა განგებ წამოიწყეს საუბარი დუელზე ანგელას დასამშვიდებლად. მათი მიზანი იყო ამ საკითხზე ივანს თავისი აზრი გამოეთქვა. მიზეზიც იშოვეს საამისოდ, ახალი ამბავი, თუ როგორ დაიღუპა დუელში სრულიად უმ-

ნიშვნელო წვრილმანისთვის ერთი წარჩინებული ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე.

— დუელი მე მიმაჩნია არამარტო დანაშაულად, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი წყობის სიმახინჯედ! — თქვა ივანმა. — და საერთოდ ყველა შემთხვევა, როდესაც იარაღი უპირისპირდება უზენაესის განგებას, ნამდვილად ღვთის გმობაა. „დიდება შენდა უფალო!“ რომელსაც მღერიან გამარჯვებულნი იმის ნიშნად, რომ მათ უფრო მეტი ადამიანების დახოცვა შეძლეს, ვიდრე დამარცხებულებმა, სისულელეა.

ამაზე უარესია შელახული პატიოსნების აღდგენა იარაღით, რადგანაც ამით ვახშობთ სიმართლეს. ვინც პირში გვეუბნება სიმართლეს, მიგვითითებს ნაკლზე, ჩვენი კეთილისმყოფელია, საზოგადოების კანონები კი მის მოკვლას მოგვიწოდებს. სხვა გამოსავალი არა გვაქვს, ან უნდა გავუღიმოთ ერთმანეთს, ან ვესროლოთ. ან ქათინაურები, ან ორთაბრძოლა.

მე კი პირიქით მიმაჩნია, — თქვა გრაფმა ედენმა — საზოგადოებას რომ არ დაეწესებინა დუელი, ეს იქნებოდა ღმერთის უარყოფა. იმაში, რომ ერთნი იბადებიან სუსტებად და მეორენი ძლიერებად, არავინაა დამნაშავე, გარდა შემოქმედისა. ამიტომ, ცივილიზაციის პირობებში, ვინც ძლიერია, მონად იხდის სუსტს: შეუძლია სილა გააწნას, შეურაცხყოფა მიაყენოს და კანონით გადაიხადოს ამისათვის ხუთიდან ას ფორინტამდე, შეურაცხყოფის ხარისხის მიხედვით. უფსკრულს ადამიანისა და ღმერთის სამართლიანობას შორის ავსებს ტყვია, რომელიც სუსტს ძლიერთან ათანასწორებს. ეს ტყვია მოსამართლე არ არის, რადგანაც ხშირად უსამართლოა, მაგრამ ის კანონია, რომლის პატივისცემით სისასტიკეს და მეცნიერებას შეუძლიათ ერთმანეთთან მორიგება.

— სწორედ ამაში მდგომარეობს საზოგადოების სიმახინჯე, — უპასუხა ივანმა — ღირსების რაღაც ცრუ გრძნობა გკარნახობთ განსაკუთრებულ კანონს. საზოგადოებამ კი არ უნდა დააწესოს თავისთვის კანონები, უნდა დაიცვას ის, რაც ჩაწერილია კოდექსში და სავალდებულოა ღარიბებისთვისაც და მდიდრებისთვისაც. თუ ახლა საზოგადოებაში ვინმეს სილას გააწნავენ და იგი არ გამოიწვევს ამისთვის დუელში, მას თავისი წრიდან განდევნიან, ასე არ არის? ჩემის აზრით, საჭიროა

ამის შეცვლა, საზოგადოებამ უნდა განდევნოს ის, ვინც შეურაცხყოფას მიაყენებს ვინმეს, მაშინ მოსამართლე იქნებოდა თვითონ საზოგადოება და არა ბრმა ტყვია.

— ეს ყველაფერი კარგია თეორიულად ჩემო ძვირფასო, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ საკუთარი თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ძალაუნებურად, გინდა თუ არ გინდა, იარაღი უნდა აიღო ხელში.

— მე ჩემს თავს ვერ წარმოვიდგენ ასეთ მდგომარეობაში, — შეეპასუხა ივანი — წინასწარი განზრახვით არავის არ ვაწყენინებ სერიოზულად, მაგრამ თუ ეს მაინც მომიხდება უნებლიეთ, მეყოფა გონიერება იმისთვის, რომ ბოდიში მოვიხადო.

თუ შეურაცხყოფას მიაყენებენ იმას, ვინც თქვენთვის ძვირფასია?

— ასეთი მე არავინ მყავს.

ამით დავა შეწყდა.

მაგრამ ეს როგორ!

ვახშამი დამთავრებულიც არ იყო, მარკგრაფმა შალიშტამ დაუმტკიცა ივანს, რომ მასაც ყავდა ვიღაც.

შალიშტა უყვებოდა გრაფინია ანგელას რევოლუციურ ლაშქრობაზე და მეტისმეტად იქებდა თავს. მაშინ ის ლეიტენანტი იყო. არაერთი ჰუსარი გამოასალმა სიცოცხლეს. თავის ოც თანაპოლკელთან ერთად ჰუსართა მთელი პოლკი განდევნა იშასეგიდან, უძველესი სენის ნაპირას კი იმპერატორ ვილჰელმის თითქმის ყველა ჰუსარი გაანადგურა.

ივანს სახეზე ძარღვიც არ შესტოკებია, თუმცა ანგელას გადაჭარბებული ეჩვენა მარკგრაფის ტრაბახი. მან თვალებში შეხედა ივანს და ჰკითხა:

— ნუთუ ეს მართალია?

ივანმა მხრები აიჩეჩა.

— რა მოგახსენოთ, გრაფინია, აბა მე, მიწისქვეშ მცხოვრებმა მაღაროელმა საიდან უნდა ვიცოდე რა ხდება ამ სახელოვან მიწაზე. ანგელა დამშვიდდა. ის ხომ ფილოსოფოსია, ასე იოლად მოთმინებას არ დაკარგავსო.

როცა ნავახშმევს სტუმრები თანდათან შემოიფანტნენ, გრაფინია ტეუდელინდა, გრაფი იშტვანი და რამდენიმე მან-

დილოსანი დარბაზში შევიდნენ. აივნის კარიდან მთვარის სხივები ანათებდა და სანამ გრაფინია ტეუდელინდა ფორტეპიანოს უკრავდა, ანგელა ერთი წუთით ივანს მიუახლოვდა.

— თქვენი სარჯი მინდა დაგიბრუნოთ, გამიგონია, მეგობრებს არ უნდა აჩუქოთ ასეთი საგნები, წაჩხუბება იცის.

— საწინააღმდეგო წესიც არსებობს, — უთხრა ივანმა, — რომელიც აბათილებს ამას, ვინც აჩუქებს და ვინც საჩუქარს მიიღებს, უნდა გაიცინონ.

— ესე იგი ამიტომ იცინოდით, როცა მე მომინდა თქვენთვის ფრჩხილებში გავარვარებული ლურსმნები შემესო? მაშ აიღეთ თქვენი სარჯი და გავიცინოთ.

შემდეგ გრაფინია ანგელა აივანზე გავიდა, რომ მაისის საღამოს თბილ ნიავს რჩევას დაკითხებოდა. გრაფი ედენი შეპირდა, რომ დღესვე მოახსენებდა, როგორ მიდიოდა მათი ხუმრობის საქმე.

მაღალი წრის საზოგადოება კიდევ დიდხანს ფხიზლობდა, მისთვის ღამე იწყებოდა მთელი ცხოვრება.

მთვარე უკვე ალვის ხის კენწეროებს მოეფარა, ანგელას აივნისკენ მომავალი გრაფი ედენის ნაბიჯების ხმა რომ მოესმა. აქ მათ შეეძლოთ განმარტოებით ესაუბრათ.

— აბა მომიყევი, რა მოხდა? — ჰკითხა ანგელამ.

— ამ წვრილმანებზე ისეთი ამბავი ავტეხეთ, რომ თვითონაც არ გვეგონა.

— რა მოხდა ასეთი?

— ამის თქმა არ მინდოდა, მაგრამ მდგომარეობა ისეთია, არც დამალვა შემიძლია. როგორც გითხარი, ზუსტად ისე მოხდა. შეეედით დარბაზში და ხუმრობა დავიწყეთ. ვიღაცამ თქვა შენზე, რა კარგად მოიქცა, უნგრეთში რომ დაბრუნდაო.

— რა სისულელეა! — განრისხდა ანგელა.

— ვიცი, ახლა კი ვიცი. როგორც კი საქმე გაფუჭდება, მაშინვე სიბრძნე გემატება.

— რატომ ახსენეთ ჩემი სახელი? მე ამის უფლება არ მომიცია.

— მართალია, მაგრამ მამაკაცებს ასეთი ჩვევა გვაქვს, არასოდეს ვეკითხებით ლამაზ მანდილოსანს შეიძლება თუ არა მასზე ლაპარაკი. სწორედ ჩემი, როგორც შენი ბიძაშვილის მო-

ვალეობა იყო შენი დაცვა. მე უნდა ამეკრძალა მათთვის შენზე ლაპარაკი. და როგორც კი მარკგრაფი შალიშტა იტყოდა, რომ იცოდა ვისი ლამაზი თვალებისთვისაც იმყოფები შენ აქ, მე უნდა შევპასუხებოდი და წავჩხუბებოდით ერთმანეთს.

— ოჰ, რა ბავშვური სისულელეა! — წამოიძახა გაბრაზებულმა ანგელამ.

მართალია, ეს ყველაფერი ნამდვილად ბავშვური თამაშივით დამთავრდებოდა. მე ხომ გითხარი, რომ წვრილმანი წაკინკლავების სცენას გავითამაშებ-მეთქი, შენც თანახმა იყავი. მაგრამ ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვეგონა. ივანი შალიშტას პირდაპირ იჯდა, შალიშტა ბუხარს მიეყრდნო და თქვა: „მე ვიცი, ვისმა ლამაზმა თვალებმაც ჩამოიყვანეს ჩვენი მზეთუნახავი ვენიდანო“. და ვიდრე მე პასუხს გავცემდი, ბერენდმა დამასწრო და ყველასათვის მოულოდნელად უპასუხა: „ეს სიცრუეა!“

— აჰ! — წამოიძახა ანგელამ და იგრძნო როგორ დაუარა ნერვებში დენმა.

— მოულოდნელობისაგან ყველანი წამოვხტით, ხუმრობა ჩაგვეშალა, შალიშტაც გაფითრდა, აღარ იცოდა რა ექნა.

„მოწყალეო ხელმწიფევ!“ — მიმართა ბოლოს ბერენდს — უმჯობესია დაიბრუნოთ თქვენი სიტყვები, ჩემთვის ასეთი რამ ჯერ არავის გაუბედია“.

— ბერენდმა რაღა უპასუხა? — ჰკითხა ანგელამ და ხელი ჩასჭიდა გრაფ ედენს.

ბერენდი მშვიდად წამოდგა, ცივად უპასუხა: „შესაძლებელია აქამდე არავისთვის მიგიციათ ამის საბაბი, მაგრამ ახლა ნამდვილად იცრუეთ!“-ო და ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ედენმა იგრძნო, რომ ანგელას თითები მარწუხივით შემოეჭდო ხელზე.

— მე მაშინვე უკან დავედევნე, რომ როგორმე მომეგვარებინა ასე მოულოდნელად არეული საქმე. დერეფანში დავეწიე. იგი შეჩერდა და მითხრა: „თქვენ კარგად იცით, რაც მოყვება ყოველივე ამას. გთხოვ, ჩემი სახელით მოიწვიო გრაფი გეზა და იყოთ ჩემი სეკუნდანტები. ასე დამაკისრა ის როლი, რომელიც მას უნდა შეესრულებინა. და ახლა მე ვარ სეკუნ-

დანტი, მას კი ბრძოლა მოუწევს. როდესაც ვკითხე, რა უფლება ჰქონდა დუელში გამოეწვია ვინმე გრაფინია ანგელას გულისთვის, იცი რა მიპასუხა? „ყველა ჯენტლმენი ვალდებულია დაიცვას იმ მანდილოსნის ღირსება, ვისი სტუმარიც არისო“. პასუხი სავსებით ზუსტი იყო რაინდული გაგებით, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა ფილოსოფიურ მოსაზრებას იმ კაცისა, ვინც განაცხადა: „არავინ მყავს ისეთი, ვისი გულისთვისაც დუელში გამოვიწვევდი ვინმესო“.

ანგელა სავარძელში ჩაეშვა.

— ო, რა საშინელი სისულელე ჩავიდინეთ! არა, დუელი არ უნდა შედგეს! მე მას არ მივცემ ამის უფლებას.

— საინტერესოა, როგორ შესძლებ ამას!

— ახლავე უნდა მოველაპარაკო ბერენდს.

— ეს შეუძლებელია, მე რომ დამემშვიდობა, მაშინვე წავიდა. გეზაც მას მიჰყვა. ახლა ჩვენც ოთხივე მათ წავყვებით. ასეთ საკითხს სხვის სახლში არ წყვეტენ. ბერენდი და შალიშტა დაგველოდებიან, ვიდრე ჩვენ მოვილაპარაკებთ.

— ღმერთო ჩემო! მე არ მინდა ეს მოხდეს! ახლავე ვეტყვი ძია იშტვანს.

— ამიტომაც მოგიყევი ყველაფერი, რომ აუხსნა მას რატომ წავედით ადრე. ისე კი, წინასწარ გეტყვი რასაც გიპასუხებს: „ეს ინციდენტი რაც შეიძლება უხმაუროდ და სწრაფად უნდა დამთავრდეს — ნუ გაამწვავებთ. მთავარია, სეკუნდანტები მოიქცნენ გონივრულად“.

— რა მნიშვნელობა აქვს ამას?

— ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე შევარბილოთ ან გავამწვავოთ დუელის პირობები, შევეცდებით შევარბილოთ, არც შენს სახელს ვახსენებთ. ბერენდი იტყვის, რომ „სიცრუე“ მან უწოდა შალიშტას მიერ უნგრული იარაღის გადაჭარბებულ ქებას. ამაზე ორივე მხარე თანახმა იქნება. შენს სახელს არავინ ახსენებს.

— ახლა ეს არ არის მთავარი, მე არ მინდა, რომ ჩემს გამო ვინმე მოკლან.

— შეგიძლია დამშვიდებული იყო. ეს ჩვენ, სეკუნდანტებს მოგვანდე. მოწინააღმდეგეებს ბარიერთან 30 ნაბიჯის დაშორებით დავაყენებთ და ჩვეულებრივ, ჯარისკაცების რევოლვე-

რებს მივცემთ, რომლებითაც ერთი საჟენის მანძილზეც ვერ მოახვედრებენ მიზანში. პირობის თანახმად დამიზნებისთვის წუთზე მეტს არ მივცემთ. ასე კი თითოეული მათგანი სპილოსოდენაც რომ იყოს, რობინ ჰუდივით სროლა შეეძლოს და ერთი საათის განმავლობაში ესროდნენ ერთმანეთს, ვერც ერთი ტყვია მიზანს ვერ ეწევა. მხოლოდ ერთს გთხოვ, რომ მეტი გონიერება გამოიჩინო, როცა გათხოვდები. ასეთი დავა ხშირად მოხდება შენი მშვენიერი თვალების გამო. ჩემი კარეტა უკვე მზად არის, უნდა ვიჩქარო, გამთენიისას ყველაფერი დამთავრებული უნდა იყოს.

გრაფი ედენი გამოეთხოვა ანგელას და წავიდა. ამ უმნიშვნელო წვრილმანმა საზოგადოებას გართობა ჩაუშალა, ექვსი მამაკაცის გამოკლების შემდეგ დანარჩენმა სტუმრებმაც დატოვეს სასახლე. ზოგიერთებმა პეშტში დაბრუნება გადაწყვიტეს.

ბევრს არც უძინია იმ ღამეს.

ანგელას მოახლე, რომელსაც ოთახში მასთან ერთად ეძინა, ყვებოდა, გრაფინიამ ღამე ექვსჯერ მაინც გაიღვიძა და სანთელი ამანთებინა, უკვე გათენდა და გამგზავრების დროაო. ეშვი არ იყო, მას ცუდად ეძინა.

მეორე დღეს, დილით ათ საათზე, არამარტო სტუმრები, გრაფინია ტეუდელინდა თავის მოახლეებიანად პეშტში იყვნენ. ანგელა ნერვიულობისაგან ბოლთას სცემდა ოთახში.

თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ მოახსენეს, გრაფი ედენი მოვიდაო. ანგელამ იგი მაშინვე თავისთან იხმო.

ედენი გაფითრებული ჩანდა.

— რა მოხდა?.. უბედურება ხომ არაფერია?

— არა, უბედურება არა, — უპასუხა ედენმა, — მაგრამ საქმე უფრო ცუდადაა ვიდრე გუშინ.

— იყო დუელი?

— იყო და არც იყო.

— რას ნიშნავს ეს ყოველივე?

— პირველად მეც ვერ გავერკვიე. ასეთი ჯერ არაფერი მსმენია. თუ გინდა ყველაფერს გიამბობ.

— გთხოვ!

— დილის ექვს საათზე, როგორც მოვილაპარაკეთ, ბერენდ-

თან მივედი, ჩვენ ერთად უნდა წავსულიყავით. გეზა ექიმთან ერთად ადრე გაემგზავრა. ივანი უკვე მელოდა.

— როგორ ხასიათზე იყო?

— სულ ხუმრობდა, მთელი გზა ანეგდოტებს მიყვებოდა. როგორც კი დუელისთვის დანიშნულ ადგილს მივუახლოვდით, შალიშტაც გადმოვიდა კარეტიდან. ივანმა ქუდი მოიხადა და მიესალმა. შესაძლოა არც იცოდა, რომ ეს არ არის მიღებული. დუელის წინ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს არ ესალმებიან. შალიშტამ, რა თქმა უნდა, არ უპასუხა სალამზე. თუმცა, რაკი ბერენდმა დაარღვია წესი, მასაც უნდა მიებაძა. ჩვენ ტყეში შევედით. როგორც კი დანიშნულ ადგილას მივედით, წესისამებრ შევთავაზეთ მოწინააღმდეგეებს დაზავება. ამაზე ორივემ უარი განაცხადა. გადავზომეთ ოცდაათი ნაბიჯი, დავნიშნეთ ბარიერი ცხვირსახოცებით და მოვამზადეთ რევოლვერები. ორივემ დაიკავეს თავიანთი ადგილები. ჩვენს ნიშანზე შალიშტამ ორი ნაბიჯი წინ გადადგა და ესროლა. როგორც ვფიქრობდი, ააცდინა.

— „თქვენ სალამზე არ მიპასუხეთ, თუმცა, რაკი მე ქუდი მოვიხადეთ, თქვენც ასევე უნდა მოქცეულიყავით". ნახევარი წუთიც არ დასჭირდა მოწინააღმდეგის მიზანში ამოღებას და ჩვენ შევნიშნეთ, რომ მას ხელი არ უკანკალებდა. როგორც კი ისროლა, დავინახეთ როგორ მოსძვრა ჰუსარული ქუდი შალიშტას და ორ საჟენზე დავარდა. ოქროს კოკარდი აწყვეტილი ჰქონდა.

ანგელა განცვიფრდა.

— ამას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იფიქრებდა. მანძილიც დიდი ავიღეთ, ოცდაათი ნაბიჯი, არც რევოლვერები ვარგოდა. თანაც ორივე ისე იყო ჩაცმული, სამიზნედ არ გამოდგებოდა, ერთი შავ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, მეორეს რუხი ფერის სამხედრო ლაბადა ეხვია. მაგრამ ბერენდი საუცხოო მსროლელი აღმოჩნდა. ამან შალიშტას ჯარისკაცურ თავმოყვარეობაზე იმოქმედა, მან ლაბადა მოისროლა, მუნდირის ღილები შეიხსნა და წითელი ჟილეტი და თეთრი საყელო გამოაჩინა. თანაც, ნაცვლად იმისა, რომ გვერდით დამდგარიყო, როგორც მიღებული იყო, სახით შემობრუნდა მოწინააღმდეგისაკენ. თეთრი და წითელი ფერი საერთოდ საუკეთესო სამიზნედ

ითვლება. უფრო მეტიც, სანამ ჩვენ რევოლვერებს მოვამზადებდით, პორტსიგარი ამოიღო და სიგარა გააბოლა. პირობის თანახმად პირველად ისევ მას უნდა ესროლა. ამჯერად ისე დიდხანს უმიზნებდა მოწინააღმდეგეს, რომ მისი დაჩქარებაც კი მომიხდა. ამჯერადაც ააცდინა. ტყვიამ ივანის ზემოთ ხის ტოტს ფოთლები წააცალა მხოლოდ და ქუდზე დააყარა.

ანგელა შეკრთა.

— „ბატონო ჩემო, მე მაინც ვფიქრობ, რომ ახლა სიგარის გაბოლების დრო არ არის“ — მიმართა ივანმა შალიშტას, მაგრამ იმან ყურადღება არ მიაქცია. ივანმა ერთი წამით დაუმიზნა, გაისმა სროლის ხმა და შუაზე გაგლეჯილი სიგარა შალიშტას პირიდან გაგდებინა.

ანგელას უნებლიეთ წამიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, რომელსაც კარგად დაკვირვებული თვალის გარდა სხვა ვერ შენიშნავდა.

გრაფმა ედენმა განაგრძო:

— განრისხებულმა შალიშტამ რევოლვერი იქეთ მოისროლა და დაიღრიალა: „ეშმაკმა წამიღოს, თუ მე ამ კაცთან სროლა გავაგრძელო! ეს ნამდვილი ბელზებელია! ჯერ ქუდი მომაძრო, შემდეგ სიგარა გამაგდებინა პირიდან, ჩინელი ჟონგლიორივით მესვრის ყოველი მხრიდან, სასაცილოდ ამიგდო. მე აღარ გავაგრძელებ მასთან სროლას“. სეკუნდანტებმა სცადეს დაემშვიდებინათ, ჩვენც მივედით, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ, სულ გადაირია. თუ ვილჰელმ ტელია, მესროლოს პირდაპირ გულში და შეეშვას ჩემი თავიდან ვაშლების ჩამოგდებას. მე არ გავუჩერდები მას სულელივით მესამედ. თუ გინდათ, მოგვეცით ხმლები და მაშინ ვნახოთ ვინ ვის!“.

ამაოდ ვცდილობდით დაგვერწმუნებინა, რომ მართალი არ იყო და მესამედაც უნდა ესროლათ, როგორადაც არ უნდა დამთავრებულიყო ეს მისთვის, რომ დუელის მონაწილეს არჩევანის უფლება არ ჰქონდა, რომ სეკუნდანტების გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა. ბოლოს ბერენდს მობეზრდა ჩვენი ჩხუბის მოსმენა, დაგვიძახა და გვკითხა რაში იყო საქმე. როცა გაიგო, რომ შალიშტა მესამე სროლაზე უარს ამბობდა და ბრძოლის ხმლებით გაგრძელებას მოითხოვდა, გაიღიმა და სრული გულგრილობით გვიპასუხა:

— ამაზე რა გაჩხუბებთ, მოგვეცით ხმლები.

— როგორ, შენ თანახმა ხარ?

— ჩემთვის სულ ერთია, თუნდაც ცელით შეებრძოლები.

შალიშტას სეკუნდანტებს გაუხარდათ, ისინიც უხერხულ მდგომარეობაში იყვნენ. თუ ივანი იარაღის შეცვლის წინააღმდეგი იქნებოდა, საგანგაშო გახდებოდა, მით უფრო, რომ რევოლვერებიდან ხმლებზე გადასვლა მართლაც არ არის მიღებული.

— და თქვენც დათანხმდით? — ჰკითხა წარბშეკრულმა ანგელამ.

— რაკი ივანი დათანხმდა, ჩვენც დავთანხმდით.

— ეს ხომ სისულელეა! სად გაგონილა, ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება ხმალი უჭირავს ხელში, შეებრძოლოს იმას, ვინც საერთოდ ხმალს არ გაკარებია.

— არაფერია, პირველი გაკაწვრისთანავე შევწყვეტთ ბრძოლას.

— კი მაგრამ რატომ დათანხმდით ამაზე? თქვენ დაივიწყეთ სეკუნდანტის მოვალეობა; უნდა გეთქვათ შალიშტას სეკუნდანტებისთვის, რომ ან იბრძოლებდნენ მაშინვე რევოლვერებით, ან არასოდეს.

— მართალი ხარ, მაგრამ აქაც ბერენდმა შეგვიშალა ხელი, ჩვენ სწორედ ასე მოვიქცეოდით ის რომ არ დათანხმებულიყო.

— მას არ უნდა დაკითხებოდით. როდისთვის დანიშნეთ ახალი დუელი?

— ხმლები თან არ გვქონდა, ნაშუადღევს კი ფარიკაობა არ შეიძლება, ასე რომ ხვალ დილისთვის გადავდეთ.

— ამ დროისათვის მე მოვაწყობ ისე, რომ დუელი არ შედგეს.

— როგორ შესძლებ ამას?

— მე მოველაპარაკები ბერენდს, ყველაფერს ავუხსნი.

— თუ ეტყვი, რომ ამ საქმეებში ჩვენი ხუმრობის წყალობით გაება, მაშინ იმ ერთის ნაცვლად ექვსთან მოუწევს ბრძოლა, ჩვენ ყველას გამოგვიწვევს დუელში.

— მე ავუხსნი ისე, რომ არც ერთ თქვენგანს არ შეებრძოლება.

— ამით დაამცირებ შალიშტას.

— რანაირად?

— სულ უბრალოდ. მისი მიზეზით გადაიდო დაწყებული ბრძოლა რევოლვერებით. საზოგადოების თვალში ეს დაამცირებს მას, როგორც ოფიცერს, იძულებული იქნება თადარიგში გადავიდეს და პენშტი დატოვოს.

— სადაც უნდა იქ წავიდეს! ეს მე სულ არ მადარდებს! ეშმაკსაც წაუღია! როგორც სეკუნდანტმა შენ ბერენდი უნდა დაიცვა და არა ის!

ამას ანგელა ისეთი თავდავიწყებით ამბობდა, ედენი განცვიფრდა.

— თუკი ასე გსურს, იყოს ნება შენი, წავალ გეზასთან ერთად ივანთან და გადავცემ ჩვენს აზრს.

ერთი საათის შემდეგ გრაფი ედენი ისევ ეახლა ანგელას.

— როგორ არის საქმე?

— მომისმინე, ანგელა, როგორც კი მე და გეზა ივანთან მივედით, განვუცხადეთ, რომ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, არ შევცვალოთ ადრე განსაზღვრული პირობა და არ დავეთანხმებით ხმლებით განაგრძონ დუელი, მან ხელი ჩამოგვართვა და მშვიდად გვითხრა: „უღრმეს მადლობას მოგახსენებთ მეგობრული დახმარებისთვის, რაც აქამდე გამიწიეთ, მაგრამ თუ ახლა აღარ შეგიძლიათ გარკვეული მოსაზრების გამო, თქვენი ნებაა. მე წავალ ოფიცერთა კაზინოში და პირველსავე შემხვედრ ორ ოფიცერს ვთხოვ იყვნენ ჩემი სეკუნდანტები“.

ანგელა განცვიფრდა.

— შენ მართალი ხარ, ანგელა, ამ კაცს ნამდვილად მაგარი კბილები აქვს, და თუ რაიმეს ჩაასო, ვეღარ გააშვებინებ. ჩვენ ვცადეთ დაგვერწმუნებინა, რომ შალიშტა ცნობილი მოფარიკავეა, რომ ხმლით ბრძოლაში ბადალი არა ჰყავს, მაგრამ მან განგვიცხადა: „ეშმაკისთვისაც რომ ჰქონდეს სული მიყიდული, მაინც შეებრძოლები!“-ო. ეს კაცი ნამდვილად „იკბინება!“

გრაფინია ანგელა მაგიდასთან დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

— ამის შემდეგ სხვა რა გზა გვქონდა, აღვუთქვით ბერენდს, რომ თუკი მოისურვებდა, მზად ვიყავით მის დასახმარებლად. დუელი ხვალ გამთენიისას დაიწყება და როგორ დამთავრდება, ღმერთმა უწყის მხოლოდ.

გრაფი ედენი ისე გავიდა ანგელას არც შეუნიშნავს. იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. დიდხანს სცემდა ბოლთას ოთახში, ბოლოს რომ დაიღალა, სავარძელში ჩაეშვა და ჩურჩულით წარმოსთქვა: „მე მას იულია გონზაგასავით მოვექეცი“.

გამთენიისას გაუხდელი მიწვა საწოლზე. მოახლემ შენიშნა, როგორ დაენამა ბალიში მის ცრემლებს.

ნაწილი მესამე

ქალის ოცდაცამეტი სახე

ახლა კი შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს ფილოსოფოსს: „ბრძენო სწავლულო, რაოდენ უგუნური ხარ! შენ მიატოვე შენი საწარმო, რომლითაც ცხოვრობ, სოფლის უბრალო სახლი, სადაც ასე კარგად გრძნობდი თავს, მიატოვე წყლისა და ცეცხლის საიდუმლოებით მოცული სულები, რომლებთანაც დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებს და შემოიჭერი სრულიად სხვა სამყაროში. კომედიად აქციე მეცნიერება, კითხულობ ფანტასტიკურ ლექციებს, ცეკვავ უნგრულ კოტილიონს, უამრავ ფულს აგებ კარტში, მელიებზე და კურდღლებზე ნადირობ, ცხვირს ყოფ შენთვის უცხო არისტოკრატიული ოჯახების შინაურ საქმეებში, დუელში იწვევ ოფიცრებს მზეთუნახავი გრაფინიების გულისთვის, არც მათ ინდობ და თვითონაც მკერდს უშვერ ტყვიას, მოწინააღმდეგეს სიგარას აგდებინებ პირიდან, ქუდს აძრობ თავიდან, თავს იწონებ ფარიკაობით ველური მასაგეტის მსგავსად! რა გესაქმება პოლუსელებთან, პეშტის სალონების ბატონებთან, მოძმე ხორვატთათვის გამართულ საქველმოქმედო კონცერტებთან, უნგრულ კოტილიონთან, კაზინოებთან, დოღთან, გრაფინიას კორსაჟიდან აწყვეტილ ღილებთან, ან ჰუსართა კაპიტნის ხმალთან? და რაც მთავარია, რაში გაინტერესებს, რატომ წაეჩხუბა გრაფინია ბონდავარი

თავის პაპას ან როდის შეურიგდება, წავა მასთან ვენაში თუ პირიქით, მას ჩამოიტყუებს პეშტში. რა გაიძულებს დარჩე აქ და იცხოვრო აქაური საზოგადოების ცხოვრებით. და თუ ვერ გასცემ პასუხს ყველა ამ კითხვას, ვერ ახსნი შენი აქ დარჩენის მიზეზს, მაშინ ყველაზე დიდი სულელი იქნები ამქვეყნად".

ახლა გიამბობთ რატომ დარჩა ივანი პეშტში და თვითონ განსაჯეთ უგუნურია თუ ბრძენი, თუ უბრალოდ ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები ამოძრავებს და ისე იქცევა, როგორც გული უკარნახებს. გულს კი თავისი კანონები აქვს!

გახსოვთ ალბათ, როცა აბატმა შამუელმა გრაფინია ტეუდელინდას საღამოზე მოიწვია ივან ბერენდი, მან ბოდიშის მოხდაც კი დააპირა, სახლში დაბრუნებას აპირებდა. ამ დროს მან მიიღო წერილი, რომელმაც შეცვალა მისი გეგმა. წერილი ვენიდან იყო, ახალგაზრდა პიანისტ არპად ბელენისაგან, რომლის სახელი უკვე რამდენიმე წელი იყო ქუხდა მუსიკალურ სამყაროში.

თოთხმეტი წლის წინათ ივან ბერენდი საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა ბელენებთან. ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე არპადი მაშინ ხუთი წლისა იყო და უკვე ყველა ვუნდერკინდად თვლიდა. მას შეეძლო ფორტეპიანოზე მარშების დაკვრა, სამხედრო მარშები კი მაშინ მოდაში იყო.

მოულოდნელად არპადის მამა გარდაიცვალა. მიზეზს შემდეგ შევიტყობთ. არპადის დედა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მას განსაკუთრებით ვაჟიშვილის ბედი ადარდებდა. ივანმა აღუთქვა დახმარება და შეპირდა, რომ მის აღზრდაზეც იზრუნებდა. რამდენიმე თვის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ივანი იძულებული იყო ბელენების სახლი დაეტოვებინა. დამშვიდობებისას რაც კი ფული გააჩნდა ოქროთი ბელენის ქვრივს დაუტოვა, რომ არპადისთვის მუსიკალური განათლება მიეცა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არც გარდაცვლილი ბელენის მეგობარი იყო, არც მისი ცოლის საყვარელი, არც ნათესავი, არც მოვალე. მაგრამ იმ დროს ასეთი რამ ხშირად ხდებოდა.

ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. არც ბელენის ოჯახს სმენია რაიმე ივანის შესახებ და არც ივანს მათზე. მხოლოდ ერთხელ შემთხვევით გაიგო, რომ ისინი სხვა ქალაქში გადა-

ვიდნენ საცხოვრებლად. როცა ჟურნალებმა სისტემატურად დაიწყეს სტატიების გამოქვეყნება ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსზე, ივანმა ყველა მუსიკალური ჟურნალი გამოიწერა და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მის ყოველ ახალ წარმატებას. არპადმა კი არაფერი იცოდა თავის მამობილზე.

ასე იყო მანამ, სანამ ივანმაც არ მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება, სანამ გაზეთებში არ დაიბეჭდა მის წარმატებებზე აკადემიაში.

როგორც კი არპადმა ბერენდის ადგილსამყოფელი გაიგო, მაშინვე მისწერა წერილი, რომელიც ასე იწყებოდა: „ჩემო საყვარელო, კეთილო მამა!“

წერილი გულუბრყვილო, უშუალო ბავშვური გრძნობებით იყო დაწერილი. ახალგაზრდა წერდა, როგორ ცხოვრობდა დედასთან ერთად, რომელსაც დღესაც ანგარიშს აბარებდა ყოველ წვრილმანზე. წერდა, რომ უკვე რამდენჯერმე დაუკრა მათი უდიდებულესობის წინაშე და ორდენებიც დაიმსახურა, რომელთა ტარების უფლებას დედა მხოლოდ კვირაობით აძლევდა. ახლა უკვე ბევრ ფულს იღებდა, მაგრამ არ ხარჯავდა, დედის სურვილი იყო, ოდესმე გამოესყიდათ თავიანთი სახლი, რომელიც სასამართლოს ძალით ვალებში წაართვათ ერთმა ბერძენმა. ამიტომ ზოგჯერ გაკვეთილებსაც ვაძლევ, ვასწავლი ფორტეპიანოზე დაკვრას, ამაში კარგად მიხდიან. განსაკუთრებით კი ერთი მომღერალი უამრავ ფულს მაძლევს. ეს არის ერთ-ერთი ბანკირის, კაულმანის მეუღლე.

ამ სტრიქონის წაკითხვისას ივანს გული შეუქანდა. სახე შეეცვალა და მთელი გულისყურით დაიწყო კითხვა.

„ეს არის მენადის სახით მოვლენილი მუზა. ცელქი ბავშვი და ამორძალი. იგი უნიჭიერეს მსახიობად არის დაბადებული და დიდ წარმატებებსაც მიაღწევდა, შიში რომ არა, გამჭრიახი გონება აქვს და ამავე დროს პირველქმნილი მშვენიერებაა. კურტიზანი ქალივით იქცევა, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ ჯერ ისევ უცოდველი ბავშვია. მეცადინეობისას სკოლის მოწაფესავით ცელქობს, მე კი ვტუქსავ. ჩემო ძვირფასო მამა, რომ დაგანახა, რა სერიოზული ვარ ასეთ დროს, თითქმის აუტანელი. ეს სურათი სპეციალურად შენთვის გადავიღე. არ იფიქრო ახლა, იმიტომ გიყვები ჩემს ერთ-ერთ მო-

წაფეზე ამდენს, რომ მეტი არაფერი მაქვს შენთვის სათქმელი. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი წყალობით შევიტყვე ისეთი რამ, რაც შენ აუცილებლად დაგაინტერესებს. ეს ცელქი ანგელოსი მიყვება თითქოს ყველაფერს რაც კი გადახდება, თითქოს მისი მოძღვარი ვიყო.

ცოტაც მოითმინე, საყვარელო მამა, ახლავე შეიტყობ ყველაფერს. ამ მანდილოსანთან მისი ოცდაცამეტი როლი მაკავშირებს. ეს სულ სხვადასხვა ჟანრის, სხვადასხვა ხასიათის როლებია. ერთ-ერთმა პოეტმა მისი ამ როლებისთვის ლექსები დაწერა, კომპოზიტორმა კი მუსიკა შექმნა. თავის როლებს ჩემი აკომპანიმენტით მეცადინეობს.

ნება მომეცი მხოლოდ ეს როლები ჩამოგითვალო და შემდეგ კი მთავარს მოგიყვები:

1. ლორელაი
2. კლეოპატრა
3. მზის დედოფალი
4. ბერძენი მონა ქალი
5. ვნებიანი ქალი
6. სულთანის მეუღლე
7. საცოლე
8. პატარძალი
9. ბაიადერა
10. კლავდია ლეტა
11. ამალაზუნტა
12. მაგდალინა
13. ნინონი
14. მთვარეული
15. მედეა
16. სალომეა
17. ჰურია
18. ჰერა
19. რევოლუციონერი ქალი ფრიგიული ჩაჩით
20. ტურანდოტი
21. გლეხის გოგო
22. დედა
23. ჟანა ლა ფოლი

24. ოფელია
25. ივდითი
26. ზულეიკა პოტიფარი
27. მარკიტანკა
28. გრიზეტი
29. კრეოლი ქალი
30. ლუკრეცია
31. ვილი
32. იულია გონზაგა

ოცდამეცამეტე როლი რომელია არ ვიცი, ამაზე ჩვენ ერთად არ გვიმუშავია. იკითხავ ალბათ, რა საჭიროა ეს როლები, თუკი ისინი ვერ იხილავენ სცენას. მარწმუნებენ, რომ ამ მაღალი წრის მანდილოსნისათვის აუცილებელია მეცადინეობა, დახვეწა, ვინაიდან შესაძლოა ოპერაში იმღეროს. ძნელია ჩაწვდე ყოველივე ამას. ბანკირი მილიონერია, მის ცოლს ოთხასიათასფორინტიანი აპარტამენტები უჭირავს და მიუხედავად ამისა სცენაზე ოცნებობს, სადაც 16 ათასზე მეტს არ მისცემენ. აქედან ექვსი ათასი სიმღერის მასწავლებელს დასჭირდება, რომელიც მას პროტექციას გაუწევს, ორი ათასი ხორმაისტერს, ოთხი ათასი ჟურნალისტებს, მისი ქება რომ არ მოსწყინდეთ და სამი ათასი კლერკებს — აპლოდისმენტისა და ყვავილებისთვის. მას თვითონ ათასზე მეტი არ დარჩება და ამით სუნამოს თუ იყიდის.

მაგრამ ალბათ ეს საჭირო არ იქნება. ლამაზ ქალს და თანაც მსახიობს, ყოველთვის გამოუჩნდება თაყვანისმცემლები, მათი გაცნობა კი არც ისე ძნელია, მით უფრო, რომ ჩემი მოწაფე ცალკე ცხოვრობს. ეს გასაგებიცაა... ბანკირს სერიოზული საქმეები აქვს და არ შეუძლია დღე და ღამე სოლფეჯიოს მოსმენა.

ასე რომ, არსებობენ განსაკუთრებული პირები, ეგრეთ წოდებული „მეცენატები“, ხელოვნების მფარველნი. ესენი არიან ცნობილი ბატონები, რომელთა სიტყვას ანგარიშს უწევენ თეატრების მფლობელნი. მათ ნებას რთავენ დაესწრონ ოცდათორმეტ რეპეტიციას. ოცდამეცამეტე ჯერ არავის უნახავს. რეპეტიციას ვესწრებით ასევე მე და ქალბატონის მეუღლე.

ხელოვნების ასეთ მოყვარულთა შორის არიან გრაფები, ჰერცოგები, პრინცები. მხოლოდ მაღალი წრის არისტოკრატია!

ჩვენ მათ ვეძახით „ფრიცის, ნაცის, მუკის, მანჩის“. ორი ასეთი მფარველი გვყავს. ბატონი მარი და ბატონი ბალდი, ერთს ჰქვია ვალდემარი, მეორეს ტიბალდი.

გუშინწინ, ეველინა უხასიათოდ იყო, (ასე ჰქვია ქალბატონს) ვერც კი მოვასწარი მიზეზი მეკითხა, რომ თვითონვე მითხრა: „წარმოგიდგენიათ, ამ აუტანელმა ჰერცოგმა ვალდემარმა გუშინ ლოჟაში განმიცხადა, რეპეტიციებზე თუ არ დავუშვებ, ლიქსის გააკოტრებს“ (მის მეუღლეს ფელიქსი ქვია).

— მერე და რატომ არ გინდათ შემოუშვათ? — ვკითხე გაოცებულმა.

— იმიტომ, რომ მას ვერ ვიტან! ლიქსის ეს რომ ვუთხარი, მშვიდად მიპასუხა, მიფრთხილდეს, მე არ გავაღარიბო ჰერცოგი ვალდემარიო. და მირჩია, მხოლოდ ჰერცოგი ტიბალდი მოვიწვიო რეპეტიციაზე.

— ო, ეს ხანდაზმული, დარბაისელი კაცია, შვილიშვილად ეკუთვნით. — ვუთხარი მე.

ქალბატონმა ტუჩზე იკბინა. — „მე მას რაღაც უნდა გამოვტყუო“.

— წარმომიდგენია...

თქვენ ამას ვერ გაიგებთ, საქმე ეხება ერთი ქალალდის ხელმოწერას. ეს მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, ლიქსისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ლიქსის ერთი დიდი საწარმო აქვს, ქვანახშირის კომპანია, რომლითაც მილიონების გაკეთება შეუძლია, მაგრამ მისი საბადო ჰერცოგი ტიბალდის მამულშია, ბონდავარში. გრაფინია ტეუდელინდამ უკვე მისცა ნებართვა, მაგრამ ჰერცოგის ხელმოწერის გარეშე ბირჟაზე აქციები არ აიწევს. ვალდემარს ეს არ აწყობს და ხელს გვიშლის. სწორედ ამიტომ სჭიროა ჰერცოგი ტიბალდის გულის მოგება. ლიქსის აზრით ახლა ამისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტია: იგი წაეჩხუბა ერთადერთ შვილიშვილს, გრაფინია ინგელას, რომელმაც მიატოვა და პეშტში გაემგზავრა. ახლა დარდობს და ვინც სევდას გაუქარვებს, სამუდამოდ მოიგებს მის გულს. ბონდავარის ქვანახშირი საუკეთესოა მსოფლიოში.

მე სიცილი ძლივს შევიკავე.

— რას იცინით, სულელო! — მითხრა ქალბატონმა, — ვინ, ვინ და მე კი ვიცი, რა არის ქვანახშირი, ბავშვობიდან ივან ბერენდის მაღაროში ვმუშაობდი.

გაოცებული წამოვხტი ადგილიდან.

— თქვენ ალბათ გიკვირთ, რა მინდოდა მე მაღაროში?

— არა, ქალბატონო, მე იმან უფრო განმაცვიფრა, რომ ახსენეთ ივან ბერენდის სახელი. რა იცით მასზე?

— იგი მაღაროს მფლობელია ბონდას ველზე, მის გვერდით ფელიქსი ახალი უფრო მსხვილი საწარმოს დაარსებას აპირებს, რომელიც ბონდავარის მთელ მამულს დაიკავებს. ივან ბერენდი ჩემი ყოფილი მეპატრონეა, ღმერთი იყოს მისი შემწე.

ახლა კი ჩემო საყვარელო მამა, გეტყვი მთავარ სათქმელს, რისთვისაც მთელი ეს ისტორია მოგიყევი. მართალია მე მუსიკოსი ვარ, მაგრამ მივხვდი, რომ როგორც მაღაროს მფლობელს, დაგაინტერესებს ახალი საწარმოს მშენებლობის ამბავი, ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდე ამის შესახებ. თუ ამას შენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს, მაცნობე და მოგწერ დაწვრილებით, ჩემი მოწაფე ყველაფერს მიამბობს".

ახლა უკვე ვიცით, თუ რატომ დარჩა ივანი გრაფინია ტეუდელინდას სალამოზე, რატომ წაიკითხა საინტერესო ლექცია მაღალი წრის საზოგადოებაში. არპადს კი მისწერა, რომ ყოველდღიურად ეცნობებინა მისთვის, რასაც ეველინასაგან გაიგებდა მაღაროსთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ კვირაში ორჯერ იღებდა ივანი წერილებს ვენიდან.

„მოხუცი ჰერცოგი მახეში გაება. კაულმანს თვითონ მიჰყავდა იგი რეპეტიციებზე. როცა ეველინა სახლში ორი-სამი მაყურებლისთვის მღეროდა, ისეთი მომხიბლავი იყო, იფიქრებდით, ეს რომ სცენაზე გამოვიდეს, საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი გახდებაო, მაგრამ როგორც კი სცენაზე ფეხს შედგამდა, შიში იპყრობდა და ყველაფერი ავიწყდებოდა.

ეს რეპეტიციები კი იმ საბაბით ეწყობოდა, რომ ხელოვნების ტრფიალი ჰერცოგი ტიბალდი დახმარებოდა ოპერის თეატრში მოწყობაში.

თუმცა, მე ვიცი ამისი ნამდვილი მიზანი. თავადი ტიბალდი

არამარტო ხელოვნების კარგი მცოდნეა, მისი ფასიც იცის. კარგად იცის ორი შავი ალმასის, ეველინას თვალების ფასი.

თანაც ჰერცოგ ვალდემარს თავდავიწყებით უყვარს ქალბატონი, ჰერცოგი ტიბალდი კი დაინტერესებულია იმით, რომ ეველინა ვალდემარს არ ჩაუვარდეს ხელში.

ამასწინათ ჰერცოგმა ვალდემარმა ალბომის თითოეულ გვერდში, რომლებზეც მადამ კაულმანის ფოტოებია სხვადასხვა როლებში, ასი-ასი ოქრო შემომთავაზა. ჩვენთან ხომ ყოველ დღე მოდის ფოტოგრაფი და რეპეტიციის დროს ყველაზე საუკეთესო პოზაში ულებს სურათს. შემდეგ იქვე ამჟღავნებს და თითოეული ნეგატივიდან მხოლოდ ოთხ სურათს ბეჭდავს, ერთს ჰერცოგ ტიბალდისთვის, ერთს ქალბატონისთვის, ერთს ჩემთვის და ერთს ფელიქსისთვის.

ნეგატივები ფელიქსთან რჩება.

მე, რა თქმა უნდა, ამ სურათებს არ მივყიდი ჰერცოგ ვალდემარს, გამოგიგზავნი შენ, დედას არ სურს, რომ ეს სურათები ჩვენს ოჯახში დარჩეს“.

ამის შემდეგ ივანი ყოველ წერილთან ერთად ეველინას ფოტოებსაც იღებდა სხვადასხვა როლებში.

არპადს აზრადაც არ მოსდიოდა, როგორი თაფლნარევი საწამლავივით ეწვეთებოდა მისი „საყვარელი მამის“ გულს ეს სასიამოვნო საჩუქარი.

პირველ სურათზე გამოსახული იყო ლორელაი, ფერია რაინის აჭაფებულ ტალღებზე, ოქროს სავარცხლით რომ ივარცხნიდა უმშვენიერეს თმებს და მომხიბლავი ხმით მღეროდა.

მეორე კლეოპატრა იყო ტარსის დამპყრობის წინაშე, რომლის დამარცხებასაც თავისი განუმეორებელი სილამაზით აპირებდა. პორტრეტი ბრწყინვალედ იყო შესრულებული, ეს იყო ერთსადაიმავე დროს პატივმოყვარე დედოფალიც და ვნებიანი ქალიც, ნაზიც და ამაყიც.

მესამე იყო მზის დედოფლის პორტრეტი, მბრძანებლური იერი და ჩაცმულობა თვალსაჩინოს ხდიდა მის სამეფო სხეულს, უმშვენიერესი შიშველი ხელი ცისკენ აღემართა, მეორეთი კი მზისკენ გაწვდილი მსხვერპლი ეჭირა, ადამიანის

მთრთოლვარე გული, დედოფალი ციცად დაჰყურებდა მას, მისი სახე კი ცასავით მშვიდი იყო.

მეოთხე პორტრეტზე გამოსახული იყო ბერძენი მონა ქალი. იგი ლამობს გაწყვიტოს ბორკილები, რომლებიც ხელებს უბორკავს. ეს არის მეტად თავისებური სრულქმნილი სილამაზის მარმარილოს ქანდაკება.

მეხუთეზე ვაკხანკა, რომლისთვისაც არ არსებობს რაიმე აკრძალული, მისი ვნებით დაელექტროებული სხეული თავისკენ გიხმობს, თვალისმომჭრელი სილამაზე გათრობს და გაჯადოვებს.

მეექვსე, სულთანის მეუღლე ნორმაგალია. იგი თითქოს ფაქვავებული ზის, უმოძრაოა მისი ყოველი ნაკვთი, მაგრამ ხელოვნებისმცოდნე ადვილად შენიშნავს, რომ მისი შავი თვალები საიდუმლოებით არის მოცული და მხოლოდ მას ჰპირდება ტკბობას, ვინც ამას ამოიცნობს.

მეშვიდეზე საპატარძლოა გამოსახული, თეთრი მაქმანებით დამშვენებული კაბით, გვირგვინით და ფატით. სახეზე შიშნარევი ღიმილი დასთამაშებს მომავალი ბედნიერების მოლოდინში, თვალებში ცრემლი უბრწყინავს. განუმეორებელი გრაციოზულობით გაუწვდია ხელი საქორწინო ბეჭდისკენ.

ო, როგორი სულიერი ტკივილი მიაყენა ივანს ამ პორტრეტების ხილვით მისმა საყვარელმა შვილობილმა!

მაინც როგორი გარდასახვის უნარი აქვთ ქალებს!

არპადი შემდეგ იწერებოდა, რომ ჰერცოგი მოაჯადოვა მომხიბლავმა ქალბატონმა, აღარ ძალუძს მისი დათმობა, ყოველი რეპეტიციის შემდეგ იმეორებს, რომ ამ საუნჯის დამალვა არ შეიძლება. მის ბრწყინვალებას რა თქმა უნდა, შეეძლო სხვა საუნჯის გამომზეურებაც დიდი ხელოვნებისთვის, ასაკს რომ არ შეეშალა ხელი, მას ხომ ამის დიდი გამოცდილება ჰქონდა, თუმცა ასეთი საუნჯე საკმაოდ „ძვირფასი“ იყო.

მაგრამ როცა ადამიანი სამოცდარვა წლისაა და შვილიშვილის გათხოვებაზე ფიქრობს, ზოგჯერ საჭიროდ მიაჩნია ჰკითხოს თავის ბანკირს, როგორია სხვაობა ოცმილიონიან აქტივსა და ფარულ თანხას შორის, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული შეიძლება თუ არა ერთდროულად შვილიშვილის გა-

თხოვებაც და კიდევ ერთი მზეთუნახავის გამოყვანა საზოგადოებაში.

ჰერცოგმა სულ ახლახანს მოაწყო მაქსიმილიანის ქუჩაზე სასახლე ანგელას გემოვნებით, ყოველ შემთხვევისთვის, თუ იგი გათხოვებას მოისურვებდა. სასახლე მართლაც საუცხოო იყო, მაგრამ გრაფინია წაეჩხუბა ჰერცოგს და სიტყვის გაგონებაც არ უნდა. ჯერჯერობით ანგელა არისტოკრატული სიჯიუტით ცდის პაპის მოთმინებას, ეველინა სულ უფრო და უფრო ავიწროებს მოჯადოებულ წრეს. და თუ გრაფინია ანგელა დროზე არ დაიკავებს სასახლეს მაქსიმილიანის ქუჩაზე, ჩემის აზრით, მას შეიძლება დაეუფლოს ქალბატონი კაულმანი.

აი რა შეიტყო ივანმა პიანისტის წერილებიდან.

აი რატომ შეიჭრა ასე მაღალი წრის სალონში და მათი ოჯახების ინტიმურ საქმეებში ჩაერია, აი, რატომ უარჰყო თავისი ადრინდელი ცხოვრების წესი და თავი ჩაიგდო ისეთ სიტუაციებში, რომლებიც უცხო წრეში მოხვედრილს არ ასცდება. მას უნდა დაეცვა ეველინა. მართალია, ის ახლა სხვისი ცოლი იყო და თავის დროზე ვერ გაუფრთხილდა, მაგრამ არ სურდა, რომ მესამის საყვარელი გამხდარიყო!

იგი შეურიგდა იმ აზრს, რომ ქალიშვილი, რომლის სიყვარულს ვერასოდეს ამოიგდებდა გულიდან, სხვაზე გათხოვდა. მისთვის მუდამ ბედნიერება სურდა! მაგრამ ვერასოდეს გადაიტანდა იმას, რომ მას დაევიწყებინა ყველაფერი ამქვეყნად და ტალახში ამოესვარა თავისი სახელი. თუ გათხოვდა, მოიქცეს ისე, როგორც პატიოსან ქალს შეეფერის! და თუ ქმარი თვითონ უბიძგებს უპატიოსნო გზისკენ, მაშინ იყოს მისი, ვისაც სიცოცხლეს ურჩევნია.

ნუთუ ასე უგუნურია ივანის სურვილი? ამაზე მხოლოდ გულგრილ ადამიანს შეუძლია იფიქროს, ივანს გული სხვას ეუბნებოდა, გულს კი თავისი კანონები აქვს.

ან ვინ იცის, იქნებ იგი თავის საკუთარ ინტერესებსაც იცავდა! თუ ჰერცოგს დაითანხმებდნენ, ბონდავარის მამული გადაეცა კონსორციუმისათვის, ივანის საწარმოს საფრთხე ემუქრებოდა. იქნებ სწორედ ამისთვის უნდოდა წინააღმდეგობის გაწევა? მრეწველმა ყველაფერს უნდა გაუწიოს ანგარიში.

ასე რომ, ვისაც ფიცხი გული აქვს, ჩათვალოს, რომ ივანს უნდოდა ეველინას ღირსება დაეცვა, გულგრილებმა კი დაე იფიქრონ, რომ საკუთარი საწარმოს გადარჩენა სურდა.

ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა პიანისტმა მოსწერა ივანს: „ეს კაულმანი ისეთი არამზადაა, რომ ბადალი არა ჰყავს. აქამდე იგი ყველა რეპეტიციას ესწრებოდა ჰარცოგ ტიბალდთან ერთად.

დღეს ჰერცოგი ისეთ მშვენიერ ხასიათზე იყო, რომ კაულმანს ეს არ გამოჰპარვია, პირველივე შეკითხვიდან შეიტყო, რომ ჰერცოგი შვილიშვილის წერილით იყო ასე გახარებული. გრაფინია ანგელა სწერდა, რომ თვითონაც არ იცის საიდან გამოეცხადა სრულიად უცნობი ბატონი ივან ბერენდი, რომელსაც გამბედაობა ეყო საყვედური ეთქვა მისთვის და დაერწმუნებინა, რომ უნგრეთის არისტოკრატიის წმიდათაწმიდა მოვალეობაა სამშობლოში დაბრუნება და რომ ჰერცოგი ტიბალდი პეშტში უნდა ცხოვრობდეს. მაშინ გრაფინია ანგელაც შეურიგდებოდა პაპას. ამ სიტყვების წარმოთქმისას ჰერცოგი ბედნიერი იყო, კაულმანს კი სახე მოეღუშა. ჰერცოგმა განაცხადა, რომ დაფიქრდება ამაზე და თუ გრაფინია ანგელას ასე შეუყვარდა პეშტი, მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო. კაულმანმა სიბრაზისგან კბილები გააკრაჭუნა, განაცხადა, რომ ისიც „მოხარულია“, მაგრამ ჰერცოგის ადგილას ჯერ დაიყოლიებდა გრაფინიას ვენაში დაბრუნებაზე და შემდეგ წაყვებოდა პეშტში. ჰერცოგს მოეწონა მისი აზრი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამასობაში ის ორი უკანასკნელი რეპეტიციაც მოესწრებოდა.

ოცდამეთორმეტე იყო — იულია გონზაგა. მისი ამბავი შეიძლება შეიტყოთ ნოველების ნებისმიერი კრებულიდან. ეს როლი ყურადღებას იქცევს მხოლოდ კოსტიუმით და შიშველი ფეხებით. თუმცა ეს კოსტიუმი მაცდურია, იგი, გადმოცემის თანახმად, აცვია ისეთ ქალს, რომელიც მზად არის საკუთარი ხელით ხანჯალი გაუყაროს გულში ყველას, ვინც კი გაბედავს და თვალს შეავლებს მის ფეხებს.

ადრე კაულმანი ყველა რეპეტიციას ესწრებოდა, მაგრამ ახლა ადრევე გაგვაფრთხილა, რომ აუცილებელ საქმეზე იყო წასასვლელი.

ამ რეპეტიციას არც მე დავსწრებივარ.

დედამ როგორც კი ნახა ეს პორტრეტი, საშინლად აღშფოთდა და კატეგორიულად განაცხადა, რომ მის ბავშვს არ შეუძლია ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილი მსახიობის აკომპანირება. ასე, რომ უნდა მომემიზეზებინა ავადმყოფობა ან სხვა რამე ამის მსგავსი. მაგრამ მე ეს ვერ შევძელი და პირდაპირ გამოვუტყდი ჩემს კეთილ ფერიას, რომ დედა არ მაძლევდა უფლებას ასეთ როლზე მემუშავა მასთან ერთად.

ჩემმა მოწაფემ გულიანად გაიცინა და მითხრა, რომ რაიმეს მოიფიქრებდა.

თუმცა, რა ჩემი საქმეა რას მოიფიქრებს. დედა მართალია, რომ არ გამიშვა, მეც მართალი ვარ, რომ სიმართლე ვუთხარი ქალბატონს.

ამ წერილმა ივანი მოთმინებიდან გამოიყვანა.

იგი დიდხანს დაჰყურებდა ფოტოს. ეს იყო ქალი გაშლილი თმებით, გულისგამგმირავი მზერით, რომელსაც მარჯვენა ხელში ხანჯალი უჭირავს, შიშველი ფეხი ხალიჩაგადაფარებული რაღაც საგნისთვის დაუბიჯებია, რომელიც ადამიანს წააგავს. იგი შილიფად არის ჩაცმული, მსუბუქი ტანსაცმელი თვალსაჩინოს ხდის მისი უნაკლო სხეულის უმშვენიერეს ნაკვთებს.

იმავე დღეს იულია გონზაგას ამბავი ერთ-ერთმა მაღალი წრის მანდილოსანმა უამბო ივანს.

მეორე დღეს კი, როცა დუელიდან დაბრუნდა, არპადის კიდევ ერთი წერილი მიიღო. ახალგაზრდა პიანისტი ატყობინებდა რა მოხდა შემდეგ.

ეველინამ თავისი ხელოვნება უჩვენა მარტო ჰერცოგს, მუსიკის გარეშე. იგი ისეთი მომხიბლავი იყო, რომ საბოლოოდ დაიპყრო მოხუცის გული. ჰერცოგი მიაუხლოვდა და ხელკავი გაუკეთა. ქალბატონმა გაიცინა: „ბატონო ჩემო, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ხანჯალი მიჭირავს ხელში?“

— მე შემიძლია წაგართვათ! — ღიმილითვე უპასუხა ჰერცოგმა. ქალი იცინოდა, ასეთ მომენტში კი სულ იოლია დანის წართმევა. ამ დროს ეველინას სიცილს რაღაც უცნაური ხმა შეუერთდა, ბაყაყის ყიყინის მსგავსი და თავზარდაცემული ჰერცოგის ფეხებთან აზალიისა და მირტას ბუჩქებიდან, რომელიც დეკორაციის როლს ასრულებდა, გამოცოცდა ყა-

ვარჯნებზე დაყრდნობილი კოჭლი, უღმერთოდ დამახინჯებული, კვერცხისებურ თავიანი არსება, კუზიანი მხრებით.

— ჩვენ მარტონი არა ვართ, თქვენო ბრწყინვალებავ! — გაიცინა ეველინამ.

— ვინ არის ეს გომბეშო? — იკითხა აკანკალებულმა ჰერცოგმა.

— ჩემი საყვარელი, ერთადერთი ძმა, — უპასუხა ეველინამ და კოცნა დაუწყო ამ უბედურ არსებას, შემდეგ გულში ჩაიკრა. ეს არის ჩემი საუნჯე, ამქვეყნად მასზე ძვირფასი არავინ გამაჩნია, იგი მაშინ მოდის ჩემთან, როცა მოისურვებს.

— რა მახინჯია! ენდორის გამოქვაბულის ჯადოქარიც კი ქერუბიმია მასთან შედარებით. ნუ კოცნით მას, ეველინა, თორემ ადამიანს სამუდამოდ დაეკარგება თქვენს ტუჩებთან მიკარების სურვილი!

ეველინამ ბურნუსი მოისხა მხრებზე, ქოშები ჩაიცვა და უთხრა ჰერცოგს, რომ იგი ნახავდა ოცდამეცამეტე როლს.

ჰერცოგი დაინტერესდა, რომელი როლი იყო ეს.

— ამას ზეგ შეიტყობთ.

— თუ იცის ვინმემ ამის შესახებ?

— არავინ.

— არც ამ მახინჯმა?

— არც ამან.

ჰერცოგი აღფრთოვანებული წავიდა. განსაკუთრებით ის ესიამოვნა, რომ ეველინას ამ ახალ გარდასახვას მარტო ნახავდა. ახალი როლის შესასწავლად საჭირო იყო ერთი დღე.

ეს ყოველივე ეველინას ძმამ მიამბო, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ და ყოველ დღე მოდის ჩემთან ჩაიზე. მას არაფერი არ აკლია, ეველინა ყოველ სურვილს უსრულებს, მაგრამ თუ რაიმე არ გთხოვა, ვერ მოისვენებს. იგი ჰერცოგიც რომ გახდეს, ალბათ ქუჩაში გააჩერებდა კარეტას კროიცარის სათხოვნელად. მე ხომ ეს ყველაფერი ერთი ნატეხი ყინვარი შაქრისთვის მომიყვა, თან მაჩვენა, როგორ გამოძვრა ბუჩქებიდან ყავარჯნებით შემაძრწუნებელი სიცილით, როცა ჰერცოგი ეველინას დანის წართმევას უპირებდა.

„დანარჩენს ზეგ მოგწერ დაწვრილებით“.

ესე იგი ზეგ?

ივანს არ უნდოდა ზეგამდე ცოცხალი დარჩენილიყო და თუ დარჩებოდა, ღმერთმა უწყოდა, იარები რამდენხანს არ მოუშუშდებოდა.

იმ ღამეს ორი იულია გონზაგა ეზმანა სიზმარში. ორივე მზად იყო გული ეკეპო მისთვის, თუმცა სრულიად დაუმსახურებლად.

ორი დარტყმის უფლება

დუელში ხმლებით შებრძოლებას ერთი უპირატესობა აქვს: აუცილებელი არ არის ეს ამბავი საიდუმლოდ დარჩეს. ამის შესახებ უკვე წინადღით ლაპარაკობენ, როგორც რაიმე გასართობ სანაძლეოზე, მართალია, ბოლო ხანს არაერთი დუელი დამთავრდა სიკვდილით, მაგრამ არავის მოსდის აზრად დაიცვას საიდუმლოდ, თანაც სეკუნდანტებისთვისაც იოლია, თუ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე სასიკვდილოდ დაიჭრება, ნაცნობი ექიმი განაცხადებს, რომ დიდი ხნის ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა, რომელიც უამისოდაც ორ-სამ დღეში მოუღებდა ბოლოს. აბა ახლა ვინ რას იტყვის, ვიღაც 48 საათით ადრე მოკვდება თუ გვიან.

ივან ბერენდისა და მარკგრაფ შალიშტას მომავალ დუელზე ისეთი სჯა-ბაასი იყო ყველა კლუბში, თითქოს თეატრალური პრემიერა ყოფილიყოს.

ყველაზე მეტს კი თვითონ შალიშტა ლაპარაკობდა ნაცნობებში. აქვე იყვნენ სეკუნდანტებიც. ამ ახალგაზრდებმა კარგად იცოდნენ თითოეულის წარმატებები ფარიკაობაში, მათ ხომ არაერთხელ უცდიათ ძალა ერთიდაიმავე მასწავლებლის წინაშე. ამიტომაც თავისუფლად შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ თითოეული დუელის შედეგი.

შალიშტას ყველა შეუდარებელ მოფარიკავედ თვლიდა, მისი დამმარცხებელი ჯერ არავის ენახა, მან ერთი ილეთი იცოდა: ქვემოდან ელვისებური დარტყმით მოწინააღმდეგეს ხმლის პირს შემოუვლიდა და მუცელს გაუფატრავდა. ხოლო თუ იგი დარტყმას მოიგერიებდა, ტემპს დაკარგავდა და სახეს ვეღარ დაიცავდა.

შალიშტა სულაც არ გრძნობდა თავს უხერხულად მისი მიზეზით დუელის გადადების გამო. მის ადგილას სხვა ორ-სამ კვირას მაინც არ გამოჩნდებოდა საზოგადოებაში და ალბათ საზოგადოებაც აგრძნობინებდა, რომ უტაქტოდ მოიქცა. სხვა დროს ყველაფერი შეიძლებოდა, ჩვენც ხომ ყოველთვის არა ვართ მეტისმეტად მომთხოვნი. ასე რომ მარკგრაფ შალიშტას შეეძლო, ეტრაბახა რამდენიც სურდა.

— ვნახოთ ერთი, რა შვილიც ბრძანდება ეს მეცნიერი. ეს მათემატიკა არ ეგონოს, რევოლვერით სროლისას რომ შველის.

— ნუ დაგავიწყდება, რომ ივანი რაინდულად დაგთანხმდა რევოლვერიდან ხმალზე გადასვლაზე და ისიც გახსოვდეს, რომ იგი ცნობილი მეცნიერია და ქვეყანას სჭირდება, — შეაწყვეტინა გრაფმა გეზამ ტრაბახი.

— კარგი, კარგი! ნუ გეშინიათ, არ მოვკლავ, მარტო ცხვირის ბოლოს ჩამოვათლი, ეს არის და ეს! ხომ უნდა დარჩეს რაიმე სახსოვარი ჩვენი წაჩხუბების გასახსენებლად! დიდ მეცნიერსაც ხომ შეუძლია უცხვიროდ ცხოვრება! თანაც როცა ტელესკოპით ვარსკვლავებს მიაჩერდება, ცხვირი ხელს აღარ შეუშლის.

აქ უკვე გრაფი ედენი ჩაერია ივანის ცხვირის გადასარჩენად. ბოლოს შალიშტას ისღა დარჩენოდა, რომ ერთ ყურს დასჯერებოდა, მეტის უფლება არ მისცეს. მაგრამ გრაფი ედენი არც ამაზე დაეთანხმა, მსუბუქად ხელის გაკაწვრა სავსებით საკმარისიაო.

გრაფმა იშტვანმა კი ასეთი მოსაზრებაც გამოთქვა:

— ჩემო კარგო, ხომ შეიძლება ამ საოცარმა არსებამ დაგჩეხოს?

— კიდევ რას ინებებს? მე მას პირველი ორი დარტყმის უფლებას მივცემ ხელზე, შემდეგ კი მე ვიცი!

კამათი ამით დამთავრდა. ოღონდ სეკუნდანტებმა გადაწყვიტეს, თუ საქმე გამწვავდებოდა, დროულად ჩარეულიყვნენ და არ მიეცათ მეცნიერის დამახინჯების უფლება.

მეორე დილით გამთენიისას მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდნენ ზუგლიგეტში. დუელისთვის შეარჩიეს რესტორან „ხოხბის“—საცეკვაო დარბაზში. სეკუნდანტებმა იატაკზე წი-

ნასწარ ცარცის ფხვნილი მოაბნიეს, რომ ფეხი არ დასხლტომოდათ. შემდეგ მეორე ოთახში მყოფ მოწინააღმდეგეებს სთხოვეს წელს ზემოთ გაეხადათ და გამოსულიყვნენ.

პოზიციის შესარჩევად წილისყრა აღარ დასჭირდათ, დარბაზის ყველა კედელზე ფანჯარა იყო.

სეკუნდანტებმა მოიტანეს ხმლები და აუხსნეს მოწინააღმდეგეებს რომ ბრძოლა იქნებოდა მხოლოდ პირველ გაკაწვრამდე.

შალიშტა არ დაეთანხმა: — რას ნიშნავს პირველ გაკაწვრამდე! ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ ერთ-ერთ ჩვენგანს მეტი აღარ შეეძლება!

ამაოდ ცდილობდნენ შალიშტას დარწმუნებას, სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა.

— მოგვცემთ თუ არა ბოლოს და ბოლოს ხმლებს! — ვეღარ მოითმინა ივანმა, — აქ შეიძლება გავცივდეთ კიდევაც ასე თუ ვიდგებით!

სეკუნდანტებმა მოწინააღმდეგეებს ხმლები გადასცეს და ნიშანი მისცეს.

ჰერკულესის აღნაგობის შალიშტას სხეული არ შეიძლება თვალში არ მოგხვედროდათ, მაგრამ, არც ივანი ჩამოუვარდებოდა. იგი ასეთი უზარმაზარი არ იყო, მაგრამ მის კუნთმაგარ მკლავებს და ფართო გულმკერდსაც აუცილებლად შეამჩნევდით.

ორივემ თავი დაიფარა ზეაღმართული ხელით, გადააჯვარედინეს ხმლები და მარცხენა ხელი უკან წაიღეს. რამდენიმე წუთს მარჯვედ იცავდნენ თავს, ცდილობდნენ ხელში დაეჭრათ ერთმანეთი, შემდეგ კი თავგამეტებით ეკვეთნენ. ორივეს სურდა მოწინააღმდეგის განზრახვა ამოეცნო.

შალიშტას ერთი სული ჰქონდა, სახეზე დაემჩნია კვალი ივანისთვის. ამისთვის კი განსაკუთრებული დარტყმა იყო საჭირო, ვინაიდან სახეს მარცხენა ხელით საგულდაგულოდ იცავდა.

მაგრამ როცა შალიშტამ თავისი ილეთი გამოიყენა, ივანმა ორმაგი დარტყმით უპასუხა, რაც უდიდეს სისწრაფეს მოითხოვს და მხარში დაჭრა.

ასეთი დარტყმისას სისხლი მაშინვე არ გამოდის, რაც ამ კუნთის ქსოვილისთვის არის დამახასიათებელი.

— სისხლი არ გამომსვლია! დუელი გრძელდება! — იყვირა გახარებულმა შალიშტამ. ოღონდ ეს კია, რომ მოწინააღმდეგის სახეზე შრამის დატოვების სურვილი გაუქრა. გადაწყვიტა, თავისი კარგად ნაცადი დარტყმა გამოეყენებინა მუცლის მიმართულებით, რომლისგანაც თავდაცვა არც ისე იოლი იყო და არცთუ იშვიათად — სასიკვდილოც. ვინც ცუდად პასუხობს ამ დარტყმას, მისი მსხვერპლი ხდება, ვინც თავს დაიცავს, იმავე წამში თავში მიიღებს დარტყმას.

ივანმა ამ დარტყმას არც ისე და არც ასე არ უპასუხა. შალიშტას მხედველობიდან გამორჩა ისიც, რომ დუელის ხმლები სასწავლო და საბრძოლო ხმლებზე მოკლეა და რომ მის მოწინააღმდეგეს ძალზე გრძელი ხელები ჰქონდა.

ივანმა არ უპასუხა ქვემოდან, დაუჭირა ზემოაღმართული ხელი და შალიშტა აიძულა რამდენიმე მილიმეტრით აეცდინა ხმალი მისთვის, თვითონ კი იმავე კუნთში დაჭრა ჯვარედინად.

ესეც თქვენი ორი დარტყმის უფლება!

ამ მეორე დარტყმამ შალიშტა სულ გააცოფა, დაჭრილი ნადირივით ეკვეთა მოწინააღმდეგეს და ისეთი ძალით მოინდომა თავი გაეპო მისთვის, ყასაბი გეგონებოდათ ცულით ხელში. ყველას გასაოცრად ხმლები არ დაიმსხვრა.

ივანმა ელვისებური სისწრაფით უპასუხა რემიზით და ვიდრე გონს მოვიდოდა, მთელი ძალით დაჰკრა სახეში.

საბედნიეროდ, დარტყმა მაინც მსუბუქი გამოუვიდა, თორემ შეიძლებოდა ორად გაეპო თავის ქალა შალიშტასთვის.

დაჭრილი წაბარბაცდა, მარცხენა ხელი სახეში იტაცა და ჩაიკეცა.

სეკუნდანტები მიეშველნენ და წამოაყენეს.

ივანმა ხმალი დაუშვა და ერთხანს გაქვავებულივით იდგა ცივი, მარმარილოსავით უმოძრაო სახით.

სეკუნდანტებმა მიულოცეს გამარჯვება.

— დაკმაყოფილდნენ ეს ბატონები? — ჰკითხათ ივანმა.

— ვფიქრობ, რომ სავსებით, — უპასუხა გრაფმა ედენმა.

— უკეთესად ვერავინ შესძლებდა. სადაო აღარაფერია. ამ სიტყვებით მიაცილეს ივანი გვერდით ოთახში, სადაც ტანსაცმელი უნდა გამოეცვალა. დარბაზში რომ დაბრუნდა, მოწი-

ნააღმდეგე უკვე გონს მოსულიყო. ორივე ექიმი თავს დასტრიალებდა. ერთი მხარს უხვევდა, მეორე თავს.

რაინდული წესის თანახმად, ივანი მიუახლოვდა შესარიგებლად.

— გთხოვთ მომიტევოთ!

შალიშტამ მარცხენა ხელი გაუწოდა.

— სალაპარაკოდ არ ღირს! ეს უკანასკნელი მართლაც საუკეთესო დარტყმა იყო, პირველი ორი შეიძლება არც ჩავთვალოთ. მე ხომ ვთქვი, რომ ორი დარტყმის უფლებას მოგცემდი. აი, მესამე კი სამუდამოდ მემახსოვრება. არაფერია, ერთ კვირაში მომიშუშდება.

ივანმა ჰკითხა ექიმებს, ჭრილობები საშიში ხომ არ არისო.

— არაფერია საშიში! — მათ მაგივრად უპასუხა შალიშტამ, — ასობით მოწინააღმდეგეს უგემია ჩემი დარტყმები, ახლა კი დადგა დრო, მეც გამომეცადა. არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ ყოველივე ამას, მე სხვა ტკივილი უფრო მაწუხებს. მისგან ჩემი განკურნება კი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მომაყენა. მართალი მითხარი, სამხედრო სამსახურში თუ ყოფილხარ ოდესმე?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა ივანმა, — განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ჰუსართა ოფიცერი ვიყავი.

— რატომ აქამდე არ მითხარი, დალახვროს ეშმაკმა? რომელ პოლკში მსახურობდი?

— ვილჰელმის. მე ვიყავი ერთადერთი, ვინც შენ ცოცხალი გადაგირჩა, როგორც მოწმე.

ყველამ ეადაიხარხარა, დაჭრილმა კი ყველაზე მეტად.

ექიმებმა აუკრძალეს სიცილი, სახეზე ყველა პლასტირი აგძვრებაო.

— კარგით, სახის მეორე ნახევრით გავიცინებ. ღმერთი იყოს შენი შემწე, მეგობარო. ახლა შენი დარტყმა სამარცხვინო აღარ იქნება ჩემთვის! მე ხომ დავიჭერი ჯარისკაცის ხელით და არა ვიღაც მოყვარულისა. მოდი, კისერში მაკოცე. მარჯვენა ხელს ვერ ჩამოგართმევ, შენი წყალობით. ესეც კარგად გამოგვიდა, ნამდვილი ჰუსარული დარტყმა იყო.

მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

მაგრამ რამდენიმე წუთში შალიშტამ ისევ დაჰკარგა გონება, ბევრი სისხლი დაკარგა. ივანს მისი თავი ეჭირა ხელში, სანამ ექიმი ხელმეორედ შეუხვევდა, შემდეგ კი დაეხმარა დაჭრილის კარეტაში გადაყვანაში.

— შესანიშნავი ადამიანია! — ერთხმად აღიარეს ამ დახვეწილმა ჯენტლმენებმა.

მშვიდობით!

გრაფ იშტვანის სასახლეში საზოგადოება მოუთმენლად ელოდა დუელის შედეგს. სეკუნდანტებმა აღუთქვეს მათ, რომ დამთავრებისთანავე აქ მოვიდოდნენ. ზოგიერთებმა სანაძლეოც დადეს დუელის შედეგზე. ვინ დაიჭრებოდა, შალიშტაც თუ დაშავდებოდა, მძიმედ დაიჭრებოდნენ თუ ოდნავ გაკაწრავდნენ ერთმანეთს, როგორც ეს მაღალი წრის საზოგადოებაშია მიღებული.

გრაფ იშტვანს ეყო გამბედაობა ათ კაცთან დაედო სანაძლეო, რომ შალიშტასაც მოხვდებოდა, უფრო მეტიც, ერთთან ისიც კი სთქვა, რომ სწორედ შალიშტა დაიჭრებოდა მძიმედ. ივანი რომ უვნებელი დარჩებოდა და გაიმარჯვებდა, ას კაცთან მაინც სცადა სანაძლეო, მაგრამ ერთიც ვერ მოძებნა, ვინც მის აზრს გაიზიარებდა.

ფანჯრებთან უამრავი ხალხი იდგა და სეკუნდანტების კარეტის გამოჩენას ელოდა. ბოლოს როგორც იქნა გაჩერდა ეკიპაჟი, საიდანაც ედენი და გეზა გადმოვიდნენ.

— სანაძლეო მოვიგე! — განაცხადა გრაფმა იშტვანმა, — სეკუნდანტები იმას სტოვებენ, ვინც უფრო მსუბუქად დაიჭრება.

გრაფი ედენი მანდილოსნებისკენ გაემართა, გეზამ კი გრაფ იშტვანთან შეირბინა და კარებიდანვე იყვირა:

— რომ იტყვიან, სულ დაჩეხა!

— ვინ? შალიშტამ?

— არა! ივანმა!

— ივანმა?

— სწორედ ივანმა! სულ დაჩეხა!

— თვითონ ივანიც დაშავდა?

— ჩემზე მეტად არა.

— შენ რაღაცას გვიმალავ!

— მართალი თუ გინდათ, ეს არის!

— მაშ სად არის ივანი?

— თავისი ექიმი წაიყვანა სახლში, ორივე ექიმი შალიშტას დასტრიალებდა თავს. ივანი სადაც არის მოვა და საკუთარი თვალით ნახავთ.

შემდეგ მან დაწვრილებით უამბო დამსწრეთ როგორ წარიმართა დუელი და როგორ გადარჩა ივანი სრულიად უვნებელი.

ბარონ ედუარდს ვერაფრით ვერ შეეთავსებინა ეს ყოველივე სინამდვილისთვის და გაიძახოდა, ეს სასწაულიაო.

— სრული ჭეშმარიტებაა! — უპასუხა გრაფმა გეზამ, — არც არის საკვირველი, ის ხომ სამხედრო იყო, ჰუსართა კაპიტანი. იბრძოდა რევოლუციის დროს, 19 ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, კაზაკების წინააღმდეგაც კი. მის ჯილდოებს ხომ ვერ დათვლი.

(რა თქმა უნდა, ივანისგან მას მსგავსი არაფერი მოესმინა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა ამის თქმა. ჩვენ ხომ ასე ვიცით, თუკი ვინმე მოგვეწონება, სიხარულით მივაწერთ ათასგვარ დამსახურებას.)

— საოცარი ადამიანია! — განაცხადა ბარონმა ოსკარმა, — სამი თვეა, ყოველდღე ჩვენს შორისაა და ამ ხნის მანძილზე სიტყვაც არ დასცდენია თავის საბრძოლო დამსახურებაზე. უსმენს, როგორ ყვებიან სხვები ორმოცდაცხრა წლის ამბებზე და თვითონ კი ამის შესახებ, არაფერი უთქვამს.

— ჩვენი ბრალია ყველაფერი, — შენიშნა ბარონმა ედუარდმა. — მას ვუგებდით მახეს და თვითონ გავებით. ახლა თავიდან ვეღარ მოვიცილებთ და თანაც სულ თვალებში უნდა ვუყურო, რომ არაფერი ეწყინოს.

— ღმერთო, შენ დაგვიფარე! — დაუმოწმა ბარონმა ოსკარმაც, — რაღა თქმა უნდა დღევანდელი ამბავი გააყოყოჩებს. ქალბატონები ყურადღებას არ მოაკლებენ, მამაკაცები იძულებული იქნებიან მოწიწებით გაუღიმონ!

— მეტი რა გზა გვაქვს, იშვიათი მსროლელია და ასე

მარჯვედ ხმარობს ხმალს! ისე, ზოგჯერ მგონია, ეს შემთხვევის წყალობაა!

— არა მგონია, — ჩაერია გრაფი იშტვანი, — მაგრამ ვფიქრობ, რომ ივანი მადლობას გადაგვიხდის მეგობრობისთვის და დატოვებს ჩვენს საზოგადოებას.

— ამ სისულელეს არ ჩაიდენს, სანაძლეოს ვდებ!

— ჯერ ძველი გადაიხადე, შენ ხომ წააგე.

ბარონმა ედუარდმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, რომ საფულე ამოეღო, მაგრამ უცებ რაღაც აზრმა გაუელვა.

— იქნებ გეზამ და ედენმა მოიგონეს ეს ჩვენთვის! იქნებ არც იყო ასე და შემდეგ ეიარკვეს, რომ დუელი საერთოდ არ შედგა, მოწინააღმდეგეები შერიგდნენ და სადაც არის, გამოჩნდებიან.

— თუ არ გჯერა, შეგიძლია წახვიდე შალიშტასთან ჩემი კარეტით და საკუთარი თვალით ნახო!

ბარონი ედუარდი წავიდა. ამ დროს ქალბატონების დარბაზიდან გამოვიდა ედენი და იკითხა, სად წავიდა ედუარდიო.

— ესე იგი გეზას არ დაუჯერეთ, ხომ? არც ქალბატონებმა დამიჯერეს და მეკითხებოდნენ, თუკი ივანს არაფერი დაშავებია, რატომ არ მოდისო. მამიდა ტეუდელინდა ცრემლებს ვერ იკავებდა და მსაყვედურობდა, რომ ივანი სასიკვდილოდ ეკვეზავნეთ. ღმერთმა იცის მხოლოდ ამ ორი ქალბატონიდან რომელი უფრო მეტადაა შეყვარებული. აქამდე მეგონა, რომ ვიცოდი, ახლა კი ვერაფერი გამიგია.

ამასობაში ბარონი ედუარდი დაბრუნდა. მან უხმოდ ამოიღო ჯიბიდან საფულე და წანაგები თანხა გადაუხადა გრაფ იშტვანს.

— აბა, გვითხარი, როგორ არის შალიშტა? — სეტყვასავით დააყარეს კითხვები აქეთ-იქიდან.

— რაღა როგორ არის, მთელ ტანზე დაუზიანებელ ადგილს ვერ უპოვი.

სხვებიც იძულებული გახდნენ გადაეხადათ წანაგები.

ეს არცთუ ისე სასიამოვნო იყო და გულში ფიქრობდნენ, უკეთესი იყო, მაგნიტური რაინდისთვის გაეხეთქა თავიო.

ამ დროს გამოჩნდა ივანიც.

მოღუშულ სახეებზე ყველას ღიმილმა გადაურბინა და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ მილოცვას.

ივანი მშვიდი და სერიოზული გამომეტყველებით ართმევდა მათ ხელს.

— გულით მიხარია, უვნებელს რომ გხედავთ! — უთხრა გრაფმა იშტვანმა.

— რატომ არ გაუხარდება, საკმაო თანხა მოიგო, — ჩურჩულით გადაულაპარაკა ერთმანეთს ორმა ახალგაზრდამ.

ნამდვილად „უხაროდა“ ყველას, ივანის გარდა.

— მე დიდად ვარ დავალებული ყველასგან, — განაცხადა ივანმა ძალზე უშუალოდ, — პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო გრაფს გულთბილი მიღებისათვის და მეგობრული თანაგრძნობისთვის, რაც არასოდეს დამავიწყდება. მინდა დაგარწმუნოთ ჩემს კეთილგანწყობილებაში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ და დაგემშვიდობოთ, ხვალ შინ ვბრუნდები.

გრაფმა ბარონ ედუარდს შეხედა: „აი, ხომ გითხარით!“ და არც უცდია სიტყვის თქმა ივანის დარჩენაზე — ჩემის მხრივ, მინდა იცოდეთ, რომ უდიდეს პატივს გცემთ და სადაც არ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, მუდამ თქვენს მეგობრად მიგულეთ. მშვიდობით!

ბარონმა ედუარდმა კი ორივე ხელი ჩასჭიდა ივანს და მიმართა: — არა ჩემო კარგო, არსადაც არ გაგიშვებთ, მითუმეტეს ახლა, როცა სეზონის ვარსკვლავი გახდი. არც იფიქრო აქედან წასვლა. ახლა შენ ჩვენი საპატიო თავმჯდომარე ხარ.

ივანმა გაიღიმა:

— მადლობელი ვარ, ასეთი პატივისათვის, მაგრამ ხელმძღვანელობა არ მიტაცებს, შინ მირჩევნია, ბარატარიის მმართველად არ გამოვდგები. წავალ შევაჯზმავ ჩემს „რუხს“ და გავწევ შინისკენ. (ვისაც „დონ-კიხოტი“ წაუკითხავს, ემახსოვრება კუნძულ ბარატარიის თავშესაქცევი ამბავი და „რუხის“ პატრონთან შეხვედრის ამაღელვებელი სცენა).

ამ სიტყვებით ივანმა დარბაზი დატოვა. გრაფი იშტვანი დაედევნა, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ხელკავი გაუკეთა და გრაფინია ტეუდელინდას აპარტამენტამდე მიაცილა. უკან რომ დაბრუნდა, საზოგადოება უგუნებოდ დახვდა.

— მაინც რომელს წამოგცდათ კუნძულ ბარატარიაზე ჩვე-

ნი ხუმრობის ამბავი? — აღელვებული ხმით იკითხა ბარონმა ედუარდმა.

ყველამ სათითაოდ დაიფიცა, რომ სიტყვაც არ უთქვამთ ამის შესახებ.

— ნამდვილად ბატონმა აბატმა გაგვყიდა! — თქვა გრაფმა გეზამ.

— მაგრამ ხომ შეიძლება ივანი თვითონ მიმხვდარიყო! — ჩაერია გრაფი იშტვანი. — მით უფრო, რომ იგი ყველაფერს ხვდება, მაგრამ არ იმჩნევს.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მოძღვრის ხელი ურევია. (ჩვენ არაფრის მტკიცება არ შეგვიძლია, ერთი კი ცხადია, რომ რამდენიმე დღის წინ აბატმა შამუელმა ვენიდან ასეთი შინაარსის ბარათი მიიღო: „რა სისულელეებით ხართ მანდ დაკავებული? შენ მთელ საქმეს გააფუჭებ! ბერენდი შეარიგებს გრაფინიას მოხუცთან. ისე მოიქეცი, რომ დატოვოს ბუდაპეშტი, თორემ ხელს შეგვიშლის ჩვენს საქმეში. ფელიქსი".)

— ჩვენ ნამდვილად ვაიძულეთ აქედან წასულიყო! — თქვა გრაფმა ედენმა — ჩემს მომხიბვლელ ბიძაშვილს ხომ სურდა მისი წასვლა, ჰოდა ისიც მიემგზავრება.

— ეს მართალია, — უპასუხა გრაფმა იშტვანმა, — მაგრამ წინასწარ ვგრძნობ, როგორც კი იგი ქალბატონებს თავის გადაწყვეტილებას მოახსენებს, შენი მომხიბლავი ბიძაშვილი განაცხადებს: „რახან ასეა, ჩვენ ერთად წავალთ!"

— ეს შეუძლებელია! — მოისმა აქეთ-იქიდან.

ედენმა მხრები აიჩეჩა:

— მე ვფიქრობ, რომ ასე იქნება. იქნება კი ასე?

— ახლა მოდაშია ფაქტის წინაშე დაყენება. ევროპაში მეტსაც მიაღწიეს. თუკი სიცილია ორჯერ დაიპყრო კაცმა, რომელსაც ერთი წითელი პერანგის მეტი არაფერი გააჩნდა, რატომ არ შეიძლება შავპერანგიანმა დაიპყროს ბონდავარის საჰერცოგო?

— ბოლოს და ბოლოს რა არის აქ დაუჯერებელი? იგი ჯენტლმენია, ყოფილი სამხედრო, აზნაური. მისი სამფლობელო ბონდავარის მამულის გვერდითაა და 200 000 ფორინტად არის შეფასებული. ჩემი ბიძაშვილის ანგელას მზითევი კი ოცი მილიონია. თუკი უფალი ბიძია ტიბალდს ათ წელიწადს

კიდევ არ მიიხმობს თავისთან და საშუალებას მისცემს ასეთივე წარმატებით მართოს შვილიშვილის მემკვიდრეობა, ქონებრივი მდგომარეობითაც ეს ქორწინება თანასწორთა კავშირი იქნება. რაც შეეხება ტიტულს, თუკი სამინისტრო არ შეცვლის თავის დამოკიდებულებას ჩვენი აზნაურული პრივილეგიებისადმი, პარლამენტი კი შემდეგშიც ასევე გაუწევს ანგარიშს სერმიაგას, პირველი მე მოვითხოვ, რომ გლეხად შემრაცხონ.

გრაფინია ტეუდელინდას აპარტამენტში ივანი ახლობელივით მიიღეს. როგორც კი შემოვიდა, გრაფინია წამოდგა და შორიდანვე გაუწოდა ხელი. ტუჩები უკანკალებდა, სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, ცრემლები რომ შეეკავებინა, უხმოდ ანიშნა ივანს მოზაიკით დამშვენებულ მაგიდასთან დამჯდარიყო, რომელზედაც საუცხოო ლარნაკში ვარდის თაიგული იდო. ტეუდელინდა მის გვერდით დაჯდა სოფაზე გრაფინია ანგელას პირდაპირ. ანგელა ამ დილას ძალზე სადად იყო ჩაცმული. ყვავილიც კი არ ეკეთა თმებში, რომელიც ყოველთვის ასე შვენოდა. იგი გადაღლილი ჩანდა და თავდახრილი იჯდა.

— ჩვენ ისე ვღელავდით თქვენს გამო! — დაარღვია სიჩუმე გრაფინია ტეუდელინდამ, — თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რა შიში გადავიტანეთ ამ ორ დღეში.

ანგელა უხმოდ მისჩერებოდა ერთ წერტილს. როდესაც წარმოსთქვა „ჩვენ“, გრაფინია რა თქმა უნდა, ანგელას გულისხმობდა.

— ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, რომ ასეთი მღელვარების მიზეზი გავხდი, ამის სასჯელად ხვალვე გადავსახლდები ბონდას ველზე.

— როგორ! — განცვიფრდა გრაფინია, — თქვენ გადაწყვიტეთ დაგვტოვოთ? რა აუცილებლობით არის ეს გამოწვეული?

— ჩემს მიტოვებულ საქმეს მივხედავ.

— თქვენ მოგწონთ ბონდას ველი?

— იქ სიმშვიდეა.

— იქ ნათესავები გყავთ?

— არა, სულ არავინ მყავს.

— ესე იგი, მეურნეობა?

— მეურნეობას მარტო ვუძღვები.

— ალბათ ნაცნობები მოგენატრათ?

— მხოლოდ მანქანები და ჩემი მუშები.

— თქვენ განდეგილივით ცხოვრობთ.

— არა, გრაფინია, განდეგილი მარტოა.

— თქვენ?

— მარტო არასოდეს არა ვარ; მე და ჩემი სამუშაო.

გრაფინიამ ძალა მოიკრიბა და საზეიმო ხმით განაცხადა:

— ბატონო ბერენდ! მომეცით თქვენი ხელი, დარჩით ჩვენთან!

— ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო მოგონებად დარჩება თქვენი კეთილგანწყობილება და სტუმართმოყვარეობა, კი, თქვენ ახლაც გნებავთ დამტოვოთ, ეს თქვენს უსაზღვრო გულკეთილობაზე მეტყველებს. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

— ესე იგი რამდენ ხანს დარჩებით?

— ხვალ დილამდე.

— მე ხომ მსურს თქვენი სამუდამოდ დატოვება! — განაწყენებული ხმით უთხრა გრაფინიამ.

მან ეს წყენა იმდენად გულწრფელად და უშუალოდ გამოხატა, რომ ივანს გული აუჩუყდა. ტეუდელინდამ გრაფინია ანგელას გადახედა, რომ დახმარებოდა. მაგრამ ანგელა არც ფიქრობდა თავისი ხავერდის წამწამების აწევას. ვარდს სათითაოდ აცლიდა ალისფერ ფურცლებს.

— გრაფინია! — დაიწყო ივანმა და ფეხზე წამოდგა, — ვინაიდან იძულებული ვარ უარი ვთქვა თქვენს წინადადებაზე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოგახსენოთ ამისი მიზეზი. უნდა ვაღიარო, რომ აქ დარჩენა აღარ შემიძლია და ვერც ვეღარასოდეს დავბრუნდები. გრაფინია! მაღალი წრის არისტოკრატიაში ყოფნა ჩემი საქმე არ არის. მე აქ ცხოვრებას ვერ შევეგუები. აი უკვე ოთხი თვეა თქვენს შორის ვარ და მაინც ყველაფერი უცხოა ჩემთვის. მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენი წრის ადამიანებს უფლება აქვთ სწორედ ასე იცხოვრონ, მე კი არა. მე სხვაგვარ ცხოვრებას ვარ მიჩვეული. თქვენი მდგომარეობა გაძლევთ დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას. ჩვენ კი ერთი მეორეზე ვართ დამოკიდებულნი. მე მრცხვენია ზემოდან ვუყურო იმათ, ვისაც ვერ იტანთ და ვერც მოწიწებით დავუკრავ თავს იმას, ვისაც თქვენ პატივს სცემთ.

ვერაფერს ღვთაებრივს ვერ ვხედავ თქვენს კერპებში, ვის წინაშეც ქედს იხრით. აბა ვინ ეუბნება სიმართლეს ერთმანეთს თქვენს წრეში? ან ვის აქებენ ზურგს უკან? აქ შეიძლება ერთმანეთს წაკიდონ საუკეთესო მეგობრები. თუ კი რომელიმეს ფეხი გადაუბრუნდება, არავინ წამოაყენებს. თუკი ხედავენ, რომ ვინმე მთელ ქონებას დოღში ანიავებს, არავინ შეაჩერებს, სანამ სულ არ გაღატაკდება. უბრალოდ, კლუბში მის გვარს სიიდან ამოშლიან და ამით დამთავრდება ყველაფერი, ისე დაივიწყებენ მის არსებობას, თითქოს მეგობრები არ ყოფილიყვნენ. თუკი რომელიმე ასეთ საქმეში განზე ფადგება და სხვის დაღუპვას ასევე გულგრილად არ შეხედავს, მას მშიშარად მონათლავენ. ან როგორი წარმოდგენა აქვთ აქ ქალებზე! ოჯახურ ცხოვრებაზე! როგორი დრამა იფარება სულის სიღრმეში, ხალხის თვალში კი კომედიას თამაშობენ. როგორი თავბრუსხვევა იციან აქ წუთიერი გატაცებებით, შემდეგ კი როცა ეს ყველაფერი მოსწყინდებათ, უსაზღვრო სევდა რჩება გულში, სრული აპათია, რომელიც ხშირად თვითმკვლელობით მთავრდება. არა, გრაფინია, აქ მეტს ვერ ვიცხოვრებ, ვისაც ეს მოსწონს, თავისებურად მართალიც არის, მე კი აქ ალბათ ჭკუიდან შევიშლები! უნდა წავიდე! მაპატიეთ ასეთი კადნიერება. ასე შეულამაზებლად რომ დაგიხატეთ ის საზოგადოება, რომელმაც სულით და გულით მიმიღო. ვიცი, რომ აქ მე ძალზე სასაცილოდ გამოვიყურებოდი მათ თვალში, მაგრამ მათ ეს არ უგრძნობინებიათ ჩემთვის. მე კი აუცილებლად უნდა ამეხსნა თქვენთვის ჩემი წასვლის მიზეზი. ეს ისევ თქვენმა კეთილგანწყობილებამ გამაბედვინა.

ივანის ამ მონოლოგის წარმოთქმისას გრაფინია ტეუდელინდაც ფეხზე წამოდგა. თვალები უბრწყინავდა, სახეზე ღვთაებრივი ნათელი მოჰფენოდა, ბაგეებს მის სიტყვებს აყოლებდა, თითქოს ყოველ მათგანს ივანთან ერთად იმეორებდა.

— აი, ხომ ხედავთ? თქვენც ისე ლაპარაკობთ!.. თქვენ ახლა წარმოთქვით აზრები... რომლებსაც მე ვამბობდი ორმოცი წლის წინათ... როცა თვითონ უარვყავი ეს საზოგადოება. არისტოკრატია კი დღესაც ისეთივეა, როგორიც მაშინ იყო!

მან თანაგრძნობით ჩამოართვა ხელი ივანს.

— გაემგზავრეთ! დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ შინ! თქვენს

მაღაროში!... ღმერთი იყოს თქვენი შემწე მუდამ!.. მშვიდობით!

მათ ვერც კი შენიშნეს, რომ ანგელაც ფეხზე ამდგარიყო და როცა ივანმა თავი დაუკრათ დამშვიდობების ნიშნად, მან ნაბიჯი წინ წადგა და არისტოკრატიული, მტკიცე ხმით განაცხადა: — თუ თქვენ აქედან გაემგზავრებით, მარტო ვერ წახვალთ! მეც წავალ.

მას სახე წამოენთო, რამაც ივანი მეცხრე ცაზე აიყვანა, მაგრამ სრული თავდაჭერილობით უპასუხა:

— სწორადაც მოიქცევით, გრაფინია! ხვალ თავადი ტიბალდის დაბადების დღეა. ჯერ კიდევ მოასწრებთ, იქ კი დიდი სიყვარულით შეგხვდებიან.

გრაფინია ანგელა გაფითრდა, ერთხანს იდგა ასე ქანდაკებასავით, შემდეგ კი მოწყვეტით სავარძელში ჩაეშვა და ვარდი ხელიდან გაუვარდა.

ივანმა მოწიწებით თავი დაუკრა, გრაფინია ტეუდელინდას ხელზე ემთხვია და გავიდა.

აჰ! მაგნიტიზმის ქვეყნის საზღვრებს მიღმაც არიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ადამიანის სიყვარული შეუძლიათ.

ივანის წასვლის შემდეგ გრაფი ედენი კვლავ ეწვია ნათესავებს, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

გრაფინია ანგელა უფრო გულისხმიერი ეჩვენა, ვიდრე ოდესმე. გამოთხოვებისას ბიძაშვილს დაავალა, რომ ეწახა შალიშტა და გაეგო როგორ იყო.

გრაფმა ედენმა შესძლო არ შეემჩნია გაოცება, კიბეზე ჩასვლისას კი ჩაიღიღინა ფიგაროს არია „სევილიელი დალაქიდან“:

„ო, ვინ მიხვდება ქალთა ოინებს,
და ვინ გაიგებს, რა უდევთ გულში!“

გრაფინია ანგელამ იმავე დღეს გაუგზავნა ჰერცოგ ტიბალდს შემდეგი შინაარსის ბარათი: „მე არასოდეს დავბრუნდები, მშვიდობით!“

მეორე დღეს საზოგადოებაში კიდევ ლაპარაკობდნენ ივანზე და მის დუელზე.

მესამე დღეს კი აღარავის გახსენებია.

თარსი რეპეტიცია

ჰერცოგმა ტიბალდმა დაბადების დღეს ერთადერთი შვილიშვილისაგან მიიღო ბარათი, რომელიც ასე მთავრდებოდა: „მშვიდობით!“

აქამდე ეს დღე ყოველ წელიწადს დღესასწაული იყო მისთვის, ანგელა ტრადიციული კოცნით აჯილდოვებდა. დღეს კი...

ეს ბარათი ჰერცოგმა ტიბალდმა ოქროსყდიან ალბომში მოათავსა სხვა ამაღელვებელ ოჯახურ რელიქვიებს შორის. ეს იყო წლების მანძილზე დაბადების დღეზე მიღებული საჩუქრები. ყვავილების გამხმარი თაიგული, ერთი წლის ანგელამ პაწაწინა ხელით რომ გაუწოდა პირველად, მისი პირველი ნაწერი ბარათი, მათ გვერდით კი შარშან ანგელას ხელით ოქრომკედით ნაქარგი საუცხოო ნაყში. და ყოველივე ამის შემდეგ ეს უმოწყალო სიტყვა — „მშვიდობით“.

ჰერცოგი ტიბალდი ბუნებით მგძნობიარე და ფიცხი იყო. მაგრამ მიუხედავად შვილიშვილის ასეთი საქციელისა, იგი მაინც შეეცადა სწორად, სამართლიანად განესაჯა.

გრაფინია ანგელას უნდა შეესრულებინა მოხუცი ჰერცოგის მოთხოვნა თავისსავე სასარგებლოდ. თუ პაპის სურვილი მის გულისთქმას ეწინააღმდეგებოდა, მაშინ ძნელი იყო მისი გამტყუნება, მაგრამ ანგელას ხომ არავინ უყვარდა! ერთი რამ მაინც გაუგებარი იყო მისთვის, რატომღა ანსხვავებდა იმათ, ვის მიმართაც გულგრილი იყო?

ამ ფიქრებით გუნებადამძიმებული ჰერცოგი ტიბალდი ეველინასთან წავიდა რეპეტიციაზე. მას სურდა ამ კადნიერი „მშვიდობით“-ისთვის საკადრისად ეპასუხა. კამერდინერმა იგი ეველინას სარეპეტიციო დარბაზში შეიყვანა. იქ ჯერ არავინ იყო. ფანჯრებზე ღია-ვარდისფერი ფარდები ჩამოეფარებინათ, კუთხეებში აღმოსავლური ეგზოტიკური მცენარეები დაედგათ, რომელთა ყვავილების სასიამოვნო სურნელება მთელ დარბაზში იგრძნობოდა; აყვავებულ ხეებს ბულბულები დაეალობდნენ.

ჰერცოგი დივანზე ჩამოჯდა და ალბომი გადაშალა, რომელშიც ეველინას სცენიური სახეების კოლექცია იყო მოთავსე-

ხელი. იგი ათვალიერებდა თითოეულ გვერდს და თან გონების ფიცალით მეორე ალბომს ფურცლავდა, რომელშიც ანგელას ნაქარგები და ნახატები ჰქონდა შენახული. ჰერცოგმა ბოლო ფურცელი რომ გადაშალა, მაშინვე გამოერკვა ფიქრებიდან. რა მომხიბლავი იყო ეველინა ამ უხეშ კოსტიუმშიც, რა მშვენიერი! ნეტავ როგორი იქნებოდა იგი ამ უკანასკნელ როლში?

უცებ საიდანღაც შორიდან ოდესღაც ნაცნობი სიმღერა შემოესმა, ჩუმი ოდნავ გასაგონი ხმით, როგორც წარსულის ტკბილი გამოძახილი.

ეს სწორედ ის სიმღერა იყო, ძიძა რომ უმღეროდა აკვანში მის შვილიშვილს. უბრალო სლოვაკური სიმღერა მისთვის გაუგებარი სიტყვებით.

ერთი წუთის შემდეგ სიმღერა შეწყდა და ეველინას გარდერობის კარი გაიღო.

— იგი ახლავე გამოჩნდება, მაგრამ როგორი?

ეველინას უბრალო შავი კრეპის კაბა ეცვა თეთრი ზოლებით, თეთრი ამოქარგული საყელოთი, თმებიც სადად დაევარცხნა. იგი ჰერცოგ ტიბალდს მიუახლოვდა და პატარა თეთრი ატლასის ქისა გაუწოდა, რომელზედაც შავი კრეპით დიდი გემოვნებით იყო ამოქარგული საფლავზე დაჩოქილი ბავშვი.

— მიიღეთ, ბატონო ჩემო, სახსოვრად, თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად!

ამ უშუალობამ და გულწრფელობამ ჰერცოგი ისე დააბნია, რომ წამოიძახა: „ო, ჩემო გოგონო!“ ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა „მადამ!“

ეველინა ცრემლების ფრქვევით მკერდზე მიეკრა და წარბოსთქვა:

— ოღონდ ნუ წაიღებთ ამ სიტყვებს უკან! ამქვეყნად ალბათ არავინ იქნება ჩემსავით მარტო!

ჰერცოგმა ტიბალდმა შუბლზე აკოცა: — მაშ იყავით ჩემი ქალიშვილი, ეველინა. ჯერ ისევ ბავშვი ხართ, მე თქვენი მამა ვიქნები... არა, პაპა! მამებს ზოგჯერ არ უყვართ შვილები, პაპებს შვილიშვილები კი ყოველთვის! იყავით ჩემი შვილიშვილი, თქვენ მე გამართობთ ბავშვური ჭიკჭიკით, როცა ხასიათზე არ ვიქნები, წამიკითხავთ ხმამაღლა, როცა ვერ დავიძინებ, იზრუნებთ ჩემს ჯანმრთელობაზე, როცა აღარ შემეძლე-

ბა. მიიღებთ ჩემს საჩუქრებს, თქვენი სახლის კარი მუდამ ღია იქნება ჩემთვის. მოისმენთ ჩემს დარდებს, თქვენსასაც გამიზიარებთ. ჩემს კაპრიზებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ეცადეთ გამიგოთ და ზოგჯერ დამითმოთ კიდეც. მეც ასევე მოგექცევით. თქვენ იქნებით ჩემი დიასახლისი. უნდა ბრწყინავდეთ იქ, სადაც მე მოვისურვებ თქვენი მშვენებით დატკბობას, ჩემი დამჯერი იქნებით.

ეველინამ პასუხად უხმოდ აკოცა.

— თანახმა ხართ მიიღოთ ჩემი წინადადება? თუ გიხარიათ? — ჰკითხა ჰერცოგმა.

ეველინამ გაიცინა და ცეკვა დაიწყო, შემდეგ ჰერცოგს გადეხვია და გადაკოცნა:

— ჩემო საყვარელო პაპა!

ჰერცოგი დივანზე ჩამოჯდა და სარკასტულად გადაიხარხარა.

ბავშვივით აცელქებული ეველინა შეცბა და შეშინებული ერთ ადგილზე გაქვავდა, იმდენად შემაძრწუნებელი იყო ეს ხარხარი და ისეთი დისონანსი შემოიტანა.

— ეს თქვენ არ გეხებათ, ჩემო გოგონი, ჩემო საყვარელო შვილიშვილო, გვერდით მომიჯექით.

(ჰერცოგის ხარხარი იმ „მშვიდობით"-ის პასუხი იყო.)

მან ნაზად გადაუსვა თავზე ხელი ეველინას.

— ახლა კი ყურადღებით მომისმინეთ, სერიოზულად უნდა მოგელაპარაკოთ. გთხოვთ, დაიმახსოვროთ რასაც ახლა გეტყვით. ჩვენს ოჯახში ერთია მხოლოდ მბრძანებელი, დანარჩენები ემორჩილებიან.

რაოდენი სინაზე იყო ამ სიტყვებში „ჩვენს ოჯახში"!

— დაუყოვნებლივ გადახვალთ საცხოვრებლად ჩემს სასახლეში მაქსიმილიანის ქუჩაზე და დღეიდან მიიღებთ მხოლოდ მათ, ვისაც მე ნებას დავრთავ. ყოველივე ამისთვის ბატონი კაულმანისაგან ნებართვის აღებაზე მე ვიზრუნებ. მასთან აღარ გექნებათ რაიმე ურთიერთობა. გული ხომ არ გწყდებათ მისი მეგობრობის დაკარგვაზე?

— როგორ შეიძლება იმის დაკარგვა, რაც არ არსებობს.

— მე მოგაწყობთ ოპერის თეატრში. თქვენ შრომით უნდა მოიპოვოთ ადგილი საზოგადოებაში. მსახიობის წოდება — დე-

დოფლის მანტიაა, მის წინ იღება ყველა სალონის კარი. წარმატება აუცილებლად გექნებათ, თქვენ ბრწყინვალე ნიჭის პატრონი ხართ. ისწავლეთ და ბევრს მიაღწევთ. ეცადეთ მიაღწიოთ აღიარებას, მაშინ თქვენ სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებით, ჩემი სიკვდილის შემდეგაც კი.

— ოღონდაც არ დავიბნე სცენაზე!

— შეეჩვევით. შემდეგ კი დარწმუნდებით, რომ სცენაზეც ყველას იმის მიხედვით აფასებენ, როგორც თვითონ დაიფასებენ თავს. ნუ მიიღებთ ყველას თაყვანისცემას. თუკი ვინმესთან გადაწყვეტთ მეგობრობას, მითხარით გულახდილად და გირჩევთ, ვის უნდა მოერიდოთ.

— არა, ბატონო! მე თქვენს გარდა არავისთან არ მსურს მეგობრობა.

— არა, ეველინა! რა საჭიროა ახლა ასეთ წუთებში ამის თქმა? ნურასოდეს დაგავიწყდებათ, რომ ჩემი შვილიშვილი ხართ და თანაც ძალიან ახალგაზრდა ხართ იმისთვის, რომ ადამიანების შეცნობა შეგეძლოთ. ჯულმანზე არც ღირს ლაპარაკი, იგი ნაძირალაა. თქვენი დახმარებით მიზანს მიაღწია, მიიღო, რაზეც ოცნებობდა. სამაგიეროდ თავისი გვარი მოგცათ და ახლა მისი წართმევა აღარ შეუძლია. თანდათან თვითონვე დარწმუნდებით რა განძია ქალისთვის ქმრის სახელი! საშუალება გაქვთ ბრწყინავდეთ საზოგადოებაში. გათხოვილი ქალისთვის აღარ არსებობს ათი მცნება. ამას შემდეგ მიხვდებით.

— მე არ მსურს ეს ვიცოდე!

— ნუ დამპირდებით იმაზე მეტს, ვიდრე მე მოვითხოვ თქვენგან, თორემ ვიფიქრებ, რომ არ შემისრულებთ იმასაც რაც ნამდვილად მინდა გთხოვოთ. ნურასოდეს მიიღებთ სასახლეში ერთ ადამიანს, ნუ წაიკითხავთ მის წერილებს, ნუ მისცემთ ნებას მისი თაიგული ამოიტანონ სცენაზე, ნუ მიიღებთ მისგან საჩუქრებს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას მის აპლოდისმენტებს. ეს ერთადერთი ადამიანი ჰერცოგი ვალდემარია და იგი არ უნდა არსებობდეს თქვენთვის.

— ო, რომ იცოდეთ როგორ მძულს იგი! მეზიზღება და მეშინია მისი!

— მოხარული ვარ რომ ასეა. ისე, იგი ძალზე მდიდარი და ლამაზია. ჭკუას კარგავს თქვენთვის. ქალებს კი მაინც, სადღაც

გულის სიღრმეში უხარიათ, როცა მათ აღმერთებენ. შეიძლება შეგავიწროვოთ კიდევაც, სიმდიდრეს ყველაფერი ძალუძს ამქვეყნად! და როცა მე აღარ ვიქნები, როცა ფერფლად ვიქცევი, მინდა, მაშინაც არაფერი მიიღოთ მისგან, არ უპასუხოთ მის გრძნობებს.

— ვფიცავ დედაჩემის ხსოვნას!

— ნება მომეცით შუბლზე გეამბოროთ. ახლა წავალ კაულმანთან და მოველაპარაკები. დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემი დაბადების დღე გაიხსენეთ. ეს სხვებსაც შეეძლოთ, თუნდაც ენციკლოპედიაში შეეძლოთ ამოეკითხათ ჩემი დაბადების დღე. თქვენი ხელით ამოქარგული ეს ქისა უძვირფასესი განძი იქნება ჩემთვის. მე აქ ძალზე აღელვებული მოვედი, ახლა კი ფრთებშესხმული მივდივარ. ამას არასოდეს დავივიწყებ. ღმერთი იყოს მუდამ თქვენი შემწე საყვარელო ეველინა!

რამდენიმე დღის შემდეგ ეველინა ახალ აპარტამენტებში გადასახლდა მაქსიმილიანის ქუჩაზე, ზღაპრულ ფუფუნებაში.

საზოგადოება მას ჰერცოგის საყვარლად თვლიდა; ჰერცოგი — შვილიშვილად; ეველინა კი ფიქრობდა, რომ ასრულებდა ქმრის სურვილს.

ამავე დღეებში ქვანახშირისა და მეტალურგიული კონსორციუმის მფლობელებს ტიბალდ ბონდავარმა ხელი მოუწერა ხელშეკრულებაზე, რომელიც გრაფინია ტეუდელინდასთან ჰქონდათ გაფორმებული. ამ დოკუმენტის წყალობით ბონდავარის მამული მის ორივე მფლობელს ხელიდან გამოეცალა.

გრაფინია ანგელას შეეძლო ეხსნა ეს მამული თავისთვისაც და ოჯახისთვისაც. მაგრამ რატომ არ ისურვა ეს?

შეიძლება გავამართლოთ მისი უმოწყალობა და ეინიანობა პაპის მიმართ?

იქნებ მართალი იყო?

ჰერცოგი ზონდერსჰაინი, ვისზედაც ჰერცოგ ტიბალდს ანგელას გათხოვება სურდა, სწორედ ის ვალდემარია, ვინც უკვე მოვიხსენიეთ.

გრაფინია ანგელამ იცოდა ყველაფერი, რასაც მის საქმროზე ლაპარაკობდნენ საზოგადოებაში. შეეძლო მას სხვაგვარად მოქცევა? შეეძლო მას ივანის რჩევა მიეღო? დაე ქალებმა გასაჯონ, კაცებს ამის უფლება არა გვაქვს.

ფულის კეთების ხელოვნება

კონსორციუმის მფლობელებს ბონდავარის მაგული უკვე ხელთ ჰქონდათ. ათი მილიონი და რკინიგზაღა ჯერდათ, რომელიც მაღაროს მსოფლიო ბაზარს დაუკავშირებდა.

ჯერ ათი მილიონი იყო საჭირო.

ბონდავარის ქვანახშირის მადანი ამაზე მეტიც ღირდა, მაგრამ ვინ იცოდა ამის შესახებ? ვინ დაიჯერებდა?

რეკლამა პრესაში საჭირო ეფექტს ვერ იძლევა. ვერავის შეაცდენდით ასეთი ტრიუკით: „თქვენი ბედი კაულმანის ხელშია, იყიდეთ ჰამბურგის ლატარიის ბილეთები!“ მით უფრო, რომ იციან: „ამ ბედს იგი ხელიდან არ გაუშვებს“.

თუმცა არაერთი სასწაულიც ხდება ამქვეყნად.

როცა ფელიქსმა ივანი ინახულა და მმართველი ჩაუყვანა, საუბრისას მის მაგიდაზე ქვანახშირის ნატეხი შენიშნა, რომელიღაც მცენარის ფოთლის ანაბეჭდით, რომელიც ივანმა წოლხვრელში იპოვა.

— ო, ეს ხომ რომელიღაც პირველყოფილი ფრინველის ფეხის ანაბეჭდია! — თქვა ფელიქსმა.

— არა, ეს მცენარის ფოთლის ანაბეჭდია.

— ეს ქვანახშირის ნატეხი ჩემს კოლექციას დაამშვენებდა.

— შეგიძლია წაიღო.

როცა ბონდავარის აქციონერული საზოგადოების დაარსება გადაწყდა, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გერმანულ გაზეთში დაიბეჭდა პირველყოფილი ფრინველის ნაკვალევის აღწერილობა ილუსტრაციებით, რომელიც ნაპოვნი იყო ბონდავარის მაღაროში. ხელს აწერდა „დოქტორი ფელიციუსი“.

— ვნახოთ ერთი რა ფრინველია! — დაინტერესდნენ სწავლულები. მათი ყურადღება განსაკუთრებით იმან მიიქცია, რომ მეცნიერი ირწმუნებოდა, ამ ფრინველმა თავისი ნაფეხურის კვალი ჯერ კიდევ მაშინ დატოვა, როცა ქვანახშირი გამაგრებულიც არ იყოო.

— ო, ეს უკვე მეტისმეტია! — განცვიფრდნენ გეოლოგები, ფიზიოლოგები, პალეონტოლოგები, პროფესორები, არტეზიული ჭების მშენებლები — საკმაოდ გაბედული მტკიცებაა!

სწავლულები აღნიშნავდნენ, რომ ეს შეუძლებელი იყო,

ვინაიდან იმ ეპოქაში, როცა ქვანახშირი იქმნებოდა, ჯერ კიდევ არ იყვნენ გაჩენილი არათუ ფრინველები, ძუძუმწოვრებიც კი. ქვანახშირის ფენებში გარდა მცენარეებისა და მოლუსკებისა, ჯერ არავის უნახავს რაიმე ანაბეჭდი, ძალზე იშვიათად შეიძლება შეხვდეთ მხოლოდ თევზისას.

ზოგიერთი ვარაუდობდა, ის რაც აქამდე არ აღმოუჩენიათ, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ აღმოაჩინოსო. ჰუმბოლტი კი ამტკიცებდა, რომ პირველყოფილ სამყაროში არ არსებობდა მაიმუნი, რადგანაც მისი ჩონჩხის ანაბეჭდი ჯერ არავის ენახა. ამის შემდეგ კი ინგლისსა და საფრანგეთში სამი მაიმუნის ანაბეჭდი აღმოაჩინესო.

ამის პასუხად მოწინააღმდეგეთა ბანაკში მათ უცოდინრები უწოდეს. ვინაიდან პოლემიკა მიმდინარეობდა მრავალი ილუსტრირებული ჟურნალის ფურცლებზე და გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, საჭირო გახდა ამ მეცნიერული დავის გადაწყვეტა. შეიქმნა ცნობილ სწავლულთა და მეცნიერთა ხუთკაციანი კომისია. დოქტორმა ფელიციუსმა განაცხადა, რომ ათას ოქროს გადაუხდიდა იმას, ვინც დაამტკიცებდა, რომ ეს ფრინველის ანაბეჭდი არ იყო. მეცნიერთა სამსჯავრომ შეისწავლა და გამოიკვლია ქვანახშირის ნატეხი და დაადგინა, რომ ეს იყო სუფთა ანტრაციტი, რომლის წარმოქმნის ეპოქაში ჯერ კიდევ არ იყო ფრინველები.

დოქტორმა ფელიქს კაულმანმა კომისიას გადაუხადა ათასი ოქრო და მადლობა მოახსენა დახმარებისთვის. მათ საქვეყნოდ შეაქეს ბონდავარის ქვანახშირის ხარისხი. ასეთ რეკლამას კი 40.000 ფორინტიც ვერ შეიძლებდა. ბონდავარის ქვანახშირის უმაღლესი თვისება და ხარისხი აღიარებული იყო მეცნიერთა მიერ.

ახლა კომპანიას თავისუფლად შეეძლო არენაზე გამოსვლა. ამის მიღწევა იყო ყველაზე მთავარი. და ერთ მშვენიერ დღეს ვენის ბირჟაზე დაარსდა „ბონდავარის ქვანახშირის დამმუშავებელი“ კომპანია, კაულმანის ბანკის შენობის წინ კი აქციებზე ხელის მოწერის იმედენი მსურველი მოაწყდა, რომ ჯარის ნაწილის გამოძახება დასჭირდათ მათ შესაჩერებლად.

მომავალ აქციონერებს დილიდან ჰქონდათ დაკავებული

რიგი შენობის დერეფნებში. ვისაც საკუთარი მკლავის იმედი ჰქონდა, ძალით მიიკვლევდა წინ. აქ გაიგონებდით სიტყვიერი შეურაცყოფის ყოველგვარ ნიმუშს. ქუჩისკენ გამავალი ფანჯრები სულ ჩაამტვრიეს, ყველა ერთხმად გაჰყვიროდა: „ხელს ვაწერ ათი ათასზე! ასი ათასზე! მილიონზე!“ ზოგიერთები გასაოცარი სიმარჯვით მხრებზე ახტებოდნენ გვერდით მდგომებს, ადიოდნენ აივანზე და გადადიოდნენ დარბაზში, სადაც აქციებზე აწერდნენ ხელს. ექვს საათზე საპარადო შესასვლელი დაკეტეს და მათ გასაგონად, ვინც ვერ მოასწრო, აივნიდან გამოაცხადეს: ხელისმოწერა დამთავრებულიაო. თანაც უდიდესი გადაჭარბებით. ათი მილიონის ნაცვლად რვაასოც მილიონზე.

თვითონ აქციონერებს თუ გააჩნდათ ასეთი თანხა?

არა მგონია! თანხის მეათედზე თითოეული გარანტიას იძლევა სხვა ფასიანი ქაღალდებით. ასეთი თანხა კონსორციუმს თვალითაც არ უნახავს.

არც იმათა აქვთ ბევრი ფული, ვინც აქ მუშტიკრივით მიიკვლევს გზას ხელის მოსაწერი დარბაზისაკენ, არც ქვანახშირის ამოღებისა გაეგებათ რამე, უბრალოდ, ბირჟაზე ხელსაყრელი მომენტია. ბონდავარის ქვანახშირის კომპანიის აქციები უმაღლეს ფასებში იყიდება.

ყველას უნდა მოგება ნახოს, რა ბედი ეწვევა ამ აქციებს, ეს არავის ადარდებს. მაგრამ არის ადამიანი, რომელიც ზრუნავს, რომ მეტისმეტი არ მოუვიდეთ, იგი ჩასაფრებულია და ელოდება მომენტს, რომ აქციების კურსი დასცეს. ეს არის მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერი — ჰერცოგი ვალდემარი, ბირჟის ტონის მიმცემი და წარმმართველი.

ბუნებრივია, როგორც კი უკან მოიტანენ აქციებს ბირჟაზე გასაყიდად, რომელიც მოგების მიზნით იყიდეს, მათი კურსი მაშინვე დაეცემა. თუ წარმოება საიმედო ხელშია, აქციების კურსი ისევ აიწევს.

მაგრამ საბირჟო მეცნიერებაში ამის საწინააღმდეგო ზომებიც არსებობს..

სამმართველო საბჭო ირჩევს სინდიკატს. კურსის დაცემისთანავე სინდიკატი აწესებს ვადას, რომლის გასვლამდე აქციები უნდა დაურიგდეს მეპაიეებს.

დარჩენილ დროს უქმად არ კარგავენ: აძლევენ მაკლერებს ხუთასამდე აქციას და ავალებენ მათი ფასი ასწიონ ბირჟაზე, რეკომენდაცია გაუწიონ წარმოებას, სხვების დასანახად ხელიდან სტაცებენ ერთმანეთს აქციებს.

საქმეში ჩახედული კაცი, რა თქმა უნდა, ასეთ ანკესზე არ წამოეგება. თვითონ იყიდის აქციებს. ნაღდ ანგარიშზე პირველი ხელიდან. მოწინააღმდეგე პარტია არ იცდის, როდის დაეცემა ფასი აქციებზე, რომ იაფად იყიდოს. შემდეგ, რა თქმა უნდა, ფასი ისევ აიწევს.

ამ თამაშში მხოლოდ ის აგებს, ვისაც ცოტა ფული აქვს. მათ მიიტყუებენ მცირეოდენი მოგებით, შემდეგ კი როცა კურსი დაიწევს, მთელ აქციებს ბირჟაზე ტოვებენ და მადლობას სწირავენ უფალს, რომ მცირეოდენი ფული მაინც აინაზღაურეს.

პირველი ტალერები

ქალაქ X-ში ერთ-ერთ ქუჩას ბერძნულს ეძახიან. აქ მხოლოდ ბერძენი ვაჭრების მიერ აშენებული ლამაზი შენობებია. ცენტრშია მარმარილოთი მოპირკეთებული ეკლესია, მოოქროვილი მდიდრული სამრეკლოთი და მთელ ქალაქში ყველაზე წკრიალა ზარებით. ამბობენ, როცა ეს ზარები ჩამოასხეს, ბერძნები მდუღარე შენადნობში ვერცხლის ტალერებს ყრიდნენო. მხიარული, კეთილი, შრომისმოყვარე ხალხია ეს ბერძნები! მათ განავითარეს ვაჭრობა უნგრეთში. ებრაელებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ უძრავი ქონების შეძენის უფლება და მხოლოდ ბერძენი ვაჭრების სახლების მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა თუ რა ჭკუა-გონებისა და მარიფათის პატრონი იყო მათი მფლობელი.

ისინი ისე გაითქვიფნენ უნგრელებში, მათში ვეღარ გამოარჩევდით, უნგრულ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი და უნგრული ადათ-წესები შეითვისეს. მათი უმეტესობა თავადები გახდნენ და ამ ტიტულით ამაყობდნენ კიდეც.

ქალაქ X-ში ბოლოს ბერძნები სულ ამოწყდნენ. არავინ იცოდა, რატომ ბერდებოდნენ კაცები უცოლოდ, და ქალები

გაუთხოვრად, წესახელოვანად ყველა წარმოსადეგი იყო, მაღალი, ცეცხლოვანი თვალებით, დახვეწილი სახის ნაკვთებით, და მაინც ერთი მეორის მიყოლებით იხოცებოდნენ.

ერთი ვაჟდარჩა მხოლოდ, უცოლო ხანდაზმული ფერენც ჩანტა. ახალგაზრდობაში იგი საკმაოდ მდიდარი, გულუხვი მხიარული და კაცთმოყვარე იყო, შეუდარებელი კავალერი, ქალებისა და კარტის მოყვარული, დროთა განმავლობაში კი გულჩათხრობილი, ძუნწი გახდა, მუსიკა და ხალხიც შესძულდა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ემატებოდა სიხარბე. როგორც კი რომელიმე ნაცნობი მოკვდებოდა, მაშინვე მის სახლს ყიდულობდა, თითქმის ნახევარი ქუჩა უკვე ხელში ჩაიგდო. ერთი ოჯახი დარჩა მხოლოდ მეზობლად, რომელიც საკუთარ სახლში ცხოვრობდა. ადრე ეს სახლი ერთ მის თანამემამულე ბერძენს ეკუთვნოდა. მისი ერთადერთი ქალიშვილი გათხოვდა მუსიკის მასწავლებელ ბელენზე. მათ შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელსაც არპადი დაარქვეს.

ფერენც ჩანტას ეს არ მოსწონდა. მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ გათხოვდა ბერძნების უკანასკნელი ქალიშვილი და თანაც მუსიკის მასწავლებელზე, რატომ შეეძინათ ვაჟიშვილი? რატომ დაარქვეს მაინცდამაინც არპადი? და რატომ მოხდა ეს ყოველივე მის გვერდით?

თანაც მხოლოდ ეს ერთი სახლი უშლიდა ხელს მთელი ქუჩის დაპყრობაში. ეკლესიაც მისი იყო, სხვა არავინ შედიოდა შიგ, მღვდელი მხოლოდ მისთვის სწირავდა, „მრევლიც“ ის იყო, კურატორიც, საეკლესიო საბჭოც, ხაზინადარიც. მისი სიკვდილის შემდეგ ეკლესია უნდა დაეხურათ.

ამასობაში კი მეზობლად იზრდებოდა პატარა არპადი. ხუთი წლისა რომ გახდა, ხშირად ისროდა მოხუცი ბერძენის ეზოში ბურთს, რომელსაც უკან აღარ უბრუნებდნენ.

ბიჭუნა სხვა საწყენსაც არ აკლებდა ჩანტას. ქალაქში მოედინებოდა ორი საჟენი სიგანის მდინარე. ბერძენის ქუჩის სახლის ბაღები მდინარის ნაპირამდე ჩადიოდა. მოხუცმა რკინის მესერით შემოღობა მდინარე თავისი ბაღის გასწვრივ, რომ მის წყალში არავინ შესულიყო.

მაგრამ აბა მიმდინარე წყალს როგორ გააჩერებდა. ბელენის სახლი ზემოთ იყო. პატარა არპადი ბაღში ქაღალდის პა-

ტარა ნავებს აკეთებდა, ბალახითა და ყვავილებით ავსებდა და წყალში უშვებდა. ნავები თავისუფლად მიცურავდნენ ქვევით, მესერში ძვრებოდნენ და სწორედ მოხუცის სამფლობელოს ნაპირთან ეჯახებოდნენ ერთმანეთს. მეორე დილით იგი მის ნაპირთან გაჩერებულ ნავებს რომ მოკრავდა თვალს, ყვირილით იკლებდა იქაურობას: „ვინ მისცა უფლება მეზობლის ლაწირაკს ჩემ წყალში ნავები ჩაუშვასო.“ ამის გამო არპადს სასტიკად აუკრძალეს გემებით გართობა.

მალე ომი დაიწყო გერმანელებთან. ამ პერიოდში ივან ბერენდი ბელენის სახლში ცხოვრობდა მდგმურად. აქ ის ყველას უყვარდა. ერთ საღამოს მუსიკის მასწავლებელი შინ რომ ბრუნდებოდა, თავის ქუჩაზე ყუმბარის ნატეხი მოხვდა თავში და იქვე მოკლა. დაობლებული არპადი ივანმა იშვილა. რაც ფული ჰქონდა ოქროთი, ბელენის ქვრივს დაუტოვა და სთხოვა, მისთვის მუსიკალური განათლება მიეცა.

უნგრეთის მთავრობამ ამ დროს გამოაცხადა, ვისაც კი ჰქონდა გერმანული ფული, ქალაქის მთავარ მოედანზე გამოეტანა და ცეცხლში ჩაეყარა.

ბელენის ქვრივსაც ჰქონდა გერმანული ფული. რა უნდა ექნა, დასაწვავად ვერ გაიმეტა და მეზობელ ჩანტას სთხოვა, უნგრულ ფულზე გადამიცვალეო. მოხუცმა ჯერ კინაღამ სახლიდან გააგდო, მაგრამ შემდეგ შეიწყალა და გაუცვალა.

ეს კიდევ არაფერი.

რამდენიმე დღეში ბერძენი მივიდა ბელენის ქვრივთან და უთხრა, რომ აღარ შეეძლო მამამისის მიერ დანატოვარი ფულის შენახვა და 10000 ფორინტი მისცა.

ერთ კვირასაც არ გაუვლია ამის შემდეგ, რომ ქალაქში ახალი კომენდატი მოვიდა, გერმანელი. მან თავის მხრივ უნგრული ფულის დაწვა ბრძანა მოედანზე. ვინც არ დაემორჩილებოდა, სიკვდილით დასჯით დაემუქრა.

საცოდავი ქვრივი ისევ მეზობელ ჩანტას მიადგა. რა უნდა ექნა? მთელი ფული ხელუხლებელი ჰქონდა, ეს რომ დაეწვა, ბავშვთან ერთად სამათხოვროდ გაუხდებოდა საქმე.

— რატომ გადამიცვალე ფული, თუკი იცოდი, რომ მთავრობა შეიცვლებოდაო?

— აბა მე რა ვიცოდი? — იქით შეუტია ჩანტამ, — თუ შენ

გაღატაკდი, მე შენზე უარეს დღეში ვარ, გროში აღარ შემრჩა, ასი ათასი ფორინტი ცეცხლში უნდა ჩავყაროო. თან ისეთი ყვირილი მორთო, რომ ბელენის ქვრივს იქით მოუხდა მისი დამშვიდება. მტერსაც ლანძღავდა და თავისიანებსაც.

— ღვთის გულისათვის, გაჩუმდი, თორემ ვინმე გაიგონებს და შეიძლება ჩამოგახრჩონ.

— გაიგონონ და ჩამომახრჩონ! მოედანზე გავალ და იქ დავიყვირებ, არავისი არ მეშინია, და თუ არ ჩამომახრჩობენ, მე თვითონ ჩამოვიხრჩობ თავს. რაღა დამრჩენია? აი ჩემი უკანასკნელი გროშები! — მან ჯიბეები ამოაბრუნა და ტირილი დაიწყო.

ბელენის ქვრივი გაღატაკდა, სახლის მეტი აღარაფერი დარჩა. იძულებული გახდა ოთახები გაექირავებინა და ამით ერჩინა თავიც და ვაჟიშვილიც.

იგი შიშით გახედავდა ხოლმე მოხუცის აივანს, მართლა თავი არ ჩამოიხრჩოსო. ჩანტას კი არც უფიქრია ამაზე. მართალია რამდენიმე ათასი ფორინტი დაკარგა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო, ძირითადი დანაზოგი გადაურჩა. მისი სახლიდან ვიწრო მიწისქვეშა ჩასასვლელი ჩადიოდა მდინარის ქვეშ მოთავსებულ სარდაფში, რომელიც ვენიდან ჩამოყვანილ ხელოსნებს ააშენებინა და მის მეტმა არავინ იცოდა მისი არსებობა. სარდაფში უამრავი ორვედრიანი ხის კასრით ოქრო და ვერცხლი ჰქონდა გადამალული. საწოლ ოთახში დამონტაჟებული საიდუმლო მექანიზმით ხუთ წუთში შეეძლო სარდაფის წყლით ავსება. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ღილაკზე ხელის დაჭერა. მისი გაძარცვა შეუძლებელი იყო, ქურდი ტყუილუბრალოდ გაირჯებოდა.

ჩანტას ხელში მოხვედრილ ოქრო-ვერცხლს მზის სინათლე აღარ უნახავს, ამ სარდაფში იყო საიმედოდ ჩამარხული.

აურაცხელი განძეული უსარგებლოდ ეყარა წყლის ქვეშ, მის მეზობლად კი საცოდავი ქვრივი დღედაღამეს ასწორებდა მუშაობით, კერავდა და ქარგავდა, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ივანის მიერ დანატოვებ ოქროს იგი ხელს არ ახლებდა, ეს თანხა არპადის მუსიკის მასწავლებლისთვის იყო განკუთვნილი. გაკვეთილები საკმაოდ ძვირი ღირდა.

არპადი მუსიკალური ბავშვი იყო, მაგრამ როგორც ყველა

ბავშვი — ზარმაცი, გართობა და თამაში ერჩია მეცადინეობას. მართალია, დედამისი გარეთ მარტოს არ უშვებდა, რომ სხვა ბავშვებისგან რაიმე ცუდი არ ესწავლა, მაგრამ იგი მარტოც ახერხებდა ეშმაკობას. როგორც კი ბაღში ჩავიდოდა, მაშინვე დიდგულას ბუჩქთან მიიპარებოდა, ტოტებს მოტეხავდა, წისქვილს გააკეთებდა, წყალში ჩაუშვებდა და საათობით უყურებდა, როგორ ბრუნავდა ბორბალი. ეს კიდევ არაფერი, დიდგულას ღეროდან გამოჭრიდა სალამურს და ხალხურ მელოდიებს უკრავდა.

არპადის მასწავლებელმა, ბატონმა კლემპლერმა ეს რომ შეიტყო შეიცხადა, სალამურზე დაკვრა პიანისტისთვის დამღუპველიაო!

მათი ბაღის პირდაპირ მდინარის იქითა მხარეს სალამურის ხმაზე გამოდიოდა ხუთი წლის ქერათმიანი გოგონა, რომელთანაც არპადი ქაღალდის გემებს უშვებდა. გოგონა უბერავდა გემებს და უკანვე უგზავნიდა. ამ ცელქობისთვის მას ბევრჯერ მოხვედრია. ის კი იყო, რომ ვერავინ მიაგნო, სად ინახავდა წისქვილს და სალამურს.

სალამურის ხმა ძალზე აღიზიანებდა მოხუც მეზობელს. ვერც იმას იტანდა, დილიდან საღამომდე რომ მეცადინეობდა, უკვე სიზმარშიც დო, რე, მი, ფა, სოლ ჩაესმოდა ყურში.

სულ უფრო და უფრო უჭირდა ცხოვრება ბელენის ქვრივს, ყველაფერი გაძვირდა. ერთ მშვენიერ დღეს იგი იძულებული გახდა სახლი დაეგირავებინა და ფერენც ჩანტას მიადგა კარზე. ჩანტამ მისცა ფული. გადიოდა დრო, გადახდა რა ოქმა უნდა, არ შეეძლო და პროცენტიც მოემატა. ერთხელაც ვალის გადახდა მოსთხოვა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ჩანტამ სასამართლოში უჩივლა და გადაწყდა სახლი გაყიდულიყო საჯარო ვაჭრობით. ვინაიდან ერთადერთი მყიდველი თვითონ იყო, ბატონმა ჩანტამ ჩალის ფასად იყიდა ბელენის სახლი. უსახლკაროდ დარჩენილ ქვრივს მისცეს, რაც ვალის გადახდის შემდეგ დარჩა და დედა-შვილი ვენაში გადასახლდა.

მოხუცი ახლა უკვე მთელი ქუჩის მფლობელი გახდა. აღარავინ უშლიდა ხელს. იგი თავის საყვარელ საქმიანობას, ფულის დაგროვებას განაგრძობდა. თანდათან მატულობდა სარდაფში ფულით სავსე კასრების რიცხვი.

ერთხელ ჩანტას ნაცნობი ბანკირი ეწვია ვენიდან, რომლის მამასაც კარგად იცნობდა და ბანკნოტებს უცვლიდა ოქროვერცხლზე. ეს ბანკირი გახლდათ ფელიქს კაულმანი.

— რით შემიძლია გემსახუროთ? აქ რამ მოგიყვანათ?

— ბიძაჩემო! (ჩვეულებრივ ასე მიმართავდა მოხუცს ფელიქსი), პირდაპირ საქმეზე მოგახსენებთ. მე დავაარსე საკმაოდ ავტორიტეტული გაერთიანება და მსხვილი ქვანახშირის კომპანია ბონდავარის მამულში. გარანტირებულ ათმილიონ კაპიტალზე ხელმოწერილია რვაასოცი მილიონი.

— ოო, ეს ხომ 82-ჯერ მეტია აუცილებელზე.

— მარტო ფული არ არის აქ მთავარი. მე მჭირდება პატივცემული პირები ამ საზოგადოების მმართველობაში შესაყვანად, ვინაიდან ყოველი წამოწყების წარმატება დამოკიდებულია საქმიან, მარჯვე და გამოცდილ ხელმძღვანელობაზე.

— ასეთი ადამიანების მოძებნა ადვილია, თუკი კარგი გასამრჯელო იქნება.

— უკმაყოფილო არავინ დარჩება. გამგეობის თითოეული წევრი სუფთა მოგებიდან 5-6 ათას ფორინტს მიიღებს წლიურად.

— ოო, ეს კარგი ფულია!

— გამგეობის წევრად მინდა შეგიყვანოთ, ბიძაჩემო.

— ეს დიდი პატივია, ოღონდ მაინც მინდა ვიცოდე, რა მევალება ამისთვის.

— სრულიად არაფერი, გარდა იმისა, რომ ათას აქციაზე მოაწეროთ ხელი.

— აი ,აი, აი, ჩემო ძვირფასო ძმისწულო, ეს არის არაფერი?

— ფულზე არ არის ლაპარაკი, საჭიროა მხოლოდ ხელის მოწერა.

— მართალია მე პროვინციელი კომერსანტი ვარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ხელისმოწერა და ფულის გადახდა ერთი და იგივეა.

— თუკი ჩავთვლით იმასაც, რომ ორმხრივი ვალდებულება გამორიცხავს ზარალის საშიშროებას? როგორც კი მოაწერთ ხელს ჩემი ქვანახშირის კომპანიის ათას აქციას, მაშინ-

ვე მოგცემთ ხელწერილს, რომ თქვენგან ვიყიდი ათას აქ-ციას. ასე რომ არც ერთი არაფერს არ ვკარგავთ.

— აბა რა გრჯით, რა ხუმრობაა ეს?

— ახლავე აგიხსნით. ამქვეყნად ხალხი ერთმანეთის მიხედულობით აკეთებს ყველაფერს, განსაკუთრებით ყველაზე პატივცემულ და მოხერხებულ ადამიანებს ბაძავენ. ბირჟაზე დაინახავენ, რომ თქვენ ათას აქციას მოაწერეთ ხელი, სხვებიც, ნაკლები სიმდიდრის პატრონებიც ყოველგვარი ფიქრის გარეშე მოგბაძავენ. თანაც მოგებაც გარანტირებული გაქვთ, 5-6 ათასი წელიწადში, ხომ იცით, რომ ყველაფერს გავაკეთებ ჩემი საწარმოს წარმატებისათვის.

— ჰმ! მოვიფიქრებ, სადილის შემდეგ შევხვდეთ ყავახანაში.

სადილობამდე ბატონმა ჩანტამ გაიკითხა, რას ლაპარაკობდნენ ბონდავარის კომპანიაზე, ისიც ჭკუაში დაუჯდა, ფელიქსი ხელშეკრულებას რომ უდებდა მისგან აქციების შესყიდვაზე და როცა ფელიქსი მოვიდა, თანხმობა განუცხადა: — კარგი მოვაწერ ხელს აქციებს, ოღონდ ხელზე ნუ მომცემ, არ მიყვარს ქაღალდები.

— იყოს ნება თქვენი, ბიძაჩემო, ჩემთან დავიტოვებ. მხოლოდ ჩემი ხელწერილი გქონდეთ ათასი აქციის ყიდვის თაობაზე.

ამის შემდეგ აგენტებმა, საქმოსნებმა და მაკლერებმა დაიწყეს მუშაობა. ისეთი აჟიოტაჟი შექმნეს, რომ ბონდავარის აქციების ფასმა საგრძნობლად აიწია.

სინდიკატს კი ჯერ ერთი აქციაც არ ჰქონდა გაყიდული. მოწინააღმდეგე პარტია ბირჟაზე თითქმის პარალიზებული იყო.

ამ დღიდან ფერენც ჩანტამ ყოველდღიურად დაიწყო გაზეთების კითხვა. ოღონდ არა ჩვეულებრივი გაზეთებისა, რომლებიც არასოდეს წერენ სიმართლეს, ბირჟის უწყებებისა მხოლოდ. იგი უკვე ყოველდღიურად საქმის კურსში იყო, რა ხდებოდა ბონდავარის ქვანახშირის აქციების ირგვლივ. აი, მათ თხუთმეტი, თვრამეტი და ბოლოს ოცი პროცენტი მოემატა. ვინც ორასი ათასზე მოაწერა ხელი, ორ კვირაში ოცი ათასი ფორინტი მოიგო.

აი სასწაული! სრულიად უწვალებლად ოცი ათასი! პა-

ტიოსან კომერსანტს კი რამდენი ოფლის ღვრა, წვალება სჭირდება ოცი ათასის მოსაგებად! რამდენ საცოდავს უნდა გააძროს ტყავი, უკანასკნელი ლუკმა წაართვას, რამდენი კომპანიონი უნდა გააცუროს, რამდენი მოსამართლე მოქრთამოს... აქ კი ამ ვაჟბატონმა ერთი თავისი ხელისმოწერის ფასად ამდენი ფული უნდა მოიგოს! ესაა სამართალი? ახლა ხომ ოცი ათასი ნაღდი მოგება უნდა მიიღოს ფელიქს კაულმანმა ჩემი წყალობით! ეს ხომ ძარცვა-გლეჯაა! ქურდობაა!

აბა რომელი ჭკუამყოფელი დაუშვებს ამას? სულელი ხომ არა ვარ სხვისი გულისთვის ვიქურდო? ქურდობა ისედაც სამარცხვინოა და მით უფრო სხვისი გულისთვის!

და აი ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ესტუმრა ფელიქს კაულმანი მოხუც ბერძენს. ძველმა მეგობარმა ეშმაკური ღიმილით მიმართა:

— აბა ჩემო საყვარელო ძმისშვილო, რა ამბავი მოიტანე, რა არის ახალი?

— მოვედი, რომ პირობის თანახმად თქვენს მიერ ხელმოწერილი აქციები შევისყიდო.

— რომელი აქციები? ჰოო, ბონდავარის? რა გვეჩქარება?

— მინდა პირველი შესატანი გადავიხადო, თორემ შემდეგ თითო აქციის გადაფორმებაზე ორი ფორინტი დაემატება და ორი ათას ფორინტს დავკარგავ.

— ესე იგი ათასივე გინდათ?

— პირობისამებრ.

— ხუთასის მეტი რომ არ მოგცეთ?

— რა გაეწყობა, ხუთასს ვიყიდი.

— არც ერთი რომ არ მოგცეთ?

— როგორ? — წამოხტა სკამიდან კაულმანი, — თქვენ ხუმრობთ?

— რა დროს ხუმრობაა! სულელი ვარ, ხელიდან გავუშვა აქციები, რომლებიც ოციათას სუფთა მოგებას მომცემს?

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით, მე ხელწერილიც მოგეცით! — აღელვებას ვერ მალავდა კაულმანი.

— მართალია, ჩემო საყვარელო ძმისშვილო, ნამდვილად მომეცით ხელწერილი, რომ იყიდდით ჩემგან აქციებს, მაგრამ მე ხომ არ მომიცია ხელწერილი რომ ვალდებული ვიყავი მომეყიდა თქვენთვის. ესაა მთავარი!

განცვიფრებისგან კაულმანს თვალები გაუფართოვდა.

— ასეა, ჩემო კარგო, თურმე ჩემგანაც შეიძლება რაიმე ისწავლოს კაცმა!

— მართალია, მაგრამ ბირეას თავისი კანონები აქვს! ეს არ შეიძლება!

— მე სულ არ მაინტერესებს ბირეის კანონები! იქ ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ.

კაულმანმა მწარედ გაიღიმა.

— უნდა ვაღიარო, რომ ასე ჯერ არავის გავუცურებივარ! ესე იგი თქვენ ერთ აქციასაც არ დამითმობთ?

— არც ერთს.

— კარგით, რახან ასეა გადამიხადეთ მათი ღირებულება.

— ასე იყოს!

— მთლიანი ღირებულება უნდა გადამიხადოთ.

— ფიქრი ნუ გაქვთ, იმდენი ფული კი მაქვს! შემიძლია ოქროთი გადაგიხადოთ, შემიძლია ვერცხლით. თუ მინდა თქვენს კონსორციუმს ვიყიდი.

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ მიყრუებულ ბატარა ქალაქში ვინმე მომატყუებდა.

ბატონ ჩანტას ეამაყებოდა ვენის გაქნილ საქმოსანს რომ აჯობა. გადაწყვიტა, მაშინვე გადაეხადა 35 პროცენტი ვერცხლით, რომ არ დაეგვიანებია ბირველი შესატანი და აქციებზე უფლება არ დაეკარგა.

როცა სარდაფში ჩავიდა შვიდი კასრის ამოსატანად, გული შეეკუმშა. (აქ ჩასვლის უფლება სხვას არავის ჰქონდა). კასრებში გამომწყვდეული ვერცხლის მონეტები ძალზე საიმედო კაპიტალი იყო. მართალია, იგი არავითარ მოგებას არ აძლევდა, მაგრამ სამაგიეროდ მას არავითარი საშიშროება არ ელოდა. მოხუცს ცრემლიც კი მოადგა თვალზე, როცა წარმოიდგინა, რომ სამუდამოდ უნდა განშორებოდა ასე საგულდაგულოდ წლების მანძილზე ნალოლიავებ მონეტებს. თანაც მათ სანაცვლოდ რაღაც ქაღალდები უნდა მიეღო მხოლოდ.

იმითღა ინუგეშა თავი, რომ დროებით მოუწევდა მათთან განშორება და სულ მალე მოგების შემდეგ ამ შვიდი კასრის ნაცვლად ცხრა გაუხდებოდა.

ბატონმა ჩანტამ ფურგონით თვითონვე ჩაიტანა ფული ვე-

ნაში. წინადღით მოწინააღმდეგე პარტიამ პირველად სცადა თავი შეეხსენებინა კაულმანის ფირმისათვის.

ეს მხოლოდ ძალთა გამოცდა იყო. მათ სურდათ მოესინჯათ მოწინააღმდეგის შესაძლებლობა და პირველი რაც ამ მიზნით გააკეთეს, ვალუტის შესყიდვა იყო. ასე, რომ ბატონმა ჩანტამ ძალზე დროულად ჩამოიტანა შვიდი კასრი ვერცხლი.

ვენის ქუჩებში პოლიციის თანხლებით მიმავალმა რკინის კასრებით სავსე ორმა ფურგონმა მაშინვე მიიქცია გამვლელთა ყურადღება. და ვინ იცის რა მოხდებოდა, რომ სცოდნოდათ, რამდენი ვერცხლი იყო მათში, და რომ ეს ბონდავარის აქციების საყიდლად იყო ჩამოტანილი!

კაულმანის ფირმამ გადაწყვიტა რაც შეიძლებოდა მეტი აქციოტაჟი გამოეწვია. ფულის ჩაბარებას ოფიციალური პირები უნდა დასწრებოდნენ, რასაც მიემატებოდა აქეთ-იქით „საქმიანი“ სირბილი და მითქმა-მოთქმა. ასე გაგრძელდებოდა, სანამ ბატონ ჩანტას ქვითარს გამოუწერდნენ და შემდეგ ნაშუადღევს მის ნაცვლად აქციებს არ გადასცემდნენ. კაულმანის ფირმა ყველა ოპერაციას გაუჭიანურებლად ასრულებდა.

ამ საქმეში კაულმანის მარჯვენა ხელი იყო და მისი რწმუნებული შპიცჰაზე. მან დაარიგა შპიცჰაზე, რომ მთელი დღე არ მოსცილებოდა ბერძენს და გასამრჯელო რამდენიც არ უნდა მიეცა, ხელზე ეკოცნა.

ნაშუადღევს მან მოუტანა ბატონ ჩანტას კუთვნილი ხურდა და აქციები, თან დასძინა, რომ შვიდასი ფორინტით მეტი იყო, ვინაიდან მისმა ვერცხლის მონეტებმა აჟიო ერთი პროცენტით გაადიდა.

— ოჰო, რა პატიოსანი ყოფილა! — გაიფიქრა ჩანტამ და ხუთფორინტიანი გაუწოდა მადლობის ნიშნად. შპიცჰაზემ ხელები დაუკოცნა.

— აჰა, ალბათ ძალიან ბევრი მივეცი, გაიფიქრა მოხუცმ. — მე შემეშალა, მომეცი უკან ეგ ფული.

და მის ნაცვლად ფორინტიანი დაუბრუნა.

შპიცჰაზემ ისევ მადლობა გადაუხადა და ხელზე აკოცა.

— მართლა პატიოსანი ყოფილა, სწორედ ასეთი კაცი მჭირდება!

— ისევ შემეშალა, მომეცი აქ ეგ ფორინტიანი, შენ ორმოცდაათფორინტიანი გეკუთვნის!

შპიცჰაზემ ბერძენს ორივე ხელი დაუკოცნა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

— იქნებ სჯობდა ხვალამდე ან ზეგამდე დაგვეცადა, უფრო ხომ არ აიწევდა ფასი?

— არა ბატონო, ეს დღეს იყო ასეთი შემთხვევა, ზეგ პირიქით, ორი პროცენტით დაიწევს.

— საიდან იცით?

— ყველაფერი ვიცი, რაც ბირჟაზე ხდება, ისიც კი, რაც სხვებმა არ იციან.

— თუ ეს მართლა ასეა, რატომ თვითონ არ თამაშობთ?

— ფული არა მაქვს. ისე კი, სხვას შემიძლია რჩევა მივცე.

— ესე იგი ბირჟაზე თქვენ შინაური კაცი ხართ და მისი ავან-ჩავანი იცით?

— იქ არ მძინავს მხოლოდ.

— მაშ წამიყვანეთ ბირჟაზე, მინდა ვნახო რა ხდება იქ! ბატონი ჩანტა ვარაუდობდა, თუ ხელსაყრელ მუშტარს იშოვიდა, ბონდავარის აქციები გაეყიდა.

— საღამოსაც შეიძლება იქ წასვლა?

— საღამოსაა ყველაზე მეტი ხალხი ბირჟაზე.

და ისინი ბირჟაზე წავიდნენ. დარბაზში რომ შევიდნენ, ჩანტას განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა. ათასამდე კაცი მაინც ერთდროულად ლაპარაკობდა, ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდა. ზოგი ყვიროდა, იყო კამათი და ქაღალდების ფრიალი.

შპიცჰაზე ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მოხერხებულად გაეტარებინა ბატონი ჩანტა ბრბოში, მაგრამ მოხუცს რამდენიმე მუჯლუგუნი მაინც მოხვდა, ბოდიში კი არავის მოუხდია მისთვის. ვერც ის გაეგო, რას ნიშნავდა: „მე ვიძლევი!“ და „მე ვიღებ!“ რომლებიც აქეთ-იქიდან მოისმოდა. განსაკუთრებით ერთმა სიტყვამ „პუნტაფარმა“ დააინტერესა და გაიფიქრა, ნეტავ ეს ბონდავარს ხომ არ ნიშნავსო?

როგორც კომერციაში კარგად გარკვეულმა კაცმა, იცოდა, რომ ვიდრე რაიმეს გაყიდდა, ჯერ საქონლის ფასი უნდა გაეგო.

ამ დროს მის გვერდით ვიღაცამ იყვირა: „ვის სურს პუნტაფარი?“

ჩანტამ შეაჩერა და ჰკითხა, როგორ ჰყიდდა ბონდავარის აქციებს.

— ოცდაათ ფორინტად.

— ასე ძვირად? ჯერ კიდევ გუშინ ოცი ღირდა.

— ეს გუშინ იყო, ხვალ კი ოცდათხუთმეტი ეღირება. მთელი მსოფლიო ამ აქციებს ყიდულობს. ერთმა ინდოელმა ნაბობმა მთელი თავისი ვერცხლი ჩამოიტანა, ბონდავარის აქციების შესაძენად. მოემგზავრებიან ბრაზილიიდან და პერუდან. მაროკოს ერთ-ერთმა ხელისუფალმა და პრუსიელმა ჰერცოგმა, რომლებსაც ვერცხლის საბადოები აქვთ, ათ-ათი ათასი აქცია შეიძინეს. ვისაც ასი ფორინტი გააჩნია, მოდის და ანცვეწება, ერთი აქცია მაინც დაუთმონ 30 ფორინტად.

ბატონ ჩანტას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ თვითონ იყო ინდოელი ნაბობიც, მაროკოელი მბრძანებელიც, პრუსიელი ჰერცოგიც და პერუელი და ბრაზილიელი უმდიდრესი კაციც და რაც მთავარია, ამ აციოტაჟის მიზეზიც.

უფრო მეტიც, ეს ყოველივე მას ხუმრობა ეგონა და იცინა-ცინა ნამდვილად დამცინიანო. გადაწყვიტა ნაკლებ მოგებასაც დასჯერებოდა და უთხრა:

— კარგით ერთი, ბატონო! რისი ოცდაათი ფორინტი, აბ ახლავე დაგითმობთ ათას აქციას ოცდახუთად.

და რაც ამ სიტყვების გაგონებაზე ბირჟაზე დატრიალდა, ჩანტას მსგავსი რამ არასოდეს ენახა. აქეთ-იქიდან ერთხმად მოისმა: „ვინ არის ეს?“ „რაშია საქმე?“ „სპეკულანტი!“ „არამზადა!“ „ნაძირალა!“ „დაქირავებული პროვოკატორი!“ „გაეთრიე აქედან!“ „პანღური მაგას!“ „ოცდახუთი როზგი!“ „მოაძრეთ ქუდი!“

შპიცჰაზემ ძლივს გამოსტაცა მოხუცი გამხეცებულ ბრბოს, მაგრამ მისი ქუდი მაინც ფეხებით გათელეს. სამშვიდობოს რომ გამოვიდნენ თვითონ დაუწყო ჩხუბი.

— რა ეშმაკმა გათქმევინათ, ბატონო ეს! განა შეიძლება ჭკუაზე მყოფმა კაცმა საკუთარი აქციების კურსი დასცეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგე პარტია თითქმის დამარცხებულია!

— მე სულ არ მინდოდა კურსის დაცემა, მაინტერესებდა, მართლა ყიდიან თუ არა აქციებს.

— მართლა ყიდიან თუ არა? — გაიმეორა გაბრაზებულმა შპიცჰაზემ, — თითქოს აქ ხალხი ანეკდოტების მოსასმენად დადიოდეს! ბონდავარის აქციებს ოქროს ფასი აქვს! ხვალ ოცდათორმეტი ფორინტი ეღირება, შემდეგ კი უფრო მოიმატებს. ფული რომ მქონდეს, კაპიკს არ დავიტოვებდი, სულ აქციებს ვიყიდდი. ვინ-ვინ და მე ხომ ვიცი, რაც მოხდება... ხუთი თითივით მაქვს შესწავლილი ბირჟა... თანაც სხვა რამეც შევიტყე კაულმანის კანტორაში, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება.

— რა შეიტყვეთ ასეთი? მე ხომ მეტყვით!

— არა, თქმით ვერ გეტყვით, ცოტას მიგახვედრებთ, — ჩურჩულით უთხრა შპიცჰაზემ, — ეს ჯერ კიდევ არ არის უმაღლესი ფასი! ვინც ოცდათორმეტად იყიდის, აი, ის ნახავს ნამდვილ მოგებას! რა თქმა უნდა, დაწვრილებით არ მოგიყვებით, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ერთი წლის განმავლობაში სულ უფრო აიწევს ფასი და წლის ბოლოს აქციის ფასი ასი პროცენტით მოიმატებს.

— ასი პროცენტით? — ძლივს ამოილუღლუღა განცვიფრებულმა ჩანტამ და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყრდნო, მაგრამ მალე მოვიდა გონს და ჩხუბი დაუწყო შპიცჰაზეს:

— ტყუილად ცდილობ ჩემს გასულელებას, შე არამზადავ! თავიდან მომწყდი! უშენოდაც გავიგნებ გზას.

შპიცჰაზე წავიდა.

მეორე დღეს, დილით გულმა მაინც ვერ მოუთმინა და ოფიციანტს „ბირჟის უწყების" მოტანა უბრძანა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც შპიცჰაზემ იწინასწარმეტყველა. ბონდავარის აქციების ფასი 32 ფორინტი იყო.

— არც ერთსაც არ გავყიდი! ეს რა ღვთის წყალობაა, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ ფულით აგევსება სახლი!

როგორც კი ისაუზმა, შპიცჰაზეც გამოჩნდა „ბირჟის უწყებით" ხელში. ბერძენმა არ უთხრა, რომ უკვე წაკითხული ჰქონდა, გაზეთი გაშალა, გულგრილად გადახედა ციფრებს და ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე მიმართა:

— სწორედ ისეა, როგორც თქვენ მითხარით!

— საღამოს უკვე ოცდათხუთმეტი ეღირება! ეჰ, ფული რომ მქონდეს!..

— აი თქვენ კიდევ ერთი ორმოცდაათფორინტიანი და იყიდეთ აქცია, ოღონდ ხელებს ნუ მიკოცნით, ამის ნებას არ მოგცემთ.

თუმცა ამის ნება მაინც მისცა.

— ოღონდ ნუ გაყიდით და როცა შემდეგი შესატანის დრო მოვა, გადაგიხდით. კარგით, ყოველთვის ხელებს ნუ მიკოცნით, მე კიდევ ბევრ სიკეთეს გწევთ და სულ რომ მკოცნოთ, ხელები აღარ შემრჩება. ახლა იმედი მექნება, შემატყობინებთ, თუ რაიმე ცვლილება მოხდება ბირჟაზე, ისიც უნდა მაცნობოთ, როდის იქნება საჭირო აქციების გაყიდვა. ვფიქრობ, გამიგებთ? ახლა თქვენც გექნებათ აქცია და დაგაინტერესებთ მისი ბედი. შემდეგ კი საკომისიოსაც მიიღებთ, ასე რომ ყურადღებით იყავით!

შპიცჰაზემ სათითაოდ დაუკოცნა ყველა თითი.

— მხოლოდ, გთხოვთ, არ გამცეთ ბატონ კაულმანთან, თორემ საიდუმლოს გაცემისთვის გამაგდებს აქედან.

— ფიქრი ნუ გაქვთ! შეგიძლიათ ენდოთ ჩემს პატიოსან სიტყვას!

და ამ პატიოსანმა კაცმა ირწმუნა, რომ სამუდამოდ მოისყიდა მეორე პატიოსანი კაცი, რომელიც მას გაანდობდა მესამე პატიოსანი კაცის საიდუმლოს.

საკითხავი იყო მხოლოდ ამ პატიოსან სამეულში რომელი რომელს მოატყუებდა.

არა! ეველინა!

ივანმა, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრო თავის მაღაროს.

სანამ ის პეშტში დროს ატარებდა, ბონდას ველზე დიდი ამბები დატრიალდა. მისი მამულის გვერდით სასწაულებრივი სისწრაფით შენდებოდა უზარმაზარი შენობები, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა საჭიროა შენება ნებისმიერი გასამრჯელოთი.

აქციები ჯერ კიდევ არ იყო გამოსული, კონსორციუმმა კი უკვე მილიონი ფორინტი დააბანდა. ყველა სამუშაო ისეთი სისწრაფით სრულდებოდა, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ წამოიმართა აგურის ქარხანა, როგორ გაიყვანეს კორპუსებთან სამშენებლო მასალების მისატანი გზა, როგორ აშენდა მთელი ქუჩა და უფრო მეტიც, მთელი ქალაქი.

ბატონმა რენემ იცანს ამის შესახებ არაფერი მისწერა, არც ის აცნობა, რომ გაფიცვა იწყებოდა. მუშების ნაწილი ახალ მაღაროში გადავიდა, სადაც თითქმის ორჯერ მეტ გასამრჯელოს აძლევდნენ. და თვითონ ბატონი რენეც იქვე აქციონერული საზოგადოების მაღაროში ამჯობინებდა მუშაობას. თანაც ყველაზე საუკეთესო მუშები შეაგულიანა ახალ მაღაროში გადასასვლელად.

ახლაღა მიხვდა ივანი, რა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა თავისი მეგობრის რეკომენდაციით მიიღო მაღაროში მმართველი.

ასეთი რამ მხოლოდ მეცნიერ კაცს შეიძლება დაემართოს! იგი მთელ სიცოცხლეს მოანდომებს იმ ცხოველთა ნეშტების შესწავლას ასეულ ათასობით წლის წინ რომ ბინადრობდნენ ქვანახშირის ეპოქაში, მაგრამ იმას კი არ გაითვალისწინებს, რომ არ უნდა გააჭაჭანოს კონკურენტები თავის მაღაროში. ამას ხომ სრულიად გაუნათლებელიც მიხვდებოდა, რომ როგორც კი მეზობლად აქციონერული საზოგადოების მაღარო დაიწყებდა მუშაობას, ბატონი რენე მაშინვე იქ გადავიდოდა.

თანაც კონკურენტს მისი საქმის ყველა საიდუმლო ეცოდინებოდა!

ივანი მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა და მუშები იხმო მოსალაპარაკებლად. ახალი საწარმო, რომელიც ასეთ დიდ გასამრჯელოს გპირდებათ, მხოლოდ ზარალის ფასად თუ შესძლებს ამას. კარგად იცით, რომ ჩემი მაღარო ყოველ წელს მოგებას მაძლევს. შემიძლია აღგითქვათ, რომ ამის შემდეგ ხელფასის გარდა თქვენს წილს მოგებიდანაც მიიღებთ. რასაც გამოვიმუშავებთ, თანაბრად გავიყოფთ. წლის ბოლოს თქვენს მიერ გამოყოფილი კომისია შეამოწმებს მთელი ნამუშევრის და მოგების რაოდენობას. თითოეული მიიღებს თავის წილს გამომუშავების მიხედვით. თუ თანახმა ხართ, ვიმუშაოთ ისევ ერთად, თუ აქციონერული

საზოგადოების მაღაროში გადახვალთ, იმიტომ რომ იქ მეტს გადაგიხდიან, თქვენი ნებაა, მე არ დაგიშლით. ოღონდ იცოდეთ, რომ ეს ვერაფერ სარგებლობას მოგიტანთ, რა თქმა უნდა, მილიონების მფლობელი საწარმოს კონკურენციის გაწევას მე არ დავიწყებ, მივყიდი მას ჩემს მაღაროს და როგორც კი ისინი ერთი მფლობელის ხელში მოექცევა, თქვენ ისევ შეგიმცირებენ გასამრჯელოს. ვინც ჩემთან დარჩება, ამ ხელშეკრულებით იმუშავებს მთელი სიცოცხლე. ვიდრე მე ვიქნები მაღაროს მფლობელი, მოგების ნახევარი ჩემი იქნება, ნახევარი თქვენი.

მუშების ნახევარი ივანთან დარჩა სამუშაოდ. ნახევარი კი დაქირავებული წამქეზებლების წყალობით გადაიბირეს. აქციონერული საზოგადოება ცდილობდა შეღლა და მტრობა გაეღვივებინა ამ ორი მაღაროს მუშებს შორის და კვირადღე ისე არ გაივლიდა, რომ არ წაეჩხუბებინა ერთმანეთისთვის.

სულ მალე ივანს ახალი მუხანათობა მოუწყეს, მისი ქვანახშირის, თუჯისა და რკინის მადნის მყიდველთა ხელიდან გამოცლაც მოახერხეს. მათ გამოუცხადეს ივანს, რომ ბონდავარის აქციონერული საზოგადოების მაღარო და მეტალურგიული ქარხანა 50 პროცენტის ფასდაკლებით სთავაზობდა პროდუქციას და ამის შემდეგ მხოლოდ მათთან დადებდნენ ხელშეკრულებას. საოცარი იყო სწორედ — ხელფასს მუშებს ორმოცდაათი პროცენტით მეტს უხდიდნენ, მიღებულ პროდუქციას კი ორმოცდაათი პროცენტით იაფად ყიდდნენ.

ეს საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ივანის საწყობები სავსე იყო ქვანახშირითა და თუჯით. ბონდას ველზე მისგან პროდუქციის წამოსაღებად არც ერთ ფურგონს აღარ გაუვლია, მაგრამ ივანი იმედს არ კარგავდა და თავის ყოფილ მუშტრებს ეუბნებოდა, ერთ ფილერსაც არ დაგიკლებთ. მის მუშებს მეზობელ მაღაროში წასული მათივე ამხანაგები სასაცილოდ იგდებდნენ: ვნახოთ, ერთი რა მოგებასაც მიიღებთ, ან იქნებ ქვანახშირისა და თუჯის გაყოფას აპირებთო!

ივანი კი მშვიდად იყო, წლის ბოლოს კარგ ფასად გაეყიდითო. ფასის დაკლება ზარალს ნიშნავდა.

როცა აქციონერული საზოგადოების მთელი გრანდიოზული კომპლექსის მშენებლობა დამთავრდა, გამგეობამ ზღაპრუ-

ლი ნადიმი გამართა. ვენიდან ზეიმზე ჩამოვიდნენ მეპაიეები, გამგეობის წევრები და თავმჯდომარეები. საზეიმო სუფრა უზარმაზარ საწყობში გაშალეს. ფანჯრები და კარი ყვავილების გირლიანდებით იყო მორთული. კედლების ფასწვრივ მუშებისათვის გაიშალა სუფრა, შუა დარბაზში — საპატიო სტუმრებისათვის.

თავიდანვე გამოაცხადეს, რომ თვით ჰერცოგიც ჩამოვიდოდა. კონსორციუმმა იგი საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ აირჩია. ჰერცოგმა ტიბალდმა მილიონი ფორინტის აქციებზე მოაწერა ხელი. ეს მილიონი მას კაულმანმა ასესხა იგივე თანხა ითვლებოდა ბონდავარის მამულის მფლობელთა ვალად. ესე იგი საბოლოო ჯამში ეს იყო არარსებული მილიონი.

ზეიმის დაწყებას წინ უძღოდა წირვა-ლოცვა საქვეყნოდ ცნობილ აბატ შამუელის ხელმძღვანელობით. აბა, ასეთი მაღალი წრის სტუმრების თანადასწრებით სოფლის მოძღვარს, ბატონ მაჰოკს ხომ არ გამოიყვანდნენ.

სტუმრების უძვირფასესი კარეტები მიუახლოვდა ეკლესიას. მათ შორის პირველი ჰერცოგის ღერბებით დამშვენებული კარეტა გაჩერდა, ოქრომკედით ნაქარგ ლივრეებში გამოწყობილი ფარეშებით და გაპუდრულპარიკიანი მეეტლით. ფარეშებმა მოწიწებით გამოაღეს კარი. პირველი, სასიამოვნო გარეგნობის, ხანდაზმული ჰერცოგი გადმოვიდა მედიდური გამომეტყველებით და თავაზიანად გაუწოდა ხელი მაქმანებით დამშვენებულ ხავერდის კაბაში გამოწყობილ მანდილოსანს.

— „ალბათ მაღალი წრის ქალბატონია!“ — იფიქრეს მუშებმა. მხოლოდ ერთმა, პეტერ საფრანმა იცნო იგი და შეშინებულმა იყვირა: „ევილა!“

განცვიფრებულმა ქალბატონმა ღიმილით მოიხედა მისკენ და ქედმაღლურად უპასუხა:

— არა, ეველინა!

სტუმრები ეკლესიას მიუახლოვდნენ და ქვის კიბეებზე დაიწყეს ასვლა. ეველინამ ოდნავ ასწია კაბა, რომ ატლასის ფეხსაცმელები და აბრეშუმის წინდები გამოეჩინა. სურდა დაენახათ მის ყოფილ თანამოსაქმეებს, რომლებსაც ადრე ხის ქოშებიანი, ფეხშიშველი ახსოვდათ. მაგრამ ამით მათი დამცი-

რება კი არ უნდოდა, პატივისცემის დამსახურებას ცდილობდა, სურდა, რაიმეთი დახმარებოდა, კარგი გაეკეთებინა და ეგრძნობინებინა, რომ მიუხედავად თავისი ასეთი მაღალი მდგომარეობისა, არ დავიწყებოდა ისინი. ეველინას თავისი ყოფილი ქმროს ნახვაც ახარებდა. ბედს შერიგებულს ცოლიც ეყოლებოდა და ცოტა ფულის ჩუქებით გაბედნიერებდა. ივანთან შეხვედრის იმედიც ჰქონდა, აგრძნობინებდა, რომ ახსოვდა მისი სიკეთე და ახლა სიკეთითვე მიუზღავდა სამაგიეროს, მით უფრო, რომ ბევრი რამ შეეძლო. მას, რა თქმა უნდა ვერ დააჩუქრებდა, მაგრამ გააფრთხილებდა, რა საფრთხეც ემუქრებოდა მის პატარა საწარმოს კონსორციუმისაგან და თუ ივანი თავის ძლიერ მეტოქესთან შერიგებას ისურვებდა, სიტყვასაც დააწევდა კომპანიის ხელმძღვანელობასთან.

ეველინას ყველასთვის სიკეთე სურდა, უნდოდა ხალხს ელაპარაკა: „აი ღმერთმა გაბედნიერა ადამიანი, მაგრამ ნახეთ, რა კეთილი გული აქვს! ახსოვს ძველი მეგობრები!“

სწორედ ასეთი ქველმოქმედის სახელის დატოვების სურვილმა მოიყვანა აქ ეველინა. ივანთან შეხვედრასაც მეტად ეშმაკურად ფიქრობდა. ოლქის გავლენიან პირებს, მემამულეებს და თვით ჰერცოგს მოაწვევინა იგი მაღაროს საზეიმო გახსნის ცერემონიალზე და ნადიმზე. ასეთ მოწვევაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. როცა აბატ შამუელსაც სთხოვა მოენახულებინა ბერენდი, როგორც მეცნიერი კოლეგა და ნადიმზე მოეწვია, ერთადერთმა მან უპასუხა, რომ არ არსებობდა ამქვეყნად არავინ და არაფერი, რისი გულისთვისაც მივიდოდა ივან ბერენდთან და თავაზიანად ჰკითხავდა, ხომ არ ინებებთ ბონდავარის მფლობელთან სტუმრობას? და აბატს ჰქონდა ამის მიზეზი.

პეტერ საფრანი გაქვავებულივით იდგა და თვალს ვერ აშორებდა მშვენიერ ეველინას. ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი მოხვია, პეტერმა მოიხედა და ფელიქს კაულმანი შერჩა ხელში. ამ საძულველი ადამიანის დანახვაზე ბოღმა მოაწვა ყელში, სულ გაფითრდა. კაულმანმა კი ისე გაუღიმა, თითქოს წარსულში მათი გაცნობის მიზეზი მხოლოდ მათთვის, ორისთვის ცნობილი საოცარი ხუმრობა იყო.

— გამარჯობა ჭაბუკო! აუცილებლად მოდი ნადიმზე!

პეტერი უხმოდ გასცილდა და როცა ბატონები და სტუმრები ეკლესიაში შევიდნენ, ისიც მათ მიჰყვა.

ტაძრის ყველაზე ჩაბნელებულ კუთხეში პეტერი მუხლებზე დაეცა წმინდანის ხატის წინ, სახეზე ხელები აიფარა და რაღაც საშინელი შეჰფიცა. ვინც იგი შენიშნა, ეგონათ, ლოცულობს და თავის ცოდვებს ინანიებსო. ასე იდგა მუხლებზე რამდენიმე წუთი, შემდეგ წამოდგა, არ დაელოდა წირვა-ლოცვის დამთავრებას და ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისკენ წამოვიდა. კართან წამით შეჩერდა, ნახევრადშეშლილი სახე მოაბრუნა, რომ დარწმუნებულიყო, ხომ არ წარმოსთქვამდა რისხვით რომელიმე წმინდანი: „შეიპყარით! გათოკეთ!“

ეკლესიიდან გამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ახალი ნაგებობები. ადმინისტრაციული შენობის ნაძვის ტოტებითა და ყვავილებით მორთულ შესასვლელში მათ მუშათა დელეგაცია შეეგებათ, თეთრ კაბებში გამოწყობილმა გოგონებმა ლექსები წაიკითხეს და ეველინას ყვავილების თაიგულები მიართვეს. ერთი მათგანი ეველინამ გადაკოცნა: „მიციკე, ხომ მიცანი?“ აბა რას იცნობდა? გოგონამ ვერც კი გაბედა შეეხედა მისთვის, იმდენად თვალისმომჭრელად ბრწყინავდა!

მმართველმა, ბატონმა რენემ სტუმრებს დაათვალიერებინა ადმინისტრაციული შენობა, საამქროები, თუჯის ქარხანა, მაღარო, ბრძმედები, საკოქსავი ღუმელი და ბოლოს საგანგებოდ გაწყობილ დარბაზში შევიდნენ, სადაც სადღესასწაულო სუფრა იყო გაშლილი. აქ მათ მობრძანებას ბოშათა ორი ორკესტრი რაკოცის მარშით შეეგება. ვინ აღარ იყო მოწვეული, ბატონებიც და მდაბიონიც, სასულიერო პირნიც და ბოშებიც: მაგრამ მათ შორის ეველინამ ივანი ვერსად იპოვა. მან წერილიც კი არ გამოუგზავნათ, რომ დასწრება არ შეეძლო. ისევ გადაიცვა თავისი სამუშაო ტანსაცმელი, გულმა არ გაუწია იქ, სადაც ადამიანები ერთმანეთის მიმართ გულწრფელნი არ იყვნენ. ვინ იცის, იქნებ სხვა მიზეზიც ჰქონდა?

როცა ტყეში გაშვებული ცოცხალი დათვის ტყავს იყოფენ, რომელიც ჯერ არ მოუკლავთ, დათვს იმის უფლება მაინც მივცეთ, რომ ამ გაყოფას არ დაესწროს.

სამაგიეროდ, ნადიმზე პეტერ საფრანი მივიდა. მას დიდი

პატივი ხვდა წილად, მუშათა მაგიდის თავში დასვეს, ბონდას ველის მაღაროდან მის მეტი არავინ იყო.

დროსტარება გვიან ღამემდე გაგრძელდა. ბატონებმაც და მუშებმაც კარგად მოილხინეს. ქეიფის დასასრულს ფელიქსმა პეტერი იხმო:

— ეს ის მუშაა, თქვენო ბრწყინვალებავ, მე რომ მოგახსენეთ, — მიმართა მან ჰერცოგს.

პეტერმა იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეში.

— აბა ახლა მომიყევი როგორა ხარ? როგორ ცხოვრობ? რას აკეთებ მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს? კიდევ ხომ არ გეშინია ექიმების? აი, მე შენ მოგცემ წამალს, რომელიც ამ შიშს განკურნავს! — და მან პეტერს ხელში ასფორინტიანი ჩაუდო — არა, არა, მე არა, მის ბრწყინვალებას აკოცე ხელზე, ეს მისი წყალობაა!

პეტემა ეველინას მორჩილად აკოცა ხელზე.

— და კიდევ, მისივე წყალობით ჰერცოგმა ბრძანება გასცა ჩვენს მაღაროში ათისთავად დაგნიშნონ წელიწადში ათასი ფორინტი ხელფასით. აბა, რას იტყვი?

პეტერმა ჰერცოგსაც ხელზე აკოცა.

— ახლა კი, ერთად შევსვათ მისი სადღეგრძელო! — წარმოსთქვა კაულმანმა და პეტერს შამპანურით აუვსო სასმისი — დღეგრძელობა ვუსურვოთ ჩვენს უბრწყინვალეს თავმჯდომარეს, მის უდიდებულესობას ჰერცოგ ტიბალდს!

— ქალთა შორის უმშვენიერესის სადღეგრძელო იყოს! — წარმოსთქვა ჰერცოგმა, ვიდრე ტაში იგრიალებდა და შემდეგ ოთხივემ მიუჭახუნეს სასმისები ერთმანეთს: ჰერცოგმა, ბანკირმა, პეტერ საფრანმა და მშვენიერმა მანდილოსანმა.

გლეხები განცვიფრებულები შეჰყურებდნენ ამ ამაღელვებელ სურათს.. ხუმრობა ხომ არ იყო, ბრწყინვალე ბატონებმა მუშასთან ერთად შესვეს სადღეგრძელო. ალბათ მართლა უყვართ უბრალო ხალხი! პეტერი კი ვერა და ვერ მიმხვდარიყო ამ ორი ბატონიდან რომელი იყო ეველინას ქმარი, ან რომელიც ქმარი არ იყო, რა აკავშირებდა მასთან.

ბოლოს ნადიმი შუშხუნების სროლით დამთავრდა, რომლის ოქროსფერი ნაპერწკლები ივანის მაღარომდე აღწევდა.

მეორე დღეს პეტერი ივანთან მივიდა და განუცხადა, რომ ახალ მაღაროში გადადიოდა სამუშაოდ.

— შენც? — ჰკითხა დანანებით ივანმა, — რახან ასე გინდა, წადი!

პეტერი გაფითრდა, მას ეგონა, რომ ივანი გაკიცხავდა, მაგრამ ამაოდ ელოდა საყვედურს, სიტყვაც აღარ უთქვამს მისთვის.

პეტერი ერთხანს იდგა ასე, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და ამდენი ხნის დაგროვილი ბოღმა ამოანთხია:

— რატომ დაუძახეთ, მაშინ იმ კაცს „ექიმო?"

— იმიტომ, რომ იგი დოქტორია, ფილოსოფიის დოქტორი. („ექიმო" უნგრულად არის „დოკტორ").

— სულ ერთია, არ უნდა დაგეძახათ ასე!

იგი განრისხებული შეტრიალდა და ისე გავიდა, არც დამშვიდობებია.

ივანის სულიერ გამძლეობას მართლაც დიდი გამოცდა ელოდა. საუკეთესო მუშები სტოვებდნენ მის მაღაროს. მძლავრი საწარმო შთანთქმას უპირებდა. განუდგნენ ძველი კომპანიონები და პარტნიორები. ფოლადის ნერვები უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ იქაურობას არ გასცლოდა, სანამ გვიან არ იყო.

მაგრამ ამ მძიმე წუთებში მას არ სტოვებდა და ამხნევებდა ერთადერთი მეგობარი: ეს იყო აქსიომა, რომ ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია.

უბრალო ლოგიკა ეხმარებოდა ივანს გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის ირგვლივ.

„განა ეს მრეწველთა გაერთიანებაა?! — რა თქმა უნდა არა, იგი ბირჟის რაინდებს ეკუთვნით".

„განა მათ ეროვნული ეკონომიკის განვითარება ამოძრავებთ? — რა თქმა უნდა, არა, ეს აზარტული თამაშია".

„განა აქ სამრეწველო საწარმო იქმნება? — არა, ესაა ბაბილონის გოდოლი".

ორჯერ ორი ოთხია. დიახ, ოთხი — აწ და მარადის! ამას ვერ შეცვლის ვერც ხელმწიფეთა ბრძანებები და კანონები, ვერც სამღვდელოება და ვერც ყველა ფინანსისტი ერთად. სულ ერთია — ორჯერ ორი ოთხია!

აქციონერული საზოგადოება კი ეწინააღმდეგება ამ უდავო

ჭეშმარიტებას, ორჯერ მეტ ფულს ახმარს შენებას, მაღაროს გახსნას, ქვანახშირის დამუშავებას, ყიდის არა მოგების მიზნით, არამედ წუთიერი წარმატებისთვის.

„არაფერია, მე გავუძლებ ამ გაუგონარ ამბებსაც!"

წლის ბოლოს კიდევ ერთმა სიურპრიზმა განაცვიფრა საქმოსნები. ბონდავარის აქციებმა 35-40 პროცენტით მოიმატა ფასი. ახლოვდება მეორე შესატანის ვადაც.

ბატონმა ჩანტამ იფიქრა, აქციების გაყიდვის მომენტი დადგაო და გადაწყვიტა თავისი ვერცხლი უკან დაებრუნებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს შპიკჰაზემ აცნობა, რომ არავითარ შემთხვევაში აქციები არ გაეყიდა.. გამგეობას შეეჯამებინა ორი უკანასკნელი თვის შედეგები და მომავალ სხდომაზე მეპაიეებისთვის მოგების ოცი პროცენტის განაწილებას აპირებდა, რის შემდეგაც აქციების ფასი ისევ აიწევდა.

მართლაც ორ თვეში საზოგადოებამ კოლოსალური მოგება მიიღო. სუფთა მოგების გარდა თითოეულ აქციას დაერიცხა ექვსი ფორინტი შემოსავალი, რაც ორ თვეში, 35 პროცენტის შესატანის შეძდეგ, განსაცვიფრებელ წარმატებას ნიშნავდა.

ივანმა ეს რომ წაიკითხა გაზეთში, სიცილი აუტყდა. ვინ-ვინ, და მან კი კარგად იცოდა, რა მოგებაშიც იყო აქციონერული საზოგადოება. ისინი სალაროში არსებულ მთელ ფულს მოგებას უწოდებდნენ. გამოუცდელ მეპაიეებს კი ამისი არაფერი გაეგებოდათ. გამგეობის წევრებმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ, მაგრამ რას კარგავდნენ?! თითოეული მათგანი ბონდავარის აქციებში დაბანდებულ თანხას სხვებისგან აინაზღაურებდა, ისევ მცირე კაპიტალის მქონე მეპაიეები დაზარალდებოდნენ.

ასე რომ ბატონმა ჩანტამ ისევ ვერცხლით გადაიხადა მეორე შესატანი და მოგებით გახარებული შპიკჰაზეს ლოცავდა, რომ არ გააყიდვინა აქციები. სულ მალე მოსალოდნელი იყო მათი ფასი 40-45 პროცენტამდე გაზრდილიყო. ივანი დამშვიდებული ადევნებდა თვალს ამ ჯოჯოხეთურ ორომტრიალს. და მხოლოდ ამას ფიქრობდა: „როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს მასხარაობაო?"

პატივი და დიდება მაუდისწამოსასხამიან გლეხუჰეებს

სწორედ ამ დროს, ბირჟაზე იგივე კითხვით მიმართა ჰერცოგმა ვალდემარმა წარმატებით გალაღებულ კაულმანს.

— როგორ ფიქრობთ, დიდხანს გაგრძელდება ეს კომედია?

— მესამე მოქმედებაც იქნება — უპასუხა ბანკირმა.

— მესამე შესატანი, არა? აი, მაშინ კი მიფრთხილდით, აღარ დაგინდობთ.

— მაშინ მეც ვიტყვი ჩემს სიტყვას!

მოწინააღმდეგე პარტია ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა კაულმანი. ეჭვი არ იყო, რაღაც ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ რა იყო ეს? ეს მხოლოდ აბატმა შამუელმა და ჰერცოგმა ტიბალდმა იცოდნენ. ეს იყო ბონდავარის რკინიგზასთან დაკავშირებული ავანტიურა.

ამის მიღწევა ძნელი იყო, ავსტრიის მთავრობა განაწყენებული იყო უნგრეთზე და არ აძლევდა რკინიგზის გაყვანის უფლებას. მათ სურდათ, უნგრეთი უდაბნოდ ექციათ, ჩამორჩენილ აზიურ ქვეყნად.

ამ განაწყენების მიზეზი კი ის იყო, რომ ეს ჯიუტი ხალხი არც ერთ სახელმწიფო მითითებას და კანონს არ ასრულებდა. მაუდის ტანსაცმელში გამოწყობილი მთელი უნგრეთი ეწინააღმდეგებოდა მათ, იქნებოდნენ ეს ჩინოვნიკები, ინტელიგენცია თუ საშუალო კლასის წარმომადგენლები. ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როდის აიღებდა უნგრეთი ხელში ძალაუფლებას. დეპუტატები შეცვალეს, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. არც ერთი მათგანი არ ცდილობდა ავსტრიელთა გეგმების განხორციელებაში მიეღო მონაწილეობა. ახალმა დეპუტატებმაც მიიღეს გასამრჯელო, კეთილი სურვილები გამოთქვეს ხელისუფალთა მიმართ, ფიციც დადეს, მაგრამ სახელმწიფო იდეების ცხოვრებაში გასატარებლად სულ არაფერი გაუკეთებიათ. ამის ნაცვლად ჯიბე გაისქელეს მხოლოდ. ახლადარჩეული დეპუტატები თავიანთი წინამორბედებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ. ძველები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ არაფრის გაკეთება არ სურდათ, ახლები კი

თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ.

ასე რომ, ბოლოს მაუდისწამოსასხამიანი გლეხუჭების ჯერიც დადგა. მათი წამოსასხამები ყველაზე დაბალი ხარისხის, რუხი ფერის მაუდისა იყო. სწორედ ისინი გახდნენ ყველაზე პოპულარული იმ დროს იმპერიის დედაქალაქში, საკანონმდებლო კრებაზე მთელი ერთი რიგი ეჭირათ. მათი ნდობა შეიძლებოდა. თუ ეპისკოპოსი დაამთქნარებდა, ისინიც ამთქნარებდნენ, თუ იგი ფეხზე წამოდგებოდა, ისინიც ადგებოდნენ, თუ თავს მოიფხანდა, ისინიც მოიფხანდნენ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა მათს პრინციპულობას და სიმტკიცეს. გერმანული ენა, რომელზედაც კამათი მიმდინარეობდა, რა თქმა უნდა, არ ესმოდათ, მაგრამ სწორედ ეს ანიჭებდათ ფასდაუდებელ უპირატესობას: არც გრძელი სიტყვებით გამოდიოდნენ და არც რეპლიკებით უშლიდნენ ხელს კრებას. მათ არ ძალუძთ რაიმე წვლილი შეიტანონ კანონების შედგენაში, მონაწილეობა მიიღონ საკონსტიტუციო საკითხების, რეფორმისა და ბიუჯეტის განხილვაში, მაგრამ სწორედ ეს უბრალოება განაპირობებს მათდამი უდიდეს ნდობას. აზრადაც არავის მოუვა ხელისუფალთა არჩევნებზე მათი ხმის მიცემას ეჭვის თვალით შეხედოს, მათ ხომ არავითარი ანგარება არ ამოძრავებთ და სამაგიეროდ არც რაიმე თანამდებობას შეიძლება მოელოდნენ.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ უბრალო, დაბალი წრის ადამიანთა შეყვანა საკანონმდებლო კრებაზე, მის ინიციატორებს ასხამდა ხოტბას.

უნგრეთში კი მაშინ ბევრი გლეხუჭა ატარებდა მაუდის წამოსასხამს და შოტენტორის საკანონმდებლო სასახლეში მათთვის განკუთვნილი ასზე მეტი ადგილი ცარიელი იყო.

აკლდათ მხოლოდ სასულიერო წოდების წარმომადგენლები. მაგრამ უნგრელი მღვდლები მათ არ ემორჩილებოდნენ, არაფრის გულისთვის არ არღვევდნენ რაკოცისდროინდელ უძველეს ტრადიციებს და არ სცნობდნენ ცივილიზაციის უახლეს მიღწევებს, რისთვისაც ისინი ბარბაროსებად მონათლეს.

მართლაც, მღვდელი მაჰოკიც კი, ეს თითქმის უმნიშვნელო ბიროვნება, მინისტრის მიერ გამოგზავნილ განკარგულებას,

რომელიც საჭიროა ამბიონიდან გამოაცხადოს საქვეყნოდ, უკან უგზავნის ტექსტზე მინაწერით, რომ იგი სოფლის პოლიციელი როდია. თუკი სურთ ხალხს რაიმე გამოუცხადონ, ამისთვის არსებობს ბაზრის მოედანი და სოფლის მქადაგებელი, რომელიც ამას ჩადის დოლის თანხლებით. ტაძარში კი ამისთანების ადგილი არ არის!

საჭირო იყო ამ მტკიცე სასულიერო პირთა წინააღმდეგობის ალაგმვაც.

— ჩვენი დროც დადგა! — უთხრა ფელიქს კაულმანმა აბატ შამუელს.

„დროა ვიმოქმედო!" — გაიმეორა თავისთვის აბატმა შამუელმა.

კარდინალი ჩავიდა ვენაში, მაგრამ აუდიენცია ვერ მიიღო, აითვალწუნეს. ტრანსილვანიის ეპისკოპოსი თავიდან მოიცილეს. დამოკლეს მახვილი შეიმართა უნგრეთის სასულიერო სამყაროს თავზე.

რკინიგზა ბონდას ველზე საფეხური იყო პარნასისაკენ.

თუკი მისი გაყვანის უფლებას მოიპოვებდნენ, კაულმანის ფირმა პერეირასა და შტრაუსბერგის ფირმებს გაუტოლდებოდა.

მაშინ კი აღსრულდებოდა!

თანაც ყველაფერი ერთად!

მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში, ძალაუფლება ქვეყანაში, გავლენა იმპერიაში, წარმატება საქმიან წრეებში, და რაც მთავარია, ტრიუმფი და უმაღლესი ადგილი საეკლესიო იერარქიაში.

აბატი შამუელი თავისი პატივმოყვარული ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო უნგრეთიდან გლეხუმა დეპუტატების შეყვანა იმპერიის საკანონმდებლო საკრებულოში, სამაგიეროდ, ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანა, ეპისკოპოსის წოდების მიღება და სავარძელი სენატში.

ამისათვის ყველაფერი მზად იყო: სახელმწიფო მოღვაწე, ბირჟის მეფე და ლამაზი ქალი, რომელთაც ჭადრაკის ფიგურებივით გადააადგილებდა საჭიროებისამებრ საკუთარი შეხედულებით.

ერთ შაბათ საღამოს ივანს ბატონი რენე ეწვია. მოკლედ აუხსნა მოსვლის მიზეზი, ბონდას ველის მეზობელი სოფლების მცხოვრებთ თხოვნით მიემართათ ვენის მთავრობისთვის მიმოსვლის საშუალებების გასაუმჯობესებლად. მისი აზრით, ივანს ეს სხვებზე ნაკლებად არ აინტერესებდა და იმედი გამოთქვა თავის მუშებს ხვალინდელ თავყრილობაზე დასწრების უფლებას მისცემდა.

ივანმა კატეგორიული უარი უთხრა.

— ჩვენზე ვრცელდება საგანგებო კანონი, რომელიც პოლიტიკურ შეკრებებს კრძალავს. თქვენი თავყრილობა სწორედ ასეთი იქნება. კანონს მე წინ ვერ ღღვუდგები.

მეორე დღეს კრება მაინც მოიწვიეს. აბატმა შამუელმა მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა. გამოჩენისთანავე თავისი გარეგნობის წყალობით ყველა მოწიწებით და პატივისცემით განეწყო მისდამი, საუბარი ხომ ყველასათვის გასაგები და საინტერესო იყო.

საკითხი ისეთ საქმეს ეხებოდა, ყველას რომ აინტერესებდა. მის გულწრფელობაში მცირეოდენი ეჭვის შეტანაც არ შეიძლებოდა.

ერთხმად გადაწყვიტეს აერჩიათ თორმეტი წარმომადგენელი ვენაში გასამგზავრებლად, რომლებიც მთავრობას მოახსენებდნენ სოფლის მშრომელთა მდგომარეობას. ასე აჯობებდა ხალმისთვის.

აბატმა შამუელმა დაასახელა თორმეტი კანდიდატი. შეკრებილთ ერთხმად დაიძახეს: „გაუმარჯოს!“

ბონდავარის აქციონერული საზოგადოება კისრულობდა მათი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას, თითოეულისთვის ყიდულობდა მაუდის ახალ წამოსასხამს, ქუდსა და ჩექმებს.

წამოსასხამის ტარების მსურველი თითქოს ყოველთვის უნდა მოიძებნოს, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. გლეხი ხომ ყველაფერს მაინც ეჭვის თვალით უყურებს. იგი ბატონებთან დაძმობილებას ერიდება, არც მისი საჩუქრები ეხატება გულზე, იცის, რომ ძვირი დაუჯდება.

ეს ამბავი აბატი შამუელის ნაცვლად სხვას რომ წამოეწყო თუნდაც რომელიმე თავადს, ნამდვილად ფონს ვერ გავი-

დოდა, მაგრამ სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელს ყველა მიენდო.

თავიანთი თორმეტივე წარგზავნილი მკაცრად გააფრთხილეს თავი წერა-კითხვის უცოდინრებად გამოეცხადებინათ და რაც არ უნდა ეთხოვათ, ხელი არაფერზე მოეწერათ, თუ იმის გამორკვევას დაიწყებდნენ, სოფელში ვის რამდენი მიწა აქვს, ან რამდენი ახალგაზრდა ყავთ, პასუხისთვის თავი აერიდებინათ.

დელეგატთა შორის იყო პეტერ საფრანიც. მასზე განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდნენ.

მეორე დღესვე ბატონი აბატის მეთაურობით მაუდისწამოსასხამიანი გლეხუჭები ვენაში გაემგზავრნენ.

მესამე დღეს კი ივანი დაიბარა უახლოესი სამხედრო ნაწილის უფროსმა. იქ მას განუცხადეს, რომ შემოსული იყო დაბეზღება, თითქოს იგი ყველას აქეზებდა საყოველთაო კონსტიტუციის წინააღმდეგ, აუგად იხსენიებდა იმპერიის საბჭოს და ხალხს, განსაკუთრებით კი თავის მუშებს, ამხედრებდა მთავრობის წინააღმდეგ, კილავდა უმაღლეს კრებას და საიდუმლო ორგანიზაციების წევრი იყო.

— ვურჩევთ, მომავალში გაფრთხილდეს, — ბრძანა უფროსმა, თორემ მისი საქმის გამოძიება მოგვიწევს და შეიძლება ცუდად დამთავრდეს. ახლა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ შთაგონებით.

ივანმა კარგად იცოდა, ვინც დააბეზღა.

ასეთი დარტყმაღა აკლდა მის მაღაროს. ადვილი შესაძლებელი იყო, ერთი წლით ციხეშიც ჩაესვათ, ვიდრე გამოძიება დამთავრდებოდა. ბოლოს, რა თქმა უნდა, გაირკვეოდა, რომ უდანაშაულო იყო და გამოუშვებდნენ, მაგრამ ამასობაში მისი საწარმო დაზარალდებოდა.

ივანის საბედნიეროდ, სამხედრო ნაწილის უფროსის ცოლი ფეხმძიმედ იყო და სწორედ ის ოთახი ეკავა, რომელიც პატიმრებისათვის ჰქონდათ განკუთვნილი. ამიტომ ამჯობინეს ივანი გაეფრთხილებინათ მხოლოდ და შინ გაეშვათ.

ბონდას ველიდან ჩამოსული თორმეტი მაუდისწამოსასხამიანი გლეხუჭას გამოჩენა იმპერიის დედაქალაქში ნამდვილ ზეიმად იქცა.

აი ისინი! უნგრელები! ხალხის წარგზავნილები იმპერიის საბჭოში. ესაა თებერვლის კონსტიტუციის იდეების ხორცშესხმა!

სამჯერ დავჭექოთ „ეაუმარჯოს!“ მათ პატივსაცემად.

გაზეთები სავსე იყო მისალმებებით. პოლიტიკურ ჟურნალებში ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად სოლიდური მოწინავე წერილები დაიბეჭდა. სახელმწიფო მოღვაწეებმა განსაკუთრებული აუდიენცია მოუწყეს, სადაც ბატონმა აბატმა დეპუტაციის სახელით მაღალფარდოვანი ფრაზებით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა უნგრეთის ჩამორჩენილობის შესახებ, რომლის ხალხი უკვე კარგად არჩევდა თავის ნამდვილ კეთილისმყოფელებს უქნარა გაიძვერებისაგან.

ბატონმა აბატმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ხალხის ფხიზელ გონებაზე მისი უდიდებულესობის მინისტრის გასაგონად.

მინისტრმა მოწყალედ გაუწოდა ხელი, საიდუმლოდ გაანდო, რომ მალე საჭირო გახდებოდა ახალი ეპისკოპოსის დანიშვნა და შეპირდა, პირადად ვიზრუნებ თქვენი წოდებისათვის ხარისხის მოსამატებლადო.

მისი უდიდებულესობა დეპუტაციის წევრებსაც გამოელაპარაკა და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა, რადგანაც ერთმანეთის ენა არ ესმოდათ.

უფრო მეტიც, როდესაც ბატონი აბატისაგან შეიტყო, რომ მათ შორის პეტერ საფრანი ყველაზე უფრო ღირსეული პიროვნება იყო, ხელი ჩამოართვა და იმედი გამოთქვა, იმპერიის საბჭოს ხვალინდელ სხდომაზე კვლავ გიხილავთ ქანდარაზეო. ჯერჯერობით „მხოლოდ“ ქანდარაზე!

პეტერმა აღუთქვა, რომ ეახლებოდნენ. მხოლოდ მას, ერთს ესმოდა, რაზე ესაუბრებოდნენ, გერმანულიც იცოდა და ფრანგულიც, გემზე მუშაობისას ჰქონდა ნასწავლი.

მისდა გასაოცრად ბატონმა მინისტრმა ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანის ნებართვაზე, რაიმეს თქმას თავი აარიდა.

მაღალი თანამდებობის პირებთან აუდიენციამ დიდი პოპულარობა მოუტანა უნგრეთის წარგზავნილებს. ილუსტრირებული ჟურნალების სამმა რედაქტორმა სთხოვა მათ, სურათები გადაეღოთ ფერადი მაუდის წამოსასხამებით. ეს გასართო-

ბი ფოტოსურათები მალე სხვა სიახლეებთან ერთად ყველა ვიტრინაში გამოაკრეს და მათ უამრავი ცნობისმოყვარე ათვალიერებდა.

იმპერიის საბჭოს მორიგ სხდომაზე დეპუტაციას ქანდარის პირველი რიგი დაუთმეს, სადაც ბარიერს დაყრდნობილმა ძვირფასმა სტუმრებმა თავიანთი სოკოსმსგავსი ქუდები გადმოფინეს.

მისმა უდიდებულესობამ საათ-ნახევრიანი სიტყვა წარმოსთქვა მათ პატივსაცემად, როგორც ჩეხმა დეპუტატებმა გამოთვალეს და ორმოცდათორმეტჯერ გაიხედა მათკენ საუბრის დროს, რომ დაენახა, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ამ დროს ერთს ჩაეძინა, ქუდი გადმოუვარდა და გააღვიძა დარბაზში მძინარე ერთ-ერთი დეპუტატი. ეს ამბავი ყველა გაზეთისთვის ანეგდოტის თემად იქცა, ბოლოს კი ილუსტრირებული სატირული ჟურნალების ფურცლები დაამშვენა. ბონდას ველის მცხოვრებთა წარგზავნილებს ათასგვარი სახუმარო გამონათქვამებიც მიაწერეს, რომელთა თქმა მათ, ბუნებრივია, აზრადაც არ მოსვლიათ. ისე კი, ყოველი სხდომის ბოლომდე ისხდნენ დარბაზში მოთმინებით.

სამაგიეროდ ყოველივე ამისათვის გავლენიანი პირების ინიციატივით მათ პატივსაცემად მოეწყო ნადიმი სასტუმრო „მუნშის“ დიდ დარბაზში, სადაც პეტერ საფრანს ადგილი დაუთმეს მაგიდის თავში ბატონი აბატის გვერდით. ასე, რომ ყველა იქ დამსწრეს საშუალება ჰქონდა კარგად დაენახა იგი.

მრავალრიცხოვანი აღფრთოვანებით წარმოთქმული სადღეგრძელოებიდან, რომლებსაც ჩინებული ორატორები, ფრიად განსწავლული ბატონები, იმპერიისა და საიდუმლო მრჩეველები წარმოსთქვამდნენ მისდამი, პეტერი მიხვდა, რომ იგი მიაჩნდათ ბონდას ველიდან ჩამოსულ დამწყებ დეპუტატად, იმედისმომცემ კოლეგად, მომავალ კანონმდებლად. მის ზურგს უკან ფრანგულად ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვებიდან კი შეიტყო, „ეს ის ჭაბუკია, მშვენიერი ეველინას საქმრო, საცოლე რომ მოსტაცა კაულმანმა“.

პეტერ საფრანმა ეს არ შეიმჩნია და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც პირში ნათქვამი სიტყვები ესმოდა და არც ზურგსუკან გაუთავებელი დამცინავი ჩურჩული, თავისთვის

გულში კი ფიქრობდა: „თუ იციან ამ ბატონებმა, რომ ოდესღაც ადამიანის ხორცის გემო გამისინჯავსო!“

ნადიმის დასასრულს მაღალი თანამდებობის პირებმა ეკადაკოცნეს ძვირფასი სტუმრები და მხოლოდ გვიან ღამით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მეორე დღეს დილით ყველას თავი უსკდებოდათ ტკივილით, ისინი ხომ ასეთ სმასა და დროსტარებას არ იყვნენ ჩვეული.

არა და ჯერ კიდევ ბევრი საზეიმო შეხვედრა და გასართობი სანახაობა ელოდათ. უნდა ხლებოდნენ მის უდიდებულესობას, იმპერატორს და მისდამი თავისი პატივისცემა ეამოეხატათ. მაუდის წამოსასხამიანი გლეხუჭების წინაშე წმინდა კარიც კი გაიღო.

მესამე დღეს საზეიმო სამხედრო პარადი აჩვენეს. რამდენი ზარბაზანი იყო! რამდენი ცხენოსანი! და შემართული თოფების მთელი ტყე!

აი დადგა კვირადღეც, როცა მათ ტაძრები დაათვალიერებინეს. მერედა, რა დიდებული და ბრწყინვალე ტაძრები! აქ ვერც კი გაბედავდნენ თავიანთი გლეხური ლოცვების წარმოთქმას, რომლებიც სოფელში ჰქონდათ ნასწავლი. მხოლოდ საორღანო მუსიკა და გალობა შეშვენოდა. რა მდიდარი იყო აქაური უფალი ღმერთი! გაახსენდათ, როგორი ღარიბი იყო მათი ღმერთი და შერცხვათ კიდეც.

ნაშუადღევს დიდი სახალხო სეირნობა გაიმართა. თვალი აუჭრელდათ ამდენი სანახაობის ხილვით. აქეთ მავთულზე ცეკვავდნენ, იქით ფოკუსებს უჩვენებდნენ, მოედნის შუაგულში სხვადასხვა მხეცებს ათამაშებდნენ, შემდეგ უამრავი ფერადი ბუშტი აუშვეს ჰაერში. ბატონი აბატი ლუდით უმასპინძლდებოდათ.

ქეიფსა და დროსტარებას ბოლო არ უჩანდა. დაათვალიერეს იმპერიის დედაქალაქის ღირშესანიშნაობები: სურათების გალერეა, იშვიათი ნივთების გამოფენა, იარაღის პალატა, ზარბაზნების ნიმუშები, ყველა საგანძური. ამით უნდოდათ უკეთ დაენახვებინათ გლეხუჭებისთვის, თუ რა ზღაპრული სიმდიდრე და ფუფუნება, ძალა, სახელი და დიდება უპირისპირდებოდა მათ სიღარიბეს, უსწავლელობას, უძლურებას და უმწეობას. მათ კი ერთი სული ჰქონდათ, როდის ჩავიდოდნენ

სოფელში და თავიანთ ოჯახებში შემოუსხდებოდნენ მაგიდას მოხარშული კარტოფილის საჭმელად.

ბოლო საღამოს თეატრში წაიყვანეს.

ოღონდ არა ბურგის თეატრში, რომელიც საიმპერატორო საოპერო თეატრად ითვლებოდა, არამედ ტროიმანის თეატრში. იქ სწორედ მათი მოსაწონი სპექტაკლი იყო იმ საღამოს, სიმღერები, ცეკვები და სახუმარო-გასართობი სცენები. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მთავარ როლს მშვენიერი ეველინა ასრულებდა, კაულმანის მეუღლე. თუ იცნობდა მას პეტი საფრანი?

ეველინა ოპერის თეატრში ჯერ ვერ იმღერებდა, იქ გასტროლებს მართავდა იტალიელ მსახიობთა დასი; მათი წასვლის შემდეგ, როგორც უკვე აღნიშნული იყო კონტრაქტში, ოპერაში გადავიდოდა, მანამდე კი სცენას და მაყურებელს სხვა რომელიმე სცენაზე უნდა შეჩვეოდა. ასე მოხვდა იგი ტროიმენის თეატრში.

მისმა ბუნებრივმა სილამაზემ და მშვენიერებამ სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე მოაჯადოვა მაყურებელი. მაშინვე აღიარეს, რომ ეს იყო უბადლო ნიჭის მსახიობი. მაღალი წრის ახალგაზრდობა ჭკვას კარგავდა მისი გულისთვის.

იმ საღამოს უნგრელი დეპუტატების პატივსაცემად ოფენბახის ერთ-ერთი ყველაზე თავაშვებული ოპერეტა იჩვენეს, რომელშიც მსახიობები თითქმის შიშვლები გამოდიოდნენ სცენაზე.

დარბაზი აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს.

გლეხუჭებს კი არაფრად ეპიტნავებოდათ ეს გაუთავებელი მანჭვა-გრეხა, ტლინკაობა, გამჭვირვალე ტანსაცმლიანი ნიმფების ცეკვა, მოკლე კაბიანები და ჟღარუნა მუსიკა.

გლეხის გოგოც კი აიწევს ხოლმე კალთას მუშაობისას, ან რეცხვისას მდინარეზე, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას და არც უყურებს. მათი დევიზიც ხომ ასეთია: „სცხვენოდეს მას, ვინც ამაზე ცუდი რამ გაივლოს გულში“.

გლეხუჭებს თვითონ სცხვენოდათ მსახიობების მაგივრად.

და აი შემოვიდა ეველინა! იგი ფერია იყო, მითოლოგიური ქალღმერთი, მზის სხივებით ოქროსფრად აელვარებული

გამშვირვალე ღრუბლის ქულებით გარშემორტყმული, რომელშიც მისი თითოეული ნაკვთი მოჩანდა.

პეტერს მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა.

ნუთუ შეიძლება ასე ეჩვენო ამდენ ხალხს?

მაღაროში ერთად რომ მუშაობდნენ, არაერთხელ დაუნახავს ეველინას ჩამოქანდაკებული ფეხები, აწეული კაბის კალთიდან რომ მოუჩანდა, მაგრამ მაშინ აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ვინმეს შეეძლო მისთვის სხვა თვალით შეეხედა.

ახლა კი უსწავლია კეკლუცობა, ღიმილი და ასობით ადამიანის წინაშე პრანჭვა-გრეხა.

პეტერს არ უნდოდა იმის გაგება, რომ ეს თეატრია და ფერიებიც შინ ჩვეულებრივი ერთგული, სათნო მეუღლეები და მორიდებული ქალიშვილები არიან, რომ ეს ყველაფერი ხელოვნებაა.

მაუდისწამოსასხამიანი ყოფილი საქმრო უდიდეს ზიზღსა და სინანულს გრძნობდა მისდამი.

ხუმრობით ხვევნა-კოცნა, სიყვარულის ახსნა, მოხიბვლა, არშიყობა!

ნუთუ თავისი სურვილით დათანხმდა ამ სამარცხვინო საქციელზე? ან იქნებ არც არის ეს სამარცხვინო, იქნებ სახელი და დიდებაა?

ალბათ სახელი და დიდებაა! ლოჟებიდან სეტყვასავით ცვივა თაიგულები მის ფეხებთან, ყვავილებშია ჩაფლული. ეს სახელი და დიდებაა!

აპლოდისმენტებს ბოლო არ უჩანდა, რაც დიდი პატივი იყო. მაგრამ არა ისეთი, როგორც წილად ხვდებათ ჩვეულებრივ მოკვდავთ, არც ისეთი, წმინდანებს რომ მიაგებენ ხოლმე, რაღაც განსხვავებული სახე იყო თაყვანისცემისა, ეს იყო თაყვანისცემა კერპისადმი. ქალს კი ყოველთვის უხარია კერპად ყოფნა.

ამგვარი ფიქრები ირეოდა პეტერ საფრანის გონებაში და ვერა და ვერ ამსუბუქებდა მის რისხვას ეველინასადმი. თავს მხოლოდ იმითღა ინუგეშებდა, რომ ვერც ერთმა მისმა თანასოფლელმა ვერ იცნო ოპერეტის პრიმადონაში ყოფილი ქვანახშირის მზიდავი გოგონა. სინანული და ზიზღი გამოჰყვა პეტერს თეატრიდან.

სპექტაკლის შემდეგ, სასტუმროში ბატონ აბატს ჰკითხა:

— როდის დავბრუნდებით შინ;

— მოგეწყინა, პეტერ?

— საშინლად!

— ცოტაც მოითმინე, ხვალ ვინახულებთ ერთ მშვენიერ მანდილოსანს და წავალთ.

— რაში ვჭირდებით?

— შენ სადაც გეტყვიან, წადიო, უნდა წახვიდე, ასეა საჭირო. წარმატების მისაღწევად ყველა საშუალება უნდა გამოიყენო. ჩვენთვის აუცილებელია იმ მანდილოსნის მფარველობა, მისი ერთი სიტყვა მისი უდიდებულესობისთვის იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენი თხოვნა:

— მაშ, წავიდეთ მასთან.

ორი თაყვანისმცემელი

მეორე დღეს, დილის 11 სააათზე, აბატმა შამუელმა კვლავ ჩასვა თავისი გლეხუშები დაქირავებულ კარეტაში და ეახლნენ გავლენიან მანდილოსანს, რომლის ერთ სიტყვასაც ყველაზე წარჩინებული ბატონებისთვის მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე მოძღვართა და ორატორთა მოხერხებულ მოხსენებებს.

კარეტა მდიდრული სასახლის წინ გაჩერდა. წითელ ქურქსა და დათვის ტყავისაგან შეკერილ მაღალ ქუდში გამოწყობილმა მეკარემ გაუღოთ კარი. მარმარილოს სვეტებით დამშვენებული შესასვლელის გავლით მივიდნენ თეთრი მარმარილოს კიბესთან, რომელზეც მაღალბეწვიანი ნოხი იყო გადაკრული. რა ბედნიერი იქნებოდა მათი სოფლის მასწავლებელი, ასეთი მატერია რომ მიეცათ საპალტოედ!

მთელ კიბეზე ისეთი მშვენიერი ქანდაკებები იდგა, შეიძლებოდა ხელზედაც გეკოცნათ.

მთელი ტალანი და უზარმაზარი შუშით გადახურული დარბაზი თბებოდა, რომ ირ გაყინულიყო შეუდარებელი სილამაზის ყვავილები და მცენარეები ძვირფასი ფაიფურის ქოთნებში. შესასვლელში სტუმრებს შეეგება ვერცხლის სირმებით დამშვენებულ ლივრეაში გამოწყობილი ლაქია და მისაღებ

ოთახში შეიყვანა. სუნთქვა შეეკრათ. კედლები მთლიანად ფაფარული იყო ძვირფასი, ყვავილებით ნაქარგი აბრეშუმით და ოქროს ჩარჩოებში ჩასმული საუცხოო სურათებით. ფანჯრების ზედა ნაწილში სხვადასხვა ფერის ვიტრაჟები მოეთავსებინათ მდიდრული ტაძრების მსგავსად. მოპირდაპირე მხარეს თეთრი მარმარილოს დიდ ბუხარზე საოცრად ლამაზი, იშვიათი მოძრავი ფიგურით დამშვენებული საათი იდგა. მთელი ავეჯი წითელი ხისა იყო. ჭერი ისეთი მშვენიერი, მოოქროვილი ფრესკებით მოეხატათ, თვალს ვერ მოაცილებდით, მაგრამ მთელი ამ სიმდიდრისა და ფუფუნების გვირგვინი მაინც უზარმაზარი ჭაღი იყო ასი მაშუქით და ათასი ბროლის საკიდით. როცა აანთებდნენ, თვალი მასზე უკეთესს ვერაფერს ნახავდა.

გაოგნებულმა სტუმრებმა ვერც კი მოასწრეს ამ სილამაზის ცქერით დატკბობა, რომ შემოვიდა საუცხოო შავ ფრაკსა და თეთრ ჰალსტუხში გამოწყობილი ბატონი და გამოაცხადა, ქალბატონი მეორე დარბაზში გელოდებათო.

აქ საერთოდ არ იყო კარებები, მის ნაცვლად ძვირფასი ფარდები ეკიდა, როგორც დიდ ტაძრებში და მეფეთა სასახლეებში.

მეორე დარბაზი უფრო ლამაზი ეჩვენათ. კედლებზე მუქი რუხი ფერის აბრეშუმი იყო გაკრული. იატაკიდან ჭერამდე უზარმაზარი სარკეები ფაიფურის ყვავილებით დამშვენებულ ჩარჩოებში ჩაესვათ. სარკეებს შორის მოჩუქურთმებულ კონსოლებზე თეთრი მარმარილოს მოცეკვავე ფერიები იდგა. იატაკზე გადაკრულ მაღალბეწვიან ხალიჩაში, ფეხი ისე ეფლობოდა, როგორც რბილ ხავსში. ავეჯი ვერსალის სასახლიდან გამოტანილი გეგონებოდათ. მაგიდებსა და სავარძლებს ფეხები ფაიფურისა ჰქონდა, სანიდაყვეები — ყვავილების გირლიანდების ფორმისა. აქ თითოეული ნივთი შედევრი იყო. შუა დარბაზში და გვერდით მაგიდებზე იაპონური ლარნაკები და სურები იდგა. ერთ ფანჯარაში შუშის აკვარიუმში ოქროს თევზები დაცურავდნენ უჩვეულო ზღვის მცენარეთა შორის. აქაურ სიმდიდრეს ღარიბი კაცის თვალი ერთი შეხედვით ვერც კი აღიქვამდა. სარკეებიან დარბაზში მოეჩვენათ, თითქოს მათკენ სამი მხრიდან სხვა მაუდისწამოსასხამიანთა ჯგუფები

მოდიოდა და თითოეულს წინ თავისი ბატონი აბატი მოუძღოდა ოქროს ჯვრით.

მაგრამ უცებ თავისდაუნებურად, ყველა მათ შესახვედრად შემოსულ მანდილოსანს მიაჩერდა, მის ზღაპრულ სილამაზეს თვალს ვერ აცილებდნენ. საოცრად შვენოდა ძვირფასი მაქმანებით დამშვენებული ლურჯი კაბა და მაღლა აწეული შავი თმა, დალალებად რომ ჩამოეშვა მხრებსა და კისერზე.

პეტერ საფრანმა მაშინვე იცნო ეველინა. ისევ იგი! აქაც იგი! როგორი მოწიწებით მიუახლოვდა მას ბატონი აბატი, როგორ მდაბლად დაუკრა თავი, რა სერიოზულად წარმოთქვა თავისი სიტყვა, როგორ სთხოვა მოწყალება მოეღო და მფარველობა არ მოეკლო ბონდას ველის მცხოვრებთათვის.

მანაც თავაზიანი ღიმილით აღუთქვა დახმარება და ბოლოს დასძინა, წარმოშობით მეც ბონდას ველიდან ვარო.

ამის გაგონებისას ყველა გაოცდა და იფიქრეს, ალბათ ბოწდავარის ჰერცოგთა შთამომავალიაო.

მხოლოდ პეტერ საფრანს გაეცინა გულში: მაინც ვინა ხარ შენ? გუშინ საღამოს გამჭირვალე კაბაში მღეროდი, ცეკვავდი და მშვენიერი სხეულის ნაკვთებს უჩვენებდი ხალხით გაჭედილ დარბაზს, ჭოგრისებით რომ მოგჩერებოდა, დღეს კი დეპუტაციას იღებ, ჩვენს გასაჭირს კითხულობ და მფარველობას პირდები სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელს. მართლა ისე იყო გუშინ, თუ თამაშობდი? აი ახლაც ხომ არ თამაშობ ჩვენს წინაშე?

გონებაარეულ პეტერს კუნძულ ფიჯის ველურები გაახსენდა რატომღაც პირდაღებული რომ შეჰყურებდნენ თეთრკანიანებს ხელთათმანის გახდისას და ეგონათ, რომ კანს იძრობდნენ.

ასეთი უმეცარივით იყო თვითონ საფრანი, მაგრამ ახლა ხელი კი არა, მთელი კანი იყო სალაპარაკო.

როგორც ჩანდა, ბატონი აბატი ფრიად კმაყოფილი იყო გიზიტით, ანიშნათ დარბაზი დაეტოვებინათ, თვითონ კი კიდევ ერთხელ მოწიწებით დაუკრა თავი ქალბატონს.

ქალბატონმა რაღაც წასჩურჩულა.

ბატონმა აბატმა ხელი მოჰკიდა პეტერს და ჩუმად უთხრა:

— პეტერ, შენ დარჩი! ქალბატონს სურს რაღაც გითხრას.

პეტერმა იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი საფეთქლებში და თავბრუდახვეული შეჩერდა კართან.

ყველა რომ წავიდა, ეველინა მიუახლოვდა. მას აღარ ეცვა ის საძულველი ხელთათმანები და ხელის ჩამორთმევისას პეტერმა იგრძნო, რა ფაფუკი და ნაზი კანი შეეხო, იცნო მისი მხიარული, წკრიალა ხმა.

— შენ რა, პეტერ არც კი გინდა მომესალმო? ისევ მიწყრები? მოდი შევრიგდეთ, ერთად ვისადილოთ და ჩვენი შერიგების სადღეგრძელო შევსვათ!

ამ სიტყვებით პეტერს ხელკავი გაუკეთა და ნაზი, თეთრი თითებით ლოყაზე მიეფერა. ახლა პეტერს ვერც კი წარმოედგინა, რომ ოდესღაც მისი კანი გაუხეშებული იყო მუშაობისგან.

როცა ეველინას თავის სალონში ვინმეს მიღება სურდა, აღთქმის თანახმად, ყოველთვის უთანხმდებოდა ჰერცოგ ტიბალდს. ჰერცოგიც მუდამ მამობრივ რჩევას აძლევდა.

ხომ არსებობენ ხელოვნების ნამდვილი თაყვანისმცემლები და პატიოსანი ჯენტლმენები. (ყოველ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობენ), რომელთა მიღებაც თავისუფლად შეუძლია მეუღლისაგან განცალკევებით მცხოვრებ ქალბატონს რეპუტაციის შეულახავად.

ჰერცოგს უყვარდა მისი გემოვნებით შერჩეულ საზოგადოებაში ყოფნა, აქ ისვენებდა დიდი სიამოვნებით.

იმ დღეს ეველინამ ორი მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ აცნობა: ერთი იყო პეტერ საფრანი.

მისი სახელის ხსენებაზე ჰერცოგს გაეღიმა.

— კარგით, მიიღეთ იგი! საწყალ ბიჭს გაუხარდება. იგი საშიში არ არის.

მეორე იყო მისი მაღალაღმატებულება. ეს კი ჰერცოგს აღარ ესიამოვნა.

— რა უნდა მას თქვენთან?

— როგორ, განა ის ქალებს ვერ იტანს?

— პირიქით. მისი მაღალაღმატებულება ქალების დიდი მოყვარულია, მაგრამ ამას ფარულად აკეთებს. ძლიერთ ამა ქვეყნისა, რომელთა ხელთ არის ხალხის ბედი, პატიობენ ასეთ შეცდომებს. მის უმაღლესობას მაინც არა აქვს უფლება, მოწ-

ვევის გარეშე მივიდეს სტუმრად მომხიბლავ მსახიობ ქალთან, ეს ხომ ჟოკეის კლუბი არ არის.

— იგი მე მოვიწვიე.

— თქვენ?

— უფრო სწორედ, ვკითხე, როდის შეეძლო ჩემი მიღება, მან კი მდივნის საშუალებით შემომითვალა, თვითონ მოვალო.

— კი მაგრამ, რა უნდა სთხოვოთ?

— ფელიქსს სურს...

— ახ, ბატონ კაულმანს? რა სურს მას?

— სურს, რომ მისმა მაღალღმატებულებამ ხელი მოაწეროს ამ დოკუმენტს, — ეველინამ დაკეცილი ქაღალდი გაუწოდა. ჰერცოგმა დახედა და განცვიფრებულმა თავი გაიქნია.

— თუ იცის მისმა მაღალღმატებულებამ, ამის თხოვნას რომ აპირებთ?

— საიდან უნდა იცოდეს! — გაიცინა ეველინამ, — მის მდივანს ვუთხარი, ოპერის თეატრში ჩემი გამოსვლის თაობაზე მსურს ვესაუბრო-მეთქი.

— და ასე მოქცევა გირჩიათ ბატონმა კაულმანმა?

— დიახ.

— ყველაფერი გასაგებია. ბატონი კაულმანი ნამდვილი გაიძვერაა. მაგრამ მაინც ისე მოიქეცით, როგორც გირჩიათ. იგი ცდება, ტყუილად ფიქრობს, რომ ასეთ დიდ მხეცს აბრეშუმის ბადეში შეიტყუებს. რა გენაღვლებათ, მიიღეთ ესეოდენ მაღალი სტუმარი... თქვენთვის საშიში არ არის მისი მაღალღმატებულების მიმხიბლაობა, ამ დოკუმენტის ბედი კი მაფიქრებს, აქედან კარგი არაფერი გამოვა.

მაშ ასე, ეველინამ თავისი მშვენიერი თეთრი ხელი მოკიდა პეტერ საფრანს და ვერცხლის ნივთებით გამოჭედილ ოთახში გაიყვანა, საიდანაც მეოთხე, ოსტატურად მოჩუქურთმებული ხის პანელებით დამშვენებულ დარბაზში გავიდნენ. ფარდები ფანჯრებზე ასეთივე ხისგან მოჩუქურთმებულ ამურებს ეჭირათ. მთელი ავეჯი ხეზე ჭრის ოსტატთა შეუდარებელი ხელოვნების ნიმუშად გამოდგებოდა, მაგრამ ორასი წლის საათი, რომლის კორპუსზეც ამომავალი მზე, მთვარე და ვარსკვლავები გამოესახათ, ნამდვილი საოცრება იყო.

ხის პანელებით მოპირკეთებულ კედლებს მეტისმეტად

შვენოდა ოვალური ფაიფურის ჩარჩოში ჩასმული სურათები, პეიზაჟები. სამი ფანჯრის მინებზე ასეთი პეიზაჟები იყო გამოსახული, მეოთხე კი ზამთრის ბაღში გადიოდა, საიდანაც აყვავებული კამელიები, გორტენზიები და იელები მოჩანდა. ჭერზე ჭაღის ნაცვლად ყვავილების ლარნაკი ეკიდა, ჭერისკენ აზიდული ხვიარა მცენარეები ისევ ქვემოთ ეშვებოდნენ და მწვანე ფოთლებსა და წითელ ყვავილებს აფრქვევდნენ როკოკოს სტილით გამოქანდაკებულ თეთრის ბოლოიან ადამიანთა ფიგურებს.

აქ ეველინამ პეტი საფრანი დიეანზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა. ისინი მარტონი იყვნენ.

— იცი, პეტერ! — დაიწყო ეველინამ, — ალბათ ღმერთმა ინება შენ რომ დაგშორდი. ჩემთვის ეს იოლი არ იყო, ტაძარში ხომ უკვე მესამედ გამოაცხადა მღვდელმა ჩვენს შესახებ. არ უნდა გეწყენინებია საცოდავი იანოშკასთვის. მეც მცემენუღარ გავიხსენებთ ამას. ცემის გამოც არ გამოვქცეულვარ, სხვა რამ უფრო მეწყინა. სახლში რომ არ დაბრუნდი, დიდხანს გეძებე ღამე ტყეში. ბოლოს იმ უკუნეთ სიბნელეში ტყის სიღრმეში აგებულ სამიკიტნოში დაგინახე ფანჯრიდან, მანცი ციფრასთან ცეკვავდი, აკოცე კიდეც. მაშინ გავბრაზდი შენზე.

პეტერმა იგრძნო, რომ დამნაშავე იყო და თავს ვერაფრით იმართლებდა. ხომ ვერ ეტყოდა, ის რაც კაცს ეპატიება, ქალს არა აქვს იმის უფლებაო. როცა კაცს ასეთ რამეს ეტყვის ცოლი, იმან იცის, რაც უნდა გააკეთოს პასუხად, ერთს მიბეგვავს კარგად და ამით დამთავრდება ყველაფერი. მაგრამ ასეთ ქალბატონს თმაში ხომ ვერ წვდები და ხომ ვერ უთავაზებ, ვიდრე უკან არ წაიღებს თავის სიტყვებს.

— ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა, — ღიმილით განაგრძო ეველინამ.

— ღმერთმა ასე ინება და სჯობს კიდევაც. ჩემთან გაწვალდებოდი, მე ხომ ჯიუტი და თავნება ვარ, თანაც ძალზე ეჭვიანი, ახლა კი შენს ნებაზე ცხოვრობ. მეც, როგორც ხედავ, ბედმა წყალობა არ დამაკლო. რამდენი სიკეთე შემიძლია მოვუტანო ადამიანებს! ჩემს სახლში ყოველდღიურად ოცამდე ღატაკს უმასპინძლდებიან. რამდენს დავხმარებივარ ცხოვრების უკეთ მოწყობაში, ჩემთვის ხომ ეს სულ იოლია, საკმარისია

ერთი სიტყვა დავაწიო დიდი თანამდებობის პირებთან. შემიძლია მთელი ჩვენი ბონდას ველი ავაყვავო. შემიძლია ისეთი საქმე გავაკეთო, რომ ათასობით ადამიანი მთელი სიცოცხლე ჩემზე ლოცულობდეს. რა არის ამაში ცუდი?

ეველინა პასუხს ელოდა. პეტი საფრანი თვითონაც ხვდებოდა ამას.

— და მთელი ეს სიმდიდრე ბონდავარის მაღაროში მუშაობით დააგროვე?

ეველიწას ლოყები შეუფაკლდა.

— არა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საკმაოდ ბევრს ვიღებ ჩემი ხელოვნებით. სცენაზე ყოველი გამოსვლისას ხუთას ფორინტს მიხდიან.

„ხუთას ფორინტს!" — გაიფიქრა თავისთვის პეტერმა, — ეს მართლაც კარგი ფულია. ახლა უკვე ბევრი რამ გასაგებია. ამ ფულით შეიძლება უფრო გრძელი კაბაც შეიკერო, მაგრამ რაკი ქალაქელებს ეს მოსწონთ, რა გაეწყობა. ბოლოს და ბოლოს თეატრში მუშაობა უფრო სარფიანია, ვიდრე მაღაროში. ამისთვის ფირს კაბის დამოკლება. ყოველგვარი მუშაობა ხომ საპატიოა!

პეტერ საფრანს თანდათან გული მოულბა.

— კარგი, გეყოფა, გაიცინე! — სთხოვა ეველინამ, — შინ მოუყევი ყველას, რომ მნახე. თუ ვინმეს რაიმე უჭირს, მომწერეთ და რითაც შემეძლება, დავეხმარები. შენ კი, გირჩევ ცოლი შეირთე, თუ ჯერ არ შეგირთავს. პანა კარგი გოგონაა, ლამაზი, კეთილი, მეგობრები ვიყავით; ან კიდევ ანიცა, იმასაც მოსწონდი, კარგ ცოლობას გაგიწევს. ოლონდ მანცის ნუ მოიყვან, ძალიან გთხოვ, იმასთან ბედნიერი ვერ იქნები. აი, ეს აჩუქე ჩემგან შენს მომავალ საცოლეს, საყურეები, ძეწკვი და გულსაბნევი, შენ კი ეს საათი გქონდეს სახსოვრად, სახურავზე ჩემი პორტრეტია. მომიგონეთ, როცა ბედნიერები იქნებით.

ამ სიტყვებით ეველინამ საჩუქრები ჯიბეში ჩაუდო, პეტერმა მის თვალებში ცრემლი შენიშნა და მიხვდა, რომ მიუხედავად ამ ზღაპრული ფუფუნებისა, იგი ბედნიერი არ იყო.

უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა და ყინულიც კი გაადნო მის გულში. არა, ეს არ იყო ძვირფასი საჩუქრების მიღებით გამოწვეული, ამის ტარებას ვერ ეღირსებოდა ვერც

ერთი საცოლე! სულ ერთი იყო, ოქროსი იქნებოდა ისინი თუ ტყვიისა, მათ ვერასოდეს ვერავინ ნახავდა! ხელუხლებელი დარჩებოდა სამუდამოდ.

პეტერს არ სჩვეოდა თავისი აზრების ხმამაღლა გამოთქმა.

შენ კეთილი გული გაქვს და არც სიმდიდრე გაკლია, მაგრამ თუ გსურს, მთელი სიცოცხლე შენთვის ვილოცო, არავითარი ოქრო არ მინდა, მაჩუქე ერთი კოცნა. რა არის შენთვის ერთი კოცნა? ერთი კოცნა იმ ათასიდან თუნდაც, სცენაზე რომ აჯილდოებ კომედიანტებს!

საბრალო სულელი! არც კი იცის, რომ კოცნა სცენაზე ყალბია, ისევე როგორც ქაღალდისგან გაკეთებული ტორტი, ვითომ რომ ჭამენ. ეს ყველაფერი ყალბია!

პეტერს ეგონა, ერთი კოცნა დაამშვიდებდა მის აბობოქრებულ გულსა და გონებას. არადა, ერთი სული ჰქონდა, სცემოდა ყველას და ნაფლეთებად ექცია ისინიც, ვინც ეპირფერებოდა და ისინიც ვინც ზურგსუკან დასცინოდა; ვინც თავს იწონებდა სიმდიდრით, გავლენით საზოგადოებაში, ვისაც ეძინა სხდომათა დარბაზში მოხსენების დროს, ვინც ლორნეტით უცქერდა ირგვლივ მყოფთ და მოძღვარიც კი, ვინც აქ ჩამოიყვანა. არც თავის თანასოფლელებს დაინდობდა, პირდაღებული რომ შეჰყურებდნენ ირგვლივ ყველაფერს. დიახ, სიამოვნებით დაგლეჯდა მათ ნაკუწ-ნაკუწ! აი, რა ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთო მის სულში უპასუხოდ დარჩენილმა ვნებამ.

და ამ სულიერ ტანჯვას განუქარვებდა ერთი კოცნა.

ჩვენ მარტონი ვართ, ოდესღაც ხომ გვიყვარდა ერთმანეთი, რა არის ასეთი შეუძლებელი? მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, როგორ ეთქვა.

— ერთად ვისადილოთ, პეტერ! — შესთავაზა ეველინამ, — ალბათ მოგბეზრდა აქაური საჭმელები. ახლავე მოგიმზადებ სადილს, შენს საყვარელ საჭმელს. გახსოვს, როგორ აქებდი ხოლმე? რამდენჯერ გითქვამს, რომ უგრეხელის შეჭამადს ჩემსავით ვერავინ ამზადებს.

პეტი საფრანს უნებლიეთ გაეღიმა. ამის მიზეზი ან საყვარელი კერძის ხსენება იყო, ან კიდევ ის, რომ თვით ბრწყინვალე ქალბატონი აპირებდა მისთვის სადილის მომზადებას.

მაგრამ როგორ მოხარშავდა შეჭამადს, აქ ხომ არც ცეცხლი იყო და არც ქვაბი?

— ეხლავე! — ბავშვური აღტაცებით წარმოსთქვა ეველინამ, — კაბას გამოვიცვლი მხოლოდ.

იგი მაშინვე მეორე ოთახში გავიდა და რამდენიმე წუთში თეთრი პენუარით და მაქმანებით გაწყობილი თავსაბურით გამოვიდა. (მსახიობებს ხომ უცებ შეუძლიათ გამოიცვალონ ტანსაცმელი).

მოსამსახურეებს არ დაუძახა, თვითონ გადააფარა სუფრა ძველებურ მუხის მაგიდას. დადგა ზედადგარზე ვერცხლის ქვაბი და ვერცხლის სპირტქურა აანთო. წყალი რომ ადუღდა, პენუარის სახელოები ნიდაყვებამდე აიკაპიწა, ხელით ჩაყარა უგრეხელის ფქვილი და ვერცხლის კოვზით შეუჩერებლივ ურევდა; სანამ არ შესქელდა. ბოლოს თიხის ჯამი შემოიტანა, ძვირფასი კერძი მასში გადმოიღო, ზემოდან გამდნარი არაჟანი მოასხა, ერთი ხის კოვზი პეტერს მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო და მიმართა:

— ერთი ჯამიდან ვჭამოთ!

პეტერმა უცებ იგრძნო, რომ რაღაც ცხელი დაეცა ხელზე. ეს მისი ცრემლი იყო!

რა გემრიელი იყო ეს უგრეხელის შეჭამადი!

ვენის საუკეთესო მზარეულებს თავებიც რომ დაეხოცათ, ასე გემრიელს ვერ მოამზადებდნენ.

მაგიდაზე არც ღვინო იყო, არც ბაკლები. გლეხები ჭამის დროს არ სვამენ.

ნასადილევს ეველინამ თიხის სურა შემოიტანა, ჯერ თვითონ მოსვა, პატივისცემის ნიშნად და შემდეგ პეტერს მიაწოდა.

— დალიე პეტერ, მოგეწონება!

ეს იყო თაფლიანი წყალი, მისი საყვარელი სასმელი. პეტერმა გადაწყვიტა ბოლომდე დაელია, უკანასკნელი წვეთიც კი.

ჯოჯოხეთის ცეცხლი, მის გულში რომ ტრიალებდა, ამ სასმელმა ჩააქრო თითქოს.

კეთილი, იყოს ნება შენი! — გაიფიქრა თავისთვის, — მივალ ეკლესიაში სადაც ის საშინელი აღთქმა მაქვს დადებული და უკანვე წამოვიღებ ჩემს სიტყვებს, ვილოცებ წმინდანების წი-

ნაშე. აღარავის ვაწყენინებ, არც სამაგიეროს მივუზღავ. დაე, იბიბინოს ველზე მწვანე ბალახმა! შენ კი, შეგიძლია იბრწყინო ოქროსა და აბრეშუმში, გაუღიმო დიდებულ ბატონებს; ნამცეცი წყენაც აღარ მაქვს შენდამი გულში. ამ ერთი დღის, ასეთი მიღების გულისთვის, მიპატიებია შენთვის ყველაფერი, ეს დამავიწყებინებს იმ დღეს, როცა მიმატოვე. გამოთხოვებისას კი მაჩუქე ერთი კოცნა, რომ მის მეტი აღარაფერი მახსოვდეს ამქვეყნად.

ეველინას სახე ბედნიერების ღიმილით ფაცისკროვნებოდა, სინაზისა და მშვენიერების განსახიერება იყო სწორედ ამ თეთრ სამოსში და ზღაპრულ ფერიასავით შეჰყურებდა პეტერს თავისი ულამაზესი, შავი ალმასებივით მოელვარე თვალებით. და მაინც ვერ შესძლო, ვერ გაბედა პეტერმა მთავარი: „აჩუქე ერთადერთი და უკანასკნელი კოცნა შენს მიტოვებულ საქმროს!“.

სწორედ ამ დროს, კარი გაიღო და თითქმის სირბილით შემოსულმა მსახურმა მოახსენა, მისი მაღალიმატებულება მობრძანდაო.

ახლა კი, მშვიდობით, პეტერ! სასწრაფოდ გასცილდი აქაურობას! ნუღარც კოცნის იმედი გექნება და ნუღარც უგრეხელის შეჭამადისა. ვერც კი გაგაცილებს ქალბატონი, მან ხომ სასწრაფოდ უნდა გამოიცვალოს ტანსაცმელი. მსახური საიდუმლო კარით გაგიყვანს, შემდეგ ლაქია გიჩვენებს გზას მეორე კიბისკენ და თვალის დახამხამებაში აღმოჩნდები სრულიად უცნობ ქუჩაზე. ხოლო ვიდრე სასტუმრომდე მიაღწევ, შეგიძლია იოცნებო, რას ეტყოდი მშვენიერ ქალბატონს, კიდევ ერთ საათს რომ დარჩენილიყავი მასთან მარტო.

ქუჩაში გამოსულმა პეტერ საფრანმა მუშტი მიირტყა შუბლში და კბილები გააკრაჭუნა. ჯოჯოხეთის ცეცხლი თითქოს ნიაღვრებად მოედინებოდა მის ძარღვებში.

„არ გავახარებ მწვანე ბალახს იმ მდელოზე!“

ვიდრე ამ ბაბილონში მოხვდებოდა, მის სულსა და გულში მხოლოდ ეჭვიანობა და შურისძიება მრისხანებდა, ახლა კი ამას დაემატა სიძულვილი, ზიზღი, შური, და პოლიტიკური ფანატიზმი. წარმოსადგენადაც კი საშინელია, რაა ეს ყოველივე ერთად!

რაზე ესაუბრებოდა მისი მაღალაღმატებულება მშვენიერ ქალბატონს ძნელი სათქმელია. ბუნებრივია, აქებდა მის ნიჭსა და მსახიობურ ტალანტს, აღუთქვამდა მფარველობას და რადგანაც არაფერი კეთდება ამქვეყნად უსასყიდლოდ, ხოლო ჰერცოგმა კი მისი მაღალაღმატებულება მოიხსენია ისეთად, რომლებიც ხშირად სცოდავენ, გასაგები იყო, იგულისხმებოდა მფარველობის საპასუხო ვანსი.

თავის მხრივ ეველინამ, როგორც ჭკვიანმა ქალმა, ჯერ გარანტიის მიღება მოისურვა და კოლოფიდან ჩვენთვის ნაცნობი ქაღალდი ამოიღო.

მისმა მაღალაღმატებულებამ იფიქრა, ეს ალბათ საოპერო კონტრაქტი იქნებაო, უდარდელად გაიღიმა და მიმართა:

შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ თქვენი ქაღალდი უკვე ხელმოწერილია, მაგრამ როგორც კი გაშალა და თვალი გადაავლო, შუბლი შეიჭმუხნა. აქ ლაპარაკი იყო არა საოპერო საქმეებზე, არამედ ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანაზე.

ამის წაკითხვაზე მის მაღალაღმატებულებას მშვენიერ ქალბატონთან კეკლუცობის სურვილი დაეკარგა. წარმოიდგინა, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუწევდა, ეს იყო იმპერიის საბჭოს ძლიერი ოპოზიცია და მასზე უფრო ძლიერი ზედა პალატა, სადაც ჰერცოგი ზონდერსჰაინი აღუდგებოდა წინ და ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა. ამასთან ერთად პოლიტიკური ვითარება, სიძნელეები ბირჟაზე, სახელმწიფოს ტერიტორიალური წინააღმდეგობები და სხვა ამგვარი ამბები, რომელთა გამოც შეუძლებელი იყო სახელმწიფო სუბსიდიების გაღება ბონდას ველზე რკინიგზის გასაყვანად.

ამის შემდეგ მისმა მაღალაღმატებულებამ სწრაფად რომ დაიხურა ქუდი და დატოვა მშვენიერი ქალბატონი, ცნობილი ამბავია.

ხოლო კიბეებზე ჩასვლისას რომ განაწყენებული რაღაც ამდაგვარს იტყოდა: „თუ მცოდნოდა, მსახიობი ქალის ნაცვლად ბანკირის ცოლი დამხვდებოდა, აქ რა მომიყვანდაო!“ — ეს უკვე ჩვენ თვითონ შეგვიძლია დავასკვნათ.

და ბოლოს, დაქირავებულ კარეტაში ჩაჯდომისას ისე მიიჯახუნა კარი, რომ მინა ჩაიმსხვრა.

ამ დროს ჰერცოგ ტიბალდის სასახლეში სამმართველოს საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა. თათბირობდნენ მესამე შესატანის დროზე. ეს მონაწილე მეპაიეთა ჯიბის ყველაზე სარისკო ქირურგიულ ოპერაციად ითვლებოდა.

ამ სიტუაციას საუცხოოდ მოერგებოდა რკინიგზა ბონდას ველზე.

კაულმანი დარწმუნებული იყო, რომ ერთი კვირის განმავლობაში საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ბონდას ველიდან ჩამოსულმა დეპუტატებმა ნამდვილი სენსაცია მოახდინეს.

გარდა ამისა კონსორციუმს ჰყავდა კიდევ ერთი გავლენიანი მფარველი, რომელსაც საჭირო პირებისაგან შეეძლო მიეღო თითქმის ყველაფერი, ასე გასინჯეთ რკინიგზაც კი.

თავმჯდომარის დახვეწილ არისტოკრატულ სახეს უბრალო მოძრაობითაც კი არ გაუცია, რომ მან იცოდა ამ მფარველის არსებობა.

კაულმანს ვერც კი წარმოედგინა, რომ ეველინა მოღალატის გულუბრყვილობით უყვებოდა ჰერცოგს, რომლის სასახლეშიც ცხოვრობდა, ყველას შესახებ ვისაც კი იღებდა სასახლის საიდუმლო შესასვლელით.

თუკი ცხოვრებაში ასეთ გულახდილობას შეხვდებით, იცოდეთ, რომ ეს უნიკალური შემთხვევაა. მაგრამ რაღა კაულმანი უნდა გადაყროდა ამას!

სხდომაზე კაულმანს წერილი შემოუტანეს. ფელიქსმა ეველინას ნაწერი იცნო. მაშინვე გახსნა კონვერტი, მაგრამ წერილმა ვერ გაახარა, შუბლშეკრულმა ციოად დასდო მაგიდაზე.

— რა მოხდა? — ჰკითხა ჰერცოგმა ტიბალდმა და უნებართვოდ აიღო ქაღალდი.

დოკუმენტი ხელმოუწერელი იყო.

განაწყენებულმა კაულმანმა ქაღალდს კალმისწვერი დაარჭო.

— ჩვენი რკინიგზის მშენებლობა ჩაიფუშა!

— „ქალი კი ისევ გადარჩა“, — გაიფიქრა თავისთვის ჰერ-

ცოგმა. შემდეგ დაიხარა, კაულმანს მხარზე ხელი დაადო და ჩასჩურჩულა: — „ჩემო კარგო, ასეთ საქმეს ლამაზი თვალების გულისთვის არავინ გააკეთებს!“

სხდომის მდივანი იყო შპიცჰაზე. მას არ გამოჰპარვია, რაც აქ მოხდა, რაღაც დაწერა ქაღალდის ნაგლეჯზე და კაულმანს გაუწოდა.

კაულმანმა წაიკითხა, მაშინვე დახია და მხრები აიჩეჩა.

— მე ეს სულელური რჩევის გარეშეც ვიცი.

ეამგეობის სხდომა უღიმღამოდ დამთავრდა.

ბონდას ველიდან ჩამოსულთა კომედია ორი ათასი ფორინტი დაჯდა, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო.

საჭირო იყო უკიდურესი ზომების მიღება.

ბატონმა ჩანტამ მტკიცედ გადაწყვიტა მესამე შესატანი არ გადაეხადა და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეყიდა თავისი აქციები. მაგრამ იმ დღეს შპიცჰაზეს წერილი მიიღო, რომლითაც იტყობინებოდა:

„ბატონო ჩემო! ხვალ თქვენთან ჩამოვა კაულმანი და აქციებში 45 პროცენტს შემოგთავაზებთ. არ აჩქარდეთ. საიდუმლოდ გაცნობებთ, რომ მთავრობაში უკვე ხელი მოაწერეს ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანის ნებართვას. ამას როცა შეიტყობენ, აქციების ფასი აიწევს კიდევ 20 პროცენტით“.

ბატონი ჩანტა შპიცჰაზეს ენდობოდა, როცა კი მისი რჩევა ყურად იღო, არასოდეს წაუგია.

როგორც კი გამოცხადდა მესამე შეტანის დღე, აქციების ფასები დაეცა. ჩასტასთან ჩავიდა საყვარელი ძმისშვილი კაულმანი და თითო აქციაში ორმოცდახუთი პროცენტი შესთავაზა.

ჩანტამ უარი უთხრა, ამჯობინა სარდაფიდან ვერცხლით სავსე უკანასკნელი კასრი ამოეტანა და ვენაში წაეღო. აქციებს კი, ცოცხალი თავით არავის დაუთმობდა.

გაუმართლა კიდეც.

ფულის გადახდიდან მესამე დღეს გაზეთში წაიკითხა ცნობა, თუ როგორი წარმატებით ჩაიარა ხმის მიცემამ იმპერიის საბჭოსა და ზედა პალატაში ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანისათვის.

მისმა მაღალმატებულებამ პირადად დაუჭირა მხარი ამ საქმეს და განაცხადა, რომ ბონდას ველზე რკინიგზის გაყვა-

ნისათვის სახელმწიფო სახსრების გაღება ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მოტივებითაც, ხალხის ეროვნული და ეკონომიკური ინტერესებითაც, სახელმწიფო მოსაზრებებითაც, ტერიტორიული უპირატესობითაც. მისი წყალობით ხმის მიცემა ორივე პალატაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე წარიმართა. ჰერცოგი ვალდემარი შეეცადა ოპოზიციაში ჩადგომას, მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა.

ბონდავარის კონსორციუმის ანგარიშების შემმოწმებელი კომისია ერთ-ერთი რევიზიის დროს ასეთ სტატიას წააწყდა: „საორგანიზაციო ხარჯები — 40 000 ფორინტი“.

— რა არის ეს? — აღმოხდა ყველას ერთხმად.

კაულმანმა რაღაც წასჩურჩულა თავმჯდომარეს, იმან თავის მეზობელს და ასე გააგრძელეს ბოლომდე. ბოლოს კი ყველამ ერთხმად მოიწონა.

რკინიგზის გაყვანის ნებართვამ ბონდავარის აქციებს ფასი აუწია სამოცდაათ პროცენტამდე. გახარებულმა ბატონმა ჩანტამ პუნში მიირთვა ამის აღსანიშნავად.

ცოტა მოგვიანებით ტრეიმანის თეატრში მისი მაღალაღმატებულება შეხვდა ეველინას და იფიქრა, რომ ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო შეეხსენებინა მისთვის გაწეულ დახმარების ამბავი.

— აბა, ძვირფასო, ხომ მოვიგე ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანის საქმე?

ჰერცოგინია ჰეროლშტეინის კოსტიუმში გამოწყობილმა ეველინამ რევერანსი გაუკეთა.

— მთელი სიცოცხლე დავალებული ვიქნები თქვენო მაღალაღმატებულებავ. დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით ორმოცი ათას კოცნას.

თითქოს არაფერი იყო აქ საწყენი, მაგრამ მისმა მაღალაღმატებულებამ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ორმოცი ათასის ხსენებაზე და ჰერცოგინია ჰეროლშტეინისაკენ აღარც გაუხედავს, რაც ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ ეველინას როგორც არ უნდა ემღერა, ოპერის თეატრს ვერ ეღირსებოდა.

რკინიგზა ბონდას ველზე.

დიახ, ბონდას ველზე იწყებენ რკინიგზის გაყვანას. დამარცხდა ჰერცოგი ვალდემარი და მთელი მისი პარტია.

ჟოკეის კლუბში მან საყვედურებით აავსო ჰერცოგი ტიბალდი.

— როგორც ვხედავ, ჩემს მტრებს ჩაუდექი სათავეში, ყოველნაირად ცდილობ დამამარცხო.

— შემოგთავაზე ფინანსური საქმეები მოგეწესრიგებინა. შენ კი ეს მოწინააღმდეგე კაულმანის ფირმას მიანდე.

— შვილიშვილის ხელი რომ გთხოვე, უარი არ გითქვამს, მაგრამ ყოველი ღონე იხმარე ვენიდან მის წასაყვანად. ახლა კი, როგორც შევიტყე, პეშტში რომელიღაც კაპიტანს დაუნიშნავს, გვარად შალიშტას; ერთი მზეთუნახავი მომეწონა და შენს სასახლეში გადამალე, ნება დართე ყველა მიეღო ჩემს გარდა; შენი საუკეთესო ბონდავარის მამული ხელში ჩაუგდე ავაზაკების კომპანიას, ძილშიც რომ ჩემს განადგურებაზე ოცნებობს, და თანაც ამ საზოგადოების თავმჯდომარე გახდი; ისე მოაწყე საქმე, სახელმწიფო სუბსიდიები გაღებულიყო შენი ქვანახშირის კომპანიისათვის რკინიგზის გასაყვანად, რომელიც ორ პროცენტ მოგებასაც ვერ ეღირსება; წარმოდგენაც არა გაქვს რა სიმაღლეზე ახვედი. მე ყოველთვის პატივს გცემდი და ძალიან მეცოდები. იცოდე, ფრთხილად იყავი, ერთხელაც ეს ადამიანების პირამიდა, რომლის მწვერვალზეც დგეხარ, იგემებს ჩემს დარტყმას და მისი დანგრევით ყველაზე მეტად შენ დაზარალდები!

ამ სიტყვებით იგი გაშორდა ჰერცოგს.

ჰერცოგმა ტიბალდმა კი ამ უამრავი უსიამოვნო ფრაზიდან ერთი აღიქვა მხოლოდ: რომ ანგელა მარკგრაფ შალიშტას გაჰყვა ცოლად და იმის ღირსადაც არ სცნო, ეცნობინებინა მისთვის.

დიახ, ბონდას ველზე რკინიგზა გაჰყავთ. ახლა საჭირო აღარ არის უმშვენიერესი ქალბატონის შავი ალმასებივით მოელვარე თვალები. უკვე შეიძლება მისი მიტოვება.

ერთ მშვენიერ დღეს ეველინა მის მეუღლეს ეწვია.

მისმა ვიზიტმა კაულმანი ძალზე გაახარა.

— ბატონო ჩემო რაღაც მინდა გკითხოთ. ეს რამდენიმე დღეა ჰერცოგი ტიბალდი საოცრად მოწყენილია. ხომ არ იცით ამის მიზეზი?

— რა თქმა უნდა, ვიცი! მისი შვილიშვილი, გრაფინია ანგელა ცოლად გაჰყვა მარკგრაფ შალიშტას, რომელიც სასამართლოში უჩივის ქონების ასე უაზროდ განიავებისათვის.

— ეს ალბათ, მეც მეხება.

— თქვენ მეტად გონებამახვილი ხართ, ეველინა!

— საჭიროა ბოლო მოეღოს ყოველივე ამას! დღესვე ვეტყვი ჰერცოგს, რომ ვტოვებ მის სასახლეს. მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს და სამუდამოდ მადლობელი ვიქნები. თქვენც არაფერი დაგიშურებიათ ჩემთვის, პირველ რიგში თქვენთვის უნდა გადამეხადა მადლობა. ორივემ მასწავლეთ, აღმზარდეთ და თუ ახლა რაიმეს წარმოვადგენ ამ უძვირფასესი სამკაულების გარეშეც, მხოლოდ თქვენი წყალობით. უკვე შემიძლია საკუთარი შრომით ვირჩინო თავი, გავხდე პროფესიონალი მსახიობი, ოღონდ ვენაში ცხოვრება აღარ მინდა.

— ეს-ეს იყო ამის თქმას ვაპირებდი, ეველინა, ასე აჯობებს, გადავიდეთ საცხოვრებლად პარიზში, მეც იქ დავიწყებ ახალ საქმეს. პარიზში დიდი წარმატება გელით, ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიქნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეველინა კარგად იცნობდა ფელიქსს, აღფრთოვანებული უსმენდა და თავის თავს გამოუტყდა, ბევრჯერ უსამართლოდ მოვქცევივარ ამ კეთილშობილ ადამიანსო. ხუმრობა ხომ არ იყო, მისი გულისთვის პარიზში გადაჰქონდა ფირმა!

სინამდვილეში კი კაულმანი ყოველივე ამას მხოლოდ ერთი მიზნის მისაღწევად აკეთებდა — ერთ მშვენიერ დღეს სურდა განეცხადებინა: „მადამ! ხვალიდან თქვენ ისევ მადმუაზელი იქნებით! საფრანგეთის კანონები მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას სცნობენ“.

შავმა ალმასებმა შეასრულა თავისი მისია, შეუძლია დაუბრუნდეს თავის ადგილსამყოფელს!

გარდა ამისა, კაულმანისთვის აუცილებელი იყო პარიზის რეზიდენციაში გადასვლა დიდი საეკლესიო სესხის გამოც, ვინაიდან ამ საქმეში ძირითადად საფრანგეთისა და ბელგიის ფინანსური წრეების იმედი ჰქონდა.

დიახ, ბონდას ველზე რკინიგზა გაჰყავთ და ამით სულ უფრო მტკიცდება აბატი შამუელის პოზიცია. ეს რკინიგზა მისთვისაც მწვერვალზე ასასვლელი გზაა.

კაულმანის ფირმასაც ამ რკინიგზამ მიანიჭა მსოფლიო მნიშვნელობა და საერთაშორისო კომპანიების რიცხვში ჩააყენა. ბირჟაზე ეს უკვე ჰერცოგის ტიტულს ნიშნავდა.

აბატი შამუელის სახელს თანდათან დიდების შარავანდედი მოსავდა. ხელისუფალნი მასში იმ სახალხო ტრიბუნს ხედავდნენ, რომელსაც საიმედო იარაღად გამოიყენებდნენ სამწყსო-საკვის ბელადთა ჩამოსაცილებლად და მორჩილებაში სამყოფად.

უბრალო მოკვდავნიც დიდ მფარველს ხედავდნენ მასში, თითქმის ყოვლისშემძლეს. ამის დასტური ისევ და ისევ ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანა იყო. ის თორმეტი დეპუტატი კი თავისთვის ფიქრობდა, რომ რკინიგზა მათ ჩამოიტანეს დედაქალაქიდან ტყაპუჭების სახელოებით.

უნგრეთის სამღვდელოება მას ამომავალ ვარსკვლავად თვლიდა.

რომი მადლობელი იყო მისი, წმინდა ტახტის დახმარებისთვის. მას რომ ეპისკოპოსის ტიტული მიეღო, ვენის არისტოკრატთა პალატის პირველი უნგრელი სასულიერო პირი გახდებოდა.

მინისტრს არ ესიამოვნება, როცა გაიგებს, რომ უნგრეთის საეკლესიო ქონების სეკულარიზაციის გეგმა არ შეესატყვისება საეკლესიო სესხის გეგმას. სამაგიეროდ, საფრანგეთისა და ბელგიის კათოლიკეთა ფინანსური სამყარო აღფრთოვანებული შეხვდება. ასევე შეხვდება რომის კურია და თავისი გადამრჩენის სახელს წმინდა ტახტის გამგებელი შეიტანს ოქროს მანტიის სამხრეზე.

უნგრეთში ამ ნაბიჯს ჩათვლიან საეკლესიო ქონების გადარჩენის ერთადერთ საშუალებად.

შემდეგ...

კარდინალი ხანდაზმულია, პაპი მასზე უფროსია.

ყველა ბორბალი თავის ადგილზეა, შეიძლება მანქანა დაიძრას ადგილიდან.

როგორც კი ყვავილების გირლიანდებით მორთული

ღრთქლმავალი პირველად შეჰკიელებს ბონდას ველზე, იბატ შამუელს შეეძლება თქვას.

„ეს გზა რომისკენ მიდის!“

დიახ, ბონდას ველზე რკინიგზა გაჰყავთ. ივან ბერენდს შეუძლია თავის საწარმო უკვე გაკოტრებულად ჩათვალოს. ამ რკინიგზის საშუალებით აქციონერული საზოგადოების პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გავა და თავისუფლად გაუწევს კონკურენციას არა მარტო ივანის პატარა საწარმოს, არამედ პრუსიის ქვანახშირს და ინგლისურ რკინას. ივანს ანგარიშს აღარავინ გაუწევს. გიგანტური საწარმო შვიდმილიონიანი ნაბიჯებით მიიწევს წინ.

და რამდენადაც მომგებიანია ეს რკინიგზა აქციონერთა მაღაროსთვის, იმდენად წამგებიანია ივანისთვის. რკინიგზა გაჰყავთ არა გაშლილ ველზე, რომელთანაც მისი მაღარო, მიუხედავად იმისა, რომ ასე ბევრად იაფი დაჯდებოდა. იმისათვის, რომ აქციონერთა მაღაროს გვერდით გაევლო, მთა

როდესაც გამოცხადდა კონკურსი რკინიგზის ლიანდაგისთვის რკინის შესყიდვაზე, ივანმა იფიქრა, ახლა ჩემი დროც დადგაო და გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა მოწინააღმდეგისთვის. აქციონერული საზოგადოება რკინის მიყიდვას ექვსი პროცენტით იმაზე იაფად აპირებდა, ვიდრე უჯდებოდა. ივანმა გადაწყვიტა, ათი პროცენტით იაფად მიეყიდა, ამით იგი 50 000 ფორინტს დაკარგავდა, მაგრამ როგორც ეგონა, მეზობლებს ასე უაზროდ ფასების დაკლების სურვილს დაუკარგავდა.

რა გულუბრყვილობაა!

ასეთები არიან მეცნიერები: მათ ჰგონიათ, წერილებს მხოლოდ იმიტომ ბეჭდავენ, რომ საიდუმლოდ შეინახონ რაც შიგ წერია. და იმედი აქვთ, როგორც კი ყველა კონვერტს გახსნიან წინადადებებით, მაშინვე მისცემენ იმას, ვინც უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებზე დათანხმდება.

წინასწარ განსაზღვრულია, ვის რას მისცემენ. და როცა წაიკითხავენ წინადადებებს, აღმოჩნდება, რომ ვიღაცას სურს უფრო იაფად მოგვცეს, ვიდრე მათი პროტეჟე იძლევა. იმას იქვე ეტყვიან: „აიღე საწერ-კალამი და ახლავე დაწერე სხვა წერილი, შესთავაზე კონკურენტზე ნახევარი პროცენტით იაფად“.

ეს ამბავი საყოველთაოდ ცნობილია, ეს არ იციან მხოლოდ ივანისთანა ადამიანებმა, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას ვარსკვლავებისა და ქვესკნელის კვლევას უთმობენ.

რკინაზე დაკვეთა მიიღო აქციონერთა საზოგადოებამ მეოთხედი პროცენტით იაფად, ვიდრე ივანი იძლეოდა.

მაგრამ ივანი ჯიუტად განაგრძობდა თავის საქმეს. ორჯერ ორი ხომ ოთხია და ვინც სცოდავს ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ, ადრე თუ გვიან წააგებსო. იგი განაგრძობდა ლიანდაგების ჩამოსხმას თავის ქარხანაში და გროვა-გროვა აწყობდა.

როცა იქნებოდა, მათ მყიდველი გამოუჩნდებოდა.

დიახ, ბონდას ველზე რკინიგზა გაჰყავთ.

ბატონი ჩანტა ყიდის თავის სახლებს ქალაქ იქსში, იყიდება ქუჩის ერთი მხარე. თანაც ყველასთან ლაპარაკობს, რომ გადასახლდება ვენაში და გამგეობის წევრი გახდება, კარგ ჯამაგირსაც დაუნიშნავენ.

მთელი ფული ბატონმა ჩანტამ ფასიან ქაღალდებად აქცია. არ არსებობს ახლა ისეთი სახლები, მაღაროები, სახნავი მიწები, საქონელი, რომელიც ამ ქაღალდებზე მეტ მოგებას მისცემდეს. და მათ არ სჭირდებათ არც თიეა, არც დაზღვევა ხანძრისგან გადასარჩენად. ამ ქაღალდებზე არც გადასახადია დაწესებული. პირიქით, სახელმწიფო თვითონ გიხდის ფულს, თუკი ფირმა გაკოტრდება.

აი ამიტომ იყიდება ქუჩა. ოღონდ მთელი უბედურება ის არის, რომ ქალაქ იქსში არავისა აქვს იმდენი ფული, მთელი ქუჩა იყიდოს.

დიახ, ბონდას ველზე რკინიგზა გაჰყავთ.

მთელ ხაზზე გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული. არის ერთი ფუსფუსი, ურმები მიდი-მოდიან დილიდან საღამომდე, თხრიან მიწას, ბურღავენ კლდეებს, აფეთქებენ მთებს.

ბონდავარის შახტის შავად შეფერილ შესასვლელთან გაუნძრევლად დგას კაცი და მუშაობას ამოწმებს. მისი მოღუშული სახის ყველა ნაკვთი მუშებისკენაა მიმართული.

ეს არის პეტერ საფრანი.

ხელში მას ქვანახშირის დიდი ნატეხი უჭირავს.

და როცა მოფუსფუსე ადამიანებით სავსე ველიდან მისი მზერა გაქვავებულ მცენარეს მიაჩერდება, მისი მოელვარე თვალები თითქოს ამბობენ:

„ნუთუ შენა ხარ მიზეზი მთელი ამ დიდების, ამ სიმდიდრის, მთელი ძალაუფლების! შენა ხარ საწყისი, მათი მაცოცხლებელი ძალა! შენ!“

და იგი განრისხებული მთელი ძალით სტყორცნის ქვანახშირის ნატეხს კედელს და ნამსხვრევებად აქცევს.

საწყალი, კეთილი ჰერცოგი

— თქვენ მწერდით, რომ ჩემთან საუბარი გსურდათ, — დაიწყო მშვენიერ ქალბატონთან შესვლისთანავე ჰერცოგმა ტიბალდმა. ეს იყო იმავე საღამოს, როცა ეველინა მეუღლეს შეხვდა.

— ვენიდან მივდივარ.

— ო, ეს მართლაც მოულოდნელია. სად მიემგზავრებით?

— ჩემი მეუღლე პარიზში ცდადის ხაცხოვრებლად და რა თქმა უნდა, მეც უნდა წავიდე.

ჰერცოგმა თვალი თვალში გაუყარა.

— ნუთუ მოგწყინდათ ჩემთან?

— ალბათ გამიჭირდება ამის უარყოფა, აქ მე თქვენი ტყვე ვარ. ვცხოვრობ ამ ოქროს გალიაში და წარმოდგენაც არა მაქვს ცხოვრებაზე.

— თუ ნანობთ იმას, რასაც შემპირდით, გათავისუფლებო, ოღონდ დარჩით.

— ჩემთვის ბევრი გააკეთეთ და დიდი მადლობელი ვარ ამისთვის. მე ვცხოვრობ თქვენს სასახლეში და იძულებული ვარ თქვენს ნება-სურვილს დავემორჩილო. აღარ მსურს დამოკიდებული ვიყო ვინმეზე, ვინც არ უნდა იყოს.

— მსახიობობა გინდა?

— თუნდაც მსახიობობა.

— პატივმოყვარეობისათვის?

— ო, არა! მაშინ უფრო უკეთ უნდა მესწავლა. მინდა თავისუფალი ვიყო ყველასაგან.

— ეს სახიფათოა ლამაზი ქალისთვის.

— მე უკვე გადავწყვიტე.

— იქნებ მხოლოდ მე გამირბიხართ?

— დიახ, დიახ, დიახ!

— რახან ასეა, რაც მალე გაგათავისფლებთ ამ უსიამოვნებისგან, მით უკეთესი იქნება, — თქვა ჰერცოგმა დანანებით, დაიხურა ქუდი და ძლივს შესამჩნევი ირონიული ღიმილით დასძინა: — მაპატიეთ ქალბატონო, რომ ზოგჯერ თავს გაწყენდით.

ეველინამ ზურგი შეაქცია მიმავალ ჰერცოგს.

მისაღებში ჰერცოგს გაახსენდა, რომ ეველინას ოთახში ტროსტი დარჩა. ეს ეველინას საახალწლო საჩუქარი იყო და არ უნდოდა აქ დაეტოვებინა. იგი ისევ ავიდა ზემოთ. კართან რომ მივიდა, განცვიფრებული ადგილზე გაქვავდა.

ეველინა ზურგით იდგა კარისკენ. ხელში ის ტროსტი ეჭირა, რომლისთვისაც ჰერცოგი დაბრუნდა, რამდენჯერმე გულში

ჩაიკრა და ატირდა. ჰერცოგი უხმაუროდ ჩავიდა, რომ ეველინას არ შეეწინშნა.

იგი ყველაფერს მიხვდა.

ეველინამ ეს ყველაფერი გაითამაშა, რომ მას იოლად გადაეტანა განშორება და დაეხმარა, ადვილად დაევიწყებინა იგი.

მაგრამ რაში დასჭირდა ეს ეველინას?

ეს ჰერცოგმა მეორე დღეს შეიტყო.

მსახურმა ეველინას სასახლის გასაღები მიუტანა. ჭალბატონი დილის პირველივე მატარებლით გაემგზავრა პარიზს.

ჰერცოგი მაშინვე სასახლისაკენ გაეშურა და შესვლისთანავე მიხვდა, რატომაც დატოვა ეველინამ. ყველაფერი, რაც კი ოდესმე ეჩუქებია ეველინასთვის, იქვე დახვდა: ძვირფასი სამკაულები, ვერცხლეული, მაქმანები. მას არაფერი არ წაეღო თან. ტროსტიც კი მაგიდაზე იდო. ჰერცოგმა შენიშნა, რომ სპილოს ძვლის კოლოფსა და ოქროს სახელურს შორის ჩაეტანებინა თმის ერთი ღერი, რომელიც ეველინას კოჭებამდე სწვდებოდა.

მაინც რა ძალა ჰქონდა თმის ამ ერთ ღერს!

ეველინა კაულმანზე ადრე ჩავიდა პარიზში. როგორც შეთანხმდნენ, ვიდრე კაულმანი ბინას მოაწყობდა, მას სასტუმროში უნდა ეცხოვრა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ბინა მზად იყო ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ რაიონში სევასტოპოლის ბულვარზე.

როგორც კი ეველინამ კარი შეაღო, გული სიხარულით აუძგერდა. მისაღები დარბაზი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც ვენაში, ისეთივე ალუბლისფერი ნოხებით, შემდეგი ოთახი რუხი აბრეშუმით გამოკრული კედლებით, შავი მარმარილოს ბუხრით და ბოლოს ისეთივე როკოკოს სტილის ჩუქურთმებით დამშვენებული კაბინეტი ფაიფურზე შესრულებული ოვალური სურათებით და ზამთრის ბაღში გამავალი ფანჯრით. იგივე ვერცხლეული, გარდერობი, სამკაულები კოლოფებში და ხელთათმანებიც კი, რომლებიც ვენის სასახლეში დარჩა მაგიდაზე.

„საწყალი მოხუცი ჰერცოგი“ — ამოიოხრა ეველინამ და თვალები ცრემლით აევსო.

ფელიქსს კი ეყო თავხედობა ეტაქტოდ ეკითხა ამ წუთებში:

— კმაყოფილი ხართ თქვენი ახალი ბუდით? ხომ კარგად მოვაწყე?

— საწყალი მოხუცი ჰერცოგი!

ამ სიტყვებს შემდეგაც არაერთხელ იმეორებდა ეველინა. დაწყებული კონტრაქტით, რომლითაც იგი პარიზის საუკეთესო საოპერო თეატრმა მიიწვია და დამთავრებული სცენაზე მის ფეხებთან დაყრილი ყვავილების თაიგულებით, ყველაფერი მოხუცი ჰერცოგის, ტიბალდის წყალობა იყო. მას არასოდეს უღალატია სიტყვებისთვის, რომლებითაც ერთხელ მიმართა ეველინას: „ჩემო შვილო“.

განკითხვის დღე!

შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს ივანი ფეხით ბრუნდებოდა ბრძმედიდან მაღაროში. ათასნაირი ფიქრი ირეოდა მის გონებაში.

საოცრად არის მოწყობილი ჩვენი სამყარო.

შრომის ნაყოფი ბრძენს არ ერგება წილად და გამარჯვება — ძლიერს. სოლომონ ბრძენის დროიდან მოყოლებული, არაფერი შეცვლილა. დრო მიდის და ერთი უღიმღამო წელიწადი მეორეს ცვლის.

ბუნებაც კი ადამიანის მტერი ხდება.

ადამიანები შიმშილობენ და ლუკმაპურის ძიებაში ატარებენ წუთისოფელს. თავისას რომ მიაღწევს, ხალხი ივიწყებს იმას, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა.

უსწავლელობა და უცოდინარობა ჩვენი ყველაზე დიდი მტერია.

მემამულეთა უზარმაზარი ავლა-დიდება ნადგურდება, მათი მფლობელნი კი ისე მიდიან ამ ქვეყნიდან, არაფერს სტოვებენ მოსაგონარს არც ქვეყნისთვის, არც ხალხისთვის, არც ისტორიისთვის. ჩვენი აწმყოსა და მომავლის წინაშე დამნაშავე მხოლოდ მცირერიცხოვანი ექსპლოატატორთა კლასია.

ვერც მაღალი და ვერც საშუალო წოდების ადამიანს შიწ

ვერ ნახავდით. მაუდისტყაპუჭიანი გლეხუჭებიც კი წისქვილთან თათბირობდნენ, ვინ გაეგზავნათ იმპერიის საბჭოში დეპუტატად.

პეტერ საფრანი, როგორც კი ვენიდან დაბრუნდა, ისე გაყოყოჩდა, ძველ ნაცნობებთან დალაპარაკებას აღარ კადრულობდა.

ქვეყანა აირია, ძალა გამოეცალა, ძნელად თუ შეხვდები ნამდვილ ვაჟკაცს! მაგრამ ქალებს?

აი ერთი მათგანი. ცოლად მიჰყვება არამზადას მხოლოდ იმიტომ, რომ ამით გული ატკინოს უბედურ ადამიანს, რომელიც მის დაცვას შეეცადა.

და მეორე?

ჰერცოგთა გულების მპყრობელი, მაღალი წრის არისტოკრატთა კერპი.

არც არისტოკრატსა და არც გლეხის ქალს სული არა აქვს.

არც მიწისქვეშეთშია სიმშვიდე. მაღაროში უკვე რამდენიმე დღეა გრეთანი შემოიჭრა და ისე სწრაფად მატყლობს, მუშაობა შეუძლებელია.

ჩამოექცეოდეს მაინც ყველაფერი თავზე, როცა მაღაროში იქნება!

მუშათა დასახლების განაპირა სახლიდან რომელშიც სამიკიტნო იყო, ივანმა ბარბაცით გამოსული მეშახტე დაინახა. ზურგიდან ვერ იცნო, რომელი იყო.

ნეტავ ვინ მოასწრო ასე დილაადრიან გამოთრობა? — გაიფიქრა და ნაბიჯს აუჩქარა, რო დაენახა თავისი მუშა იყო თუ არა.

ეს იყო პეტერ საფრანი.

ივანს კარგად ახსოვდა ეველინას გაპარვის დღეს როგორ დაიფიცა პეტერმა, რომ არაყს აღარასოდეს გაეკარებოდა.

პეტერი სიტყვის კაცი იყო. მაგრამ ივანს ისიც ახსოვდა, როგორ დაიქადნა: მხოლოდ ერთხელ დავლევო და ეს რაღაც საიდუმლო მუქარას დაუკავშირა.

დალიოს, მე რა მენაღვლება, ოღონდ რაღა მაინცდა მაინც აქ მოუნდა დალევა, აქციონერთა დასახლებაში განა ცოტაა სამიკიტნო?

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ალბათ აქ უფრო მოსწონს. და მუშას მიესალმა:

— დილა მშვიდობისა, პეტერ!

პეტერმა არ უპასუხა, ცივად მიაშტერდა სახეში ცოფიანი ძაღლივით, რომელსაც ადამიანისა აღარ ეშინია. ტუჩები მოეკუმა, ნესტოები დაებერა და ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა.

— გრეთანი თქვენს შახტშიც ხომ არ შემოიჭრა? — ჰკითხა ივანმა.

პეტერმა არაფერი უპასუხა, ქუდი გადაიწია შუბლზე, თვალებში ჩახედა ივანს, ისე მიუახლოვდა, რომ სახით მის სახეს ეხებოდა, პირი გააღო და უხმოდ ამოისუნთქა. შემდეგ ასევე უსიტყვოდ შემობრუნდა და აქციონერული საზოგადოების მაღაროსკენ გაემართა.

ივანს არ ესიამოვნა, რაღაც ამოუცნობმა შიშმა შეიპყრო. გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილას და წინ მიმავალს გაჰყურებდა. ოციოდე ნაბიჯი რომ გადადგა, პეტერი შემობრუნდა და ივანმა კვლავ დაინახა მისი მოღუშული სახე. პეტერმა კვლავ ავისმომასწავებლად დააღო პირი გაავებული ქოფაკივით და მოელვარე თეთრი კბილები და ფართე წითელი ღრძილები გამოაჩინა.

ამის შემხედვარე ივანმა ინსტინქტურად ჩაიყო ხელი ჯიბეში, რევოლვერს შეახო და წამით გაუელვა, „ახლა ეს რომ მოვკლა, ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებო“. იგი კარგა ხანი იყო, რევოლვერს ატარებდა, მეზობელი მაღაროს მუშები ემუქრებოდნენ, მარტო რომ განახოთ, ჭაში ჩაგაგდებთ, თუ ისე ვერ მოგერევითო. მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

მაგრამ ივანმა არ ესროლა, შემობრუნდა და თავისი მაღაროსკენ გაემართა ვენტილაციის შესამოწმებლად. მადნის გაზისა და ჰაერის ურთიერთშეფარდება სამი შვიდზე იყო და იმ დღეს მუშები მაღაროში არ ჩაუშვა. საჭირო იყო ჯერ სახიფათო აირი ამოეტუმბა. მაღაროში არავინ იყო იმათ გარდა, ვინც ტუმბოზე მუშაობდა. ივანი გვიან საღამომდე თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას. შემდეგ ყველა დაითხოვა და გამოაცხადა, რომ ღამის ცვლა არ იმუშავებდა. თვითონაც მალე წავიდა შინ.

წვიმა შეუჩერებლივ ცრიდა, სიცივე ძვალსა და რბილში

ატანდა. ყველას სული ეხუთებოდა. ადამიანი ყოველთვის განიცდის უამინდობას.

ივანი დილიდან გრძნობდა, დროდადრო როგორ უვლიდა ტანში უსიამოვნების მომასწავებელი ჟრუანტელი.

მარტო რომ დარჩა თავის უკაცრიელ ბინაში, გული შეეკუმშა. ადგილს ვეღარ პოულობდა.

რაზეც არ ფიქრობდა, მატერიალურ მდგომარეობაზე, სამშობლოზე, მეგობრებსა თუ ლამაზ ქალებზე, გულიდან კაეშანი ვერ გადაიყარა. მუშაობაშიც ვერ ჰპოვა შვება.

როცა ჭამა-სმა არ გიხარია, ძილი არ გეკარება, ვერ გათბობს ლამაზი ქალის ალერსი და არც სამუშაო ეკარება სულსა და გულს, ეს უკვე ავადმყოფობაა.

ივანი დაწვა და თვალები დახუჭა. მაინც პეტერ საფრანი დაუდგა თვალწინ, ცხადად ხედავდა სამიკიტნოდან ჩარბაცით მომავალს და ღვინის სუნსაც გრძნობდა. სწორედ ამან გაახსენა ოდესღაც პეტერის მიერ ნათქვამი სიტყვები: „მე ღღეის შემდეგ მთვრალს ვეღარავინ მნახავს, მხოლოდ ერთხელ დავლევ სიცოცხლეში... და იმ დღეს, როცა შემატყობთ, რომ დავლიე, ან სამიკიტნოდან გამოსულს დამინახავთ... იმ დღეს სახლიდან ნუ გამოხვალთ, იმიტომ, რომ მაშინ არავის ეცოდინება ვინ რითი მოკვდება“.

მაგრამ ივანს მაინც არ მიუნიჭებია ამ სიტყვებისთვის რაიმე მნიშვნელობა. რა ჩემი საქმეა თუ დალია, ის თავის სახლში დაიძინებს, მე ჩემთვის ვიქნებიო.

მაგრამ პეტერის აჩრდილი ვერა და ვერ მოიცილა. ისევ თვალწინ დაუდგა მისი დაფჩენილი ხახა და თითქოს ღვინის სუნიც იგრძნო.

ბოლოს როგორც იქნა, ჩაეძინა, მაგრამ უცებ საშინელი გრგვინვა გაისმა და სახლი მთლიანად შეაზანზარა. იანმა იატაკზე მოადინა ზღართანი. გონს რომ მოვიდა, მაშინვე ის გაიფიქრა, „ჩემი მაღარო ხომ არ აფეთქდაო“.

ეს დარტყმა უკვე ბოლოს მოუღებდა! იგი ანგარიშმიუცემლად გამოვარდა გარეთ. უკუნეთი სიბნელე იყო ირგვლივ, სამარისებური მყუდროება. აღარ იცოდა რა ექნა... რომ ეყვირა, ვინ გაიგონებდა? თუ გადარჩა ვინმე ცოცხალი ბონდას ველზე? ხომ არ დაიმარხა ყველა ცოცხლად? ან იქნებ გადარჩ-

ნენ, მაგრამ მასავით ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებენ შიშისაგან?

მაინც რა მოხდა? რა გრგვინვა იყო ეს, რომლისაგანაც ჯერ ისევ ზანზარებდა მიწა?

იმავე წამს ყველაფერი ნათელი გახდა ივანისთვის.

აქციონერთა ახალმშენებლობის მხრიდან უცებ თვალისმომჭრელი ალი ავარდა და პირველზე უფრო ძლიერი აფეთქების ხმა მოისმა. ყველა ფანჯრის მინა ჩაიმსხვრა, ჰაერის ძლიერმა ტალღამ ივანი კარს მიაჯახა.

ამ ჯოჯოხეთური ცეცხლის ალის შუქზე ივანმა დაინახა მისი მაღაროს წინ როგორ დაჩოქილიყვნენ მუშები, ყველა შეძრწუნებული იყო და არ იცოდნენ, რა ეღონათ.

ბონდას ველი ახლადმოფრქვეული ვულკანის კრატერს დამსგავსებოდა, გომორას, რომელიც ცეცხლის წვიმამ მკვდარ ზღვაში ჩაძირა.

უზარმაზარი ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა, თითქოს სურდა ღრუბლებისთვის ეჩვენებინა, როგორი იყო ნამდვილი ელვა, მაგრამ ჭექა-ქუხილი ამას ვერასოდეს გაიმეორებდა.

ორ-სამ წუთში ცეცხლი ჩაქრა, ბონდას ველი ისევ უკუნეთ სიბნელეში ჩაიძირა და მხოლოდ აქციონერული საზოგადოების შახტის თავზე დარჩა პატარა თეთრი ღრუბელი.

— მეზობელი მაღარო აფეთქდა! — ანგარიშმიუცემლად დაიღრიალა ივანმა, თითქოს ამ საზარელი გრუხუნისგან ისედაც ყველას არ ეღვიძა, ვინც კი ცოცხალი გადარჩა. — მივეშველოთ! იმის ფიქრის დროც აღარ იყო, რომ „უსამართლობაა ქვეყანაზე“, რომ „ყველა ადამიანი მისი მტერია“. მან იცოდა მხოლოდ, რომ მიწის ქვეშ მოხდა საშინელი, ენით გამოუთქმელი უბედურება და ახლა მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ვის მაღაროში ხდებოდა ეს.

— მივეშველოთ, ხალხო! — კიდევ ერთხელ იყვირა ივანმა, მივარდა ზარს და მთელი ძალით შემოკრა.

მალე მისმა მუშებმა მოირბინეს ყვირილით: „მეზობელი მაღარო აფეთქდა!“ — ისე ყვიროდნენ, თითქოს ვინმე იყო ისეთი, ეს რომ არ სცოდნოდა. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მეშახტეები ლამპებით ხელში გარს შემოეხვივნენ ივანს და უცდიდნენ, რას გადაწყვეტდა იგი.

— უნდა მივეშველოთ! — მიმართა ივანმა.

მუშებიც იგივეს ფიქრობდნენ. მიწის ქვეშ დამარხულებს (ვინ იცის ჯერ ისევ ცოცხლებს) უნდა მიშველებოდნენ მიწის ზევით დარჩენილნი. აქ უკვე ზედმეტი იყო მტრობაზე ლაპარაკი, აქ იყვნენ მხოლოდ ადამიანები.

სწრაფად მოიტანეთ საჰაერო ტუმბო და პირი აიკარით. წამოიღეთ ჩამოქცეულ ნანგრევში გზის გასაკვლევი ინსტრუმენტი, თოკები, კიბეები და რეზინის ჩექმები. ზემოთ მხოლოდ ქალები დარჩებიან. აბა, მომყევით!

ივანმა სამუშაო ტანსაცმელი გადაიცვა, აიღო წერაქვი და წინ გაიჭრა, რომ აქციონერთა საზოგადოების მაღაროსთან მისასვლელი გზა გაეწმინდა. ახალ პატრონებს საიმედოდ შემოეღობათ თავიანთი სამფლობელო, ჭიშკარზე მსხვილი ასოებით დაწერილი განცხადება გაეკრათ: „უნებართვოდ შესვლა სასტიკად აკრძალულია!“

მაგრამ სად იყო ახლა ნებართვის მოცემაზე ფიქრის დრო!

ივანმა გატეხა ჭიშკარი და კარი გააღო.

მუშებმა ცხენებს აღარ დაუცადეს, ათ-ათი კაცი შეება ფურგონში და სირბილით მიიტანეს ტუმბოები მაღაროს ჭებთან. აჩრდილებივით მიმორბოდნენ სიბნელეში. თითოეულს ლამპა ჰქონდა მიმაგრებული ქამარზე.

მალე იქაურობა სულ განათდა. ძლიერი ბიძგის გავლენით ჩამოინგრა პატარა მეტალურგიული ქარხნის კედელი აქციონერთა საზოგადოების შახტის გვერდით და გავარვარებული სადნობი ღუმელების ალმა წითელი შუქით გაანათა ირგვლივ ყველაფერი.

მუშები თავქუდმოგლეჯილი გაცვივდნენ აქეთ-იქით, რომ გამდნარი რკინის ნაკადს არ წაელეკათ. მაღაროსთან მოსულებს საშინელი სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ. მაღაროს მრგვალი საჰაერო მილები ცაში ავარდა აფეთქების შედეგად და ირგვლივ ათასი საჟენის რადიუსით იქაურობა აგურის ნამსხვრევებით მოიფინა.

მაღაროს ჩრდილოეთით მდებარე ჭა ჩამოინგრა, მისი მშვენიერი შესასვლელი ახლა მიტოვებულ ქვისსამტეხლოს დამსგავსებოდა. ნატეხები გროვა-გროვა ეყარა. ერთმანეთში არეულიყო ქვისა და რკინის ნამსხვრევები, ქვანახშირი, კოჭები,

ბალავრის ქვები. ასობით ქალისა და ბავშვის გულშემზარავი კივილისა და ტირილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. არავინ იცოდა, რამდენი დაქვრივდა და დაობლდა იმ დღეს. მათი ქმრები და მამები ცოცხლად იყვნენ დამარხული მათივე ფეხქვეშ და შველა არავის შეეძლო. რამდენიმემ სცადა მათი დახმარება, დამოუკიდებლად სურდათ შეეღწიათ ნანგრევებით ამოვსებულ ჩასასვლელში, მაგრამ ქვემოდან ამოხეთქილმა გაზმა სული შეუხუთათ და მოცელილებივით დაეცნენ. ახლა ისინი თავიანთ ამხანაგებს გამოყავდათ და ბალახზე აწვენდნენ.

როგორც კი ივანმა მოირბინა, განკარგულება გასცა:

— არავინ მიეკაროს მაღაროს უჩემოდ! ახლავე დავბრუნდები!

იგი სირბილით გაეშურა დირექციის შენობისკენ. აღარც გახსენებია, რომ რენეს არასოდეს არ უნდა დალაპარაკებოდა. მაგრამ რენე იქ არ დაუხვდა. იგი მეზობელ ქალაქში იყო მიწვეული ბანკეტზე, რომელიც სარკინიგზო კონცესიონერებმა მოაწყვეს დიდი გვირაბის გაყვანის აღსანიშნავად. ივანს მხოლოდ ინჟინრის თანაშემწე დახვდა ადგილზე, მეტად გულგრილი და ძალზე უდარდელი ადამიანი. იგი თავს იმით ინუგეშებდა, რომ უბედური შემთხვევა სხვა ქვეყნებშიც ხდება. ამგვარ კატასტროფებს საზღვარგარეთ უკვე დიდი ხანია ყურადღებასაც არავინ აქცევსო.

— თავიდან მოგვიწევს შახტისზედა ნაგებობების აშენება, უნდა გავწმინდოთ გასასვლელები წოლხვრელში, უკეთესი იქნება, გასასვლელი ახალ ადგილზე მოვაწყოთ, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდება. ეს არის და ეს.

— რამდენი კაცი მუშაობდა შახტში? — შეაწყვეტინა ივანმა.

— ამ ცვლაში ასორმოცდაათამდე.

— და როგორ ფიქრობთ, რა ელით მათ?

— ჰმ! ძალიან ძნელი იქნება მათი გადარჩენა, მით ხომ ახლა გაჰყავდათ გვირაბი ჩრდილოეთ წოლხვრელის აღმოსავლეთისასთან შესაერთებლად, ვენტილაციის გასაუმჯობესებლად.

— ესე იგი ჩრდილოეთ წოლხვრელში სხვა შესასვლელი არ არის იმის გარდა, რომელიც ჩამოინგრა.

— რომ იცოდეთ, აღმოსავლეთი წოლხვრელიც ჩამოინგრა! ეს იქიდან ამოვარდა ალი თქვენი მოსვლისას.

— ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო მეორე აფეთქება პირველი აფეთქებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ.

— ჩვეულებრივი ამბავია. პირველი აფეთქებით დაზიანებული ტიხარი წოლხვრელებს შორის იმდენად შეთხელდა, რომ მისი ჩამონგრევა თავისუფლად შეეძლო აფეთქებას ჩრდილოეთ წოლხვრელში. რა თქმა უნდა, არა ხანძრისგან (ის უკვე ჩამქრალი იყო), შემდეგ კი, ჰაერის ტალღის ძლიერი დარტყმით გაზი აფეთქდა აღმოსავლეთ წოლხვრელშიც. ჩამოხერგილ ქვანახშირის გროვაში რომ ვერ გააღწია, მაღაროს ყელიდან გაიჭრა. ასე ხდება, როცა თოფის ლულაში ქვიშა ჩაცვივა, საფანტი უფრო იოლად გახეთქავს თოფის ლულას, ვიდრე ქვიშას გამოყრის.

ინჟინერი ისე გულგრილად უხსნიდა ივანს ყოველივეს, თითქოს აქ მომხდარი ამბავი მას სრულიად არ ეხებოდა და მზად იყო, მაღაროსზედა ნაგებობების ახალი პროექტის დახაზვა დაეწყო.

— მაღაროში ჩამარხული მუშების გადასარჩენად პირველ რიგში საჭიროა გაზის ამოქაჩვა და შემდეგ ჩამონანგრევის გაწმენდა. სად არის ამოსატუმბი მოწყობილობა?

— იქ იყო, თუ არ დაიშალა.

— გადასატანი ტუმბოები არა გაქვთ?

— არასოდეს დაგვჭირებია.

— კარგით, ჩვენი გვაქვს მოტანილი, ახლავე ვცდით.

— საინტერესოა როგორ? თუ სპილენძის მილიანია, ვერ გაატარებთ ნანგრევებში, ხოლო თუ რეზინის შლანგი აქვს, გაიჭედება.

— ვინმემ უნდა შეიტანოს შიგნით.

— ვინმემ? — გაეცინა ინჟინერს. — ეს რამ გაფიქრებინათ? აგერ უკვე მესამე გამოიტანეს ცოცხალმკვდარი, ვინც გაბედა თავი შეეყო ნანგრევებში.

— ჯერ ისევ ცოცხლები არიან. ჩვენ მათ ვუშველით.

— არა მგონია, ვინმე მოძებნოთ ისეთი, ვინც დათანხმდება შლანგი შეიტანოს ნანგრევებში თუნდაც ორმოცდაათ ნაბიჯზე.

— მე თვითონ შევიტან!

ინჟინერმა მხრები აიჩეჩა, მაგრამ ივანის შეჩერება არც უცდია.

ივანი თავის მუშებთან დაბრუნდა და ყველაზე ხნიერი მეშახტე იხმო:

— პალ! ვინმემ უნდა შეიტანოს შლანგი ნანგრევში.

— კარგით, კენჭი ვყაროთ!

— არ არის საჭირო, მე შევიტან, თქვენ ოჯახები გაქვთ, ცოლ-შვილი გყავთ ყველას, მე კი მარტოხელა ვარ. რამდენ ხანს გაძლებს ადამიანი გაზით სავსე შახტში უჟანგბადოდ?

— ასი მაჯისცემის განმავლობაში.

— კარგი, მომეცით შლანგი, მომაბით ქამარზე თოკი და მოაწექით უკნიდან თუ მე აღარ გავწევ, ფრთხილად მოქაჩეთ თოკი, ოღონდ ფრთხილად, თორემ თუ წავიქეცი, ძლიერი მოქაჩვით თავს გამატეხინებთ.

ივანმა შეიხსნა ტილოს ქამარი, დაასველა ღვინის ძმრით სავსე კასრში, გაწურა და ცხვირ-პირი აიხვია. შემდეგ იღლიებში ამოიდო თოკის ყულფები, აიღო შლანგის ბოლო და შეავიდა ნანგრევებში.

მოხუცმა მუშამ მაინც კიდევ ერთხელ გააფრთხილა:

— ბატონო, წამები ითვალეთ! ორმოცდაათი წინ, ორმოცდაათი უკან.

როგორც კი ივანი თვალს მიეფარა, მუშებმა ქუდები მოიხადეს და გულზე ხელები დაიკრიფეს. მოხუცმა პალმა მაჯისცემის დათვლა დაიწყო, ორმოცდაათს გადაცილდა, მაგრამ ნასოსი ისევ ქვემოთ მიიწევდა. აი, სამოცი, სამოცდაათი, ივანი სულ უფრო ქვემოთ ჩადიოდა მომაკვდინებელი გაზით სავსე გვირაბში. მოხუც მეშახტეს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ველარასოდეს ვნახავთ ბერენდსო, გაიფიქრა და შლანგიც შეჩერდა. დაიწყეს თოკის მოქაჩვა. თოკი თავისუფლად მოჰყვე-

ბოდათ, ესე იგი ივანი მისით მოდიოდა უკან. უცებ თოკი გაიჭიმა. ფრთხილად მოქაჩეს. ისევ მოეშვა თოკი. მოხუცმა მეშახტემ ასსამოცდამეათე წამი დაითვალა და ივანიც გამოჩნდა. იგი ბარბაცით ცდილობდა გადმოებიჯებინა ნანგრევებზე, მაგრამ ვეღარ შეძლო, ძალა აღარ ეყო, ყველა ერთად მიცვივდნენ და ხელში აყვანილი გამოიყვანეს. სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო, როგორც სიკვდილთან შეჭიდებულს.

— არაფერია! — ძლივს ამოილაპარაკა ივანმა, როცა სუფთა ჰაერმა მოასულიერა და შუბლი ძმრიანი ტილოთი მოუწმინდეს — რომ იცოდეთ, რა საშინელი ჰაერია იქ! რას უძლებენ ცოცხლად დამარხულები!

ფიქრადაც აღარ მოსვლია საყვედური ეთქვა მათთვის: „უბედურნო, როგორ უსვინდისოდ მიმატოვეთ, ჩემი დაღუპვა გინდოდათ, დასცინოდით კიდევაც ჩემს ერთგულ მუშებს, ორი კაპიკის გულისთვის გამყიდეთ, წარმომადგენლები გაგზავნეთ მთავრობაში და სამშობლოს მტრებთან ერთადაც კი აპირებდით შეთქმულების მოწყობას. ახლა კი, თვითონ ხართ მშობლიური მიწის წიაღში დატყვევებულნი, რომელიც შურს იძიებს თქვენზე!“ ამის ნაცვლად მხოლოდ ამას იმეორებდა: „როროგორ იტანჯებიან ისინი მიწის ქვეშ! უნდა გადავარჩინოთ!“

როგორც კი საჰაერო ტუმბო ამუშავდა, მუშებს საშუალება მიეცათ ნანგრევები გაეწმინდათ. ივანმა თვითონ გაანაწილა მუშები, თითოეულს მხოლოდ ერთი საათი უნდა ემუშავა, ისიც სახეახვეულს. თუ ვინმე შეუძლოდ გახდებოდა, სასწრაფოდ გარეთ უნდა გამოეყვანათ.

გამთენიისას ჩამონგრეული შესასვლელი უკვე აღდგენილი იყო.

მაგრამ მზე მაინც ვერ აღწევდა შიგნით. აგურის თაღი ერთი მხრიდან სულ ჩამოინგრა, ივანმა ძლივს იპოვა ვიწრო ხვრელი, შლანგი რომ შეეტანა. იქ კი, სადაც მეორე ბოლო დატოვა, თაღი ორივე მხრიდან ჩამოქცეული იყო.

ეს იყო სამუშაო, რომელიც ადამიანის ძალას აღემატებოდა, და თანაც ერთი კვირისა მაინც, მაგრამ საჭირო იყო მისი რამდენიმე დღეში გაწმენდა. დიახ, რაც არ უნდა დაჯდომოდათ უნდა გაეწმინდათ!

ივანის მუშებს აქციონერთა საზოგადოება თითქმის არ ეხმარებოდა.

როგორც გამოირკვა, აფეთქება მოხდა ცვლის შეცვლისას, ვინაიდან მუშაობა მადნის გაზში უხდებოდათ, მეშახტეები დღეში ოთხჯერ იცვლებოდნენ. უბედური შემთხვევა შუაღამისას მოხდა, როცა მუშათა ნაწილი ის-ის იყო ჩავიდა ჭაში, ისინი უკვე იმქვეყნად არიან! მეორე ნაწილი ზემოთ ამოდიოდა, მათ დაღუპავდა აფეთქება და ჩამონანგრევი. მუშათა ნაწილი კი აუცილებლად მოხვდებოდა სანგრევში, სადაც ცეცხლი და ნანგრევი გადაუღობავდა გზას.

ისინი ახლა ცოცხლად იქნებოდნენ დამარხულები.

მიწის ზემოთ მხოლოდ ოცი-ოცდაათი მუშა თუ იქნებოდა დარჩენილი. თუჯსამსხმელი ქარხნის მუშებს მმართველმა აუკრძალა აქ მუშაობა. ყველა ბრძმედში მეტალი ისხმებოდა და თუ თვალყურს დროზე არ მიადევნებდნენ, „თხებს“ ვეღარ დათვლიდნენ.

(„თხებს“ ჩამომსხმელები რკინის მასას ეძახიან, რომელიც გაიჭედება ბრძმედში და შემდეგ როგორც უვარგის ნედლეულს, გადაყრიან).

ესეც არ იყოს საშური საქმე იყო, თუ ლიანდაგებს დროულად არ დაამზადებდნენ, საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მოუწევდათ.

ასე, რომ ივანი თავის მუშებთან ერთად მუშაობდა ცოცხლად დამარხულთა გადასარჩენად. მხოლოდ ქალები ეხმარებოდნენ მათი ქმრების გადამრჩენლებს.

ეს კი იოლი არ იყო. ჩამონგრეულ თაღს ყოველ ნახევარ საეენზე ბრჯენებით ამაგრებდნენ. როგორც კი შეანგრიეს, ახალი დაბრკოლება დახვდათ. მაღარო წყლით იყო სავსე. სასწრაფოდ ჩართეს წყლის ამოსაქაჩი ტუმბო. მომაკვდინებელი გაზის სუნში, მუხლამდე ჭუჭყიან წყალში მიტოპავდნენ ყოველ წუთს სასიკვდილო საფრთხის მოლოდინში.

ნასადილევს ბატონი რენეც გამოჩნდა. ამ საშინელმა ამბავმა ყველაზე სამხიარულო წუთებში მიაღწია მის ყურამდე. გაცოფებული მოვარდა მაღაროსთან და მიწაში ჩამარხულებს წყევლა დაუწყო: „არამზადებო! მილიონის ზარალი მიაყენეთ

კომპანიას! ნურც ერთი ნუ დამოსულხართ ცოცხალი! თქვენ რაღას აკეთებთ აქ, ვინ გთხოვათ მათი გადარჩენა! დაე, ჩაძაღლ-დნენ ეს უნამუსო ლოთები!“

მუშებს ხმა არ გაუცია მისთვის. ჯერ ერთი ამის დრო არ იყო, მეორეც, პირი ყველას ახვეული ჰქონდა.

ამასობაში ბატონი რენე პირისპირ შეეჯახა ერთ მუშას, რომელმაც გზა არ დაუთმო და მრისხანე თვალები ეაუშტერა. იგი ისევე იყო მოსვრილი ნახშირის მტვრით, როგორც ყველა. სახეც სხვებივით ახვეული ჰქონდა, მაგრამ ბატონმა რენემ მაინც იცნო იგი.

ვისაც ერთხელ მაინც ენახა ეს თვალები, ვერასოდეს დაივიწყებდა. ეს იყო ივანი.

რენემ მაშინვე შეწყვიტა თავისი მუშების ლანძღვა-გინება, მთავარ ინჟინერთან ერთად იქაურობას გაშორდა და ივანს დაუტოვა განკარგულების უფლება, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა, ისე მოქცეულიყო.

გამძვინვარებულ სტიქიასთან ბრძოლა ოთხ დღე-ღამეს გაგრძელდა. მამაცი ადამიანები არავითარ სიძნელეს არ ეპუებოდნენ, მიიწევდნენ სულ წინ, მიზნისაკენ. მთელი ამ ხნის მანძილზე ივანს არც საწოლში უძინია, არც მაგიდას მისჯდომია საჭმელად. სადაც მოხვდებოდა, იქ ჭამდა, ერთი-ორი საათით თუ ჩაიძინებდა იქვე, როცა უკვე მუხლები მოეკვეთებოდ.

მეოთხე დღეს მეშახტეებმა პირველი ადამიანი ნახეს. თუმცა, რა ადამიანზეა ლაპარაკი! ეს იყო კედელზე მიკრული მასა, ოდესღაც ადამიანის სხეული. რამდენიმე ნაბიჯზე ეგდო მეორე გვამი, რომლის თავი ვერსად იპოვეს. შემდეგ ნაფოტებად დამსხვრეულ ქვანახშირის საზიდარ ურიკას წააწყდნენ, რომელსაც შუაზე გაეხლიჩა ერთი გვამი. იქეთ კიდევ სრულიად დამწვარი გვამები ეყარა, რომელთა ამოცნობა შეუძლებელი იყო. იქვე ახლოს ჩამოქცეულ ასი ცენტნერი წონის ქვის ფილას 50 კაცი გაესრისა. მათთვის ხელი არ უხლიათ, უკვე ვეღარაფერს უშველიდნენ, ახლა მთავარი იყო ისინი გადაერჩინათ, ვინც შესაძლოა, ჯერ ისევ ცოცხალი იყო.

აქციონერთა საზოგადოების მეშახტეებმა ივანს უთხრეს, რომ ვინმეს ცოცხლად გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ ეა-

სახდელში, სადაც მუშები ტანსაცმელს იცვლიდნენ. მაგრამ წოლხვრელში ახლა ისე იყო ყველაფერი ერთმანეთში არეული, რომ დიდი ხნის გამოცდილი მეშახტეებიც კი ძლივს იკვლევდნენ გზას.

უცებ ივანს ქვანახშირის გროვიდან ოდნავ გასაგონი კვნესა შემოესმა. სასწრაფოდ გადათხარეს და გასახდელში გასასვლელ კარს მიადგნენ. ეტყობოდა, ჰაერის ტალღას მიეხურა იგი, გვერდით კედელი რომ ჩამოინგრა, ამით შიგნით მყოფნი, ნანგრევების ქვეშ მოყოლას გადარჩნენ. გასასვლელი ამოიქოლა, მაგრამ ცოცხლად კი დაიმარხნენ.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ, სულ უფრო მკაფიოდ ესმოდათ კვნესა, ოხვრა და ვედრება. როგორც კი კარი ჩამოგლიჯეს, ივანი პირველი შევარდა და ლამპა მიანათა იქ მყოფთ. იმის თავიც აღარავის ჰქონდა სიხარულის შეძახილით შეხვედროდა ივანს, და გარდაუვალი სიკვდილისაგან მხსნელისთვის მუხლები დაეკოცნა. მიწაზე იწვნენ გატანჯული, შიმშილის, წყურვილისა და მადნის გაზის სუნით გულშეწუხებული, სრულიად გამოფიტული, გონებადაკარგული ადამიანები და თუ ჯერ ისევ სუნთქავდნენ, ეს მათი უკანასკნელი შებრძოლება იყო სიკვდილთან, რომელიც თითქმის უკვე მათ სხეულებზე დააბიჯებდა. დიახ, ასზე მეტი ადამიანი, ჯერ ისევ ცოცხლებში ეწერა, მაგრამ არც ერთ მათგანს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. რამდენიმემ სცადა მხოლოდ დასუსტებული ხელები გაეწოდებინა მხსნელისთვის და თავი მოებრუნებინა სინათლის სხივისკენ, რომელმაც მათთვის სამარედქცეული სამყოფელი იმედის სხივით გაანათა. გულისგამგმირავი კვნესა აღმოხდა ყველას ერთად და ვინც მაშინ ეს გაიგონა, ალბათ მთელი სიცოცხლე ვერ შესძლებს დავიწყებას, სამუდამოდ ეშახსოვრება ეს საშინელება.

აფეთქებისთანავე ჰაერის ძლიერმა ტალღამ ლამპები ჩაუქროთ, ხელახლა ანთება უგუნურება იქნებოდა და არც უცდიათ. მას შემდეგ ასე იყვნენ უკუნეთ სიბნელეში. შემდეგ ახალი საფრთხე გამოუჩნდათ. მათ სამყოფელში, რომელიც ერთსა და იმავე დროს თავშესაფარიც იყო და სამარეც, წყალი შემოიჭრა, გასახდელი წოლხვრელზე ნახევარი საჟენით დაბალი იყო. განწირულებმა სიბნელეში ხელების ფათურით მოხსნეს

ბრჯენები, კედელზე გამოკრული ფიცრები და ამაღლებული შესადგომი მოაწყეს, სადაც ყველა ერთიმეორის გვერდით აცოცდა სიკვდილის მოლოდინში, რომლითაც მათ ემუქრებოდა შიმშილიც, მადნის გაზიც და წყალიც.

როგორც კი ივანმა და მისმა მუშებმა კარი ჩამოხსნეს, წყალმა უკვე მათ ადგილსამყოფელს მიაღწია. ივანის განკარგულებით ერთი მეორის მიყოლებით გამოჰყავდათ უბედურები, რომლებიც გაუნძრევლად იწვნენ და მორჩილად ელოდნენ მხსნელებს. სიკვდილის თვალებში ჩახედვამ მოლოდინს შეაჩვია ისინი. ზოგს თვალის გახელაც კი არ შეეძლო, მაგრამ ივანი დარწმუნდა, რომ ცოცხლები იყვნენ. ეს იყო მთავარი, ახლა ყველას გადაარჩენდნენ.

სამუშაო ამით არ დამთავრებულა.

იქნებ სხვაგანაც იყვნენ ადამიანები ჩამარხული? თანაც ისიც უნდა შეემოწმებინათ, ყველაფერი ისე მოხდა თუ არა, როგორც ინჟინერი ფიქრობდა. მისი აზრით, პირველმა აფეთქებამ ორ წოლხვრელს შორის კედელი ჩამოანგრია და თავისუფლად შეიძლებოდა გასვლა ერთიდან მეორეში. მაშინ ბევრად იოლი იქნებოდა აღმოსავლეთ წოლხვრელში მყოფთა გადარჩენა. ჩამონგრეულ კედელთან ადამიანის დამწვარი გვამი ეგდო, რომლის სახის ამოცნობა შეუძლებელი იყო. ხელში ღია ლამპა ეჭირა.

აი, ვინ ჩაიდინა ეს საშინელი ბოროტება.

მაინც როგორ შეეძლო ადამიანს ამის თუნდაც გაფიქრება!

ტანსაცმელი დამწვარი იყო, ოღონდ ტყავის ქამარზე მიმაგრებული ფოლადის კოლოფი გადარჩენილიყო. კოლოფში იპოვეს ოქროს საათი მინანქრის სახურავით, რომელზეც მშვენიერი ქალის პორტრეტი იყო.

ივანმა ეველინა იცნო.

სახურავქვეშ ასფორინტიანი ასიგნაცია იდო, რომელიც გავარვარებულ მეტალს გაეშავებინა, მაგრამ გადარჩენილიყო კი. ასიგნაციას მეორე მხარეს ეწერა: „მე მივიღე ეს ზუსტად ერთი წლის წინათ და დღეს პასუხს ვაგებინებ ყველას!“

მართლაც უსასტიკესი პასუხისგება იყო!

ახლალა მიხვდა ივანი, რას ნიშნავდა ამ საშიში პიროვნების იმდღევანდელი მუქარა, როდესაც მისი საცოლე მოიტა-

ცეს. გაახსენდა მისი უეცარი გადასვლაც ოქციონერული საზოგადოების მაღაროში, გაახსენდა მისი უკანასკნელი დათრობის დღე, ისიც, როგორ შემოაორთქლა სახეში ივანს არყისა და ღვინის სუნით გაჟღენთილი ამონასუნთქი, რომელიც დიდი უბედურების მომასწავებელი იყო.

ეს გახლდათ ახლად მოვლენილი ანტიქრისტე, ადამიანის სახით გამოცხადებული ქაჯი, რომელმაც თავისი საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაინდო, ოღონდ სამაგიერო მიეზღო იმათთვის, ვინც მას აწყენინა, გაქურდა, დასცინა, დაამცირა, გაასულელა, შეურაცხყო თავისი სიმდიდრისა და ძლიერების წყალობით და საბოლოოდ მშრალზე დატოვა.

როგორ დაიმსხვრეოდა ახლა მათი ოცნების კოშკი, რომელსაც საფუძველი გამოაცალა, როგორ დაეცემოდნენ მის საფლავზე ერთი-მეორის მიყოლებით; მოძღვარიც, ბანკირიც, ბირჟის მესვეურნიც, დიპლომატიც, მინისტრიც და ლამაზმანიც!

ჯოჯოხეთში იგი მართლაც მეტს ვეღარაფერს ისწავლიდა! გვამთან მდგომი ივანი წამით ფიქრებში ჩაიძირა, ქვესკნელში მყოფი ღრუბლებში ამაღლდა.

მასაც ხომ იგივე ბოღმა უტრიალებდა გულში!

ისიც ხომ გაქურდეს, გაძარცვეს, დასცინეს, დაჩრდილეს სიმდიდრით, გულში შხამიანი ისარი გაუყარეს სწორედ იმ ადამიანებმა, რომელთაც ასე უღმერთოდ მიუზღო სამაგიერო პეტერ საფრანმა!

ივანი კი თავისი მტრების გადარჩენას ლამობდა. ამასთან ერთად უნდა გადაერჩინა არა მხოლოდ ადამიანები, არამედ მათი სიმდიდრეც. აქ, მიწის ქვეშ ჩამარხული აურაცხელი სიმდიდრე ხომ არა მარტო მათი მტრებისა იყო, არამედ მთელი კაცობრიობისა, ეს იყო ქვეყნის საიდუმლო განძი, მრეწველობის საფუძველი.

ივანს ამ ადამიანთა გადარჩენის გარდა სხვა საზრუნავიც გაუჩნდა ახლა, მაგრამ ამის შესახებ კრინტი არავისთან დაუძრავს. მას რომ თუნდაც მიახლოებით ეთქვა თავისი მუშებისთვის, რა საშიშროების წინაშე იდგნენ, იმავე წუთში მიატოვებდნენ და ალბათ კისრისტეხით გაშორდებოდნენ აქაურობას.

ნათურის თავსახური წითელი ალით იყო სავსე, რაც ნიშ-

ხავდა, რომ წოლხვრელში ერთ მესამედამდე მაღაროს აირები იყო; ჰაერი მხოლოდ ორი მესამედი, დანარჩენი კი მომაკვდინებელი აირი.

მაღაროს აირისა მათ აღარ ეშინოდათ, უკვე შეჩვეული იყვნენ ამ საშინელებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ არსებობდა სხვაც, რომელიც ქურდულად წამოგეპარება და გაგგუდავს. ეს იყო მხუთავი აირი. მასთან შერკინებას კი ვერასოდეს ვერავინ გაბედავდა. მისი მოახლოება სიკვდილს უდრიდა!

როგორც კი გვირაბში გასასვლელამდე მიაღწიეს, ისეთი სურათი დაუხვდათ, ინჟინერი რომ ვარაუდობდა. კედლები ჩამონგრეული იყო და ნამტვრევებისგან უნდა გაეწმინდათ იქაურობა აღმოსავლეთ წოლხვრელში შესაღწევად. ვერც ერთმა მეშახტემ ვერ შეძლო აქ დიდხანს მუშაობა. რამდენიმე წუთში ყველა უკან გამორბოდა, მახველებს და ლამპა ქრებაო. ყველაზე ბოლოს დაბრუნებულმა მუშამ კი შეშინებულმა უთხრა ივანს, როგორც კი ქვანახშირის გორას შეეხე, შიგნიდან ისეთმა მყრალმა სუნმა შემიხუთა სუნთქვა, ვერ გავუძელიო. ეს იყო დამპალი მჟავე კომბოსტოს სუნი. ძველმა მეშახტეებმა იცოდნენ, რასაც ნიშნავდა მაღაროში დამპალი მჟავე კომბოსტოს სუნი. ივანმა გადაწყვიტა თვითონ შეემოწმებინა, რა ხდებოდა იქ. მოხუც პალს ციემა ოფლმა დაასხა და გააფრთხილა, არაფრის გულისთვის არ ესუნთქა თუნდაც ახვეული ცხვირპირით და რაც შეიძლებოდა მალე დაბრუნებულიყო.

ივანმა აიღო რკინის ლომი და ლამპა, ღრმად ჩაისუნთქა და როგორც კი მთელი ძალით დაჰკრა ლომი ქვანახშირის გროვას, რომელიც გრიალით მიმოიფანტა, გამოტეხილ ხვრელში ივანმა რკინის ლომზე მიმაგრებული ლამპა გაჰყო. ლამპა მაშინვე ჩაქრა.

ივანმა ხვრელში შეიხედა და შიშისაგან წაბარბაცდა, მეზობელი წოლხვრელის შუაგულში ყველაფერი გავარვარებული იყო და იქაურობა მეწამულისფრად განათებულიყო. ივანი ყველაფერს მიხვდა და კისრისტეხით გამოქანდა უკან.

— აღმოსავლეთი წოლხვრელი იწვის! — იყვირა სასოწარკვეთით და მუშებს ხელი რომ არ შეეშველებინათ, ალბათ, დაეცემოდა. მათაც სწრაფად ჩასჭიდეს ხელი და სირბილით

გასცილდნენ იქაურობას. უკან ფეხდაფეხ მოჰყვებოდათ მგრგვინავი გაზი, რომელიც ჩნდება მაღაროში ხანძრის შედეგად და არც ერთ სულიერ არსებას არ ძალუძს მასთან შერკინება, აქ უძლურია სიმამაცეც და ვაჟკაცობაც, თუ ვინმეს შეეხება მისი მსახვრალი ხელი, ვერავითარი ძალა ვეღარ დაუბრუნებს სიცოცხლეს. მისგან ხსნის ერთადერთი საშუალება არსებობს მხოლოდ, გაქცევით უნდა ეშველა თავისთვის.

რამდენიმე წამში წოლხვრელში ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

ზემოთ რომ ამოვიდნენ, სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოხსნილთა ახლობლების სიხარულის შეძახილებისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

ივანმა ახლაღა ჩამოიგლიჯა ცხვირ-პირზე ახვეული ტილოს ნაჭერი და მადლიერი ქალებისა და ბავშვების ბრბოში ინჟინერი მოძებნა.

— ახლა შემიძლია აგიწეროთ რა ხდება ქვემოთ. ეს სრული კატასტროფაა. აღმოსავლეთი წოლხვრელი იწვის! იწვის! ალბათ უკვე რამდენიმე დღე-ღამეა. იქაურობა მთლად გავარვარებულია. მაგრამ ეს, კარგად მოგეხსენებათ, არ მომხდარა არც ბოროტი განზრახვით და არც ღვთის რისხვით, ეს ზედამხედველების უყურადღებობის შედეგია. თქვენ, როგორც ფიზიკოსმა, უნდა იცოდეთ, რომ მაღაროში ხანძარი გაჩნდება, თუ დროულად არ გაიტანთ გოგირდის დიდი რაოდენობით შემცველ მასას. იგი ლპება და ჟანგბადთან შეხებისას თვითონვე აალდება. თქვენი წოლხვრელები სავსეა ასეთი მასალით. ახლა კი ღამე ნებისა, ბატონო ჩემო! ხანძარს ვერავინ ჩააქრობს მაღაროში. ალბათ გსმენიათ დუტვეილერის მთის ხანძრის შესახებ? ასოცი წლის წინათ აალდა იქ ქვანახშირი და ჯერაც იწვის. ასევე იქნება თქვენს მაღაროშიც.

ინჟინერმა მხრები აიჩეჩა მხოლოდ. მას ეს სულ არ ენაღვლებოდა.

ივანმა და მისმა მუშებმა შინისკენ გასწიეს.

ნეტავ რა ხდება ჩემს მაღაროში? — გაიფიქრა ივანმა, რომელსაც აქამდე ამ ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია თავისი მამული და ავლა-დიდება...

დიდებულიდან სასაცილომდე

ვისაც სურს ჩაწვდეს ამ ფრაზის დედააზრს: „დიდებულიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია“, — უნდა ითამაშოს ბირჟაზე. მხოლოდ იქ მიხვდება, რას ნიშნავს ეს. დღეს შეიძლება ხელმწიფესავით გამდიდრდე, ხვალ კი მათხოვრად იქცე.

დღეს ბირჟის აგენტი ყელის ჩახლეჩამდე გაჰყვირის თქვენს სადიდებელს, თქვენი წარმოების ინტერესებს იცავს მრავალ ბარიერთან, დღეს ყველა ხედავს, რომ ბედნიერების ღიმილი დაგთამაშებთ სახეზე და თვალებში შეგციცინებენ, თან ცდილობენ თქვენი გამომეტყველების ოდნავი ცვლილებაც კი არ გამოეპაროთ, ხომ არ არის ოდნავი ჩრდილიც კი თქვენს გაბრწყინებულ სახეზე.

დღეს ზუსტად პირველ საათზე, როცა ბირჟის ზარი აწკრიალდება, ხალხის უზარმაზარი ბრბო გამოეშურება შენსკენ და ბირჟის საზოგადოება ერთმანეთს შეეცილება შენი აქციების სასარგებლოდ სანაძლეოს დადებაში. დღეს ყველას ყურადღება მიპყრობილია ბირჟის დაფისკენ, რომელიც შენი აღზევების მოწმეა. დღეს ყველა შენი აქციების ყიდვაზე ოცნებობს და ხმამაღლა გაჰყვირის: „ვყიდულობ უმაღლესი კურსით!“ და ბირჟის მიღმაც კი, ვინაიდან კანონით აკრძალულია ქალების მონაწილეობა ამგვარ საქმეებში, ათასობით ფულის მოგებით გატაცებული მაღალი წრის მანდილოსანი კომისიონერების დახმარებით, რომლებიც მათ შენი აქციების კურსს ატყობინებენ, მონაწილეობენ საბირჟო თამაშში და კარეტების სარკმლებიდან უთვალთვალებენ დაფას თუ რამდენი მოიგეს. ეს ყველაფერი დღეს. მაგრამ ხვალ?

ხვალ შეიძლება მატლივით გაგსრისონ. საერთოდ ამოშალონ შენი სახელი უბის წიგნაკიდან და ისე დაგივიწყონ თითქოს აღარც არსებობდე. ბირჟის მიღმა მოთამაშე მანდილოსნებიც კი მაშინვე იგებენ რომ უკვე არარაობა ხარ.

კაულმანის ფირმა დიდების მწვერვალზე იყო და ტრიუმფით მიიწევდა კიდევ უფრო მაღლა. ბატონი ფელიქსი და მისი სულიერი მეგობარი აბატი შამუელი შუადღის შესვენებისას განცხრომაში მყოფნი უძვირფასესი სიგარის ბოლში გახვეულნი ოცნების ზღაპრულ კოშკებს აგებდნენ.

— ხვალ ბირჟაზე რომის პაპის სესხს უნგრეთის საეკლესიო მამულების მფლობელობაში გამოაცხადებენ, — თქვა ფელიქსმა.

— ხვალ ვენიდან ტრანსილვანიის ეპისკოპოსის წოდების მონიჭებას მაცნობებენ, — მიუგო აბატმა.

— მილიონებს დააბანდებენ ჩემს აქციებში!

— პაპმა დამლოცა და კარდინალის მანტია უკვე ჩემია!

— მაგნატებს არ სიამოვნებთ, რომ ჩემი ცოლი სცენაზე გამოდის.

— სულ იოლად შეგიძლია გასცილდე მას.

— იგი აღარ მჭირდება, ხვალვე ავუხსნი საქმის ნამდვილ ვითარებას.

— როგორც შევიტყვე, ჰერცოგი ვალდემარი პარიზში ჩამოსულა.

— ამბობენ, ერთი ლამაზი ქალის გულისთვის ჩამოვიდაო.

— იქნებ ჩვენი ფინანსური საქმეების ჩაშლა აქვს განზრახული?

— ეს მას ახლა არ ძალუძს. მისმა პარტიამ დიდი კრახი განიცადა ბონდავარის აქციონერული საზოგადოებისაგან ბონდას ველზე რკინიგზის გაყვანით.

— ესე იგი, გამოდის, რომ იგი ეველინას გულისთვის ჩამოსულა პარიზში.

— იგი ჭკუას კარგავს მისთვის. სადაც კი უმოგზაურია ეველინას, იგი კვალდაკვალ დაჰყვება, იმავე სასტუმროებში ჩერდება, სადაც ეველინა ცხოვრობდა და უამრავ ფულს ხარჯავს მარტო იმისთვის, რომ იმავე ნომრებში მოათავსონ, იმავე საწოლში დაიძინოს და იმ აბაზანაში იბანაოს.

— სულ გაგიჟებულა! ეველინას კი იგი სძულს.

— ეს ძალიან ცუდია მისთვის.

— ჰერცოგ ტიბალდს მალე აღარ შეეძლება მისი შენახვა.

— ისე მოვაწყვე საქმე, ერთ-ორ წელს თუ ეყოფა ფინანსები ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვამდე.

— თუ რა თქმა უნდა, ახლად გამომცხვარი სიძე არ გაუწევს მფარველობას.

— ჩვენ ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ ვენიდან გამომგზავრების წინ.

— ეს უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ბონდავარის საქმეებზე?

— არავითარ შემთხვევაში. აქციები გაცემული გვაქვს ბონდავარის მამულის შემოსავალზე, რომელიც ვალებისაგან თავისუფალია. ბონდავარის საწარმო საკმაოდ მყარ ფუნდამენტზე დგას, ნამდვილ ალმასზე.

ამ დროს ტელეგრაფიდან ორივე ბატონისთვის დეპეშები მოვიდა. კაულმანის მისამართზე ბატონი აბატის წერილებიც მოდიოდა ვენის კორესპონდენტისაგან.

კაულმანმ, აბატს პირველი დეპეშა წააკითხა, რომელშიც ეწერა: „ჰერცოგი ტიბალდი სასამართლო სარჩელის საფუძველზე აყვანილია თავდებობის ქვეშ“:

— საწყალი ეველინა! მისი საქმე ვერ არის კარგად! — ცინიკურად შენიშნა ფელიქსმა.

მოძღვარმაც წაიკითხა თავისი დეპეშა და სახე მოეღუშა:

— არც ჩემი საქმეა კარგად.

ფელიქსმა დეპეშა გამოართვა:

„ყველა მინისტრი გადადგა პენსიაში გასვლის გამო. იმპერატორმა თანხმობა მისცათ. კაბინეტი განახლდება“.

— მშვიდობით ეპისკოპოსის მიტრავ! მშვიდობით კარდინალის მანტიავ! მშვიდობით ხავერდის სავარძელო იმპერიის საბჭოში!

მესამე დეპეშა კი ორივემ ერთად წაიკითხა: მოკლედ იტყობინებოდნენ. „ბონდავარის მაღარო აფეთქდა. ხანძარი მძვინვარებს“.

ორივეს ელდა ეცა. გაფითრებულ ფელიქსს დეპეშა ხელიდან გაუვარდა.

მესამე დარტყმა ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა.

— ეს რომ ჰერცოგმა ვალდემარმა შეიტყოს, მისი პარტია მაშინვე გაგვაცამტვერებს. საჭიროა აღვკვეთოთ საფრთხე და რაც შეიძლება მალე. დრო უნდა მოვიგოთ თუნდაც სიეკლესიო სესხზე აქციების გაცემამდე, შემდეგ კი ბონდას ველის საწარმოს წარუმატებლობა ვეღარაფერს დაგვაკლებს.

— როგორ გინდა მოწინააღმდეგე გააჩუმო?

გადაწყვიტეს მოძღვარი იმავე დღეს მოლაპარაკებოდა ეველინას, კაულმანი კი ჰერცოგ ვალდემარს.

ო, როგორ მოეღრუბლათ გაცისკროვნებული სახეები!

ქალის ღიმილზე იყო ახლა დამოკიდებული მათი ღირსება და ბედნიერება.

ჯერ ისევ გავშვები

ეველინა პარიზში რომ ჩავიდა, იქ მეტად თავისებური მოდა მეფობდა. ეს ის წლები იყო, როცა იმპერატრიცა ევგენიამ კრინოლინი გაიხადა და ბრძანება გამოსცა, სასახლეში ყველა მანდილოსანს დახურული კაბით ევლო.

კრინოლინის მოდიდან გასვლა კალენდარში არ აღნიშნულა საზეიმო დღედ, მაგრამ ყველას კარგად გვახსოვს, რომ ამ მოვლენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ქალთა სამყაროში.

მოდაში შემოვიდა მუქი მატერიის კაბები, საყელომდე დახურული, ქვედა ბოლოები ვიწრო, ტანზე შემოტმასნილი. სამკაულებსაც მუქი ფერისას ატარებდნენ, მსხვილ ყალსაბამებს, გიშრის მძივებს შუაში ჯვრით. თითქმის ყველამ დაიწყო ეკლესიაში სიარული. ისმენდნენ წირვას, მანდილოსნები სწავლობდნენ ელეგანტურად პირჯვრის გადაწერას, კითხულობდნენ ლოცვანს, აგროვებდნენ შემოწირულებებს სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეებისათვის. სცენისა და სალონების ლამაზმანები აგროვებდნენ შემოწირულებებს არამარტო თავიანთი ნაცნობებისაგან, არამედ ეკლესიის შესასვლელშიც კი, მრევლისაგან.

ბატონი კაულმანის აზრით, ახლა იყო ყველაზე ხელსაყრელი მომენტი აბატი შამუელის დიდებული გეგმის განსახორციელებლად. თანაც ეველინას სულიერი განწყობილებაც საკვლევით ემთხვეოდა პარიზის მაღალი წრის საზოგადოებისას.

პარიზში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ეველინას მოუკვდა ხეიბარი ძმა. ერთმა განთქმულმა დასტაქარმა გაუკეთა ოპერაცია, რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო. ევე-

ლინამ ძალიან განიცადა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ავარავისთვის იყო საჭირო. ძმის ძველი ყავარჯნები თავის ბუდუარში ეწყო ტუალეტის მაგიდასთან, კვირაში ორჯერ კარეტით მიდიოდა სასაფლაოზე და ცოცხალი ყვავილების თაიგული მიჰქონდა.

იგი უფრო მეტი გრძნობით მღეროდა ტაძრებში მოცარტსა და ჰენდელს, ვიდრე ოპერაში ვერდის. უფრო მეტიც, ეველინამ გადაწყვიტა საქველმოქმედო კონცერტი მოეწყო თავის სალონში ძვირადღირებული მოსაწვევი ბარათებით და მთელი ეს შემოსავალი ღვთის სამსახურში დაეხარჯა.

სწორედ იმ დროს, როცა ეველინა პროგრამას ადგენდა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მისთვის ჩვეული ოხუნჯობით შემოვარდა დიდი ხნის ნაცნობი და მეგობარი არპადი.

ეველინამ კალამი დადო და სიცილით გადაეხვია:

— სადა ხართ, როგორ მომანატრეთ თავი!

— დავდივარ და სამუშაოს ვეძებ, კონცერტიც მინდა გავმართო.

— რა კარგ დროს მოხვედით! როგორ მომაგენით?

— სულ იოლად! თეატრალურ აფიშაში რომ არ მენახა თქვენი სახელი, წმინდა ევსტახის ტაძრის აფიშაზე მაინც ამოგიკითხავდით.

— უკვე მომისმინეთ?

— თეატრშიც და ტაძარშიც. და უნდა მოგახსენოთ, რომ ეკლესიაში შესვლა ბევრად უფრო ძვირი ღირს. ოპერაში თორმეტ ფრაწკად მოგისმენთ, ტაძრის კართან მდგომმა ჰერცოგინიამ კი ოც ფრანკზე ნაკლებად არ შემომიშვა. ოცი ფრანკი მიზიხართ.

— ოჰ, რა სულელი ხართ, არპად! როგორ მელაპარაკებით? კარგით, მე ოცი ფრანკი გიზივართ, მაგრამ თქვენ რამდენიღა დამიჯდებით?

— გააჩნია რისთვის!

— ერთი ამას დამიხედეთ! რა თქმა უნდა, არა ყავის დასაფქვავად! რას ითხოვდით ერთ საღამოს რომ ღიგეკრათ?

— თქვენთვის, თქვენი უმშვენიერესი ხელის ერთ შეხებას, სხვებისთვის ხუთას ფრანკს.

— თუ ეს საქველმოქმედო კონცერტი იქნება?

— მაშინ არც ფულის გულისთვის დავუკრავ, არც უფასოდ.

— ნუთუ შეგიძლიათ ასე ილაპარაკოთ? ნუთუ არ გაკეთებთ ამას ღარიბთათვის?

— მე ვიცნობ ერთ ღარიბ ქალს, რომლისგანაც მთელი ცხოვრება ვიქნები დავალებული: იგი ჩემი დედაა. თითოეულ კაპიკსაც კი, თუ სხვას მივცემ, თითქოს მას ვართმევ, მას, რომელსაც ყველაფერი წაართვეს უკანონოდ. ჯერ დაუბრუნონ დედაჩემს რაც წაართვეს და შემდეგ გავცემ სხვებზე რაც შემეძლება. მანამდე კი ყველაფერი დედაჩემს ეკუთვნის.

— ესე იგი დედიკოს ბიჭი ხართ! რახან ასეა თქვენ მიიღებთ ხუთას ფრანკს, ოღონდ რაღაც ამაღლებული, სასულიერო უნდა დაუკრათ: ლისტის მესსა ან ჰენდელის ორატორია.

— რა სთქვით? ზუაველი ვოლონტიერებისთვის ხომ არ მართავთ ამ კონცერტს?

— დიახ!

— მონაწილეობას არ მივიღებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე არ გამოვალ გარიბალდის წინააღმდეგ.

— ერთი ამას დამიხედეთ! არ გამოვა გარიბალდის წინააღმდეგ!

— არა და არა! — წაამოენთო არპადი, და თავისი პროტესტისთვის მეტი მნიშვნელობა რომ მიეცა, ჟილეტი შეიხსნა.

— ხედავთ ამას?

მას წითელი პერანგი ეცვა.

ეველინამ გადაიხარხარა.

— თქვენ რა, მართლა წითელპერანგიანი გახდით! იქნებ გარიბალდის არმიაშიც ჩაეწეროთ?

— დედა რომ არა, დიდი ხანია მათ რიგებში ვიქნებოდი.

— ხელში რომ დაგჭრან, რას იზამთ მერე, როგორ დაუკრავთ?

— შემიფარებს რომელიმე მაღალი წრის მანდილოსანი. მოიძებნება ალბათ ისეთი, ვინც ლუკმა-პურს არ დაიშურებს ჩემთვის.

უცებ ეველინას ტირილი აუვარდა.

ჯრჯანდი ვერა და ვერ მიუხვდა მიზეზს. აღარ იცოდა რა ექნა, მე ხომ არ გაწყენინეო ეკითხებოდა, ვიდრე ეველინა ცოტა არ დამშვიდდა და ტირილით არ უთხრა:

— საწყალი იანოშკა გარდაიცვალა. აი, იქ მაგიდასთან მისი პატარა ყავარჯნები აწყვია.

— როგორ მეწყინა! რამდენჯერ მითამაშია მასთან!

— თქვენ ხომ ნამდვილად გიყვარდათ? იმის შემდეგ ჩემთვის თითქოს ქვეყანა დაცარიელდა. ვეღარასოდეს გავიგონებ კიბეზე მისი ყავარჯნის ხმას. ცხოვრებამ აზრი დაკარგა ჩემთვის. მინდოდა მეცოცხლა ისეთი ადამიანისთვის, ვისაც უნემოდ არ შეუძლია, ვისაც მე ვჭირდები. ვოცნებობ მხატვარზე, რომელმაც მხედველობა დაკარგა, მუსიკოსზე, რომელსაც მარჯვენა ხელი დაუზიანდა, თავისუფლებისათვის მებრძოლზე, რომელსაც სდევნიან და გარეთ გამოსვლა არ შეუძლია, რომლისთვისაც ვიქნებოდი ყველაფერი, მხსნელიც და პატრონიც. წადით ბარიბალდისთან!

მან ისევ გაიცინა.

— უმჯობესია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. თქვენ ხომ მომისმინეთ? როგორი ვიყავი?

— თუკი შეძლებთ ავსულებთანაც ისევე იმღეროთ, როგორც ანგელოსებთან, მართლაც დიდებული მსახიობი იქნებით.

— ვინ მიგაჩნიათ ავსულებად?

— მამა ანსელმის ჭადაგებიდან ალბათ იცით, რომ თეატრი, ეს ავი სულების თავშესაყარია.

— ოჰ, რა გაუთლელი ხართ! განა არ იცით, რომ მე მსახიობი ვარ?

— ბოდიშს გიხდით! მეგონა დღისით იღუმენია იყავით, საღამოს მსახიობი.

— გეყოფათ, სულელო! განა მე იღუმენიას ვგავარ?

— აბა რატომ გაცვიათ ეს კაბა?

— თქვენ ურწმუნო ხართ!

— ო, არა, მაპატიეთ ქალბატონო! მე ისიც შემიძლია დავიჯერო, რასაც ლაპარაკობენ. ამბობენ, თითქოს პარიზელ ქალბატონებს იმიტომ აცვიათ დახურული კაბები, შუასაუკუნეე-

ბის ჩვეულებისამებრ მათრახს ირტყამენ ტანზე და არ უნდათ ვინმემ შენიშნოს ეს.

— სისულელეა, არ დაიჯეროთ! — განცვიფრდა ეველინა.

— დაჟინებით, ვერ დავიჟინებ, მაგრამ ასე ლაპარაკობენ. მაღალი წრის ქალბატონებს კი საიდუმლოს შენახვა ძალუძთ.

— არა, ეს ასე არ არის! აი, შეგიძლიათ დარწმუნდეთ!

იგი არპადისკენ დაიხარა და სრულიად გულუბრყვილოდ შეიხსნა ამოქარგული საყელო, რომ შიგნით ჩაეხედებინა.

არპადი გაწითლდა და თვალი მოაცილა.

საძრახისი კი ეს სულ არ იყო, ორივე ხომ ჯერ ისევ ბავშვები იყვნენ!

არპადი მაშინვე წამოდგა და ქუდი დაიხურა:

— აბა, თქვენ იცით, მოიზიდეთ თქვენი სიმღერით რაც შეიძლება მეტი ზუავი ბატონი მეროდასათვის, ჩვენ კი გარიბალდისთან ერთად აქეთ-იქით მიმოვფანტავთ ჩვენი მუსიკით!

ამ სიტყვებით თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა ეველინას და გაიქცა.

ეველინა საქველმოქმედო საღამოს პროგრამის შედგენას შეუდგა.

უგიწო

მიუხედავად იმისა, რომ მოძღვარის ვიზიტი მსახიობ ქალთან ექსტრავაგანტურად არ ითვლებოდა პარიზში, აბატმა შამუელმა მაინც ინახულა ეველინა. ბატონი აბატი ოჯახის ძველი მეგობარი იყო, ცოლსაც იცნობდა და ქმარსაც.

ეველინა სიხარულით შეეგება და საქველმოქმედო კონცერტის პროგრამა გააცნო, რომლის გამართვას საკუთარ სალონში აპირებდა.

ბატონი აბატი დიდად დაინტერესდა პროგრამით.

— აი, შეხედეთ, — დაიწყო განაწყენებულმა ეველინამ, — რა აუცილებელია აქ, ვოკალსა და ვიოლონჩელოს შორის საფორტეპიანო დივერტისმენტი, მაგრამ არპადმა უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე.

— როგორ, არპადი პარიზშია?

— რა თქმა უნდა, ეს-ეს არის გამექცა აქედან უარით! როგორ არ ვთხოვე, ვემუდარე, ფისჰარმონიაზეც სხვაზე უკეთ შეეძლო აკომპანიმენტი ჩემთვის, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. სულ გადარეულა, ერეტიკოსი გამხდარა.

მოძღვარმა ბევრი იცინა ,ამ ამბავზე, მაგრამ თან ამ სიცილში რაღაც მოიფიქრა: რა გატაცებით მიყვება ეს ქალი არპადზე. ეს ბიჭუნა თითქმის ოცი წლისაა, ეველინაც ასე ცხრამეტამდე იქნება. ბავშვებს ყოველთვის ახარებთ ახალი საჩუქარი და ეს მით უფრო აუცილებელია, თუ მათ რაიმე დიდი საქმე გინდა გააკეთებინო. იქნებ სწორედ არპადი მომეხმაროს ვალდემარის საქმეში?

— რას იტყოდით, მე რომ დავითანხმო არპადი თქვენს კონცერტში მონაწილეობის მიღებაზე, რით დამასაჩუქრებდით?

— ო, არა, ვერ დაითანხმებთ. იგი ისეთი ჯიუტია! თანაც მეც კი უარი მითხრა.

ეველინა ღრმად იყო დარწმუნებული თავისი მშვენიერი თვალების მაგიურ ძალაში.

— და თუ მე მაინც შევეცდები, რას მივიღებ სანაცვლოდ?

— როგორ ფიქრობთ მის დაყოლიებას? — ისევ გვერდი აუარა ეველინამ სანაცვლო ჯილდოს.

— შევთავაზებ დაუკრას იმპერატრიცას სასახლეში, რითაც გარანტირებული ექნება წარმატება მთელ სეზონში და მეფურ ჰონორარსაც მიიღებს.

— ეჰ, ეს მეც შევთავაზე, უარი თქვა 500 ფრანკზე.

— რა ვუყოთ, თუ ახალგაზრდა კაცი ვერ აცთუნა მომხიბლავი ქალის მიერ შეთავაზებულმა ხუთასმა ფრანკმა, იქნებ ხანდაზმულ მანდილოსანზე იმოქმედოს მოძღვარის მიერ გაგზავნილმა ასმა ოქრომ ნაპოლეონის გამოსახულებით. მოველაპარაკები არპადის დედას და როგორც ეს პატივცემული ქალბატონი ინებებს, იმას გააკეთებს ვაჟიშვილი. ასეთ ხერხს ბევრჯერ გაუმართლებია ჩემთვის.

— ო, რა გენიოსურად განსჭვრიტეთ ბატონო აბატო! ჩემი გონებით მე ვერ ჩავწვდი ამას. რა თქმა უნდა, დედამისის-

თვის უნდა მეთხოვა და არა ამ ლაწირაკისთვის. ესე იგი თქვენ ამას შეძლებთ! და თუ შეძლებთ, რას მოითხოვთ ამისათვის, მთხოვეთ რაც გნებავთ!

ქალბატონი ეველინა ისეთ კარგ გუნებაზე დადგა, რომ მოძღვარმა გაბედა ეთხოვა მხოლოდ ერთი მოსაწვევი ბარათი საქველმოქმედო კონცერტზე.

— ო, მთხოვეთ თუნდაც ათი! — სიხარული ვერ დაფარა ეველინამ.

— ოღონდ თქვენი ხელით უნდა ჩაწეროთ სახელი და გვარი.

— მითხარით, ვინ გნებავთ მოვიწვიო!

ეველინამ საწერი მაგიდის უჯრიდან მოსაწვევი ბარათი ამოიღო და საწერკალამი მოიმარჯვა.

— ვისი გვარი ჩავწერო?

— ჰერცოგ ვალდემარ ზონდერსჰაინის.

ამის გაგონებაზე ეველინამ კალამი მოისროლა და ზეწამოიჭრა.

— არა! ეს არ მოხდება!

მოძღვარმა გაიცინა.

— ო, რომ იცოდეთ, როგორ გშვენით მრისხანება! გთხოვთ, კიდევ რამდენიმე კალამი გატეხოთ.

— ჰერცოგ ზონდერსჰაინს მოსაწვევ ბარათს არ გავუგზავნი!

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ იგი არასასიამოვნო ადამიანია?

— აუტანელი!

— თქვენი გაგებით სამყარო მხოლოდ არპად ბელენისთანა ადამიანებისგან შედგება?

ეველინამ პროგრამა გადახია და კუთხეში მოისროლა:

— არ მჭირდება არც არპადი და არც ვინმე სხვა, იღარც ეს კონცერტი მინდა! სიტყვა აღარავინ გამაგონოს ამაზე!

მოძღვარი სავარძლიდან წამოდგა და განრისხებულ ეველინას მიუახლოვდა:

— დამშვიდდით, ქალბატონო, მე აქ მოვედი ფრიად სერიოზულ საქმეზე, რომელიც საჭიროა თქვენთვისაც, თქვენი მეუღლისთვისაც და არ დავფარავ, ჩემთვისაც. შეიძლება ითქვას ეს სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია სამივესთვის. გავბე-

დავ მოგახსენოთ, რომ თუ საქმე უკეღმა დატრიალდა, თქვენს მეუღლეს ამერიკაში გადაასახლებენ, მე მომიწევს ჩემს მონასტერში დაბრუნება, თქვენ კი — წარმოდგენა არა მაქვს სად.

ეველინა დაღონებული ჩამოჯდა დივანზე.

— დავიწყოთ თქვენით. როდესაც ჰერცოგი ტიბალდის სასახლე მიატოვეთ მაქსიმილიანის ქუჩაზე, მოხუცმა მილიონი ფორინტის აქციები შეიძინა თქვენს სახელზე.

— მე ეს არ ვიცოდი! — განცვიფრდა ეველინა.

— თქვენ არც იმით დაინტერესებულხართ, გეკითხათ ბატონი კაულმანისთვის, რა სახსრებით დაიქირავა ეს დიდებული სასახლე თავისი უამრავი მსახურით, ზამთრის ბაღით და ათასი სხვა „წვრილმანით“...

— მე მეგონა, ჩემი ჰონორარი და ბატონი კაულმანის...

მოძღვარს დამცინავმა ღიმილმა გადაუარა სახეზე.

— გუშინ დეპეშით გვაცნობეს, რომ ჰერცოგის სიძემ სასამართლოში შეიტანა განცხადება და მოითხოვა აპეკუნად დაუყენონ მას. თხოვნა დააკმაყოფილეს და ახლა ბუნებრივია, მის ხელში გადავა ბონდავარის თქვენს სახელზე ნაყიდი აქციებიც.

— გადავიდეს! — გულგრილად განაცხადა ეველინამ.

— ეს კიდევ არაფერი, უარესი უბედურება მოხდა, მეორე დეპეშით შეგვატყობინეს, რომ გასულ კვირას აფეთქდა ბონდავარის მაღარო.

— ბატონი ბერენდის მაღაროც? — წამოიკივლა ეველინამ.

მოძღვარი გააოცა მისმა ასეთმა შეშფოთებამ.

— არა, მისი მაღარო არა! სამაგიეროდ აქციონერთა საზოგადოების მაღარო ხულ განადგურდა. თანაც მაღაროში ხანძარია, რომლის ჩაქრობაც ძე-ხორციელს არ ძალუძს.

მოძღვარმა ეველინას სახეზე და ზეაპყრობილ თვალებში ამოიკითხა მხურვალე ვედრება: „გმადლობთ უფალო, რომ ბერენდი გადაარჩინე ამ უბედურებას!“

— უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგავართ, — განაგრძო აბატმა, — გაგონილი გექნებათ, რა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია კაულმანმა ფინანსურ სამყაროში, ბონდავარის ოპერაციის წყალობით. მაგრამ ახლა ეს მილიონები ჰაერშია გამოკიდებული. შესაძლოა ამ კატასტროფას ეშველოს კიდევაც,

ხანძარი ჩაქრეს მაღაროში, მაგრამ ეს ყოველივე ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგის ხელში როგორიც ჩვენია, საკმარისია კაულმანის დასაღუპავად, მის გასაკოტრებლად. ფინანსური მაგნატის ძლიერება ის მილიონები კი არ არის, სეიფში რომ უდევს, არამედ იმ მილიარდებშია, რომლებიც სხვისი ჯიბიდან შეუძლია მიიღოს. აქციების მოულოდნელ ფასის დაცემას ერთი ხელის მოსმით შეუძლია გაანადგუროს ის, რაც სეიფშია, თუ რა თქმა უნდა, იგი არ გაიქცევა და თან არ გაიტაცებს, რისი წაღებაც შეუძლია. კაულმანი ახლა სწორედ ასეთ მდგომარეობაშია. დღეს კიდევ ყველა მზად არის მილიონები დააბანდოს მის აქციებში, მაგრამ ხვალ, საკმარისი იქნება ერთი სიტყვის თქმა, რომ ყველამ უკან მოითხოვოს თავისი შესატანი. ამ ერთი სიტყვის თქმა ან ეჭვიანობა დამოკიდებულია მხოლოდ ერთ ადამიანზე.

ეს არის ჰერცოგი ვალდემარ ზონდერსჰაინი. იგი ახლა პარიზშია, დღეს ჩამოვიდა. ადვილი შესაძლებელია, თავისი საიდუმლო აგენტების საშუალებით ბონდავარის კატასტროფის ამბავი კაულმანზე ადრეც შეიტყო. ასე რომ, კაულმანის ბედი ჰერცოგ ზონდერსჰაინის ხელშია და არა მარტო მისი, ჩემიც. კაულმანი ხვალ პარიზისა და ბრიუსელის ბირჟაზე გამოაცხადებს საეკლესიო სესხის მონაწილეობას, რასაც შეუძლია საქმის სრულიად შემობრუნება. თუ ჰერცოგი ვალდემარი ისარგებლებს ბონდავარის კატასტროფით, გამოვა ბირჟაზე და დაიძახებს: „ვყიდი კაულმანის აქციებს სამოც პროცენტზე ქვევით“ — დავიღუპებით! თუ ხმას არ ამოიღებს, ჩვენი ბრწყინვალედ დამუშავებული გეგმა წარმატებით დამთავრდება და მასთან შედარებით ბონდავარის ამბავი ისეთი უმნიშვნელო იქნება, მსოფლიო საბირჟო ბაზარზე ყურადღებასაც არავინ მიაქცევს. ახლა ხომ გესმით, რა აუცილებელია თქვენი ერთი სიტყვა, რომელიც ჰერცოგ ვალდემართან უნდა დაგვაწიოთ!

ეველინამ უხმოდ გააქნია თავი.

— როგორ? უარს ამბობთ? — განრისხება დაეტყო აბატს, — ნუთუ არ გესმით, რომ ამ უმაღლესი მიზნის მისაღწევად საჭიროა თქვენი ერთი სიტყვა. ნუთუ დაუშვებთ, რომ სხვას დარჩეს წმინდა ტახტი, ნებას მისცემთ ურწმუნოებს ვატიკანზე ჯვრის ნაცვლად წითელი დროშა აღმართონ!

ეველინამ ხელები აღმართა, თითქოს ბოროტ გოლიათთან საბრძოლველად და განწირულმა წამოიძახა:

— არ შემიძლია ამ კაცთან ლაპარაკი!

შამუელი ბოლოს დაიღალა ქალის ჭირვეულობით და გადაწყვიტა, რაკი ვეღარ დაიყოლია, მწარე სიტყვა მაინც ეთქვა მისთვის განშორებისას, ცივი, დამცინავი ღიმილით მიაჩერდა და ცინიკურად მიმართა:

— ვერა და ვერ ჩავწვდი თქვენი ანტიპათიის მიზეზს. რითია ჰერცოგი ზონდერსჰაინი იმ ბატონებზე უარესი, ვისთანაც აქამდე დროს ატარებდით?

ეველინა ასეთი შეურაცხყოფის გაგონებაზე ერთიანად წამოენთო, ანგარიშმიუცემლად ხელში ხელი სტაცა მოძღვარს და მთელი ხმით იყვირა:

— კი მაგრამ, მე ხომ უბიწო ვარ!

მოძღვარი ადგილზე გაქვავდა ამ მოულოდნელობით, მაგრამ ეველინას შეფაკლულმა ლოყებმა, ალალმა წყენამ და ბავშვური გულწრფელობით დაღვრილმა ცრემლებმა დაარწმუნეს მისი სიტყვების სიმართლეში.

მოძღვარმა ღრმად ამოიოხრა. მან იგრძნო, როგორ ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა ამ სიტყვამ მისი ბრწყინვალება და დიდება. და ამ წუთებში ყველაზე უკეთ, ვიდრე ოდესმე, ჩასწვდა მნიშვნელობას სიტყვებისა: ქალი — სფინქსია. იგრძნო ამ ერთმა სიტყვამ როგორ გაანადგურა და დაამარცხა.

იგი მიხვდა, რომ ყველაფერი მიუწვდომელი, რაზედაც კი შეუძლია იოცნებოს მამაკაცმა — სახელი, დიდება, ძალაუფლება, საქვეყნო აღიარება — არარაობაა იმ სიმაღლესთან შედარებით, საიდანაც დაჰყურებდა ეს ქალი და სურვილი გაუქრა ჩამოეგდო იგი ამ სიმაღლიდან.

— ეველინა! — ის, რაც ახლა გავიგონე თქვენგან, სამუდამოდ ჩამკეტავს ჩემს სენაკში! თანახმა ვარ! თქვენ გაფანტეთ ჩემი ოცნება მსოფლიო განდიდებისა. თქვენ თქვით, რომ ისევ ქალწული ხართ! მაშ იყავით ასე სხვების თვალშიც. იცოდეთ, საფრანგეთის კანონები არ სცნობენ ქორწინებას კანონიერად, თუ იგი დამოწმებული არ იქნება სამოქალაქო წესით. ასე, რომ თქვენი ქორწინება ფელიქს კაულმანთან ამ ქვეყანაში ფიქტიურია. აქ ისევ მადმუაზელ ევა დირმაკი ხართ.

შეგიძლიათ უთხრათ ბატონ კაულმანს, რომ მე გითხარით ეს. მასაც მე ვურჩიე ასე მოგქცეოდათ. ახლა კი ისევ დავბრუნდები მონასტერში და მოვინანიებ ჩემს ცოდვებს ღმერთთან.

აბატი შამუელი იმავე დღეს გაემგზავრა პარიზიდან ისე, რომ კაულმანს აღარც შეხვედრია.

ამის შემდეგ მის შესახებ სიტყვაც კი აღარავის სმენია.

ქმარი და მამაკაცი

ამ დროს ფელიქსი ჰერცოგთან შესახვედრად მიეშურებოდა. არ მოიცადა საღამომდე დარჩენილიყო ბირჟაზე და ისევ ვიზიტი ამჯობინა.

ვალდემარმა დიდხანს არ ალოდინა მოსაცდელში, ფინანსური მაგნატების ჩვეულებისამებრ, პატივი სცენ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, იგი კაბინეტში მიიღო.

— მუშაობდით? — თავაზიანად დაიწყო კაულმანმა, გაოცებულმა იმით, რომ ჰერცოგი ხელით ჭრიდა წიგნის ფურცლებს და წითელი და ლურჯი ფანქრებით ხაზავდა საინტერესო სტრიქონებს.

ჰერცოგმა ბროშურა გვერდზე გადასდო და ფელიქსს საკარძელი შესთავაზა.

— ეს-ეს არის შევიტყვე თქვენი პარიზში ჩამოსვლის ამბავი და მაშინვე აქეთ გამოვეშურე, რომ პირველს მომენახულებინეთ.

— მეც სწორედ თქვენით ვიყავი დაკავებული.

ფელიქსი მშვენივრად მიხვდა მისი ორაზროვანი ღიმილის აზრს, რომლითაც ეს ფრაზა წარმოთქვა.

— ესე იგი, მე გამოვცხადდი მოწინააღმდეგის შტაბ-ბინაში პარლამენტიორის თეთრი დროშით.

„კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ეს თეთრი დროშა, ძვირფასი ცხვირსახოცი კუთხეში ამოქარგული „ე“ ასოთი“, — გაიფიქრა ჰერცოგმა.

— ჩვენზე უფრო მაღლა მდგომი, მტრულად განწყობილი სახელმწიფოთა მთავრობებიც კი შეთანხმებულან ერთმა-

ნეთთან, — დაიწყო ფელიქსმა, — მოკავშირეები გამხდარან, თუკი აღმოაჩნდებოდათ საერთო ინტერესები.

— რა საერთო ინტერესები უნდა ეგვაჩნდეს მე და თქვენ?

— ჩემი ახალი ჩანაფიქრი, საეკლესიო სესხის ოპერაცია.

ჰერცოგმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაიღიმა, მაგრამ იმდენად დამცინავი იყო ეს ღიმილი, რომ ბანკირს კინაღამ ენა ჩაუვარდა.

— ბატონო ჩემო, — ძლივს გასაგონად დაიწყო ფელიქსმა, და თან სავარძლიდან წამოდგა, რომ მეტი პათოსით გამოეხატა სათქმელი.

— მე მოგახსენებთ სესხზე წმინდა ტახტისთვის! რამდენადაც ვიცი, თქვენ კათოლიკე ხართ!

— საინტერესოა, საიდან იცით?

— ამასთან ერთად მაღალი წრის არისტოკრატი ხართ, არ დაუშვებთ უნგრეთის ბიუროკრატმა მინისტრმა ჩაიჯიბოს საეკლესიო მამულები და ისიც მაშინ, როცა მასონთა ბრბო მზად არის წმინდა პეტრეს იმპერია ხელში ჩაუგდოს კანალიას — სანკიულოტებს. მე და თქვენ ერთი დარტყმით შეგვიძლია ლახვარი ჩავცეთ ორივეს. თქვენ კეთილშობილი ადამიანი ხართ!

— კიდევ რა ვარ?

— რაც მთავარია, ფინანსისტი ხართ. და არ შეგიძლიათ ანგარიში არ გაუწიოთ იმას, რომ ჩვენი კომპანია ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული, ყველაზე რენტაბელური საწარმოა. თქვენ უნიჭიერესი კაცი ხართ, შეგიძლიათ წინასწარ განჭვრიტოთ მომავალი.

— ხომ არა მაქვს კიდევ რაიმე ღირსება?

ფელიქსი არ შეეპუა ვალდემარის სარკასტულ განწყობილებას, მარჯვედ ჩამოართვა სიტყვა, თავაზიანად გაუწოდა ხელი და მიმართა:

— კიდევ, თქვენ საუკეთესო მეგობარი ხართ ფირმისა, რომელსაც ჰქვია „ფელიქს-კაულმანი“.

ამით იგი რისკზე წავიდა: პასუხად შეიძლებოდა ჰერცოგს ხელი ჩამოერთმია და მიეღო მისი მეგობრობა, შეიძლება სილაც გაეწნა.

მაგრამ ბევრად უარესი მოხდა. ჰერცოგმა საწერი მაგიდი-

დან აიღო ის ბროშურა, რომელშიც მისთვის საინტერესო სტრიქონებს ლურჯი და წითელი ფანქრით ხაზავდა.

— მაშ ასე, ჩემო კათოლიკე ძმავ, ნაცნობო არისტოკრატული სალონებიდან, ფინანსისტო-კომპანიონო და საუკეთესო მეგობარო, გადაავლეთ თვალი ამ ბროშურას და იქ იპოვით ჩემს პასუხს თქვენდამი. დაბრძანდით სავარძელში და გადახედეთ.

ვიდრე ფელიქსი ბროშურას კითხულობდა, ვალდემარმა მოასწრო ფრჩხილების გასუფთავება. ბოლოს ფელიქსმა ბროშურა დახურა.

— გამოდის, რომ ჩემი ცხოვრება აგიწერიათ.

— ამას სათაურიც გვეუბნება.

— ეს თქვენ თვითონ დაწერეთ?

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტები მე მივაწოდე.

— აქ აღწერილია სხვადასხვა საქმიანი ოპერაციები, რომლებითაც თვალში ნაცარს ვაყრი საზოგადოებას, ვატყუებ ყველგან და ყველაფერში, ბონდავარის საქმეშიც კი; რომ მე შევაგროვე გაბერილი ბალანსით ათი მილიონი, რომელიც განიავდება მომხდარი კატასტროფის გამო. მკაცრი პამფლეტია.

— იქნებ რაიმე არ არის მართალი?

— სრული სიმართლეა. თქვენი სახით, ბატონო ჰერცოგო, დიდებული ისტორიოგრაფი შევიძინე. მაგრამ ნება მიბოძეთ გავაგრძელო თქვენს მიერ აღწერილი ამბავი. გუშინდელი ზარალი ხვალ შემიძლია გადავფარო: წაგებულ საქმეს მოგება აწონასწორებს. მცირეოდენ წაგებას დიდი მოგება გადახურავს. რისთვის გინდათ გამოიყენოთ ეს ბროშურა?

— როგორც კი ხვალ ბირჟაზე გამოიტანთ სესხის საქმეს, გავავრცელებ ამ ბროშურას ხალხში და კონტრთამაშს დავიწყებ იმით, რომ თქვენი აქციები საერთოდ ამოშალონ სიიდან.

— მიხვდი, ასე რომ მოიქცეოდით და სწორედ ამიტომ მოვედი თხოვნით, ნუ გადადგამთ ასეთ ნაბიჯს.

ფელიქსს სახეზე გამოეხატა მთელი თავისი სულიერი ტანჯვა, ცალი ხელი ჟილეტის უბეში ჩაიყო და ძლივს ამოილუღლუღა:

— ბატონო ჩემო, თუ ჩემი სიკვდილი გსურდათ, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ სავსებით გამანადგურეთ.

ჰერცოგმა ვალდემარმა გაღიიხარხარა და მხარზე ხელი დაჰკრა კაულმანს:

— გვეყოფა თამაში! თქვენ ხომ აქ იმისათვის არ მოსულხართ, რომ ტყვია იკრათ შუბლში ჩემს თვალწინ, გინდათ რაღაც შემომთავაზოთ. გაკოტრებული არამზადა ხართ, რომელსაც ერთადერთი ძვირფასი ნივთიღა დარჩა თავის განძეულიდან, უმშვენიერესი შავი ალმასი. იგი ქვანახშირის გროვაში იპოვეთ, დაამუშავეთ, გამოაბრწყინეთ უფრო ძლიერად, ბევრი ფულიც მოიგეთ მისით და ახლა ისევ თქვენს ხელშია. ისიც კარგად იცით, რომ მე ჭკუას ვკარგავ მისთვის, რომ მზადა ვარ აუქციონზე ვიბრძოლო მის ხელში ჩასაგდებად თუნდაც მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ. აი, რისთვის მოხვედით ჩემთან! ვისაუბროთ ამ მთავარზე, აბა დავიწყოთ, მითხარით რას მოითხოვთ სანაცვლოდ?

ჰერცოგი სავარძელში ჩაეშვა და ამჯერად არც კი შესთავაზა კაულმანს დაჯდომა.

ფელიქსმა ისევ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო, თუ შეიძლება ახლა ვახსენოთ ადამიანური გამომეტყველება.

— უპირველესად ყოვლისა ამ რვეულს!

— კარგით, მიიღებთ მის ათასივე ეგზემპლარს ხელნაწერთან ერთად. შეგიძლიათ ბუხარში ჩასწვათ, თუკი არ ისურვებთ სახსოვრად შეინახოთ.

— მეორე, — განაგრძო ფელიქსმა, — უარს იტყვით კონტრთამაშზე და სამი დღის განმავლობაში, ვიდრე სესხს გავავრცელებთ, არავითარ წინააღმდეგობას არ გაგვიწევთ არც მე, არც ჩემს კომპანიონებს. პირიქით, ერთ-ერთი პირველთაგანი მოაწერთ ხელს აქციებზე და საკმაოდ დიდ თანხაზე.

— კარგით! იყოს ასე! ოღონდ ახლა მე მომისმინეთ. სესხის გავრცელების პირველ დღეს მე არაფერს თქვენს საწინააღმდეგოს არ მოვიმოქმედებ, მაგრამ არც აქციებზე მოვაწერ ხელს. ასევე იქნება მეორე დღესაც. სამაგიეროდ მესამე დღეს მოვაწერ ხელს მილიონის აქციებზე და შემდგომშიც მხარს დავუჭერ თქვენს ფირმას, როგორც უახლოესი მეგობარი.

— რატომ არ გინდათ პირველ დღეს მოაწეროთ ხელი აქციებზე?

— ახლა გეტყვით იმასაც და განვსაზღვრავ, რა უნდა გა-

კეთდეს პირველ-ორ დღეს. დღესვე შეატყობინებთ მადამ ეველინას, რომ ჰერცოგი ტიბალდი დაპატიმრებულია და მას აღარ შეუძლია იცხოვროს მის სასახლეში. მან ერთხელ უკვე გამოიჩინა დიდსულოვნება და დაუტოვა სასახლე მთელი მოწყობილობით. იგი ახლაც ასევე მოიქცევა და დაბრუნდება ქმრის სასახლეში. თქვენ აღნიშნავთ ამ მოვლენას დიდი წვეულებით. ამ საღამოს მოიწვევთ ოჯახის საუკეთესო მეგობარს (აქ ჰერცოგმა ორაზროვანი ღიმილით მიიდო საჩვენებელი თითი მკერდზე). ოჯახის მეგობარი ისარგებლებს შემთხვევით და შესთავაზებს ქალბატონს ეწვიოს კომოს ტბაზე, სადაც ბრწყინვალე საზაფხულო სასახლე დიდი ხანია ელის თავის დიასახლისს, თანაც ეველინასთვის აუცილებელია დასვენება იტალიაში.

— თქვენ ნამდვილი ჯენტლმენი ხართ!

— ძალიან გთხოვთ, ნაადრევად ნუ შემაქებთ. მეორე დღეს ბატონი ფელიქს კაულმანი აუხსნის მადამ ეველინას: საფრანგეთში ქორწინება რომ კანონიერად ჩაითვალოს, საჭიროა აგრეთვე ხელის მოწერაც, რის შემდეგაც წაიყვანთ მას ნოტარიუსთან და ხელახლა გააფორმებთ თქვენს ქორწინებას.

— კი მაგრამ, ბატონო, რისთვის გჭირდებათ თქვენ ეს?

— რისთვის? — გაიღიმა ჰერცოგმა და სავარძლიდან წამოდგა, — იმისთვის, გაქნილო არამზადავ, რომ ხელი შევუშალო თქვენს განზრახვას: ერთ ქვეყანაში მოიტაცეთ მზეთუნახავი მეუღლე, მეორეში კი, როცა შეგიძლიათ ისევ თავისუფალი იყოთ მისგან, გნებავთ მიატოვოთ. მე არ დავუშვებ, ქალბატონს წაართვათ თქვენი სახელი, თორემ მეოთხე დღეს დამცინავად ჩამივლით გვერდით და სახეში მომახლით: „რაც თქვენ გაჩუქეთ, არც არასოდეს ყოფილა ჩემიო“. ასე არ არის? მე კი ალმასი მსურს, თავის ბუდეში ჩასმული. ნებას არ მოგცემთ ძვირფასი თვალი ამოიღოთ თქვენი ქორწინების ბეჭდიდან, მინდა თვალი პატიოსანი, ბეჭდიანად.

კაულმანმა აღარ იცოდა რა ეპასუხნა, ხაფანგში მომწყვდეული ნადირივით იყო, გაქცევას რომ ლამობს და არ ძალუძს:

— მაინც არ მესმის თქვენი ჟინიანობის მიზეზი?

— სამაგიეროდ მე მესმის კარგად! თქვენც შეგიძლიათ გაიგოთ თუკი მოისურვებთ. მე ჭკუას ვკარგავ ამ ქალისთვის,

ის კი ვერ მიტანს. ამის მიზეზიც ვიცი, თუმცა თქვენ წარმოდგენაც არა ეაქვთ ამაზე. თქვენი ცოლი გონიერი ქალია. რატომ გიკვირთ, განა ასე არ არის? მაგრამ ეს ჰერცოგი ტიბალდის დამსახურებაა და არა თქვენი. ტიბალდმა გამანდო. როგორ დააფიცა ეველინა, არასოდეს არ მივეღე მის სასახლეში. საწყალი მოხუცი! ეგონა შემარიგებდა თავის შვილიშვილთან, თუ მე უარს ვიტყოდი ეველინაზე. რა სუსტი ფსიქოლოგი იყო! ამით ხომ კიდევ უფრო გამიძლიერა ეველინასადმი სიყვარული. ესეც იცოდეთ, ზნედაცემული ქალის გულისთვის მე არ ვიხეტიალებდი ერთი ქვეყნიდან მეორეში, დიდი ხანია დავივიწყებდი მას. მე კი კვალდაკვალ დავყვები ეველინას აჩრდილივით, იმიტომ რომ ვიცი მისი უბიწოების საიდუმლო. მე გაგიჟებით მიყვარს იგი იმიტომ, რომ უწმინდესი და უბრწყინვალესია, და რომ ამ მნათობმა მთელი შუქით იბრწყინოს, უნდა ჰქონდეს ტიტული და წოდება, ეს კი თქვენი სახელია. ახლა გამიგეთ, რას მოვითხოვ თქვენგან?

— ბატონო ჩემო, თქვენ ჯოჯოხეთური ჩანაფიქრი გაქვთ. გინდათ სამარცხვინო ბოძზე გამაკრათ და სასტიკად ღიმამციროთ?

— დაგამციროთ? კი მაგრამ, ვინ მოგიწვიათ ამ ბაზარზე, სადაც მხოლოდ პატიოსნებითა და დამცირებით ვაჭრობენ? და განა რას გთავაზობთ ისეთს? თუ არა იმას, რომ კაულმანის სახელი უფრო მეტად ბრწყინავდეს? მასზე არ უნდა იყოს მცირეოდენი ლაქაც კი. ფირმის მეთაური იქნება ფრიად ღირსეული ადამიანი, საზოგადოებაში გავლენიანი პირი, ბირჟაზე საქმის კაცი, შინ პატიოსნებით ალსავსე ოჯახის უფროსი. და რაც სინამდვილეში ხართ, გვეცოდინება მხოლოდ ჩვენ ორს, ოჯახში კი სამს.

კაულმანი შეეცადა რაც შეიძლებოდა ტანჯული სახე მიეღო.

— გეყოფათ, მოწყალეო ხელმწიფევ, თვალებისა და ლოყების წმენდა, სულ ერთია ვერ დამაჯერებთ, რომ ტირილი ან გაწითლება შეგიძლიათ. ცოტა დრო გვაქვს და ტყუილუბრალოდ ნუ გამაცდენთ.

ეს სრული ჰეშმარიტება იყო. ამიტომ ბატონი ფელიქსი შეეცადა ბოლო სცენა შედარებით მშვიდად ჩაეტარებინა. საკ-

მაოდ მომგებიანი გარიგებისათვის ჰერცოგს ხელი გაუწოდა გამომშვიდობების ნიშნად, მაგრამ ვალდემარმა არც ამჯერად ჩამოართვა ხელი, მხოლოდ თავის დაკვრით დაკმაყოფილდა და დასძინა:

— ჩაინიშნეთ თქვენს უბის წიგნაკში: ჩვენ არავითარი საბაბი არ გაგვაჩნია იმისა, რომ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ. ზედმიწევნით ზუსტად ჩაინიშნეთ ყველა პირობა! თუ მე ხვალ დღის პირველ საათამდე მივიღებ თქვენგან მოსაწვევ ბარათს საღამოზე, მე არ გამოვჩნდები ბირჟაზე, თუ ზეგ ამავე დროისთვის ნოტარიუსის საშუალებით ოფიციალურად შევიტყობ თქვენს სამოქალაქო ქორწინებას, არც იმ დღეს შეგიშლით ხელს. და თუ მეოთხე დღეს ჩემთან გამოცხადდება თქვენი სანდო კაცი, მაცნობებს, რომ გაემგზავრეთ ბრიუსელის ბირჟაზე სესხის ოპერაციის ჩასატარებლად და გადმომცემს თქვენი ბინის გასაღებს თხოვნით, როგორც საქმიანმა კომპანიონმა შეგცვალოთ, მაშინვე წავალ ბირჟაზე და ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმოთ. ახლა კი შეგიძლიათ იტიროთ ან იცინოთ, ოღონდ ჩემს სახლში არა.

ევა დირმაკი

როგორც ვნახეთ, პატონმა კაულმანმა საბოლოოდ მოაგვარა საქმეები ჰერცოგ ვალდემართან.

ჰერცოგი მართლაც უსაზღვროდ იყო შეყვარებული ეველინაზე.

მას შემდეგ, რაც მოუსმინა მას წმინდა ევსტახის ტაძარში, მზად იყო, თუნდაც უდაბნოში წაჰყოლოდა, ფამოქვაბულში ეცხოვრა წმინდა ანტონიუსივით, ოღონდაც მისი გამხდარიყო.

დიახ, კაულმანმა აქ სრულ წარმატებას მიაღწია.

ჰერცოგი არ წამოიწყებდა კონტრინტრიგას, პირიქით, როცა ვენის ბირჟაზე ბონდავარის კატასტროფის ამბავს მოიტანდნენ, გააქარწყლებდა ამას, პარიზისა და ბრიუსელის ბირჟებზე კი მხარს დაუჭერდა საეკლესიო სესხის ოპერაციას და თვითონ მოაწერდა ხელს საკმაოდ სოლიდურ თანხაზე.

და რა დაუჯდებოდა ეს ყოველივე? სრულიად არაფერი. მზეთუნახავი ქალის ერთი სიტყვა. დაე კიდევ ერთხელ გამოჩნ-

დეს შავი ალმასების მაგიური ძალა, ეველინას შავი თვალების მომაჯადოებელი ეშხი. საბოლოოდ იყოს იმისი, ვინც სხვაზე მეტს გადაიხდის.

კაულმანი დიდხანს ელოდა მოძღვარს, მაგრამ რომ აღარ გამოჩნდა, გადაწყვიტა თვითონ წასულიყო მეუღლესთან.

ეველინა შინ არ დაუხვდა. მსახურმა მოახსენა, თეატრში წავიდაო.

ფელიქსმა ახლაღა შეხედა თეატრის აფიშას და დაინახა, რომ იგი ამ საღამოს მღეროდა. მაშინვე ოპერისაკენ გაეშურა. მეუღლე ლოჟაში არ დაუხვდა. თვალი გადაავლო ხალხით გაჭედილ დარბაზს და სცენის ახლოს ერთ-ერთ ლოჟაში ჰერცოგი ვალდემარი შენიშნა.

დიახ, ჰერცოგმა მასზე უკეთ იცოდა, როდის ჰქონდა სპექტაკლი ეველინას. შემდეგ ისევ ფოიეში ჩავიდა. თეატრში ყველამ იცოდა, რომ იგი ეველინას მეუღლე იყო და საგრიმიორო ოთახში შეუშვეს.

ეველინა უკვე თეატრალურ კოსტიუმში იყო გამოწყობილი და მზად იყო სცენაზე გასასვლელად. კაულმანის დანახვაზე წყენა გამოეხატა სახეზე, რაც ნიშნავდა: „რატომ მიშლით ხელს ჩემი მოვალეობის აღსრულების წუთებში?“

— მოვედი, რათა საღამოს წარმატებით ჩატარება გისურვოთ!

— ეს შეგეძლოთ ხვალისთვის გადაგედოთ.

— ხვალისთვის? — გაიცინა კაულმანმა.

— დიახ! თქვენ კარგად იცით, როგორ ვღელავ ყოველი გამოსვლისას!

— შემეშინდა არ დამეგვიანა, ხომ იცით, საზოგადოება თავს არ დაზოგავს ოღონდ თქვენს საღამოზე მოხვდეს. თუ დამიტოვეთ ერთი ბილეთი მაინც?

— არა, არ დამიტოვებია.

— რატომ? — თავაზიანად, მაგრამ ვითომდა განაწყენებულმა ჰკითხა ფელიქსმა.

— იმიტომ, რომ არავითარი კონცერტი არ შედგება. მე აღარ მსურს.

განცვიფრებისაგან ფელიქსს სახე მოეღრიცა.

— იქნებ მოიღოთ მოწყალება და ამიხსნათ მიზეზი?

— ჩემი გამოსვლის შემდეგ, ახლა უკვე სცენაზე უნდა ვიყო.

ამ სიტყვებით ეველინა გავიდა და კულისებში გაატარა დარჩენილი რამდენიმე წუთი.

კაულმანი მეორე მხარეს მოთავსდა კულისებში ისე, რომ თავისუფლად ედევნებინა თვალი როგორც ეველინასთვის, ისე ჰერცოგის ლოჟისთვის.

ეველინამ სუსტად შეასრულა არია, თითქოს შებოჭილი იყო და ზოგიერთი ადგილი კიდევაც გამოტოვა. აშკარად ემჩნეოდა მღელვარება, მაგრამ ტაშის გრიალმა მთელი დარბაზი შეაზანზარა. ჰერცოგი ვალდემარი ისეთი თავგამეტებით უკრავდა ტაშს, თითქოს ამაში სხვებზე მეტს უხდიდნენ.

ბოლო გამოსვლის დროს კი ვალდემარის ლოჟიდან თაიგულები წვიმასავით ცვიოდა ეველინას ფეხებთან. ეველინას ერთი ყვავილიც არ აუღია, ისე გავიდა სცენიდან.

კაულმანი ფეხდაფეხ შემოჰყვა.

— რატომ ერთი თაიგული მაინც არ აიღეთ?

— იმიტომ, რომ არ დამიმსახურებია, ვგრძნობდი, როგორ ცუდად ვმღეროდი.

— უნდა აგეღოთ თუნდაც იმისი გულისთვის, ვინც მოგიძღვნათ.

— მართლა ასე გსურდათ?

— მე?

— რა თქმა უნდა! ისინი ხომ თქვენ მომიძღვენით?

— არა, განა არ შენიშნეთ? ყველა თაიგული ერთი და იმავე ლოჟიდან ცვიოდა სცენაზე. ნუთუ ვერ იცანით?

— მე არც გამიხედია იქეთ.

— ჰერცოგი ვალდემარი...

— ოო, თქვენი უპირველესი მტერი, რომელიც ცდილობს გაგაღატაკოთ!

— რომ იცოდეთ, ჰარცოგი სულ შეიცვალა, გულწრფელად მოინანია რაც წარსულში მაწყენინა და ახლა ჩვენი საუკეთესო მეგობარია.

— ჩვენი მეგობარი? როგორ თუ ჩვენი?

— როგორც ჩემი, ისევე თქვენი.

— მადლობას მოგახსენებთ, მე ვერ გავიზიარებ ვერც თქვენს აზრს მასზე და ვერც ამ მეგობრობას.

— აქ გასაზიარებელი არაფერია ქალბატონო! ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება მისთვის, როგორც მეგობრისთვის.

— სამაგიეროდ ჩემი სახლის კარი დაკეტილი იქნება!

— რახან ასეა, ერთი არასასიამოვნო ამბავი უნდა მოგახსენოთ, ხომ დაამთავრეთ თქვენი გამოსვლა?

— დიახ, ბრძანეთ! — მიმართა სარკის წინ მჯდომმა ეველინამ და თან გრიმი მოიშორა სახიდან.

— საკუთარი სასახლე მალე უნდა დავტოვოთ. ჰერცოგ ტიბალდს აპეკუნი დაუნიშნეს და როგორც მოგეხსენებათ ეს ცალკე სახლი მისი მეგობრული ყურადღების წყალობით არის დაქირავებული. იგი ახლა ამას ვეღარ შეძლებს. მე საშუალება არა მაქვს ცალკე აპარტამენტები დაგიქირაოთ, ასე რომ დღეიდან ერთ ჭერქვეშ მოგვიწევს ცხოვრება, და რაღა თქმა უნდა, ჩემი სასურველი სტუმრები ასევე თქვენიც იქნებიან.

ეველინამ დედოფლის ძვირფასი კაბა გაიხადა, მოიხსნა თავიდან დიადემა, ძვირფასი სამაჯურები და კაულმანს მიუბრუნდა.

— თუკი ძვირფასი სასახლე არ მექნება, თქვენ ფიქრობთ, რომ ვერ შევძლებ ვიქირაო პარიზში მანსარდა, რომლის კარიც დაიხურება? ვერც ერთი ჰერცოგი მის ზღურბლს ვერ გადმოაბიჯებს.

კაულმანმა გადაწყვიტა უკანასკნელი ზომისთვის მიემართა.

— მინდა გაგაფრთხილოთ, რომ საფრანგეთის კანონებით ცოლი ვალდებულია კანონიერი ქმრის სახლში იცხოვროს და დაემორჩილოს მის სურვილებს.

ეველინამ ოქროს ქოშები გაიხადა და შავი, მოელვარე თვალი თვალში გაუყარა კაულმანს.

— მაშ მეც მინდა მოგახსენოთ ბატონო, რომ საფრანგეთში მხოლოდ ეკლესიაში ჯვრისწერა საკმარისი არ არის და მეუღლეები არ ითვლებიან კანონიერად თუ ხელს არ მოაწერენ.

კაულმანი დარეტიანებული წამოეარდა სკამიდან.

— რა სთქვით?

ეველინამ ფეხებში მიუყარა ოქროს ქოშები.

— ის, რომ ეს ქოშები თქვენია, მაგრამ დღეიდან მე მადემუაზელ ევა დირმაკი ვარ და სხვა არავინ.

— ვინ გითხრათ ეს?

— იმანვე, ვინც თქვენ გირჩიათ ასე მომქცეოდით.

კაულმანი მაგიდას დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

— ახლა კი იცოდეთ, რომ ამიერიდან ეს გახლავთ მადემუაზელ ევა დირმაკის საგრიმიორო!

კაულმანმა აღარ გაამეორებინა, აიღო თავისი შლაპა და იქაურობას გაშორდა.

მისი დაღუპვა გარდაუვალი იყო. მხსნელი არსაიდან ჩანდა. გუშინ ჯერ კიდევ მილიონებს ათამაშებდა, ყველა მის აქციებს ყიდულობდა, ხვალ კი ათასობით ადამიანი გამოიწვდიდა მისკენ ხელს და თავის აქციებში დაბანდებული კაპიტალის დაბრუნებას მოითხოვდა. თავის დასაღწევი ორი გზა ჰქონდა მხოლოდ: ან თავი უნდა მოეკლა, ან აქციონერული საზოგადოების სალაროდან გაეტაცებინა რისი წაღებაც შეეძლო და გაქცეულიყო.

კაულმანმა უკანასკნელი არჩია, გაიქცა.

ნიტივით თავისუფალი

ეველინამ თვალწინ გაისიგრძეგანა მის ირგვლივ მომხდარი მოვლენები და მიხვდა, რომ ცხოვრება თავიდან უნდა დაეწყო.

იგი უკვე აღარ იყო ცოლი, არც ქვრივი, რომ წარსული გამოეტირებინა. ქალწული იყო, მის წინ გადაშლილიყო ცხოვრების აყვავებული მინდორი და ვერ გადაეწყვიტა, რომელი ყვავილი მოეწყვიტა.

გული ახლადგაღვიძებული და ჯერ ისევ ამოუცნობი ოცნებებითა და იმედებით ჰქონდა სავსე. ჯადოსნურ საიდუმლოს ჰგავდა და ელოდა, როდის ამოიცნობდნენ.

მეორე დღეს, როდესაც აცნობეს, კაულმანი გაიქცა და აღარასოდეს დაბრუნდებაო, ეველინას ისეთი გრძნობა დაეუფ-

ლა, თითქოს ბორკილები ჩამოხსნეს. გალიიდან გამოფრენილი ჩიტივით თავისუფალი იყო.

საით მიფრინავს თავისუფალი ფრინველი ცაში რომ შეინავარდებს? განა ახსოვსდა, რა მდიდრული, ძვირფასი იყო მისი გალია, როგორ უვლიდა მზრუნველი პატრონი, საჭმელ-სასმელს არ აკლებდა და ციცინიავს არ აკარებდა? ანდა როგორ ასწავლიდა გალობას?

თავისუფალი ჩიტი ამას ყველაფერს ივიწყებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, საით გაფრინდეს. შესაძლოა გაუჭირდეს კიდევაც, შესცივდეს და საჭმელიც ვერ იშოვოს, მაგრამ მაინც გაფრინდება. მოძებნის ბუდეს და ცხოვრების თანამგზავრს.

ეველინას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ კაულმანის გაქცევით ამტყდარი მითქმა-მოთქმა მასაც შეეხებოდა, რომ დაიწყებდნენ ჭორაობას თუ ვის დარჩებოდა მიტოვებული ლამაზი ქალი, ლამაზი ქალი, რომელიც ბევრად უფრო მომხიბლავი იყო სალონში, ვიდრე სცენაზე. სცენაზე იგი მხოლოდ გამოუცდელი დილეტანტის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაშინ როცა სალონში ბრწყინვალე მსახიობივით მღეროდა.

ვის აირჩევს იგი თავის ახალ მბრძანებლად? იგი ხომ სამუდამოდ დაიტოვებს არჩევანის უფლებას, მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს მიტოვება.

დიახ, ახლა მას არა ჰყავს უფროსი. სასახლე დაცარიელდა, გული კი სავსეა გამოუცნობი სიხარულით. ვისზე იოცნებოს? ვის გაანდოს თავისი ბედნიერების ამბავი, უზომო ბედნიერებისა! რომ ხელახლა დაიბადა! თავისუფალია!

მაგიდაზე არპად ბელენის სავიზიტო ბარათს მოჰკრა თვალი.

მაშინვე ჩაჯდა კარეტაში და მისი სახლისკენ გასწია. არპადი და დედამისი პარიზის გარეუბანში ცხოვრობდნენ, სადაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ერთსართულიანი სახლები. მათი საკუთარი სახლიც ერთსართულიანი იყო, რომელიც საჯარო ვაჭრობით გაიყიდა და ამიტომ უყვარდა არპადის დედას ასეთ სახლში ცხოვრება. გარდა ამისა, სხვა მიზეზიც იყო, ასეთ სახლებს სამზარეულოც ჰქონდა და ყველგან, სადაც არპადი კონცერტებს მართავდა, დედამისი ცდილობდა, თვითონ მოემზადებინა მისთვის საჭმელი და ერთად ესადილათ, რომ

მოქეიფეთა და დროსტარების მოყვარულთა წრეში არ მოხ-
ვედრილიყო. სასტუმროში რომ ეცხოვრათ, ამას ვერ ასცდე-
ბოდა.

არპადს უყვარდა დედის მიერ მომზადებული კერძები და
მასთან შედარებით ვერც ერთ კულინარს ვერ მისცემდა უპი-
რატესობას. ყველაზე მეტად კი იმას ვერ იტანდა, როცა ვინ-
მე სადილად მიიწვევდა, და თუ ეს შესაძლებელი იყო, თავ-
საც არიდებდა ათასი მიზეზით, ძირითადად კი იმას იშვე-
ლიებდა, ექიმებისაგან დიეტური კვება მაქვს დანიშნუ-
ლიო.

ეველინას მეეტლემ და მსახურმა დიდი გაჭირვებით იპო-
ვეს მონმარტრის რაიონში ქუჩა, სადაც ბელენები ცხოვრობდ-
ნენ. ეველინამ ქუჩის ბოლოში გააჩერა კარეტა და მსახურის
თანხლებით ფეხით წავიდა სახლის საძებნელად.

ერთ-ერთ უპრეტენზიო ნაგებობაში, რომლის კუტი კარი
ბაღში გადიოდა, ბელენის ქვრივს ორი ოთახი ეჭირა. ოთახებს
ერთმანეთისაგან სამზარეულო ყოფდა. მოსამსახურემ, რომ-
ელიც ეზოში სარეცხს რეცხავდა, აჩვენა, რომელი იყო ახალ-
გაზრდა ბატონის ოთახი.

ეველინამ ფრთხილად შეაღო სამზარეულოს კარი. მას
შეუმჩნეველი არ დარჩენია, როგორ გაიღო იმავე წუთში მეორე
ოთახის ეზოში გამავალი ფანჯარა ისე, რომ საკმარისი ყოფი-
ლიყო ქალის ცნობისმოყვარე თვალისთვის. არპადის დედა
დაინტერესდა, ვინ ესტუმრა მის ვაჟს.

ეველინა ფეხაკრეფით შევიდა არპადთან. მას უნდოდა მოუ-
ლოდნელი სტუმრობით სიურპრიზი გაეკეთებინა.

მუსიკოსის ოთახი მყუდრო და საოცრად ლამაზი ეჩვენა.
ყველაფერს დედის მზრუნველი ხელი ეტყობოდა. მაგიდასა
და კედლებზე არპადის ნიჭის ცნობილი თაყვანისმცემლების
საჩუქრები იყო გამოფენილი: ლარნაკები, ძველისძველი ფარა-
ღი, ხეზე ამოკვეთილი საუცხოო ნამუშევრები, საუკეთესო ნა-
ხატები, ფანჯრის რაფაზე ყვავილები, კარადაში გამოვნებით
შერჩეული ბიბლიოთეკა.

დედას ისე ჰქონდა ოთახი მოწყობილი, რომ შვილს ყვა-
რებოდა შინ ყოფნა.

ფირმა ერარდის საუკეთესო, ნაქირავები როიალი ახდილი

იყო, არპადი ზურგით იჯდა ინსტრუმენტთან და პატარა მაგიდაზე რაღაცას ხატავდა.

ყველა ხელოვანს რაიმე სხვა გატაცებაც აქვს: საუკეთესო მხატვარი მეზობლებს თავს აბეზრებს ვიოლინოს წრიპინით, მუსიკოსი ლექსებს თხზავს, მწერალი ათასნაირ ფიგურებს კვეთავს მარმარილოსა და სპილოს ძვლისაგან.

მაგრამ რას ხატავს არპადი?

ეველინა ჩუმად მიეპარა უკნიდან, მაგრამ აბრეშუმის კაბის შრიალმა გასცა. არპადი შეკრთა და სურათი მაშინვე დამალა. ეველინამ მხოლოდ ის შენიშნა, რომ ეს პორტრეტი იყო.

— ო, ეს თქვენა ხართ? — შეცბა არპადი, — დედა მეგონა.

— აჰა, კვლავ ისეთ რაიმეს აკეთებთ, რასაც დედა გიკრძალავთ. ალბათ ხატვას გიშლით და სწორიც არის. განა შეიძლება პიანისტმა ამაზე დაკარგოს დრო. მაინც რას ხატავთ?

— არაფერს... ჩემთვის... ისე... ყვავილს ვხატავდი.

როგორ მატყუებს, გაიფიქრა ეველინამ; მან მოასწრო, შეენიშნა, რომ ეს იყო პორტრეტი, მაგრამ ვისი, ვერ გაარჩია.

— მაშ მაჩუქეთ ეს ყვავილი.

— არ შემიძლია.

— ეს ხომ მხოლოდ ყვავილია!..

— მაინც არ შემიძლია, ვერ მოგცემთ.

— კარგით, ნუ მიწყრებით, სკამი მაინც შემომთავაზეთ.

არპადი მართლაც ნაწყენი იყო მასზე, ჩუმად რომ შემოიჭრა მის ბინაში და მყუდროება დაურღვია. სხვა დროს, შეიძლება გახარებოდა კიდევაც, მაგრამ ახლა... მით უფრო, რომ დამალული პორტრეტი ეველინასი არ იყო.

— გვერდით მომიჯექით, ჩემი ხომ არ გეშინიათ? მე გელოდით დღეს, მეგონა შემოივლიდით და გუშინდელ სპექტაკლზე თქვენს შთაბეჭდილებებს გამიზიარებდით. მაგრამ რომ არ მოხვედით, გადავწყვიტე თვითონ მომეძებნეთ. რას გაჩუმებულხართ? მითხარით, რომ ცუდად ვმღეროდი.

— ძალიან ცუდად, — უხალისოდ უპასუხა არპადმა, — ყველაფერი დაგვიწყებიათ, თქვენს მაგივრად მე მრცხვენოდა! ან ეს თამაში იყო? მარიონეტების თეატრში მეგონა თავი.

— სულ არ ვიყავი სიმღერის ხასიათზე. თანაც ჩვენმა ოჯა-

ხურმა უსიამოვნებამ კულმინაციას მიაღწია, საბოლოოდ გავ-ცილდი კაულმანს.

— რას წარმოადგენს ეს კაულმანი, რომ მისი გულისთვის ასე აურდაურიოთ ყველაფერი, ტაქტიდან სულ ამოვარდით. იყოს თავის მილიონებთან! თქვენ აქამდეც დიდად არ აქცევ-დით მას ყურადღებას!

არპადმა არაფერი იცოდა კაულმანის გაკოტრებაზე. ამ ამ-ბავს მონმარტრზე ჯერ არ მოეღწია.

— და კიდევ აუცილებელი არ იყო ყვავილების თაიგულე-ბით სცენის ავსება!

ეველინას გული ეტკინა, არპადი მის ყველაზე მტკივნეულ წერტილს შეეხო, ცრემლი მოადგა თვალზე.

— მე არავისთვის მითხოვია ყვავილები!

— ესე იგი თქვენი ერთ-ერთი შეძლებული თაყვანისმცემე-ლი გააკეთებდა ამას. აქ ერთმანეთშია გადახლართული სამი ცოდვა: თქვენი სწორუპოვარი სილამაზე, ცუდად სიმღერა და ყვავილები. დიახ, და ამ სამ ცოდვას ვერავინ დააცილებს ერთ-მანეთს ამქვეყნად.

— იყოს ნება თქვენი, მლანძღეთ რამდენიც გნებავთ, კი-დევ რა არის ჩემში ცუდი?

არპადს გაეღიმა და ხელი გაუწოდა ეველინას.

— მაპატიეთ, ჩემო მზეთუნახავო! ჩათვალეთ, რომ ეს არის საყვედური მსახიობი-მასწავლებლისა მსახიობ მოსწავლისად-მი. გვეყოფა ამაზე. ახლა კი გავერთოთ ისევ ბავშვებივით, გინდათ კარტი ვითამაშოთ?

ახალგაზრდის მხიარულმა ხმამ კვლავ დაიპყრო და გაათბო ეველინას სული. მან გაიღიმა.

— აბა ახლა მითხარით, რა გადაწყვიტეთ კაულმანის გაგ-ების შემდეგ? ისევ გათხოვდებით? თქვენი საქმროები ხომ სოკოებივით მრავლდებიან. თუ მსახიობობას განაგრძობთ?

— მე არავინ არ მინდა, — ამოიოხრა ეველინამ და სახეზე ხელები აიფარა.

— მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „სხვასაც არ უნდი-ხართ".

— მე არ მინდა ვინმეს საკუთრება გავხდე. არავის მივცემ უფლებას უფროსობდეს ჩემზე, თუ ჩემი სწორი არ იქნება.

ხომ ხედავთ, ქვანახშირის მზიდავი გოგონა, ფეხშიშველა რომ გაიქცა შახტიდან, თავის სწორს ეძებს. ის, ვისაც ოდესმე დავუთმობ ადგილს ჩემს გულში, ისეთივე თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს, როგორიც მე ვარ. თავისი მოწოდების გარდა, არავის უნდა ემორჩილებოდეს. სიმდიდრით კი არ უნდა ბრწყინავდეს, არამედ ნიჭით. იყოს კარგი მსახიობი და ამაყი ადამიანი.

მისი ნათქვამი გამგებს უნდა ეცემა.

არპადიც მიუხვდა და სახე მოეღუშა.

— რახან ასეა, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, იცოდეთ რომ იმ გზაზე, რომელიც თქვენ აირჩიეთ, ვერასოდეს შეხვდებით თქვენს იდეალს.

— რისი თქმა გსურთ ამით?

— მინდა გითხრათ, რომ მსახიობებს ცოტა სხვაგვარი აზრი აქვთ ცხოვრებაზე. აი შეხედეთ ამ ლამაზ, ძველისძველ და უძვირფასეს ფიალას. იგი ჰერცოგმა დემიდოვმა მაჩუქა. მას კი იგი თავისი ერთ-ერთი წინაპრისაგან მიუღია, რომელსაც თვით პეტრე დიდმა უბოძა. შედევრია, უნიკალური ნივთი. ამით დაულევიათ ჰერცოგებს და ბრწყინვალე თავადებს. ეს ფიალა ჩემთვის უძვირფასესია, მასში ვინახავ საეიზიტო ბარათებს. სადილზე კი უბრალო ჭიქით ვსვამ, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტი სუ ღირს და რომლითაც ჩემს მეტს არავის დაულევია.

ეველინას ლოყები შეუფაკლდა ამ მოურიდებელ შედარებაზე. არპადმა კი განაგრძო:

— თქვენ ოცნებობთ შეხვდეთ თავისუფალ, ამაყ, უნიჭიერეს მსახიობს, რომელიც დიდების შარავანდედით არის მოსილი და ფიქრობთ, რომ იგი სიამოვნებით დაიკავებს კარეტაში ადგილს თქვენს გვერდით ელისეის მინდვრებზე სეირნობისას და არად ჩააგდებს მითქმა-მოთქმას თქვენს შესახებ: „იცით, ბრილიანტები, აგრერიგად რომ შვენის, მისი მეუღლის დიდების ანარეკლი კი არ არის, არამედ ამა და ამ მარკიზის ნაჩუქარია“. განა თქვენ შეხვედრიხართ ასეთ ადამიანს?

საწყალი ეველინა! იგი მაინც ცდილობდა თავდაცვას:

— და თუ მე ჩამოვიხსნი ჩემს სამკაულებს, რომლებიც სხვამ მაჩუქა, რომლებიც არაფრით არ დამიმსახურებია და სა-

ნაცვლოდ არც კი გამიღიმია, თუ დღე და ღამეს გავასწორებ, რომ ნამდვილი მსახიობი გავხდე და მხოლოდ ჩემი ნიჭის წყალობით გავიკვლევ გზას?

არპადმა ეადაწყვიტა გაენდო მისთვის საიდუმლო, რომელზეც ეველინას წარმოდგენა არ ჰქონდა:

— ვერასოდეს ვერ გახდებით ნამდვილი მსახიობი. მუზის გერი ხართ, დაჯილდოებული ხართ ყოველგვარი ნიჭით, მაგრამ არ გაგაჩნიათ გამბედაობა. მშვენივრად მღერით საკუთარ სალონში, მთელი გრძნობით, თუ საჭიროა, იუმორითაც კი თამაშობთ ორი-სამი მაყურებლის წინაშე, მაგრამ საკმარისია სცენაზე გახვიდეთ, რომ ხმა გიკანკალებთ, ღელავთ, ვეღარაფერს ამჩნევთ ირგვლივ და როგორც ხის თოჯინა, ისე დააბიჯებთ. ეს გახლავთ დაუძლეველი შიში მაყურებლისა, რომელსაც ვერაფერს უშველით. ვიცი, რისი თქმაც გსურთ, თქვენი ტრიუმფალური გამოსვლები გაქვთ მხედველობაში, მაგრამ ეს თავის მოტყუებაა მხოლოდ. ვინ, ვინ, მაგრამ მე კარგად ვიცი როგორც კეთდება ეს. ტაშის გრიალით გაცილებენ სცენიდან, ყვავილების თაიგულებში ხართ ჩაფლული, მეორე დღეს გაზეთები ხოტბას გასხამენ. მაგრამ ეს ყოველივე პირმოთნეობაა და მეტი არაფერი! მდიდარი თაყვანისმცემლების წყალობით ამას ყოველთვის მიაღწევთ! მხოლოდ მათ იციან რა ჯდება ეს ტრიუმფი. აბა სცადეთ კარი მიუხუროთ მათ და ნახავთ, რასაც დაიმსახურებთ სპექტაკლის შემდეგ. მაშინ უკვე სრულიად უფასოდ დაგისტვენენ და გამანადგურებელ რეცენზიასაც იხილავთ გაზეთში.

ეველინა უღონოდ ჩაეშვა სავარძელში. გულის სიღრმეში იგი კარგად გრძნობდა, რომ სამწუხაროდ, არპადის პირით სიმართლე ღაღადებდა.

როგორც მსახიობს, არპადს არ გასჭირვებია ყოველივე ამის თქმა, მაგრამ როგორც ადამიანს, გული შეეკუშა. იგი ეველინას მაღალი წრის ქალბატონად თვლიდა, რომლის წინაშეც საჭირო არ იყო ხელოვნების ნამდვილი ქურუმის პირფერობა, არც ამაო ოცნებებით თავბრუსდახვევა მიაჩნდა სწორად. მაგრამ მასში ეცოდებოდა თავისი სიჭაბუკის მეგობარი, რომლისგან იოტისოდენა წყენაც არ ახსოვდა. ეველინას ხომ ყოველ-

თვის ესმოდა მისი და საჭიროების შემთხვევაში თანაუგრძნობდა კიდეც, მაშ რატომ მოექცა მას ასე სასტიკად?

მართალია, მაგრამ ეველინაც რატომ შეეხო მისი სულის უხილავ სიმებს? რატომ დაურღვია მყუდროება ხატვისას? რატომ დაინტერესდა რას ხატავდა?

ანდა, რაც არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც ყვავილი, რატომ მოითხოვა? რატომ გაიწოდა ხელი მისკენ? აი მეც ჩავარტყი ამისთვის. მე ხომ მისთვის არ ვხატავდი...

— რა ვქნა ახლა, როგორ მოვიქცე? — ჰკითხა ეველინამ და ცრემლიანი თვალებით შეხედა არპადს.

რახან თვითონ ითხოვს, ბოლომდე ვეტყვი სათქმელს!

— არ დაგიმალავთ და ორი გზა გაქვთ მხოლოდ; მესამეს, ქმარს დაუბრუნდეთ, არ გირჩევთ. მე რომ ვიყო თქვენს ადგილას, სიკვდილს ვარჩევდი მისი თაღლითობით ნაშოვნი მილიონებით ფუფუნებას. უნდა აირჩიოთ ორში ერთი: ან დარჩეთ სცენაზე, ისევ ისე მიიღოთ ყვავილები და ყალბი ხოტბა-დიდება რომელიმე ჰერცოგის წყალობით, ან დაბრუნდეთ შინ და ისევ შახტში იმუშაოთ.

ეველინა ელდანაკრავივით წამოხტა, შალი მოისხა, „მადლობელი ვარო!“ ჩაილაპარაკა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

არპადი მიხვდა, რომ მას ვერასოდეს ნახავდა და ცრემლი მოადგა თვალზე.

მაინც რატომ მოვიდა მაშინ, როცა პორტრეტს ვხატავდი?

არპადმა ფრთხილად გამოაღო საწერი მაგიდის უჯრა, რომ დარწმუნებულიყო ხომ არაფერი დაუშავდა ნაჩქარევად დამალულ ყვავილს?

ეს მართლაც ყვავილი იყო.

ოქროსფერთმიანი, ცისფერთვალა მზეთუნახავი!

ამ დროს ისევ გაიღო კარი და არპადმა ისევ დამალა სურათი.

ოთახში არავინ შემოსულა, დედამ თავი შემოყო მხოლოდ და იკითხა:

— არპად, შვილო! ვინ იყო ეს ჰერცოგინია, რა უნდოდა შენთან?

— საწყალი ქალი იყო, დედა, მოწყალება ითხოვა.

— ჰმ! საოცარია, რა ძვირფასად აცვიათ ამ ღარიბებს პარიზში. აბრეშუმის კაბები და თურქული შალი! თუ მიეცი რამე?

— არა, დედა, არაფერი!

— კარგადაც მოქცეულხარ!

ამ სიტყვებით ქვრივმა კარი მოხურა და თავის ოთახში შევიდა, რომ შვილის პერანგზე საყელო მოეკერებინა.

ქვანახშირი!

ეველინა ისე იქცეოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც სიკვდილი არ უნდოდა.

სიკვდილი არ უნდოდა თუნდაც იმიტომ, რომ ექიმმა უთხრა, დიდი ხნის სიცოცხლე არა გაქვსო.

მართალია არპადი ბევრ რამეში მართალი იყო, მაგრამ ერთში მაინც სურდა გაემტყუნებინა, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ საკუთარი ძალით გაიკაფავდა გზას ცხოვრებაში.

ეველინამ იგრძნო, როგორ გაიღვიძა მასში შეუპოვრობამ და თითქოს მიძინებულმა ენერგიამ, როცა სრულიად მარტო დარჩა. მან მტკიცედ გადაწყვიტა ნამდვილი მსახიობი გამხდარიყო, დაემტკიცებინა ყველასათვის, რა შეეძლო, თუკი მოინდომებდა. იმედი მიეცა, რომ მაყურებლის შიშსაც დაძლევდა. იმღერებდა ისე, თითქოს მხოლოდ თავისთვის მღეროდა.

ეველინას იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. ველარ იტანდა უძვირფასეს საწოლს, ვერც უნიკალურ მაგიდაზე და კარადებში მოთავსებულ ნივთებს, სამკაულებს. თითქოს თითოეული მათგანის ხმაც კი ჩაესმოდა: „მერე რა, რომ ოქროსი ვარ, რა ფასი აქვს ამას, თუკი თხუთმეტ გროშად ღირებული ჭიქა მჯობია!“

ამ ფიქრებში გართულს მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა ერთი-ორი საათით.

დილით გაახსენდა, რომ იმ დღეს განმეორებით მიდიოდა

ოპერა, რომელშიც გუშინწინ მღეროდა. გადაწყვიტა ისე ემღერა რეპეტიციაზე, რომ ყველა გაეოცებინა.

ეველინამ მსახურს უბრძანა კარეტა მოერთმიათ თეატრში წასასვლელად, წამოსაყვანად კი ორი საათის შემდეგ მოსულიყვნენ.

როგორც კი ფოიეში შევიდა, რეჟისორი მიესალმა და უთხრა, თქვენს როლს დღეს სხვა პრიმადონა შეასრულებსო.

ეველინას გული მოუვიდა. რატომ წაართვეს როლი, ან რატომ არ შეატყობინეს წინასწარ? რა უტაქტობა იყო!

სამწუხაროდ ამაზე მე ვერ გიპასუხებთო, უთხრა რეჟისორმა და ურჩია, იმპრესარიოსთვის მიმართა.

შეწუხებული ეველინა მაშინვე იმპრესარიოსთან გაიქცა, მაგრამ ვერსად იპოვა, სამაგიეროდ მდივანმა გადასცა მისთვის დატოვებული წერილი, რომლის გაგზავნას ის-ის იყო აპირებდა.

ეველინამ ფოიეში გასვლისთანავე გახსნა წერილი. მას ატყობინებდნენ კონტრაქტის დარღვევას ამასწინანდელი ძალზე ცუდი შესრულების მოტივით.

როგორ გამოვიდა თეატრიდან, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში, ეველინას არ ახსოვდა. გონს რომ მოვიდა, შეეცადა სხვისი თვალით შეეხედა თავისი მდგომარეობისთვის.

საოცარი მომენტია, როცა ადამიანი სხვებისთვის მკვდარია, მაგრამ მაინც ცოცხლებში ითვლება!

იგი თვითონ ყველას ხედავს, მაგრამ სხვები ვეღარ ამჩნევენ.

თვითონ დადის, მოძრაობს, მაგრამ სხეული და სული უკვე აღარ არის ერთად.

საშინელი შეგრძნებაა, როცა გრძნობ, რომ არარაობა ხდები!

ესე იგი, რაც არპადმა უთხრა, სრული ჭეშმარიტება ყოფილა.

რომ მისი ბრწყინვალე წარმატება სხვისი დიდების ანარეკლი იყო და ფარავდა მის შინაგან სიცარიელეს. რომ მომხიბლავი სათამაშო იყო მხოლოდ თაღლითთა ხელში.

ეველინა დიდხანს დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში. ფეხით სიარული ამჯობინა, ვერ გაბედა კარეტის დაქირავება,

ან თუნდაც ეტლისა, ეშინოდა მის თვალებში არ ამოეკითხათ, რომ იგი დღეიდან არარაობა იყო და არ ეთქვათ: „ვინ გადაიხდის საფასურს?“

შინ მისულს ახლა აღარც ის გაუკვირდებოდა, საპარადო შესასვლელთან ვინმეს რომ ეთქვა, აქ აღარ ცხოვრობსო ეველინა. მაგრამ მისდა გასაოცრად აღმოჩნდა ისეთი რამ, რამაც შეძლო მისი გამოფხიზლება.

როდესაც მისი მოსასვენებელი ოთახების მთელი ანფილადა გაიარა და საძინებელში შევიდა, სავარძელში მჯდომი მამაკაცი შენიშნა.

ეს გახლდათ ჰერცოგი ვალდემარი.

ახლა უკვე დროა გაგაცნოთ ჩვენი გმირი რომელიც არაერთხელ მოვიხსენიეთ.

სულით ხორცამდე ჯენტლმენი, დახვეწილი მანერებით, მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი საგულდაგულოდ დავარცხნილი თმით და აპრეხილი ულვაშებით, თხელი ტუჩებით და დიდი თვალებით. ღიმილი ნაკლებად უხდებოდა, გამოხედვა ალერსიანი ჰქონდა, მაგრამ შეურაცხმყოფელი.

— რა გნებავთ აქ, ბატონო? — ჰკითხა მისი დანახვით განრისხებულმა ეველინამ.

— თქვენ გელოდებით, მშვენიერო ქალბატონო! — უპასუხა ჰერცოგმა მშვიდად და არცკი წამოდგა სავარძლიდან, სადაც ასე მოწერხებულად მოკალათებულიყო.

— ვინ მოგცათ აქ შემოსვლის ნება?

— არავისთვის არ მითხოვია ამის ნებართვა!

— მაინც რა უფლებით შემოიჭერით?

— აი ამ უფლებით! — უპასუხა ჰერცოგმა, სერთუკის ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ერთ-ერთ განცხადებაზე მიუთითა, რომელშიც ზოგიერთი სტრიქონი წითელი ფანქრით იყო გახაზული.

ეველინამ ხელის კანკალით წაიკითხა განცხადება.

— ვერ გამიგია, რა არის ეს?

— აქ გაუგებარი არაფერია! — უპასუხა ჰერცოგმა და სავარძლიდან წამოდგა, ბატონი კაულმანის კრედიტორებმა ყადაღა დაადეს თქვენს ქონებას. მან გულმავიწყობით თუ დაუდევრობით თქვენი ქონება მისად გამოაცხადა. თქვენი

აქ არ ყოფნის დროს კანონის აღმსრულებლებმა ოთახები გააღეს და შემოსასვლელში განცხადებაც გამოაკრეს ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ. მეც ამის გამო მხედავთ აქ, როგორც მყიდველი ვათვალიერებ ნივთებს, მთელი ავეჯი დალუქულია.

ეველინამ ირგვლივ მიმოიხედა და დარწმუნდა მწარე სინამდვილეში.

— ბატონო ჩემო, შეუძლებელია! კაულმანმა შესანიშნავად იცოდა, რომ ამ სასახლეში მისი არაფერი იყო.

— მე მჯერა თქვენი. ეს ნოტარიუსის ბრალიცაა, მას თქვენს სახელზე უნდა გაეფორმებინა სასახლე. რაკი კაულმანმა მოიტანა აქ ავეჯი, ჩათვალეს რომ მისი ნაყიდი იყო. ახლა ძალიანაც რომ მოისურვოს, ამას ვეღარც დაგიმოწმებთ, რადგანაც, მეტად უკუღმა დაუტრიალდა ბედის ბორბალი. კალეში მიმავალმა შენიშნა, რომ ვაგონში პოლიცია უთვალთვალებდა, გადახტა დიდი სისწრაფით მიმავალი მატარებლიდან და სული განუტევა.

ეველინა უღონოდ დაეშვა ტახტზე.

— თუ გსურთ ერთი-ორი ცრემლი მაინც დაღვაროთ მისი ხსოვნისათვის, მე გვერდით ოთახში გავალ, ქალბატონო, — ცივად უთხრა ჰერცოგმა და თავი დაუკრა.

ეველინას ხმა არ ამოუღია.

ეშმაკსაც წაუღია!

რახან მოკვდა, განისვენოს. გაქცევისას სიკვდილი ქურდისთვის უკეთესიცაა, ვეღარ ჩამოახრჩობენ. მისმა მეუღლემ კი ალბათ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს ამისთვის. ასე აჯობებს, სამარე თან ჩაიტანს ქმარსაც და მის უნამუსობასაც.

მეტი რა უნდა?

იქნებ საჩივარი შეიტანოს უსამართლოდ ჩამორთმეული ქონების დასაბრუნებლად?

წარდგეს მოსამართლეების წინაშე მოწმეების თანხლებით, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ჩამორთმეული ძვირფასეულობა, მდიდრული სასახლე და ავეჯი ერთი პატივცემული, ხანდაზმული უნგრელი არისტოკრატის საკუთრებაა და არა მეუღლის, რომ მოხუცმა აჩუქა მას როგორც შვი-

ლობილს ყოველგვარი ანგარების გარეშე? დაამტკიცოს თავისი სიმართლე დარბაზის დამცინავ სიცილ-ხარხარში? დაუჯერებს კი ვინმე ამას? ყველას დასაცინი გახადოს თავისი კეთილისმყოფელის და მასთან ერთად საკუთარი სახელიც?

ამას აჯობებს დაკარგოს სასახლეც და ქონებაც!

— მე ტირილს არ ვაპირებ, ბატონო, — მიმართა ეველინამ, — კიდევ რა იცით, რას მახარებთ?

— ბევრი რამ ვიცი! — უპასუხა ვალდემარმა და ბუხრის ვერცხლით შემოვლებულ მესერს დაეყრდნო. — ჰერცოგ ტიბალდს სიძემ და შვილიშვილმა სასამართლოში უჩიელეს და ყოველგვარი საშუალება მოუსპეს თქვენს საქმეებში ჩაერიოს.

— ეს ჩემთვის ცნობილია!

— ამის შედეგად მილიონი ფორინტის აქციებიც სასამართლომ მათ მიაკუთვნა.

— ესეც ვიცი!

— შეიცვალა კაულმანის ფირმის მატერიალური საფუძველი, მაღაროს აფეთქებამ და ხანძარმა, რომლის ჩაქრობაც შეუძლებელია, აქციები გააუფასურა.

— ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

— ისიც უნდა გითხრათ, რომ ვენაში თანამდებობიდან გადააყენეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე, თქვენი ყველაზე ძლიერი მფარველი.

— ნაკლებად მადარდებს მისი ბედი.

— თქვენი მეგობარი, აბატი შამუელი, ეპისკოპოსობაზე რომ ოცნებობდა, მონასტერში დაბრუნდა.

— ესეც დიდი ხანია ვიცი.

— გამოდის, ჩვენ ერთდროულად ვგებულობთ ყველა ახალ ამბავს. შემიძლია მოგახსენოთ ისიც, რომ დღეს იმპრესარიომ გადმოგცათ წერილი თქვენი კონტრაქტის დარღვევის შესახებ.

— აი ის წერილი! — უპასუხა ეველინამ და მაგიდაზე დააგდო დაჭმუჭნილი ქაღალდი.

მიუხედავად სიბრაზისა იგი საოცრად ლამაზი იყო.

— და თქვენ მხოლოდ იმისთვის მოხვედით, რომ ეს გეთქვათ ჩემთვის?

— არა, „მხოლოდ ამისთვის“ არა, მინდა ჭკვიანური რჩევა მოგცეთ. როგორც ხედავთ, ყველაფერი რაც აქამდე ფერად სიზმრებში გხვევდათ, კრახით დამთავრდა.

ბონდავარის მაღარო იწვის, აქციები გაუფასურდა, ჰერცოგს აპეკუნი დაენიშნა, მეუღლე გაიქცა და დაიღუპა, მაქსიმილიანის ქუჩაზე ვენის სასახლე დაკავებულია, პარიზის ქონება იყიდება საჯარო ვაჭრობით, თეატრში დაირღვა კონტრაქტი. ამ დრამის ყველა მოქმედება დამთავრებულია. ტაშით გავაცილოთ იგი და თუ თქვენი ნებაც იქნება დავიწყოთ ახალი. მე დაგიბრუნებთ ყოველივეს. სასახლეს მაქსიმილიანის ქუჩაზე, ძვირფასეულობას, განვაახლებ კონტრაქტს უფრო ხელსაყრელი პირობებით, გარანტირებული გექნებათ ტრიუმფი დ ყველგან თქვენს გვერდით იქნება თქვენი ერთგული მსახური, რომელიც გაღმერთებთ ყველა იმათზე მეტად, ვინც აქამდე გეხვიათ ირგვლივ. მისი სახელია ჰერცოგი ვალდემარ ზონდერსჰაინი.

ამ სიტყვებით მდაბლად თავი დაუკრა ეველინას.

ეველინა უხმოდ, ზიზღით მიაჩერდა ჰერცოგის ფეხსაცმელს.

ვალდემარმა უკვე მდგომარეობის მეუფედ წარმოიდგინა თავი, მით უფრო, რომ ეველინა სდუმდა. მან ჟილეტის მარჯვენა ჯიბიდან საათი ამოიღო და ხელში ჩაუდო ეველინას.

— ქალბატონო, ჩვენთვის დრო ძალიან ძვირფასია, ბირჟაზე მელოდებიან. კაულმანის საწარმო უნდა გავაუქმო. ახლა ზუსტად თორმეტი საათია. ერთ საათს გაძლევთ მოსაფიქრებლად. თვითონ გადაწყვიტეთ თქვენი მომავალი. ერთ საათში მე დავბრუნდები პასუხისათვის. მითხარით ან „ჰო,“ ან „არა“.

ეველინამ უფრო სწრაფად უპასუხა, ისეთი ძალით მოისროლა საათი კუთხეში, რომ ნამსხვრევებად აქცია სრულიად უდანაშაულო ნივთი.

ეს იყო მისი პასუხი.

ჰერცოგს გაეღიმა, მარცხენა ჯიბიდან მეორე საათი ამოიღო და ჩურჩულით უთხრა:

— მე ველოდი თქვენგან ასეთ პასუხს, ამიტომ სხვა

საათიც წამოვიღე. გთხოვთ ესეც გატეხოთ, მესამეც მაქვს.

მაგრამ ეველინას საათისთვის ხელი აღარ მოუკიდია, განრისხებულმა ეს უთხრა მხოლოდ:

— თუ თქვენ ჩემი ავეჯი იყიდეთ, შეგიძლიათ წაიღოთ, ეს ბინა კი ჯერჯერობით ჩემია, მიბრძანდით აქედან!

ჰერცოგმა ვალდემარმა ჩვეული ღიმილით ამაყად დაუკრა თავი:

— ამის თქმა ადვილია, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, მაგრამ ერთი წუთით დაფიქრდით, რა გელით, მეც თუ ხელს მკრავთ. უსახლკაროდ დარჩებით.

— მე კიდევ მაქვს თავშესაფარი! — მწარედ უპასუხა ეველინამ, იქ ყოველთვის შემიძლია დაბრუნება!

— რომელი თავშესაფარი?

— ქვანახშირი!

ჰერცოგმა ვალდემარმა თავი დაუკრა, ქუდი დაიხურა და უხმოდ გაშორდა იქაურობას.

ქალბატონი, რომელმაც ქვანახშირი ამჯობინა ძვირფას სასახლეს, არავის მეგობრობას არ საჭიროებდა.

იმავე საღამოს ეველინამ ოქრომჭედელს ბრილიანტის საყურეები მიუტანა. ეს იყო ერთადერთი სამკაული რაც მას დარჩა. ფული არ გამოურთმევია, მთლიანად ოქრომჭედლს დაუტოვა და თხოვა პერლაშეზის სასაფლაოზე მისი ძმის სამარეზე წელიწადში ორჯერ დაებარა მიწა და ყვავილები დაერგა მიცვალებულების ხსოვნის დღეს. ისიც უთხრა, რომ თვითონ ძალიან შორს მიემგზავრებოდა. იგი მართლაც შორს გაემგზავრა.

მეორე დღეს დილით სენის სანაპიროზე იპოვეს ქიშმირის კაბა. ეველინას მოსამსახურემ ამოიცნო მისი ქალბატონის ტანსაცმელი.

ჰერცოგი ვალდემარი დიდ გასამრჯელოს შეპირდა იმას, ვინც მის გვამს იპოვიდა. მაგრამ ეველინამ შესძლო ისე გადაემალა თავისი სხეული, რომ ვერავინ იპოვა.

ან იქნებ ეს მხოლოდ თვალის ასახვევად იყო მოწყობილი, იქნებ ეველინამ შეასრულა თავისი საბოლოო სიტყვა და თავი შეაფარა ქვანახშირს.

ჰერცოგ ვალდემარს ამის შემდეგ აღარაფერი სმენია ეველინას შესახებ, რომელსაც ექვსი კვირის განმავლობაში შავი ძაძებით მოსილნი გლოვობდნენ თვითონაც და მისი მსახურებიც.

გერძენი ჩანტას ანდერძი

ბონდავარის აქციები სამოცი პროცენტის მოგებით იყიდებოდა და მოსალოდნელი იყო კურსის კიდევ უფრო აწევა. ბაგრამ ბატონ ჩანტას უკვე თავი მოაბეზრა ამდენმა მოგებამ. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, ადამიანი გაუმაძღარი არ უნდა იყოს და მთელი ქვეყნის ხელში ჩაგდება არ უნდა მოისურვოსო. წელიწადში სამოცი ათასი ფორინტის მოგება და ისიც ყოველგვარი შრომისა და გარჯის გარეშე, სავსებით საკმარისი იყო.

გარდა ამისა, სიმართლე უნდა ითქვას, რა შიშსა და კანკალში ატარებ მთელ წელიწადს, როცა სარდაფი ოქროთი და ვერცხლით აღარა გაქვს სავსე. აბა ერთხელ მაინც გამოსცადეთ რა ძნელია ასეთი რამ! ვერ დაიძინებთ მშვიდად, როცა ტალერებზე არ წევხართ!

ბატონმა ჩანტამ გადაწყვიტა შპიცჰაზეს რჩევისათვის ყური აღარ ეთხოვებინა და თავისი აქციები ნელ-ნელა გაეყიდა. ისედაც დიდხანს არ შეცვლილა ბირჟაზე მათი კურსი.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბატონმა ჩანტამ უკვე თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა გადაწყვიტა, კაფეში ახალი გაზეთი გაშალა და როგორც წესი, ბოლოდან დაიწყო კითხვა. საერთოდ საბირჟო ახალი ამბები ბოლოში ქვეყნდებოდა. პირველი, რაც მან წაიკითხა, ეს იყო მეტად მოკლე განცხადება:

„ბონდავარი: სამოცი პროცენტის ფასდაკლებით“.

„შეხედე, ერთი! რა შეცდომაა! გაზეთის ამწყობი ალბათ ბოვრალი იყო, სული უნდა ამოხადო ცემით! თუკი ვენაში მონარქის სამართლიანობა და პოლიცია კვლავ არსებობს, კატორღაში უნდა უკრან თავი ასეთ არამზადას! განა შეიძ-

ლება ხალხს ასე გაუხეთქო გული! ასეთი რამ სად გაგონილა!“

შემდეგ ყველა სხვა გაზეთი გადაათვალიერა და დარწმუნდა, რომ ყველა გაზეთის ამწყობს იმ დღეს პირი შეეკრათ, დამთვრალიყვნენ და ველარ გაერჩიათ „60 პროცენტის ბოგებით“, „სამოცი პროცენტის ფასდაკლებისაგან“.

როგორ შეიძლებოდა ასეთი ხუმრობა, მით უფრო რომ პირველ აპრილამდე ჯერ ბევრი დრო იყო.

მაინც გადაწყვიტა ყოველ შემთხვევისთვის შეემოწმებინა, რა ხდებოდა ვენაში და დეპეშა გაუგზავნა შპიკჰაზეს. მაგრამ ფოსტაში მისულს უკვე შპიკჰაზეს შემდეგი შინაარსის დეპეშა დაუხვდა:

„დიდი უბედურება დაგვატყდა თავს... ბონდავარის მაღარო იწვის... დიდი პანიკაა... აქციები 60 პროცენტის ფასდაკლებით იყიდება... არცერთი აქცია არ დაიტოვოთ... გაყიდეთ...“

„ფუი, დაგექცათ ოჯახი! — შეიგინა ბატონმა ჩანტამ — გაყიდეთ ყველა აქცია! სამოცი პროცენტის ფასდაკლებით ეს სამოცი ათასი ფორინტის ზარალს ნიშნავს. უკვე დროა თოკს ვეძებდე თავის ჩამოსახრჩობად! შარშანდელი თოვლივით გაქრა ექვსი კასრი ვერცხლი! ჩამოვალ ვენაში და ყველას ამოგხოცავთ! როგორც გინდათ დამიბრუნეთ ჩემი ფული!“

ჩანტა გაცოფებული ხარივით ეხეთქებოდა იქით-აქეთ. ამოყარა სკივრიდან მთელი აქციები და ფეხებით შედგა ზედ. გონებაარეული დარბოდა და ღრიალებდა: „არც ერთს არ გაგიშვებთ ცოცხალს თქვე არამზადებო! ქვას ქვაზე არ დავტოვებ!“

ხევდა და გლეჯდა ყველაფერს, ვიდრე ერთი ქაღალდი არ მოხვდა ხელში.

„აჰა, აი ჩემი მხსნელი! რას ვღრიალებ სულელივით, გაწა რა მოხდა ასეთი! აი, ჩემი დისწულის წერილი! კიდევ კარგი, რომ არ დავუბრუნე მაშინ! აქ მწერს, რომ როცა კი მოვისურვებ, იყიდის ათას აქციას ჩემგან, როცა მე ამას მოვითხოვ! ნამდვილი გენიოსი ვარ, ეს რომ შევინახე და ჩიბუხი არ ავანთე მისით... მაინც რა ჭკუის კოლოფი ვარ, ნამ-

დვილი წინასწარმეტყველი! ეს პატარა ქაღალდის ნაგლეჯი დამიფარავს განსაცდელისაგან! ერთ ფორინტსაც არ ვიზარალებ!

ისევ სათითაოდ ჩააწყო აქციები სკივრში, ძვირფასი წერილიც ზედ დაადო და სრულიად დამშვიდდა. შემდეგ დაჯდა და მისწერა თავის დისწულს, რომ სურდა აქციების გაყიდვა, სთხოვა გამოეგზავნა ვინმე ან ძველი მეგობრობის ნიშნად, შეიძლებოდა თვითონაც ჩასულიყო და ჩაეტანა, ოღონდ მას უნდა მოეწერა შეხვედრის ადგილი. წერილი პარიზში გაგზავნა.

მთელი კვირა ელოდა პასუხს ბატონი ჩანტა, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ შპიცჰაზე ყოველდღე უგზავნიდა დეპეშებს და აჩქარებდა აქციების გაყიდვას, მათი ფასი ყოველდღე ათი ფორინტით კლებულობსო. კვირის ბოლოს აქციებში ოთხმოც ფორინტს ძლივსღა იძლეოდნენ, ისიც იშვიათად თუ იყიდდა ვინმე. მოწინააღმდეგე პარტია გამარჯვებას ზეიმობდა.

ბატონი ჩანტა შპიცჰაზეს რჩევას აინუნშიც არ აგდებდა.

„წერე რამდენიც გინდა! მე რა მენაღვლება, თავი ქუდში მაქვს! აქციები თქვენია და უკანვე გიბრუნებთ, მე კი ჩემი ვერცხლი მომეცით!“

და იგი ყოველდღე მხიარული და უდარდელი შედიოდა კაფეში, თითქოს მთელი ეს აურზაური მას ვერაფერს დააკლებდა.

მერვე დღეს კი, როცა ერთ-ერთ გაზეთში პარიზიდან მიღებული ცნობა წაიკითხა ფირმის თავკაცის ფელიქს კაულმანის დაღუპვის შესახებ, რომ იგი გაქცევით ცდილობდა თავის დახსნას უამრავი მევალისაგან, რომ იგი კალეში მიმავალი მატარებლდან გადმოხტა და იქვე სულიც განუტევა, ბატონ ჩანტას კინაღამ დამბლა დაეცა.

მან მაშინვე დეპეშა აფრინა შპიცჰაზესთან, რომ მისი აქციები ოთხმოც ფორინტად გაეყიდა, თუ ეს უკვე შეუძლებელი იყო, როგორც არ უნდა ყოფილიყო გაეყიდა, ფასს აღარ დაეძებდა, ოღონდ თავიდან მოეცილებინა.

შპიცჰაზემ მოსწერა:

„გვიან იღეთ ყურად ჩემი რჩევა! სამოცდაათსაც აღა-

რავინ იძლევა. აღარც მაღაროა, აღარც რკინიგზა, ყველაფერი დაიღუპა! რატომ არ გაყიდეთ აქციები ერთი კვირის წინ, როცა გირჩიეთ! ახლა შეგიძლიათ ისინი ან ღუმელში ჩაყაროთ, ან ჩიბუხს მოუკიდოთ ცეცხლი!"

„დავიღუპე!" — აღმოხდა ბატონ ჩანტას.

„წავალ შინ. დავწვები. მოვკვდე ეგება. რიღასთვის ვიცოცხლო. რაღა ფასი აქვს ამის შემდეგ ჩემს სიცოცხლეს".

გამოეთხოვა ყველა ნაცნობს. გადაწყვიტა თავი არ მოეკლა, ისედაც ამოხდებოდა სული დარდისაგან, ისე როგორც სხვები კვდებოდნენ რაიმე ავადმყოფობით.

ხომ კვდებიან ადამიანები თუნდაც ორპირი ქარისაგან, იწამლებიან ძველი საჭმლით. განა შეიძლება ვინმემ გაუძლოს ასეთ ტკივილს?

გაქრა ორასიათასი ფორინტი!

ხუმრობა ხომ არ იყო! რა თავში იხლიდა ამ მატყუარა ფორინტებით მოხატულ ქაღალდის ფურცლებს, დღეს რომ წითელია და ხვალ კი მწვანე! ნამდვილი, წკრიალა ვერცხლის მონეტები აღარ ჰქონდა, ათასი წლის შემდეგაც რომ არ დაკარგავდა ფასს!

ბატონი ჩანტა ისე ცუდად გახდა, შინ გააცილეს. მარტო ალბათ სახლს ვეღარც მიაგნებდა, ერთი ქუჩიდან მეორეში იხეტიალებდა და ყველა კარზე დააკაკუნებდა. ყველა იფიქრებდა, ზედმეტი დაულევია და სახლის გზას ვეღარ აგნებსო.

ჩანტამ ითხოვა, სარდაფში ჩამიყვანეთ მდინარის პირასო, უნდოდა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ აღარაფერი იყო იქ, რომ აღარ იყო ვერცხლით სავსე კასრები.

ერთიც კი აღარ არის! ყველა გამატანინა აქედან ჩემი ხელით ქალაქელმა არამზადამ!

ო, რატომ მოიტეხა კისერი, რატომ? რატომ არ მისცა განგების ძალამ იმდენი კისერი, რამდენი კასრიც აქედან გამატანინა!

მერედა, რა ლამაზად ეწყო აქ კასრები ერთმანეთის გვერდით, ოციანები ცალკე, ფორინტიანები ცალკე. ერთში საიმპერიო ტალერები იყო, მეორეში ღერბიანი.

არაფერი არ შეედრება ვერცხლის მონეტებს, ყოველგვარ დროს უძლებს! იცვლებიან მეფეები, ეწყობა რე-

ვოლუციები, მონეტები კი მონეტებად რჩება. რა ახალი კანონიც არ უნდა გამოსცეს ავსტრიის იმპერატორმა ან უნგრეთის მთავრობამ, ეს მათ არ ეხება.

ასეთი ძვირფასი განძი თავისი ხელით ამოიტანა სარდაფიდან! იმ საიმედო სარდაფიდან, სადაც ვერც ერთი ქურდი და ავაზაკი ვერასოდეს შეაღწევდა. საკმარისი იყო ღილაკზე ხელის დაჭერა და ყველა და ყველაფერი წყალში ჩაიძირებოდა. — შემოუშვით წყალი სარდაფში! — არაადამიანური ხმით ამოიხრიალა ჩანტამ,— წალეკოს აქაურობა და ჩაახრჩოს ყველა, ვინც აქ ცხვირს შემოყოფს.

გვიანია უკვე!

ადრე უნდა გამეშვა წყალი! სანამ ყველა კასრი ადგილზე იყო, რომ თვითონ მეც კი ვერ შევხებოდი. ახლა ხომ ისევ აქ იქნებოდა ჩემი ვერცხლი!

ბატონმა ჩანტამ ნება დართოთ ტანსაცმელი გაეხადათ მისთვის და ლოგინში ჩაეწვინათ. ითხოვა, მღვდელი მოეყვანათ აღსარების მოსასმენად და ზიარებისათვის.

შემდეგ მაგისტრატიდან ჩინოვნიკები იხმო ანდერძის შესადგენად. მას კიდევ გააჩნდა არცთუ ისე მცირე ქონება, მაგრამ იმ დაკარგულ განძთან შედარებით ეს არაფერი იყო.

ამ ქუჩაზე ყველა სახლი მიტოვებულ ეკლესიას დაუტოვა, რომელიც ახლა ცარიელი იყო და შიგ აღარავინ შედიოდა, კარიბჭესთანაც ფილებს შორის ბალახი ამოსულიყო. მის ეზოში ხუთშაბათობით სკოლის ბიჭები თუ ითამაშებდნენ ფეხბურთს.

დაე, ისევ ჰყოლოდა ეკლესიას თავისი მღვდელი, ზარის მრეკელი და ყარაული. ყოფილიყო წირვა და ზარის რეკვა, ყარაულსაც ისევ ისე გაეღო კარი, როგორც მაშინ, როცა ათობით და ასობით მორწმუნე შემოაბიჯებდა აქ, მამაკაცები ვერცხლისღილებიან კამზოლებით, ქალები აბრეშუმის შლეიფიანი კაბებით, ისინი, ვისაც შთამომავლობა არ დაუტოვებიათ.

დაე, ეკლესიას ემსახურა იმის ნიშნად, რომ ყველა ისინი „იყვნენ!“

სახლი მის გვერდით დაებრუნებინათ იმ ქვრივისათვის, რომელიც ერთადერთი ქალიშვილი იყო უკანასკნელი ბერ-

ძენისა ამ ქალაქში. ეს სახლიც საჯარო ვაჭრობით შეისყიდა.

და როგორც, ღმერთია მოწამე, წლების მანძილზე დავობდა ამ ქალთან რაღაც ქაღალდზე, რომლის ფასი ყოველდღიურად იცვლება, იგი მასვე უტოვებდა მემკვიდრეობად ვაჟიშვილთან ერთად ამ საზიზღარ ქაღალდებს, რომელთაც „ბონდავარის აქციები“ ჰქვია. ამათ მოუღეს მას ბოლო! დაე, ხყოს ეს ქაღალდები იმ ქალისა და მისი ვაჟიშვილის საკუთრება. თუ მათი ფასი დაეცემა, ნუ ინაღვლებენ, თუ აიწევს, დაე გამდიდრდნენ.

ანდერძი წესისამებრ თავისი ბეჭდით დაბეჭდა, ხელი მოაწერა, ნაცნობებსა და მსახურებს დაურიგა უკანასკნელი ვერცხლისა და ოქროს მონეტები, სთხოვა, ზარები დაერეკათ ყოველ ორ საათში და თუ ვინმე იკითხავდა ვისთვის რეკავდნენ, ეთქვათ, რომ გარდაიცვალა მოხუცი ჩანტა.

ამ სიტყვებით ყველა დაითხოვა.

მეორე დილით მკვდარი ნახეს.

გვამს ძალადობის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა. იგი დარდს გადაყვა. ისე, როგორც შეიძლება მოკვდეს ხანდაზმული კაცი ცოლის სიკვდილის შემდეგ, რომელთან ერთადაც შეაბერდა ცხოვრებას ან ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს, რომ აღარ ღირს სიცოცხლე და საკუთარი სურვილით ტოვებს ამ ქვეყანას.

როცა ფეხქვეშ მიწა იწვის

. თანდათან სრულდებოდა პეტრე საფრანის წყევლა: „ბალახმა ვერ იბოგინოს ამ მიწაზე!“

ბალახი, მართალია, ჯერ ისევ ბიბინებდა მინდორ-ველზე, მაგრამ მიწის ქვეშ რაღაც ენით უთქმელი და აუწერელი ხდებოდა.

აქციონერთა საზოგადოებამ ხანძრის საწინააღმდეგოდ ასეთი საშუალება გამოიგონა, ამოქოლეს ყველა ჩასასვლელი, გასასვლელები ორმოებსა და წოლხვრელებში. ჰაერი რომ აღარ ჩავა გარედან, მიწისქვეშა ხანძარი ნელ-ნელა თავისით ჩაქრებაო.

მაგრამ ახალმა დაბრკოლებამ იჩინა თავი: გამოილია ქვახანშირის მარაგი, ვეღარ ახურებდნენ ბრძმედებს. ირგვლივ ტყეებში უამრავი ხე იყო, მაგრამ შეშით გახურება ვერ შეძლეს მებრძმედეებმა და თუჯი ვერ ჩამოასხეს. რკინიგზის ლიანდაგის ნაცვლად ქარხნის ეზო გაფუჭებული ლითონის მასით იყო სავსე.

ქარხანაში ხომ საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანეს უამრავი გამოუცდელი, არაფრის მაქნისი მუშა, ლოთებიც კი, ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ ქარხანაც და მთელი საწარმოც სრული დატვირთვით მუშაობდა. მაგრამ სულ მალე მათთვის ნათელი გახდა, რომ დათქმულ ვადებში ვერ მიაწვდიდნენ ლიანდაგებს სარკინიგზო კომპანიას. თავის მხრივ რკინიგზის მშენებლებსაც დიდი უსიამოვნება შეხვდებოდათ, დროზე თუ არ ჩააბარებდნენ რკინიგზას.

ასე მიექანებოდა სულ ქვემოთ ერთმანეთზე დამოკიდებული აქციონერული საზოგადოების მაღაროსა და სარკინიგზო კომპანიის საქმეები და ხსნაც არსაიდან იყო.

ბოლოს ერთის გამგეობამ მეორე, რომ იტყვიან, კედელთან მიაყენა და აიძულა ეღიარებინა, აუცილებელი იყო სასწრაფოდ ქვანახშირის ყიდვა სადაც არ უნდა ყოფილიყო და რა ფასადაც არ უნდა დაჯდომოდათ. გადაწყვიტეს იქვე ბონდას ველზე მეზობელი ბერენდისაგან შეეძინათ ქვანახშირი. მისი მაღაროო მთელი წელიწადი მუშაობდა და ქვანახშირი კი არ გაუყიდია.

ბატონმა რენემ გაბედა მიეწერა ბერენდისთვის, მაგრამ რამდენი წერილიც არ გაუგზავნა, ყველა გაუხსნელი დაუბრუნდა.

როცა სხვა გამოსავალი აღარ იყო, ბატონი რენე პირადად ეახლა ივანს და ქვანახშირი სთხოვა.

ეს ვიზიტი მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ორ წუთსაც არ გაევლო, რომ ივანმა ჯერ თვითონ რენე ისროლა სახლიდან, შემდეგ მისი ქუდი და მიაძახა: „მაბეზღარებთან არ მსურს ლაპარაკიო“.

არავინ იცის რაიმე შეურაცხყოფა თუ მიაყენა ივანმა ბატონ რენეს, ერთი კი ცხადია, მას არ შეუტანია საჩივარი სასამართლოში ივანის წინააღმდეგ. ამის ნაცვლად დაწერა

ოსსენებითი ბარათი დირექციისადმი, სადაც აღნიშნა, რომ ერენდი მეტად ანგარებისმოყვარულია, განზრახული აქვს სარგებლოს აქციონერთა მაღაროში მომხდარი კატასტროფით, არაფრის გულისთვის არ აძლევს მათ ქვანახშირს, თვითონ კი შეუჩერებლივ უშვებს რკინიგზის ლიანდაგებს იმის იმედით, რომ კომპანია ბოლოს იძულებული გახდება უმაღლეს ფასებში იყიდოს მისი პროდუქცია.

საოცარია, როგორ შეძლო ბატონმა რენემ სულ რაღაც ორ წუთში ასეთი ამომწურავი, ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიღება. ამ დროში ხომ მისალმება და დამშვიდობებაც უნდა ვიგულისხმოთ, თუმცა, ეს უკანასკნელი ძალზე ხანმოკლე იყო.

ამ მიმოწერის შედეგად ბატონმა რენემ ერთს მიაღწია მხოლოდ, რკინიგზის მშენებლობის გამგეობამ უშუალოდ მიმართა თხოვნით ივანს დაემზადებინა ლიანდაგები საკმაოდ მაღალ ფასებში და ივანს ამაზე ორჯერ მეტი ფასიც რომ მოეთხოვა, ალბათ დათანხმდებოდნენ.

ახლა მიწა ყველას ფეხქვეშ იწვოდა. ივანის მუშებს კი გარანტირებული ჰქონდათ დიდი მოგება. აქციონერთა მაღაროში გაქცეულთაგან ბევრი ითხოვდა დაბრუნებას, მაგრამ ყველას აღარ ღებულობდნენ.

ივანის „ერთგულთა“ კომისია ხმის უმრავლესობით წყვეტდა უკანდაბრუნებული აღედგინათ სამუშაოზე, თუ ახალი მიეღოთ. მათი „უარი“ საბოლოო იყო, რაც დასახლებიდან განდევნასაც ნიშნავდა და თვით ივანსაც არ ჰქონდა მათი შეწყალების უფლება. ახლადმიღებულს ჯერ ერთი წელი მარტო ხელფასზე უნდა ემუშავა. მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელებდა კომისია მიეღოთ თუ არა მუდმივ მაცხოვრებლად მუშათა დასახლებაში, ხოლო ეკუთვნოდა თუ არა წილი მომავალი წლის მოგებიდან, ამას უკვე საერთო კრება გადაწყვეტდა.

ივანის მაღაროს მუშაობა საათივით იყო აწყობილი და საქმე კარგად მიდიოდა. მუშებიც გულიანად მუშაობდნენ, თავს მასთან ერთად მაღაროს ბატონ-პატრონებად თვლიდნენ: წუნს იშვიათად თუ გამოუშვებდა ვინმე, გაიზარდა ხელფასიც, ერთ წუთს არ კარგავდნენ უქმად. სრული წესრიგი

დაცული იყო ყოველგვარი ძალდატანებისა და ზედამხედველობის გარეშე.

ერთი რამ აფიქრებდათ მხოლოდ, ხომ არ უქმნიდა ხანძარი საფრთხეს მათ მაღაროსაც?

რა თქმა უნდა, უქმნიდა.

შრეებზე დაკვირვებით შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, რომ ხანძარი ბონდას ველის მიმართულებით მიიწევდა. შესაძლოა წლებსაც კი გაევლო, სანამ აქამდე მოაღწევდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ივანის ქვანახშირს იგივე მოელოდა. ცეცხლის ალში ისევე ჩაიფერფლებოდა, როგორც მეზობელ მაღაროში.

დედამიწის წიაღის უდიდესი განძეული განწირული იყო დასაღუპავად!

ბონდავარის ტრაგედიის წყალობით მიწისზემოთაც ბევრი რამ დაიღუპა.

აქციონერული საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა ნაღდი ფულით თვითონ შეესყიდა გაუფასურებული აქციები და ამით ორნაირი მოგება მიეღო: ჯერ ერთი თავის ფასთან შედარებით იაფად შეიძენდა, მეორეც, შეაჩერებდა კურსის დაცემას.

მაგრამ ამითაც ვერაფერს გახდნენ, სარეზერვო კაპიტალი დააქუცმაცეს მხოლოდ და სალაროში აუცილებელი ხარჯებისთვისაც აღარ დარჩათ ფული.

მოწინააღმდეგე პარტიამაც მთელი ძალით შემოუტიათ:

ჰერცოგმა ვალდემარმა კარგად იცოდა, რა შეეძლო ამ საქმეში გაზეთებს და უამრავი სენსაციური მასალა მიაწოდა მათ მიწისქვეშა ხანძარზე. დაიბეჭდა სტატიები იმის შესახებ, თუ როგორ სკდებოდა მიწა ბონდავარის გორაზე, როგორ ამოდიოდა საშიში გაზი მიწის წიაღიდან და როგორ ლურჯად უცვლიდა ფერს წითელ ყვავილებს. როგორ გადახმა მინდვრებზე ბალახი ძირფესვიანად და როგორ ჩამოცვივდა ტყეებში ფოთლები ხეებს ჯერ კიდევ გაზაფხულზე. როგორ განცვიფრდნენ საუკეთესო თიხნარი მიწის ხვნისას, როცა წითელი ბელტები ამოაბრუნა სახნისმა. ორმოს თუ ამოთხრიდნენ, ფსკერი გამომწვარ აგურს ემსგავსებოდა. ბონდავარის სასახლის ჭაში წყალი გათბა და გოგირდის სუნი მიეცა, შემდეგ შემცირდა,

აორთქლდა და ერთი ᲬᲕᲔᲗᲘᲪ აღარ დარჩა. ბოლოს ᲭᲘᲡ ქვებზე გვარᲯᲘᲚᲘᲡ ნალექი გაჩნდა, რაღაც ახალი, ᲯᲔᲠ კიდევ უცნობი კრისტალების სახით.

ანტიკვარული მაღაზიების ვიტრინებში და ნატურალისტებთან გამოფენილი იყო ქვებზე მიწებებული გამომწვარი თინა და დამწვარი თიხის გოროხები, მოწითალო წიდის ნატეხები, უცნაური კრისტალები. მეცნიერები და გეოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ეს ნამდვილად მიწისქვეშა ხანძრის შედეგად მᲔᲓᲔᲑᲣᲚᲘ ნივთიერებები იყო.

ამაოდ ცდილობდნენ აქციონერები დაემტკიცებინათ, რომ ეს ყოველივე სიცრუე იყო, რომ ბონდავარში ბალახიც ბიბიწებდა, ტყეებიც ამწვანებული იყო და რომ ეს გამომწვარი საგნები დუტვაილერის მთიდან და პლანიტზის მაღაროდან ამოᲰქონდათ, რომელიც უკვე ასოცი წელი იყო, იწვოდა.

არაფერმა გაᲫრა. შეშინებულ კაცს უარესის უფრო სᲯეროდა.

ფაქტი იყო, რომ ბონდავარში მიწისქვეშა ხანძარი მძვინვარებდა. და ახლა თუ არა, ათი, ოცი წლის შემდეგ მაინც ყველაფერი მოისპობოდა და აღიგვებოდა მიწისაგან პირისა.

ᲰᲔᲠᲪᲝᲒ ვალდემარს ახალი სენსაციური ამბების ამოუწურავი მარაგი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ და შეძლო ის, რომ აქციების ფასი ოცდაათ, ოც ფორინტამდე დასცა, მაგრამ მისი სრული განადგურება უნდოდა. ბოლოს იმასაც მიაღწია, რომ ამ უზარმაზარი საწარმოს აქციები იმ ქაღალდზე იაფად იყიდებოდა, რომელზედაც იყო დაბეᲭᲓᲘᲚᲘ.

საოცარია საბირჟო თამაში!

ათასობით ადამიანი გაღატაკდა. ეს ის საწყალი ხალხი იყო, ერთი წლის წინ თავიანთი დანაზოგით ბონდავარის აქციებს რომ ყიდულობდა: ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ, მეწერილმანეები, მოსამსახურეები, ᲥᲕᲠᲘᲕ-ᲝᲑᲚᲔᲑᲘ, უკანასკნელი კაპიკები რომ გაიმეტეს დიდი მოგების მოლოდინში. დღეს თითოეული მათგანი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა.

ის ბატონებიც კი, ვინც ადრე კარეტებითა და ეტლებით დაბრძანდებოდნენ, ახლა ფეხითმოსიარულე ღატაკებად იქცნენ.

მოწინააღმდეგეთათვის ათასობით ადამიანის ეს უბედურება გართობა იყო მხოლოდ.

აქციოტაჟი ბირჟაზე ისევ გრძელდებოდა, აქციების კურსი სულ უფრო და უფრო ეცემოდა. მალე ალბათ ჰერცოგი ვალდემარი ხმამაღლა განაცხადებდა: „ვის სურს ბონდავარის აქცია ათ ფორინტად?“

სატირლად გაუხდათ საქმე არა მარტო საწყალ ხალხს, დაზარალდა და საფუძველი შეერყა დიდი ბატონების ქონებასაც. მათ შორის იყვნენ ჰერცოგი და გრაფინია ბონდავარიც. მათი უზარმაზარი მამულიც კრედიტორების ხელში გადავიდა. აიჩეხა ასწლოვანი ხელუხლებელი ტყეები, პარკები, სანადირო ადგილები, გაიყიდა საქონელი, ცხენის ჯოგები, მერინოსისმატყლიანი ცხვრის ფარები. ყოველ გოჯ მიწაზე ხორბალი დათესეს.

გრაფინია ტეუდელინდას შეუწყვიტეს მისი კუთვნილი ორმოცი ათასი ფორინტი წლიური შემოსავალი.

ფულის შემცირებამ ოჯახური უსიამოვნებანი წარმოშვა. ტეუდელინდას უფულობა ყველაზე მეტად გრაფინია ანგელას ოჯახს დაეტყო.

მარკგრაფი შალიშტა ცოლის შერთვის შემდეგ ფულის განიავების მეტს არაფერს აკეთებდა. დარწმუნებული იყო, რომ ცოლის მზითევი, ოცი მილიონი, არასოდეს გამოელეოდა. ახლა ამ აზრის შეცვლა მისთვის არც ისე იოლი იყო და მეუღლეებს შორის ამ ნიადაგზე არა ერთი ოჯახური სცენა გაიმართა.

გრაფინია ანგელას თავი ისე ეჭირა, თითქოს ქმარი აირჩია არა მისი ღირსებებისათვის, არამედ სიჯიუტის გამო.

ეს ყველამ იცოდა.

ივანსაც უნდა სცოდნოდა.

მაგრამ მას ახლა სხვა საზრუნავი ჰქონდა, მის ფეხქვეშ მიწა იწვოდა.

ბავშვური თამაში

შუა საკონცერტო სეზონში ბელენებმა მიიღეს ოფიციალური წერილი, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ ბატონი ჩანტა გარდაიცვალა და ანდერძით დაუტოვათ თავიანთი ყოფილი სახლი, რომელიც ადრე სასამართლომ მას მიაკუთვნა ვალების გადაუხდელობის გამო.

ალბათ ბეთჰოვენი, მოცარტი და ჰაიდნი რომ დალოდებოდნენ მას კვარტეტის დასაკრავად, იმაზე უფრო სწრაფად ვერ დატოვებდნენ პარიზს, როგორც ახლა, როცა კვლავ მშობლიური სახლი უნდა ეხილათ. ამან ბელენის ქვრივს საკონცერტო ჰონორარიც კი დაავიწყა.

„ნეტავ თუ დგას ისევ მტირალა ტირიფი ჭასთან? თუ უვლის ვინმე ხეხილის ბაღს? ძველებურად თუ ყვავის ლანდიში გალავანთან, ან სხვა ყვავილები ნაკადულთან?“

ეს იყო ახლა ორივესთვის მთავარი!

აბა როგორღა დაკარგავდნენ თუნდაც ერთ დღეს. ძნელი იყო იმის თქმა, რომელს უფრო ეჩქარებოდა დაბრუნება, დედას თუ ვაჟიშვილს. გზაში ისე ჩქარობდნენ, კრედიტორებისაგან გამოქცეულები გეგონებოდათ, ერთხელაც კი არ შეუსვენიათ. მზე ახალი ჩამოსული იყო ქალაქ X-ში რომ შევიდნენ.

ანდერძის აღმსრულებელი ამ დროს კაზინოში იჯდა და ჰრეფერანსს თამაშობდა. იგი იძულებული გახდა პარტნიორები მიეტოვებინა და დაუყოვნებლივ წაჰყოლოდა დედა-შვილს მათი კანონიერი უფლების მისანიჭებლად.

გზაში ბელენის ქვრივი ათას შეკითხვას აძლევდა, აინტერესებდა მისი მშვენიერი ოთახი ქუჩისკენ გამავალი ფანჯრებით სავაჭროდ ხომ არ გადააქცია ბატონმა ჩანტამ, ან ერთი ოთახი მაინც თუ იყო თავისუფალი, რომ პირველივე ღამე საკუთარ ჭერქვეშ გაეთია.

ანდერძის აღმსრულებელმა წარმოუდგენლად გაახარა იგი, აუხსნა, სახლში არავინ ცხოვრობდა და ყველაფერი ხელუხლებელიაო. მეზობელ სახლში ბატონი ჩანტა მდგმურებს არ უშვებდა, რომ მშვიდად ეცხოვრა და არავის გადმოეხედა მის ეზოში. არც ერთ ცნობისმოყვარეს არ უნდა ჩაეხედა მის სარდაფში. მეზობელ სახლებში ერთი მსახური ქალი იყო, რომ

ყურადღება მიექცია იქაურობისთვის და ქურდებისგან დაეცვა. ბელენის სახლში მსახური ერთ პაწაწინა ოთახში ცხოვრობდა.

და აი, როგორც იქნა, ანდერძის შემსრულებელმა გააღო სახლის კარი და ყველა ოთახი შემოატარა. ავეჯი ისევ ისე იდგა როგორც დატოვეს, მტვერიც კი არავის გადაეწმინდა წლების მანძილზე.

არპადს მაშინვე ბაღში ჩარბენა მოუნდა, მაგრამ არ გაუშვეს. კიდევ უნდა მიეღოთ საიმედოდ დაკეტილი და დალუქული რკინის დიდი სკივრი. აქ იყო ფასდაუდებელი განძი! ბონდავარის აქციები!

— ზამთარი რომ იყოს, ღუმელს მაინც გავახურებდი, ახლა რაში გამოვიყენოო, — გაეცინა არპადს.

— მართალია, ახლა ამ ქაღალდებს ფასი არა აქვს, — დაუმოწმა ანდერძის აღმსრულებელმა, ათი ფორინტი ძლივს ღირს. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ ბატონი ჩანტა დღეს ცოცხალი იქნებოდა. მაგრამ ისინი მაინც ჩაიბარეს, ნაჩუქარ ცხენს ხომ კბილს არ უსინჯავენ.

ქვრივი კიდევ დიდხანს ესაუბრა ხანდაზმულ, კეთილ მოხუცს, ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი, მაგრამ არპადს ეს სრულიად არ აინტერესებდა, ოთახიდან ფეხაკრეფით გაიპარა და ბაღში ჩავიდა.

ხეხილის ბაღი აყვავებული იყო. გალავანთან ვარდისფრად აფეთქებულიყო დიდი ატმის ხე. მისი თუნდაც ერთი ყვავილის მოწყვეტა დიდ ცოდვად ითვლებოდა. ნაკადულთან ცისფრად ყვაოდა ბუს მიხაკები, გალავანთან კი ლანდიშები გადაპენტილიყო და ნაზ სურნელს აფრქვევდა.

ხეები საგრძნობლად გაზრდილიყო, მდინარის ორივე ნაპირას ფართოდ გაეშალათ ტოტები, ხოლო კენწეროებით კი ერთმანეთს გადაჰდობოდნენ.

პირველ რიგში არპადმა სარდაფის სასულეში ჩაწყობილი აგურები ამოიღო. აქ ჰქონდა გადამალული მავთულის ჯაჭვზე მიბმული დიდგულას წისქვილი და სალამური.

ყველაფერი თავის ადგილზე დახვდა.

მაშინვე დაწვა მწვანე მოლზე, ჩადგა წისქვილი წყალში და ბავშვური გატაცებით უყურებდა, როგორ ტრიალებდა ბორბლები, როგორ შხლაპუნობდა ფრთები ტრიალისას. ახლა ამ

ცელქობისთვის მას აღარავინ დასჯიდა! შეეძლო ეთამაშა რამდენიც სურდა.

საქვეყნო აღიარება? სახელი და დიდება? რას წერდნენ გაზეთები? პარიზში ძალიან განიცდიდნენ მის მოულოდნელ გამგზავრებას. მაღალი წრის ქალბატონები შეყვარებულები იყვნენ მასზე. მაგრამ ახლა ყოველივე ამას წისქვილით თამაში ერჩია.

სალამურიც უვნებელი დაუხვდა, იგი ყველაზე საიმედო ადგილას ჰქონდა შენახული: სიმშრალეც იყო, სიგრილეც და ქარიც უბერავდა, ცოტა აწყობა დასჭირდა და შაშვივით გალობა დაიწყო. ახლა არც სალამურის დაკვრას დაუშლიდნენ. ქაღალდის გემების გაშვებაღა დარჩა! არც ამისთვის დაუწყებდა ჩხუბს მეზობელი, და არ დასჯიდა დედა.

არპადმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. ეს იყო მისი ახლანდელი ტრიუმფის სამახსოვრო, პარიზის საკონცერტო პროგრამა.

რაში სჭირდებოდა ახლა ეს?

სწორედ ამ პროგრამისგან გააკეთა დიდი აფრიანი გემი, რომ არ გადაბრუნებულიყო ატმის ყვავილებით დატვირთა და წყალში ჩაუშვა. შემდეგ მის საყურებლად ისევ ბალახებში ჩაწვა და სალამურზე „იფრინე ჩემო მერცხალოს“ დაკვრა დაიწყო.

სალამურის ხმის გაგონებისთანავე მოპირდაპირე სახლის ბაღში მეორე ბავშვი გამოჩნდა, ცისფერი თვალებითა და მოღიმარი სახით. ფრთხილად მოაბიჯებდა, გაოცებული იყურებოდა ფოთლებიდან და ხანდახან შედგებოდა. მუსიკოსი მას ვერ ამჩნევდა, მთელი არსებით გატაცებული იყო წისქვილით, ატმის ყვავილებით დატვირთული გემით და სალამურით.

აი, გოგონა ნაპირს მოადგა, მაგრამ არპადმა მაინც ვერ შენიშნა. ბოლოს მან გაიცინა. მისი მხიარული ხმა ზღაპრული ზარის წკრიალივით გაისმა ბაღში.

არპადი შეკრთა და თავი ასწია.

— ოო, ეს თქვენა ხართ, ეოფიკა? როგორ გაზრდილხართ და დამშვენებულხართ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავტოვეთ აქაურობა! გამოაცურეთ გემი უკან, ჩემსკენ!

გოგონა წყალს მიუახლოვდა, კაბის კალთები აიკეცა მუხლებამდე, რომ არ დასველებოდა. ვარდისფერ ყვავილებს თე-

თრებიც მიუმატა და ტირიფის ტოტით უბიძგა. შემდეგ მათ გემი რამდენჯერმე გააცურეს ასე იქეთ-აქეთ.

მშვენიერი გასართობი იყო!

ბელენის ქვრივმა გამოიხედა შუშაბანდიდან ბაღში, მაგრამ ხელი არ შეუშლია ბავშვებისათვის. ისინიც დიდხანს, საღამომდე ისხდნენ ნაპირთან, ვიდრე მზე არ ჩავიდა და გოგონამ არ შეახსენა, რომ საღამოობით ბალახი ცვრით ინამება და შინ წასვლის დროაო.

არპადმა წისქვილი ნაპირთან მიამაგრა, სალამურიც შეინახა და დედასთან ავიდა.

დედას საყვედური არ უთქვამს, მაგრამ არც შუბლზე უკოცნია ჩვეულებისამებრ. აჩვენა შვილს, როგორ მოაწესრიგა ბინა, სანამ იგი სეირნობდა.

არპადს ძალიან მოეწონა.

— ახლა აქ ვიცხოვრებთ სამუდამოდ!

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, შვილო, თუკი კარგ გოგონას შემოიყვან სახლში...

— მე? — გაიცინა არპადმა.

— რა თქმა უნდა! შენ უკვე დიდი ხარ, მუდამ მე ხომ არ გიპატრონებ?

არპადს სიცილი აუტყდა.

— ესე იგი ისე გავიზარდე, რომ დედას უჭირს ჩემი მოვლა? და საჭიროა სხვა ქალი შემოვიყვანო ოჯახში?

— ასეა წესი, შვილო! — მთელი სერიოზულობით უთხრა დედამ, — სხვაგვარად არც შეიძლება, ვაჟიშვილი სანამ პატარაა, მას დედა უვლის, შემდეგ კი სხვა ქალს აბარებს საპატრონოდ, რომელსაც ცოლი ჰქვია. აბა, ბავშვს მარტო ხომ არავინ დატოვებს.

— კარგი, კარგი, დედა, ადრე თუ გვიან ესეც იქნება. საკუთარი სახლი უკვე გვაქვს, ახლა ცოტა ფულს ვიშოვი კიდევ, რომ შემდეგ აღარ დამჭირდეს აქეთ-იქით ხეტიალი. ცოლს მარტოს ხომ არ დავტოვებ და პეტერბურგიდან პარიზში არ ვიცლი, ან ჩემთან ერთად ხომ არ ვატარებ!

— ჩვენ გვაქვს დანაზოგი, მე ყოველთვის ვინახავდი ფულს შენი ჰონორარიდან. ახლა ეს აქციებიც მივიღეთ. რა გაცინებს? თითო აქციაში ათი ფორინტიც რომ მოგვცენ, ათი

ათასი იქნება. ასეთ პატარა ქალაქში ეს მთელი ქონებაა. ამითი დღესაც შეგიძლია ცოლის მოყვანა.

— რას ამბობ, დედა! არც ისეა საქმე. ერთ აქციაში შეიძლება მართლა მომცენ ათი ფორინტი, მაგრამ მეორე დღესაც რომ მოვისურვო ასეთი რამ, შეიძლება თავშიც წამომარტყან, ხოლო თუ იმას განვაცხადებ, რომ ათასი აქციის გაყიდვა მინდა, ალბათ ხელ-ფეხს შემიკრავენ და საგიჟეთში მომათავსებენ. უმჯობესია, შეინახო ეს აქციები სხვა საბუთებთან ერთად. იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესღაც მართლა ეღირება იმდენი, რამდენიც აღნიშნულია მათზე.

— ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე მოხდეს. განა არ ხდება სასწაულები? ან ჩვენ ვიფიქრებდით, რომ ჩვენს სახლს ოდესმე დაგვიბრუნებდნენ? შეიძლება ამ აქციებმა მართლაც გაგვამდიდროს! თუ ეს ასე მოხდა, ორასი ათას ფორინტს მივიღებთ!

— ამის იმედზე მე ვერ ვიქნები, დედა. ყველაზე უარესი საჩუქარი, რომელიც უფალმა ღმერთმა შეიძლება გაიმეტოს ადამიანისათვის, ლატარიაში მოგებაა. ამით იგი თითქოს ეუბნება: „აი, ხომ ხედავ, სულელო, სხვა ვერაფრით ვერ დაგეხმარები!“ მაგრამ ნიჭით დაჯილდოებულმა კაცმა ლატარია არ უნდა ითამაშოს. ბედი მას სამართლიანად გაკიცხავს: „როგორ არ გრცხვენია? განა ამისთვის გიწყალობე ნიჭი და ტალანტი? ლატარია შენი საქმე არ არის, ამით მე ბრიყვებს ვაჯილდოვებ!“ დარდი ნურაფრის გექნება, დედა, ჩემი ხელოვნებით ლუკმაპური არ მოგვაკლდება. ცოტა მოვიცადოთ, საჩქარო არაფერია. იმ გოგონას ჯერჯერობით ფაიფურის თოჯინას ვუყიდი, დაე ცოტა ხანს იმითი ითამაშოს. მე კი ძველებურად შენ მომივლი.

დედამ გულში ჩაიკრა შვილი და გადაკოცნა.

საღამოს, მთვარემ იქაურობა რომ გაანათა, არპადი ისევ ჩავიდა მტირალა ტირიფთან და სალამურზე დაკვრა დაიწყო. დრო და დრო მეზობელი ეზოდან ვიღაცის ღვთაებრივი სიმღერა მოისმოდა. არპადი ჩერდებოდა და ყურს უგდებდა, მაგრამ იქ, როგორც კი შენიშნავდნენ, რომ ვიღაც უსმენდათ, სიმღერა წყდებოდა.

...მაინც რა მშვენიერია ბავშვობის წლები!

ივანი ექვსი დღე-ღამის მუშაობის შემდეგ შინ რომ დაბრუნდა, დასვენებაზე არც უფიქრია, მაშინვე თავის მაღაროს მიაშურა, ხომ არაფერი უბედურება დამატყდა თავსო.

შიმშილსა და უძილობას თითქოს ვეღარც გრძნობდა, არც დაბანაზე უფიქრია, ახლა ყველაზე მეტად საკუთარი მაღარო ადარდებდა.

აფეთქების ბიძგი ხომ ქვანახშირის მთელ აუზს გადაუელიდა! შეუძლებელი იყო მისი მაღარო უვნებლად გადარჩენილიყო. უპირველეს ყოვლისა იმან განაცვიფრა, მაღაროს აირი ოდნავ რომ შეიგრძნობოდა, სამაგიეროდ ყველა გვირაბი წყლით იყო სავსე.

ტიხრები ,ქა-იქ დამსკდარიყო, მაგრამ ჩამოქცევის საშიშროება ჯერ არ იყო. მაშინვე ტბის სანახავად გაიქცა. გამოქაბულში წვეთი წყალიც აღარ დარჩენილიყო. გადაწყვიტა, ცოტა ხანს მოეცადა, ფიქრობდა, იქნებ ძველებურად თავის ადგილას დაბრუნდესო, წყალი კი სამი საათის შემდეგაც არ გამოჩენილა.

ივანმა ერთი მუშა გამოქვაბულის წინ დაყენა. დანარჩენებს უბრძანა, ერთმანეთს შენაცვლებოდნენ მთელი ღამის განმავლობაში, თვალყური ედევნებინათ და როგორც კი წყალი გამოჩნდებოდა, მისთვის ეცნობებინათ.

ამის შემდეგ შინისკენ გასწია, რომ დაებანა და ცოტა დაესვენა.

დაღლილობამ თავისი გაიტანა და დილამდე მკვდარივით ეძინა. მაშინღა გამოეღვიძა, როცა მისი საწოლი უკვე მზის სხივებით იყო განათებული.

ყველაზე მეტად იმან ყაოცა, მუშებმა რომ არ გააღვიძეს ღამით, როგორც დაუბარათ.

— ვინ იცის, იმ საწყლებსაც ჩაეძინათ, ისინიც ხომ ჩემსავით დაღლილები იყვნენო, გაიფიქრა.

ან იქნებ, ისე ღრმად მეძინა, ვერ გამაღვიძესო.

სასწრაფოდ მაღაროში მიაშურა.

მუშებმა მოახსენეს, ტბის წყალი მთელი ღამე არ გამოჩენილაო.

ელოდნენ კიდევ ოცდაოთხ საათს, მაგრამ წყალი არ გამოჩნ-
ღა.

ივანი მიხვდა, რომ ამ მოვლენის მიზეზი წყლის პერიო-
დული მიმოქცევა იყო.

მთის წიაღში იმდენად ღრმად წარმოიქმნა აუზი, რომ ჰაე-
რის წნევა მასზე ზემოქმედებას ვერ ახდენდა, მასში მთის ქა-
ნებიდან ჟონავდა წყალი.

თუ ქვედა გამოქვაბული წყლით აღარ აივსება, ფიქრობდა
ივანი, მხოლოდ ორი მიზეზის გამო: ან შემაერთებელი ნაპრა-
ლი დახშულია და ზედა აუზზე აღარ მოქმედებს ატმოსფერუ-
ლი წნევა, რომლის დაწოლითაც იქიდან გამოიდევნება წყალი,
ან კიდევ მთის ქანში ზედა აუზის ზემოთ წარმოიქმნა ახალი
ნაპრალი, საიდანაც გარედან შემოიჭრა ჰაერი და მისი წნევით
მთელი წყალი უფრო ქვემოთ სხვა გამოქვაბულში ჩავიდა.

ამ ადგილის წაკითხვისას დიდი ყურადღებაა საჭირო, ვი-
ნაიდან უამისოდ შეუძლებელია ივანის საქციელის ახსნა, რო-
მელიც უდიდეს რისკთანაა დაკავშირებული, რისკთან, რო-
მელზეც ბევრი ფიქრსაც ვერ გაბედავდა.

ახლა მას აღარაფერი უშლიდა ხელს! მის წინ ღია იყო
სიკვდილის სამეფოში შემავალი პირქუში კარი, მას ამ საო-
ცარ ლაბირინთში რომ შთანთქავდა. ახლა უკვე შეეძლო მოე-
ძებნა ზედა და ქვედა აუზების შემაერთებელი ნაპრალი, რის
პოვნასაც ამდენი წლების მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა.

ოღონდ ამისათვის ერთი კაცი კიდევ სჭირდებოდა.

მოხუცი პალი იხმო.

— პალ, ჩემო, რამდენი წლისა ხარ?

— სამოცდაცხრის.

— სამოცდაათს გინდა მიაღწიო, არა?

— მინდა ოქროს ქორწილი ვიზეიმო ჩვენს მაღაროსთან
ერთად. მალე ნახევარი საუკუნე შესრულდება მისი გახსნის
დღიდან, პირველი მემაღაროვე ხომ მე ვარ.

— და თუ მანამდე მიგიბარა უფალმა?

— რა გაეწყობა? მაშინ ვიტყოდი, „იყოს ნება შენი!"

— ვაჟიშვილები უკვე მოგესწრნენ, არა?

— დიახ. შვილიშვილებიც კი თავს საკუთარი შრომით ირ-
ჩენენ.

— წამომყვებოდი, ისეთ ადგილას, საიდანაც შეიძლება ცოცხლები ვეღარ დაბრუნდეთ?

— ჰმ! განა ერთხელ და ორჯერ წამოგყოლივართ?

— მართალია, მაგრამ ახლა სულ სხვა მაქვს მხედველობაში, კარგად უნდა იცოდე, სად მიმყავხარ! რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიპოვოთ ტბიდან გაჟონილი წყალი. ეს აუცილებელია ჩვენთვის და კიდევ ბევრ სხვისთვისაც — შეიძლება ითქვას — მთელი ჩვენი მხარისთვის ეს ყოფნა-არყოფნის საკითხია. მე ღმერთს შევევედრები შემწეობას, მაგრამ თუ წყალობის თვალით არ გადმოგვხედავს? თუ უფალი გაგვირისხდება და გვეტყვის: „ერთი ამ საცოდავ ბატლებს დამიხედეთ! გინდათ აიცილოთ ჩემი რისხვა, თქვენს მხარეს თავს რომ დავატეხ? მე ლოტის ვედრებაც კი არ შევისმინე და ჩაძირულ ქალაქებს ახლაც მკვდარი ზღვა ფარავს. განა თქვენ ნაკლებ ცოდვილნი ხართ?“ კარგად უნდა იცოდე, რაც მოგველის! იმისათვის, რომ მიმეგნო, სად მიდიოდა ხოლმე ახლა უკვალოდ გამქრალი ტბის წყალი, ხშირად მიხეტიალია ბნელ, ერთმანეთში გადახლართულ კატაკომბებში, რომლებიც ალაგ-ალაგ ისე ვიწროვდება, კარგად თუ არ ამოისუნთქე, ვერ გაძვრები. ზოგან მუცლით მივხოხავდი ხვრელებში. ღრმა, პირქუშ უფსკრულებს ხახა აქვთ დაღებული ფეხქვეშ, მათზე უნდა იცოცო უდიდესი სიფრთხილით და მხოლოდ აქა-იქ წარმოქმნილ შვერილებს თუ მოეჭიდები. ჩადიხარ სულ უფრო ღრმად და იდაყვებზე და მუხლებზე დაყრდნობილი მიხოხავ. ყველა ეს ხვრელი და ნაპრალი კედლებზეა წარმოქმნილი დიდი ხნის წინათ, მიწისძვრის დროს. ამანვე გამოიწვია ქვანახშირის ფენების გადანაცვლება. ახლა, მეზობელ მაღაროში ძლიერი აფეთქების შედეგად შესაძლოა ზოგიერთი ნაპრალი შეერთდა, აწ ახლები წარმოიქმნა. თუ ზედა და ქვედა გამოქვაბულებს შორის ერთმანეთში გასასვლელი ხვრელი დაიხშო, მთელი წყალი ჩვენს ზემოთაა. და თუ ძებნისას იმ ამოვსებულ ხვრელს წავაწყდებით და თუნდაც სულ უმნიშვნელო ბზარს მივაყენებთ, ზედა გამოქვაბულიდან მთელი წყალი თვალის დახამხამებაში თავზე ჩამოგვექცევა. ხოლო თუ იმდენ ხანს შევყოვნდებით, რომ წყლის ხმას გავიგონებთ, უკვე ვეღარაფერი გვიშველის. მაგრამ თუ აფეთქების შემდეგ ზედა კლდეზე ნაპ-

რალი ღია დარჩა, მაშინ ტბას სადღაც სხვა ადგილას გადაუნაცვლებია ქვემოთ. ახლა ჩვენ სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, უნდა ვიპოვოთ.

— ვერ გამიგია, ბატონო, რატომ მიყვები ყოველივე ამას, ხომ იცი, უამისოდაც ყველგან წამოგყვები.

— მაშ ახლა წადი, გამოეთხოვე ახლობლებს, ვითომ სადმე მიემგზავრები, მღვდელთანაც მიდი, ეზიარე და დაბრუნდი ისე, რომ ამის შესახებ სიტყვა არავისთან დაგცდეს!

ივანი თვითონაც მოემზადა სამოგზაუროდ, საიდანაც ადვილი შესაძლებელია ვეღარ დაბრუნებულიყო. ანდერძიც კი დაწერა. მაღაროს მუშებს უტოვებდა, ფულს პალის ოჯახს, რომელიც შეიძლებოდა მასთან ერთად დაღუპულიყო.

ამას რომ მორჩა, სანამ მუდმივი ღამის სამფლობელოში ფეხს ჩადგამდა, უკანასკნელად ერთხელ კიდევ მოავლო თვალი გარემოს.

მაინც, რა საოცრად ლამაზი იყო ეს დალოცვილი ქვეყანა!

ამ დროს ფოსტიდან წერილი მოუტანეს. არპად ბელენი დაწვრილებით ატყობინებდა პარიზში მომხდარ ამბებს, სწერდა კაულმანისა და უკვალოდ გამქრალი მზეთუნახავის შესახებ, რომელიც სარწმუნო წყაროების მიხედვით ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო.

ივანმა იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული ამის წაკითხვისას, მიხვდა, უკვე აღარაფერი არსებობდა მისთვის ამქვეყნად. წამით ყველაფერი ერთმანეთში აირია, ცის ლაჟვარდმა და ამწვანებულმა გარემომ თითქოს დაკარგა სილამაზე და ფერგადასულ ტილოებად მოეჩვენა. აღარაფრისა ეშინოდა, ქვანახშირის მაღაროს ბნელი და საშიში გამოქვაბულები ახლა უკვე უხილავი ძალით ეწეოდა მიწის ქვეშ. ამ წერილმა საბოლოოდ დაულოცა გზა მუდმივი წყვდიადის სამფლობელოსაკენ.

ერთხანს გაოგნებული იდგა, შემდეგ თითქოს გამოერკვა და მაშინვე საქმეს შეუდგა. ტყავის ჩანთაში ჩაალაგა საჭირო ხელსაწყოები: წყალსაზომი, საძირავი, კუთხსაზომი, სახაზავი მოწყობილობა და მაღაროსკენ გასწია. პალს წერაქვი, რკინის ძალაყინი და თოკი მოჰქონდა. ერთმანეთის მიყოლებით ჩაეშვნენ ტბის ღრმულში და წყლით გადარეცხილ ლაბირინთში გაუჩინარდნენ.

ექვსი საათის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. ივანი ზუსტად აღნიშნავდა თავის გეგმაზე ლაბირინთში წინგადადგმულ ყოველ ნაბიჯს და შინდაბრუნებული კიდევ უფრო მძიმე სამუშაოს ასრულებდა. საათობით უჯდა მაგიდას, ითვლიდა ახალ მონაცემებს. ჩაიკეტებოდა სამუშაო კაბინეტში, აანთებდა ცეცხლს, ათბობდა მომაკვდინებელ აირს და აიძულებდა სამყაროს შემადგენელ ელემენტებს გაემჟღავნებინათ თავიანთი საიდუმლო. იგი ერკინებოდა ურჩ დემონებს და ცდილობდა ამოეცნო, რომელი იყო ცეცხლზე უფრო ძლიერი.

გამომეცხადე, გამომეცხადე!

არა ალფასა და ომეგას, არა პენტაგრამის სახელით, არა აბრაქსაშისა და მეიტრაშის, არამედ ყოვლადძლიერი მეცნიერების ძალით მოგმართავ: გამომეცხადე!

მაგრამ ამაო იყო ყოველივე.

და ეს ორთაბრძოლა ორ უდიდეს დემონთან, ქვემოთ — მიწის წიაღში და ზემოთ — დაუმორჩილებელ გაზებთან, მიმდინარეობდა შეუწყვეტლივ, დღე და ღამ.

ივანისთვის დასვენება აღარ არსებობდა.

ერთხელ დილაადრიან აცნობეს, სასახლის ჭაში წყალი გათბა და გოგირდის სუნიც შეიგრძნობაო. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა. ეტყობოდა მიწისქვეშა ხანძარი უფრო სწრაფად ვრცელდებოდა, ვიდრე ეგონა. მთელ ამ მხარეს გარდაუვალი დაღუპვის საფრთხე ემუქრებოდა. ათი წლის შემდეგ აქაურობა აღიგვებოდა მიწისაგან პირისა.

ბატონმა რენემ ეს რომ შეიტყო, მიატოვა სამსახური და ჰერცოგ ვალდემარს მიეკედლა. მისი დავალებით, როგორც ამ უბედური შემთხვევის ყველაზე სანდო მოწმემ, აღწერა ბონდავარის მაღაროს აფეთქების ამბავი ვენის გაზეთებში.

ივანს კი ერთი სურვილი ამოძრავებდა მხოლოდ, როგორმე ეპოვნა საშუალება ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად. იგი სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა მიწისქვეშა ლაბირინთში. მის მოხუც თანამგზავრს შიშისაგან უკვე მოჩვენებები ელანდებოდა.

ერთხელ, კლდოვან გამოქვაბულებში გზა აებნათ და ისეთ მღვიმეში აღმოჩნდნენ, გამოსასვლელი ვეღარ იპოვეს. ერთ ადგილას ქვა ისეთ ხმას გამოსცემდა, იფიქრებდით, იმის იქით

ნამდვილად სიცარიელეაო. კარგად თუ დააკვირდებოდით, იმასაც შენიშნავდით, რომ ფენების გროვა ახალი ჩამოქცეული იყო.

— აქ უნდა გავანგრიოთ! — წამოიძახა უცებ ივანმა და წერაქვს წამოავლო ხელი.

მოხუცი პალი შეძრწუნებული აეკრა კლდეს და ყოველ დარტყმაზე შიშისაგან კანკალებდა. ივანი კი ისეთი ძალით ურტყამდა და ისეთი სახით შეჰყურებდა, იფიქრებდით ჯოჯოხეთის კარს აკაკუნებს და თვით სატანასთან შერკინება განუზრახავსო. მალე მან პატარა ხვრელი გამოთხარა, ძალაყინი გაატარა და ფენა ასწია.

ახლა თუ ტბა ზემოთ იყო მთელი წყალი თავზე ჩამოექცეოდათ.

მოხუცმა ისე გადაიწერა პირჯვარი, თითქოს თავის სულს უფალს აბარებდა.

ივანმა უცებ ანგარიშმიუცემლად წამოიძახა: — გესმის წყლის შხაპუნი! იქითა მხარეს ქვანახშირის ნამტვრევები ცვივა წყალში, ესე იგი ქვედა აუზი აქ ყოფილა, ჩვენს ქვეშ.

— კი, მაგრამ ზედაც რომ სავსე იყოს?

— ამის გასაგებად დიდხანს არ მოგვიწევს ლოდინი.

მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ამაზე უფრო საშინელი წამები მათ არ განუცდიათ, მაშინაც კი, ივანი ბონდავარის აფეთქებულ მაღაროში რომ ჩავიდა.

ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა, მიწის წიაღში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

—ვიპოვეთ! მთელი ხმით იყვირა გახარებულმა ივანმა, — ახლა თოკი მომაბი წელზე და ჭაში ჩამიშვი.

— როგორ? იქაც უნდა ჩახვიდეთ?

— რა თქმა უნდა.

მოხუცი მაღაროელი ქვეეით უშვებდა ივანს და თან ლოცულობდა. ლამპის შუქი სულ უფრო კლებულობდა. ბოლოს ივანის ხმა მოისმა: „ამწიე!“

ერთგულმა თანამგზავრმა ფრთხილად ამოიყვანა ივანი უფსკრულიდან. იგი გადაეხვია მოხუცს შემდეგი სიტყვებით: სულ ახლოსა ვართ მიზანთან! წყალსაზომმა უდიდესი წყლის მარაგი აჩვენა.

ახლალა მიხვდა პალი რას ეძებდნენ ამდენ ხანს.

— უკვე დროა ზევით ავიდეთ!

მაღაროდან ამოსვლისთანავე ივანი თითქმის სირბილით გაიქცა შინისაკენ, სასწრაფოდ შეამოწმა ჩანაწერები, ზომები და კმაყოფილი დარჩა შედეგით. საღამოს კიდევ უფრო კარგ ხასიათზე იყო, თავის ქიმიურ ლაბორატორიაში რომ ჩაიკეტა. მის მიერ ალყაშემორტყმულ დემონებს ისე ამაყად მიუახლოვდა, როგორც გამარჯვებული მხედარმთავარი, მოწინააღმდეგეს უკანასკნელი ციხე-სიმაგრის დანებებას რომ შესთავაზებს ხოლმე.

„ისინი უკვე დავამარცხე, ახლა თქვენი ჯერია!“

არის შემოქმედის ცხოვრებაში ისეთი ამაღლებული წამები, როცა ჰგონია, თვით უფალმა შთაბერა თავისი ზებუნებრივი ძალა. წამები, როცა იქმნება ახალი, როცა თავდავიწყებული ბრძენი გამორბის ქუჩაში და აღფრთოვანებული აუწყებს ხალხს: „ევრიკა!“ ვიპოვე!

მათ მიერ ნაპოვნი სითხის რამდენიმე წვეთი, სწორედ იმდენი, კალმის წვერიდან რომ ჩამოვარდება, საკმარისი იყო იმისათვის, მთელი ლაბორატორია თვალის დახამხამებაში ბნელს მოეცვა, ერთ წამში ჩამქრალიყო გავარვარებული ღუმელი. და სწორედ ეს უკუნეთი სიბნელე იყო ის იმედის სხივი, ასე დაჟინებით რომ ეძებდა ივანი.

წყვდიადი, რომლისკენაც მიმართული იყო მთელი მისი ცოდნის და გონების შუქი, იყო შავი „ფოკუსი“.

„ვიპოვე!“ — ყვიროდა ჯერ თავისთვის.

„ვიპოვე!“ — იყვირა კიდევ უფრო ხმამაღლა და პერანგისამარა შეშლილივით გარეთ გამოიჭრა.

მუშებმა ვერ გაიგეს რა იპოვა მან, მაგრამ მათთვის ერთი რამ ცხადი იყო, ის, რამაც ასე გაახარა ეს ადამიანი, ფასდაუდებელი აღმოჩენა უნდა ყოფილიყო. მათ სჯეროდათ მისი.

ალ პარი

ჯოჯოხეთური კომედია ბირჟაზე ისევ გრძელდებოდა. ელვისებური სისწრაფით გადადიოდა ხელიდან ხელში ბონდავარის მაღაროს და ბონდავარის რკინიგზის თითქმის უკვე გაუფასურებული აქციები.

ახლა ეს ტრაგედია კომედიად აქციეს და მის შესახებ იუმორის გარეშე აღარ ლაპარაკობდნენ. მებირჟეებში სიტყვა „ბონდავარის“ ხსენებაც კი უდიდეს გამოცოცხლებას იწვევდა.

ვინც მოახერხებდა და თანაც საკმაო ზარალის ფასად თავიდან მოიცილებდა უკანასკნელ აქციას, გამარჯვებულის სახით დასცინოდა იმას, ვინც შეიძენდა.

დაიწყეს აქციების შეთავაზება სრულიად უსარგებლო ბროშადღირებულ ნივთებზე. ძველ ქოლგას სართად უმატებდნენ ახალზე გადასაცვლელად. აქციებით იხდიდნენ გაზეთის საფასურს, თუ რედაქტორი ხელის მოწერას თავს მოახვევდათ. აქციებს სწირავდნენ საქველმოქმედო საზოგადოებებს. აქციებით ერთმა საკარნავალო კოსტიუმიც კი შეიკერა ჰერცოგ ე-სავით, რომელმაც თავის დროზე ამისთვის ტიციანის ტილოები გამოიყენა.

ასე მიმდინარეობდა ბრძოლა ბირჟაზე.

აქციების ძირითადი მფლობელნი კი ცდილობდნენ როგორმე მტკიცედ დაეცვათ თავიანთი პოზიცია, თუმცა მოწინააღმდეგენიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ მათ საბოლოოდ გასანადგურებლად.

მოწინააღმდეგეთა მეთაური, ჰერცოგი ვალდემარი დღითიდღე სცემდა აქციების კურსს. საქმე იქამდე მივიდა, ერთ პროცენტში ყიდდნენ, შემდეგ ნახევარ, მეოთხედ პროცენტში და ბოლოს ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ყოველი მეოთხედი ფორინტისათვის.

ზონდერსჰაინის სურვილი იყო, იქამდე მიეყვანა საქმე, რომ საერთოდ ამოეშალათ ბონდავარის აქციები საბირჟო სიებიდან. მისი მფლობელნი კი ყოველნაირად უწევდნენ წინააღმდეგობას.

იმ დღეს, როცა ვენის ყველა გაზეთმა დაბეჭდა ბატონ რე-

ნეს სტატია, რომელშიც მოცემული იყო ხანძრის შემდეგ ბონ-
დავარის სასახლის ჭაში წარმოქმნილ ნივთიერებათა ქიმიური
ანალიზი, რამაც რა თქმა უნდა, სენსაცია გამოიწვია, ჰერ-
ცოგმა ვალდემარმა გადაწყვიტა საბოლოოდ გაენადგურებინა
ბონდავარელები. მან განაცხადა ბირჟაზე, რომ თვის უკანასკნელ
დღეს 10 ფორინტად შეისყიდდა ბონდავარის აქციებს. ზოგი-
ერთმა სანაძლეოც კი შესთავაზა, თუმცა დარწმუნებული იყვ-
ნენ წაგებაში. ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდნენ, რომ არ
დაეშვათ აქციების საბოლოო დაცემა, რაც სიებიდან მათ ამოშ-
ლას გამოიწვევდა.

ჰერცოგმა ვალდემარმა შუადღემდე ხუთი ათას აქციაზე
მოასწრო სანაძლეოს დადება. აქციები, რა თქმა უნდა, მას
ხელთ არ ჰქონდა, მაგრამ არც არავის მოუთხოვია, ეს მხო-
ლოდ საბირჟო თამაში იყო.

თუ თვის უკანასკნელ დღეს აქციების ფასი ექვს ფორინ-
ტამდე დაეცემოდა, წაგებულებს უნდა გადაეხადათ ჰერცოგ
ვალდემარისთვის ოცი ათასი ფორინტი, ხოლო თუ ოთხი ფო-
რიხტით აიწევდა, მაშინ მისგან მიიღებდნენ იგივე თანხას.

შუადღისას მაკლერი მიუახლოვდა ბარიერს და ყველას
გასაგონად გამოაცხადა, რომ აქ იმყოფებოდა ერთი ბატონი,
რომელსაც ბონდავარის ხუთასი აქციის ყიდვა სურდა! ალ
პარი! არც მეტი არც ნაკლები!

ამ სიტყვებმა ისეთი ჩოჩქოლი და ხმაური გამოიწვია, იფიქ-
რებდით როიალს ჩაქუჩებით ურტყამენო. ერთმანეთში აი-
რია დამცინავი სიცილ-ხარხარი, გაოცების, სიხარულისა და
უნდობლობის შეძახილები, წყევლა-კრულვა.

„ვინ არის? ხომ არ გაგიჟებულა? ალ პარი! ბონდავარის
აქციები! სად არის, გვაჩვენეთ ის კაცი!“

მაკლერმა დაანახათ უცნობი.

ეს კაცი არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან და მისი ჩაც-
მულობით თუ ვიმსჯელებდით, პროვინციელიც უნდა ყოფი-
ლიყო. იგი სვეტს მიყრდნობილი სრული სიმშვიდით შეჰყუ-
რებდა საბირჟო ოლიმპს.

— ეს ვიღაც მასხარაა და ალბათ ხუმრობს! — დამცინა-
ვად ჩაილაპარაკა ჰერცოგმა ვალდემარმა. — მიდით მასთან, —
უბრძანა მაკლერს, — და ჰკითხეთ ვინ არის, ჩვენ უნდა ვიცო-

დეთ ვისთან გვაქვს საქმე. მაკლერი მიუახლოვდა უცნობს და რამდენიმე წამში უკან დაბრუნდა შემდეგი სიტყვებით:

— იმ ბატონმა მთხოვა გადმოგცეთ, რომ მას ჰქვია „ასი ათასი ფორინტი". ფული კი თვითონვე ლაპარაკობს თავის თავზე. მან ყველას დაანახა ათი ათას ფორინტიანი ათი საბანკო ჩეკი.

— აბა, ვინ ყიდის ბონდავარის ხუთას აქციას?

ეს უკვე სრულ საბირჟო გადატრიალებას ნიშნავდა. ერთი წუთის წინ სულგანაბული ბრბო ისევ აჩოჩქოლდა, შეიქმნა ერთი მითქმა-მოთქმა, ყველა უცნობთან მიახლოებას ცდილობდა, ათას შეკითხვას აძლევდნენ. იგი გულგრილად შეჰყურებდა მათ და მოსალაპარაკებლად ყველას თავის მაკლერთან აგზავნიდა.

ბოლოს, თვით ჰერცოგმა ვალდემარმაც გაარღვია ხალხის ტალღა და უცნობს მიუახლოვდა. მეტისმეტად შეურაცხმყოფელი გამომეტყველებით ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, ხელები ჟილეტის ჯიბეებში ჩაიწყო და მიმართა:

— ბატონო ჩემო! თქვენმა აქ გამოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა.

ნება გვიბოძეთ, შევიტყოთ თქვენი სახელი.

— მე მქვია ივან ბერენდი!

— აა! — წამოიძახა ვალდემარმა, სასწრაფოდ მოიხადა ქუდი და ირონიული ღიმილით დაუკრა თავი, — მე მქონდა ბედნიერება მსმენოდა თქვენს შესახებ. თქვენ ის ცნობილი მსროლელი ხართ, მოწინააღმდეგეს პირიდან სიგარას რომ აგდებინებს! ასეთ შემთხვევაში თქვენს წინაშე მე არარაობა ვარ, მაგრამ სხვა, თანაბარ პირობებში, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ჰერცოგი ვალდემარ ზონდერსჰაინი გახლავართ. თქვენისთანა მსროლელი, მე რა თქმა უნდა არა ვარ, მაგრამ საქმეზე მინდა მოგესაუბროთ. თქვენ ყიდულობთ ბონდავარის აქციებს. ეს თქვენი საქმეა, მაგრამ გთხოვთ ამიხსნათ, აღმოსავლეთინდოეთის ნაბობის მემკვიდრეობას ხომ არ გპირდებიან ამისთვის?

— არა! მე ვიხდი იმდენს, რამდენიც ღირს ეს აქციები.

— კი, მაგრამ ბონდავარის მაღარო ხომ იწვის?

— ვიცი, ჩემი მაღარო მის მეზობლადაა.

— მაშინ თქვენ ორმაგად წააგებთ!

— არ წავაგებ, ორ კვირაში მე ჩავაქრობ ხანძარს!

ეს სიტყვები ბრბოზე სასწაულებრივი მოქმედების მწვერვალად იქცა. ყველა ანგარიშმიუცემლად ივანს მივარდა.

„ეს იყო კაცი, რომელიც მათ მაღაროს იხსნიდა! ბონდავარის აქციები გადარჩენილი იყო! კურსი ისევ აიწევდა!“

მოწინააღმდეგეთა პარტია დამარცხდა. სიხარულით გაგიჟებულმა აქციონერებმა ივანი ხელში აიტაცეს და მთელი ბირჟა შემოატარეს. იმავე საღამოს მოიწვიეს საერთო სხდომა, სადაც ივანმა გააცნო დამსწრეთ თავისი გეგმა, რომლითაც ორი კვირის განმავლობაში ჩააქრობდა ხანძარს ბონდავარის მაღაროში. და მისი სიტყვების სიმართლეში რომ დარწმუნებულიყვნენ, შესთავაზათ მეორე დილით მოსულიყვნენ აქ და ღია ცის ქვეშ თვალნათლივ აჩვენებდათ მის მიერ აღმოჩენილი ნივთიერებით როგორ ჩააქრობდა ცეცხლს.

მეორე დღეს ამ ადგილას უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ივანმა ბრწყინვალედ ჩაატარა ცდა. ტორფითა და ქვანახშირით აანთეს დიდი კოცონი. ცეცხლი კარგად რომ გაძლიერდა, ივანმა ხუთ წუთში ჩააქრო მის მიერ აღმოჩენილი სითხით ერთადერთი ხელის ტუმბოთი.

აღფრთოვანებულმა ბრბომ ხელში აიტაცა ივანი და ისე შეიყვანა ქალაქში. აქციონერთა კრებამ დაადგინა, თუ იგი ჩააქრობდა მიწისქვეშა ხანძარს და მაღარო ისევ ამუშავდებოდა, ექვსასი ათასი ფორინტი გადაეცათ მისთვის ჯილდოდ. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. კრებას ესწრებოდა კიდევ ერთი ადამიანი, ჰერცოგი ვალდემარი. როგორც აქციების ძირითადი მფლობელი და ამავე დროს ყველაზე ურწმუნო, ყველაზე მეტად ის ეწინააღმდეგებოდა ივანს და ცდილობდა მის დამარცხებას.

— გეთანხმებით იმაში, — მიმართა მან ივანს, — რომ თქვენი სითხის ერთი აკო (საზომი ერთეულია) საკმარისი აღმოჩნდა ექვსი კუბური საჟენი ქვანახშირის ჩასაქრობლად, მაგრამ თვითონ განსაჯეთ, ბონდავარის მაღაროში აფეთქების ადგილიდან გრაფის სასახლემდე სულ ცოტა სამოცი ათასი კუბური საჟენი მაინც იქნება, რისთვისაც თქვენ ათი ათასი აკო სითხე დაგჭირდებათ და ამასთანავე მთელი ეს სითხე ერთ-

დროულად უნდა იქნეს მიწოდებული სწორედ იმ ადგილას, სადაც ცეცხლი მძვინვარებს. რა მექანიზმების საშუალებით აპირებთ ამის გაკეთებას?

— ჩემს გეგმაში ეს გათვალისწინებულია! — უპასუხა ივანმა.

— შემდეგ, თუნდაც მოახერხოთ ალმოდებულ წოლხვრეულებში საჭირო რაოდენობის სითხის შეყვანა, ეს გამოიწვევს ორთქლის დაგროვებას იმ რაოდენობით, რომ თქვენი მაღარო თვალის დახამხამებაში ჰაერში ავარდება აფეთქების ძალით.

— მე ამაზეც ვიფიქრე.

— და ბოლოს, თუ მცირეოდენი წარმოდგენა მაინც გაქვთ ყოველივე ამისათვის საჭირო მანქანებსა და მოწყობილობებზე, უნდა იცოდეთ, რომ ამ ოპერაციისათვის მილიონიც არ გეყოფათ.

— მე გამოთვლილი მაქვს ოპერაციის მთლიანი ღირებულება.

მეპაიეებმა ერთხმად იყვირეს, ამისათვის საჭირო თანხებს, მილიონიც რომ იყოს, სიამოვნებით გავიღებთო და ამით ივანს საშუალება მისცეს ბონდავარის მაღაროში ისე ემოქმედა, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა, რადაც არ უნდა დამჯდარიყო.

ჰერცოგი ზონდერსჰაინი დარწმუნდა, რომ ივანის მიერ დაწყებულ საქმეს ხელს ვეღარაფრით შეუშლიდა. როცა აქციონერთა კრებამ ივანის წინადადება დაამტკიცა, ცალკე გაიხმო იგი და უთხრა:

— ბატონო ბერენდ! შესძლებთ თუ არა თქვენი გეგმის შესრულებას და იმედი მაქვს, რომ ვერ შესძლებთ! ყოველ შემთხვევაში, მე მილიონს მაცლით ხელიდან, ერთ მილიონ ნაღდ ფულს. ამავე დროს თქვენ კარგავთ თქვენს ასი ათასს, გარდა იმ დანახარჯისა, რაც ამ ახირებულ ცდას დასჭირდება. საბოლოოდ ეს თქვენ არაფერს არ გაძლევთ. მხოლოდ ორი კვირით თუ მიაღწევთ ბირჟაზე ალ პარის. ორივე მხარე თავს შეიკავებს და მოიცდის ორ კვირას, მაგრამ საბოლოოდ ეს მდგომარეობა მაინც აღინიშნება საბირჟო დაფაზე. მაშინ მე მომიხდება განსხვავების გადახდა მათთვის, ვისთანაც სანაძ-

ლეო მაქვს დადებული. ეს თანხა მილიონს შეადგენს, მაგრამ არ გეგონოთ ეს მალაპარაკებს, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ, ბევრჯერ დამიკარგავს მილიონი, შემდეგ ისევ დამიბრუნებია, საბირჟო ბრძოლაში მთავარია გულგრილობა. თუ თქვენ ორ კვირაზე ადრე დარწმუნდებით, რომ ვერ შესძლებთ აღთქმული პირობის შესრულებას და ამას აქ საჯაროდ განაცხადებთ, მილიონს მიიღებთ ჩემგან.

ივანმა სრული საქმიანი გულგრილობითვე უპასუხა:

— ბატონო ზონდერსჰაინ! მე კარგად ვიცი, რომ ბირჟაზე გარკვეული თავისუფლებაა, აქ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო ადამიანს და ამისთვის არ დაისაჯო. ის, რის თქმასაც აქ არ ერიდებიან და უფრო მეტიც, შეიძლება კიდევაც შემოგთავაზონ, არ შეესაბამება საერთოდ მიღებულ ზნეობრივ ნორმებს. აქ დასაშვებია გკითხონ: „რა ღირს შენი პატიოსნება“ და თუ უპასუხებ: „არ იყიდება!“ — თითქოს არაფერი მომხდარიყოს, გეტყვიან: „თუ ასეა, შენ შენთვის, მე ჩემთვის“. აქ შეიძლება მიხვიდე ვისთანაც მოისურვებ და შესთავაზო: „წამოდი, გავძარცოთ ვინმე!“, ამით სულაც არ განაწყენდებიან და თუ წინადადება ჭკუაში არ დაუჯდებათ, მხოლოდ ამას გიპასუხებენ: „დრო არა მაქვს!“ აქ შეურაცხყოფად არ თვლიან ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, სახეში მიფურთხებას, თავში ჩარტყმას, დაზარალებული ისე გაეცლება, თითქოს არაფერი გაუგონია, სახეს მოიწმენდავს, ქუდს გაისწორებს და ერთი საათის შემდეგ ისე გაჰყვება ხელკავით თავის შეურაცხმყოფელს, რომ აზრადაც არავის მოუვა, თუ მათ ერთმანეთს აწყენინეს. ანკი რა მოხდა ისეთი? — აზრები ვერ შეუთანხმეს ერთმანეთს. ამიტომაც ბირჟის „ბატონ-პატრონის“ ზონდერსჰაინის წინადადებას ბონდას ველიდან ჩამოსული ქვანახშირით მოვაჭრე მხოლოდ ამას უპასუხებს, „რომ მისი წინადადება ყოვლად მიუღებელია“ და ჰერცოგი ზონდერსჰაინისთვის უმჯობესი იქნება, შემდეგში გაფრთხილდეს და ბირჟის გარეთ მსგავსი აღარაფერი გაუბედოს ივან ბერენდს!

— მე ეს კარგად ვიცი, — სიცილით უპასუხა ჰერცოგმა ვალდემარმა.

— არაერთხელ მსმენია თქვენს შესახებ და ძალიან კარგადაც ვარ განწყობილი თქვენდამი, უკეთილშობილესი ადამიანი ხართ.

ოდესღაც სიტყვაც დამაწიეთ ერთ მშვენიერ ქალბატონთან. არ ვიცი რატომ, მაგრამ ასე კი იყო. ამაზე საზოგადოებაშიც ლაპარაკობდნენ. უარი თქვით მასზე, როცა ძალზე შესაფერი წყვილი იქნებოდით. სამწუხაროდ, ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. იგი სრულიად უღირს პიროვნებას გაჰყვა ცოლად. მაგრამ ამას არა აქვს ახლა მნიშვნელობა! სიკეთეს მაინც არასოდეს დაგივიწყებთ. ერთი კი ცხადია, იმ მშვენიერ ქალბატონს თქვენი რჩევა რომ მიეღო, ბონდავარის ჭიდან ახლა არაგის მოუწევდა მდუღარე წყლის ამოტუმბვა, რომელიც გოგირდის აბაზანებისთვის თუ გამოდგება. ამიტომ, როგორი ტონითაც არ უნდა ვესაუბროთ ერთმანეთს, ბირჟის მიღმა მე მაინც გაგიმეორებთ ჩემს წინადადებას: თუ ხაწძარს ჩააქრობთ, ხომ ექვსასი ათას ფორინტს მიიღებთ, თუ არადა მე მოგართმევთ ერთ მილიონს.

მეპაიეებმა შენიშნეს, რომ ვალდემარი აღარ ეშვებოდა ივანს და მაშინვე მოიჭრნენ მათთან. „ბატონო ჰერცოგო, გთხოვთ თავი ანებოთ ყოველგვარ მაქინაციებს! ამ ადამიანს ცოცხალი თავით არ დაგითმობთ!“

— ჩვენ მხოლოდ ერთ მშვენიერ ქალბატონზე ვსაუბრობდით, — მიუგო მათ ივანმა სიცილით, — რომელიც მოგვწონდა, მაგრამ არც ერთს ბედმა არ გაგვიღიმა.

სიფრთხილისათვის მაინც გადაწყვიტეს სამკაციანი კომისია გამოეყოთ, რომელიც ივანს ერთი წუთით არ მოცილდებოდა არც დღე, არც ღამე, მასთან ერთად ისადილებდა, მისი ზღურბლის წინ დაიძინებდა, მის ფანჯრებსაც კი უყარაულებდა. სხვების გასაგონად კი განაცხადეს, ამას ივანის დასახმარებლად ვაკეთებთ ფული ან სხვა რაიმე რომ დაჭირდესო.

ამ სამ თანხმლებ პირთან და მუშებთან ერთად ივანი იმავე დღეს გაემგზავრა ბონდას ველზე. თან წაიღო საჭირო ხელსაწყოები და მანქანა-იარაღები. ერთ-ერთი ამ სამთაგანი იყო ბატონი შპიცჰაზე, რომელსაც ყოველდღიურად უნდა ეცნობებინა აქციონერთა საზოგადოებისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. მისი მონაწილეობა ამ საქმეში აუცილებელი იყო, როგორც ყველაზე წინდახედული, ყველაზე საიმედო ადამიანისა და აქციონერთა საზოგადოების ინტერესების ყველაზე მოურიდებელი დამცველისა. (ეს ბოლო ეპითეტი

უპატიოცემულობის გამოსახატავად არ გვიხმარია. ფულიან საქმეში მორცხვობა რა თქმა უნდა არ ვარგა, მისი საპირისპირო თვისება კი დიდ ღირსებად ჩაითვლება. ეს თვისება მხოლოდ მის საქებრად ვახსენეთ).

ბატონ შპიცჰაზეს ივანი არაერთხელ მიუხურავს კარს ცხვირწინ, მაგრამ იგი ფანჯრიდან გადაძვრება.

ბრძოლა ქვესკნელში

პირველი კვირა ისე გავიდა, ბონდას ველიდან თითქმის არავითარი ცნობა არ მოდიოდა. ივან ბერენდს დილა-საღამოს თუ ხედავდნენ და ისიც სასადილოში, დღე და ღამე მაღაროში იყო. მათ შეკითხვებზე მხოლოდ ამას პასუხობდა, საქმე ძალიან კარგად მიდისო.

მაგრამ რა კეთდებოდა კონკრეტულად, ამას ვერ ხედავდნენ. ყველაზე უფრო კი ის აოცებდათ, ქალაქიდან ჩამოტანილ მანქანა-იარაღებს და ქიმიურ ნივთიერებებსაც რომ სულ თავის მაღაროში ხმარობდა.

მერვე დღეს შპიცჰაზემ ველარ მოითმინა და ივანთან მიიჭრა: — ბატონო ჩემო, თქვენ შეგვპირდით, რომ ორ კვირაში ჩააქრობდით ხანძარს. ერთი კვირა უკვე გავიდა, მაგრამ მე ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევ.

— ეს ბუნებრივიცაა! — მშვიდად უპასუხა ივანმა.

— და თქვენ ამტკიცებთ, რომ ყველაფერი რიგზეა?

— რა თქმა უნდა.

— მინდა ამაში საკუთარი თვალით დავრწმუნდე.

— აქედან შეუძლებელია ამის დანახვა.

— მაშინ ჩამიყვანეთ თქვენთან ერთად იქ, საიდანაც გამოჩნდება!

— მართლა გნებავთ იქ ჩამოსვლა? იცოდეთ, ეს არცთუ ისე სასიამოვნოა.

— სადაც თქვენ, მეც იქ, ჯოჯოხეთიც რომ იყოს, არ მეშინია.

— დაახლოებით ასეა.

— არაფერია, მაინც ჩამოგყვებით! ეშმაკებს გავიცნობ, იქნებ ჩვენი ქვანახშირი ვაყიდინო?

— გაფრთხილებთ, იქ უბრალო მაყურებელი ვერ იქნებით, მხოლოდ ორი ადამიანი მოთავსდება და ორივემ უნდა ვიმუშაოთ, თანაც თანაბრად.

— არავითარი მუშაობისა არ მეშინია, ჩემი გაუკეთებელი საქმე არ არსებობს!

— რახან ასეა, წავიდეთ! — უთხრა ივანმა, — ხოლო, თუ თქვენს ამხანაგებს სურთ ნახონ, რა ხდება იქ, რას ვაკეთებ იმ მექანიზმებით, შეუძლიათ გამოგაცილონ.

მან სამივეს მისცა მაღაროში ჩასაცმელი ტანსაცმელი, ნათურები ქამარზე და მსხვილი ქეჩის ქუდზე მისამაგრებლად და ჩაიყვანა ქვემოთ. მიხვეულ-მოხვეული გვირაბების გავლით მალე მიაღწიეს იმ რკინის კარს, რომლის იქითაც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ სადღაც გამქრალი ტბა იყო. აქ სამსხვრეველა დაედგათ, რომელსაც ზემოდან მართავდნენ. სპეციალური ღვედით. წისქვილის ქვებით წმინდად ფქვავდნენ რაღაც ნივთიერებას და მილით უფრო ქვემოთ ყრიდნენ. დიდი ბორბლის ღვედიც ქვემოთკენ მიიჭიმებოდა.

ივანმა სტუმრები კიდევ უფრო შიგნით შეიყვანა ვიწრო გვირაბებით და გრძელი ხის კიბით ღრმა ორმოში ჩაიყვანა. ფსკერზე, ასე ორ კვადრატულ საჟენიან პატარა გალიაში ორი მუშა მორიგეობდა, ერთი მოხუცი, მეორე ახალგაზრდა.

— აბა ახლა ბატონებო, ტანსაცმელი გამოიცვალეთ, აქ ჩვენი გარდერობია.

— როგორ? ამით არ შეიძლება?

— იმ ვარჯიშისთვის, რომელიც ჩვენ მოგვიწევს, ჯავშანი აუცილებელია.

ამასობაში მუშებმა ტანსაცმელი მოიტანეს და სტუმრებს დააზომეს. მეხანძრეთა ფორმას გავდა, გარედან აზბესტისა და ცეცხლგამძლე ხელოვნური აბრეშუმისა იყო, სარჩულსა და აბრეშუმს შორის კი რამდენიმე ფენად დაფშვნილი ნახშირი ჰქონდა ჩატანებული. ხელებზეც სელის უხეში ხელთათმანები ჩააცვეს.

— ნამდვილ რაინდებს ვგავართ! — იხუმრა ბატონმა შპიცჰაზემ.

— მუზარადებიც უნდა დავიხუროთ!

— მუზარადები?

— დიახ, ეს არის ასე თორმეტჩარექიანი კასრისოდენა მინის სფერო, რომელსაც სამი ნახვრეტი აქვს. იქ, სადაც ახლა ჩავალთ, ისეთივე სიფრთხილეა საჭირო, როგორც წყალში ჩაყვინთვისას. გარდა ამისა, ზოგჯერ ცეცხლის ალში გავლაც მოგვიწევს...

— ცეცხლის ალში? — შიშნარევი ხმით იკითხა ბატონმა შპიცჰაზემ და გულში ინანა კიდევაც, აქ ჩამოსვლა რომ ითხოვა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. თანაც სიმამაცის გამოჩენა აუცილებლადაც მიიჩნია საქმის სასარგებლოდ.

— ახლა აგიხსნით, რისთვის არის საჭირო აზბესტის ტანსაცმელი, — მიმართა ივანმა, — იგი მყვინთავებისა და მეხანძრეების ფორმის შენაერთია. მინის მუზარადი რეზინის მომჭერებით ჰერმეტულად არის შეერთებული ტანსაცმლის საყელოსთან. შლემს უერთდება ორი მილი ნასოსებით. ერთი სუფთა ჰაერს მოგვაწვდის, მეორეთი ამონასუნთქი გადმოიდევნება. მილების ბოლოები აქ დარჩება, ნასოსები კი გაიჭიმება და თან წავიღებთ ზუსტად მყვინთავებივით. უნდა გაგაფრთხილოთ წინასწარ, რომ ჰაერი უფრო თბილი მოგეჩვენებათ, ვიდრე აქ არის და რეზინის სუნიც ექნება, მაგრამ გარანტიას მოგცემთ, რომ არ დავიხრჩობით. მესამე ნახვრეტში მივამაგრებთ მოქნილ, ზამბარიან მილს, რომელიც ერთმანეთთან შეგვაერთებს. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ერთმანეთს დაველაპარაკოთ, მინის მუზარადი ხმას არ ატარებს.

ბატონ შპიცჰაზეს კინაღამ გული შეუღონდა, განსაკუთრებით მაშინ, ნახვრეტის ნასოსები რომ შეუერთეს. აღარავისი ხმა არ ესმოდა და სამყაროსგან მოწყვეტილად იგრძნო თავი. მხოლოდ ივანის ლაპარაკი გაიგონა, ისიც ისე ყრუდ, თითქოს ქვესკნელიდან ამოდიოდა:

— აიღეთ ხელში დახვეული რეზინის ნასოსი და გამომყევით უკან!

ივანმა მხარზე ჩამოიცვა მეორე ნასოსი და მუხის კარი გამოაღო. მუშებთან დარჩენილმა ორმა ბატონმა თითქმის ერთდროულად იკითხა, ამ კარიდან მომწამლავი გაზი აქაც ხომ არ შემოვაო. მოხუცმა პალმა აუხსნათ, მხუთავი გაზი

ორჯერ უფრო მძიმეა ყანგბადზეც და წყალბადზეც. ასე, რომ ქვემოთ დარჩება, სადაც ახლა ეს ორი ბატონი ჩავლენ. თავისუფლად შეიძლება მათ უკან გაჰყვეთ იმ ადგილამდე, ვიდრე სანათური არ ჩაქრებაო.

დია კარიდან საკმაოდ ფართო მღვიმეში გავიდნენ. კედლები სქელი, მაგარი დაფებით იყო მოფენილი. ღვედი ზემოდან ეშვებოდა აქ და ატრიალებდა ლილვს, რომლის ხმაც ყრუდ მოისმოდა დაფებს ქვემოდან, ისე, თითქოს ღრმად, წყლის ქვეშ იყო მოთავსებული.

ფიცარნაგის გვერდით დაბალი გასასვლელი მიჰყვებოდა ქვის ფენას. გასასვლელის ბოლოში, ვიწრო ხვრელში ნათურა უკვე ქრებოდა. აქედან მხუთავი აირის სამფლობელო იწყებოდა. მოხუცმა პალმა ფიცარნაგზე დადგმული ელექტრომაწყანა ჩართო და ჩაბნელებული გასასვლელი გაანათა. ეს იყო ვიწრო გვირაბი, რომელიც ივანმა ოთხ კვირაში გათხარა თაგისი მაღაროდან მეზობელ, აფეთქებულ მაღაროში გასასვლელად. მას სიტყვა არავისთან დასცდენია ამის შესახებ, ვიდრე იქამდე არ მიიყვანა საქმე, რომ გამჭოლი ხვრეტილიდა დარჩა გასაყვანი. ეს კი მხოლოდ სპეცტანსაცმლით შეიძლებოდა, რომელიც მოძრაობაში ხელს უშლიდა და ამიტომ ერთი კვირა მაინც დასჭირდებოდა.

ელექტრული შუქი ანათებდა გვირაბს მოსახვევამდე, სადაც მთელ სიმაღლეზე დადგმული იყო გაკრიალებული თუნუქის სარკე, რომელიც ირეკლავდა შუქს და მოსახვევს ანათებდა, ახალ მოსახვევში კი გადაეცემოდა ანარეკლის მქრქალი შუქი. აქ უკვე საგნებს ერთმანეთისგან თუ გაარჩევდით, ეს იყო და ეს.

— ახლა ისევ სიბნელეში მოვხვდებით? — ჰკითხა შპიცბაზემ.

— პირიქით, სინათლე ზედმეტიც მოგეჩვენება! — გაამხნეგა ივანმა.

შპიცბაზე ფეხდაფეხ მიყვებოდა, ისინი ხომ ერთმანეთთან იყვნენ შეერთებული სალაპარაკო მილით. სწორედ სიამის ტყუპებივით იყვნენ. ეს მილი რომ გაწყვეტილიყო, მხუთავი აირი ორივეს სულს გააფრთხობინებდა. — მოიცა ერთ წუთს! — უთხრა ივანმა, — აქ ტუმბოს დანადგარია, მილი მომაწოდე!

ქვესკნელში ისინი „შენობით“ მიმართავდნენ ერთმანეთს.

ნახევრადჩაბნელებულ გვირაბში ორ-ნახევარი ფუტი სიმაღლის მბრუნავბორბლიან მექანიზმს მიადგნენ, რომელიც აქ წინადღით დადგეს.

ივანმა გამოართვა თანამგზავრს დახვეული შლანგი და ერთი ბოლოთი მიამაგრა ტუმბოს. მექანიზმის ჩართვისთანავე ორივე ბორბალი მთელი ძალით დატრიალდა. ივანმა ტუმბის ონკანი მოუშვა და დახვეული შლანგი შპიცჰაზეს ჩამოაცვა კისერზე. თუ აქამდე მსუბუქად მოჰქონდა ხელით, ახლა ისე მძიმე ეჩვენა, გაიფიქრა, ნახევარი ცენტნერი მაინც იქნებაო. სავსე შლანგი ზამბარასავით დაიჭიმა.

— აბა ახლა წინ! სწრაფად! — გაისმა მილში ივანის ხმა.

— ჯოჯოხეთური სიცხეა! — ჩაილაპარაკა შპიცჰაზემ.

— წოლხვრელის ამ ნაწილში უკვე ჩავაქრეთ ცეცხლი, — აუხსნა ივანმა.

ფეხსაცმელზე ორივეს მინის სპეციალური ფილები ჰქონდა მიკრული, ჯერ ისევ გავარვარებულ ნაღვერდალზე ფეხები რომ დასწვოდათ.

შპიცჰაზეს რეზინის მილი თანდათან გაიშალა. ირგვლივ სულ უფრო ბნელდებოდა, ბოლოს კი უკუნეთ სიბნელეში მოხვდნენ.

— ვეღარაფერს ვხედავ! — დაიწუწუნა შპიცჰაზემ.

— არაფერია, მომყევი!

უცებ ისევ იელვა შუქმა. წინ სინათლის ვარდისფერი ანარეკლი გამოკრთოდა აქა-იქ. ეს იყო მიწისქვეშეთის გარიერაჟი. ახლა სუნთქვა მიჭირსო, ისევ დაიჩივლა შპიცჰაზემ.

— ესეც არაფერია! — გაამხნევა ივანმა.

როგორც კი მოსახვევს გასცდნენ, მართლაც შემაძრწუნებელი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ.

ჯოჯოხეთის ცეცხლი!

ცეცხლში გახვეული ლაბირინთი ნაირფერად აელვარებულიყო. ქვედა ფენა მომწვანო-მოლურჯო ალით იწვოდა, შუაში გვირაბების ტიხრები წითლად გავარვარებულიყო, უფრო ზემოთ კი მეწამული ენები თითქოს სადღაც იკარგებოდა, როცა ბზარებიდან გარეთ იჭრებოდა თვალისმომჭრელი შუქი. ქვანახშირის ალმოდებულ სამეფოში მწვანექოჩრიან და წითელ-

ფაფრიან ცეცხლოვან სულთა დემონური ხროვა როკავდა, მოწითალო სინგურისფერი წოლხვრელის თაღიდან კი წვიმასავით იღვრებოდა ნაპერწკლების ჩანჩქერი. ქვანახშირის ფენებიდან ხან აქ, ხან იქ სტვენით ამოხეთქავდა შეკუმშული აირის ნაკადი და მიწისქვეშეთის ღამეს გაანათებდა. თვალით უხილავი გამოქვაბულის სიღრმიდან კი ზეიჭრებოდა ცეცხლოვანი შადრევანი ირგვლივ ნაპერწკლების ფრქვევით. უფრო ზემოთ, თითქმის თაღის ქვეშ რაღაც დაცურავდა მოთეთრო-რძისფერი ღრუბელივით და ნელ-ნელა უახლოვდებოდა ჯოჯოხეთში შემოჭრილ თავხედებს.

შეძრწუნებული შპიცჰაზე კედელს აეკრა.

— გაუშვი ნასოსი! — უთხრა ივანმა.

რეზინის განთავისუფლებული მილები გველებივით დაიკლაკნა და წინ გასრიალდა.

— ახლა კი არ ჩამომრჩე! — მოესმა ივანის ბრძანება, — ნასოსების ბოლოს ხელს ნუ გაუშვებ.

შპიცჰაზე იძულებული იყო დამორჩილებოდა. შეგნებულად ან შემთხვევით რომ ჩამორჩენოდა და მუზარადს შემაერთებელი მილი მოძრობოდა, იმავე წამს მიწაზე დაანარცხებდა მხუთავი აირი. ცეცხლისმფრქვეველ ჯოჯოხეთს მთელი თავისი საშინელებებით დაეღო ხახა და ყოველ წუთს შთანთქმით იმუქრებოდა.

ივანს არ ეშინოდა. ვინ იცის, იქნებ იგი არც იყო ადამიანი, იქნებ სული იყო, რომლის ნებასურვილს ეს ცეცხლოვანი აჩრდილებიც ემორჩილებოდნენ.

აი, იგი მიუახლოვდა ცეცხლოვანი ზღვის ნაპირს. მარჯვედ მოიხსნა მხრიდან დახვეული ნასოსი, მიმართა სიღრმისკენ და ონკანი გახსნა. ნასოსის ღია ბოლოდან გამოვარდნილი ალმასის სხივებივით მოელვარე ნაკადი ეკვეთა ცეცხლის შუაგულს.

— ყოჩაღად იდექი! — დაუძახა ივანმა.

გავარვარებული ფენებიდან გამოვარდნილმა ორთქლმა უცებ დაფარა მოგიზგიზე მღვიმე და წამით ორივე მუქი რუხი ფერის გამონაბოლქვში გაახვია.

ერთი მათგანი შებარბაცდა.

— ნუ გეშინია! — მიეშველა მეორე — აქ არაფერი დაგ-ეიშავდება.

— ვიწვი, სული მეხუთება! — ამოიკვნესა შპიცჰაზემ.

— არაფერია, ნუ ჩამომრჩები! ცოტაც მოითმინე, — გა-ამხნევა ივანმა და თან გაიყოლია. იგი მარჯვედ მიიკვლევდა გზას ორთქლით დაბურულ მღვიმეში და აქა-იქ დარჩენილ ცეცხლს აკრობდა. აირის სტვენა, გამომწვარი ფენებისა და ორთქლის შიშინი ყურთა-სმენას ახშობდა. ივანე მაინც უშიშ-რად მიიწევდა წინ.

— ვიღუპებით! — ამოიგმინა სასოწარკვეთილმა შპიცჰა-ზემ და ჩაიკეცა.

— სულმდაბალო! — უყვირა ჯოჯოხეთის ცეცხლთან მარ-ტოდმარტო შერკინებულმა ივანმა, — დავბრუნდეთ უკან!

ამ სიტყვებით რეზინის ნასოსი დაიხვია მხარსა და კისერ-ზე, მექანიზმი გამორთო და თანამგზავრი გასასდელისკენ წაიყ-ვანა.

მინის მუზარადი რომ მოხსნეს, შპიცჰაზე მოცელილივით ეცა მიწაზე. ივანმა სიბრალულით გადახედა.

მუშებმა მაშინვე ლიმონიანი ცივი წყალი დაალევინეს ორი-ვეს და საფეთქლები ღვინის ძმრით დაუზილეს. შემდეგ გახა-ლეს და ცივი წყლით სავსე კასრში ჩააყურყუმელეს. ორი წუ-თის შემდეგ უხეში ბამბის ქსოვილით შეუმშრალეს ტანი.

შპიცჰაზე ახლალა მოვიდა გონს და იმაშიც დარწმუნდა, რომ გრძნობის ხუთივე ორგანო აღდგენოდა. როცა თავისი კოსტიუმი ჩააცვეს, ივანმა ჰკითხა:

— აბა, რას იტყვით, ბატონო ჩემო, მოგეწონათ იქაუ-რობა?

შპიცჰაზე არ დაიბნა და ეშმაკური ღიმილით უპასუხა:

— რას გეტყვით, იცით? ასი ათას ფორინტს არ მივცემ-დი იმისათვის, იქ რომ ვიყავი, მაგრამ მეორედ იქ აღარ ჩა-ვალ, ორასი ათასიც რომ მომცენ!

— იმედი მაქვს, ახლა უკვე იცით, რა უნდა მისწეროთ გამგეობას. პალ, ჩემო, მიაცილე ბატონები სახლამდე! მე აქ დავრჩები და ცოტას კიდევ ვიმუშავებ.

იმის გადმოცემა, თუ როგორი აღფრთოვანებით აღწერა შპიცჰაზემ ვენის გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში მი-

წისქვეშა შერკინება ცეცხლთან, თითქმის შეუძლებელია. ივანი ანტიპრომეთეს, მოსეს, წმინდა ფლორიანს შეადარა.

რაღა თქმა უნდა, იმ საღამოს სამკაციანმა კომისიამ ნადიმი გამართა. შამპანურის ბათქაბუთქი ცას სწვდებოდა. მაგრამ სად იშოვა შამპანური ბონდას ველელმა სამიკიტნოს მეპატრონემ, მხოლოდ ბატონმა რენემ იცოდა.

შამპანურით შექეიფიანებულმა და ბატონი შპიცჰაზეს წრესგადასული კვეხნა-ტრაბახით გახალისებულმა ორმა ბატონმაც დაიქადნეს, რომ ხვალვე ისინიც ჩავიდოდნენ ქვესკნელში ივანთან ერთად.

მეორე დილით ნაბახუსევზე, ინანეს სიმთვრალეში წამოსროლილი სიტყვები, მაგრამ უკან ხომ ველარ წაიღებდნენ. სხვა რა გზა ჰქონდათ, ერთ-ერთი მუშის თანხლებით ჩავიდნენ წოლხვრელში. ივანი იქ არ დაუხვდათ, ზევით მუშაობსო, უთხრეს. ამან ისინი მაინც ვერ შეაჩერა.

გასახდელში აზბესტისა და ცეცხლგამძლე ხელოვნური აბრეშუმის კოსტიუმები ეკიდა, ივანს და შპიცჰაზეს რომ ეცვათ გუშინ. ამის ჩაცმა გვსურსო, განაცხადეს. მაშინვე მიართვეს. განსაკუთრებით აინტერესებდათ, როგორ იმოძრაებდნენ ერთმანეთზე გადაბმულები.

ჩაიცვეს თუ არა, მაშინვე მუხის კარით მღვიმეში გავიდნენ. იარეს, იარეს, მაგრამ გვირაბში გასასვლელი ვერ იპოვეს.

— სად არის გასასვლელი? — ერთხმად იყვირა ორივემ. მაგრამ მათი ყვირილი სხვას არავის ესმოდა.

ბოლოს, რომ ვერაფერი გააწყეს, უკან დაბრუნდნენ და ტანსაცმელი გამოიცვალეს.

— კი მაგრამ, რა იქნა გვირაბი? — იკითხეს სულმოუთქმელად. მათ აღშფოთებაში რაღაც იგრნობოდა დუელში გამოწვეული იმ კაცის ტრაბახის მსგავსი, მთელი ღამე გამოსავალს რომ ეძებს დუელიდან თავის დასაღწევად, გამთენიისას კი მოწინააღმდეგის მობოდიშების წერილი მოსდის.

— სად გაქრა მაინც გვირაბში შესასვლელი?

— ქვიშით სავსე ტომრებით ამოვავსეთ და ამოვქოლეთ. — აუხსნეს მეშახტეებმა.

— რატომ?

— ამას კი ვერ მოგახსენებთ.

ვითომდა შეწუხებული კომისიის წევრები ივანის საძებნელად მაღლა ამოვიდნენ. ივანი აქციონერული საზოგადოების მაღაროსთან იდგა და რაღაც განკარგულებებს იძლეოდა.

— იქნებ გვითხრათ, რატომ ამოქოლეთ გვირაბში შესასვლელი?

— ბატონი ბრძანდებით! აქამდე მიწის ქვეშ ჩემს მიერ აღმოჩენილი ცეცხლმქრობი სითხის ძალას ვცდიდით. დავადგინე, რომ ერთ გვირაბში ხანძრის ჩასაქრობად საჭირო იყო ორმოცდაათი-სამოცი აკო. ახლა უკვე შეიძლება ხანძრის მთავარი კერა ჩავაქროთ, ოღონდ ერთი კაცი და ერთი პატარა ხელის მანქანა ამას არ ეყოფა. რასაც ერთ წუთში ჩავაქრობთ, მეორე წუთში ისევ იფეთქებს ახალი ძალით, დაგროვდება დიდი რაოდენობით ცხელი ორთქლი და იქ ვერც ერთი ადამიანი ვერ გაძლებს დიდხანს ვერავითარი ცეცხლგამძლე ტანსაცმლით. ამიტომ, ხანძრის მთავარ კერასთან მივიტანეთ ოთხდიუმიანი დიამეტრის მქონე შლანგი, რომელიც ოთხ საათში ათი ათას აკო სითხეს ამოქაჩავს აუზიდან და ალმოდებულ წოლხვრელში მიუშვებს. ბატონებო, ეს იქნება გადამწყვეტი დარტყმა.

— ეშმაკმა დალახვროს! — წამოიძახა ბატონმა შპიცკასემ. — ეს ყოველივე იმით ხომ არ დამთავრდება, რომ მიწისქვეშ წარმოქმნილი გაზი არამარტო წოლხვრელს ააფეთქებს, ჩვენც ზედ მიგვაყოლებს და პომპეის მცხოვრებთა მსგავსად აღგვგვის მიწისაგან პირისა?

— საშიში არაფერია! ეს-ეს არის კიდევ ერთხელ გადავამოწმე ყველაფერი. აქციონერთა საზოგადოების გამგეობამ მაღაროს ყველა შესასვლელი სილით სავსე ტომრებით ამოავსებინა მუშებს. მაღაროს ჭის ყელი კი დააცობინა რკინის ნაჭედი საგდულით და თიხით ამოალესინა. თუ გავარვარებული წოლხვრელიდან ცეცხლმქრობი სითხის შეყვანის შედეგად გახის წნევა მოიმატებს, სწორედ ამ რკინის საცობს ამოხეთქავს.

კომისიის წევრები ამ ახსნა-განმარტების მოსმენისას შიშით აკანკალდნენ.

ეს უკვე მიწისძვრას უდრიდა. მაგრამ ივანს მათთან სასა-

უბროდ აღარ ეცალა, შუადღემდე უნდა მოესწრო კიდევ მრავალი განკარგულების გაცემა და ყოველი წვრილმანის კიდევ ერთხელ გადამოწმება.

შუადღისას, როგორც კი ზარს შემოჰკრეს, ივანმა ტუმბო ჩაართვევინა. ამ წუთიდან იგი თვითონ წარმართავდა მთელ ამ ოპერაციას. კომისიის წევრებმა სთხოვეს, მის გვერდით ყოფნის ნება მიეცა და აღუთქვეს, ხმას არ ამოვიღებთო. სიტყვის თქმის უფლება მოელი ამ დროის განმავლობაში ივანის მეტს არავის ჰქონდა.

ტუმბოს ამუშავებისთანავე მიწისქვეშა ფენებიდან მომდინარე წყლის ტყლაშუნის მსგავსი ოდნავ გასაგონი ხმა მოისმა.

თავიდან მექანიზმი მთელი ძალით არ მუშაობდა. ნახევარი საათის შემდეგ წყლის ხმაურს რაღაც ყრუ გუგუნი მიემატა, ზარის რეკვის მსგავსი. ხმა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ადამიანები გრძნობდნენ, როგორ თრთოდა მათ ფეხქვეშ. ქიწა და შიშისაგან კანკალებდნენ.

მხოლოდ ერთი იყო მშვიდად, მთელი გულისყურით მისჩერებოდა მექანიზმს, ამოწმებდა მანქანის თერმომეტრს, ქრონომეტრს, ბარომეტრის ისრის მცრიეოდენ გადახრას, ელექტროენერგიისა და ოზონის გახარჯვას და დაკვირვების შედეგებს უბის წიგნაკში ინიშნავდა.

ერთი საათის შემდეგ მექანიკოსს ანიშნა:

ქოუმატე!..

და დაიწყო ტიტანთა შერკინება მიწის ქვეშ. ჭექა-ქუხილის მსგავსი ყრუ გრუხუნი მოისმოდა დროდადრო მიწიდან და საკმაოდ ძლიერი ბიძგით მთავრდებოდა. ახლა უკვე ყველა მიწისზედა ნაგებობა ირყეოდა, თრთოდა ალვის ხის კენწეროები, ირხეოდა ჯვარი ტაძრის გუმბათზე და მთელი ბონდას ველი რაღაც საშინელების მოლოდინში გარინდულიყო.

მიწის ქვეშ დამარცხებული გიგანტების მთელი ჯოგი მძვინვარებდა თითქოს, ღმუილით აწყდებოდა აქეთ-იქით და თავგანწირვით იბრძოდა ბოლო ამოსუნთქვამდე. ერთმანეთში არეულიყო მღვიმეში მომწყვდეული სტიქიის გრგვინვა, ბუმ-

ბერაზის ღრიალი, ჯაჭვების გაწყვეტის ხმა და შეშლილი ლევიატანის ხარხარი.

ადამიანები გაქვავებულივით ფეხის გადადგმას ვერ ახერხებდნენ და გაოგნებულები მისჩერებოდნენ ივანს:

„რას აკეთებ? შენ ჩვენს წინააღმდეგ აამხედრე მთელი ქვესკნელი!“

მას კი თვალები ზეშთაგონებული შუქით გაბრწყინებოდა; ეს შუქი თითქოს ამსნევებდა მხდალ ბრბოს:

„ნუ გეშინიათ! მე ფეხი დავაბიჯე თავზე ურჩხულ ლევიატანს!“

სამ საათს გაგრძელდა ბრძოლა მიწისქვეშეთში.

დედამიწა ზანზარებდა, ირყეოდა ფეხებქვეშ, ყველა ბარბაცებდა, უჭირდათ სიარული და საყვედურობდნენ ივანს: —— „ღმერთი ხომ არა ხარ, მიწისძვრა რომ გამოიწვიე?“

ივანი ყურადღებას არ აქცევდა მათ ლაპარაკს და ისევ ამისცა ნიშანი:

— მთელი ძალით!..

და ადამიანის გონების ღვთაებრივი ძალით შექმნილი მანქანა კვლავ ჯოჯოხეთის კარს შეერკინა.

მიწისქვეშა ბიძგები სულ უფრო გაძლიერდა და გახშირდა. ყრუ გუგუნი ყურთასმენის წამღებ გრიალში და გრგვინვაში გადავიდა.

„აღსასრული!“ —— გაისმა კვნესა ბონდას ველზე.

ვულკანის ყელიდან ამოხეთქილი სტვენის მსგავსმა გამჭვალავმა კივილმა გააპო ჰაერი.

მაღაროს ჭის ამოქოლილი ყელიდან განსაცვიფრებელი სისწრაფით ამოსკდა ორთქლის თეთრი სვეტი, ჰაერის ცივ ფენებში მოწმენდილ ცაზე შექმნა ღრუბელი და იმავე წუთში წამოვიდა წვიმა. ჩამავალი მზის სხივებმა ირგვლივ ცისარტყელა შემოავლო.

ივანმა აქაც წინდახედულება გამოიჩინა და მოხუცს მიუბრუნდა:

—— პალ, ჩემო, შემიგროვე წვიმსაზომში ტენი, ამ ნალექის შემადგენლობა მინდა შევამოწმო. — თან მექანიზმზე მომუშავე მუშას ანიშნა, გამოერთო.

როგორც კი წვიმსაზომი აიღსო, პატარა შუშაში გადაასხა, ჯიბეში ჩაიდო და იქ მყოფთ მიუბრუნდა:

— აბა, ახლა, ბატონებო, შეგიძლიათ სავახშმოდ წაბრძანდეთ. ჩვენი სამუშაო დამთავრდა.

— ხანძარი ჩაქრა? — პირველმა იკითხა შპიცპაზემ.

— ჩაქრა.

— აბა, ეს რა ორთქლი ამოდის?

— ორთქლი ასე ამოვა შუაღამემდე და მცირე რაოდენობით შემდეგაც კიდევ დიდხანს გამოიყოფა. შეგიძლიათ მშვიდად ივახშმოთ! მე კი შინ სასწრაფო საქმე მაქვს.

მაგრამ ჭამა ნამდვილად არავის შეეძლო, მღელვარებისაგან ლუკმა არ გადასდიოდათ ყელში.

ორთქლი კვლავ ამოდიოდა მაღაროდან, ახლა მის ირგვლივ დიდი ღრუბელი წარმოიქმნა და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. რამდენჯერმე უხმოდ გაიელვა. ფიქრადაც არავის მოსვლია, თავი შეეფარებინა სადმე. ბატონებმა საწვიმრები ჩაიცვეს, გლეხებმა ტყაპუჭები გადაიფარეს და თვალს არ აცილებდნენ ბუნების ამ საოცარ მოვლენას. წვიმამ ასე საღამოს ათ საათზე გადაიღო. ღრუბელმა თანდათან დაბლა დაიწია, თეთრი ბოლქვები საგრძნობლად შემცირდა, ორთქლი ახლა სტვენისა და შიშინის გარეშე ამოდიოდა, მაგრამ ყველა თავისთვის ფიქრობდა, აი, სადაცაა ისევ იფეთქებს გრგვინვით და მთელი ძალით ჰაერში აიჭრებაო. თეთრ ღრუბელში ახლა აქა-იქ უხმოდ იელვებდა მხოლოდ. დედამიწა დამშვიდდა, აღარ ირყეოდა. აღარც გუგუნი მოისმოდა სიღრმიდან.

ეკლესიიდან „ალილუია!“ მოისმა. ხალხი ბაირაღებითა და კანდელებით გამოვიდა ლიტანიაზე.

ბატონები სამიკოტნოში დაბრუნდნენ, სადაც ივანი უკვე სუფრას მისჯდომოდა და მარტო ვახშობდა.

— ნუთუ ახლა ჭამა შეგიძლიათ? — ჰკითხეს ერთხმად.

ივანს კი ახლაღა გახსენებოდა, რომ ისევ ჩვეულებრივი ადამიანია და უნდა ეჭამა.

— ქიმიური ცდა ჩავატარე! — მშვიდად უპასუხა მან და შემიძლია გაგახაროთ: ნალექში 0,75 მეასედი ნახშირჟანგი აღმოვაჩინე.

ბატონმა შპიცპაზემ განცვიფრებულმა ჰკითხა:

— მერედა რა ბედენაა ჩვენთვის ეს 0,75 მეასედი ნახშირჟანგი?

— ის, რომ წოლხვრელი ხვალვე შეგვიძლია გავხსნათ ორივე მხრიდან და პირველი განიავებისთანავე განვაახლოთ მუშაობა!

„ალილუია! ალილუია!“

ᲐᲙᲝᲗᲔᲝᲖᲘ

ამ ბრწყინვალე გამარჯვებისთვის ივანმა ჯილდოდ მიიღო სიმდიდრეც, დიდებაც, საყოველთაო აღიარებაც.

მადლიერთა ლოცვა ხომ ღმერთს უტოლებს ადამიანს.

მაგრამ განა არ იყო ღირსი?

მან ხომ იხსნა ათასობით ადამიანის ფასდაუდებელი სიმდიდრე, იხსნა მთელი ქვეყნისთვის, მრეწველობისთვის, კაცობრიობისთვის. შეაჩერა დამღუპველი სტიქია, ახალი ვულკანური კატაკლიზმებით რომ ემუქრებოდა მთელ მხარეს, დაუბრუნა ლუკმაპური ადამიანებს, ცრემლი შეუშრო ქვრივობლებს.

განა არ უნდა ეგრძნო თავი ღმერთად?

განა უმიზეზოდ შექმნა დედამიწის ბინადარმა ლეგენდა იმის შესახებ, რომ ყველა პლანეტა მისი უხილავი ვარსკვლავის ირგვლივ მოძრაობს?

თუკი არსებობენ მეზობელ პლანეტებზე ადამიანები, — და მე მჯერა რომ არსებობენ, თუკი მათ შესაძლებლობა აქვთ დააკვირდნენ ჩვენს დედამიწას, ალბათ გააოცებდათ ის ცვლილებები, აქ რომ მოხდა.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა გეოლოგიურმა კატაკლიზმმა ზღვების ცისფერ ზედაპირზე ამწვანებული კუნძულების ნაცვლად ოკეანის ფსკერიდან კვლავ ამოსწია აყვავებული მატერიკები, რამდენი რამ ახალი შეიქმნა დედამიწაზე! და მისი შემოქმედი ადამიანია!

აღიგავა მიწისაგან პირისა ჭაობები და ოქროსფრად მოლივლივე პურის ყანებმა დაიკავა მათი ადგილი.

ჭაობებიც ადამიანმა ამოაშრო.

უდაბნოებში გაჩნდა მწვანე ოაზისები.

ადამიანმა შეუცვალა კალაპოტი მდინარეებსაც.

ოკეანეებს სერავენ უზარმაზარი გემები და ეს არ არის ღვთიური სასწაული, ეს მოცურავე გიგანტებიც ადამიანის ხელით არის შექმნილი.

ერთი ზღვის ნაპირიდან მეორემდე გადაჭიმულ პირდაპირ ხაზებზე დიდი სისწრაფით მოძრაობენ გრძელი მანქანები, რომლებსაც დიდი მანძილიდანაც შეამჩნევთ. ესეც ადამიანის გონების ნაყოფია — რკინიგზა და მატარებელი.

ღამით დედამიწაზე ციმციმებენ აქა-იქ მიმობნეული მანათობელი წერტილები. ეს ქალაქებია, სადაც სინათლის მოყვარული ადამიანი ღამით ნათურებს ანთებს.

განა დედამიწა ახლა უფრო მშვენიერი არ არის, ვიდრე მამონტების ეპოქაში?

თუკი ხედავენ დედამიწას სხვა პლანეტებიდან, ამას უთუოდ შეამჩნევდნენ.

და რაღა თქმა უნდა, ხედავს ყოველივე ამას თვით შემოქმედიც! ის, ვინც დაასახლა ადამიანები დედამიწაზე და უანდერძა: „აქამდე ვქმნიდი მე, ახლა შენ განაგრძობ!“

და ადამიანიც აგრძელებს ღმერთის დაწყებულ საქმეს. ეს არის მისი ჯილდო!

და ამასთან მაინც ადამიანად რჩება.

ეს არის მისი ნუგეში. თორემ ღმერთი რომ იყოს, გრძნობები აღარ ექნებოდა, არ შეეძლებოდა სიყვარული.

ეს კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ ანტიკური დროის ღმერთებმა და ეშვებოდნენ ოლიმპოდან, ადამიანური ბედნიერება რომ განეცადათ.

ღმერთს ყოველთვის წარმოიდგენენ ხოლმე ადამიანის სახით, ოღონდ ადამიანური გრძნობების გარეშე. კერპთაყვანისმცემლებიც კი მზეს გამოსახავენ ადამიანის ხელებით და ფეხებით, იმის წარმოსადგენად თუ როგორ მოძრაობს იგი სივრცეში.

მაშ რატომღა მიისწრაფიან ადამიანები იმისკენ, რომ თავიანთი გმირები ღმერთებს გაუტოლონ?

რა არის ამის მიზეზი, ან რა სურთ გვითხრან სიტყვებით:

„გიყვარდეს მთელი სამყარო, ოღონდ არ აღმოჩნდება იქ ის ერთადერთი ადამიანი, ვისი სიყვარულიც შეგეძლება!“

„სიკეთე მოუტანე ათასობით ადამიანს, შეიმოსე დიდების შარავანდედით, დაიმსახურე დაფნის გვირგვინი ტრიუმფალური აღმასვლისათვის, იყავი მოწყალე, ოღონდ ვერ შეხვდები ერთ ადამიანსაც კი, ვინც შენთან პურს გატეხს და შენს სადღეგრძელოს შესვამს, ვერასოდეს მოისმენ ნაზ ჩურჩულს, არ მოგმართავს ბავშვი არც თხოვნით, არც მადლობის სათქმელად“.

„დაე დაგათროს ჯილდოდ მიღებულმა ყვავილთა თაიგულების სურნელმა, მაგრამ, იმ ერთადერთ ყვავილს ვერავისგან ვერ მიიღებ!“

„ათასობით ადამიანი გამოგიგზავნის კოცნას, მაგრამ იმ ერთადერთ კოცნას საოცნებო ბაგეთაგან ვერასოდეს ეღირსები!“

„ოქრო-ვერცხლში იქნები ჩასმული, მაგრამ დაე ნურავინ შეიტყობს, რომ მოწყალებას ითხოვ, სიყვარულის მოწყალებას!“

„ის, რაც ყოველ ღატაკს გააჩნია, მიუწვდომელი იქნება შენთვის. ღატაკი დღესასწაულიდან ფეხით ბრუნდება შინ ხელში აყვანილი მძინარე ჩვილით, შენ კარეტით ჩაუქროლებ გვერდით. ერთმანეთს მიესალმებით, შენ როგორც დიდი ადამიანი და ის როგორც უბრალო კაცუნა, იმას შენი შეშურდება, შენ კი იმისი!“

იმ თავბრუდამხვევი წარმატების შემდეგ ივანმა ბევრი რამ შეიძინა. მთავრობისაგან სამუდამო სარგებლობაში მიიღო პატენტი მის მიერ აღმოჩენილ ცეცხლმქრობ სითხეზე, აქციონერული საზოგადოებისაგან — ფულადი ჯილდო. უნგრეთისა და საზღვარგარეთის, ასევე ოკეანისგაღმა სამეცნიერო საზოგადოებებმა იგი თავიანთ წევრად აირჩიეს. ილუსტრირებულმა ჟურნალებმა მთელ ქვეყანას მოჰფინეს მისი პორტრეტები და ბიოგრაფია. ბონდას ველზე ყველა ოჯახი მასზე ლოცულობდა, და როცა ბონდავარის რკინიგზაზე პირველმა მატარებელმა ჩაიქროლა, ორთქლმავალს „ბერენდი“ უწოდეს.

ალბათ ღმერთმა დაიფარა იმისგან, რომ ორდენით არ დააჯილდოეს.

მაგრამ იმ მოლოცვებისა და მადლობის წერილების ნაკადში, რომელიც იმ დღეებში ივანმა მიიღო, მისთვის ყველაზე საინტერესო, პირადად გრაფინია ანგელა ბონდავარის ხელით დაწერილი წერილი იყო.

გრაფინია უყვებოდა იმის შესახებ, რაც მათი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მოხდა. წერდა, რომ გათხოვდა მარკგრაფ შალიშტაზე და რომ არ იყო ბედნიერი. პაპამისის ჰერცოგი ტიბალდის მთელი ქონება შალიშტამ გაანიავა და გაჭირვებაშიც კი ჩავარდნენ. გრაფინია ტეუდელინდამ ველარ მიიღო ბონდავარის მამულის კუთვნილი შემოსავალი. ამ გაჭირვებაში ბევრმა ვითომ მეგობარმა გამოავლინა ნამდვილი სახე, მათ შორის შალიშტამაც. თადარიგში გადადგა პოლკოვნიკის ჩინით და მექსიკაში წავიდა.

ამ დროს მოგვეშველა ივანი ყველას.

მისი წყალობით ჰერცოგი ვალდემარი ჩამოვარდა ტრიუმფის მწვერვალიდან. ჰერცოგ ტიბალდს კი დაუბრუნდა უკვე დაკარგულად ჩათვლილი, ბონდავარის აქციებში დაბანდებული მილიონი.

ამის შემდეგ ჰერცოგი ტიბალდი შეურიგდა თავის შვილიშვილს, თავი დააღწია კრედიტორებს და ოჯახმა დაიბრუნა თავისი ძველი დიდება. გრაფინია ტეუდელინდა ახლა სისტემატურად იღებს კუთვნილ შემოსავალს მამულიდან. გასაკოტრებლად განწირული მაღალი წრის არისტოკრატული ოჯახი გადარჩა და ადრინდელი დიდება დაიბრუნა.

და ეს ოჯახი სამუდამოდ დავალებული იქნება ერთი მეცნიერისაგან, რომელსაც...

აქ წყდებოდა გრაფინია ანგელას წერილი, ხელმოწერის ქვემოთ კი შემდეგი მინაწერი იყო:

„მომწერეთ პასუხი. თუნდაც მხოლოდ ერთი სტრიქონი, თუნდაც მხოლოდ ეს: „თქვენთვის ყველაფერი მიპატიებია!“

ივანმა იმავე დღეს უპასუხა. მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ისევ ახსოვდა გრაფინიას. მაგრამ რისთვის ითხოვდა გრაფინია პატიებას, ეს გაუგებარი იყო მისთვის. პირიქით,

იგი დიდი მადლობელი იყო გრაფინიას კეთილგანწყობილებისა მისდამი.

ივანი შეეცადა, რომ მისი წერილი თავაზიანიც ყოფილიყო და ცივიც.

პასუხად გრაფინიამ მეორე წერილი გამოუგზავნა: „ნუ მკითხავთ, რა დანაშაული მიმიძღვის თქვენს წინაშე, საკმარისია ისიც, მე რომ ვიცი ეს. სინდისი მქენჯნის, მოსვენება დავკარგე. გულწრფელად მითხარით, შეგიძლიათ ოდესმე მაპატიოთ? ასე არ უნდა მოგქცეოდით მაშინ!“

ამჯერად ივანმა გრაფინიას გაანდო საიდუმლო: „შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ გრაფინია, თქვენგან იოტისოდენა წყენაც არ მახსოვს. ახლაც თვალწინ მიდგას თქვენი ბრწყინვალე ნათელი სახე.

გრაფინიამ მოსწერა: „ბატონო ჩემო! მომწერეთ თუ ძალგიძთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა: „ანგელა ბონდავარს გულწრფელად მიპატიებია თქვენთვის და მეტი არაფერი!“

ივანმა მისწერა ეს და — მეტი არც ერთი სიტყვა.

ერთ საღამოს ივანის სახლთან საფოსტო კარეტა გაჩერდა. ამ დროს იგი აქციონერული საზოგადოების მაღაროს გამგეობის პირველ სართულზე ცხოვრობდა. მეკარე შემოვიდა და ორი სავიზიტო ბარათი გადასცა.

„გრაფინია ტეუდელინდა ბონდავარი“.

„გრაფინია ანგელა ბონდავარი“.

ივანს გაუკვირდა, რომ გრაფინია ანგელას ქმრის გვარი არ მიეწერა. მაშინვე უბრძანა მეკარეს, სთხოვეთო და თან თავისთვის გაიფიქრა, ნეტავ რა უნდათ ჩემთან, მე ხომ კარგის მეტი მათთვის არაფერი გამიკეთებია, რატომ არ მომასვენებენო.

ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა შავი ძაძებით მოსილი გრაფინია ტეუდელინდა ბონდავარი.

ივანი მიუახლოვდა და თავი დაუკრა. გრაფინიამ შავხელთათმანიანი ხელი გაუწოდა. ივანი ხელზე ეამბორა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო! — ჩურჩულით წარმოსთქვა გრაფინიამ.

— მარკგრაფინია სადღა ბრძანდება? — ჰკითხა ივანმა.

— ახლავე მოვა, მას ცოტა უჭირს.

ივანმა გრაფინიას ტახტზე დაბრძანება შესთავაზა და თვითონ მარკგრაფინიას შესაგებებლად გასვლა დააპირა.

— არ არის საჭირო, — შეაჩერა გრაფინიამ, — იგი თვითონ შემოვა ახლავე. ხომ მიიღებთ?

— ო, რას ბრძანებთ, გრაფინია!

— არა, მაღალფარდოვანი სიტყვები საჭირო არ არის, — შეაწყვეტინა გრაფინიამ, — აქ იმისთვის არ მოვსულვართ, რომ ერთმანეთს ქათინაურები ვუთხრათ. მკაცრად მოვითხოვთ მოკლე პასუხს, მხოლოდ „ჰო-ს“ ან „არა“-ს! ანგელას აქ დარჩენა სურს!

— აქ? — განცვიფრდა ივანი.

— დიახ, სწორედ აქ! განა ამას არ ელოდით? აქ, სამუდამოდ თქვენს გვერდით! მას ასე სურს და აქვს უფლებაც აქვს!

ივანის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

ამ დროს რაღაც მძიმე საგნის დაცემისა და მამაკაცების ფეხის ხმაც შემოესმათ. ოთხმა მუშამ ლითონის კუბო შემოიტანა. შუაში ვერცხლის გვირგვინი ჰქონდა ბონდავარების საგვარეულო ღერბით, გვირგვინის ქვემოთ კი ოქროს ასოებით ეწერა „ანგელა ბონდავარი“.

ივანი ამ მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა და ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

ტეუდელინდა მიუახლოვდა ივანს, ხელი მოჰკიდა და მიმართა: — აი, იგი თქვენს წინაა, გრაფინია ანგელა ბონდავარი და გთხოვთ თქვენ, როგორც ბონდავარის მფლობელს, დაუთმოთ სამუდამო სასუფევლად პატარა ადგილი სასახლის აკლდამაში წინაპართა გვერდით. აქ დაელოდება იგი ყველა წამებულთა საქმროს — იესო ქრისტეს.

— როგორ მოხდა ეს? — ძლივს ამოილუღლუღა ივანმა.

— სულ უბრალოდ. ჩააგდეთ ვარდი ცეცხლში და ერთი წუთის შემდეგ ჰკითხეთ, როგორ იქცა ნაცრად. ის-ის იყო მისი კისკისი მესმოდა, იმ დღეს ძალიან მხიარულობდა. გულნაკლული იყო, მაგრამ მაინც იცინოდა. ძალიან მიუახლოვდა ბუხარს. იმავე წამს მისი კივილი გავიგონე, რომ მოვიხედე, ცეცხლის ალში იყო გახვეული.

— დაიწვა! — აღმოხდა ივანს და სახეზე ხელები აიფარა.

— ალბათ არც ერთ ალმასი არ დაიწვება ასეთი ბრწყინვალებით!

— ნუთუ არავინ იყო ახლოს, რომ გადაერჩინა?

— ვინ უნდა ყოფილიყო ეს „არავინ?“ ნუთუ არ გაიგონეთ მისი ხმა? ნუთუ შუაღამისას საწოლიდან არ წამოგაგდოთ მისმა კივილმა „მიშველე, ივან!“ ნუთუ არ გესმოდათ სახელით რომ მოგმართავდნენ? ნუთუ ვერ დაინახეთ ცოცხალი ჩირაღდანი — ანგელას სახით ჯოჯოხეთის ცეცხლში. სად იყავით, როგორ არ მოირბინეთ და არ გამოსტაცეთ ცეცხლს, როგორ არ ჩაიკარით გულში, როგორ არ იხსენით? ის „არავინ“ ხომ თქვენ იყავით! და აი იგი თქვენს გვერდითაა და მოგმართავთ: „ახლა მეც არავინ ვარ. ვიყოთ ერთად“.

ივანს გულზე თითქოს მარწუხები შემოეჭდო.

— ორი დღე-ღამე ეწამა არაადამიანური ტკივილებით! — განაგრძო ტეუდელინდამ. — ამას რომ ვიხსენებ, გონება მერევა, არადა მასზე ფიქრი არ მშორდება. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გონება არ დაუკარგავს. და სულ იმას ამბობდა... ბოლოს საწერ-კალამი მოითხოვა და რაღაც მოგწერათ. აი, ის წერილი, ოღონდ ნუ წაიკითხავთ სანამ მე აქა ვარ. სულ ერთია ვერაფერს აგიხსნით. თუ რაიმეს ვერ მიხვდებით. თვითონ მას ჰკითხეთ. აი, კუბოს გასაღები. თქვენ გიტოვებთ.

ივანმა უნებლიეთ უკან დაიხია.

— ნუ გეშინიათ? მისი დანახვა არ შეგაკრთობთ, დაბალზამებულია. მის სახეს ცეცხლი არ შეხებია. ღიმილსაც კი შეამჩნევთ.

ივანმა თავს ძალა დაატანა და კუბოს თავი ახადა.

არა, ის არ იღიმებოდა, სახეც ცივი და უგრძნობი ჰქონდა. სწორედ ისეთი, მაშინ ხრამის პირას, მელიაზე ნადირობისას ხავსით დაფარულ ძირკვებზე რომ მიაწვინა.

ანგელა თეთრი ატლასის ბალიშებზე იწვა მშვიდად. ივანს მოეჩვენა კიდევაც, რომ დაეძახა მისთვის, როგორც მაშინ, წაით თვალს გაახელდა, ამაყად ეტყოდა „მე არაფერი არ მსურს!“ და ისევ იმქვეყნად წავიდოდა.

მისი მარმარილოს სახე საოცრად მშვენიერი იყო ახლაც.

ივანმა მაშინდელივით თავი ძლივს შეიკავა, რომ არ ეკოც-

წა. ამაზე ხომ არც მაშინ და მით უფრო ახლა, არავინ გაუწყრებოდა.

როგორც მაშინ გულსაბნევით, ახლა კუბოს სახურავით დაფარა უმშვენიერესი საიდუმლო. არც ცოცხალზე და არც მკვდარზე, ამის უფლება ივანს არ ჰქონდა.

— აიღეთ გასაღები! — მიმართა ტეუდელინდამ, — იგი თქვენია, ისევე, როგორც კუბო თავისი განძით. ასეთია მისი ანდერძი. მოვალე ხართ, დაასაფლაოთ იგი აკლდამაში, რომლის ერთადერთი პატრონიც თქვენა ხართ. ახლა უკვე ვეღარსად გაიქცევით.

ტეუდელინდა ვუალიდან აკვირდებოდა ივანის ანთებულ თვალებს, არც ივანი აშორებდა თვალს. რომელიმეს ერთი ცრემლიც რომ ჩამოვარდნოდა, ორივენი ატირდებოდნენ, მაგრამ ორივეს უნდოდა ეჩვენებინა ნებისყოფის სიმტკიცე, ის, რომ შეეძლოთ მბრძანებლობა თავიანთ გრძნობებზე.

— იღებთ, თქვენს თავზე ამ ვალდებულებას? — ჰკითხა გრაფინიამ.

ივანმა უხმოდ დაუქნია თავი.

მაშინ თქვენ დამარხეთ, ხომ იცით, რომ ვიდრე ცოცხალი ვარ, აკლდამაში ფეხს არ შევადგამ.

რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღიათ. ბოლოს სიჩუმე ისევ გრაფინიამ დაარღვია.

— მღვდელი საჭირო არ არის! მათ უკვე ვეღარ ვიტან! წყეულიმც იყოს ისიც, ვინც ჩემი კარჩაკეტილი სასახლიდან გამომიყვანა, სადაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველღამე წინაპართა სულებს ველაპარაკებოდი. ის, რომ არა, არასოდეს დავუბრუნდებოდი საზოგადოებას, არც ანგელა ჩამოვიდოდა ჩემთან, ჩემი ძმა ტიბალდი ქვეყნის სასაცილო არ გახდებოდა, ბონდავარის სასახლის ქვეშ ჯოჯოხეთის ცეცხლი არ დაენთებოდა, არც თქვენ გაგიცნობდით და არც ეს უბედურება მოხდებოდა!.. არც მღვდლების დანახვა შემიძლია და არც მათი გალობის მოსმენა!

იგი წამით ჩაფიქრდა და განაგრძო!

— თუმცა, რატომ არ უნდა იცოდეთ? ანგელა ბოლო დღეებში პროტესტანტი გახდა, იმისათვის, რომ ქმარს გაყროდა. თქვენც ხომ პროტესტანტი ხართ? მაგრამ ახლა ამას რა მნიშ-

ვნელობა აქვს! საერთოდ, მღვდელი საჭირო არ არის. ხალხი ჩუმად მიიტანს კუბოს აკლდამამდე. იქ მე დაგემშვიდობებით, შიგნით აღარ შემოვალ. წაუკითხეთ ლოცვა, თუკი შეგიძლიათ, მე ლოცვა არ ვიცი. დაგემშვიდობებით და დავბრუნდები იქ სადაც არავინ მელის.

ივანმა მუშები იხმო. კუბო დერეფნით ბაღში გაიტანეს. გრაფინიას სასახლესა და გამგეობის შენობას შორის ინგლისური ბაღი იყო. ბაღზე გავლისას თითქოს გამოთხოვების ნიშნად, ხეთა ტოტებიდან ყვითელი ფოთლები აცვიოდა ანგელას. ჩიტები საგალობელს უგალობდნენ.

ივანი უქუდოდ მიაცილებდა კუბოს. უკან ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა გრაფინია ტეუდელინდა. აკლდამის კარს რომ მიუახლოვდნენ, ივანმა კუბო ძირს ჩამოადგმევინა და ზედ დაემხო. იქნებ ლოცულობდა კიდეც. ღმერთს ხომ ჩურჩულით ნათქვამიც ესმის. ესმის არამარტო სიტყვები, არამედ გრძნობებიც.

ტეუდელინდა დაიხარა და ივანს შუბლზე აკოცა.

— მადლობას გწირავთ, უქუდოდ რომ მოაცილეთ აქამდე. ახლა იგი თქვენ გეკუთვნით.

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა, სწრაფად მოტრიალდა და ბილიკს გაუყვა. ნაბიჯს აუჩქარა, სურდა, მალე გაცლოდა აქაურობას, იმის შიშით, რომ ივანს არ დაებრუნებინა მისთვის ბოძებული ძვირფასი განძი.

ივანმა კუბო ბონდავარის არისტოკრატთა საგვარეულო აკლდამაში შეატანინა და ყველა დაითხოვა. სანთლის შუქზე მან მომაკვდავი გრაფინიას ხელით დაწერილი უკანასკნელი სიტყვები წაიკითხა: „ვისღა ველოდო ჩრდილოეთის ციალზე?“ შემდეგ დიდხანს დასცქეროდა უხმოდ და ღრმად ამოიოხრა.

„მე ვინღა დამელოდება ჩრდილოეთის ციალზე?“

აკლდამიდან შინ რომ დაბრუნდა, გრაფინიას ეკიპაჟი უკვე წასული იყო.

ორივე წავიდა ამქვეყნიდან: ბრწყინვალე ქალბატონიც და გლეხის გოგოც. წავიდნენ იქ, სადაც აღარ არიან, არც ლამაზები, არც დამნაშავენი. ერთი ქვანახშირმა დაღუპა, მეორე ცეცხლმა. ეს ორივე დემონი დაიმორჩილა ივანმა და აიძულა, მას მომსახურებოდნენ. მათ კი, ამის გამო მოუკლეს ორი ქალი, ის ორი, რომელთა სიყვარულის უფლებაც ამქვეყნად გააჩნდა.

უმძიმდა ახლა მათი გახსენება. ვინაიდან მზეთუნახავი, რომელმაც უარი უთხრა მას და სხვას გაჰყვა ცოლად, მისი იყო. მაღალი წრის მანდილოსანი კი, რომელსაც უყვარდა იგი და მის სიყვარულში დალია სული, რომელიც მან დამარხა, ისიც მისი იყო.

ივანმა საშინელი მარტოობა იგრძნო.

მთელ თავის სახელსა და დიდებას დათმობდა თუნდაც ერთი მათგანის გადასარჩენად.

ორივეს დასტიროდა, თუმცა სამგლოვიარო ტანსაცმელი არ ეცვა.

რა საჭირო იყო ეს?

ევროპელები გლოვის ნიშნად შავებს იცვამენ, ჩინელები ყვითლებს, მუსულმანები ნაცრისფერს, ანტიკურ პერიოდში თეთრებს იცვამდნენ, უნგრელთა წინაპრები — ცისფერს. ებრაელებს ტანსაცმლის შემოხევა ჰქონდათ წესად მიცვალებულის დატირებისას; ფილოსოფოსი კი მხოლოდ თავის გულში გლოვობს.

ბრძენკაცის გლოვა არ ნიშნავს იმას, რომ სხვები გახადოს თავისი მწუხარების მონაწილე, პირიქით, სხვებს უნაწილებს მხოლოდ სიხარულს.

ბონდას ველზე კეთილდღეობამ დაისადგურა. გაუვალი ტყეების ადგილას ახალი სოფლები გაჩნდა. განათლებაც შემოვიდა. ხალხი სულ უფრო და უფრო მეტად აფასებდა მორალურ სიწმინდეს და ნებისყოფის სიმტკიცეს. ივანი თავისი სახსრებით აგზავნიდა ახალგაზრდებს სხვადასხვა ქვეყნებში სასწავლებლად.

შვეიცარიიდან ხეზე კვეთისა და ჰოლშტაინიდან მაქმანე-

ბის ოსტატები ჩამოიყვანა, რომ გოგო-ბიჭებისთვის თავიანთი ხელოვნება ესწავლებინათ. შესაძლოა ეს საქმიანობა პირველად ზოგიერთს გართობად მოსჩვენებოდა, მაგრამ ამით ლუკმაპურის შოვნას შესძლებდნენ. იმ საზოგადოებაში კი, სადაც დიდი და პატარა შრომობს, საჭიროებისთვის თუ გასართობად, სადაც შრომას სიამოვნებად თვლიან და არა მძიმე ტვირთად, ადამიანები მალე გაკეთილშობილდებიან და ზნეობრივადაც ამაღლდებიან.

ივანმა იზრუნა სკოლებზეც, გასამრჯელო მოუმატა მასწავლებლებს, სტიპენდიები დანიშნა ბეჯითი მოსწავლეებისთვის, მოამარაგა საჭირო წიგნებით. ყველა სოფელში გახსნა ბიბლიოთეკა. ფულის დაზოგვაც ასწავლა. მანვე ჩააგონა ურთიერთდახმარების საქველმოქმედო იდეა. ბონდას ველზე დააარსა შემნახველი სალარო და საავადმყოფო.

თავის მაღაროში ივანმა მთლიანად გამოცვალა მოწყობილობა და სანიმუშო საწარმოდ გარდაქმნა. მუშებიც მაღაროს ბატონ-პატრონებად აქცია და თანაბრად უყოფდა მოგებას.

კოლექტივის ნამდვილ წევრად რომ მიეღოთ, დამწყებ მუშას, კაცი იქნებოდა თუ ქალი, ერთი წლის განმავლობაში გამოცდის ვადით ამუშავებდნენ. ეს იოლი არ იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონებისთვის.

საკუთარი დედა და ქალთა მონასტერიც კი ვერ დაიცავდა მათ ღირსებას ისე, როგორც აქ, მაღაროში უფრთხილდებოდნენ. თითოეული მათი ნაბიჯი, თითოეული სიტყვა ყველასათვის ცნობილი იყო. და ვინც ვერ გაუძლებდა ამ ერთი წლის გამოცდას, ვინც წაიბორძიკებდა, საქვეყნოდ არ გამოაჭენებდნენ, მაგრამ ამას კი ეტყოდნენ:

„გვინდა წაგახალისოთ! გადადი სამუშაოდ აქციონერთა საზოგადოების მაღაროში, უფრო მეტ ხელფასს მიიღებ!“

იქ უფრო თავისუფლად იქცეოდნენ, ასეთი სიმკაცრე არ იყო. ადამიანი ვერც მიხვდებოდა ერთი შეხედვით რა სასჯელი იყო ეს.

იმას კი, ვინც ყოველგვარ ცთუნებას გაუძლებდა და საქმესაც შეიყვარებდა, თავიანთ წევრად ჩარიცხავდნენ და თავის წილ მოგებასაც აძლევდნენ.

ხანძრის ჩაქრობის წლისთავზე, ყველაზე მონდომებული,

სამაგალითო მუშისათვის, სანიმუშო ყოფაქცევითაც რომ გამოირჩეოდა, ჯილდო დააწესეს. ამისათვის ივანმა ორმოცდაათი ოქრო გაიღო, მუშებმა კი თავის მხრივ კარგი საჩუქარი აღუთქვეს, თუკი ცოლს მოიყვანდა.

წინასწარ არავინ იცოდა, რით დაჯილდოვდებოდა გამარჯვებული. ხანდაზმულები ამას საიდუმლოდ ინახავდნენ. წესით არც რაიმე განსაკუთრებულ საზეიმო დღეს გადასცემდნენ ჯილდოს. ეს ხდებოდა ჩვეულებრივი მუშაობისას. ყველა ხედავდა, რომ ადამიანს აჯილდოებდნენ არა ლამაზი თვალებისთვის, არამედ კარგი მუშაობისთვის, კეთილი საქმისათვის.

ეს დღე ყველასათვის სასიხარულო იყო.

ასე გლოვობდა ივანი.

არა! ევილა!

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხანძარზე გამარჯვება იზეიმეს. მოხუცი პალი ივანის სანახავად გაემართა აქციონერთა საზოგადოების გამგეობაში. მას შემდეგ, რაც მაღაროს მმართველად დანიშნეს, იგი იქვე ცხოვრობდა. ახლა საკუთარ ლაბორატორიაში სამუშაოდაც აღარ ეცალა. აქეთ-იქით სიარულიც ხშირად უწევდა.

ახლაც გზაში შემოხვდა მოხუცი მუშა. ივანმა ეტლში ჩაისვა.

— ერთი წელი შესრულდა იმ ღირსსახსოვარი დღიდან, — შეახსენა პალმა.

— ვიცი, ვიცი, პალ. დღეს გადავცემთ ჯილდოს გამარჯვებულს. გის მიანიჭა კომისიამ?

— ერთსულოვნად მიანიჭეს ერთ ქალიშვილს.

— თქვენ რას იტყვით, თუ მიგაჩნიათ ამის ღირსად?

— ყოველნაირად. ბეჯითი გოგონაა, სამუშაოზე მისვლას ვერავინ დაასწრებს, წასვლით კი ყველაზე გვიან მიდის. უკმაყოფილოს ვერასოდეს ნახავთ, სხვა ქალებივით არ წუწუნებს, მუშაობს თავდაუზოგავად. ურიკას რომ აუვსებენ, ერთიორი ნიჩაბიც რომ არ დაამატებინოს, არ იქნება. ცარიელი ურიკა სიმღერით მოაქვს უკან, თითქოს სეირნობიდან ბრუნ-

დებოდეს. შესვენების დამთავრებისთანავე სხვებსაც აღარ აჩერებს უსაქმოდ, გეყოფათ უქმად ჯდომა, საქმეს მიხედეთო.

— კეკლუცობა ხომ არ უყვარს?

— არა, ბატონო, რაც მოვიდა, მთელი წელი სულ ერთი და იგივე კაბა აცვია. მძივებსაც არ იკეთებს, თავზე ვიწრო ბაფთა აქვს მხოლოდ წაკრული თმები რომ არ ჩამოეშალოს. ერთი ესაა, თეთრეულის გამოცვლა უყვარს ყოველდღე, ღამით თვითონვე რეცხავს ჩანჩქერზე. ეს უკვე მისი საქმეა.

— მომჭირნე თუა?

— ურთიერთდამხმარე სალაროში ყველაზე მეტი დანაზოგი აქვს. უფრო მეტიც ექნებოდა, მაგრამ ყოველ კვირადღეს მოწყალებას ურიგებს ღარიბებს და არც თუ ისე ცოტას, ერთი დღის ხელფასს მაინც.

— ეკლესიაში თუ დადის?

— ყოველ კვირას, ჩვენთან ერთად. თანაც სხვებისაგან განსხვავებით, სკამზე კი არ ჯდება, მუხლზე დაჩოქილი ისმენს მთელს წირვას სახეზე ხელაფარებული.

— კეთილი თუა?

— არავისთვის უწყენინებია. ერთხელ ერთმა ქალმა უხეშად მიმართა. სიტყვაც არ დასცდენია, სხვებმა გვითხრეს. მალე ის ქალი ავად გახდა, ახლობელი არავინ ყავს, რომ იცოდეთ, ღამეებს უთევდა, მის საწოლს არ შორდებოდა, სამუშაოს შემდეგ მისი წამლისთვის მირბოდა აფთიაქში.

— ხომ არ თვალთმაქცობს?

— არა, პირიქით, მეტად გულღია და მხიარული ბუნებისაა, ხუმრობაც უყვარს. თქვენც იცით, ცოტა მოურიდებელი ლაპარაკი რომ გვიყვარს. მისი თანდასწრებით ვერავინ გაბედავს ამისათვის გაბუტვას. გლეხის გოგოს არ შეშვენის აცრემლება, ვინმე უხეშად თუ გაუარშიყდება, აბეზარ ჭაბუკს სილაც კი უნდა გააწნას. ასეთზე ვიტყვით ხოლმე, „მარჯვე გოგოაო!“ თვალცრემლიანი იგი არ გვინახავს, გარდა კვირა დღისა, საღამოობით თუთის ხის ქვეშ ახალგაზრდები აფეთქებულ მაღაროში თქვენი მარტოდმარტო ჩასვლის ამბავს რომ მომაყოლებენ ხოლმე. ეს ყველამ ზეპირად იცის, მაგრამ გულგრილად მაინც ვერ მისმენენ, ერთი ოხვრა და ვიშ-ვიში

აქვთ. ის კი სახეზე ხელებს აიფარებს და ჩუმად ტირის, ვიდრე არ დავამთავრებ.

— წესიერი ყოფაქცევისაა?

— ამასწინათ ქალები შევკრიბეთ და ვკითხეთ, ხომ არაფერი გაუგონიათ მასზე. აუგი არავის დასცდენია. ახალგაზრდებსაც ვკითხეთ, ვინმე ხომ არ ეარშიყება-თქო. ყველამ უარი თქვა.

— კარგი, კარგი, პალ.

ამასობაში ივანის მაღაროსაც მიუახლოვდნენ. ეტლიდან ჩამოვიდნენ და რკინიგზის ხაზის გვერდით ყარაულის ოთახში შევიდნენ. მუშების უმეტესობა უკვე შეგროვილიყო, ივანმა დანარჩენებსაც უბრძანა მუშაობა შეეწყვიტათ.

თითქმის ყველა მოვიდა, გოგონების ერთი ჯგუფის გარდა. მათ გადაეწყვიტათ ემუშავათ, ვიდრე სულ ახლახანს წოლხვრელიდან გამოსული ვაგონიდან ქვანახშირს მთლიანად არ გადმოტვირთავდნენ. იქვე რკინიგზის ლიანდაგის გვერდით ქვანახშირის გორები იდგა. გოგონები მარჯვედ მუშაობდნენ, მაგრამ ქვანახშირი ჯერ კიდევ ბევრი იყო ვაგონში.

ივანი გოგონებს ვერ ხედავდა, ქვანახშირის გორა ეფარებოდა. მათი მხიარული შეძახილი ისმოდა მხოლოდ.

ამ დროს ვიღაცამ სევდიანი სლოვაკური ხალხური სიმღერა წამოიწყო:

> თმებს გივარცხნიდი დიდი სიფრთხილით,
> ტკივილი რომ არ გეგრძნო მცირედი,
> გეფერებოდი ჩემო პატარა,
> და არასოდეს არ გატირებდი.

— ივანს სახე მოეღუშა. ვინ მღერის ამ სიმღერას? რატომ მიუსაკუთრებია?

— აი ისიც — უთხრა პალმა, — ის მღერის.

ქვანახშირის გორაზე მათ წითელკაბიანი ქალიშვილი დაინახეს ლურჯი ჟილეტით. თავსაბური მოსძრობოდა და მშვენიერი შავი თმა მოუჩანდა. სახეზე ქვანახშირის მტვერი შეფრქვეოდა, მაგრამ ამ მიწიერ ჭუჭყში მაინც გამოკრთოდა არამიწიერი ბრწყინვალების შუქი. ან კი რას დააკლებდა მტვერი შავი ალმასებივით მოელვარე თვალებს.

ქალიშვილი უძრავად იდგა ქვანახშირის გორაზე და განცვიფრებული შეჰყურებდა შეკრებილთ.

ამ მოულოდნელი სიხარულით გაოგნებულმა ივანმა მიირბინა მასთან და მთელი ხმით იყვირა:

— ეველინა!

ქალიშვილმა მშვიდად გააქნია თავი და გაუსწორა:

— არა! ევილა!

—შენ აქა ხარ? დაბრუნდი?

— უკვე ერთი წელია თქვენს მაღაროში ვმუშაობ, თუ ნებას მომცემთ, დავრჩები.

— ო, არა! შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე! — მტკიცედ უპასუხა ივანმა და მისი ხელი გულში ჩაიკრა.

— არა, ბატონო! მსახური ვიქნები თქვენი, თქვენი ცოლის მსახური. ამითაც ბედნიერი ვიქნები! მეტი არაფერი მინდა!

— სამაგიეროდ მე მინდა! შენ ჩემი უნდა გახდე. ერთი წელი აქ იყავი და არც კი დამელაპარაკე?

— ბატონო ჩემო, თქვენ ისეთი კეთილი ხართ, თქვენს ცოლად მთვლით! — ჩურჩულით უთხრა ქალიშვილმა, — მაგრამ განა შეგიძლიათ მაპატიოთ. თქვენ ხომ ჩემი ამბავი არ იცით.

— ყველაფერი ვიცი და მიპატიებია!

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არაფერიც არ იცოდა, მისი ამბავი რომ სცოდნოდა, თვითონ ჩაუვარდებოდა ფეხებში და პატიებას სთხოვდა.

ივანმა ქალიშვილი გულში ჩაიკრა.

— თქვენ მაპატიებთ, მაგრამ ქვეყანა თქვენ არ გაპატიებთ ამას!

— ქვეყანა? — აი ჩემი ქვეყანა! — უთხრა ივანმა და მუშტი დაირტყა მკერდში. ქვეყანა! ირგვლივ ყველაფერი, ყოველი სულიერი ბონდას ველზე სიკვდილამდე დავალებულია ჩემგან! ბალახიც კი, მწვანედ რომ ბიბინებს, ჩემით არის მხოლოდ. მთებმაც იციან, ღმერთის შემდეგ მე რომ ვუპატრონე! მილიონი მივიღე ჯილდოდ! ვინ მოთვლის რამდენი მლოცავს. არისტოკრატსაც და გლეხსაც მე შევუშრე ცრემლი თვალზე. მტერსაც და მოყვარესაც ვაჩუქე სიცოცხლე. საქ-

ვეყნოდ განადიდეს ჩემი სახელი, მე კი მიწის ქვეშ დავიმალე, რომ ეს დიდების საგალობელი არ მომესმინა. ჩემსკენ იყო მომართული ულამაზესი ქალის მზერა, რომლის ერთი ღიმილი მთელ სამყაროდ ღირდა! მე ხელთა მაქვს მისი კუბოს გასაღები! ჩემი ქვეყანა ჩემი გულია და იქ არავისთვის არ არის ადგილი შენს გარდა. მითხარი, შეგიძლია ჩემი სიყვარული?

ქალიშვილმა თვალები დახარა. იგი ნეტარების მწვერვალზე იყო.

— ბატონო ჩემო, — ჩურჩულით უთხრა ივანს — თუ ახლა არ მოვკვდე, სიკვდილამდე თქვენ მეყვარებით, მაგრამ მე ვიცი რომ ახლა მოვკვდები...

ამ სიტყვებით გრძნობა დაკარგა, ფერი წაუვიდა და თვალებსაც ბრწყინვალება მოაკლდა.

ივანს მკლავზე ეწვინა ქალიშვილი, რომლის გულისთვისაც ამდენი ტანჯვა გამოიარა და რომელმაც წუთის წინ უთხრა: „ახლა თუ არ მოვკვდი, სიკვდილამდე მეყვარებიო“. ისევ ყურში ჩაესმოდა მისი სიტყვები: „მე ვიცი, რომ ახლა მოვკვდები!“

მაგრამ იგი არ მოკვდა...

უკანასკნელი თავი

ალმასი ალმასად დარჩა...

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი პირველი

სანამ დედამიწაზე ადამიანი გაჩნდებოდა . . . 5

ნაწილი მეორე

როცა ადამიანები უკვე ვეღარ ეტეოდნენ დედამიწაზე 28
შავი პეიზაჟი 32
შავი ალმასების მონა . . 41
სხვა შავი ალმასები . . 50
კაციჭამია 65
ფულის მკეთებელი . . . 72
ბატონო ექიმო! . . . 85
გრაფინია ტეუდელინდა . 96
ალბომი და მისი ბინადარნი 109
სატანის მძლეველი . . . 121
აუტანელი კაცი . . . 150
უმაღლესი მათემატიკა . . 162
საკრებულო საღამოები . . 170
ივანის მოხსენება . . . 182
მაგნიტური რაინდი . . . 203
უმნიშვნელო წვრილმანი . 224

ნაწილი მესამე

ქალის ოცდაცამეტი სახე . 237
ორი დარტყმის უფლება . 250
მშვიდობით! 255
თარსი რეპეტიცია . . . 264
ფულის კეთების ხელოვნება 269
პირველი ტალერები . . 272
არა! ეველინა! . . . 285
ბატივი და დიდება მაუდისწამოსასხამიან გლეხუქებს 294
ორი თაყვანისმცემელი . . 304
იქ სადაც ალმასი უძლურია . 314
რკინიგზა ბონდას ველზე . 318
საწყალი, კეთილი ჰერცოგი . 323
განკითხვის დღე! . . . 326
დიდებულიდან სასაცილომდე 343
ჯერ ისევ ბავშვები . . . 346
უბიწო 350
ქმარი და მამაკაცი . . 356
ევა დირმაკი 362
ჩიტივით თავისუფალი . . 366
ქვანახშირი 374
ბერძენი ჩანტას ანდერძი . 381
როცა ფეხქვეშ მიწა იწვის . 386
ბავშვური თამაში . . . 392
ევრიკა! 397
ალ პარი! 404
ბრძოლა ქვესკნელში . . 411
აპოთეოზი 423
ანგელა ივანის იქნება . . 426
ვინ როგორ გლოვობს? . . 432
არა! ეველა! 434

უკანასკნელი თავი

ალმასი ალმასად დარჩება... . 438

ЙОКАИ МОР
ЧЕРНЫЕ АЛМАЗЫ
Роман

(на грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси, 1988

რედაქტორი ც. ინწკირველი.
მხატვარი ნ. ზაალიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე.
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე.
კორექტორები: ნ. ლომაძე, რ. გოცირიძე,
თ. ფირცხალავა.
გამომშვები ნ. ხავთასი.

ს. ბ. 3621.

ჩაბარდა წარმოებას 30.11.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.11.88 წ. ფორმატი 60×90 1/16. ქაღალდი საბეჭდი საწიგნე-საჟურნალე. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,67. პირობითი საღებავგატარება 21,75. ტირაჟი 20.000. ეგზ. შეკვეთა № 196.

ფასი 1 მან. 00 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42, თბილისი 1988 წ.
Издательство «Мерани» пр. Руставели, 42

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.